

114/3

ՁԵՆՈՒԹՅՈՒՆ

9/8

7

ՈՅՇՈՒՆ



1959



შალვა ნუცუბიძე — „მიხეზთა წიგნის“ ავტორია პეტრე იბერი 122
 ივანე ჭავჭავაძე — ეგნატე ნინოშვილის ენის ძირითადი საკითხები. გაგრძელება 133

მეცნიერება

მიხეილ შენგელია — იოანე პეტრიწონელი და PRACTICA PETRICELLE-ს ავტორობის საკითხი 139
 გალაკტიონ შინდაძე — აბანოები ძველ თბილისში 142
 ვ. გონაძე — ჯუვეარდნისა და მისგან საომარი იარაღის დამზადების გამოჩენილი ქართველი ოსტატი 146

ხელოვნების საკითხები

ლელია ბერძენიშვილი — გიორგი მნატარი 153

ჩვენი მეცნიერები

პროფ. გიორგი ჯიბლაძე — ქართული ფილოლოგიის პარტიარქი (აკად. გ. კეკელიძე) 156

მეცნიერული ლიბრებრუკა

ექვთ. თაყაიშვილი — მოგონებები. გაგრძელება. 166
 გიორგი შოღდოკელი — ილია ჭავჭავაძის დროინდელი დუშეთი 172

წიგნების მიმოხილვა

ალექსანდრე ბენდიანიშვილი, დერშიშა გოგოლაძე, გრიგოლ მარგანი, ბექტრბი ხახია — საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური ისტორიის საკითხისათვის 177
 მარიამ ზვიდელიძე — ედიშერ ყიფიანის „ათფურცლიანი რვეულები“ 181
 ჯემალ შარაშიძე — ილია რურუას მოთხრობები 184
 ოთარ ჯაფარიძე — ნაშრომი შიდა ქართლის ბრინჯაოს კულტურის შესახებ 186

გზოგზად რეკლამა

გიორგი მარგველაშვილი — ეურნალ „კოკოდლის“ ერთი გამოსვლის გამო 190
 ახალი წიგნები გაჩეყანის შესახებ გვ.

რედაქტორი **ს. ჩიჭოვანი**

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მღივანი), გ. მარგველაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42, 2-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/VII-59 წ. ქალაქის ზომა 70×108. ანაწყოების ზომა 7¼×12¼. ნაბეჭდი თაბაში 12. უე 05980. ტირაჟი 6400. შეკვეთა № 462.

საქართველოს სსრ კულტურის საინისტროს მთავარბოლოგრაფიკომპლემენტების ბეჭდვითი სიტყვის კომბინატ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.



სსრ კავშირის მწერალთა მესამე ყრილობას



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გულთადად მიესალმება სსრ კავშირის მწერალთა მესამე სრულიადსაკავშირო ყრილობის დელეგატებს და მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ყველა მოღვაწეს.

ძვირფასო ამხანაგებო! საბჭოთა მწერლების ყრილობა შესანიშნავ დროს შეიკრება, როცა ჩვენი დიადი სოციალისტური საშობლო შევიდა თავისი განვითარების ახალ, უმნიშვნელოვანეს პერიოდში, კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი ერთუზიანებით იბრძვის იმისათვის, რომ განხორციელდეს სოციალისტური ეკონომიკის, კულტურის შემდგომი აღმავლობისა და აყვავების და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების დიდებული პროგრამა, რომელიც მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ. ის, რაზეც საუკუნეობით ოცნებობდნენ კაცობრიობის ყველაზე მოწინავე და ყველაზე გაბედული მოაზროვნენი, რეალობა ხდება ჩვენს ქვეყანაში.

კომუნისტების გაშლილი მშენებლობის ისტორიული პროგრამა ითვალისწინებს არა მარტო უმაგალითო მასშტაბის პროგრესს ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის დარგში, არამედ აგრეთვე ახალი ადამიანის, კომუნისტური საზოგადოების ადამიანის აღზრდას. კომუნისტს აშენებენ ადამიანები და რაც უფრო მაღალი იქნება მილიონობის მასების შეგნებულობა, მით უფრო წარმატებითი იქნება ჩვენი წინსვლა. მშრომელთა კომუნისტური აღზრდის კეთილშობილურ საქმეში მეტად დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ლიტერატურასა და ხელოვნებას. საბჭოთა მწერლების წინაშე დგას საპატიო ამოცანა — აქტიური მონაწილეობა მიიღონ მომავლის ადამიანის, ახალი ცხოვრების მშენებელი ადამიანის სულიერი სახის ჩამოყალიბებაში. ისინი მოწოდებული არიან აღაფრთოვანონ ადამიანები კომუნისტებისათვის საბრძოლველად, აღზარდონ ისინი კომუნისტური იდეურობის სულისკვეთებით, ჩაუნერგონ მაღალი ზნეობრივი თვისებები, შეურიგებლობა ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალისადმი.

საბჭოთა მწერლების მაღალი მოწოდებაა სიმართლითა და მკაფიოდ დახატონ ხალხის შრომითი გმირობის სიღამაზე, კომუნისტებისათვის ბრძოლის გრანდიოზულობა და სიდიადე, იყონ შვიდწლიანი გეგმის მგზნებარე პროპაგანდისტები, მხნეობა და ენერჯია ჩაუნერგონ გულში საბჭოთა ადამიანებს, აღმოფხვრან კაპიტალიზმის გადმონაშთები ადამიანთა შეგნებაში, ხელი შეუწყონ ყოველივე იმის აღკვეთას, რაც ჯერ კიდევ უშლის ხელს ჩვენს წინსვლას. ამ გზაზე გაიზრდება კომუნისტის დიადი ხელოვნება — დიდ აზრთა, მხურვალე გრძნობათა და დიად სულისკვეთებათა ხელოვნება, რომელსაც უნარი შესწევს ახალ-ახალი დიდი საქმისათვის შთააგონოს კომუნისტის მშენებელი მრავალ მილიონობით ადამიანი.

ლიტერატურის როლი განსაკუთრებით პასუხსააგებია ახალგაზრდა თაობის აღზრდაში. ახალგაზრდობას ესაჭიროება წარმატცი წიგნები, რომლებიც მას ზრდიან კომუნისტური იდეურობის, სოციალისტური საშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების, მიზნის მიღწევაში სიმტკიცის, 'შეუპოვრობის' სულისკვეთებით,

რომლებიც აშუქებენ მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის შრომის რომ-
ანტიკას, უღვიძებენ შემოქმედების სიყვარულსა და ინიციატივას. *ჩაქალვაჭრდა*
მკითხველი მოელის ისეთ წიგნებს, რომლებიც მისი სიჭაბუკის საიმედო მშვენი-
ბარი, დამრიგებელი და მრჩეველი გახდებიან.

კომუნისმის ლიტერატურა დიადი ლიტერატურა უნდა იყოს არა მარტო-
იდეური შინაარსის სიმდიდრით, არამედ მხატვრული სრულყოფითაც. დიდ იდე-
ებს მაღალი ოსტატობა ესაქიროება, გმირულ ხასიათებს — ღირსეული მხატვ-
რული განსაზიერება. ხალხს ესაქიროება ლიტერატურა, რომელიც ზრდის და ას-
წავლის ადამიანს მხატვრული სახეების სიმართლითა და სილამაზით, სულიერად
ამდიდრებს მას, უფართოებს გონების არეს, ხატავს ადამიანთა შეგნებულობის
ზრდას კომუნისტური მშენებლობის პროცესში. ჩვენს საზოგადოებას განსაკუთ-
რებით ესაქიროება ლიტერატურა, რომელშიც თანამედროვეობის აქტუალური
თემები მკაფიო მხატვრულ განსაზიერებას პოულობენ.

თანამედროვე პირობებში ერთერთი უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ამო-
ცანაა ოსტატობის სრულყოფა, ნაწარმოებთა მხატვრული თვისებისადმი მომ-
თხოვნელობის სერიოზული გაძლიერება. ნამდვილი ოსტატობის მიღწევა შეიძ-
ლება ხალხის ცხოვრებასთან მწერლის განუყოფელი კავშირის საფუძველზე.

სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება სსრ კავშირში, ჩვენი
პეროიკული ეპოქა კომუნისმის მშენებლობისა ქმნის მხატვრული შემოქმედების
ახალი უმაგალითო აყვავების უფართოეს პერსპექტივებს. იდეების, თემებისა
და სახეების დაუშრეტელ სიმდიდრეს აძლევს მწერალს ცხოვრება საბჭოთა-
ხალხისა, რომელიც თავისი ყოველდღიური გმირული შრომით გარდაქმნის
ქვეყანას, ავლინებს კოლოსალურ ბუნებრივ სიმდიდრეს, აშენებს ახალ მძლავრ
ინდუსტრიულ ცენტრებს, ქმნის მატერიალური და სულიერი დოვლათის სიუხ-
ვეს, განუწყვეტლივ სრულყოფს ტექნიკას და შემართებით იპყრობს კოსმოსს!

ცხოვრება უცილობელი დამაჯერებლობით გვიჩვენებს სოციალისტური
რეალიზმის შემოქმედებითი პრინციპების ურყეობას, ნაყოფიერებას, რეალიზ-
მისა, რომელიც სიმართლითა და ისტორიულად კონკრეტულად ხატავს ჩვენი
ეპოქის მთავარ შინაარსს — საზოგადოების წინსვლას კომუნისმისაკენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი კმა-
ყოფილებით აღნიშნავს, რომ ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და რევინიონისტე-
ბის უხეშ გამოლაშქრებათა წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა მწერლებმა დაგვა-
ნახვეს იდეური მოწიფულობა სიმტკიცე და ერთხელ კიდევ ცხადყვეს მკიდრო
შეკავშირება კომუნისტური პარტიის გარშემო, ერთგულება საბჭოთა ხალხი-
სადმი.

ჩვენი პარტია, რომელიც მაღალ შეფასებას აძლევს ლიტერატურისა და
ხელოვნების როლს საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში და რომელსაც მწერ-
ლები თავის საიმედო თანამემწეებად მიაჩნია, პირდაპირ და გულახდილად აკ-
რიტიკებდა და უსწორებდა მათ, ვინც მერყეობა გამოიჩინა, შეცდომები და-
უშვა. ამ პრინციპულ კრიტიკას, რომელიც ნაკარნახევია ლიტერატურისათვის,
მხატვრის შემოქმედებითი ბედისათვის ზრუნვით, დადებითი შედეგები მოჰყვა,
კომუნისტური პარტია კვლავაც მუდმივ ზრუნვას გამოიჩენს საბჭოთა ლიტერა-
ტურისა და ხელოვნების განვითარებისათვის. მხატვრის მაღალი იდეურობა,
ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმისადმი, ხალხის ცხოვრებასთან კავშირი, საბ-
ჭოთა საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა და გრანდიოზულ-
პერსპექტივათა გაგება საბჭოთა მწერლების შემოქმედებით წარმატებათა საწინ-



დარია. საბჭოთა ლიტერატურის ცხოველყოფელი ძალაა განუყოფელი კავშირი კომუნისტური პარტიის პოლიტიკასთან, რომელიც ხალხის ძირეულ მოთხოვნებს გამომხატავს.

სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლიტერატურისათვის ინტერნაციონალიზმის, მშრომელთა ძმური სოლიდარობის, მსოფლიო სოციალისტური სისტემის ზრდისა და განმტკიცების, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ხალხთა ბრძოლის კეთილშობილურ თემებს.

მსოფლიო სოციალისტური სისტემა შევიდა კაპიტალისტურ სისტემასთან ეკონომიური შეჯიბრების გადამწყვეტ ეტაპში. სოციალიზმმა მთელი კაცობრიობის წინაშე გაშალა მშვიდობისა და შრომის დროშა, შექმნა პირობები, რომ საზოგადოების ცხოვრებიდან გამოირიცხოს მსოფლიო ომები, დასახა ხალხის მასების ყველაზე მაღალი ცხოვრების დონის მიღწევის პროგრამა. ამ ბრძოლაში საბჭოთა მწერლების მოვალეობაა ყველა ქვეყნის პროგრესულ მწერლებთან ერთად კიდევ უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ თავიანთი შემოქმედებით ახალი მსოფლიოს ძალების მხარეზე, რომლის გამარჯვება ისტორიულად გარდაუვალია.

რეაქციული და აგრესიული ძალები იმპერიალიზმისა, რომელიც თავისი მზის ჩასვენებას განიცდის, ცდილობენ ყოველი საშუალებით შეუშალონ ხელი კაცობრიობის წინსვლას, სოციალიზმის ძალების ზრდას, ცდილობენ ჩაახშონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში. ისინი ამისათვის იყენებენ სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიურ და იდეოლოგიურ საშუალებებს, ახალი მსოფლიო ომით ემუქრებიან კაცობრიობას. ლიტერატურის უაღრესად პუმანური, ყველა ხალხის ინტერესთა შესაბამისი ამოცანაა ამხილოს იმპერიალიზმის ანტიხალხური არსი, მისი აგრესიული პოლიტიკა, ბურჟუაზიული იდეოლოგიების ყალბი ცდები — შეალამაზონ კაპიტალისტური სინამდვილე. საბჭოთა ლიტერატორების წმინდა მოვალეობაა თავიანთი მხატვრული სიტყვის ძალით ემსახურონ დიად ბრძოლას ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის, ემსახურონ ჩვენი ახალგაზრდობისა და მთელი ხალხის აღზრდას სოციალისტური სამშობლოს მხურვალე სიყვარულისა და იმისათვის მზადყოფნის სულისკვეთებით, რომ დაიცვან სოციალიზმის ისტორიული მონაპოვარი.

საბჭოთა მწერლები მოწოდებული არიან კვლავაც დაუცხრომლად განამტკიცონ მეგობრობა და ძმური ერთიანობა სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მწერლებთან, ყველა პროგრესულ ლიტერატორთან, რომელთა შემოქმედება ემსახურება მშრომელი ადამიანის განთავისუფლებას სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან, ყოველი ღონისძიებით დაუპირონ მხარი რეალისტურ ხელოვნებას, რომელიც უპირისპირდება უიდეო ფორმალისტურ ხელოვნებას.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის საქმიანობის მიზანი უნდა იყოს ლიტერატურის შემდგომი განვითარება და აყვავება, საბჭოთა მწერლების შემოქმედებითი ძალების შეკავშირება, მათი იდეური ერთიანობის განმტკიცება იმ დიადი და პასუხსაგები ამოცანების შესრულებისათვის, რომლებიც დასახულია საბჭოთა ლიტერატურის წინაშე ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში. საბჭოთა მწერლების კავშირის და ყოველი მხატვრული სიტყვის ოსტატის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა ყოველდღიურად იზრუნონ ლიტერატურის ახალგაზრდა ძალების აღზრდისათვის, ხელი შეუწყონ ნიჭიერი ახალგაზრდობის ზრდას.

ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაებს ჯერ არასოდეს არაქცეულათ მკითხველთა, მსმენელთა და მაყურებელთა ესოდენ დიდი აუდიტორიის მსახურსა თები, რადიო, ტელეხედვა და კინო მასობრივი ტრიბუნებია საიდანაც მწერლის სიტყვას ერთსა და იმავე დროს მილიონობით ადამიანი ისმენს.

იცხოვროს და იმუშაოს ხალხისათვის, მისი კეთილდღეობისათვის—ეს არის საბჭოთა მწერლის უმაღლესი მოწოდება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ საბჭოთა მწერლები შექმნიან ახალ ნიჭიერ ნაწარმოებებს, რომლებშიც ღირსეულად იქნება ასახული ჩვენი შესანიშნავი ეპოქის სიდიადე, და მხურვალედ უსურვებს ჩვენს სახელოვან ლიტერატორებს დიდ შემოქმედებითს წარმატებებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სიმონ ჩიქოვანი



ფიროსმანის ლამევი

... და გიხილე ღამეს ხევედი ფუნჯით,
ვარდებს ყრიდი მარგალიტას სახლში,
მთის მოხვეულ თუ მოგრეხილ ქუჩით
შინ მიგქონდა მუშამბა და ხაში.

მეეზოვე კარს რაზავდა კეტით,
რად ეტრფისო ორთაქალის ტურფას,
მთელი ღამე შენ დაქპროდი ეტლით,
ან ხატავდი საქართეულოს სუფრას.

ბატენის მწვადი, მტკვრის ცოცხალი უცხო,
დღეობა და კინტოს სურათები,
შენი ღამე როგორ გადავფურცლო,
სადაც მთვრალეებს ქუჩებს უნათებდი.

სხვისი კიბე — შენი ბინის ჰერი,
ფერს იძენდა უფერული წლები,
ბუთხუხა ბავშვს ბუშტი ეპყრა ჰრელი,
ფეტვს კენკავდნენ სულში წიწილები.

აწრიალე კათანდარა ტანი,
პურმარილზე დაიწვიე მთები.
ჩურჩულებდნენ, მოდის ფიროსმანი
და მეზურნეს უსკდებოდა ყბები.

ტივზე ლხინი, მოლზე ზვინი თივის.
იხილე და შეეტოქე უფალს,
ქართულ სუფრას ამგვანებდი თბილისს
და შენც ჰგავდი ამწვანებულ სუფრას.

თვალს კვებავდა ეს უფასო ხეავი,
სადაც ხაში ბნელ სარდაფში ხერიბე,
აგედევნა შავი საღებავი
და დაგენგრა თაეზე სხვისი კიბე.

ვინ დაადო შენს ოცნებას ნიბრი —
კიტრის ფასი, არყის ფასი მცირე,
შენ ცხოვრებამ ჩაგაყოლა წიხლი
და სარდაფში უხმოდ ჩაიძირე,



ფუნჯი გაცვდა, გაგიღურჯდა უპე,
 არყის ცეცხლი დაერია ჯამებს,
 ვინ მოგცელა, როგორ დაიღუპე
 ან საფლავი ვინ დაუთმო ლამეს?

ქველი ჩვეულიდან, ღრუბლებს ჩავეუთქვი

... მერმე გაჰკიდე ცეცხლთან თავშალი,
 ეშხით ამივსე სულის ქისები,
 ხშირი თმა თითქო ისე გაშალე,
 როგორც სევანეთის მთებზე ნისლები.

გსურდა გომიჯის შინ გამოცხობა,
 საცრით დაფერთხე ქერის ქაცევები,
 მზის ჩასვლას ჰგავდა შენი მორცხვობა
 და წყვილ ალიონს თეთრი დაწვები.

ქარი სტვენდა და კარი მირაზე,
 კერას გაანდე მგონი გუმანი,
 შენ, როგორც ცეცხლი, მიწექ თივაზე
 და მე ორ ცეცხლში მოვხვდი სტუმარი.

მსურდა ორწყალთან აგრე მენახე,
 გადაზნექილი, მშვენება ნახი,
 მინდოდა მეტქვა, შენ ხარ ვენახი,
 მაგრამ არ ხარობს სევანეთში ვახი.

სურდა მეკითხა, ნისლი გორვაშის,
 როგორ მოგტაცა ქორმა წიწილი,
 შინ მივბრუნდი და ჩამრჩა ხსოვნაში
 ცეცხლივით ცელქი შენი სიცილი.

ამ მოგონებით ახლაც ვინთები,
 თვალს ებლანდება გრძელი კავები,
 მთაზე აღბეჭდუ თლილი თითები
 სადაც შენი თმის ქსელში გავები.

არც მოხუცი ვარ და არც ჩაუქი,
 მაინც მოგიძღვნა მინდა მძივები,
 თუ გენატრები ღრუბლებს ჩაუთქვი
 და მე მეტყვიან ბარში წვიმები.



ილია*

ილია თბილისში პოლტარაელებთან დაბინავდა. თუმცა სარწმუნოდ შეატყობინეს — თავადების მუქარით შეშინებული კერესელიძე შენ სტატიას აღარ ბეჭდავსო, მაგრამ პოეტი არ იჯერებდა, გადაწყვეტილი ჰქონდა, რედაქტორი თვითონ ენახა. დილის ათ საათზე წასასვლელად მოემზადა.

ჭალაქს ნაცრისფერი, სქელი ღრუბლები ჩამოსწოლოდა, გადაუღებლად წვიმდა. ილიამ ოთახის კარი გამოაღო.

— ილიკო, შენსას არ იშლი, უსათუოდ უნდა წახვიდე? — გაისმა ახალგაზრდა კაცის ხმა და კარებში ვანო პოლტარაეცის ქერა სასიამოვნო სახე გამოჩნდა.

ილიამ სერთუკის დილი შეიბნია. პასუხი ერთხანს დააგვიანა.

— ვითომ რატომ არ უნდა წავიდე. სხვამ თუ არა, შენ მაინც იცი, რომ აქ ტაბტზე გადასაგორებელ-გადმოსაგორებლად არ ჩამოვსულვარ, — ჩაილაპარაკა და კარების სახელურს ხელი წააგლო.

— დიდი ახირებული კაცი ხარ, ისე გულდაგულ მიიწევე გარეთ, თითქოს ეტლის ფულით ჯიბე გქონდეს დამძიმებული. — გაჯავრდა ვანო.

ილიამ მოიხედა, შუქიანი თვალები მეგობარს დინჯად შეანათა.

— ჯიბის სიმძიმის რა მოგახსენო, მაგრამ რედაქციაში მისასვლელად კი გული ერთობ დამძიმებდა. კერესელიძე ნებით თუ უნებლიეთ დიდად სცოდავს, პირში ბურთსა გეჩრის. ახლა ვნახოთ, რა პასუხს მომიცემს, — ჩაილაპარაკა და გარეთ გავიდა.

წვრილი ქვით მოკირწყლული ქუჩა

ეტლთა ბორბლებს სქელი ტალახით გაელესათ. ქვეითად მოსიარულე ხალხი აქა-იქ ჩანდა. სიღონია საეარსამიძის სახლის სარკმელთან ახალგაზრდა ქალი იდგა, სველ მინასთან სახე სულ ახლოს მიეტანა და ნაცრისფერ დილას მოწყენილი, მშვიდი თვალებით მისჩერებოდა. ფეხით მიმავალი პოეტის დანახვაზე ქალი შეინძრა, კისერი ოდნავ შემოაბრუნა და ილიამ იგრძნო, ცისფერი თვალები მას კარგა ხანს მიაცილებდნენ.

გოლოვინის პროსპექტზე მორთულმა მეეტლემ ცხენები თავმომწონედ გამოაქროლა. მდიდარი ვაჭარი ზუბალაშვილი საბურველში შეხვეულიყო, ეტლიდან დაფიქრებული იცქირებოდა. ილიას სალამი მისცა თავისუფალი ადგილი შესთავაზა, მაგრამ პოეტმა უარი უთხრა. ის თვალს ადევნებდა ფეხით მიმავალ ინგლისელ მრეწველს. რაისი ცივი თვალებით ზომავდა თბილისს, ეტყობოდა, აკარებდა — თავისი, ქარხნებისთვის ქალაქის რომელი ნაწილი ჩამოეგლიჯა. ილიამ პროტესტის ნიშნად უცხოელს მღელვარე თვალები შეაგებდა, მაგრამ ინგლისელი ვერაფერს მიხვდა, მხრები ოდნავ აიჩინა და გზა განაგრძო. წვიმის და ტალახის მიუხედავად, დაბალი ფენის ხალხი მტკვრის სანაპიროსკენ მიიჩქაროდა. გენერალმა ყორღანაშვილმა წყლის საქაჩავი ტუმბო მოაწყო და მის სანახავად გამოსულიყვნენ. განსაკუთრებით მრავლად მეთულუხჩეები ირეოდნენ, ამ უცხო მანქანას უმწყო, შესაბრალისი თვალებით მისჩერებოდნენ, თითქოს უკანასკნელი პურის ლუკმა გამოეგლიჯათ.

ილიამ ატალახებულ ალექსანდრეს ქუჩამდის უეტლოდ მაინც ვერ მიაღ-

* დასასრული. იხ. „მნათობი“ № 6.

წია, იფფასიანი „დროშა“ იშოვა და კარგა ხნის შემდეგ კერესელიძის სახლის კარებზე ზარი დარეკა. ღია სარკმლიდან სტამბის ხმაური და ქალის სიმღერის ხმა მოისმოდა. ილიამ იცოდა, რომ „ცისკარის“ რედაქტორს ჟურნალის ბეჭდვაში ახალგაზრდა ცოლი ეხმარებოდა. ისიც იცოდა, როგორ წვალბდნენ ორივენი, რომ მივიწყებული, აკრძალული ქართული სიტყვა სააშკარაოზე გამოეტანათ. სტამბის ხმაურს უფრო დაუგდო და მოკუმული ტუჩები სიამოვნებისგან ოდნავ გაეხსნა, მაგრამ მის თვალებს კავშიანი არ სცილდებოდა. კარი გაიღო, ხნიერმა ქალმა სტუმარი მზრუნველობით მიიპატიჟა.

— მობრძანდი, შენი ჭირიმი, ასეთ ამინდში უსაქმოდ არ გაირჯებოდი.

ილიამ რედაქტორი იკითხა.

— ჩემი ვანო შინ არ ვახლავთ. მოგვხსენებთ, ჩემს თავმომწონე შეილს სხვა ხვედრი ერგო, „კვიტანციებით“ ხელში კარდაკარ დარბის. ხელისმომწერთ ემუდარება, რომ ჟურნალზე ხელი არ აიღონ. ჰაგვავაძის სტატიამ ისე დააფრთხო, ამ თვეში სულ არაფერი შემოიტანეს, — ამოიხონრა მოხუცმა და ისევ ილიას მიუბრუნდა — დაუცადე, შეილო, ახლავე მოვა, მე კი ვერა გცნობ, ვინ იქნები?

— მე ილია ჰაგვავაძე ვახლავართ. — უპასუხა ილიამ მორიდებული დაბალი ხმით.

მოხუცს სახეზე ღიმილი შეეყინა. შეკრთა და, თითქოს ადგილი ვერ იპოვა, სად გაეხედა. — სტამბის ღია კარებს დაუწყო ცქერა. იქ წინა იდგა, ივანეს ცოლი. ლამაზ სახეზე შავი კავეები ჩამოშვებოდა, ქალის გამოხედვას შიში და გაოცება ეტყობოდა. უხმოდ მისჩერებოდა პოეტს, რომლის მკაცრი სტატიები მათს ნაწვალზე ჟურნალს განადგურებას ემუქრებოდა.

— პალტო გაიხადეთ, სველი ვაცვივით, მტერიც რომ იყოთ, სტუმარი ღვთისააო, მოგვხსენებთ, — დაარღვია სიჩუმე ივანეს დედამ.

— არა, დედი, მე ქართული ჟურნა-

ლის მტერი არა ვარ, ასე სასტიკად პირმოუფერებლად ჩვენი ჟურნალის გამოსწორების ცხარე სურვილი მაღაპარაკებს. — ჩაილაპარაკა ილიამ ყრუდ და ტუჩები მაგრად მოკუმა.

— ეჰ, რა ვიცი, შეილო, შენმა სტატიებმა გულეები კი დაგვიხეთქა. აი ეს სახლი, ჩვენი ერთადერთი თავშესაფარი ჩემს შეილს გაწირული აქვს, დღეს თუ ხვალ. შეიძლება, ქუჩაში დავრჩეთ, მაგრამ ამას არაფრად ავდებ, ოღონდ ყოველ თვე ხალხს დანაპირები, დაბეჭდილი ჟურნალი მიუბრუნნოს.

მოხუცს ლაპარაკი კარის ხმაურმა შეაწყვეტინა. ოთახში ახოვანი ტანის, მხარბუქიანი ვაჟაკი შემოიჭრა. ილიას დანახვაზე შედგა, თითქოს შეცბუნდა, შეავგრემან სახეზე ოდნავ სიწითლემ გადაუარა, მაგრამ მალე თავს მოერიო და სტუმრისკენ მტკიცე ნაბიჯით გაეშურა.

— სამშობლო ენის მოყვარულ ქართველს ვახლავარ, — მიესალმა ომასიანად. მაგრამ მისი სიტყვები პოეტმა შორს დაიჭირა. კერესელიძის წინ ცივი, მიუკარებელი იდგა.

— ჯავრობ ვანა, ყმაწვილო კაცო, რომ შენი პასუხი მესხიშვილისადმი არ დაიბეჭდა? — ჩაილაპარაკა კერესელიძემ და ოდნავ მოშვებულ წვერზე ხელი მოისვა, მის ვაჟაკურ სახეს მწუხარება ნიღაბივით ჩამოეფარა, და ცოტა ხნის შემდეგ ისევ განაგრძო: — რა ექნა, ყოველი ღონისძიება მოგვიხმარებია, რომ „ცისკარს“ უდროოდ მზე არ დავუბნელოთ, ქუთაისელმა მკითხველებმა ბოიკოტი გამოაცხადეს — ისეთ ჟურნალს სადაც ამდენი საღანძღავი სტატიები იბეჭდება, აღარავინ გამოიწერსო. ჩვენს მწერლობაშიც დიდი არევ-დარევაა.

— თქვენ იმ უნიჭო, უვიც მწერლებს ეფერებით, თავზე ხელს უსვამთ.

— რა ექნა, ჩემი ჟურნალის ბედი იმათ ხელთ არის, იმათი შემოტანილი ფულით ვარსებობთ.

— იმ ბრმათა მოწონების ფასად თქვენ საკუთარ ფიქრსა და აზრსა ჰყი-

დით. აქებთ და ადიდებთ, უნდა იცოდეთ, რომ პირფერობა, ტყუილი ქება გლახისა და მათხოვრის საქმეა და არა ქეშმარიტი ლიტერატურის. კარგად დაიწყეთ, მაგრამ ჟურნალს თანდათან მიმართულება შეუცვალეთ. ისმოდა ილიას დაბალი, ოდნავ ყრუ ხმა.

— მართალს ამბობთ, მაგრამ მე ამ ჟურნალით მიმართულებას ვი არ ვეძებდი, მე მინდოდა ჩვენი საწყალი ხალხი ქართული წერა-კითხვისათვის მიმეჩვიო, რომ ენა არ დაგვეკარგა.

— სწორედ ქართულ ენას ამდაბლებს თქვენი ჟურნალი და ჩვენ რუსეთში სწავლამილებულმა ახალგაზრდობამ ხალხის სახელით მოკითხოვეთ, რომ უნიჭობებმა და უსწავლელებმა ამ ჟურნალში აღარა ჯღაბნონ.

კერესელიძეს გაშლილ მხრებზე თავი ნაღვლიანად დაეხარა.

— მაგრამ თქვენ ეს არ გინდათ. არც მწვადსა წვავთ და არც შამფურს—უბნებოდა ახალგაზრდა ილია.

— ასეთ საქმეში სიფიცხე არ ვარგა, ჩემო ბატონო, მე ყოველნაირად ვმეცადინებო, რომ ამ უბედურ „ცისკარს“ მზე როგორმე შევუქნარჩუნო.

— ესე იგი „ცისკარი“ ჯოჯოხეთის კარად გადააქციოთ? — ჩაილაპარაკა ილიამ და თავისი დატოვებული წერილი — „პასუხი მესხიშვილის ანტიკრიტიკული უსტარის გამო“ მოითხოვა. ცოტა ხნის შემდეგ კერესელიძემ ხელნაწერი გამოუტანა და პოეტი უბნოდ ხმამაღულდებლივ კარებამდის მიაცილა.

სალამოს თბილისში დიდი ჩოჩოლი იყო. სახელგანთქმული დირიჟორი ანტონიო ტორომელა იტალიურ ოპერის სეზონსა ხსნიდა. ვერდის „ბალმასკარადი“ მიდიოდა.

თამაშმევის დიდ ქარვასლას ფერადი შუქი ანათებდა. ამ ქარვასლაში იდგა თეატრი. მეეტლეები აქეთ მოაქროლებდნენ ცხენებს, ქალთა განიერი ხაზბარდის კაბები ეტლებში ძლივს ეტეოდა. ფერად ფანრების შუქზე ელვარებდნენ გენერლების და მათი ადიუ-

ტანტების ექსელბანტები, სამხრები, ჩინ-ორდენები. მოხლეების მჭიდრობებზე მოვარაყებული ხაყულოები და მსხვილი ლილები ბრჭყვილებდა. თეატრის წინ ლაქიები და „დენშიკები“ ხალხის ტალღას ხელითა სჭრიდნენ. ხაზბარდის კაბებს გზას აძლევდნენ. ერთი შეხედვით, ქვეთ მოკირწყულულ პატარა მოედანზე თითქოს ქალების მაგივრად მარტო ეს განიერი კრიოლინები მიცურავდნენ.

ხალხის ზღვაში „გლუხარიჩი“ — გიორგი ერისთავიც — გამოჩნდა, ლავრენტი არღაზინის მოჰყვებოდა. თუმცა თმა და უღვაში ისევ შავად მოუჩანდა, მაგრამ ხელი ყავარჯნისათვის დაებჯინა. სიბერეს და მწვავე ქარებს უჩიოდა. ახმაურებულ თეატრს თვალს არ აცილებდა. სახეზე სევდა ეტყობოდა.

— ბარიატინსკიმ იტალიურ ოპერას 300 მან. რაოდენობის დოტაცია დაუნიშნა, ჩვენი თეატრისთვის კი ერთი კაპიკი არ გაიმეტა, — ჩაილაპარაკა „გლუხარიჩმა“ და ამოიოხრა.

ვორონცოვის ზრუნვა დამისი კეთილგანწყობილება გაიხსენეს. ბარიატინსკიზე კი ჩუმად ძლივს ვასაკონად ჩურჩულებდნენ, — ჩვენთვის სიკეთეს არ იმეტებსო.

პოლიციის საათმა ცხრაჯერ ჩამოჰკრა და თეატრის კარი მიიხურა.

ზევით კომენდანტის ქუჩაზე კი პოლტარაცის ბინაში კარები და ფანჯრები ფართოდ გაედნო. ყმაწვილი კაცების ლაპარაკისა და სიცილის ხმა მოისმოდა. პეტერბურგიდან დაბრუნებულ სტუდენტებს და თბილისელ ახალგაზრდობას თავი მოეყარა. ლიტერატურული შეკრება ჰქონდათ, მაგრამ ჯერ კიდევ მომსვლელთ ელოდნენ. მოშორებით, მაგიდასთან ილია იჯდა. უბის წიგნაკში რაღაცას წერდა. იქვე დიმიტრი ყაზბეგი, დავით ყიფიანს და ილია წინამძღვრიშვილს მის ახალ ლექსს „პოი, მამულოს“ უკითხავდა. დანარჩენნი ჯგუფურად იდგნენ. პეტრე ნაკაშიძე დღეს ჩვეულებრივზე უფრო მხიარულად იყო. ჩოხის სახელოები გადაეკეცა-

ლამაზ, მოგრო სახეზე დაუდგარი ღიმილი უთამაშებდა. ნიშანში მიხაკო ჩიკვაიძე ამოელო, არ ასვენებდა. სტუდენტობის ამბავს ახსენებდა.

— შენ გენაცვალე, ერთი ჰკითხე, — მიუბრუნდა პოლტარაკის, — აფხაზმა ჩვენი მიხაკო როგორ გააცნო მდიდარ შტეინბერგის ქალს.

ჩიკვაიძე უხერხულად შეიშმუშნა:

— კარგი ერთი, კიდევ დაიწყე შენებურად?

მაგრამ პეტრემ არ მოსვენა.

— ერთ მშვენიერ დღეს ნევის პროსპექტზე მოსიარულე ჩვენს ყმაწვილებს მილიონერი ვაჭრის ქალი შემთხვევით შეხვდათ. კოხტამ თავისებური რაინდობა გამოიჩინა, ქალს ფაფუკი ხელი დაუკოცა. ჩვენს დემოკრატზე კი მიუთითა — ჩემი ლალაა, საქართველოდან გამოვიყოლეო, ქალმა, რასაკვირველია, ამის მუნდირს ტუჩი აუკრა...

— არა, მაგრე არ იყო, მერე თქვენ მოუმატეთ, — შეაწყვეტინა მიხაკომ.

— ვკითხვით ილიას, თუ შიგ იოტის ოდენა ტყუილი ერიოს.

ილიამ თავი აიღო. პაპიროსი უღვაშის მარცხენა მხარეს მიაბჯინა, ოდნავ ღია ტუჩებში ღიმილმა გადაურბინა, როგორც ეტყობა, საოხუნჯოდ მოემზადა.

— სრული სიმართლე მოგახსენეს. იმხანად იქ არ შევესწარ, შემთხვევით გადავჩი. ჩემი მუნდირის პატრონს ალბათ მიხაკოს ხედრი მომელოდა. ყმაწვილებო! — მიუბრუნდა პეტრე-ბურჯელ ამხანაგებს, — ჩემი წამოსვლის შემდეგ რომელმა თქვენგანმა გამოუზახა დეპეშა ანიკო ვაჩნაძეს.

ოთახში საერთო სიცილის ხმა გაისმა.

— აკაკი იყო. იმის ოინებს როგორ ვერ მიხვდი?

— აბა რა გვექნა. სოსიკო ვაჩნაძის ქორწილის დღე დანიშნული იყო, ჩვენც დიდად ვეშაბდებოდით, რომ საქართველოდან დეპეშა მოგვივიდა: „Не жните Сосико беспокоюсь Анико“. ერთხანს შეეფიქრიანდით. ჩავეარდით საგონებელში. აკაკის რჩევით, დავსხედით

და, რამდენიმე წუთში მასუბნ მზად იყო:

„რას მიჰქარავ. ანიკო, уж женился Сосико“.

ილია მზიარულად იცინოდა, კალამი ხელში შერჩენოდა. ამ დროს ოთახში ანტონ ფურცელაძე შემოვიდა. იგი იმ ხანებში ჟურნალ „ცისკარში“ მუშაობდა და ყველა შინაურულად მიესალმა. ანტონმა მიიხედ-მოიხედა. ყაზბეგის ხელში ხელნაწერ რვეულს თვალი შეასწრო. სახეზე სიფიცხემ გადაუარა:

— ეგ ის ლექსი ხომ არ არის, სადაც თავადი ჭავჭავაძე გოდებს, ჩემს მამულში კაცი არ არის, რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გავუზიარო?

ყაზბეგმა თავი დაუქნია. ფურცელაძის თვალებს მოუსვენრობა და ყინი დაეტყო, მაგრამ კარებში ახალგაზრდები კიდევ გამოჩნდნენ — პეტრე უმიკაშვილი, ვახტანგ თულაშვილი, ყველაზე უკან დინჯი ნაბიჯით იაკობ გოგებშვილი მოჰყვებოდნენ. მხრებგაშლილი ეაყაცო იყო, წაბლისფერი თმით და წვერით.

— ჩვენი მამულიშვილები გვეწვიენ, — დაუძახა პოლტარაკიმ ილიას.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! — მიესალმა ილია და მზერა იაკობს გაუჩერა.

გოგებაშვილმა გაუბედავად ასწია თვალები. მის გამოხედვას სიამაყე ეტყობოდა. ორივემ დინჯი მზერით ერთმანეთი აწონ-დაწონეს. ეტყობოდა, მოეწონათ.

— ჩვენი ქვეყნის ფიქრმა გავსარჯათ? — შეეკითხა ილია და ახალგაზრდებს დააქებდა.

— დადგა ჟამი, უნდა ვიმეცადინოთ ჩვენი საქმისათვის, — უპასუხა უმიკაშვილმა გაუბედავი ხმით.

მარტო იაკობი იყო ჩუმად, ყავისფერი თვალები წყლით გავსებოდა, ილიას სახეს თვალს არ აცილებდა.

— დიახ, ჰეშმარიტად გვეწვია ეგ დრო, რომ ჩვენს ხალხს მივხედოთ, — უთხრა ილიამ და მოსულთ მაგიდის

ირგვლივ შემოწყობილი სკამები შეს-
თავაზა.

— სამოდგაწეოდ ყველა ჩვენთაგანს
თავი აქვს გადადებული. მაგრამ თქვენმა
სიტყვებმა — თავისუფლებამ, შენ ხარ
კაცთა ნათესაყუდარიო, გული სულ
სხვანაირად აგვიმღეღვარა. — ჩაილაპა-
რაკა უმიჯაშვილმა და ილიას შეხედა.

ილიას გულზელი დაეკრიფა, პირდა-
პირ კედელზე მიმაგრებულ პოლტა-
რაკების სურათს ისეთი დაფიქრებუ-
ლი სევდიანი თვალებით მისჩერებოდა,
თითქოს ის ყოფილიყოს მისი ფიქრის
თავი და ბოლო.

— გაგვიძებ, ბერო მინდიავე, მუხლი
მაიბი მგლისაო. — უთხრა იაკობმა
ილიას რიხიანი ხმით, და ღიმილმა ულ-
გაშები შეუთამაშა.

იქ მყოფთ მისი თამაში კილო გაშე-
ვრდათ. ეტყობოდა, მოეწონათ ვაჟა-
ცური გამბედაობა. ცნობისმოყვარეო-
ბით ახელ-დახედეს სემინარიელს:

პეტრე უმიჯაშვილსაც მოჭარბებულ-
მა გრძნობამ სახე წამოუწითლა. ილიას
მაჯახე ხელი შეავლო.

— მღელვარე აზრის მოთავედ თქვე-
ნი ნაწერები იგულეა ჩვენმა თაობამ.

— შე კი არა, მაგ აზრს ადგა მთელი
მოწინავე კაცობრიობა, ამა, რისთვის
იბრძვის ვარიბალდი, რად გადაიხვეწა
გერცენი, რად იმალება ჩერნიშევსკი!

— ოჰ, იმათ სახელს ვენაცვალე! —
ფეხზე წამოდგა ფურცელაძე და თავისი
ნატყენი მუხლიც ისე მსუბუქად აიტა-
ცა, — რა ვქნა, ვარიბალდი ხატად და
კერპად გამიხდია. აზრისა და ცხოვრე-
ბის მოთავევებად კი შე ჩერნიშევსკი,
გერცენი, დობროლუბოვი მეყოლება.

— ეგენი აღელვებენ ჩვენს გულს და
მოძრაობაში მოჰყავთ ჩვენი გონება,
მაგრამ ჩვენ მათთან შედარებით სხვა
ჭირიცა გვჭირს, ეს ჩვენი დაკარგული
ვინაობაა. თვითმპყრობელობამ მამუ-
ლის სახსენებელი დაგვიქვეითა და
დაგვიმდაბლა. ცხოვრების ფართო მოე-
დანზე პატარა კუნძული გვაქვს მიკუთ-
ვნიებული, ეს მარტოოდენ მწერლობას

უკავია. ამიტომ ვისაც საამისოდ რაიმე
ნიშანწყალი აქვს მომადლებულებმა მამუ-
ლის სიყვარულს ქარვედლს მამუ-
ლს ჩაუსახავს. პირველი ნიშანი ერის ვინა-
ობისა — ენაა. ქართული ენის სიწმინ-
დისათვის ბრძოლა უკვე დაწყებულია.
ცხოვრება გამარჯვებას ჩვენ მოგვაკუთ-
ნებს. ახალი ჟურნალის საშუალებით
ვიბრძოლებთ დიდი ხნიდან დაჩაგრულ
ადამიანობის აღსადგენად, ცხოვრების
უსწორ-მასწორობის და მთა-ბარობის-
თვის, ბატონყმობის გადაჭრის საკითხში
გლებთან ვიქნებით ისევე, როგორც
რუსეთის მოწინავე მოაზროვნენი.

— შე, ჩვენი ლიტერატურა მეტად
უღონოდ მიმაჩნია, რომ ამ უსწორ-
მასწორო ცხოვრებას კვალში ჩაუდგეს.
— გაისმა ანტონ ფურცელაძის მკვეთ-
რი, მაღალი ხმა და ილიას ნაწერების
რვეულს ჭირივით თვალი გადაავლო.
ღიმიტრი ყიფიანს გადაულაპარაკა:

ბელინსკობას, ძმობილო, ტყუილდა
ჩემობთ. ილიამ ანტონს თვალები ერთ-
ხანს გაუშტერა და დინჯად განაგრძო:

— შეცნობრება, ხელოვნება, ლიტე-
რატურა ვერ შეემკლავება და ვერ მისწ-
ვდება ზოგიერთ შინაურ და ჩვენ საგა-
რეო ვითარებას, მაგრამ მოსაქმე ცხოვ-
რებას სამართლიანად გამოეხმაურება,
— უპასუხა ილიამ მტკიცედ.

— მამულის სიყვარული ზოგს ვი-
ვუთ მიაჩნია, — არა ცხრებოდა ფურ-
ცელაძე.

— ანტონს ხელში უარყოფელობის
არშინი დაუჭერია და ჩვენს ლიტერა-
ტურას იმითი ზომავს, — ისმოდა ხმები.

მარტო ილია იჯდა ჩუმად, გრძნობდა,
ფურცელაძის გასროლილი ისარი საით
სცემდა. რამდენჯერმე მაგრად მოჭაჩა
პაპიროსი, ბოლს წყლიანი, მღელვარე
თვალები ააყოლა. ეტყობოდა, ზომავ-
და, ღირდა თუ არა კამათში ჩაბმა.
მაგრამ ვიდრე ის გაინძრეოდა, ნაკაში-
ძე ფეხზე წამოდგა.

ყმაწვილებო, რეალისტურმა ლიტე-
რატურამ ჩვენში უკვე ფეხი აიდგა. მის
გასამაგრებლად ჩვენ ჩამოვედით რუსე-
თში სწავლამიულებელი ახალგაზრდები,

რომლებსაც თერგდალეულებს გვეძახიან.

— თქვენ თვითმოყვარეობის გუბეში ცურავთ, გგონიათ, რომ მარტო თქვენა ხართ ჩვენი ქვეყნისთვის მოჭირნახულენი და პატრონები. იმიტომ ჩივის ქავექაძე — ამდენ ხალხში კაცი არ არის, რომ ფიჭვი ვანდო, გრძნობა ჩემი გავუზიარო! რასა ჰგავს ეს? — ფეხზე წამოიჭრა ანტონ ფურცელაძე.

— ეგ ლექსი, ბიჭო, ყვარელში დაწერა. იმ დროს გვერდით არ ჰყავდი, თორემ როგორ იტყოდა მაგას, — გაიციინა ჩიკვაძემ.

— თქვენი ლექსებით, თქვენი განწყობილებით სწამლავთ მწერლობას. ჩინებულად დაწერილი ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმინდაზე“ მე არაფრად არ მიმაჩნია. კაცის მშვიერი გონება იქიდან ლექსას ვერ ამოიღებს, შიგ ჩვენი ხალხის გაჭირვებას ვერ დაინახავს. — არა ცხრებოდა ანტონი.

— ახლა კი გეყოფა! — გაისმა ილიას ხმა და თვალბში ქარიშხალმა გადაუარა. სერთუკის ერთი დიდი დინჯად აუჩქარებლად შეიბნია და წამოდგა.

— ქერელო ბექა, ჰეშმარიტი პოეზიის წინააღმდეგ თქვენ დიდგულას თოფი აგილიათ.

— თქვენ კი სამოღვაწეოდ ცარიელი სიტყვებით და ცრუ ქადაგებით გამოდიხართ.

— უნდა იცოდეთ, რომ ზოგის სიტყვას ის ძალა აქვს, რომ საქმედა რჩება, — მოუჭრა ილიამ და ფურცელაძე გააჩუმდა.

ოთახში ერთხანს მდუმარებდნენ, ყველა ელოდა, რომ ანტონი ადგებოდა და წავიდოდა, მაგრამ ის ჩუმად იჯდა. წასვლას თითქოს არ აპირებდა, იცოდა, საქართველოს ტვინი და ძალა ამ პატარა ოთახში დაგროვილიყო, მისი დათმობა არც ისე ადვილად შეიძლებოდა, მაგრამ წინააღმდეგობის და ბრძოლის ეინი არ ასვენებდა, არ უნდოდა სამოღვაწეოდ თერგდალეულებს ჩამორჩენოდა. ეკვიანობდა. ეჩვენებოდა, რომ ის განაპირებული ცალკე რჩებოდა. ანტონი

კარგა ხანს იდგა, მერე წასასვლელად გატრიალდა. ყველას ესმოდნენ, რომ ნატკენი ფეხით როგორც ჩადიოდა, ეს კი არ იცოდნენ, რომ იმ ფეხზე უფრო ნატკენი გული მიჰყვებოდა. ვის ემდუროდა? შეიძლება თავისთავსაც, მაგრამ გაკერპებული სახე ამას არ იმჩნევდა.

— ახლა წავა და სადმე გარე უბანში, წვრილ ხელოსნებსა და მუშებთან ღამეს გაათევს. ამ მთისა და იმ მთისას გადაუკითხავს, — ჩაილაპარაკა ვახტანგ თულაშვილმა.

გვიან იყო, ახალგაზრდები აივანზე ჩაის შეექცნენ. არისტოკრატების გრძელ ქუჩას ფანრების მწკრივი ანათებდა. პირდაპირ სავარსამიძის ქვრივის სახლის კედელზე მიმაგრებულ შანდლებში სანთლები ჩადგეს, შუქი აანთეს. დანა-ჩანგალი და ჭურჭელი ახმაურდა. როგორც ეტყობოდა, გენერლის ქვრივი ოპერის შემდეგ სტუმრებს ელოდა. კარგა გვიან იყო, სახლის მისასვლელთან ეტლი გაჩერდა. მთავარმართებლის საბჭოს წევრი სტაროსელსკი ვადმოვიდა. ორივე ხელი მისაშველებლად გასწია. ეტლიდან ორი ქალი მოხდენილად და სწრაფად გადმოხტა. ლაქიას მსუბუქი მანტოები ხელში დაუდევრად მიაჩიქეს. მერე კარგა ხანს ისმოდა, როგორი სწრაფი და მსუბუქი ნაბიჯებით აირბინეს მაღალი კიბის საფეხურები. ეტყობოდა, აღტაცებისაგან ოთახში მოხუცი ბებია გადაკოცნეს. ერთმა ზარივით წყრიალა ხმით გაიციინა.

— თადეოზ გურამიშვილის ასულები არიან, ინსტიტუტიდან სულ ახლახან გამოფრინდნენ. უფროსი სტაროსელსკიზე თხოვდება, უმცროსზე კი ყველა წარჩინებულ სასიძოს თვალი უჭირავს. მაგრამ გენერლის ქვრივი, ბებია მათი, უწარჩინესებულს ეძებს, — უთხრა პოლტარაკიმ ახალგაზრდებს.

— რა მშვენიერი ხმით გაიციინა. ეტყობა, ცხოვრებას ეგ ხმა სხვადასხვა ზრუნვით არ გაუბზარავს, — დასძინა ჩუმად ნაკაშიძემ.

— უწარჩინესებულზე რატომ არ ვაუთხოვებს? მამა მავათი ცნობილი და

მდიდარი მემამულეა. მერე კიდევ ჩვენს საუკუნეში ინსტიტუტის თოჯინებს გასავალი აქვთ, — გაიცინა დიმიტრი ყაზბეგმა.

— მე მქონდა ბედნიერება, კახეთში გამეცნო გენერალის ქვრივი. ხშირად ახსენებდა შეილიშვილებს, ირწმუნებოდა, გადაგვარებულ ინსტიტუტებს არა ჰგვანანო. — ჩაერია ლაპარაკში ილია.

— შეიძლება განსხვავებულნიც არიან, თვითონ თავადი განსხვავებული მეურნეა. შრომა უყვარს, მამული სიცოცხლეს ურჩევნია. „პრიკაზის“ ვექსილებს სიახლოეს არ ეკარება, — ელაპარაკებოდა წინამძღვრიშვილი, მაგრამ პოლტარაკების კარებთან ვილაცამ ოთხცხენიანი ეტლი მოაგრიალა. ცოტა ხნის შემდეგ ოთახში კოლა ერისთავი შემოვიარდა. აღტაცებული იყო „ბალ-მასკარადით“, იტალიელი მომღერლები — ჯოტა და ელენსკა ეკერა პირზე.

ილია პაპიროს წევდა. ეტყობოდა, სხვა რაღაცზე ფიქრობდა, კარგა ხნის შემდეგ ხმა ამოიღო, ერისთავს მოუბრუნდა.

— მაგ აღტაცებულ გუნებაზე ისე მოვიხდება ლექსის წაკითხვა, მოდი, ერთი, ბიძაშენის რომელიმე ლექსი ჩავიბუღებულე, უმართებულოდ გაგვილანძღეს, მისი პოეზია კუქს არ გვიძლებსო.

კოლა ერისთავმა დიდი ხელოვნებით და დიდი გრძობით წაიკითხა „შემოღამება მთაწმინდაზე“.

ილია ფეხზე წამოდგა, ლექსს მისი სიდინჯე დაეძლია, მღელვარება ეტყობოდა.

— ყმაწვილებო, ნუ აპყვებით ბექას ქარიან სიტყვას. მისი კენჭების სროლა ვერას დააკლებს ბარათაშვილს, პოეზია მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა კაცთღვით რჩეულთ.

ახალგაზრდებმა თანხმობის ნიშნად თავი დაუკრეს.

პირდაპირ, პატარა ამოჩუქურთმებულ აივანზე, ღია ფერის კაბაში გამოწყობილი ქალი შეინძრა, ილიას სიტყვას ოდნავ ძლივს გასაგონად ტაში დაუ-

კრა და შეუმჩნევლად შევარდა საჩლ-ში.

— ილია, ეგ ტაში შენ გავყოფნოდა, გურამიშვილის ასულმა გიძღვნა, — უთხრა ნაკაშიძემ.

— ბებიაშისი ქონებით წარჩინებულს ეძებს, შეიძლება შეილიშვილმა გონებით წარჩინებული ამოარჩიოს. როგორ მოვლენ ერთად, არ ვიცი, მაგრამ მაგის საბუთი უკვე ხელთა გვაქვს. ისმოდა ხმები.

— დამენახა მიანც, ვინ იყო, რა სულიერი, — ჩაილაპარაკა ილიამ და მოკუმული ტუჩები დიმილმა ოდნავ გაუხსნა.

• •

თუმცა მეორე წელი იყო, რაც კავკასიის ომი დამთავრდა, მაგრამ ბარიატინსკი გამარჯვების ზეიმს არ ამთავრებდა. ორბელიანების ქალებთან ერთად ბალების და „ვეჩერების“ დაუსრულებელ ზღვაში ცურაობდა. მეფის უმაღლესი ბრძანება იყო, ომის დამთავრების დღე ყოველ წელიწადს დღესასწაულით აღენიშნათ. 1861 წელს ისიც დაერთო, რომ „პირველ ფეხოსან დრუჟინას“, რომელსაც ბრძოლებში დიდი დამსახურება მიუძღოდა, ოცდაათი წელი შეუსრულდა. სახალხო მოლაშქრეები ზეიმში მონაწილეობის მისაღებად თბილისში იყვნენ დაბარებულნი. სამხედრო აღლუმში დიდებუნი ჩატარდებოდა. მელიქიშვილმა და გრიგოლ ორბელიანმა კავკასიის ომში ნასახელარი, მილიციელებიც გამოითხოვეს, რომ აღლუმს ისინიც დასწრებოდნენ. ჩუღურეთში დილიდანვე მუსიკის ხმა მოისმოდა. კავკასიის არმიის გრენადერებმა და დრაგუნებმა ბალ-ვენახებში გაჭრილ მიხეილის ქუჩაზე გამოიარეს. ეს მხარე ერთ-მოდღოს გერმანელებისათვის ებოძებინა. მათი ისლით დახურული სახლები აქა-იქ ჩანდა. მხედრები სასტიკი იერით მოდიოდნენ. მათ სევდიან, მოღრუბულ სახეებს ეტყობოდა, რომ თხთმეტი წელიწადი ჯარისკაცად ყოფნა უჭირდათ. გულადი მეომრები ხან ყი-

რამის ბრძოლებში იზოცებოდნენ, ხან კი, მეფის დავალებით, დაღესტნის მიუვალ მთებში სიკვდილს ეძებდნენ.

მათ დიდუბის ეკლესიაში მღვდლები უცდიდნენ. ჯარისკაცები დიდხანს სასოებით ღოჯობდნენ, მოძღვართ ჭადაგებას თავდაპირვანი უკლებდნენ ყურს, მათი საღმრთო სიტყვებიც მოთმინებასა და მორჩილებისკენ მოუწოდებდა. ისინიც ისეთი ბავშვური სასოებით მისჩერებოდნენ, თითქოს დატოვებული სახლ-კარის მოსაგონებლად ეს ტყეებით ნათქვამი ჭადაგებალა შემორჩენოდათ.

მიხეილის ქუჩაზე მებურნეებმა ზურნას ჩაბერეს. დაფდაფები ახმაურდა. საყურებლად მოსული ხალხი ცნობის-მოყვარეობამ ამოძრავა. სახალხო ლაშქარი მოდიოდა, „პირველი ფეხოსანი დრუჟინა“. მზით გაშუქებულ ქუჩაზე მათმა ფერადმა ტანსაცმელმა გაიფლავა. თავდაზნაურობის ასეული გამოჩნდა. შვინდისფერი ხავერდის ქულაჯები ეცვათ, ოქრომკედით შემოქსოვილი შავ ახალუხში ძვირფასი საკინძები მოუჩანდათ.

სანახაობის მოლოდინში ხალხის კრიამულის და მღვლეარების ხმა მოისმოდა. ეტლები ქალაქის არისტოკრატის ახლა აქეთ მოაქროლებდა. ტრიბუნასთან ახლოს, საპატიო ადგილზე ორბელიანის ქალები მოგროვილიყვნენ. მანანა ქოლგის ქვეშ მოშორებით იდგა. მის თვალებს და ღიმილს მომხიბლაობა არ დაეკარგა. ბრწყინვალე გენერლები სალამს აძლევდნენ, ალტაცებით ეუბნებოდნენ, რომ, ხანდაზმულობის მიუხედავად, ახალგაზრდებშიც შეგიძლიან იდედოფლოთ.

მანანამ იცოდა, მისი მზე ჩასასვლელად ემზადებოდა, სევდანარევი ღიმილით დედოფლობაზე უარს ამბობდა.

სხვა ეტლებს შორის სიდონია სავარსამიძის ეტლიც გამოჩნდა. მოხუცს შვილიშვილები მოჰყავდა, რომ ბრწყინვალე საზოგადოებისთვის წარედგინა და გაეცნო. კატო და ოლღა მოხდენილად, მზიარულად გადმოვიდნენ. ლამა-

ზი თეთრი სახეები უბრწყინვალად იმსტიტუტის კედლებში ქაშაყვალად არისტოკრატი გოგონებმ დაფიქრებდნენ საპარადო ტანსაცმელში გამოწყობილ ჯარს. გასცქეროდნენ ამ ვრცელ მოედანს. მათ გარშემო ყველაფერს საზეიმო ელფერი ჰქონდა და იმათაც ისე ეჩვენებოდათ, რომ ცხოვრება, ერთ დაუსრულებელ სიამოვნებას წარმოადგენდა. ქალიშვილებისკენ კატოს საქმრო სტაროსელსკი გამოეშურა. გენერლის ქვრივი მოიკითხა და ქალიშვილებს ჩუმად სარწმუნოდ უთხრა, რომ პეტერბურგში სტუდენტთა არეულობა უკვე დაიწყო, კავკასიისკენ მომავალი მეფე უკან გაბრუნდა და თავისი ერთგული მეგობარი ბარიატინსკი გაიწვიათ, როგორც ამბობენ, სარჩიელისთვის, როგორ გაუსწორდეს მეამბოხეებსო.

— სტუდენტთა არეულობა, — გაიმეორა ოლღამ და ცისფერი თვალები ფიქრით გავესო, აქეთ-იქით მიმოიხედა. მოშორებით თვალი მოჰკრა პეტერბურგელ სტუდენტების ჯგუფს. შავი სერთუეები ეცვათ, თითქმის ყველას წვერი ჰქონდა მოშვებული. ოლღა ერთ-ერთს დააცქერდა. მისი ფიქრიანი სახე ჯალს ეუცხოვა და რატომღაც თვალი ვერ მოაცილა.

— ეს რამდენიმე დღეა, პოლტარაცკისას სტუდენტები იკრიბებიან, — მიუბრუნდა სტაროსელსკის და კიდევ იქით გაიხედა. ჯალს სახე ოდნავ შეუმჩნეველად წამოუწიოლდა და ისევ განაგრძო — დიდად მსჯელობენ რაღაცაზე და გაუთავებლად კამათობენ.

— რუსეთში ეგ ჩვეულებრივი ამბავია, გერცენის „კოლოკოლის“ ხმამ სახალგმდისაც კი მიადწია, იქაც კი არის აზრთა არევა და ლიბერალობა. და ქართველი სტუდენტები რომ მსჯელობის საგნად დღევანდელ ყოფას გაიხდიან, ეგ არაფერი საკვირველია, — უთხრა სასიძომ.

სტუდენტების ჯგუფში გაჩერებულმა ილიამ სიდონია სავარსამიძე დაინახა. სალამი მისცა. მოხუცმა ამბავად,

თავაწუღლმა უბასუხა. შეილიშვილებს ხმაძალდა უთხრა:

— მეხი კი დავაყარე მაგის ზრდილობას. აი ის ვაგებატონი თელავში, ჩემი დის სახლში ვაგიცანი. არც კი იკადრა, რომ მობრძანებულიყო.

— ვისზე ბრძანებთ, ბებია, მაგას? — შეეკითხა ოლღა.

— ჰავკვაძეძეზე. ცოტა მოიპოეტებს და თავის თავი რაღაც ჰგონია, ნეტავი ვამაგებინა, ეგ რიზი საიდანა აქვს. ერთი ვაჩვენათ, რა ქონების და სახლ-კარის პატრონი ვაბლავთ. ჩვენს მწერლობას კი ისეთი რიზით შემოუტია, პირდაპირ უთხრა, რეგესა ჯღაბნითო.

— მერე, რა სასიკეთოდ აკეთებს მაგას, შეიძლება ქონება არ ვააჩნია, მაგრამ სწავლა აქვს, იქნებ ჩვენს „ცისკარს“ ეშველოს რამე, თქვენ თვითონ ბრძანებთ, საინტერესოს არაფერს წერენო, კითხვის ხალისი დავგიეკარგესო, — უთხრა ოლღამ.

— კენიან ბარბარეს ზედმეტი მეტიჩრობისთვის კარვად მოარტყა საყვედურები. ერთი დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეც“ გამოვლანძღა და გულისჯავრს მაშინ ამომყრიდა.

მოხუცის გულბრყვილობაზე შეილიშვილებმა ვაიციანეს, მაგრამ სწორედ ამ დროს ცხენოსანი მილიციის უფროსმა თარხან-მოურავმა დიდუბეში ცხენი შემოაქენა, რეგულარული ჯარისა და ირეგულირებული ლაშქრის რიგები შუაზე ვასპრა და გამოაცხადა: მთავარსარდალი გრიგოლ ორბელიანი შობრძანდებო.

თავადის ცოლებმა და მათმა ქალებმა თავიანთ ძვირფას ტანსაცმელს გადახედეს, აღებული ვალი სულ დაავიწყდათ. შორს, ორბელიანმა თეთრი ბედაური ბრწყინვალე ამალას ჩამოაცალა. თუმცა საფეთქლებზე ჰალარა თმა უბრწყინავდა, მაგრამ სიგრძეზე ჩარიგებულ ჯარს ახალგაზრდა მხედრის იერიით ჩაუქროლა.

— ვაქაცო მეომრებო! დეე, თან გდევდეთ დიდება! — შეუძახა მან.

ვაშას ძახილით დიდუბის დაბლობი დაიფარა.

ორბელიანმა მერე ქართულ ლაშქარს ამოუქროლა. ოცდაათი წლის არსებობა მოულოცა: იყოს ღმერთი თქვენი მფარველი, — უთხრა ლაშქარს და მის ხმას რაღაც სევდა დაეტყო, შეიძლება წუხდა, რომ არც ჯარისკაცები ერჭვათ და არც გლეხები. მილიციელებს ეძახდნენ მარტო. მთავარსარდალი ცხენიდან გადამოვლიდა, ბარიატინსკისთვის აგებული ტრიუმფალური თალისკენ გაემართა. გზადაგზა ხელს ართმევდა ჰავკვაძეძებს, ანდრონიკაშვილებს, ერისთავებს. ჩოლოყაშვილებს, ჯანდიერებს, ამილახვრებს. ყველა მათგანი სამხედრო იყო, კავკასიის ბრძოლების მონაწილე. ომის დამთავრების შემდეგ სახლებს დაბრუნებოდნენ, მაგრამ გზა ახნეოდათ, არ იცოდნენ, რა ვაეკეთებინათ, რისთვის მოეკიდათ. ხელი, გემრიელ სადილ-ვაშაშაზე ოცნებობდნენ, მოურაგების და ყმა გლეხების იმედი ჰქონდათ, მაგრამ ეს სიმშვიდე ბატონ-ყმობის გადავარდნის ხმას დაერღვია. იმიტომ იყო, რომ ორბელიანს შემოფოთებული თვალეებით მისჩერებოდნენ. ისიც ართმევდა ხელს, გრიგოლ ორბელიანმა ამ ხალხში სტუდენტების ჯგუფს თვალი შეასწრო. ილიას ფართოდ გადაშლილმა შუბლმა და გონიერებით სავსე თვალეებმა ხანში შესული პოეტის ყურადღება მიიქცია. საღდაც ენახა მაგრამ ვერ მოიგონა. მისჩერებოდა და უკვირდა, რად დაიჭირეს ახალგაზრდებმა თავი ასე შორს, რად უქქებოდნენ საყვედურიტაც და აღტაცებითაც, რა მოსწონდათ მისი და რას უწუნებდნენ.

ამ დროს დიმიტრი ჯორჯაძემ ქართულ ლაშქარს გამოუცხადა, რომ მეფემ გაიღო მოწყალეობა და, უმალლესი ბრძანებულებით, დამსახურებული მეომართ პენსია დაენიშნათო.

გლეხებისაგან შემდგარი ხალხი ლაშქარი ახმაურდა:

— მაგათი ღმერთი, —

— თუ ჩვენ ამათგან გამოვსვით, —

— ჩვენც მივიღებთ, ჩვენც კიდეც

ხმამალა გაგვიმეორე. — ისმოდა ხმები.

გენერალ-ლეიტენანტი ლევან მელიქიშვილი ბრწყინვალე ამაღას ოდნავ შესამჩნევად ჩამოსცილდა, თავის მეომრებს, რომელთა წყალობით თვითონ სახელი დაიმსახურა, მიესალმა.

ლაშქარიც ყოფილ სარდალს ალტაცებული ყოყინით შეხვდა.

— თქვენც მიიღებთ, თქვენთვის ვეცადე! — უთხრა მელიქიშვილმა და ძველ მებრძოლებს თორმეტი წლის დაპირების შემდეგ თვალი ახლა გაუსწორა.

გულადმა მეომრებმა სარდალის წინ მტვერში წამოიჩოქეს.

— დიდება შენდა, ღმერთო, რომ სიბერის დროს ხელგამოწვდილებს სამოწყალოდ საქმე არ გაგვიხადე, — გაისმა ხმები და რამდენიმე საათის წინ უარყოფილი ღმერთი ახლა იწამეს.

გრიგოლ ორბელიანი დაფიქრებულნი იდგა. დიდებით საესე გენერლის თვალები თითქოს რაღაცას ჩამოერეცხა. სახეზე ნაღვლიანი ღიმილი უთამაშებდა.

— ვაჟაკო მეომრებო, მეფეს ძვირად დაუჯდა ეს ხანგრძლივი ომი მთიელებთან, იმიტომ თქვენი დახმარების საქმე ესოდენ დიდხანს გაჭიანურდა, ცოტა გეძლევათ. მაგრამ რა ვუყოთ, მოვითმინოთ.

— ჩვენ ცოტაც გვეოფნის, ბევრს არა ვართ დანჯეულები, — უბასუხეს აქეთ-იქიდან.

გრიგოლ ორბელიანმა თავი ასწია. შავსერთუქიანი ახალგაზრდები ისევე ისე საყვედურით მისჩერებოდნენ, თითქოს ემდურებოდნენ, რომ იმ ხალხისთვის, ვინც ჰორში ყოველთვის პირველნი იყვნენ, ისე ცოტა გამოიმეტეს. მთავარ სარდალმა თვალი მოარიდა ახალგაზრდებს.

აღლუმი მორჩა. ორბელიანთან ახლა თბილისის ლამაზი ქალები მოდიოდნენ. მჭკვარძმართებლობას ულოცავდნენ, მიწი ფართო, გაბადრული სახე ალერსით და პუმორით საესე იყო. და-მმა

ბეგუთაშვილებს ხელი წაავლო, ეტყობოდა, ქალის სილამაზე მოეტყნებოდნენ. ნიკო აბაშიძე

— ახ, რა ამბავია, მძა ხმლითა ხოცავს ხალხს, და — სილამაზით, ქვეყანა თქვენ ხომ არ დაგრჩათ? — უთხრა დაბალი, ალერსიანი ხმით.

ბეგუთაშვილებმა ღიმილით, მორცხვად დაუქრეს თავი და გზა განაგრძეს.

გრიგოლთან კი ხანში შესული მანანა გაჩნდა.

— ჯურკა, დაბერდი და მაინც არ იშლი შენსას, — უთხრა ჩუმად.

— ჩემო მანანა, ამბობენ, თანამდებობამ გაახალგაზრდავება იცისო. მართალი უთქვამთ, — ჩაილაპარაკა და ვაჟაკატური, მხედრის მოძრაობით შემოტრიალდა.

გრიგოლის ზურგს უკან ღარიბ-ღატაკნი იდგნენ, წამოსულიყვნენ განჩინებისათვის და სამართლისათვის. ხელში დაწერილი არხები ეჭირათ, დაჩოქილნი იდგნენ და, როგორც ღმერთს, სამართალს ისე ეხვეწებოდნენ. ერთი ბატონს უჩიოდა, მეორე — ვაჟარს, მესამე — მოხელეს და მდივანბეგს, მეოთხე თავის მიწაზე გაღარიბებას და შიმშილს მოთქვამდა, თავისი ნოყიერი ადგილებიდან გადასახლებას მოითხოვდა. პოეტი-გენერალი შეცბუნებული იდგა. ანტონ ფურცელაძეს თვალს ადევნებდა. თავისი ნატყენი მუხლით ამ ღარიბ-ღატაკებში ტრიალებდა. ის იყო მათი არზისა და თხოვნის დამწერი.

მთავარმართებელი მომჩივართ სასამართლო რეფორმების შეცვლას დაპირდა. იმედს აძლევდა ხალხს. ელაპარაკებოდა, რომ ახალ რეფორმას რუსეთში უკვე თავი ეჩინა. მაგრამ მთხოვნელთ ეს დანაპირები ისე უიმედოდ ეჩვენებოდათ, რომ მხრებჩამოყრილნი იდგნენ. ბრწყინვალე ექსელბანტებს, ეპოლეტებს, ჯვრებს გაოცებულნი მისჩერებოდნენ. ეტყობოდა, უკვირდათ, რომ ამ დიდ ხალხს კიდევ ღმერთისა და მეფის ხსენება სჭირდებოდათ სამართლისათვის. მაგრამ ერთიცა და მეო-

რეც ისე შორს იყო ამათგან, რომ უნუ-
გეშოდ აქნევდნენ თავს. ანტონ ფურ-
ცელაძეს არზის დაწერიისათვის და შემ-
წიობისათვის მადლობას ეუბნებოდნენ.
სხვა მომჩივრებთან ერთად ორბელი-
ანთან ანა ერისთავიც მივიდა. ნიკო ჭავ-
ჭავაძე გრიგოლის გაზრდილი იყო. მუხ-
ლმოყრილმა შეევედრა:

იქნებ ურჩიო, ცოლქმრობის კავში-
რი არ დაარღვიოს. პირი იბრუნოს
ჩემსკენ. მე უიმისოდ გაძლება არ ძალ-
მიძისო, — შესთხოვა ცრემლით.

— ახ... — რა ექნა, გულის სამარ-
თალს რომ მე ვერაფერს ვერ მოუხერ-
ხებ? — უთხრა ორბელიანმა და შორს
გაიხედა. კარგად იცოდა, ამ უთავბოლო
უსწორმასწორო მიწაზე, რომელსაც
ცხოვრებას ეძახდა, ხალხი სამართალს
ვერსად ვერ მიიტანდა, ეს აწუხებდა.
კარგა ხნის ფიქრის შემდეგ გენერალ
სვიმონ შალიკაშვილს გამოელაპარაკა.

— ეჰ, ჩემო სვიმონ, მართალი უთქ-
ვამთ — მიძივა ქუდი მონომახისაო. ეს
არეულობა, უსამართლობა მოხელეების
მეუფებამ ქნა. სასამართლოებს ხალხი-
სთვის უცხო ენაზე აწარმოებენ. რომელ
სამართალზე შეიძლება ლაპარაკი, როცა
მსაჯულის ენა არ ესმის დამნაშავეს,
დამნაშავეს ენა კი — მსაჯულს. რას იტ-
ყოდა რუსი ხალხი, რომ მოსკოვში სა-
მართალი ინგლისურ ენაზე გაემართათ.
სვიმონ შალიკაშვილმა, თანხმობის
ნიშნად, თავი დაუკრა.

* * *

დიდუბიდან სამხედრო და საერო
არისტოკრატია გაიკრიფა. შუადღის
შემდეგ თბილისის ბაღებში, ორთაჭა-
ლაში, სატიოზე თარის, ზურნის და ჭი-
ანურის ხმა მოისმოდა. დიდი ცილობა
იყო — სათარას და ჯაფარას შიქსტები
რომელი თავადის ან ვაჟრის სუფრას
დაამშვენებდნენ. სააღლუმო მოედან-
ზე მოლაშქრე გლეხობა დარჩა. გა-
დათელილ ბალახზე ერთხანს ჩამოსხდ-
ნენ, მუხლი ჩაბარეს. ქალაქის წერილმა
ხელოსნებმა, ამქრებმა, ლარიბ-ლატაკე-
მაც ამ ადგილიდან ფეხი არ მოიცივა-

ლეს. უნდოდათ, გლეხურ შექცევას
დასწრებოდნენ. იცოდნენ, ~~ეჭრევეც~~ ~~მქ~~
ნებოდა, ჭიდაობაც და ცეცვა-სიძღვრუ-
თერგდალეულებიც აქ ტრიალებდნენ.

მეომარმა გლეხებმა პატარა შესვენე-
ბის შემდეგ ჩოხის კალთები აიკრიფეს.
მოვაჭრეებისაგან ნისიად ღვინო მოიტა-
ნეს და დოქებით მინდორზე დადგეს.
ლოპიანამ საჩუქრად თევზი გამოუგზა-
ვნა და შემოუთვალა:

— ცოტაზე ნუ დამემდურებით,
დღეს „იარანალები“ ქეიფობენ და
მტკვრის შემოსავალი იმათ უნდათო.

მოქეიფენი არა ნალვლობდნენ. მწვა-
ნილი და კიტრი ბლომად ჰქონდათ. გა-
მურულ ქვაბებშიც წყალწყალა ბოზბა-
ში იხარშებოდა. მანამდის კი მხარზე
ერთმანეთს ხელები გადახვიეს. თავი
შეიხურეს ფერხულის ცეკვით.

„დაბრუნდი თუ დაბრუნდები,
დადგი პატარა ჯარა,
შენი გამდელი ვაცხოენ,
შენი პატარა ლალა“.

ისმოდა მათი სიმღერის ხმა.

— ჩვენი ხალხის ცხოვრება არაფ-
რით არ იცვლება — ისევ ის არის, თით-
ქოს თანამედროვე აზრსა და ბრძოლებს
ასი წლით უკან ჩამოვრჩენილვარო, —
მიუბრუნდა ილია თერგდალეულებს.

— ეს იმიტომ, რომ საარსებო
ბრძოლაში დავკარგეთ ის მხნეობა, ის
მოქმედება, რომელსაც იჩენდნენ ჩვენი
წინაპრები, მივეჩვიეთ სხვის იმედს და
მივეციით ძილს. დავკარგეთ დედაენა.
ქართული ენა მარტო გლეხის ქოხს
შერჩა, მაგრამ სად გადის მისი ქართუ-
ლი, არსად! იმიტომ არის, რომ ჩვენი
გლეხი, ჩამოშორდა სახელმწიფოს, ინ-
ტელიგენციას. გაველურების გზას და-
ადგა. ის გლეხი, რომლის სჯა ბასი
სამეფო სახლშიც კი მოისმოდა. ამიტომ
დედაენას უნდა მივხედოთ. გადავუშა-
ლოთ წიგნი ხალხს, მშობლიური ენის
სიყვარული გავუცხოველოთ! — ისმო-
და იაკობ გოგებაშვილის ფოლადივით
რიხიანი ხმა და ილია მის სიტყვებზე
მღელვარებას ვერა მალავდა.

— შენ გენაცვალე, თუ კიდევ

ჰყავს ჩვენს ქვეყანას შენისთანები, მოვძებნი ყველას და ვეთავყვანები, — უთხრა იაკობს.

მოედანზე კი ხალხის ყრიაშული მოისმოდა. საჭიდაოდ და საკრივოდ ეშზადებოდნენ.

* *

მთელი კვირა მოხუცი მუშტაიდი ხალხის თვალის მისაზიდად თავის ბაღს ფერადი შუშუნებით ანათებდა. შაბათ საღამოს ვაკრები, მოხელეები და შექეფიფიანებული თავად-აზნაურობა ამ ბაღისკენ ეშურებოდა.

ქალაქის სამხედრო და საერო არისტოკრატია კი დავით ჭავჭავაძეს მოეწვია, თბილისიდან წასვლას ფიქრობდა, წინანდალში დასახლებას. გამოსათხოვარი საღამო ჰქონდა. კომენდანტის ქუჩაზე, თადებით შეკრულ მისასვლელთან, კარისკაცები ტრიალებდნენ, სტუმრებს ხვდებოდნენ. ზევით, სანთლებით განათებული დარბაზის კარებთან დავით ჭავჭავაძის მეუღლე ანეტა იდგა, გულამოჭრილი კაბა ეცვა, შემოსულ სტუმრებს ესალმებოდა, ზოგს მომხიბლავი ღიმილით უწვდიდა ხელს, ზოგს კი მოწყალე, მაგრამ მის ღამაზე სახეს ორივე ერთნაირად ამშვენებდა. თბილისში სამოგზაუროდ ჩამოსული უცხოელები ანეტაზე ერთხმად ამბობდნენ: — ყველაზე ღამაზე თვალები საქართველოში ამ ქალს აქვსო. მართალნიც იყვნენ. ბატონიშვილი დღეს განსაკუთრებით იზიდავდა მომსვლელთა მზერას.

დავითი კაბინეტში იყო. ნიკო ჭავჭავაძე, ლევან მელიქიშვილი, დიმიტრი ყიფიანი ჰყავდა თავისთან. ეტყობოდა, მისი გართობა გადაეწყვიტათ; ნიკო დღეს განსაკუთრებით ოხუნჯობდა. მაგრამ დავითი თავშეკავებულად იღიმებოდა და პაპიროსს შეუჩერებლივ აბოლებდა. წუხდა, რომ მაშინ დანატოვარი დიდი ქონება ხელიდან ისე მოულოდნელად გამოეცალა. ჯერ კიდევ ადრე, ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ, გოლოვინის ქუჩაზე მთელი კვარტალი ბანკის ვალის დასაფარავად შუ-

შელმა მოვაპირემ შახმურადოვმა ჩაიგდო ხელში. დანარჩენი სახლს ვაყიდვას დავითი არ ფიქრობდა. მაგრამ სამდენიმე წლის წინ წინანდალს დავითი კარატის ნაიბი, შამილის შვილი, დავითის ცოლ-შვილი ტყვედ წაიყვანა, დიდი სვეტებიანი სახლი გადაწვა. საგვარეულო ოქრო-ვერცხლი ტყვეებთან ერთად გაიტაცეს. სუბტროპიკული ძვირფასი ბაღი გადაჩვენეს. დავითი იმ ღამეს იქვე იბრძოდა, შილდა-ყვარელში. მტრის შემოსევისაგან გზას ამაგრებდა. კარგად ხედავდა, რომ წინანდლის სახლს, სადაც წინა ღამეს ცოლი და ბავშვები მიატოვა, ცეცხლი ეკიდა. მაგრამ მათ დასახსნელად საბრძოლო აღვილიდან ფეხი არ მოიცივალა, კახეთი განადგურებისაგან გადაარჩინა. დილით მკვდარი გოგონას გვამი იქ მიუტანეს. შამილმა ტყვეების გამოსახსნელად დიდი თანხა მოითხოვა. თუმცა დავითმა ხელმწიფისაგან სესხი მიიღო, მაგრამ სახლის მეორე ნახევარიც იმის გადაბდას შეეწირა. დავითს ბატონიშვილის ასული ჰყავდა ცოლად. პეტერბურგის სასახლეში გაზრდილი სეფე ქალი ფუფუნებით ცხოვრებას მოითხოვდა. მომხიბლავი ღამაზე ცოლი თავდავიწყებით უყვარდა დავითს. უთქმელად ყველა სურვილს უსრულებდა. ასე სხვადასხვა მიზეზებით ნადგურდებოდა მისი ქონება. იმიტომ იყო, რომ ზურგი სავარძლისათვის მიეზღინა. მის მოგრძო, ნაზ სახეს ფიქრი და დარდი ეტყობოდა.

დავითის სახლი ამის მიუხედავად, სტუმრებით სავსე იყო. სასტუმრო ოთახიდან ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა სიცილ-კისკისის, ვალსისა და მახურკის ხმა მოისმოდა. მოშორებით, განცალკევებულ ოთახში არისტოკრატი ქალები შეკრებილიყვნენ. კედელთან ჩარიგებულ სკამებზე ხანში შესულნი ისხდნენ, თვითეული სკამი გვაროვნების დაქმრის ჩინის მიხედვით იდგა. გაფაციცებით აღვენებდნენ თვალს; ვინ რამდენი სკამით წინ დაჯდებოდა. სიდონიასავარსამიძეს ამ სახლში უწინდელი უფლებები დაეკარგა. მიუყჩებული ჩუმად



იჯდა. ხელში კრიალოსანს ათამაშებდა. დროსა და ხანს ვორონცოვის სალონის მნათობებიც, ორბელიანის ქალები, ანა, მანანა, მარიამი, ელენე გაენაპირებინა, მრგვალ მაგიდასთან მიეჯაჭვა და თითქოს წარსულის მოგონების მეტი საამებლად სხვა არაფერი დარჩენოდა. ხშირად აბსენებდნენ ნინოს, მაიკო ორბელიანს, ტატო ბარათაშვილს, მართა სოლადაშვილს. მათი უდროოდ დამიწებისათვის ღმერთსა ჰკიცხავდნენ. მათს ეშხსა და ლაზათს ამ ახალგაზრდებს აღარებდნენ და ისეთი მედიდური, ამაყი გამომეტყველებით უცქეროდნენ მათს სილამაზესაც და შექცევასაც, რომ, ეტყობოდა, აღარაფერი მოსწონდათ იმასთან შედარებით, რაც ამ სახლში უწინ ენახათ. მარიამი გრძელ ჩიბუხიდან თუთუნსა წევდა. ივანე კერესელიძე ჩაეგდო ხელში, ილიას სტატიაზე ედავებოდა, პოეტს იცავდა.

— რას ერჩით, სიმართლეს ამბობს, ენას უნდა გავფუფრთხილდეთო.

— ჩვენი დედები, „ზავედენიაში“ და ინსტიტუტებში არა სწავლობდნენ, მაგრამ ქართული მწერლობა რომ არ დაკარგულიყო, დღედაღამ ისხდნენ, ჩვენს ძველ წიგნებს ხელითა წერდნენ, შთამომავლობას ზანდუკებში უნახავდნენ, წაიკითხავენ, განათლდებიანო, — ჩაერია ლაპარაკში მანანა და თვალეებში ცეცხლმა გაუელვა, ათი წლით თითქოს გაახალგაზრდავდა და ისევ განაგრძო მღელვარე ხმით:

— ეინ არის წამკითხავი, თქვენი პირობით, წინა დღეებში ქეთევან ორბელიანთან შევიარე. მისი ძმისწული შემოვიდა. იაკინთეს გონჯი ასული, გამოველაპარაკე და იცით, რა მიპასუხა:

— მე კარტული არ ვიციო!

— გადაგვარების მაგალითი, რამდენიც გნებავთ, იმდენი ვახლავთ, — ჩაილაპარაკა ბაბაღლე საგინაშვილმა და მარიამ ორბელიანს მწყრალად, სასტიკად ვადახედა. ამ ქალის სალონშიც ქართული ენა აღარ ისმოდა.

ღია კარებთან ოღლა გურამიშვილმა გაიარა. ეტყობოდა, ცეკვით დადილობა იყო, მშვიდ შევარდისფერებულ სახესსა ჩინური მარათი ივრილებდა. სიდონიამ შვილიშვილს რიხიანი მაღალი ხმით დაუძახა. ოღლამ ჰაეროვანი ვანიერი კაბის ბოლო მოხდენილად შეატრიალა, კარებთან გაჩნდა, არისტოკრატ მანდილოსნებს მიესალმა.

— კაღროლს მარტო ერთხელ შემოუარა, ალბათ იცი, რომ ერთი და იმავე ვაქცატანს ცეკვა წესი არ არის, — უთხრა ბებია მ რიხით, ხმამაღლა.

ოღლამ მოხუცს მორჩილებით თავი დაუქრა და გასასვლელად შემობრუნდა, მაგრამ ცოტა ხანს შედგა. დარბაზში აფხაზები შემოვიდნენ. კობტას ცოლის, მდიდარი ვაჭრის ქალის, გამოჩენამ საერთო ჩოჩქოლი გამოიწვია. კუთხეში მიმჯდარი სოვდაგარი, თამამშვივი, ფეხზე წამოდგა, კლავდიას საშაჯურს დააცქერდა.

— რუსეთის იმპერიაშიც კი ამ ლალის მსგავსს ვერსად ვერ ნახავთ, გამოელაპარაკა მეზობელ თავადს და პატარა თვალეები ნდომის ცეცხლისგან გაუბრწყინდა.

— ამბობენ, საქართველოში ვერც ერთი სოვდაგარი ვერ იყიდისო, — დაუშმაბა თავადმა.

— ვნახოთ? — ჩაიციხა თამამშვივი და აბრეშუმივით რბილი უღვაშები გადაიგრიხა.

ანეტა ჰაეკვაძემ მდიდარ ქალს ხელი ცივად, ამაყად გაუწოდა, სისხლისა და შთამომავლობის უპირატესობა აგრძნობინა. მაგრამ კლავდიას ეს არაფრად არ ჩაუგდია. ძვირფას არშიებში და ნივთებში ქალის გამხდარი უკმაყოფილო სახე მოჩანდა. ათვალეფრებდა წვეულოთ. მათ ტანზე ლიონის ფარჩა, პარიზის არშიები და ხვევრდი ელვარებდა.

— თქვენი წოდების ხალხი ვაცილებით უკეთ ცხოვრობს, ვიდრე საშუალება აქვთ, ალბათ დაგირავებული მამულის ხარჯზე. — მიუბრუნდა ანეტას და ხმამაღლა, მოურიდებლად უთხრა.

ბატონიშვილს სახეს ღიმილი შეეკი-

ნა არაფერი არ უპასუხა. მარტო მაშინ გაიღიმა, როცა კარებში ილია ჰკავებოდა დაინახა, კოხტას მოჰყვებოდა. რალაცას ცხარედ ედავებოდა. აფხაზს ინგლისური სიგარა ევირა ხელში. მის ღირსებით საესე ლამაზ სახეს, ოდნავ დამცინავი ღიმილი აჩნდა. თითქოს ოცდაათი წლის ვაჟკაცისათვის ცხოვრებას, მისწრაფებას, ნდომას და სურვილს თავისი ფასი დაეკარგა და ყველაფერი სულ ერთი იყო. თავის სიყრმის მეგობარსაც ისეთივე დამცინავი იერით უგდებდა ყურს.

ანეტამ მოსულთ მომხიბლავი ღიმილი შეაგება, ილიას ხელი შინაურულად გაუწოდა.

— თქვენი ლექსები დავითს ძალიან მოსწონს. ერთი პოემის ხელნაწერი ჩვენც ჩაგვიყარდა. წარმოიდგინეთ, თქვენს ყაჩაღს ისე ბაძავს ჩემი მარია, რომ მამა ზედმეტ სახელად კაკოს ეძახის.

ილიამ ყურადღებისათვის თავი დაუკრა. მხრები წასასვლელად შეაბრუნა. ფიქრიანი თვალით ისარი, პირდაპირ სარკმელთან გაჩერებულ ოლღას ესროლა. ქალმა შავი წამწამები მორცხვად დახარა ძირს. თითქოს ილიას თვალების ელვარება სახეს უწვავდა. იგი წასასვლელად შეტრიალდა. ანეტა კი თავის სტუმართან ახლოს მივიდა.

— ლევანი! — დაუძახა მელიქიშვილს, — ჩვენს ნიჭიერ პოეტს არ იცნობ?

მელიქიშვილი უმაღვე მათკენ გამოეშურა. ილიას ხელი ღიმილით გაუწოდა.

— მშვენიერი ებაზოდი აქვს ყაჩაღის ცხოვრებიდან აღებული, ჩემმა მარიამ ზეპირად იცის, — უთხრა ანეტამ და სახე ოდნავ წამოუწითლდა. ეტყობოდა, შერცხვა, რომ თვითონ ქართულის უცოდინარობის გამო მისი წაკითხვა არ შეეძლო.

— ეს ხალხი თქვენს ნაწერებს ზეპირად სწავლობს, მე კი, ერთი თუ ორი ლექსის მეტი, სხვა არაფერი წამიკითხავს. მე მგონია, მიხვდებით და მპატივებთ, რომ ასეთი დაუდევრობა ღირსე-

რატურისადმი უგულობით არ შემართება. მოცალევა აღარა. მაქსიმუმ რა ლევანმა მხიარულად და ეხა ოდნავ მოეწლიქა.

ილია ჩუმად იდგა.

— რატომ თქვენს ნაწერებზე არაფერს ამბობთ?

— ჩემი ნაჯღაბნები სალაპარაკოდ არ მიმჩნია, — უპასუხა ილიამ დინჯად.

— შენი მეგობრის პოეზიით არის აღტაცებული, იმ საცოდავის ნაწერები, ჩემს მულთან ცარსკოე სელოში წაუკითხავს.

— ტატოზე ამბობთ? — შეეკითხა ლევანი.

ილიას თვალეში ქარიშხალმა გადაუთარა.

— დიახ, რა გეყოლია და არ ეიცოდით.

— საწყალი ტატო, რაც დრო მიდის, მისი ნაწერების გახსენება მეტად მტანჯავს. მარტო მე ვიცი, ის და გაჭირვება ერთმანეთს როგორ ებრძოდნენ. საბოლოოდ ის მოერია, უთვისტომოს სად დაუხუჭა თვალეები.

— მე შევიტყე, მისი ნაწერების გამოცემა გინებებით?

— ეპ, — ჩაიქნია ხელი ლევანმა, — ახლა ყველაფერი გვიან არის, ის ველარაფერს ველარ გაიგებს. ერთი ლექსი მაინც დაბეჭდილი რომ ენახა, ცხოვრების იმედი მიეცემოდა. როგორ გვეხვეწებოდა მეც და ბიძებსაც, რომ მისი გაუხებდურებული ოჯახი როგორმე ჰაო-ბიდან ამოგვეთრია, მაგრამ ვის რა გაგვაჩნია. „პრიკაზის“ ვალი ყველა ჩვენთაგანს ყელში უჭერდა, ცოცხლებს ვერაფრით ვერ მივეხმარეთ.

— მკვდარიც უპატრონოდ მიატოვეთ, არ გაპატიებთ. რატომ არ უნდა დამარხულიყო თავის მამულში, თავის წინაპართ საფლავებს შორის.

გენერალმა მელიქიშვილმა ახალგაზრდა კაცის თამამ გამომეტყველებას გაცივრებებით თვალი შეაელო.

— მართალია, დანაშაულად ჩაგვეთ-

ვლება მისი მიტოვება, მაგრამ, ვფიქრობთ გამოვასწორებთ.

— მის პატრონობას ამიერიდან ჩვენ ეიკისრებთ, — უთხრა ილიამ.

დარბაზებში მიყუჩებული ხალხი შეინძრა:

— ორბელიანი მოდის, — გაისმა ხმა.

კბეგები დაფიქრებულმა გრიგოლმა დინჯად ამოიარა. მისი ძმის, ილიას ქვრივი ბარბარე პატარა გიორგით შეეგება. ძმისწული ბიძას ყელზე შემოეხვია და ხმალი მოსთხოვა.

მთავარსარდალმა უმაღლეს წელიდან შემოიხსნა და დაღუპულ ძმის შვილს, მისი ოჯახის ერთ-ერთ ნაწილს, რომელსაც დიდი ყაფლანის გვარის გამგრძელებლად თვლიდა, წელზე სიამაყით შემოარტყა.

— ნამდვილი მყვირალა ზურაბის შვილიშვილია, — მოუბრუნდა შავებში ჩაცმული ახალგაზრდა რძალს.

ბარბარემ სევდანარევიად გაიღიმა, თანხმობის ნიშნად თავი დაუქრა.

კბეგებზე, ეზოში, ოთახიდან ოთახებში კარისკაცები, გამდგლები, პოლონელი, რუსი, ქართველი შინამოსამსახურენი, ფრანგი, ინგლისელი გერმანელი მასწავლებლები უწყსრივოდ ირეოდნენ, თითქოს ერთმანეთს ფეხებში ეღებოდნენ. გეზის მიმცემი, თავდარივის დამპყერი აღარა ჰყავდათ.

— საწყალი ალექსანდრე და სალომე, როგორი ლაზათით და ფხით იცოდნენ საქმის გამძღოლ! ქალებიც დიდად ეხმარებოდნენ. ეს ოჯახიც დაღუპვისკენ მიექანება. დიდი ცილობაა, ვინ ვის გაუსწრებს, — შესჩიოდა გრიგოლი რძალს და წინ მიდიოდა.

მის შესაგებებლად დავითი გამოვიდა. გრიგოლს მკლავში ხელი გაუყარა.

— როგორ უცხოხსავით მობრძანდები?! — უსაყვედურა.

— ეპ, აღარ არის ის ლაზათი, რომელიც ამ ოჯახში გამიწვევია, გული კვნესის და ვერა ჩერდება, — უთხრა გრიგოლმა და კედელზე მიყუდებულნი

ნოს დიდ სურათს თვალი შეავლო, კარგა ხანს იღვა დაფიქრებულნი.

— ვერც ნინომ იხეირა ამ ცხოვრებისაგან და ვერცა რა მე — ჩაილაპარაკა და მკერდზე დაბნეულ ორდენებს თვალი შეავლო. მათი სიმძიმისაგან გულმა თითქოს ტკივილი იგრძნო.

მისაღებ ოთახში ახალგაზრდები გამოეფინენ. გრიგოლს ირგვლივ შემოეხვივნენ ორბელიანთა ქალების შთამომავალნი. სავრიჩები, ოპოჩინინები, სვიატაპოლ-მირსკები, ივანოვები. მათი მზიარული უდარდელი სიცილ-კისკისი მოისმოდა. კარებისაკენ მიმავალ მთავარსარდალს ახალგაზრდა ბიჭმა გზა გადაუჭრა: ლევა ჩოხის საკინძი შეხსნილი ჰქონდა. წითელი პერანგი მოუჩანდა. თავზე დიდი თუშური ქუდი ჩამოეფხატა. ხელში ყირიმის თოფი ეჭირა.

— ხომ გელდი, ძმაო, მე ვარ მდიდარი, ამ ტყეში მარტო მე მაქვს მეფობა, გაშლითა არის ჩემი სახლ-კარი და აქამდისინ ვერ მაკლებს მტრობა“.

— გაისმა მისი ზარივით წკრიალა მაღალი ხმა.

რამდენიმე ბრწყინვალე ადიუტანტი ბიჭის გასაჩერებლად წინ წამოვიდა, მაგრამ გრიგოლმა ნება არ მისცა.

— მე თანა მყვანან რკინისა ძმები ჩემი დამბაჩა, სიათა ხმალი, არც მიმტყუნებენ, არც ვემტყუნები, სანამ მაქვს მკლავი თავისუფალი. ისმოდა დარბაზში მღელვარე ხმა.

ლექსის მუსიკამ გრიგოლის თვალუბიც აიყოლია, მაგრამ ეს შუქი უფრო პოეტისა იყო ვიდრე გენერლის.

— მარია, მარია, გაისმა ანეტას ხმა და ჩქარი ნაბიჯით გამოეშურა, — რა არის ასეთი სითამამე, — უსაყვედურა შვილს ფრანგულ ენაზე.

— მარია, მარია, — გაისმა ხმა აქეთ იქიდან და გრიგოლმა და ლევანმა ხმა-მალლა ერთად გადაიხარხარეს.

— აი, შე ლეკო, ტყუილად კი არ იყავ დაღისტნის მთებში, — უთხრა აღერსით ორბელიანმა და მზარზე ხელა შემოხვია.

— მარია, მოემზადა ანეტა კიდევ

შენიშენისათვის. მაგრამ მისი მარია, თმაჩამოშლილი, გაწითლებული და აღგზნებული, ისეთი მშვენიერი იდგა რომ დედის სიამაყემ ანეტს თვალებში გაპკრა.

— ვისი ლეჟსია, ვისა ბაძავს ჩვენი ყაჩაღი? — ხმა ამოიღო ორბელიანმა.

— პოეტ ილია ჭავჭავაძისა, — ჩაილაპარაკა დავითმა და კუთხეში გაჩერებულ შავ სერთუეიან ახალგაზრდაზე ხელით აჩვენა. გრიგოლმაც იქით გაიხედა.

ილიამ და გრიგოლმა თვალები ერთმანეთს გაუსწორეს. ილიამ თავაზიანად, მორიდებით სალამი მისცა, იგრძნო, რომ მასთან ახლოს იმ წუთში პოეტი იდგა და არა სარდალი. ორბელიანს მიუახლოვდა.

— კარგი იყო, შვილო, მასიამოვნე, ეპ, თქვენ მაინც სწერეთ.

— თქვენ, თქვენ რატომ არ უნდა სწეროთ? — უთხრა ილიამ და მის გამწვანებულ სახეს თვალმოუწოვრებლივ მიაჩერდა.

— ეპ, მე ჩემი სიცოცხლე ხმალს შევლიე, რა პოეტი ვარ!

— არა, თქვენი კალამი ჭეშმარიტად პოეტურია, — უპასუხა და სახეზე აღტაცებამ გადაუარა.

ორბელიანმა კი ისევ განაგრძო:

— თქვენ, მომავალ თაობას, უკეთესი პირობები გაქვთ. ამ ხანგრძლივობა ომმა ჩვენ კისერზე გადაიარა. აულებში გამითეთრდა თმა. — ლაპარაკობდა გრიგოლი და ხმაში ნალევლი ეტყობოდა. — თქვენ კი მწერლობის მეტი სხვა საფიქრალი არაფერი გაქვთ. დასაბუკვლად

კარგია თუ ავი, ჟურნალიც დაგხვდათ. ჩვენს ტრფიალებას და დარდს ქვეყნის მიმართ გულში ვიკლავდით. ~~ფიქრებს~~ მოდა ჩვენი.

— იმიტომ რომ თქვენ ქვეყანას სიტყვით ეტრფოდით, ჩვენგან კი საქმე მოითხოვა. თქვენ ბრძანეთ, ჟურნალი გაქვთო. ნუთუ თქვენ „ცისკარში“ ქართველი ხალხის ჭკუას, ხალხის გონებას, ფიქრს, ჩვეულებას, განათლების ხარისხსა ხედავთ?

ილიას თამამ სიტყვას ორბელიანმა წარბი შეუტკრა. მაგრამ მისი გონება საღმა, ჭკვიანურმა მსჯელობამ მოიტაცა. ყური დაუგდო.

— მართალი ხარ. ენას ახდენენ. თარგმანებს ამძიმებენ.

— მერე თქვენ ხომ ბრძანეთ, რა ენა წახდეს...

— ერი დაეცეს, — ჩაილაპარაკა კარგა ხნის შემდეგ კუთხეში გაჩერებულმა მანანამ და ლამაზი თვალები ცეცხლით აევსო.

ორბელიანმა თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა და ისევ ილიას მიუბრუნდა.

— ახალი ჟურნალი ვსურთ?

— დიახ, ახალგაზრდების სახელით გთხოვთ, მთელი ქართველი ხალხის სახელით. კერესელიძის ჟურნალი მეტისმეტად უსუსურია, ისე მისდევს ჩვენს მღელვარე ცხოვრებას, როგორც ფეხმორტეხილი ცხვარი — ფარას.

— ეპ, შვილო, დაგვიხურავენ, გაგვლანძლავენ. წითელი მელნით აგვიკრელებენ. მაგრამ მაინც ვიშუამდგომლებ.

ილიამ მადლობის ნიშნად თავი დაუკრა.

პირველი მხარე



სიმღერა თბილისზე

საწყევლები ღირსი პოეტიდან

სოხუმის სიკვდილი

ოქროს შუქად რომ ვიქცე, შუქით ბაღიც მოვღობო,
ლექსზე ტყბილი რა გითხრა, ფრთაწითელი ხოხობო!

რა იცოდი, ლამაზო, როცა იყავ დაქრილი,
ვახტანგ მეფის წინ იდგა მზის ქალაქის აჩრდილი!

ბინადრობდი ტყე-ველად ბუჩქებს შეფარებული,
გეხვეოდა ფოთოლი სევდაშეპარებული.

ღამდამობით ტოტიდან, გიგალობდა ბულბული,
უკოცნია ნიავსაც შენი ნაზი ბუმბული.

ვაპყრებდა დილის ცვარს ცა ნათელი, კრიალა,
კაცის ხმა რომ გაიგე, შიშმა შეგაფრთხილა.

ამოვარდი ბუდიდან და რა ნახე,—ის არი!
გაფრინდი და დაგესო გორგასალის ისარი.

თბილ წყაროსთან დავარდი, დაგეხუჭა თვალები,
ბუჩქიც გამოგეთხოვა ჩემი აშრიალებით.

ლექსის ბაღი გინატრე, მინდა გულით მოვღობო,
ლექსში მაინც იცოცხლებ, მშვენიერო ხოხობო!

პირველი სურათი

ამოდუღდი, გულის ლექსო, კიდევ ერთიც ვთქვავთ,
გავეხსენოთ, ვინც ჩაკირა აქ პირველი ქვა.

გავეხსენოთ, ვინც იმ ქვაში სულს აქსოვდა ლაღს
და ხოხობის ნაბუდარზე აშენებდა სახლს.

საძირკველი რომ ჩაყარა, ნატვრა დაღო ზედ,
აღღვრძელა თბილისი და საქართველოს მზე:



— იგუგუნოს ამ ქალაქმა, სულ იხაროს მან,
მისი მტრები ვახტანგურად გადაიხეზონ, მკანსაჲსაჲსა
თქვა ხურომ და გადახედა თბილ წყაროთა ტბას,
ტბაც ნიავეში მოლივლივე მას აძლევდა ბანს.

ბანს აძლევდა მტკვრის პირი და უდაბური ტყეც
და ფოთოლიც ბულბულებს ტბილ გალობის ტყვე-

ის აშენდა, ისე როგორც კიდევ ბევრი სხვა,
რა იცოდა, თუ თბილისთან გაჩნდებოდა ზღვაც!

სულ პირველი სახლი გაქრა, მაგრამ სული ძლებს,
სული ძლევდა ბოროტებას, ქარიშხლიან წლებს.

მე ვაეკაცურ სულს ვეტრფი და ვადიდებ ჩვენს ერს
აქ ხომ ლექსი პეპელაზეც სიყვარულით ეღერს.

დედის ნანა

რა ტკბილია დედის ნანა,
ლიმილით რომ ისმენს ჩვილი:
— მთვარისთანა, შენისთანა
გაუმრავლდეს მამულს შვილი.

გაიზარდე, გაიბადრე,
ჯანით იყავ დევისთანა.
გზად ეკალიც გაივარდე,
წინ გიძლოდეს დედის ნანა.

მკერდი გქონდეს ვაეკაცური
ამირანის მკერდისთანა.
ზღვაც რომ შეგხედეს გასაცური,
ზღვას გიპობდეს დედის ნანა.

სატრფო გყავდეს ნატვრის ტოლი,
ვულკეთილი მტრედისთანა.
ჰოდეროდეს ყელი ბროლი,
შასაც ეთქვას დედის ნანა.

ვარდის შუქი გიბრწყინავდეს
ამ გოლიათ მთებთანა.
და გიყვარდეს უწინარეს
სამშობლო და დედის ნანა.



ვაჭი ოზოლი...

ნარკვევი

ბომბორის ვაკე გუდაუთასთან იწყებდა და მდინარე თეთრწყალას ქალღმერთად აღწევს. ზემოდან ბზიბის დათოვლილი ქედი გადმოჰყურებს ვაკეს, ქვემო ნაპირი კი ზღვას ებჯინება. ორი ათეული წლის წინათ აქ გაუვალი ტყეები იყო. თვალშეუდგამ კედლებს, წიფლებს და თელეებს გარეული იზაბელას ლერწი აჰყოლოდა და გაზაფხულობით უღრან ტყეში ვაზის ნედლი ყლორტების სურნელი იდგა. როგორც კი იზაბელას ლაღად ნაზარდი შტოები შავად შეინაბდებოდა, შაშვებისა და ჩხართვების სტევენა და ქაბუჩაბი აყრუებდა იქაურობას. ტყეში კანტიკუნტად გაისმოდა საფანტაინი თოფის ტკრციალი. მერე ყველაფერი მიწყნარდებოდა და სერობაბას ცაცხვების მიღმა ღამით ყრუდ ოხრავდა უკაცური ზღვა.

ვისაც წინათ აქეთ უვლია, ტყის პირას ხის ორსართულიან, საკმაოდ მაღალ სახლს დაინახავდა. უცხო გემოვნებით ნაგები სახლი ჩვენებურს, ქართულს სრულებით არ ჰგავდა. მისი წახნაგებიანი სახურავი, მოხდენილი კიბის თავები და კოპწია კარ-ფანჯრები უქვეყლად მიიპყრობდნენ მნახველის ყურადღებას.

სახლი შეძლებული კაცისა უნდა ყოფილიყო. ამ სახლს ირგვლივ სამიოდე მომცრო შენობა ერტყა, შენობების იქით კი ატმის დიდებული ბაღი ჩასდევდა ტყეს ზღვის პირამდე. სახლი მართლაც ერთს ბაქოელ მრეწველს ეკუთვნოდა. მრეწველი თავად ბაქოში ცხოვრობდა და აქ, შავი ზღვის პირას მხოლოდ ზაფხულობით ჩამოდიოდა.

ახლა მოურავის — ვინმე უგრინოვიჩის ამარა იყო სახლი, ატმის ბაღიც უგრინოვიჩმა გააშენებინა. ატამი სექტემბრის შუა რიცხვებში შემოდიოდა. უგრინოვიჩის მუშები ყოველდღე კრეფდნენ დაბრაწულ ატამს და იქვე, ეზოში ფუთავდნენ, რის შემდეგაც ატმით სავსე ყუთებით დატვირთული ბარჯები ღია ზღვაში გადიოდნენ, სადაც საგანგებოდ გამოწერილი ხომალდი იდგა...

ოცდაათხუთმეტოდე წლის წინათ ატმის ბაღი გაჩენეს. ატმის ადგილი გერანმა დაიკავა. უგრინოვიჩი გაიქცა. გემოვნებით ნაგები, აწ კი ქარ-წვიმით გაშავებული და დაძველებული ხის სახლი გერანის საბჭოთა მეურნეობის დირექციას ერგო. ორი პატარა ოთახი სახლის პირველ სართულზე იმხანად აფხაზეთში ახლადჩამოსულ აგრონომ ალექსანდრე იობიძეს დაუთმეს. ალექსანდრეს ჯერ კიდევ იმპერიალისტური ომის წინ დაემთავრებინა მაგარაჩის მევენახეობა-მელენიეობის უმაღლესი კურსები ყირიმში და აფხაზეთისათვის უგრინოვიჩის გაქცევამდე ჩამოეკითხა. ადრე რამდენჯერმე დაევილო ეს ადგილები. თვალი უგრინოვიჩის ატმის ბაღზე ეკირა. „რა იქნება, აქ ვენახი გავაშენოთ? შეუძლებელია, არ ივარგოს!“ მას თვალს სტაცებდნენ კედლებზე ამობღებული იზაბელას ღონიერი ლერწები, დაშაქრებულ ყურძენს ხომ აღტაცებაში მოჰყავდა.

სოხუმში გულგრილად შეხვდნენ მეოცნებე აგრონომის წინადადებას... რის ვენახი, რა ვენახი, სად აფხაზეთის სუბტროპიკული რაიონები და სად ეულ-

ტურული მევენახეობა! განა ცოტა იზაბელა ტყეებში? იზაბელამ ღვინოც მშვენიერი იცის. აქაური კაცისათვის მისი ღვინოც საკმარისია. აფხაზეთში მხოლოდ ციტრუსები უნდა გავაშენოთ!

ალექსანდრეს მოსვენება დაეკარგა. კალათებით ჩაიხიდა ბომბორის მიწა სოხუმში, ანალიზს ანალიზზე აყეთებდა. ჩქარობდა. და განა არ იყო საჩქარო? გერანის საბჭოთა მეურნეობა დღითიდღე იზრდებოდა. ცოტაც და, მეურნეობა მთლიანად დაიკავებდა ნაბალარს, ხოლო თუ დაიკავებდა, მერე მისი აქედან განდევნა ფუჭი ოცნება იყო, რადგან გერანი იმ დროს ძალზე ძვირად ფასობდა: ერთი ლიტრა გერანის ზეთი, რომელსაც პარფიუმერიაში იყენებენ, ათას ოქროს მანეთად იყიდებოდა საზღვარგარეთ.

ალექსანდრემ ცდები მოათავა და ხელახლა შეუდგა მოხსენებით ბარათების წერას. ერთ-ერთი ბარათი, როგორც იტყვიან, იღბლიანი გამოდგა: იობიძე საოლქო კომიტეტის მდივანმა დაიბარა და ნება დართო, უგრინოვიჩისეულ მამულში პატარა საცდელი ნაკვეთი მოეწყო. ამ მოულოდნელი სიზარულით აღტკინებული იობიძე ფრენით წამოვიდა შინ. მეურნეობაში მიიჭრა. ჩხუბითა და დავიდარაბით გერანის დასარგავად გამზადებული სამი ჰექტარი მიწა დაისაკუთრა, თავისი ხელით შემოღობა და მხოლოდ მაშინ გაახსენდა, რომ მეორე მთავარი რამ — ვაზი — ხელთ არ ჰქონდა. ნამყენი ვაზის შოვნა ძნელი არ იყო. საქარის მევენახეობამეღვინეობის საცდელი სადგური ამაზე უარს როგორ ეტყოდა!

საქარაშიც ექვის თვალთ შეხედეს ალექსანდრეს წამოწყებას, რადგანაც ალექსანდრე მეტისმეტს აპირებდა: მას მიზნად ჰქონდა დასახული, აფხაზეთის მიწაზე ჩხავერის იშვიათი ჯიში გაეზარებინა და ბომბორის ვაკე ჩხავერის ზერებით დაეფარა.

ვენახის ჯიშებს შორის ჩხავერი ყველაზე უფრო ნაზი და ჭირვეული ჯიშია. მშრალ ნიადაგს ვერ უძლებს, ხმე-

ბა, სიმშრალეზე უფრო კი ნესტისა ეშინია. ნიადაგქვეშა წყალქვეშა ფენებს მიეკარა, მერე მშვიდობით მდრეკე გუბრიაში ხარობდა ჩხავერი, თხმელის ტოტებს მიჰყვებოდა. ყურძენი შეუხედავი იცის, თანაც კუნელზე მსხვილი არ იზრდებდა. გამოსავალიც ცოტა აქვს, მაგრამ ჩხავერის ღვინო ღვინოების დედოფალია. შამპანურივით შუშუნებს ჭიქაში, ნაშინშვლებს ისერის, საკვირველი ფერიტა და სურნელითაა შემკული.

ბომბორის ვაკეზე ჩხავერის გაშენება მოუსვენარი აგრონომის ცხოვრების აზრად იქცა. გულის კანკალით დასტრიალებდა ის ყოველ ძირს, დღემუდამ თოხი და სარწყავი ეჭირა ხელში.

საცდელი ნაკვეთი მწყრივებად იყო დაყოფილი. ნაკვეთში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა ჯიშმა მოიყარა თავი. აქ იყო აღმოსავლური რქაწითელი და დასავლური ცოლოკაური, ამერიკული მწარე საძირე და იმერული საფრავი...

ვაიარა წლებმა...

ამ ხნის განმავლობაში გერანის საბჭოთა მეურნეობის ფართობი შევიწროვდა. მისი დიდი ნაწილი სხვა დაწესებულებამ დაიკავა. ალექსანდრე საცდელ ნაკვეთში იდგა და უყურებდა, როგორ ავლებდნენ ღობეს პლანტაციაში. ღობის გადამა მხარე მისთვის სამუდამოდ დაკარგული იყო...

ზღვის პირას ტყის გაჩეხვა დაიწყეს. დღედაღამ გაისმოდა ათობით ტრაქტორის გუგუნი. თვალშეუდგამ წიფლებს ძირიანად თხრიდნენ და საურმე გზაზე გამოჰქონდათ. ბობლინა ტრაქტორები გზის გასწვრივაც მუშაობდნენ. აქეთ გზა ფართოვდებოდა, ზღვის გაყოლებაზე კი მანდარინის პლანტაცია უნდა გაშენებულიყო.

„თუ მანდარინი გააშენეს, ვენახს უნდა გამოვეთხოვო, — ფიქრობდა ამ ახალი ამბით გულშეღონებული ალექსანდრე, — რალაც უნდა ვიღონო, თორემ ბოლომდე წვითა და დაგვით მიყ-

ვანილი საქმე ხელახლა თავიდან დასაწყები გამიხდება. ციტრუსი მაინც არ იხარებს აქ. ღია ადგილია. ზღვიდან მონაბერ ქარს ერთი ბორცვიც არ ეფარება. ზარალის და დროის დაკარგვის მეტს არაფერს მოიტანს ციტრუსების დარგვა. ნუთუ თავში არავის მოსდის ეს?”

— ამ ფიქრებით ჩავიდა იობიძე სოხუმში.
— როგორ, თქვენ ციტრუსების წინააღმდეგი ხართ? — ჯიქურ შეეკითხნენ საოლქო კომიტეტში.

— არა, მე არა ვარ ციტრუსების წინააღმდეგი, — წამით უკან დაიხია იობიძემ, — მაგრამ მე მგონია, ადგილობრივი პირობები უნდა გავითვალისწინოთ...

— ციტრუსების გაშენების გეგმას იცნობთ?

— ციტრუსს მოფარებული, ქარისაგან დაცული ადგილი უყვარს...

— იცნობთ ციტრუსების გაშენების გეგმას?

— როგორ არა, ვიცნობ.

— მაშ სად ვიპოვნოთ იმდენი მოფარებული ადგილი, რამდენიც ამ გეგმის შესასრულებლად გეჭირდება?

— თქვენ, როგორც ვატყობთ, მხოლოდ დარგვის გეგმის შესრულება მოგიწადინებიათ, — გამოსცრა იობიძემ.

— გეგმა ცენტრიდან მოდის, ჩვენ მისი შემსრულებლები ვართ, გაიგეთ?

— მაგრამ ჩვენც ხომ ვფიქრობთ...

— ყველაფერი მოფიქრებულია. ეგ საქმე ჩვენზე უკეთესმა თავებმა მოიფიქრეს.

— მე, ამხანაგო, საჩხუბრად არ მოვსულვარ, ახლა კი გეუბნებით: ამას ასე არ დაეტოვებ.

ალექსანდრეს არ უთქვამს, რას არ დატოვებდა „ასე“, კარი გამოიჯახუნა. მეორე დღეს უკვე თბილისში იყო. სადაც ჯერ არს ვრცელი მოხსენებით ბარათი წარადგინა. ბარათში წვრილად იყო აღწუსებული საცდელ ნაკვეთში მუშაობის შედეგები.

მერე სხვებთანაც მივიდა, უხსნიდა, უმტკიცებდა...

ერთი კვირის ამოა ხეტიალის შემდეგ ხელცარიელი დაბრუნდა შენ, ცენტრში ახლადგატეხილი ახო უკვე გაესულა თავებინათ, მწკრივად გაყოლებული ორმოები ამოეთხარათ და მანდარინებს რგავდნენ.

„არა, როგორც ვატყობ, არაფერი გამოვა,“ — მთელი ამ ხნის მანძილზე სასო პირველად წარეკვეთა იობიძეს და თვალი წლობით ნალოლიავენ ვენახს მოავლო. ვენახი ახალი გასხლული იყო. ჯიშინანი, ლალად გაზრდილი შარშანდელი ლერწი ვაზებს შორის ეყარა. დამუხლული სამამულე რქები წელში გაზნეჭილიყვნენ. ალექსანდრეს კანაფი შემოლოვდა და რქები ჯერ კიდევ აუკრელი იყო...

მაშ უნდა წავიდეს, უნდა დაანებოს თავი აქაურობას, აბა რაღასთვის დარჩეს აქ, თუკი მის სანუკვარ ოცნებას ფრთები არასოდეს არ შეესხმება...

ალექსანდრე ახალა მიხვდა, რა იყო მთავარი დაბრკოლება: არა ხელმძღვანელების სიჯიუტე, არა თავზე მოხვეული გეგმები, არამედ სულ სხვა რამ — მუშახელის უყოლობა! სავენახე მიწას მომზადება უნდა, ვაზს — დარგვა, გახარება... მერე ვინ დარგავს, ვინ გაახარებს, ვინ მოუვლის? ხალხი არ იყო. იობიძის ოცნება ცაში გამოკიდებული ჩანდა. არც სავენახე მიწა, არც მევენახე ხალხი! დრო კი მიდის, ასე უაზროდ მიდის, სიბერემ ცხრა მთას გადმოალაჯა... ხალხი ჰყავდეს, აიყოლიებდა, მოაწვევინებდა ხელმძღვანელებს, ხალხის სახელით ილაპარაკებდა, მაგრამ ახლა რა, მარტოკაცი ჭამაშიაც ბრალიაო.

მერე საშიოდ დღეში მოიმოქმედა ის, რასაც ამ რამდენიმე წლის წინათ ფიქრადაც ვერ გაივლებდა: განთავისუფლება მოითხოვა და როგორც კი სოხუმიდან შემცვლელი მოუვიდა, გადააბარა, რაც გადასაბარებელი ჰქონდა, ერთხელ კიდევ ჩამოუარა ვაზებს, რომელთა დაეაყავებინათ თავისი სიცოცხლის ყველაზე უკეთესი წლები შესწირა, აიბარვა დედა-ბუდიანად და ზესტაფონში გა-

დასახლდა, სადაც საქარის მევენახეობა-მეღვინეობის საცდელ სადგურში დაიწყო მუშაობა. საცდელი სადგურის ნაკვეთებში თავჩაღუნული დაიარებოდა, ჩადენილი სიმხდალით დარცხვენის ღამით ცუდად ეძინა და იმგვარი გრძობა დაუფლებოდა, თითქოს ვინმე გულთ საყვარელი მოკვდომოდეს.

დიდი სამამულო ომი ახალი დაწყებული იყო, როცა ალექსანდრე ხელახლა აწრიალდა, პროფესორთან შევიდა და ყოველგვარი მიღებ-მოღებების გარეშე განუცხადა, სამსახურიდან გამათავისუფლეთო.

პროფესორი განცვიფრდა:

— რა მოხდა, სანდრო, ხომ არავინ გაწყენინა?

— რაო? — მკვახედ იკითხა ალექსანდრემ.

— ხომ არავინ გაწყენინა-მეთქი.

— წყენა — გახარების დროა ახლა?!

— აბა, რა მოგივიდა?

— გულდაუთამი უნდა დაებრუნდე.

— გულდაუთამი? რა გინდა, შე კაცო, გულდაუთამი?

— რაქველები ჩაასახლეს იქ.

— მერე?

— ბოშბორის ვაეზე ტყე გაუჩეხიათ. წერილი მომივიდა სოხუმიდან. ჩავალ, ნაკვეთს მივხედავ, იქნებ ახლა მაინც გამოვიდეს რაზე.

— შენი ნებაა, მაგრამ... — შეფიქრიანდა პროფესორი. — წინასწარ რად გინდა განთავისუფლება, ჩადი ჯერ, მიხედ-მოიხედე.

— რა მიხედ-მოხედვა უნდა, ხომ არ გამომაგდებენ!

მატარებელი სისხამ დილით გაჩერდა გულდაუთამი. ალექსანდრე პირველი ჩამოვიდა მატარებლიდან. ქვეითად გასწია იმ ადგილისაკენ, სადაც ომამდე თხუთმეტიოდე წელიწადი გაატარა. გზა გაეფართოებინათ. აქა-იქ ასფალტიც კი იყო დაგებული, მაგრამ ასფალტზე ტანკებს გაველოთ და ისედაც ნაფლეთებად და ორმოებად ქცეული ერთი-

ნად დაეხრათ. მოთმინება აღარ უყოფნიდა, როდის მივიდოდა ნაკვეთამდე. ვაითუ გააფუქეს, გააფუქეს, ცხლად-გაშენებული სოფლის განაპირას ვილაც წვერიან ბერიკაცს გადაეყარა და თავისებური მკვახე ხმით მიესალმა. მოხუცმა დაკონკილი ყურებიანი ქუდი მოუხადა უცხო კაცს.

— აქაური ხარ, ძმობილო? — კითხა ალექსანდრემ.

— კი ბატონო, — თავი დაუკრა მოხუცმა და დაკოყრებული მარჯვენა ხელი ყვრიმალთან მიიტანა, ცოტა ხმამალლა ილაპარაკე, ყურს მაკლიათ.

— რა ჰქვია ამ სოფელს? — ხმას აუწია ალექსანდრემ.

— ახალსოფელი. შენი ჰქირიმე, ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა.

— რაქველები ხართ ყველა?

— კი, ბატონო. მობრძანდი, აგერ ვდგავარ... — გზის პირას, ტყრუშული ღობის გადაღმა ჩადგმული სტანდარტული სახლისაკენ მიიბრუნა სახე მოხუცმა.

— რომელი სოფლებიდან ხართ?

— რაი, ბატონო?

— სადაურები ხართ?

— სადაურები? რაქველები, შენი ჰქირიმე, ქვემო რაჭიდან, თუ გაგეგონება; ურავლები, აბარლები, წესელები, ჯავისლები, სადმეღვლელებიც გვირევი...

— რას შერებით მერე, მოგწონთ აქაურობა?

— ჰმ... ქვე რა უჭირს. — ნაძალადევად გაიღიმა მოხუცმა.

— რაქას სჯობია?

— რაქას... რაქას ქვე საით მოუდგება, ღვინო აქანა არ მოდის და პური.

— აბა რას აკეთებთ?

— რას ვაკეთებთ... თუთუნის გაგვაშენებინეს...

— რა თუთუნის, რას ლაპარაკობ! — შეეცა ალექსანდრე.

— თუთუნის, ბატონო, — აუღელვებლად განაგრძო რაქველმა, — ეთოხნით... უბედური მოსავლელია. დაწყდნენ პირდაპირ ჩვენი ქალები. ბიჭუნე-

ბი ომშიდ არიან, საბრინჯე ხალხი დავრჩით. გლახა გასაძღოსია, მარა რას იზამ. ზოგი ჰაერმაც დასცადა...

— ნაწილდება რამე შრომადღეზე?

— ნამეტურ უხეიროდ არის ჩვენი საქმე. ბევრმა დაკრა ხელი და ქვეწვეი-და ისევე რაჟაში. წლებულს, თუ ღმერთი არ გაწყრა და ბიჭუნეებიც კარგად გვეყოლა, იმისთანა ვენახები ყოფილა იქა, ავის თვალს არ ენახებდა. მობრძან-დი ეზოში, დიდხანს კი არ გაგაჩერებ. იულია!

იმ ღამეს მთელ სოფელს მოედო ახა-ლი ამბავი: ზესტაფონიდან კაცი ჩამო-სულა და თამბაქოს პლანტაციების ად-გილას ვენახის გაშენებას აპირებდნო. ბევრს არ სჯეროდა ეს და უფრო დაწე-რილებით იძევდა ჩამოსულის ვინაობას. გლეხებმა თავი მოიყარეს და ერთი ქაქანი შეექნათ. მოხუცი, ალექსანდრეს პირველი მასპინძელი, ყველაზე მეტს ლაპარაკობდა. ხალხი გულისყურით უს-მენდა მას.

— ტყუილი იქნება! — დაასკვნა ბო-ლოს ერთმა, — განზრახ გამოგზავნიდ-ნენ. ჩვენი აქანა გაჩერება უნდათ და ვითამ ვენახის გაშენების იმედით გვა-ბამენ.

— არ გავს მაგისთანას. — აულელ-ვებლად შეესიტყვა მოხუცი, — თქვენ რომ აქანა მყოლოდეთ, ვენახი ახლა რა ხნის გაშენებული შექნებოდაო.

— აქამდე სად იყო!

— სად იყო, მოეწყო საქმე ისე...

მეორე დღეს, გათენდა თუ არა, ხალ-ხმა უგრინოვიჩისეულ მამულისაკენ დაიწყო დენა. უგრინოვიჩის ძველი ნამ-შრალეები თამბაქოს საშრობ ფარდულე-ბად გადაეკეთებინათ. გერანის საბჭოთა მეურნეობისა კვალიც კი აღარსად ჩანდა. აგრონომი ვერ იპოვნეს. დილაადრიან სადღაც წასულიყო.

ეზოში კოლმეურნეობის თავმჯდომა-რე შემოვიდა. ღამით ეწვიმა და ატალა-ხებულ ეზოში თავმჯდომარე წკიპად მოაბიჯებდა, რათა გულმოდგინედ

გაპრიალებული ჩექმის კვინტები გუ-ბეში არ წაეკრა.

გლეხებმა ყაყანი შეწყვეტეს.

— ვის უცდით აქ?! — მკაცრად იცი-თხა თავმჯდომარემ, რომელსაც უცებ გაახსენდა, რომ სალამი არ უთქვამს, მაგრამ ახლა უკვე გვიანი იყო.

გლეხებმა ერთმანეთს გადახედეს. ბოლოს ალექსანდრეს გუშინდელი მას-პინძელი წინ წამოდგა და სოფლის თავ-კაცს ყველას მაგივრად უბასუხა:

— შენ გიცდილით, მოსალაპარაკებე-ლი საქმე გვაქვს...

— მოსალაპარაკებელი? — წარბი შე-იკრა თავმჯდომარემ.

— შეიძლება შენც ქე იცი: კაცი ჩა-მოვიდა ზესტაფონიდან... — დინჯად დაიწყო მოხუცმა.

თავმჯდომარემ თვალები მოწყურა:

— ვინ კაცი, იობიძე?

— ჰო, იობიძეა, იობიძე... — გაისმა ხალხში, რადგან მოხუცმა გვარი ვერ მოიგონა.

— მერე იმას ვინ კითხავს, ვენახს გავაშენებთ თუ კვინტრიშას! თქვენ იცი-თ, ვინ არის ეგ იობიძე? გაუსწორებე-ლი ინტრიგანი და კარიერისტი, სამჯერ გააძევეს აქედან, ახლა კიდევ აპირებს შემოძრომას? ვენახის გაშენება უნდა! მე ვაჩვენებ მაგას ვენახს! მაშამისის მა-მულში გააშენოს! მოვიდა და აგრი-დაგრიათ ხომ? შემოდით ფარდულში ბრიგადირები, ვენახზე სალაპარაკოდ არ მცალია ახლა მე! ის თქვენი იობიძე ამ დილას მივაბრძანე აქედან. ჩავიდეს გულაუთაში და იქ მოიკითხოს სამართა-ლი. ვენახის გაშენება! — თანდათან მო-თმინებიდან გამოდიოდა თავმჯდომა-რე, — სახელმწიფომ თამბაქოს მოყვანის გეგმა დაგვიწესა. ხედავთ, ომია ცალი ხელით ვკიდევართ, ქვეყანა წელეზე ფეხს იდგამს. მთავრობამ უკეთ იცის, სად რა გააშენოს თუ იობიძემ? ვენახი!

ამ სიტყვებზე თავმჯდომარე ფარდულში შევიდა და გასაშრობად ასხმული თამბაქოს ფოთლის ვრძელ დერეფანს გაჰყვა.

დადლილი, ორი ღამის უძინარი, მაგრამ სუფთად გაპარსული იობიძე სულ მალე დაბრუნდა სოფელში. აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის მოწერილობა მოიტანა. იობიძე დაუკითხავად შევიდა. თავმჯდომარის კაბინეტში და თავმჯდომარეს არც კი მისალმებია, მოწერილობა ისე დაუღწინა.

— ეს რა არის! — დააკვსა თვალეზი თავმჯდომარემ, მაგრამ როგორც კი საოლქო კომიტეტის შტამპიანი ქაღალდი დაინახა, ჩაჩუმდა.

— ესე იგი ჩვენს კოლმეურნეობაში გინდა აგრონომად მუშაობა, — თქვა მან მცირე ღუმილის შემდეგ, როცა მოწერილობა ჩაიკითხა, — აგრე ვერ თქვი?

ალექსანდრეს პასუხი არ გაუცია. თავი ჩვეულებისამებრ მხრებში ჩარგო და ფანჯარასთან მივიდა, საიდანაც თითქოს ხელის გულზე იშლებოდა მისი არყოფნის დროსაც მშვენიერად მოვლილი საცდელი ნაკვეთი.

— ოღონდ ერთი პირობით, — განაგრძო თავმჯდომარემ, — მაგ ვაზებს მოეშვი, შენი გულისათვის ციხეში ვერ ჩავედები ახლა მე.

1946 წლის ღვინობისთვის დამლევს, ერთი დიდი კრების შემდეგ აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა კრების მონაწილენი აქამდე დაკეტილ დარბაზში შეიყვანა და ცინცხალი, თითქო ამ წაშს მოკრეფილი ყურძნით გაუმასპინძლდა. ყურძენი სხვადასხვა ჯიშისა იყო, სხვადასხვა ფერისა და მოყვანილობისა.

— ნამეტანს ნუ იზამთ, ამდენი კი არა მაქვს, — გაიღიმა მდივანმა და იქვე მდგომ ალექსანდრე იობიძეს ბროლის ქიქა გამოართვა.

ღვინოების გასინჯვის შემდეგ დაიწყო მარჩიელობა — საიდან უნდა ყოფილიყო ჩამოტანილი ეს ყველაფერი. ზოგს, ეინც უფრო სიფრთხილეს იჩენდა, ხმა არ ამოუღია. ერთმა თქვა, შარშან ყვარელში ვიყავი და იქ დავლიე

ამნაირი ღვინო; ყურძენიც ახურს მაშხავებს, მხოლოდ ჩნავერის კვერთხი მარცვლებს ათვალეირებდა იქვე ულაღ. მეორემ დაიყინა, ეს წითელი ღვინო ნამდვილად ზვანჭკარაა, რადგან ამნაირი ზვერდოვნება სხვა ღვინისათვის არ შემინიშნავსო.

მოკამათებს შორის აგრონომებიც იყვნენ, ექიმებიც, რაიკომის მდივნებიც, კოლმეურნეობის თავმჯდომარეებიც...

— აბა, მე გაგიმხელთ ახლა საიდუმლოს, — დაიწყო უცებ საოლქო კომიტეტის მდივანმა, — რას იტყვით, თუ ეს ყურძენი აქ, აფხაზეთშია მოყვანილი?

დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა გაოცებული მიაჩერდა საოლქო კომიტეტის მდივანს.

მდივანი ახლა ალექსანდრეს მოუბრუნდა და მხარზე ხელი დაადო:

— აი, ვინ მოიყვანა ეს ყურძენი! განცვიფრებული ხალხი ახლა ალექსანდრეს მიაკეკრდა.

ალექსანდრემ ხმის ამოღება დააპირა, მაგრამ ვერ შეძლო; ამის მაგივრად რაღაც წაიბუტბუტა და მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

დღამთრებამდე ტრაქტორები შეესვენენ თამბაქოს პლანტაციას, სავენახე მიწის გადაბრუნება დაიწყეს. სოფელი ფეხზე აღარ იდგა სიხარულისაგან. ხალხი გუნდად და გუნდად დასდევდა აგრონომს, საქმეს ხელიდან აგლეჯდნენ. გაზაფხულზე 10 ჰექტარზე ჩაყარეს ვენახი. ვაზი ზღაპრულ მზეჭაბუკივით იზრდებოდა: მეორე წელს ყურძენი გამოისხა, მესამე წელს კი ზღვასავით იხუვლა მოსავალმა.

ალექსანდრეს მოსვენება მაინც არ იყო: კოლმეურნეობის სხვა ფართობებზე დარჩენილი თამბაქო ხელს უშლიდა ვენახების მოვლას, ვენახი კი ლამაზი ქალივით არის, ნებიერი, მოეფერები, გაგახარებს, არ მოეფერები და...

კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან უსიამოვნებას ბოლო არ უჩანდა.

— ხალხს მიცდენ, ყველა ვენახისაკენ მიიწევს, თამბაქოს გეგმა ვიღაც

შევასრულებინო, ხომ ხედავ, ემატება და ემატება — გრგვინავდა თავმჯდომარე.

— ორ კურდღელს ერთად ვერ დავიჭერთ. ან ერთს უნდა გამოვეციდოთ და ან მეორეს, — თავისაზე იდგასოფლის აგრონომი, — მიწა მომეცი. რაც გინდა, ის მითხარი, თუ ორ-სამ წელიწადში მილიონები არ დაატრიალოს ჩვენმა კოლმეურნეობამ.

— გინდა პარტიიდან გაარიცხვინო ჩემი თავი? რას შემართლები, ადამიანო?! აბა ვაჟაკი ხარ და დღეის ამას იქით ხალხი მოგიცდენია. არ ვიცი მე შენი ვენახი!

ეს უბრალო მუქარა არ იყო. თავმჯდომარემ ათიოდე კაცი მიუგდო აგრონომს, რაიკომის მდივანთან ზურგი მოიმაგრა და იმ ათი კაცის წართმევითაც დაემუქრა.

ხელახლა გაუჭირდა ალექსანდრეს, გაკეთებული საქმე ხელახლა ეღუპებოდა. რაიკომის მდივანთან სიარული და ხეწინა-მუდარა ამო გამოდგა.

— ვენახის გულისათვის თამბაქოს გეგმას ვერ ჩავვადებ, — ერთხელ და სამუდამოდ გამოუცხადა რაიკომის მდივანმა, — მე ვენახი არ მაწერია, თამბაქო მაწერია! ამიტომ თამბაქოს მოუარეთ, სანამ სული გიდგათ.

— თამბაქო ყველგან მოდის აქ, ამხანაგო მდივანო. ჩვენი მიწა ოქრო მიწაა. მაგისთანა სავენახე მეორე არსად მოიპოვება მთელ საქართველოში...

— ვასაგებია? — მაგიდის მინაზე ფანქრის წვერი დააკაყუნა რაიკომის მდივანმა და წამოდგა.

— მაშინ მე გამათავისუფლეთ.

— რაო?

— გამათავისუფლეთ...

— აჰა, კეთილი დღეიდან თავისუფალი ხარ. გადაეცით კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

ალექსანდრე ამას არ მოელოდა. არ ეგონა, თუ ასე ადვილად, ასე უმტკივნეულოდ მოიშორებდნენ თავიდან და, მეტი რომ ველარაფერი მოიფიქრა, რაც შეიძლებოდა, გესლიანად წარმოთქვა:

— მე კოლმეურნეობის წვერი ვარ. თქვენ იცით ეს. კოლმეურნეობიდან წასვლას ვითხოვ. გთხოვთ, სანქციონირებას დაეკითხოთ. თქვენ ნუ გადაწყვეტთ კრების მაგივრად...

კოლმეურნეობის წვერთა საერთო კრება ცხელ გულზე მოიწვიეს. როცა სხვა საკითხების განხილვა მოთავდა, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ აგრონომ იობიძის განცხადება წაიკითხა. დამსწრეთ რაიკომის აზრი გააცნო. დაუმატა — თუ ამხანაგ იობიძეს ასე სურს, მეც არაფერი მაქვს საწინააღმდეგო და ხალხს გადახედა:

— კენჭი ვუყაროთ?

ხალხი დუმდა, თვალებით იობიძეს ეძებდა.

— მე სალაპარაკო მაქვს! — გაისმა უცებ სამარისებურ სიჩუმეში. ალექსანდრე ახლად დაინახეს. ის სულ უკანასკნელ რიგში მჯდარიყო.

აგრონომმა საკითხის ისტორიაზე ილაპარაკა. სულ თავიდან მოჰყვა. ხალხი სულგანაბული უსმენდა, ბუხის გაფრენას გაიგონებდით.

— საოლქო კომიტეტმა ნება დაგვართო, ვენახი გავაშენეთ, — განაგრძობდა ალექსანდრე, — თუ რას წარმოადგენს ეს ვენახი, ორად ორი ციფრით დაგისურათებთ. მოგეხსენებათ, საქართველოს ერთადერთი მეურნეობა, სადაც ჩხავერი მოჰყავთ, ბახვის საბჭოთა მეურნეობაა მახარაძის რაიონში. ბახვის ჩხავერის თვითეული ლიტრა ასი მანეთი უჯდება სახელმწიფოს.

ხალხი შეიშმუნა.

— საქმეზე ილაპარაკეთ! — ზარს ხელი დაჰკრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ.

— აცალეთ!

— მაგრამ ჩხავერი მაინც მოჰყავთ, — აუღელვებლად განაგრძო ალექსანდრემ, — ალბათ, საქიროა და მოჰყავთ. ახლა თვითონ თავმჯდომარემ გვითხრას, რამდენი გვეხარჯება ახალსოფლური ჩხავერის მოსაყვანად? თქვი, პო, უთხარი ხალხს. არ ამბობ? მაშ, მე გეტყვით.

ჩვენს კოლმეურნეობას ყოველი ლიტრი ჩხავერის ღვინო რვა აბაზი უჯდება.

კრება აღელდა, აქაქანდა, არაფრის გაგონება აღარ შეიძლებოდა.

— მე სხვა ჯიშებზე აღარაფერს ვიტყვი. აქვს თუ არა აზრი ჩვენში ჩხავერის მოყვანას? — იკითხა ალექსანდრემ.

— აქვს! აქვს! — აყვირდა ხალხი.

— მეტსაც ვეტყვით: წინასწარი გაანგარიშებით დამტკიცებულია, რომ თუ ჩვენს კოლმეურნეობას სპეციალიზებულ მევენახე კოლმეურნეობად გადავაკეთებთ, უმაღლესი ჯიშის ღვინოების თვითთელი ლიტრის თვითღირებულება ექვს აბაზზე ჰქვეით დაიწვეს. ვინ მოიგებს ამით? აგრონომი იობიძე?

ვილაცას გაეცინა. წაშში ეს სიცილი მთელ კრებას მოედო, გულაინი ხარხარი კი ტაშის გრიალმა დაჰფარა, აგრონომს სიტყვის გაგრძელების საშუალება აღარ მისცეს.

— ვინ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს მთელს ახალსოფელში მევენახეობის დამკვიდრებას? — იკითხა ბოლოს იობიძემ, როცა ხალხი სანახევროდ დაწყყნარდა, — მხოლოდ ორიოდ მშინაბრა, რომლებიც თავიანთ ტყავს უფრთხილდებიან, თავიანთი თბილი სავარძლები ყველაფერს ურჩევენაით, უნდათ ვითამ პირნათლად გამოვიდნენ მთავრობასთან, ნამდვილად კი ზარალს აყენებენ ხალხს და სახელმწიფოს...

სოფელში მამლებმა იყვილეს, კრება კი მაინც არ იშლებოდა.

გადაწყდა, შემდეგ კრებაზე ხელმძღვანელი ამხანაგები მოეწვიათ გულაუთადან და სოხუმიდან. აგრონომ იობიძეს წინადადება მიეცა, განეგრძო თავისი მოვალეობის შესრულება.

ერთ კვირაში საგანგებო კომისია ეწვია კოლმეურნეობას. მთელი სოფელი ფეხზე იდგა: კოლმეურნეობის მომავლის ბედი წყდებოდა.

კომისიამ სწორად სცნო აგრონომ იო-

ბიძის მრავალი წლის მუშაობით მიღებული დასკვნები.

სოფელმა დაუყოვნებლივ დააწყა კოლმეურნეობის თავმჯდომარე და მის ადგილზე აგრონომ იობიძის ახალგაზრდა მოწაფე დააწინაურა.

დაიწყო დიდი ლაშქრობა ვენახისათვის.

ამჟამად ვენახს 72 ჰექტარი უკავია ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში. ვენახის მოსავლიანობის მიხედვით, ორჯონიკიძელები პირველ ადგილზე დგანან მთელ საბჭოთა კავშირში. შვიდწლედის მანძილზე ვენახის ფართობი 100 ჰექტარამდე გაიზარდნა. 100 ჰექტარი! ეს იმას ნიშნავს, რომ კოლმეურნეობის ყოველ გოჯ მიწას ვაზი დაიკავეს!

მე ამას წინათ ვიყავი ახალსოფელში. ალექსანდრე იობიძე ვინახულე. ალექსანდრეს ქიმიური ლაბორატორია მოუწყვია უკრინოვიჩისეულ ხის სახლში, თვითონაც იქვე ცხოვრობს. 67 წლის ჯანმავარი მოხუცი სრულებით არ წაგავს ადამიანს, რომელმაც დიდი ბრძოლა მოიგო, ძველებურად აწრიალებულია...

უკრინოვიჩისეული ძველი სახლი შორი მიმოსვლის ზომალდით აცურებულა ვენახების ოკეანეში. სადღაა მისი აღრინდელი პეწი და მომზიბლაეობა. წითელი კრამიტით გადახურული ლამაზი ოდები უწევენ ახლა მეტოქეობას და მგონია სჯობნიან კიდევ.

იქვე, ათიოდე წუთის სავალზე ცისფერი ექსპრესები მიმოქრიან, რახრახითა და ქოთქოთით მიედინებიან გრძელი სატვირთო მატარებლები, მოასფალტებულ ავტომაგისტრალზე თვალისმომკრელად ბრწყინავენ მანქანები, დამით კი, როცა სოფელი მიწყყნარდება და ყოველივე ცოცხალი ძილს ეძლევა, ყრუდ მოისმის, როგორ ოხრავს უკაცური ზღვა სერი-ბაბას ასწლოვანი ცაცხვების მიღმა...

მერე კახიძე



ფრესკის ღიმილი

(ლალო გულაშვილს)

მე უღრნალიდან ამოვკვერ იგი,
ვით ცხოვრებიდან დიდი სიმართლე,
ის ჩემს ოთახში დღულს, როგორც ფიქრი,
ანთია, როგორც თვალში სინათლე.

მესმის თვალთაშუქის მჯეროდა
ცა მიცინოდა წამწამთ ჩეროდან,
ვით ორი გოჯი მიწა ქართული
ის წამოვიღე საქართველოდან.

ახლაც ოთახში ჰკიდია იგი,
გაზაფხულივით ნაზი და მშვიდი,
და ყოველდამე მესაუბრება,
ვით სიკოცხლე და სიმღერა დიდი.

ჩვენ, როცა ორნი ვრჩებით ოთახში,
და დამე ბრუნავს, როგორც ბორბალი,
ფრესკას ღიმილი სწყდება ღილივით
და ზედ მელვრება როგორც ხორბალი.

როს სიმართოვე—მოწყენის დედა,
აიტუზება ჩემ წინ მუნჯივით,
და მხრებზე ჩემი სამშობლოს სევდა,
დამეკიდება, როგორც ხურჯინი.

ის მე მიყვება, რომ დარჩა კენტად,
და ათასნაირ ტკივილებს ითმენს,
და რომ სხვა არა წამოსცდეს მეტი
ლალის ტუჩებზე მიიდებს თითებს.

ჩვენს მეგობრობას ხელს არეინ უშლის,
უერთმანეთოდ იცის ვერ გაძღვებთ,
მას უციმიციმებს თვალეები ნუშის,
და ფიქრებს მიშლის ვით ფეტვის მარცვლებს.

შევცქერი როგორც მწყურვალე სურას,
და ვიხეპირებ თვალეებით სურათს.

ზოგჯერ ისეთი დრო არის
 ზოგჯერ ისეთი დარია,
 გული დიდგორის მინდორზე
 ბურთივით გასატანია.

მინდა მკათათვის ქვევრივით
 გულს გადავგლიჯო სარქველი,
 როგორც წისქვილის ღარიდან
 გადმოვაქუხო სათქმელი.

ეწვედ სიკაბუკეს ფაფარში,
 ხელი ვუტაცო ავეანდებს.
 რომ შემართული სიმღერა
 ხანჯალივით არ დაეანგდეს.

რომ ვგრუხუნებდე მეხივით
 რომ ვგრიალებდე გრიგალად,
 თქვან იგვარაო სიცოცხლემ
 როგორც ეწადა იმგვარად.

ზოგჯერ ისეთი დღე არის
 ზოგჯერ ისეთი წამია,
 გწამს ლულო შენი სიცოცხლის
 ბურთივით გასატანია!

მარამ გეგეშიძე



ეუ

ყველგან თეთრი ქვები ეყარა, მთელ ფერდობზე. ამ ქვების გამო ფერდობი წააგავდა დიდი ხნის მიტოვებულ სასაფლაოს, სადაც მხოლოდ საფლავის ლოდებია დარჩენილი. ერთმანეთში გადახლართული ეკალბარდები ხმებოდნენ, აქა-იქ, ლოდებს შორის. საურმე გზაც ჩახერგილი იყო ლოდებით და ხის მსხვილი ტოტებით. რბილ, წითელ მიწას მაინც აჩნდა ურმის თვლების ნაკვალევი და ხარების ნაჩლიქარი. მზე აცხუნებდა. შეყვითლებული ბალახი და სერზე შეფენილი თხილის ბუჩქები ღარიბულ ელფერს აძლევდა არე-მარეს. ცხელი პაერი არ მოძრაობდა. ისმოდა განუწყვეტელი ზუზუნი.

სანდრომ ცხვირსახოცი თ მოიწმინდა სახიდან ოფლი და მეორე ბილიკს დაადგა. ეს ბილიკი პირდაპირ ჭრიდა ფერდობს, ბუჩქებსა და ლოდებს შორის. მერე გვერდზე უხვევდა და უნაგირაზე აღიოდა. საურმე გზა შორიდან უვლიდა ბორცვს. გზა თეთრად ქათქათებდა მზეზე. აქ იყო კირიანი, წითელმიწა ნიადაგი: ქვებიც თეთრი იყო. მზე ახლა პირდაპირ კისერში აჭერდა სანდროს და მის ხალათზე ოფლისაგან ჭრელი ზოლები გაჩნდა. სანდრო მიდიოდა სწრაფი და ზომიერი ნაბიჯით, რადგან, მსუბუქი კედები ეცვა და ქვებზე სიარული არ უჭირდა. შორიდან მოჩანდა ქედი. ქედის ორივე მხარე ტყით იყო დაფარული. მხოლოდ ეს ადგილი იყო მოტიტკვლებული და ხრიოკი ამ არემარეზე. ბოლოს სანდრო უნაგირაზე ავიდა. გრილოდა. საიდანაც უბერავდა ნიავი და გრილოდა. ქვემოთ მოჩანდა ტაფობში გაშენებული სოფელი. სულ ათიოდე მოსახლე იყო ამ სოფელში,

მაგრამ ყველა სახლი მაინც არ ჩანდა ხეების გამო. ხეები ფარავდა ეზოებს. სოფლის შუაგულში პატარა ლელე გადიოდა და მისი ნაპირები მზეში თეთრად ქათქათებდნენ. მიწა კირისაგან აქაც თეთრი იყო. სანდრომ სოფლის ბოლოს დაინახა ევტიხის სახლი. ეუს სახლი ბექობზე იდგა: ბექობს ფერდობი აღდიოდა ზემოთ, რომელიც თხმელის ტყით იყო დაფარული. იმ ფერდობს კიდევ მეორე ფერდობი მიყვებოდა მაღლა, სადაც წიფლის და კაკლის ხეები ხარობდნენ.

მთელ სივრცეზე ტყიანი კორტოხები იყო ირგვლივ. მხოლოდ სოფლის გადაღმა უძრავად იდგნენ მზეზე გარუჯული და გახრუჯული გორაკები. იყო სიჩუმე და უძრავობა. ხეები და ისლით დახურული მეგრული ფაცხები უძრავად იდგნენ, სოფელს თითქოს ეძინა, ამ შუადღისას თითქოს ყველანი გადაკარგულიყვნენ საღდაც. სოფლის გულში, მინდორზე გაფანტული ძროხები არ მოძრაობდნენ. სანდროს მოეჩვენა თითქოს იგი უყურებდა უხარმზარ ფოტოგრაფიულ სურათს და არა სინამდვილეს. მერე ისევ ადგა და ქვემოთ წამოვიდა. ოფლი შეაშრა.

ახლა გზა ოღორიოღორი იყო, მაგრამ სხვანაირად არ შეიძლებოდა დაშვება. გზის ორივე მხარეს გაუვალი ეკლები და ჭინჭრები დაბურდულიყვნენ. სანდროს არ უნდოდა ეკლებში და გვიმრებში ევლო, თუმცა იქ ვიწრო ბილიკი გადიოდა, გველების ეშინოდა. ეს ადგილები გველებით იყო საესე. სანდრო ვერ იტანდა გველებს. ან რა სასიამოვნოა, გველი რომ შემოგვხვიოს. ერთხელ მდინარეში ბანაობის დროს სანდ-

როს გველი შემოეხვია ფეხზე. ეს იყო ძალიან საზიზღარი გრძნობა. როცა მან რაღაც სლიპი და ცივი იგრძნო სხეულზე, იმოდენა დაიღრიალა ზიზღისაგან, რომ მზეზე წამოწოლილი ამხანაგები გულგახეთქილი მოცვივდნენ ნაპირთან და ეგონათ, რომ რაღაც უბედურება მოხდა, ვიღაც დაიხრჩო. ეს იყო ბავშვობაში. მაშინ სანდრო თორმეტი წლის იქნებოდა. მერე სანდრომ ძაბასაგან, ეუს ცოლისაგან. შელოცვა ისწავლა და იმდენად აღარ ეშინოდა, მაგრამ ზიზღს ყოველთვის განიცდიდა. მაშინაც, მდინარეში უფრო ზიზღისაგან დაიღრიალა, ვიდრე შიშისაგან. სანდრო მოგონებების ბურანში გაეხვია და გაელშია.

მერე შედგა, საურმე გზა გადაღობილი იყო. სანდრომ გააღო ჭიშკარი, ისევ დაკეტა და სინის რგოლი ჩამოაცო საარებს. გზა-სწორეზე გავიდა.

ლეღის გასწვრივ, თეთრად მოჭათქათე ბილიკზე სანდრომ დაინახა ვიღაც კაცი. ის მიდიოდა ძალიან ნელი ნაბიჯებით. სანდრომ იცნო ეუ და ნაბიჯს აუჩქარა. მერე დაუძახა:

— ეუ! ეუ!

ეუ გაჩერდა და დაუცადა სანდროს. როცა სანდრო დაეწია, გზა ორივემ ერთად განავრქეს.

— სად იყავი, ეუ, ძროხები მიადენე? — კითხა სანდრომ.

— ხო, — უპასუხა ეუმ.

ეუს ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა. — „აბა თუ შემეკითხება, მე სად ვიყავი“, — გაიფიქრა სანდრომ, მაგრამ ეუს არ უკითხავს. სანდროს უმიზეზოდ გაეცინა. ეუს ძალღი პახულა კუდის ქნევით დარბოდა ბუჩქებში და რაღაცას დაეძებდა. ისინი ნელა მიდიოდნენ, რადგან ეუ კოჭლობდა. ეუს უკვე რამდენიმე წელია უზარმაზარი კოყრები ქონდა ფეხის გულეზე, მაგრამ ეზარებოდა ქალაქში წასვლა ოპერაციის გასაკეთებლად, და კოჭლობდა. კოყრები ძალიან უშლიდა სიარულს.

ქალის შემდეგ ისევ აღმართი იყო, ოღონდ პატარა. ეუს სახლი ჯერ არ ჩანდა, მთის ფერდი ეფარებოდა. სად-

ღაც ფრუტუნებდა ცხენი, ეტყობა, ბუჩქებს იგერებდა. ცოტა ხნის შემდეგ სანდრომ დაინახა სასახლის ნანგრევი ცაცხვის ხეებს შორის. ეს იყო ძველისძველი სასახლე. ქვის გალავანზე სურო ამოსულიყო. თითონ ქერჩამოჭეული სასახლეც, მშვიდად იდგა სუროთი და ხაცით ამწვანებული.

ეუ და სანდრო მიწაზე დასხდნენ ცაცხვის ხეების ჩრდილში. ეუ ძლივს დაჯდა ვიწვიშით, სანდრო უცხად დაეგლო ბალახში.

— ცხელა, შობელძალი, — თქვა ეუმ.

სანდროს ტანს ქვემოდან კალია ამოხტა და განზე ისკუპა. პახულა ენავად მოგდებული დარბოდა ბუჩქებში, მერე სადღაც გაიქცა და დიდხანს არ გამოჩენილა.

— პახულა, პახულა, — დაუძახა ეუმ. აქლოშინებულმა პახულამ მოირბინა, ეუს წინ გაუჩერდა და კუდის ქნევა დაიწყო. ეუმ თავზე გადაუსვა ხელი.

— სანადიროდ არ დაგყავს? — კითხა სანდრომ.

— წელს არა — უპასუხა ეუმ, — სექტემბერში იწყება ნადირობა და წავიყვან.

— თოფი რომ არა გაქვს?!

— თოფს ვიშოვი!

სანდრომ თავის დასვრილ კედებს დახედა. კედები მიწით იყო დასვრილი. ეუმ თოფი შარშან შემოდგომამზე გაყიდა და ფულით სახლისათვის ყავარი იყიდა. მანამდე სახლი ხუთი წელიწადი გადაუხურავი იყო, ერთი პატარა ოთახის გარდა. წელს როგორც იქნა მოათავა ეუმ სახლის მშენებლობა, თუმცა აივანზე იატაკი დაუგებელი დარჩა. მაგრამ, რაც მთავარი იყო, მოათავა.

— ესეც ასე. — თქვა სანდრომ, — ძალიან ცხელა.

— მუცელი ამტკივდა, შობელძალი, — თქვა ეუმ.

ის წამოდგა და ნელა გასწორდა წელში. მერე სასახლარისაკენ გაემართა. სანდროც გაყვა.

— შენც მოდიხარ? — კითხა ეუმ.

— ხო.

სასახლეს ზემოდან ჰკერი არ ჰქონდა. ზემოთ ჩანდა ლურჯი ცა და თხლად გამოლილი თეთრი ღრუბლები. ორივემ ზემოთ აიხედეს.

— ძალიან კარგი სასახლეა, — თქვა სანდრომ, — ორსართულიანი ყოფილა.

ქვის კედლებში დატოვებული ფანჯრებიდან ჩანდა ხეები. მიწა-კი სულ ჰინჰრებით იყო მოფენილი. გვერდზე ბნელი ტალანი იყო და მეორე სართულზე ასავლელი ვიწრო კიბე.

— ვინ იცის წინათ აქ რა ხალხი ცხოვრობდა! — თქვა სანდრომ.

— აბა, — თქვა ეუმი.

— ქეიფობდნენ და დაჰკნებდნენ ალბად ცხენებს ამ გალავანში. რას იფიქრებდნენ რომ სასახლე დაინგრეოდა.

— სად არი ეხლა ის ხალხი, ა?

— მიწაში, — თქვა სანდრომ.

— ჩვენიც ისე ვიქნებით, — თქვა ეუმი.

სანდრო წამოდგა.

— აღარც მიწაშია ის ხალხი. აღარ-სად არ არიან, — თქვა მან, — გაქრა ის ხალხი, მაგრამ სასახლე დარჩა.

— რად გინდა მერე?, — თქვა ეუმი, — ცარიელი სასახლე გინდ ყოფილა და გინდ არა.

ეუმი ადგა. მერე ორივენი გარეთ გამოვიდნენ სუფთა ჰაერზე. შორიდან ისმოდა ვილაცის ყვირილი. ვილაცა უძახოდა ვილაცას, შორს, ტყეში.

ეუ ბილიკს გაუყვა სტვენით. ძალიან უყვარდა ეუს სტვენა. „ზოგჯერ კარგია სტვენა, — გაიფიქრა გულში სანდრომ, — ზოგჯერ უნდა დადგე და უსტვინო. არც არაფერი უნდა თქვა, არც არაფერი უნდა გააკეთო, უბრალოდ უნდა უსტვინო შენთვის. რამდენიც გინდა უსტვინე შენთვის, არავინ არ დაგიშლის. როცა საქმე არა გაქვს, უნდა უსტვინო. ამას არაფერი არ ჯობია“. ახლა სანდროც აყვა ეუს და ორივენი უსტვენდნენ. სტვენით მიდიოდნენ ბილიკზე. სიცხე კლებულობდა. ეუს ლურჯი ხალათი, გახუნებული შარვალი და დახე-

ული ჩუსტები ეცვა. როცა მან შეამჩნია, სანდროც უსტვენდა, გახუნდა ხანდრომ ცოტა ხანს მარტო განავრძობს სტვენა, მაგრამ მერე მობეზრდა და შეწყვიტა. ტყიდან სასიამოვნო სიგრილე მოდიოდა. ფერდობზე ჩრდილი იყო. ჩრდილის ნაწილი ჰალას ეცემოდა.

— სადაა, იმ ჰალაში რომ კეკუა ცხოვრობდა? — კითხა სანდრომ ეუს, — სად გადასახლდა?

— კეკუა? — თქვა ეუმი, — კეკუა სენაკში გადასახლდა.

— რა უნდა სენაკში?

— რავე რა უნდა, თეთრ პურს ჰკამს. სანდრომ მხრები აიხეჩა. ახლა ორივენი ერთად მიდიოდნენ. ფერდობის იქით ეუს სახლი გამოჩნდა. უცხად ბუჩქებიდან გველი გამოძვრა და დაიკლავნა ბილიკზე. სანდრო შეკრთა.

— აუ! — დაიბრადა ეუმი და მიწაზე ქვას დასწვდა. მაგრამ გველმა შეასწრო ბუჩქებში. ეუმი რამდენიმე ქვა აიღო და დაუშინა ბუჩქებს. პახულამ ყეფა ატეხა.

— გაგვექცა, შობელძაღლი! — თქვა ეუმი.

სანდროს მოაგონდა შელოცვა: „აი, ოჯგიში, ოჯგიში, გვერს მეტახი ოჯიში, დღას მის გუუგებუნე, გვერს ულუს გედგუდუნე, გოლას ოზონაფუანდეს“.

— იცი? — გაუკვირდა ეუს.

— ძაბამ მასწავლა, — უთხრა სანდრომ.

— მომრაველდა გველები...

— არ მიყვარს გველები. ერთხელ ფეხზე შემომეხვია ღელეში, კინაღამ გული გამისკდა.

— ოპო, მახსოვს, — გაუხარდა ეუს.

— მაშინ შენ პატარა იყავი.

— ხო. ათი წელი იქნება მას მერე.

— ეგ რაა. მე წყაროში ვნახე ერთ წელიწადს გველი.

— მერე?

— მერე დავიჭირე და მოვკალი.

— როგორ დავიჭირე?

— ჯობით. ამოვიყვანე წყლიდან ჯობით და ქვით მოვკალი.

— იმ წყალს სვამთ ეხლა?

— კი, რა უჭირს?! გველი სუფთაა. სანდრომ ქვემოთ გაიხედა, პატარა რუ გარბოდა ქვებზე.

— ვილაც გვაგინებს, შობელძალი, — თქვა ეუმ.

— გვაგინოს რა. რამდენიც უნდა გვაგინოს.

ბოლოს ეუს სახლთან მივიდნენ. მანამდე დურუს სახლს აუარეს გვერდი. დურუ ეუს მეზობელი იყო, თითქმის სანდროს ტოლი. ჰიშკართან ღორები ჰყვიტინებდნენ და ეზოში შესვლას ლამობდნენ. სანდრომ და ეუმ პატარა ღელე გადაიარეს და ეზოში შევიდნენ. პახულა პირდაპირ ღობეზე გადმოხტა. ღორები ისევ მოაწყდნენ ჰიშკარს და უფრო აჰყვიტინდნენ.

სასიმიინდედან გამოვიდა ძაბა.

— სად იყავი, სანდრო? — იკითხა ძაბამ.

— დავდიოდი, — უპასუხა სანდრომ

— არ დაიღალე, შვილო?

— არა!

— კარგი მაშ. სადილი მალე იქნება.

ეუ ტახტზე ჩამოჯდა კოპიტის ქვეშ და სტვენა დაიწყო. ორი უზარმაზარი კაბიტი იდგა ერთმანეთის გვერდით და შათი ჩრდილი თითქმის მთლიანად ფარავდა ეზოს ნაწილს. ძაბა სასიმიინდეში შებრუნდა. სანდრომ პერანგი გაიხადა და წელს ზემოთ შიშველი დარჩა. მას ეცვა კოხტა, ტანზე შემოჭერილი შარვალი და ახალი კედები. ტანი ფოლადისფრად უბრწყინავდა. „აუ, რა შავი ვარ“ — გაიფიქრა სანდრომ.

— პახულა, პახულა, ეციო, ეციო. ქის, — დაიძახა ეუმ.

— პახულა ყეფით გაიქცა ჰიშკარისაკენ და ღორებს დაერია. ღორები ჰყვიტინათ გავარდნენ ბილიჯზე და ბუჩქებს შეეფარნენ. ცოტა ხნის შემდეგ პახულა დაბრუნდა ეზოში, ენაგადმოდებულები და უკანა ფეხით ყურის ფხანა დაიწყო.

სიციხე-კი თანდათან იკლებდა. სანდრო ჩამოჯდა ეუს გვერდით ტახტზე და ახლა ორივენი იყურებოდნენ წინ, კეკუას ნასახლარისაკენ.

— არ გწყინდება, ეუ, ამ ტყემი? — იკითხა სანდრომ.

— რა ექნა? — უპასუხა ეუმ.

„არ წყინდება“, გაიფიქრა სანდრომ.

ღორები ისევ მოვიდნენ ჰიშკართან და აჰყვიტინდნენ. სახლის უკან სიმიინდეში ქათმები კრიახობდნენ.

— ამ წუთში იქნება სადილი, ახლავე ღომს მოვზელ! — დაიძახა ძაბამ.

ეუმ გრძელ, ჰალარა უღვაშებზე გადაისვა ხელი. მერე მიწიდან წიკპლა აიღო და პაერში აქნევდა.

— ეუ, შენ საქონლის ხორცი გიყვარს, ხო! — იკითხა სანდრომ.

— ოო, საქონლის ხორცი კარგია, შობელძალი, — თქვა ეუმ.

— შემწვარი, არა?

— ოო, — გამოცოცხლდა ეუ, — ერთ წელიწადს მე და ძუკუმ, დურუს მამამ, ხუთი კილო ხორცი შევჭამეთ.

— ხუთი კილო რამ გაქამათ?

— აბა!

— ხუთი კილო ძალიან ბევრია.

— რა არი ბევრი? მეტს შევჭამ...

ეუ საბოლოოდ გამოცოცხლდა.

— დათვის ხორცი გიჭამია?

— რაფა არა?! — იყვირა ეუმ სიხარულით, — დათვის ხორცი მომეყავა.

— მომეყავო კი არა მოტკბოა.

— მოტკბოა, მაგრამ ხვადავის ხორცს ვერ ჯობია.

— ხვადავის ხორცი გემრიელია.

— გემრიელიცაა და ხვავიანიცა...

— ეუ, სანდრო, მოდი, ვისადილოთ! — დაიძახა ძაბამ სახლიდან.

ეუს აღფრთოვანება უცბად დაცხრა და ახლა სიმშვიდეში და კმაყოფილებაში გადავიდა. ისინი წამოდგნენ და სახლისაკენ გაემართნენ.

შუა ოთახში ისადილეს. ღია ფანჯრიდან მოჩანდა სიმიინდის წვეროები. სიმიინდი უკვე ფანჯრამდე აღწევდა.

სადილის შემდეგ ისევ ეზოში გამოვიდნენ.

— აღარ ცხელა, — თქვა სანდრომ.

ძაბა სახლის უკან ქათმებს ელაპარაკებოდა. მერე კოპიტისაკენ გამოიარა და სანდროს უთხრა:

— ისე შემაწუხა ამ სიცხემ, კაცი რომ იყოს ვენახებზედ.

— აღარ ცხელა, — უპასუხა სანდრომ.

ძაბა ჭიშკართან მივიდა და ღორებს ტამტიდან დაჩეჩილი კვახები დაუყარა. თითონ ღობის აქეთ იდგა. ღორებმა კინალამ დაჭამეს ერთმანეთი. ძაბამ მიაწყველა და უკან დაბრუნდა, სასიმინდეში.

— შეიცვალა ცხოვრება, — თქვა ეფემი. იგი ისევ კეკუას ნასახლარს უყურებდა.

— რატომ? — კითხა სანდრომ.

— ხალხი განვითარდა, ყველა ბარში მიდის. ა, კეკუა წავიდა.

სანდრომაც გაიხედა კეკუას ნასახლარისაკენ. ეზო გადახნული იყო და მუხუდო ეთესა.

— ნესტორ გუნია წავიდა, ნოჩო ადამია წავიდა... ათი კომლი დავრჩით.

— რა უნდათ კაცო, რატომ მიდიან აქედან, აქ ცხოვრება უკეთესი არ არი? —

— რითია უკეთესი? ამ ღრანტეებს ქალაქი ურჩევნია ყველას. აქ ნავთისათვის ხუთ კილომეტრზე უნდა წახვიდე. ქალაქში ყველაფერი იშოვება. როცა ვინდა ხვადავის ხორცს იშოვი, პურს იშოვი, კონიასს დალევ. ოო, მიყვარს კონიასი, შობელმალლი.

— ღვინო არ გიყვარს?

— ღვინოც მიყვარს.

— მოკლედ, შენ კარგი ჭამა-სმა გიყვარს, — გაიცინა სანდრომ.

— კარგი ჭამა-სმა ყველას უყვარს, — დაეთანხმა ეფემი.

სიცხე სულ დაცხრა. მზე ყვითელი. სუსტი შუქით ანათებდა ტყეებს და ეზოს. ჭიშკარს ბღველით მოადგნენ ძროხები.

— ეფემი, შემოუშვი ძროხები! — დაუძახა ძაბამ ეფემს.

ეფემი ზანტად წამოდგა ტახტიდან და კოკლობით გაემართა ჭიშკრისაკენ. სანდრომ თვალი გადადევნა მას. მერე ხალათი გადაიცვა და ძაბასთან მივიდა. ძაბა სასიმინდესთან ძროხებისათვის წყალს ამზადებდა.

— შე წავალ, ფერდობს ავივლი,

ღვიდა, — უთხრა სანდრომ.

— აჰ, სად წახვალ, გზა არ დაგეხნეს, სადამოა, — შეიცხადა ძაბამ.

— არ დამეზნევა, მალე დავბრუნდები, — უთხრა სანდრომ.

— კარგი, შვილო, წადი, ოღონდ მალე დაბრუნდი, — უთხრა ძაბამ.

სანდრომ გაიარა სიმინდის ყანა, გადავიდა ღობეზე და ფერდობს აყვა. ფერდობი ტყიანი იყო, მაგრამ იქ, სადაც სანდრომ მიდიოდა ტყე არ იყო. გამშრალ მიწას ეტყობოდა საქონლის ნაკვალევი. სანდროს ჩრდილი ძალიან დაგრძელდა მთელ ფერდობზე, თითქოს სანდრომ უზარმაზარი სიგრძის კაცი იყო. სანდრომ მიდიოდა და უყურებდა თავის ჩრდილს. გრილოდა და სანდროს სიამოვნებდა, რომ წამოვიდა. მერე ბუჩქებში გაძვრა და ისევ აყვა ბილიკს. შორიდან ისმოდა, როგორ უძახოდა ვიღაცა ვიღაცას, სოფლის ერთი თავიდან მეორეში. სანდრომ ფერდობის ბოლოს მინდორზე გავიდა და დაჯდა. ქვემოთ მოჩანდა ეფემის სახლი, ღურუს სახლი და კეკუას ნასახლარი. მზე ჩადიოდა. მთელ სივრცეზე პატარ-პატარა კორტოხები მოჩანდა. გორაკები ისე იდგნენ ერთმანეთის გვერდით, როგორც ეკლესიები. ირგვლივ იყო სიმწვანე და სიმშვიდე. სრული მყუდროება იყო ირგვლივ. პაერში იდგა მიწის და ბალახის გრილი სუნი. მოპირდაპირე ფერდობზე მწვანე ტყეს ბილიკის ყვითელი ზოლი კვეთდა ორად. მზე უფრო იწეოდა ქვემოთ. ახლა იგი გორაკის თავზე იჯდა ცის დასალიერთან. ჩასვლის წინ მზე ვახდა ჩვეულებრივზე უფრო დიდი და ჩვეულებრივზე უფრო წითელი. მერე მზე კიდევ დაიწია დაბლა და მხოლოდ მისი ნაწილი მოჩანდა, მერე ის ნაწილიც დაპატარავდა, თანდათან დაპატარავდა, დაეწროვდა, მერე სულ დაპატარავდა და ბოლოს გაქრა. ერთბაშად დაბინდდა. სანდრომ გაიფიქრა, რომ მზე ჩავიდა სადღაც ზღვაში. თვალწინ წარმოუდგა ზღვა, ღურჯად მოლივლივე ტალღებით. ზღვის მოგონებაზე მოაგონდა ბათუმიც და იქ წინა ზამთარს გატარებუ-

ლი დრო. „რამდენი სისულელე ჩამიდენია ცხოვრებაში“, — გაიფიქრა სანდრომ. წინა ზამთარს სანდრო ბათუმში ცხოვრობდა ერთი თვე და ამ ერთი თვის განმავლობაში შეუყვარდა ერთი ქალი. მაგრამ მერე ყველაფერი აირ-დაირია. ახლა სანდროს ახსენებოდა თავისი სიყვარული და ხან ეცინებოდა ხან ცხვენოდა. ცხვენოდა თავისი უაზრო საქციელის, როგორ ჩახტა გაყინულ წყალში საბანაოდ მთვრალი, როგორ ამოხტა იქიდან სამარცხვინოდ და როგორ ეგდო ნაპირზე. სანდროს მოაგონდა ყველაფერი და მერე გაეცინა. ზოგჯერ სანდროს ეგონა, რომ ეს ყველაფერი მის ცხოვრებაში კი არ მომხდარა, არამედ ვიღაც სხვა სანდროს დაემართა ასეთი რამ. „როგორ შევიცვალე, სულ სხვა ადამიანი გავხდი, — გაიფიქრა სანდრომ, — რატომ შეგონა, იმ ქალის გარეშე ცხოვრება არ შემოიძლია? ძალიან შევიცვალე ამ ბოლო დროს!“ მერე სანდროს მოაგონდა თბილისი, თავისი თბილისელი ამხანაგები. ზოგი დაცოლშვილდა, ზოგმა სხვა გასართობი იპოვა, ხან აქებენ ერთმანეთს. ხან აგინებენ თუმცა, არაფრით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ბედნიერები და კმაყოფილები არიან. „მე როდისლა ვიქნები ბედნიერი? — გაიფიქრა სანდრომ — არ ვიცი! ბედნიერება წინ არის, ბედნიერებას მე ყოველთვის ველი და, არ ვიცი, როდის მოვა. მე არ ვიცი რა არის ბედნიერება, მე ველი მას“. მერე სანდრო ფიქრებიდან გამოერყვა და შეამჩნია, რომ სულ ბნელოდა, ცა სულ შავი იყო. ეუხს სახლი აღარ ჩანდა ქვემოთ, მხოლოდ პატარა სინათლე მოჩანდა იმ ადგილზე, სადაც წესით ეუხს სახლი უნდა მდგარიყო.

„ჩუმად დადამდა“, — გაიფიქრა სანდრომ. ის კმაყოფილი იყო ამ საღამოთი.

— სანდრო — უუუ! — მოესმა მისუსტებული ძახილი ქვემოდან.

„— ეუ იძახის“, — გაიფიქრა სანდრომ,

წამოდგა და დაიძახა:

— აუუუ!

ხეობის ბოლოს ვიღაცამ გაიმეორა ეს ძახილი სანდროს ხმით: *არცნაურად*
— აუუუ!

სანდრომ ყური დაუგდო სიჩუმეს. სასიამოვნო იყო ეს მშვიდი სიჩუმე.

— სანდრო, უუუ! — მოესმა ისევ.

— აუუ, მოვდივარ! — დაიძახა სანდრომ და თავქვე დაეშვა. „ტურებივით ვკვივართ“ — გაიფიქრა უცბათ სიბნელეში მიმავალმა.

ლობესთან სანდროს ძაბა დახვდა პრაქტით.

— შენ იძახოდი, დეიდა? — კითხვა სანდრომ.

— ხო, შემეშინდა, — უპასუხა ძაბამ. — გზა ხომ არ დაგებნა?

— არა.

— წამო, აბა, რძე დალიე. მზად არი, შვილო, რძე. ეუ გიცდის.

„როგორ ვერ ვიცანი ძაბას ხმა?!“ — გაიფიქრა სანდრომ.

ეუ აივანზე იჯდა და ყალიონს ამოლებდა. ძაბამ ქურჭლის დალაგება დაიწყო მაგიდაზე. სანდრო აივნის მოაჯირზე ჩამოჯდა და ფეხები გადააწყო ეზოსკენ.

— აგრილდა, — თქვა მან ცოტა ხნის მერე.

— ხო, — თქვა ეუმ.

კიშკარმა გაიჭრიალა. სანდრომ დაინახა, როგორ შემოვიდა ეზოში ვიღაც ქალი და უკანა ოთახისაკენ გაემართა. პახულას არ დაუყეფია, აწკმუტუნდა. სანდრომ ვერ იცნო ქალი.

— ვინ არი ეს ქალი? — კითხვა ეუს.

— ღურუს ცოლია, — უპასუხა ეუმ.

— ღურუმ ცოლი ითხოვა? — კითხვა სანდრომ.

— ხო, ითხოვა — უპასუხა ეუმ — ოტობაიდან მოიყვანა ეს ქალი!

— უყურე ღურუს... არ ვიცოდი... თქვა სანდრომ.

— მოდით, დალიეთ რძე, — დაიძახა ძაბამ ოთახიდან.

ოთახის კუთხეში, ღურუს ცოლი იდგა კარებთან. მას ეცვა შავი კაბა და ფეხშიშველი იყო.



— ეს დურუს ცოლია, — უთხრა ძაბამ სანდროს.

სანდრომ ხელი ჩამოართვა დურუს ცოლს. ქალს ძალიან შერცხვა და გვერდზე გაიხედა. სანდრო მაგიდასთან დაჯდა. ეუ უკვე იჯდა და ხაჭაპურს ჭამდა.

— კაცო, შენ რომ დაჯექი და მიიროთმევე, არ უნდა შეებატიყო სტუმარს? — გაუწყრა ძაბა.

— რა შეებატიყება უნდა, აგერაა საკმელი და ჭამოს — თქვა ეუმ.

— შე რა სტუმარი ვარ, — თქვა სანდრომ და უცხად უხერხულობა იგრძნო. მას ცოტათი ეწყინა, რომ სტუმრად ჩათვალეს მამამისის გამზრდელებმა.

— სტუმარი ხარ, აბა რა ხარ, შეილო, ათ წელიწადში ერთხელ ჩამოდიხარ ჩვენთან, — უთხრა ძაბამ.

ძაბა და დურუს ცოლი გარეთ გავიდნენ. სანდრომ ჭამა დაიწყო. მას ძალიან სიამოვნებდა მარილიანი რძე და ხაჭაპური. ეუს შემხედვარეს უფრო გაეღვიძა მანდა. ეუმ მეორე ჭიქა რძე დაისხა ქოთნიდან და ჩახვრიბა: სანდრომ ჭამა მოათავა და ეუს დაუცადა. შერე ორივენი აივანზე გავიდნენ და ჩამოჯდნენ შოჯირზე. წელანდელივით. ძალიან ბნელოდა. ჭრიჭინობელები განუწყვეტლივ ჭრიჭინებდნენ: სანდრომ ყური დაუგდო ჭრიჭინობელების ჭრიჭინს სიბნელეში, ყური დაუგდო ლამის სიჩუმეს, რაღაც უცნაურ, ჩუმ ხმებს, რომლებიც მოისმოდა ჩუმში და ბნელი ქვეყნიდან და უცებ საშინელი მოწყენა იგრძნო.

ეუ ხმადაბლა უსტვენდა.

— ნი-ნაა! — დაიძახა ვიღაცამ შორიდან.

— ოო! — უბასუხა ეუმ ხმადაბლა.

— ნიი-ნაა! — დაიძახა ისევ ვიღაცამ...

— ოო! — ოდნავ აუწია ხმას ეუმ.

— ტელეფონში ხომ არ ლაპარაკობ?! — უყვირა ეუს აივანზე გამოსულმა ძაბამ; — ვერ აუწიე ხმას? — და დურუს ცოლს დაუძახა: — მოდი, ნინა, გიძახიან!

ნინა გამოვიდა აივანზე და ხმამაღლა იყვირა:

— მოვდივარ, დურუ, მოვდივარ!

— მოდი ჩქარა! — დაიძახა დურუმე

— ჩემი სიკვდილი, *საღმარეობა* ატირდა, — თქვა ნინამ.

მერე ის და ძაბა უკანა ოთახში გავიდნენ და ეუმ სტვენა განაგრძო. ძახილი შეწყდა.

— მამ, გიყვარს საქონლის ხორცი ეუ, არა? — გაახსენდა ისევ სანდროს.

— ხო, მიყვარს. საქონლის ხორცი ხვევიანია.

— ქათმის ხორცი არ გიყვარს?

— რაა ქათმის ხორცი? ერთ ჭამაზე არ გეყოფა კაცს.

— მართალი ხარ, — დაეთანხმა სანდრო.

დურუს ცოლმა ნინამ ჩუმად გაიარა ეზო. ლანდივით, და შევიდა ტყეში. სიბნელეში გაიჭრიალა ჭიქარმა.

— ეუ. — თქვა სანდრომ, — ჯარში რომ იყავი, როგორ ძღებოდი?

— ჯარში? ჯარში სუპს რომ ეკამდელი ყური იქით მქონდა „დაბაკას“ როდის დაიძახებენ-მეთქი და გავრბოდი.

სანდრომ გაიცინა.

— წამოდი ეუ თბილისში. ისეთ მწვადებს გაქმევე არასოდეს არ დაგაიწყდება და ისეთ ღვინოებს დაგაღვინებ რომ... რა გითხრა?... — თბილისი შორსაა...

— რას ამბობ, როგორ არი შორს?!

— შორსაა. რა მინდა თბილისში?

ახალგაზრდობაში არ წაესულვარ და ახლა წავიდე?

— ქუთაისში ყოფილხარ?

— არც ქუთაისში ვყოფილვარ. სენაკში ვიყავი, ფოთში და ბათუმში. ფოთში სიმინდი ვიყიდე ახლანდელი ომის დროს.

— ბათუმში რაღა გინდოდა?

— ბათუმში ჯარში ვიყავი, ნიკოლოზის დროს. იქაური ხალხი საკმელს ერთი გობიდან ჭამდა. დაიდგამდნენ შუაში გობს, ირგვლივ შემოუხსნებოდნენ დიდი და პატარა და ჭამდნენ ფლავს. ფლავი ძალიან უყვართ.

— შენ გიჭამია ფლავი?

— როგორ არა... იქაური ქალები პირაკრული დადიოდნენ.

— ახლა ეგრე აღარ არი, ეუ! ახლა ფლავს კი არა ღორის ხორცს ჭამენ აჭარლები.

— წინათ ფლავს ჭამდნენ. ახლა ყველგან შეიცვალა ცხოვრება.

— წამოდი, ეუ, თბილისში; იქ უნდა ნახო რა ამბავია.

— რა მინდა, კაცო, თბილისში. შორისაა.

შორიდან ისმოდა, როგორ კიოდა ტურა, სადღაც ტყეში, თითქოს ვიღაც გზადაკარგული კაცი ეძებდა მეორეს, მთელი დამე კიოდნენ ტურები.

მეორე დილით სანდრო გამოემშვიდობა მასპინძლებს და წამოვიდა: მანამდე ეუსთან ერთად არაყი დალია საუზმეზე. ეუს გული აუჩუყდა გამოემშვიდობების დროს. იგი იჯდა ტახტზე და ძლიერს იკავებდა ცრემლებს. სანდრომ გადაკოცნა ეუ, მერე ძაბა.

— სულ ნუ დაგვივიწყებ, შეილო; მართალია დავებრდი, მაგრამ ხანდახან ჩამოდი და გვინახულე ხოლმე. — უთხრა ძაბამ, — მამამენის გამზრდელები ვართ.

— ჩამოვალ, — უბასუხა სანდრომ, — როცა დროს ვიშოვი ყოველთვის ჩამოვალ, თონდ არ გადასახლდეთ აქედან.

— არა, შეილო, ჩვენ არ გადავსახლდებით, — უთხრა ძაბამ, — ეუს სადღა აქვს მაგის თავი. ახალგაზრდები მიდიან ქვემოთ, თორემ ბებრები ვრჩებით ჩვენ ადგილებზე.

— აბა, ყოჩაღად იყავით და არ გადასახლდეთ აქედან.

სანდრო წამოვიდა. მან ღელეზე გადადებული ხიდი გადაიარა, მერე კეკუს ნასახლართან ღობეზე გადახტა და პირდაპირ გადაჭრა მუხუდოს ყანა. მიწა რბილი იყო და ფეხი ეფლებოდა. ზემოთ ხეებს შორის მოჩანდა დურუს სახლი. სანდრო ღელეს გასწვრივ თეთრ ბილიკს მიყვებოდა. ქვემოთ ტაფობი მოჩანდა. იქ ისევე იდგნენ უმოძრაოდ ძროხები, ვაჭკვეულებივით. სიციხე მატულობდა. სანდრო თანდათან გაოფლიანდა. ბუჩ-

ქებში და ჯაგებში კალიები ზუზუნებდნენ. ღობეებთან ანწლი სმოსულყო. სანდრო ერთი წუთით შედგა და უკან გაიხედა. ეუს ეზოდან მოწმენდილ ცაზე ბოლი აღიოდა. არ ჩანდა ძაბა და არც თითონ ეუ. მწვანე ბალახს ეზოში მოყვითალო ფერი გადაკეროდა დილის მზისაგან. ამ უძრაობაში სანდროს ისევე მოეჩვენა, რომ იგი არ უყურებდა სინამდვილეს. მერე დიდხანს მიდიოდა აღმართზე. ავე, ნოჩო ადამიას სახლი მოსახვევში. სადღაა ღობე, სადღაა ასწლოვანი ვაცხები, ჭიშკართან რომ იდგა. ევანთა გვერანებულა. მხოლოდ ისლით დახურული ფაცხა დარჩენილა ძველებურად და იქაც ღორები ღრუტუნებენ. სანდროს აღარ მოუთმინა გულმა და ეზოში შევიდა. მაღალი კოპიტები, რომელთა ჩრდილი წინათ მთელ ეზოს და გზის მონაკვეთს ფარავდა, ძირში მოუჭრიათ; ბოსტნის ღობე მოურღვევიათ. გადაშენებულია აბიზინებული მწვანე მოლი. სანდრომ გონების თვალით წარმოიდგინა ეს კარ-მიდამო, როცა კოპიტები იდგნენ თავიანთ ადგილზე და გული დაწყდა. სულ სხვანაირი იყო მაშინ ეზო. ნოჩო ადამია სენაკში წავიდა და ორსართულიანი სახლი დაიდგა. ალბად სწორად მოიქცა ნოჩო ადამია, რომ წავიდა. ალბად ასეა საჭირო, რახან ასე ხდება; რახან ყველანი მიდიან, ასეა ალბად საჭირო. ყველაფერი შეიცვალა. სანდროს ბავშვობა აქონდა გატარებული, დაკავშირებული. სანდროს გული დაწყდა, რომ ბავშვობა წავიდა, ის დრო წავიდა, როცა ის ბავშვი იყო, თუმცა ის დრო აუცილებლად უნდა წასულიყო.

მან დატოვა ნოჩოს კარმიდამო და გზა განაგრძო უნაგირასაკენ. ორღობეში ძაღლები ყვფით აცილებდნენ სანდროს. მერე ორღობე გათავდა და სიჩუმე ჩამოვარდა. ის მიდიოდა თავჩალული ოღროჩოდრო საურმე გზაზე. შორიდან ისმოდა საქონლის ბლავილი, მერე ძაღლის ყვფა მოისმა, ისიც შორიდან. ცოტა ხნის შემდეგ ისევე ჩამოვარდა სიჩუმე. მხოლოდ მწერები დაფრი-

ნადნენ ჰაერში და კალიები ბზუოდნენ. გახურებულ მიწას ხვატი ასდიოდა.

სანდრომ სოფელი მოათავა და დაინახა სამი კაცი, რომლებიც კაპიტის ჩრდილში მიწაზე ისხდნენ გზის პირას და სვანური ჭუღები ეხურათ. სამივენი უცნობები იყვნენ. სანდრო მიუახლოვდა მათ და მიესალმა.

— გამარჯობათ!

— გამამარჯოს! — უბასუხეს იმათ და ფეხზე წამოდგნენ. ერთმა, რომელიც ყველაზე უფროსი იყო, ქუდი მოიხადა და ჭადრა თმები გამოუჩნდა. სანდრომ უხერხულობა იგრძნო, მაგრამ მაინც ესიამოვნა. მერე გვერდზე გაუხვია და ჩირგვებს მიეფარა. მარჯვნივ ნუშის ხეები იყო ფერდობზე.

სანდრო ქედზე გავიდა და უცებ ძირს გადაიშალა თვალუწვდენელი დაბლობი. სანდრო იდგა იმ ქედზე, რომელიც ლურჯად მოჩანდა მატარებლიდან. დაბლობის ბოლოს, სამხრეთით, მკრთალად მახებოდა გურიის მთების ვიწრო ზო-

ლი. მთები თითქოს ჭრებოდნენ თხელ ნისლიში მზე აცხუნებდა მიწას; მიწა ზოგან მწვანე იყო, ზოგან ყვითელი, ზოგან კიდეც შავი. აუარება ხაზები კვეთავდნენ ერთმანეთს მთელ დაბლობზე. მდინარე ვერცხლისფრად ლაპლაპებდა, სადღაც სვეტივით იდგა ბოლი, და სანდრო გრძნობდა ხმაურს, რომელიც არ ისმოდა ამ სიშორეზე, მაგრამ მოდიოდა დაბლობიდან და იგრძნობოდა. ეს იყო ცხოვრების ხმაური, ეს იყო დუღილი. დაბლობში დუღდა სიცოცხლე. სანდრომ უცბად წარმოუდგენელი სიხარული იგრძნო და გაიფიქრა, რომ მთელი ცხოვრება წინ არის, რომ ეს არი ბედნიერება, როცა ყველაფერს ხედავ. ის ძალიან კმაყოფილი იყო. მან უკანასკნელად მოიხედა უკან. ტაფობში კვლავ გაქვევებულევით მოჩანდა სოფელი. სოფლის ბოლოს კი ბექობზე იდგა ეუს სახლი. სანდრო მობრუნდა და სწრაფად დაეშვა დაბლობისაკენ.

შოთა ნიჟინანიძე



ტალღა

ზღვაზე ღელვავა თუ სიწყნარება —
ტალღები მაინც მიდი-მოდიან
ფსკერზე.

ზღვა არის თუ მდინარება
მუდამ ღელვავა, მუდამ შფოთია.
ტალღის ცხოვრება არის ჭიდილი,
ხან უშფოთველი მშვიდი ცხოვრება.
ასჯერ გაჩენა,
ასჯერ სიკვდილი,
მაგრამ არცერთხელ გამეორება.

შემოდგომა

ფეხქვეშ გათელა შემოდგომამ ხეჭუჭურები
ჩამოიარა ეზო-ეზო საესე ხელადით
ამირანივით მოიქნია ეს ბრგე ჭურები
მოიქნია და მღევებივით დაფლა ყელამღი.

წუხელ სიზმარი ვნახე: მზეზე ეგდო ხვითო,
ბროწეულას სადგური აღარ იყო ვითომ,
ვითომ ჩვენი სახლკარი იყო... აღარც იყო...
შეპფენოდა ჭილყავი ღობის სარს და

ჭიგოს,

ცხრა ღელე და რიონი გადაელახე ცურვით,
ვერ ვიცანი მიდამო... ამომიჯდა გული,
აქეთ-იქით დავრბოდი გოდებით და ვიშით,
დავეძებდი მეგობრებს დაფეთებით, შიშით.
არსად იყვნენ მოყვრები... მეზობლებიც

არსად,

ვიღაც უცხო კაცები არ მიღებდნენ კარსა
ვაი, სადაც დავბერდი, ველარავინ ვიცან,
დასაკლავი ხარივით ჩავბლაოდი მიწას.
ხავსიანი ჭიშკრები ჩაეკეტათ მაგრა...

ღმერთო, მე ეს სიზმარი ამიხდინე კარგად...

გიორგი სამხარაძე



მშობლიურ სოფელში

ნედლი ლერწმები

ისევ იქა დგას ფიცრული სახლი,
ისევ დგას ჩემი კოპწია ოდა...
ღობეზე ყვეფით გადმოხტა ძაღლი,
მერე წკმუტუნით მომიახლოვდა.

როგორც ნიყვები, ისე მოჩანან
კრამიტის ხელა, საბჭელი.
ვასაოცარი არ არის განა
მის უნახავად როგორ გავძელი!

ირგვლივ არა ჩანს შეუფოთლელი,
მიღამო მწვანით სუნთქავს სრულიად.

მე მეჩვენება მთელი სოფელი
ლურჯ შაბიამნით შეწინწყლულია.

მშობლიურ კუთხეს ვებასები —
ხან დაეკებულს, ხანაც ხევიანს.
დინჯი ვაზები, რტოლამაზები
ერთმანეთს ძმურად გადახვევიან.

ვარდს ცვრის საყურე დაუკიდა.
იმ მკიერე წვეთში ამოვწები.
მე მესმის როგორც ვაჟის მინდიას,
რას ჩურჩულებენ ნედლი ლერწმები.

კეთილი ოჯახი

მეხმაურება იმ მზრიდან ექო,
გული ამღერდა... სდუმან ბაგენი.
მაღალ სათიბში გზა საცალფეხო
ისე წაშლილა, ვერ მივაგენი.

ჰგავს ეს სოფელი საოცარ იგავს,
მზე ცაზე დნება ამონანთები.
აი, შემოდის სულში რიგ-რიგად
ფერსათის მთები, მწვანე კალთები.

თვალსაწიერში კრთის ნისლი თეთრი,
ჩიტებით სუნთქავს აგერ კუნელი.

ბოსტანში ღვივის ზამბახზე მკვეთრი
ომბალოსა და ქინძის სურნელი.

ვეხვევი სუროს ხის ტანზე მოწუნულს
მიუგდე ყური ძელქვების შრიალს;
მართლაც ხუთი წლის უნახავ მისწულს
კეთილ ოჯახში სუფრას მიშლიან.

ჩანჩქერით კლდეზე გადმოვარდნილი
ბროლის შეხვევბად ეცემა მიწას.
დავიკაპიწე შარვალი დილით
და ავეღვევნი ყანისკენ ბიძას.



დაკარგული საყურე

შინაურობაში

ტატომ გარიყრაქზე გაიღვიძა ჩვეულებრივ. არ წამომხტარა, ჩუმად იწვა და ოთახს ათვალეირებდა. ფარეშს ბუხარი გაეჩაღებინა, მისი შუქი ნახევრად ანათებდა იჭაურობას და ეს მრავალფერს ხდიდა ტატოს ოცნებას; კედელზე ჩამოკიდებულ ერეკლე მეფის სურათს შესჩერებოდა, სურათში მეფე ცოცხლდებოდა, კედლიდან გადმოდიოდა, დაჩოქილი ღმერთს ავედრებდა თავის სამეფოს.

მამის ჩურჩულმა გამოარკვია ტატო, მოიხედა — მელიტონი ამდგარიყო, დილის ლოცვას ამბობდა:

— ღმერთო დიდებულო! შენის მოწყალებით ნუ დაგვაგდებ ჩვენ. — დაამთავრა მელიტონმა ლოცვა და იქვე, ლოგინზე მჯდომ ეფემიას მიმართა:

— საჯინბოში წავალ, ვნახავ, მოამზადეს თუ არა ბიჭებმა ძაღლები, ასეთ თოვლში ნადირი ჩამოვიდოდა მთიდან.

— მიბრძანდით, ბატონო, მეც ბაღებს დავაპურებ, ოსტატთან გავგზავნი, — ეფემია შვილს მიუბრუნდა, — გაიღვიძე, შვილო ტატო?

— კარგა ხანია მღვიძავს, დედილო!

— აღეჭი, შვილო!

ტატო წამოხტა, ფანჯარასთან მივიდა, გარეთ გაიხედა.

— ისევ ყინვა ყოფილა წუხელ — გათოშილია ყველაფერი.

ტატო დარბაზში გავიდა. გრძელ, სინათლიან ოთახში მთელ სივრცეზე ტახტი იდგა, ზედ მრავალფერი ხალიჩა ეფარა. მეორე მხარეს, უფრო მორჩილ ტახტზე, ქართულად მოეკეცნა ხორეშანს, წინ პატარა სამეფიანი მაგიდა დაედგა და წერდა. ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა.

გამდელს სუფრა გაეშალა.

ილია კარებში შეეფეთა ტატოს. ტატომ ფეხი დაუდო, ილიამ ვერ შეამჩნია და დედის წინ დათვის ტყავზე გაიხლართა.

შეკრთა ხორეშანი.

— ფრთხილად უნდა იარო, შვილო. აწითლებული ილია, სწრაფად წამოხტა, ტატოს თვალები დაუბრიალა, მუშტით დაემუქრა. ტატომ გულუბრყვილო სახე მიიღო, დიდუდასთან მივიდა, ხელზე აკოცა.

შეცბა ილია, დედის მისალმებაც რომ დააფიწყდა, ყურები აუწითლდა, ხორეშანთან მივიდა, ხელზე ეამბორა.

ოთახში მხრებზე მსუბუქ შალწამოსხმული ეფემია შემოვიდა. მისი ფერმკრთალი და ჭერა სახე ბუხრის ცეცხლს აეწითლებინა, ეფემიას მელიტონიც შემოჰყვავა ხელების ფშვნეტით.

— როგორა ყინავს!

— მობრძანდით, ბატონო, საუზმე მზადაა. ეფემიამ ყველა სუფრაზე მიიწვია.

— დილამშვიდობისა, სიძვე ბატონო, — მიესალმა შემოსული გრიგოლი ბიჭებს და მათ შუა ჩაჯდა. ტატომ მკლავზე ხელი მოხვია და ლოყით მიეკრა ბიძას, ილიამ შეუბღვირა ძმას, იცოდა, ტატოს მხარს იჭერდა ყოველთვის გრიგოლი.

ტატო მამის ლაპარაკს ყურს უგდებდა. უყვარდა მამის დარბაისლური საუბრის მოსმენა.

ხორეშანი ბიჭებს მიუბრუნდა:

— დანაყრდით? — ბიჭებმა თავი დაუქნიეს — შაშ, წადით ეფრემთან და მოახსენეთ: ვმადლობ იმასაც და მის შეგო-

რდებსაც, დავითნის პირველი ფსალმნი რომ ასე კარგად შეგასწავლათ.

მიმავალთ გრიგოლმა მიაძახა:

— ეფრემს მოახსენეთ, დღეს შინაურული ღვინო გვექნება-თქო, ამობრძანდეს, დიდად გვაამებს.

ბიჭების წასვლის შემდეგ სიძე-ცოლისძმამ საუბარი განაგრძეს.

— ეფემიამ მითხრა, ერმოლოვთან ყოფილხარ გუშინ.

— დიახ, გახლდით, ქების ატესტატი უბოძებია, განჯის სახანოს მმართველადც დამნიშნეს.

გრიგოლს სახე გაუბრწყინდა.

— მომილოცნია, მოხარული ვარ, მძიმე პირობებში მოვიხდა მუშაობა.

— პირველად არა უშავდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც სპარსელებმა გადმოლახეს საზღვრები, საჭირო გახდა მორჩილებაში გვეყოლოდა მერყევი მცხოვრებლები.

— მეჯლისზე შევხვდი ერმოლოვს, დიდი მადლიერი იყო შენი მითხრა, მოუთმენლად მოველი მის დაბრუნებასო.

— მეც მინდა მეჯლისი გავმართო, დაწინაურებისა და დაჯილდოების აღსანიშნავად.

— გმართებს, მე და ჩემმა ღმერთმა, გმართებს.

— მოურავს მოველი, ფული უნდა ჩამოეტანა, დაიგვიანა, გზები თუ არის შეკრული.

ამ სიტყვებზე ოთახში მოფუსფუსე ფარეში შედგა და მელიტონს მოახსენა:

— მოურავი წუხელ გეახლათ, მელიტონ ბატონო, გვიან იყო და შინ წავიდა, აი, მოვიდა კიდევ:

მოურავი კარებში შეჩერდა და ყველას მიესალმა.

— დაბრძანდით მოურავო, სახლობა როგორა გყავს, ხომ არაფერი აკლიათ?

— თქვენი წყალობა ნუ მოგვაცლოს ღმერთმა, თქვენს ხელში რა უნდა მოაკლდეთ!

— სოფლად რა ამბებია? ცხვარი, საქონელი, ცხენის ჯოგი, ყველა ამბავი მითხარი წერილად.

— საქონელს რა უშავს, კარგი მეჯო-

გეები და მწყემსები გვეყვანან, საკვებიც საკმარისად გვაქვს, დიდი ზემოქმედება რამ გავუძლებთ.

— იცოცხლე, კარგი ამბის მოტანისათვის!

— ყველი, ერბო, პური, ღვინო ხომ არ გაკლიათ?

— მადლობა ღმერთს, სანოვაგე არ აკლია ამ სახლს, მხოლოდ ფული მაკლია, მოურავო, ფული.

— ოცდაათი თუმანი მოგართვით, მეტი ველარ შევქელით ამ ჯერზე, — თქვა მოურავმა და თავი დახარა.

— მოურავო თავი რად დახარე?

— არაფერი, ბატონის ქირიმე, ცოტა ფულის გადასახადმა შეაწუხა გლეხები.

— გაჭირდა ფულის შოვნა, გაჭირდა, ჩვენც გავვიჭირდა, გლეხებსაც, თქვა გრიგოლმა და წამოდგა.

ტატომ და ილიამ ეფრემის სახლის კარი შეაღეს. დარბაზის ერთი მხარე მთლიანად დაეჭირა ხალიჩა გადაფარებული ფართო ტახტს. ხედ ფეხმორთხმული იჯდა რამდენიმე შეგირდი, მუხლებზე გადაშლილ წიგნს დაკვირვებით ჩასჩერებოდნენ და გაისმოდა ზარივით წკრიალა ხმა.

ტატომ და ილიამ ტახტზე მოიკეცეს. ეფრემი გულხელდაკრეფილი ბოლთასა სცემდა, თითქოს არ ესმოდა, რა ხდებოდა გარშემო. მაგრამ ხანგამოშეებით მკითხველისადმი მიცემული შენიშვნა დაგარწმუნებდათ, რაოდენ გულმოდგინებით უსმენდა შეგირდებს.

მოშუადღევდა. შეგირდებმა დარბაზი აახმაურეს.

— ეს ლიტრა ჩემია, ილია, რად წამოგივლია ხელი?

— ჩემი კოკა ვერ ვიპოვე.

— აგერ არის, ლიტრის გვერდით.

— მომეცი ლიტრა! — დარბაზის კუთხეში ერთმანეთს ეძიებოდა ვეებოდა ვეებოდნენ შეგირდები.

ეფრემი აივანზე გამოსულიყო, ცას გასცქეროდა, შეგირდების გამოსვლამ გამოარკვია, ვეებოდა ვეებოდა კოკას ხელი

დასტაცა და შეგირდებით გარშემორტყმული მტკვრისაკენ დაეშვა.

თოვდა. თოვლის ფიქვები ციმციმებდნენ პატარების მოშვილდულ წამწამებზე. მუხლამდე თოვლს მიარღვევდნენ. ეფრემი შეჩერდა, მიიხედა-მოიხედა, წინ წასწრებულ ტატოს მიმართა:

— უკეთუ ზედნადები თერთმეტი იყოს, ზამთარი როგორი იქნება?

ტატო შეჩერდა, ოსტატს შეხედა. სწრაფად უპასუხა:

— უკეთუ ზედნადები თერთმეტი, ზამთარი თოვლიანი იყოს, ყინვა მკენე, ხოლო თებერვლის ორიდგან კარგი დარი დაიჭიროს.

— გაზაფხული, ილია?

— გაზაფხული წვიმიანი, ზაფხული მოხმელე, რთველი ნოტიო, თივა ძვირად, სხაპასხუპით გასცა პასუხი ილიამ.

— ამდენი არ მიკითხავს, — შეაჩერა ოსტატმა, — ლევან, ჭირნახულზე რას მტყუვი?

— თაფლი და ნაშრომი მცირედ, ზამთრის ყინვამ მოსწვას ვენახი, ღვინო ძვირად, ხილი მცირედ.

— მთარე როდის დაბნელდება?

— მთარე დაბნელდეს თებერვლის ორს, ივლისის ჩვიდმეტსა და ცხრაშემეტს. ამ საუბრით ჩავიდნენ მტკვრის ნაპირზე. თხელი ყინვა მოსდებოდა წყლის ნაპირს, ჩამტვრიეს, წყალი აბუხუხუდა კოკის ყელში. ბიჭები გაამხიარულა წყლის ხმაურმა.

სახლისკენ გამობრუნებულებს თოვლი სახეში ეფრქვეოდათ, გაყუჩებულიყო ეფრემი, ფიქრებს გაეტაცა, ყველაზე წინ მხნედ მიაბიჯებდა, ქარი უფრიალებდა ანაფორის კალთებს, გადათერთებულ მიდამოში ყორანივით მოსჩანდა შავი პატარა ჩრდილებით გარშემორტყმული.

სილამოს ტატო ეფემიას ოთახში იჯდა. უყვარდა ეფემიას, შვილის გამართულ კითხვას რომ უსმენდა. ოთახში წკრიალა ხმა გაისმოდა, — „შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გული-სად“. ეფემიას შვილის თმებში შეეცუ-

რებინა თითები, ნელა უწეწდა თმებს და მისი ბაგეები უხმოდ იშვრებოდნენ. ჩემი გულის იმედი შენა ხარ, შვილო. რამდენს იმედს იტევს დედის გული შვილისათვის! ერთი ვაჟილა შერჩა ეფემიას.

რა უნდა? რას ისურვებს ეფემია ტატოსათვის? — დიდ სარდლობას, მწიგნობრობას, ბრწყინვალე პიროვნებას, იქნებ შოთას გზის გაგრძელება ინატროს დედამ შვილისათვის? — ვერც ერთზე ვერ შეჩერდა ეფემია. შვილის ბედისათვის ნატვრაში უსახლეროა დედის გული!

ოთახში უეცრად ხმაური შემოიჭრა. შეკრთა ეფემია, შეჩერდა ტატოც. ატეხილ ხმაურს ყური მიუგდო. მამის ხმა იყო, შინამოსამსახურეებს უჯავრდებოდა მელიტონი.

ეფემია შეჩვეული იყო მელიტონის განრისხებას და არ შეუშფოთებია ამ ხმას, წამოდგა, აქ არ შემოვიდესო განრისხებულად, კარი გამოაღო, ყური მიუგდო, კარი გარედან გადარაზა და ტატოს დაუბარა:

— აქ იყავ, შვილო, არ გამოხვიდეო. — და მელიტონის დასამშვიდებლად გასწია.

შობა—ახალი წელი

შობა ღამეა. ორბელიანთა სამზარეულოში დიდი ფაციფუცია. დარბაზის შუა ცეცხლის პირას მოუკალათებია გამღელს და ხანგამოშვებით შესძახებს გარშემო მოფუსფუსე ფარეშებს:

— ნიგოზი მომაწოდეთ!

— ნუში დაფიქვენით?

— აღუღებული წყალი მოიტათ! — და ფარეშებიც გარბი-გამორბიან.

ვახუტურელი თონის სინათლეს გაუნათებია სამზადი სახლის გამჭვარტული ძელები. პირახვეული ხაზაში თონეში გადაკიდებულა, ჯვარდასმულ თონეულს აწვდის იქვე მდგომ გოგოებს, თონეულს რამდენიმე გოგო წაებოტინება და ისმის მათი თავშეკავებული ფხუკუნი.

ცხელი პურის სასიამოვნო სურნე-



ლება დგას სამზადში. ნარზე ცალგვერდა ლავაშებს აბრტყელებს ხაბაზი.

— ჩემო ხათუნა, ჯვარი მე დამასმე-
ვინე! — მიეპრა ტატო.

— მეც, მეც. — ახლა ილიაც მივარდა
ხაბაზს.

— რად მიგაქვს, ჯვარი არ აქვს, ჯვა-
რი, — ეცა ხელში ტატო კოპწია ფარეშს.
ხაბაზმაც შეუტია.

— უჯვროდ არ ჩაუშვა თონეში!

— განა რა უშავს?

— ქრისტიანის გამომცხვარ პურს
არ უნდა ეტყობოდეს? თათრობა ხომ
არ არის?

— თათრობა გადავარდა, ხათუნა.

— თათრობა გადავარდა, მაგრამ ჩვე-
ნი ჩვეულება არ გადავარდნილა. თათ-
რობამ შემოგვიტანა ეგ ჩვეულება, ჩვენი-
პური ჯვარდასმული უნდა იყოს.

კაკალა ვეებერთელა ღორს დასტრი-
ალებს რამდენიმე ხელმარჯვე ბიჭთან
ერთად. ტატო და ილიაც კაკალასთან
ტრიალებენ. ილია კუდზე დაეჭიდა
ღორს.

— ტატო, ნახე რამოდენა კუდი
აქვს?

— კუდის რიკი ჩემია — წაებოტინა
ილიას ტატო.

— ხელი არ ახლო, — შეუტია თა-
ნება ილიამ.

— არ წაიჩხუბოთ, ორთავეს გეყო-
ფათ. აგერ მეორეს მავაზე დიდი კუდი
აქვს, — დაამწვიდა ბიჭები კაკალამ და
დამხმარეებს შეუტია:

— ჩქარა მდლარე, არ გაცივდეს!
ვაიწით, ბიჭებო, არ დაიფუფქოთ!

კაკალამ ღორს ვეებერთელა ქვებით
მდლარე გადაასხა. მდლარის გადასხმა-
ზე ღორმა ყურები შეანძრია, თითქოს
შეებას ითხოვსო, თვალები დააჭყიტა.

— შეხედე, თვალები როგორ დააჭყი-
ტა? — წამოიძახა ილიამ და ახლა ღორის
თავს მიაშურა. ტატოც ილიასთან მივი-
და, ღორის თავთან ჩაჯდა, გახელილ
თვალეებში ჩააშტერდა, წამოხტა. შეა-
შინა ღორის თვალეებმა. კაკალას დამ-
კლავებულ ხელზე მიწვდა.

— კაკალა, შეხედე. კაკალა, მგონი
ცოცხალია?

— ეინ?

— ლორი.

— ჰე, ისე შენი მტერი იქნა, მაგ რომ
არის, ჩემო ტატო.

ტატომ ღორს კიდევ ერთხელ გადა-
ხედა. კაკალას მოსცილდა, გამდელთან
მივიდა, მუხლის თავთან მიუჯდა.

გამდელმა გაუღიმა:

— რა იყო, ტატო, რამ დავაფიქრა,
მოუსვენარო, აი, ნუში ჰამე, — გამდელ-
მა ნუში გაუწოდა. ილიამ ხელი წაატანა:

— მე, მე არა, გაღია? — გამდელმა
მასაც გაუღიმა.

— დაუღეგარო, ეგ ხომ ტატოსი იყო?
სამაგიეროდ ტატოს მოხალულს მიე-
ცემ, — გამდელმა ჯამიდან პეშვით მო-
ხალული ნუში ამოიღო, ტატოს გაუწო-
და. ტატომ სიყვარულით გაუღიმა. ახა-
ლუხის ჯიბეს თავი გაუწია და გამდელ-
მაც ნუში შიგ ჩაუყარა.

— ალილოზე მოვიდნენ. ბიჭებო,
ალილოზე!

— სამზადის კარი ფართოდ გაიღო.
ყველამ კარისკენ მიიხედა. კარებში
სიცივე და ლოყებავითლებული ლევანი
ერთად შემოიჭრნენ. გარედან სიმღერის
ხმა მოისმა:

— ოცდახუთსა დეკემბერსა — ცივი
მალალი ხმით იწყებდა ვიღაც.

— ხარფუხელები ალილოზე მოვი-
დნენ, ალილოზე, — წამოიძალა ყველა.

— ჩვენც წაყვებით ალილოზე! კაკა-
ლას ეჩნელილებით წაივით, — ბიჭები
კაკალას შემოეხევივნენ.

— ეჩნელილები მოგვეცი, კაკალა,
ალილოზე მივდივართ.

— ეჩნელილები საგაზაფხულო თე-
ზაობისათვის დავამზადე, თქვენ როგო-
რლა მოგცეთ, — აიქნია კაკალამ ვეებერ-
თელა ხელები, — განა სათქვენიოდ და-
ვაგროვე?

— ჩემო კაკალა, შენი ჰირიმე!

— არ იქნება-მეთქი — ღიმილით
იცილებდა ბიჭებს კაკალა, — ჯერ დე-
დას კითხეთ, თუ გაგიშვებთ, მერე ეჩნ-

ელილებსაც მოგვემთ, — დაეთანხმა ბოლოს.

— გაგვიშვებენ, კაკალაჯან, გაგვიშვებენ, ვინძლო კარგი ქინქლილები მოგვცამ.

კაკალამ კარგახანს იფათურა ბნელ კუთხეში.

— მეც მომეცი, პაპა!

— შენც მიდიხარ?! — შეუტია შვილიშვილს კაკალამ. აქ ვინ მოგვეხმარება?

— პაპა, ოღონდაც გამოუშვი და — ცრემლმა წამოუსწრო ბიჭს.

— ჩემო კაკალა, გამოუშვი, უთუოდ გამოუშვი, განა მაგის მეტი დამხმარე არა გყავს?

კაკალამ გაუღიმა ტატოს, ეამა მოსუსტს, შვილიშვილს რომ გამოექომაგა ტატო. კმაყოფილმა თავი გადააქნია, თვალი გააყოლა ყოყინით მიმავალ ბიჭებს. ინატრა: მუდამ ასე მეგობრებად დარჩნენო ტატო და მისი პატარა მიტო.

ეფემია ტახტზე იჯდა, მუხლებზე გაშლილი სახარება ედო, ყურადღებით კითხულობდა, არ შეუმჩნევია, როგორ შევიდნენ მასთან ბიჭები და კედელთან ჩამწყვიდნენ. ტატო მიუახლოვდა დედას და ნიავევით ფრთხილად წაიხურჩულა:

— დედა..

ეფემიამ ვერ გაიგონა შვილის ჩურჩული, კითხვა განაგრძო.

— დედა.. კვლავ წაიხურჩულა ტატომ და დედის ხელს ფრთხილად შეეხო. ხელის შეხებამ ეფემია შეაკრთო, მოიხედა. გაუღიმა.

— რა გინდა, შვილო?

— დედილო, ალილოზე მოვიდნენ ხარფუხელები, გვიანდა წავეყვეთ, ლევანიც მოდის, მიხეილიც, მიტოც გამოუშვეს, — სწრაფად ალაპარაკდა ტატო, ეშინოდა, უარი არ ეთქვა დედას.

— გვიან არის, შვილო, თანაც ბნელი დამეა.

— ქინქლილებით არიან მოსულნი. კაკალამ ჩვენც მოგვეცა ქინქლილები.

— ისეთი ქინქლილებია, ეფემიავ.

მთელ ქალაქს გაანათებს — კვერი დაუკრა ილიამ.

შორიდან მონადენი მგლისმსებელი შემოიჭრა ოთახში, ეფემია წუთით გაყურდა.

— გესმით, მგლები დაძრწიან ქალაქში.

— არა, დედი, ქალაქში არ არიან, შორს მთაწმიდიდან ისმის ხმა, ქალაქს ვერ შემობედავენ.

— ქინქლილები გვექნება, ეფემიავ, მგელი როგორღა მოგვეკარება? დაამშვიდა ილიამ.

— წითელ ქულაჯებს ჩაეცვათ, დედი, თავზედაც წითელ ყაბალახებს გავიკრავთ. მგლებს გულები დაუსკდებათ შიშით.

— გაუშვი, შვილო, ეფემიავ, მიულოცონ ქრისტესშობის დღე ხალხს.

— მეც გულით მინდა, დედავ ბატონო, გაუშვა, ვშიშობ, მეღიტონი არ გაჯავრდეს, — მამის ხსენებაზე ჩრდილმა გადაუარა ტატოს სახეზე, წარბები შეიკრა:

— შორს არ წაეალოთ, დედი, ორბელიანებს ჩამოუველოთ, ჭავჭავაძიანთაც ავირბენთ, მეღიქიშვილებს არ გავცდებით.

— შორს არ გაუტოოთ, ქინქლილების გათავებას არ დაელოდოთ.

— შენი ჭირიმე, დედილო! — ესლა თქვა ტატომ.

ეფემიამ თვალი გააყოლა გახარებულ ბიჭებს, სარკმელთან მივიდა, ფარდა გადასწია, გახედა მიმავლებს, ეამა, ყოყინა რომ ასტეხეს ბიჭებმა, არ უყვარდა, როცა სურვილს ჩაუხშობდა ტატოს. თოვდა.

ქინქლილების შექზე ციმციმებდნენ თოვლის ფიქვები. ტოკავდნენ ქინქლილები, თანდათან შორდებოდნენ სარკმელს, ეფემია თვალს არ აშორებდა მათ მოძრაობას, ეჩვენებოდა, ტატოს-ქინქლილა ყველაზე მეტად ანათებს ჩაბნელებულ ქუჩასო.

უკვე შორიდანაც ციმციმებდნენ ქინქლილები, შორიდან ისმოდა ბიჭების წკრიალა ხმა, — ეფემია ხედავდა, სიბ-

ნელმე როგორ შთანთქა ყინვილები
შუქიცა და ბიჭების ხმაც.

ბიჭების ყიყინამ და ძაღლების ყეფამ
ახმაურა დაღუმებული უბანი. აქ-იქ
გაიღო სამზადის კარი, ღიმილით თვალს
ყოლებდნენ ყიყინით, ჩირაღდნებითა
და სიმღერით მიმავლებს.

— მაიკოსთან მივიდეთ, მიველო-

ცოთ.

— სძინავს, ალბათ, მაიკოს?

— ხედავ, მისი ოთახიდან სინათლე
გამოდის.

— ჩემად მივიდეთ, დავინახოთ, რას
აკეთებს, — ბიჭები ფრთხილად ავიდნენ
აივანზე, ყინული გადაკეროდა სარკმ-
ლის მინას, შუამილა იყო მცირე ადგი-
ლი დარჩენილი. ბიჭები ერთმანეთს ეძი-
ვლიავენობდნენ, უნდოდათ დავინახათ,
რას აკეთებდა მაიკო.

მაიკო გაჩაღებული ბუხრის წინ დათ-
ვის ტყავზე იჯდა, მუხლებზე გაშლილ
წიგნს ყურადღებით ჩასჩერებოდა, ბუხ-
რის ალი უნათებდა ფერმკრთალ სახეს
და წინ ჩამოყრილ ნაწნავებს.

— მაიკო! — ფრთხილად დაიძახა
ლევანმა, ტატომ მკლავზე ხელი წაატა-
ნა ლევანს:

— ლევან, ხელს ნუ შეუშლი!

ბიჭები შედგნენ, ერთმანეთს მი-
ჩერდნენ.

არ მიველოცოთ? — გაკირვეულდა
ილია.

— სამზადში წავიდეთ, იქ იქნება
ველა, მათ მიველოცოთ, ტატომ ბიჭე-
ბი დაითანხმა, ისინი ფრთხილად ჩავი-
დნენ კიბეზე.

კავკავაძიანთ სახლს უახლოვდებო-
დნენ, ახლა უფრო მკვეთრად ისმოდა
ალილო, ჩირაღდნებიც გაღვივებული-
ყენენ და ძლიერად გიზგიზებდნენ.

ტატომ ჩაახველა, ხმა ჩაიწმინდა და
წკრიალა ხმით დაიწყო:

— ოცდახუთსა დეკემბერსა, ქრისტე
იშვა ბეთლემსაო.

— ხარფუნელები ალილოზე მოვი-
დნენ, ალილოზე! გაისმა ეკატერინეს
წკრიალა ხმა. მან ყველაზე პირველმა
გაიღო კარი, გარეთ გამოხტა.

— ამოდით! აქ ამოდით, დედამ
თქვა, მამამ თქვა, აქ ამოვიდნენო! ხელს
მოუთქმელად გადმოსძახდა ეკატე-
რინე.

— ეკატინკა შეილო, სად გარბიხარ
გაკივლები, — გამოუდგა ვამდელი ეკა-
ტერინეს.

ნინო შალმოსხმული გამოვიდა აივან-
ზე.

— ილიავ! ლევან! მიხვილ! ტატო!
საიდან გაჩნდით? — აღტაცებული ეკა-
ტერინე ხან ერთს ჩააელებდა ხელს, ხან
მეორეს.

— დააცა, ქალო, იმღერონ. ასე რო-
გორ იქნება? — უჯავრდებოდა ვამდე-
ლი, — განაგრძეთ, შეილო, განაგრძეთ!

ბიჭებმა სიმღერა განაგრძეს, ეკატე-
რინეც მათ შორის ჩადგა, თავი ასწია
და თავის მკვეთრი ხმა შეუერთა ბიჭე-
ბის ხმას. სამჯერ ჩაათავეს ალილო.

ვამდელმა საეცე ხონჩა გამოუტანა.

— მეც წავყვები, ალილოზე — ხელი-
ხელს შემოაკრა ეკატერინემ.

— წამოდი, ეკატერინე, წამოდი, იცი,
რა კარგია თოვლში სიარული? — წაა-
ქეზა ტატომ ეკატერინე.

— გაღიავ, ჩქარა ქულაჯა, ფაფახი,
ალილოზე უნდა წავიდე.

— ვის გაუგონია ქალის ალილოზე
სიარული!

— არა, უნდა წავიდე, მეც მინდა
ალილოზე! — ჭირვეულობდა ეკატერი-
ნე.

ნინო ღიმილით მისჩერებოდა დას.

— დამიცადეთ, ახლავ ჩავიცვამ.

ეკატერინე სახლში შევარდა, — მალე
გამოვიდა, თეთრი ბეწვით მორთულ
ქულაჯაში, მაღალ მესტებში, თავზე
ბეწვის ქუდს იხურავდა და ცდილობდა
ურჩი კულულები შიგ შეემალა.

— ეკატერინე, ქალო, მეგონა ხუმრო-
ბდი; მოიცა ამ წუთს მოვახსენებ ბა-
ტონს, — ვამდელი ოთახში შევარდა.

ალექსანდრე აივანზე გამოვიდა, მის
ლამაზ სახეს ღიმილი გადაჰფენოდა.
თავნება შეილი რომ დაინახა, კიდევ
მეტად გამხიარულდა.

— სად მიდიხარ, კატო?

— ალილოზე წავეყვები ბიჭებს, მაილო.

— არ იქნება, შვილო, ქალები ალილოზე არ დადიან.

— ხომ თქვი, მამილო, ქალს არა გვეზარო.

გაეცინა ალექსანდრეს.

— ნუ შეეცდები, შვილო, არ გავდე ქალს.

ეკატერინემ მოიწყინა, ფაფახიანი ხელი ძირს ჩამოუვარდა.

— გმადლობთ მოლოცვისათვის, განაგრძო ალექსანდრემ: ყოჩაღ, გაგიბედნიათ მოსვლა ასეთ ამინდში. — თეთრი ამოიღო, ბიჭებს ხურჯინში ჩაუყარა.

ტატომ ჭვევიდან ამოხედა მოწყენილ ეკატერინეს, რომელსაც ფაფახი ჯერ ისევ ხელში ეჭირა და თავდაბრილს თმები მხრებზე ჩამოჰყარდა.

— არ მოიწყინო, ეკატერინე, ხვალ საციკაოდ წავიდეთ — გაამხნევა ტოლი. ჭუნაში გამოსული ბიჭები ტატომ შეაჩერა:

— ისანში წავიდეთ, ბიჭებო, ხელოსნების უბანში, მივულოცოთ.

— შორს რომ არის? — შეყოყმანდა ილია.

— ტყეცა გვაქვს გასავლელი, — დაუმატა ლევანმა.

— წავიდეთ, ჩემს ოსტატს მოვულოცოთ! — შესთხოვა შიტომ.

— წავიდეთ, წავიდეთ! — კვერი დაუკრეს ხარფუხელებმაც.

— მუხრანის კარით გავიდეთ, ტყით ნუ წავალთ, საშიში არა არის რა.

— ეჩნელილებიც გვაქვს, — შეახსენა შიტომ მეგობრებს.

— წავიდეთ, რის უნდა გვეშინოდეს? ილიამ გამომწვევად მიიღო ტატოს სიტყვები:

— განა მეშინია, უფრო შორსაც შემიძლია წასვლა.

ხმაურით შეიჭრნენ ხელოსნების უბანში. ძაღლები შეეგებნენ უპირველესად. გამოჩნდნენ მასპინძლებიც კრავებით ხელში. ახმაურდა ისანი.

გაისმა ერთმანეთის გადაძახილი:

— თავადის შვილები მოვიდნენ ალი-

ლოზე!! გესმით, ადამიანებო, თავადის შვილები მოვიდნენ მოსვლაზე და იღებოდა ყველა ჭოხნს კარები, მრსალოცად მოსული სტუმრებისათვის. ყველაზე წინ მოხუცი ქიტესა მოდიოდა კრავით ხელში, სიბნელეში თეთრად ქათათებდა მისი თმა და წვერი.

შიტო თვალეზგაბრწყინებული მისჩერებოდა კრავის ალით სახე განათებულ ოსტატს.

— ტატო! ჩემო ტატო! შენი ჭირიმე, ბიჭო, რამ მოგიყვანა ასეთ ამინდში, — გადაეხვია ქიტესა ტატოს და ფართო მკერდზე მიიკრა.

• •

შობის შემდეგ კიდევ უფრო ძლიერი ყინვები დაიჭირა. შემცირდა მიმოსვლა ქუჩებში, გახშირდა ნარდის, ბანქოს, ლოტოსა და ქადრაკის თამაში.

ბავშვებმაც სახლებში შეიბუდეს, ბუხრის წინ მოიკალათეს და ხანგრძლივად გაისმოდა გამძლეების ზღაპრები; ძველი ამბები და ორთაშუა შაირობა.

სახალწლო მზადებამ კვლავ ააფორიაქა ქალაქი. ახლა ყინვამაც ველარ შეაჩერა ხალხი.

ღამით თოვა შეწყდა, მოიწმინდა. ყინვა კიდევ უფრო გაძლიერდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ინათა თუ არა. ხალხი გუნდ-გუნდად დაიძრა ბაზრისაკენ.

ნელა, ყინვაზე ფეხების ბაკუნით მიდიოდნენ შემით, ნახშირით, სანოვავითა და ტომრებით დატვირთული სახედრები.

თბილისმა ვალეძება დაიწყო.

მზე ამოვიდა.

ბანებიდან და სახურავებიდან ჩამოშვებული ყინულის ლოლუები მზის შუქზე აბრწყვილდა და სახეიმო ელფერი დაედო ყველაფერს.

ბაზრისაკენ მიეშურებოდა ყველა. ბაზარი თანდათან ივსებოდა ხალხით. ერთმანეთში ირეოდა: ჩოხები, ჩერქეზულები, ჩალმები, ნაბდები, მუნდირები, ვის არ შეხვდებოდით თბილისის

ბაზარზე, აქ იყვნენ სპარსელები, ინდოელები, თათრები, გერმანელები, ინგლისელები, სომხები.

ბაზრის ერთ მხარეზე ჩამწკრივებული იყვნენ ქალაქის გარეუბნიდან მოსული ქალები. თან მოეტანათ კარაქი, ერბო, ლობიო და რძე. ყარაჩოხელების ომახიანი ხმა უერთდებოდა ბაზრის ხმაურს.

იესებოდა ბაზარი მარნეულის ფქვილითა და ხორბლით, ყარაიხანის ბრინჯით, თუშური ცხვრით, ყველითა და მატყლით, მანგლისური კარტოფილით, ლაბალუღური კარაქით, აღზევანის მარილით.

ბაზრის შუა მოედანზე, სადაც სასწორი იდგა, მაღალ ჭრელ ბოძზე წითელი ბაირალი აღმართეს. ქალაქის მცხოვრებლებმა ვაჭრობა დაიწყეს, ქორვაჭრები უსაქმოდ დაბორილბდნენ ბაზარში, მათ უფლება არ ჰქონდათ, სანამ ბაირალი არ დაეშვებოდა და ქალაქის მცხოვრებლები ვაჭრობას არ მორჩებოდნენ, მანამ დაეწყით აღებ-მიმცემლობა.

გაისმა ზარბაზნის ხმა, შტაბის საათმაც თორმეტჯერ ჩამოკრა. ბაირალიც დაუშვეს, ბაზარი ახმაურდა. მოქალაქეებმა თავიანთი ადგილი ქორვაჭრებს დაუთმეს და გაჩაღდა მათსა და სოფლელებს შორის ვაჭრობა. ზარაფები და დალალები საქმეს შეუდგნენ.

ორბელიანთა უბანიც ამოძრავდა. მათ ბაზარზე არ უხდებოდათ სიარული, კარგა ხანია მოურაევებმა სოფლებიდან ჩამოზიდეს საახალწლო სანოვავე, მხოლოდ თულუხჩები ეზიდებოდნენ დაუსრულებლად წყალს.

ეფემიამ დილით ადრე დაათვალიერა საკუჭნაო, მწნილითა და ერბოთი სავსე ქილები, მარილითა და ფქვილით სავსე ტომრები, ღვინით სავსე ტიკები, საღვინოები და გოზაურები.

გამდელი დილიდანვე სამზადში ფუსფუსებდა, გოზინაყსა და ალგახაზს სხვა ვერაეინ მიეკარებოდა გასამზადებლად.

შუალამე გადავიდა. მორჩნენ საახალწლო მზადებას, მოსამსახურეები და

ბავშვები თავიანთ საწოლებისაკენ გაეშურნენ. მარტო ეფემია და ფუსფუსები და გამდელთან ერთად. *ხიზლირთქანა*

— მაიაგ, მოგრიხთ მგონი ყველაფერს — ეფემიამ გამზადებულ სანოვაგეს თვალი გადაავლო.

— ხონჩა და დაგვრჩა გასაწყობი, ქალბატონო!

— მოიტა ლანგარი, — გამდელმა განჯინიდან ვერცხლის ლანგარი გამოიღო. შუა მაგიდაზე დადო.

— ესეც შაქარყინული, გოზინაყი, ალგახაზი — აწოდებდა გამდელი ეფემიას; ეფემიაც ყველაფერს ლანგარზე ალაგებდა.

— პურები, გამდელო?

— ამ წუთს მოგართმევთ, საგანგებოდ ამოვარჩიე იმდენ პურებში ეს სამი, ღვინიანი სურაც მიირთვით, — გამდელმა ვერცხლის სურა ეფემიას გაუწოდა, სანოვაგით სავსე ლანგარი აივანზე გაიტანა და შემობრუნებულმა ეფემიას მიმართა:

— ცა ვარსკვლავებით მოქედლია, ყინვამ იმატა.

— კარგა ხანია ასეთი ყინვები აღარა ყოფილა თბილისში.

განთიადზე ფრთხილი ჩურჩულით გააღვიძა ტატო გამდელმა:

— შეილო ტატო, დღეს ხომ შენა ხარ ჩვენი მეკვლე?

ტატომ წუხელ დაწოლისას გადაწყვიტა, არ დავიძინებო, ტანთ გაუხდელი მიწვა, მაგრამ ძილმა დასძლია. ველარ გაიგო განთიადი.

წამოხტა, სიცივემ აიტანა, კბილებს კბილებზე აცემინებდა, აივანზე გავიდა, ხონჩა აიღო, ხონჩის გარშემო შემომწკრივებული სანთლები აანთო და იდგა მთვარის შუქით განათებულ აივანზე, ფერმკრთალ სახეს სანთლის შუქი უნათებდა. კარებზე სამჯერ დააბრაზუნა.

— ვინ არის? — მოისმა შიგნიდან დიდედა ხორეშანის ხმა. ტატომ კარები შეაღო და შესძახა:

— შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი!!

ჯერ დიდუდასთან მივიდა, ხორეშანმა გულში ჩაიკრა შვილიშვილი, ტატომ ალუბახი გაუწოდა დიდუდას და ჩურჩულით უთხრა:

— ჩემო ტკბილო დიდუდა!

ეფემიამ თვალეზი დაუკოცა ტატოს:

— შენს ვაჟაკობას მომასწროს ღმერთმა!

მამამ შუბლზე აკოცა.

— ტატო, გოზინაყის დიდი ნაჭერი მომეცი — ჩასჩურჩულა ილიამ.

— მეც დიდი ნაჭერი მეც! — ეხვეწებოდნენ ბარბალე და ნინო ძმას.

ახლა გამდელის ოთახისაკენ წავიდა ტატო. გამდელმა პირჯვარი გადასახა თავის გაზრდილს, ჩურჩულით დალოცა.

თავლა, მარანი, საჯინიბო — ყველა კუნძული შემოიარა ტატომ. ყველას და ყველაფერს მიულოცა. ცხენის ზურგზე კვერცხი გადაატორა და კვერცხივით დამრგვალება უსურვა, საქონელს — სიმრავლე, მოსავალს უხეობა და დარბაზში დაბრუნდა.

შინაურებს დარბაზში მოეყარათ თავი.

გათენებასთან ერთად მღვდელიც მოვიდა.

— მობრძანდით, მამაო? შეეგება ხორეშანი შემოსულ მღვდელს და ჯვარზე ემთხვია. — შენდობა, მამაო.

— შენდობილ იყავით!!

მღვდელმა სუფრა აკურთხა.

საახალწლო პურობა დაიწყო.

მეჯლისი

მეჯლისი მელიტონმა ახალწლის შემდეგ კვირას გამართა. რამდენიმე დღე გაგრძელდა სამეჯლისო მზადება; აცხობდნენ, ხარშავდნენ, წვავდნენ დაუსრულებლად.

ფარეშებმა დილიდანვე დაანთეს ბუხრები, გააჩალეს მაყალები, იატაკი მოფინეს ძვირფასი ხალიჩებით. ერმოლოვი უნდა სწევოდა მელიტონს, ამიტომ ემზადებოდა ასე გულიანად სახლობა.

პირველად ორბელიანები და ბარათაშვილები მოვიდნენ, ესენი მასპინძლებად თვლიდნენ თავს და აქ უნდოდათ დახვედროდნენ სტუმრებს.

ტატო და ილია ფარეშ ბიჭებთან ერთად ყოველ ახალ სტუმარს ეგებებოდნენ და შინაურებს ახარებდნენ:

— ბატონიშვილები მობრძანდნენ!!

— ჰავჯავაძეები შემოვიდნენ!!

— დოდაშვილი მოდის, დოდაშვილი!!

— ერმოლოვი, ერმოლოვი მობრძანდება! — დაიძახეს ბიჭებმა და მელიტონი ეზოშივე ჩაეგება სტუმარს, კიბის თავში ეფემია და ხორეშანი იდგნენ.

სანამ სტუმრები საუბარით ერთობოდნენ, გამდელმა სუფრა გაშალა, სუფთად ჩაცმული, კრელწინდებიანი პირისფარეშები, მოახლეები, მერიქიფეხები, გამდელის ყოველ ბრძანებაზე გარბოდგამობოდნენ.

სუფრის შუა ჩამაწკრივეს კახური ღვინით სავსე ვერცხლის სურები, მათ გვერდითვე მოათავსეს ვერცხლისავე სანაჯურები, მოიტანეს ვერცხლის ახარეშებიც, თასები, მოჭედილი ხის კულები, მოჭედლივე კათხები. სუფრაზე ჩამოალაგეს ყანწები. ფარეშებმა სუფრის თავსა და ბოლოში, ქარვასავით ყვითელი ყანწები დააწყეს.

სტუმრები სუფრაზე უმცროს-უფროსობის რიგის მიხედვით დალაგდნენ. მომღერლები სუფრის ბოლოს მოთავსდნენ.

ეფემიამ ოქროს აზარფეშა შესთავაზა ერმოლოვს.

ფარეშებმა მოხატული ხონჩებით მურასა ლავაშები, მლაშე, მკავე, წვნიანი. ცივი და შემწვარი შემოიტანეს.

ყაფლან ორბელიანი ზე წამოადგა, მერიქიფეხს მიუბრუნდა:

— კათხა მომაწოდეთ!

მერიქიფემ კათხა მიაწოდა და ღვინით აუვსო, ყაფლანმა კათხა აღმართა და ერმოლოვს მიმართა:

— ამით მეამება თქვენი სადღეგრძელოს შესმა.

მომღერლებმა მრავალყამიერი დაავუგუნეს, ყაფლანმა სასამისი გამოსცალა

და გრიგოლ ორბელიანს გადაულოცა. წამოდგა გრიგოლი:

— ვერცხლის თასი ამივსეთ. ვერცხლის თასი მუდამ საცილობელი არის, მის ბედს მაგონებს ჩვენი ქვეყნის ბედიც.

სანამ მერიქიფე ღვინოს უსხამდა, მომღერლებმა „ვაჰ დრონი, დრონი, ნაგები მტკბარად“, დააგუგუნეს. დასცალა თასი გრიგოლმა და მელიტონს გადაულოცა, მსახურმა სანაქუროში ჩააწვეთა თასში დარჩენილი უკანასკნელი წვეთები და მერიქიფემ თასი აუვსო მელიტონს.

მელიტონი ერმოლოვს მიუბრუნდა:

— დავაფასე სავესებით სარგებლობა თქვენი და თქვენ მიერ შექმნილი, გამოცდილება იმ დღიდანვე, რაც ქვეყნის მართვა-გამგეობას შეუდექით, ხოლო სულიერმა თქვენმა თვისებებმა შთამინერგეს პატივისცემა, თქვენ ეს იცით, მაგრამ ამჟამად იმისათვის მოგახსენებთ, რომ მსურდა გამომეცხადებინა საჯაროდ, თუ რა დიდად გაფასებთ და პატივსა გცემთ. ვისურვებ თქვენი განზრახვანი ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ განხორციელდეს.

მოათავეს ერმოლოვის სადღეგრძელო. მომღერლებმა „მადლობელი ვარ“ შემოსძახეს. გახურდა ღვინო, ახალგაზრდები სიმღერაში ერთმანეთს ეცილებოდნენ, ხელიდან ხელში გადადიოდა გახურებული დაირა.

წამოდგა შავწვერიანი ალავერდა. ჩონგური მორათვეს მას. დაბალ ტახტზე მოიკეცა, მისი გრძელი ჩამოსხმული თითები თითქოს არც შეხებია სიმებს, ჯადოსნურმა ხმამ კი ოთახი დაჰფარა.

შუქი ვადაჰფენოდა ალავერდას ღამაზ სახეს, თვალები ოდნავ მოეხუჭა და ისე მღეროდა, მისი ხმა გულში სწვდებოდა ყველას, კედელთან ჩამწყრივებული ბავშვებიც კი განაბულიყვნენ და სმენად ქცეულიყვნენ.

ღილის შუქმა ღამე გაცრიცა, მტრედისფერი ნათელი შემოიჭრა სარკმელში, მას შემოჰყენენ ფეხებ და მკლავებდაკარწყებული მეთევზეები. წინ წამო-

დგა მხარბეჭიანი, წვერ გაქალაქებული ლობიანი:

— ცის კარი გაიღო დამწმენტი შებამობრძანდა ქალაქში, მეც მოგილოცავთ სინათლის შემოსვლას, მზის ამოსვლას, ნათელის გამარჯვებას ბნელზე. შეგერგოთ ღვინო, დღეგრძელი იყავით მრავალეამიერ!

თევზები გადმოაყარა სუფრას. სუფრა ცოცხალი თევზებით აივსო, ბტოდნენ, ფართხალებდნენ, მოძრაობდა მთელი სუფრა და ფანჯრებიდან შემოსულ მომძლავრებულ სინათლეზე ვერცხლისფრად ციმციმებდნენ მოფართხალებ თევზები, თითქოს მათაც ნათელის შემობრძანება ახარებთო ქალაქში.

* * *

თავი სტკიოდა იმ ღამეს ტატოს. ეფემია შეაშფოთა ბიჭის უგუნებობამ.

— სიცხე აქვს, დედაე ბატონო, ტატოს, — შესჩივლა ეფემიამ ხორეშანს.

შეაშფოთა ხორეშანი მოუსვენარი ტატოს უგუნებობამ.

ჩუმად ისხდნენ ხორეშანი და ეფემია, თვალს არ აცილებდნენ სუნთქვაჩქარებულ ტატოს.

გამდელი მათი არ ისვენებდა. თავს დასტრიალებდა ტატოს საწოლს, გახურებულ შუბლზე ხშირ-ხშირად უცვლიდა სველ ტილოს.

შუალამის შემდეგ ბოღვა დააწყებინა. ორი დღე დიდი სიცხე ჰქონდა, მესამე დღეს წითლად აუყვავდა ლოყები. გამდელმა ფორთხვით სამეჯერ შემოუარა ლოგინს, ხორეშანს ახარა:

— წითელა ბატონები გვეწვია, დიდო ქალბატონო, აღარ მეშინია, არას ავნებს ბატონები ჩვენს ღამაზ ტატოს, — გამდელს დამკჷნარ ლოყებზე სიხარულის ცრემლები სცვიოდა, დაწყნარდნენ ეფემია და ხორეშანიც. სიჩუმემ მოიკცა სახლი, აღარც მელიტონი უჯავრდებოდა ვისმეს.

ფანჯრებზე წითელი ფარჩის ფარდები ჩამოაფარეს. ფერადი ხალიჩებითა

და ნოხებით დაჰფარეს ოთახი. წითელი ფერი უყვარსო წითელა ბატონებს. საწოლის წინ გაწყობილი ხონჩა დაუდგეს.

ეფემია თავით უჯდა ტატოს, ოთახში გაისმოდა მისი სასიამოვნო ხმა და მისი ჩამოქნილი თითები ნახად ეხებოდნენ ჩონგურის სიმებს. თითქოს ტატოს ქოჩორში ფათურობენო.

მოიყვანეს ქალაქში თუ სადმე იყო ბატონების საგალობლის კარგი მთქმელები. ტატოს ოთახიდან დღედაღამ ისმოდა იაენანას ტყბილი ჰანგი. სიცხემ დაუკლო წითლად გამოფენის შემდეგ.

სადამოზე შათირი მოვიდა. ყელზე წითელ ბაბთშებმული შველი მოიყვანა, თან სხაპასხუპით გადასცა დანაბარები:

— ჭაქვაჯაძიანთ ქალებმა შველი მოართვესო ტატოს, ეკატერინე ნახადი არ არის წითელა ბატონებს, ამიტომ ვერ გვახლენ, დამაბარეს, მოიკითხეო ჩვენი შველი გაართობს ავადმყოფსო.

ეამა ტატოს შველის ნახვა, ლოგინზე წამოიწია, შველის პატარა თავი გულში ჩაიკრა, თვალები დაუკოცა.

ყველანი გაახარა ტატოს სიხარულმა, გამდელი ჩუმად ლოცავდა, ბუტბუტებდა და მადლს უთვლიდა ჭაქვაჯაძიანთ ქალებს, მისი გაზრდილის გახარებისათვის.

დადამებული იყო, როცა ოთახში წითლად მორთული მაიკო შემოვიდა. ეფემია შეეგება კარებში.

— შვილო მაიკო, წითელა ბატონები დაუბრძანდა ჩემს ტატოს.

— ვიცი, იმითმაც მოვედი, საჩუქარი მოუტანე — მაიკოს გულზე, წითლად ყელშეღებილი თეთრი მტრედი მიეკრა, მშვიდად იყო მტრედი, პატარა თავი მაიკოს გულზე მიეყრდნო და შელულუნებდა.

ტახტზე მჯდარმა გრიგოლმა თვალი ველარ მოაცილა მაიკოსა და მტრედს, გაუელვა, თუ ვინმე მოისურვებს სათნოებისა და მშვიდობის გამოხატვას, მაიკო და მტრედი უნდა დახატოს ასე ერთად.

ტატოს ლოგინთან მივიდა მაიკო. მტრედი გაუწოდა:

— ისეთი სათნო და მშვიდობიანია ჩემი მტრედი ერთ წუთს არ შეგაწუხებს, უყვარს ავადმყოფთან ჯდომა.

ტატომ მტრედი ჩამოართვა დობილს.

— შენს სახსოვრად მეყოლება, ჩემო მაიკო, ნახე, ნინომ და ეკატერინემ რა საჩუქარი გამომიგზავნეს?

მაიკო შველს მიეკრა, მისი ლამაზი თავი გულში ჩაიკრა. გრიგოლმა ველარ გაარკვია, როდის იყო მაიკო დასახატი, მტრედით ხელში, თუ როცა შველის ლამაზი თავი გულზე ჰქონდა მიკრული. მაიკო ტუჩებსა და თვალებს უკოცნიდა შველს.

— ტატო, ტატო! ნახე თვალები შენს თვალებს უგავს.

როცა მაიკო წავიდა, ახირდა ტატო ყველანი დაითხოვა, გამდელის მეტი.

— მიამბე რამე გალიავ, თორემ არ დამეძინება, ეგ ბალიშიც მომეცი.

გამდელმა ეფემიას ნაკერი აბრეშუმის ბალიში მისცა. ტატომ ზედ თავის ნუკარი დააწვინა, მტრედი კი მაგიდაზე იჯდა ნისკარტით ფრთებს ისწორებდა.

გამდელი თვალებში შესჩერებოდა ავადმყოფს. უკვდავების წყალზედაც რომ გაეგზავნა, წავიდოდა, ძველი ამბების მოყოლაზე როგორ ეტყოდა უარს! სასთუმალთან მიუჯდა და წითელი შუქით განათებულ ოთახში გაისმა გამდელის ჩურჩული...

დილით ფარეში ფეხაკრებით შემოვიდა, გამდელს ჩასჩურჩულა:

— გამდელი, მახარე მოვიდა ტატოს სანახავად, სოფელში ამბავი ჩაუტანიათ, შენს გაზრდილს წითელა ბატონები სჭირსო.

გამდელი წამოდგა, ჩუმად უნდოდა გასვლა. კარებში ტატოს ხმა მიწვდა:

— ვინ მოვიდა, გალია?

— მახარე მოსულა სოფლიდან, შენი ჭირივ.

— ჩქარა, ჩქარა შემოიყვანეთ, ჩემი მახარე!

მახარემ ძლივს შემოაბრია კარებში ფართო მხრები საესე ხურჯინთან ერ-

თად. შემოსვლისას ნაბდის ქუდი მოიხადა, ხურჯინი ტახტზე დადო. ტატოს ლოჯინთან მუხლი მოიყარა. ბატონების მობრძანება მიულოცა და ხურჯინის ამოლაგება დაიწყო. — ხაჰაურები, ნა-ხუტები, ქაღები, ლედვის ჩირი, ჩურჩხელები, კეხურა ვაშლი, — სათითაოდ ამოჰქონდა ხურჯინიდან მახარეს.

— ეს ჰინკა ბიჭმა გამოგიგზავნა, ეს მარიცელამ, ეს ჰრელი წინდები—ჩემმა დედაკაცმა მოგიქსოვა, ეს წითელი ყაბალახი—ჩემმა ქალმა, ეს ნაბდის ქუდი — ჩემმა რძალმა. ეს ორი ჰუტული — ჯოხაძეების ჰერივმა მართამ მოგართვა, — სათითაოდ ასახელებდა ძღვენის გამოგზავნის მახარე, — ჩვენი საყვარელი ტატოს თავზე შემოსავლებად შე გამოგზავნა მთელმა სოფელმა, — ხელები გაშალა მახარემ.

— ამიყვანე, ხელში ამიყვანე, მახარე! — ტატო მახარეს გულში ჩაეკრა.

— შენ თავს შემოვევლე, დღეგრძელი და ეგრე საყვარელი იყავი მუდამ. მინამ იცოცხლე, სანამ წყალი არ დაშრეს, დედამიწამ გული არ შეიკრას და მთაბარი არ გათანასწორდეს.



ტატო რომ წითელამ ჩააწვინა, თოვლი მაშინ იწყებდა დნობას. ავადმყოფობის შემდეგ გარეთ გამოსულს აფეთქილი ხეები შეეგებნენ, ენძელებს მისი შვლის დაცქვეტილი ყურებივით ამოეყოთ თავი, ტყვის კვირტი აეყარა და შორიდან შავად მოჩანდნენ გადახნული საყანეები.

გაახარა ტატო გაზაფხულმა, მისმა პატარა შველმა მთელი ეზო შემოიბრინა, აკვირტულ ხეებს გაეთამაშა, ყურებდაცქვეტილ ენძელებს წაეპოტინა.

ტატო დაასუსტა ხანგრძლივმა წოლამ, უჭირდა შველთან ერთად სირბილი, მაგრამ გაზაფხული ისე ძლიერად უხმობდა, რომ ვერ გაუძლო ცდუნებას ბიჭმა.

სადამოზე, როცა ახალმა მთვარემ გამოანათა, აივანზე თავი მოიყარეს ოჯა-

ხის წვერებმა. მოურავიც ამოვიდა. მელიტონს მოახსენა:

— ბატონო, ხვალ კანონის დღეა სოფლიდან მახარე გეახლათ, თესვა უნდა დაეიწყოს.

— კარგი გიქნია, მადლიანი ხელი აქვს მახარეს, მისი ნათესი ჯერ არ გამცდარა, — უპასუხა ნასიამოვნებმა მელიტონმა.

— ხელიც მადლიანი აქვს და ყველაზე დროულიც ეგ არის, სანამ არ მორჩა თესვას, ვერ წამოვიყვანე.

აივანზე მხარბეჭიანი მახარე შემოიმართა, რომელსაც თეთრი წვერი გულმკერდზე გადაშლოდა, ჰორისებრ ცხვირს შეკრული თეთრი წარბები გადმოჰყურებდა, მაგრამ, როცა ეს დროული მოხუცი გაიღიშებდა, ჩამწყვრივებული ბროლივით კბილები გამოუნდებოდა, თვალები გაუბრწყინდებოდა, მასზე სანდომიანსა და ლაზათიან სახეს ძნელად შეხვდებოდა ადამიანი.

— დღეგრძელობა ბატონებს! — მიესალმა მახარე ყველას.

— გამარჯვება ნუ მოგაკლოს ღმერთმა, ჩემო მახარე. — მელიტონი კვლავ მოურავს მიუბრუნდა, შეწყვეტილი საუბარი განაგრძო — უყვარს ჩვენს მახარეს სოფელი.

— დალოცვილო, სოფელიც ჩვენია და ქალაქიც, შინ როცა საქმე გაქვს, ვარეთ რა ვინდა, შინ თუ ბავშვებს მიათ, ვარეთ ტაბლას რა უნდა?

— მართალი ხარ, ჩემო მახარე, მართალი, სკამი მოართვით მახარეს მაშ, ხვალ კანონის დღეა.

— დიახ, ბატონო, ამ დროს ჩაყრილი მარცვალი ძნელად თუ გაცდუნდება.

— ეგ შენთვის მომინდვია, ჩემო მახარე, უკეთ იცი.

ბავშვები ყიყინით შემოცვივდნენ აივანზე, მახარეს შემოეხვიენენ.

— დღეგრძელობა, ჩემ ტატოს, — დაწვდა მახარე და ხელში აიტაცა, — გამახარა შენმა კარგად ყოფნამ, შენი მალხაზი თვალების ჰირიმე, ბიჭო!

— თესვაში ხომ წამიყვან, მახარე!

— შენზე უკეთესს ვის წავიყვან?

— მეც ხომ წამიყვან, მახარე — მკლავზე დაეკიდა ილიკო.

— თქვენზე უკეთესს ვის წაიყვან, თქვენი ჰირიმეთ, ვაჟაყავებო, მხრებზე დაგისვამთ და ისე წაიყვანთ! — მხნედ შესძახა მახარემ.

შეაფიქრანა ეფემია ტატოს თხოვნამ.

— მზის ამოსვლამდე უნდა წახვიდეთ, შვილო, ახალი ნაავადმყოფარი ხარ, ვაითუ ვერ შესძლო.

— გაუშვი ეფემიაც, მოუხდება კიდევ პაერზე ყოფნა, ფეხით ხომ არ წავა? — მიუბრუნდა მელიტონი ეფემიას.

დილით, მტრედისფრად ინათა თუ არა, წამოიშალა ყველა, მზის ამოსვლამდე უნდა დაეწყო მახარეს თესვა, სათეს მიწებამდე არც თუ ისე ახლოს იყო, კამეჩები შეაბეს ურემში, ზედ სათესლე ხორბლით სავსე ტომრები დააწყეს, კოფოზე მახარე დაჯდა, კამეჩებს შოლტი გადაუტყალაშუნა და მისი ურმული შეუერთდა ახლად გაღვიძებული ჩიტების კიკიკს. ბიჭები ტომრებზე შეიხუნძლნენ. მოურავი ცხენით გაჰყვა. წინ რვა უღელი ხარი გაირეკეს ფარცხებით.

ნახნაეში გავიდნენ, ბიჭები ხარებს მისცივდნენ, შეაბეს და ზოგმა ფარცხზე მოიფრთხნა, ზოგიც ფეხზე დადგა კიეინის დასაცემად.

მახარემ წელზე სათესლე ხორბლიანი ტომარა შემოირტყა, ქული მოიხადა, ხნულში შევიდა, ხარებს წინ დაუდგა, ზეცას ახედა, როცა აღმოსავლეთი მხემ წითლად ააფერადა, ჩიტებმაც დილის საგალობელი მოათავეს, მახარემ მარჯვენა ხელით ხორბალი ამოიღო და დაიწყო:

— დიდებულო ღმერთო! შენ ერთმა იცი, ჩვენ ქვეყანას რამდენი უბედურება გადახდომია, რამდენჯერ აუოხრებია მტრებს, — ფარცხზე შეხუნძლული ბიჭები, გაინაზნენ, გაფართოებულ თვალებს არ აცილებდნენ მახარეს, თითქოს ეშინოდათ, რომელიმე სიტყვა არ დაგვეკარგოსო, მახარე კი კვლავ განაგრძობდა: — დაღუპულან, მავრამ თავიანთი მამული არას გაჰირვებაში არ

დაუგდიათ, არა თუ დაუგდიათ, უშენებიათ კიდევ, — პურის თესვას სავსე მარჯვენა ხელი აიჭნია მახარემ, ხორბალი მიწაში მიმოაბნია, ახალგაზრდული და ომახიანი ხმით შესძახა: — ეს ღმერთს! — კვლავ ჩაყო ხელი თესლით სავსე ტომარაში, ახლა მარცხნით აიჭნია ხელი და თესლი წვიმასავით დაემშვა დედამიწისაკენ, — ესეც ეკლესიას, — ასე მიდიოდა წინ მახარე, თესლს აქეთ-იქით აბნევდა, დედამიწის გულს ჰირნახული ხორბლით ავსებდა, თან ხმას უმაღლებდა, თითქოს უნდა დედამიწას გაავგონოს, რომ მიბარებული გულუხვად დაუბრუნოსო.

— ესეც ჩვენს სამშობლოს, მუდამ გამარჯვებული ყოფილიყოს! სხვისი არ სდომებოდეს და თავისიც არ დაეკარგოს, ესეც ჩვენს ბატონს, ღმერთო, პურადობას ნუ მოაკლებ! ეს — სტუმარსა, — ღმერთო, ლეკმას ნუ გამოგვილევ, დავხდეთ გულგაშლილად. ეს — მამულის მხედრებს. ეს — დაცემულს, ესაც საქონელი დაეხოცა. ეს — იმას, ესაც მოსავალი არ მოსვლია. ეს — ქერივსა და უშვილოს. ეს — ქერივს — ობლებს პატრონს. ეს ღარიბსა და მარტოხელას. ეს ობლებსა და უდღემამოს. ეს — სწორსა, ეს — ამხანაგსა, ეს — მეგობარსა, ეს — ნათესავსა. ეს — მეზობელსა. ეს — ფრინველს, ეს — ბირუტყვს. ეს — მე და ჩემს ხიზანს.

მხემ დასავლეთით გადაიწია, სანოვავით დატვირთული ურმები მოვიდნენ. გოგოები სიცილ-კისკისით ვადმოიშალნენ ურმიდან. მელიტონიც ვადმოხტა ცხენიდან და სამხრის სუფრის გაშლა ტანაყრილ წაბლების ჩრდილში ბრძანა.

გამდელმა ლურჯი სუფრა გაშალა. ნიაგმა თბილი პურის სუნი აიტაცა.

სუფრას შემოუსხდნენ.

მელიტონმა ვერცხლით მოქედილი კათხა ხელში აიღო:

— თქვენს მუშაობას გაუმარჯოს. შენც ვაგიმარჯოს, მახარე, ჩვენი მთესველი შენ ყოფილიყავ მრავალკამიერ, — კათხა დაცალა და მახარეს მიაწოდა.

მხარემ კათხა ჩამოართვა, წამოდგა:
— დაილოცოს მშრომელი ხალხის
მარჯვენა! იმას გაუმარჯოს, ვისაც ამ
პურის მოყვანის დროს ოფლი უწვეთე-
ბია, იმას გაუმარჯოს, ვისაც ამ ღვინის
დაწურვის დროს მუხლი დაღლია, იმას
გაუმარჯოს, ვისაც ჩვენი ქვეყნის მშვი-
დობისათვის თავი შეუწირავს!

პირველი დღე სკოლაში

ორბელიანებმა მოითათბირეს, ილია
და ტატო სექტემბრიდან კეთილშობილ-
თა სასწავლებელში მიებარებინათ.

— აუცილებელია, დედავ ბატონო.
დრო შეიცვალა, ახლა სწავლა არის სა-
ჭირო კაცისათვის ისე, როგორც თოფის
სროლა და ქორის მოტევა. თუ ღმერ-
თმა მისკათ ხალისი და ბუნებით კეუა,
ნახავ, რაც შეიქნება თქვენი შვილი და
შვილიშვილი — აიმედებდა დედას გრი-
გოლი.

— ვაი, რომ ვერ აიტანონ ლაღად
გაზრდილებმა იქაური წესი და ადათი, —
სწუხდა ზორეშანი.

— უნდა აიტანონ, ბატონო, რაც
გარდაუვალია, მორჩილებაც გვმართებს,
მით უმეტეს ყრმობისას, — დაადასტუ-
რა მელიტონმა ბიჭების სასწავლებელ-
ში მიცემის აუცილებლობა.

ეფემიამაც მხარი დაუჭირა ბიჭების
სასწავლებელში მიბარებას, მხოლოდ
გამდელ მთიას შეუცვალა ამ გადაწყვე-
ტილებამ გუნება. მთელი დღე ოთახებ-
ში დაბორიანებდა, პირველად იწერდა
და ჩურჩულებდა:

— ღმერთო, უშველე!!..

ილიასა და ტატოს სიხარულისგან
მიწაზე ფეხი აღარ ედგათ, მთელი დღე
მზადებაში გაატარეს.

ადრიაანად წამოიშალა სახლობა, დღეს
ბარათაშვილების უფროსი და ორბელი-
ანების უმცროსი ვაჟები სასწავლებელ-
ში უნდა წასულიყვნენ.

სექტემბრის მზიანი დღე იყო. მუქ-
ლურჯად მოკრიალებული ცა თითქოს
ზევით აწეულიყო.. მსუყე დღეები იდგა,
ბაღებში ხეები ხილით დახუნძლული-

ყვნენ და ძლივს იკერდნენ ნაყოფით
დამძიმებულ ტოტებს.

თეთრი ქულაჯები შეუკეტეს ამ დღე-
სათვის ტატოსა და ილიას. ჯალაბობამ
აივანზე მოიყარა თავი. პირველად ხო-
რეშანმა დალოცა ილია და ტატო და-
კონა მის წინ თავდახრილები, ორივეს
თავზე ხელი დაადო და მტკიცე ხმით
უთხრა:

— მუდამ ნათელი ყოფილიყოს თქვე-
ნი ცხოვრების გზა, მამულისათვის თავი
არ დაგეზოგოთ.

ეფემიამ გულში ჩაიკრა ძმა და შვი-
ლი.

— თქვენი სიცოცხლე მოყვანისათვის
არ დაგნანებოდეთ, ცხოვრების გზაზე
მუდამ პატიოსნად გატაროთ ღმერთმა
და შეგამდებინოთ სხვებსაც გაუადვი-
ლოთ მასზე სიარული.

გამდელმა სამჯერ წაღმა შემოატრია-
ლა ბიჭები, დაუსრულებელი ჩიფჩი-
ფით ლოცავდა თავის გაზრდილებს.

— დრო არის, წავიდეთ — შემოსმა-
ხათ ქვევიდან გრიგოლმა და ალაყაფის
კარში გავიდა. ტატომ და ილიამ კიბე
ჩაირბინეს.

ტატო ჩუმად მისდევდა გრიგოლს,
ილიას კი ხელი ჩაეკიდა მშისათვის და
დაუსრულებლად ტიკტიკებდა.

მოხუცმა მეკარემ კარი გაუღო გრი-
გოლს. ისინი მეორე სართულზე ავი-
დნენ. ბნელ დერეფანში, რომელსაც
სექტემბრის მზიანი დღის შუქი არ
სწვდებოდა, ილია და ტატო დატოვა
გრიგოლმა. ბიჭებმა სიბნელეს შეუჩვე-
ველი თვალთ ვერაფერი გაარჩიეს და
აწურული იდგნენ. უეცრად ჩურჩული
ჩაესმათ:

— ტატო, ილიავ, თქვენც მოხვედით?

— ტატოს არ დაუნახავს, ხმაზე იცნო
ლევანი. თვლებზე ხელი მოისვა და
ახლა გაარჩია — დაეთი, კონსტანტინე,
მიხელი, ყველას აქ მოეყარა თავი,
ახალ ტანსაცმელში გამოწყობილები
კედელთან ჯარისკაცებივით ჩამწკრივე-
ბულიყვნენ.

ოთახის სიბნელეს თვალშეჩვეულებმა
ერთად მოიყარეს თავი. ყველანი ჩუმად

იდგნენ, სიბნელეში ციმციმებდა მათი გაბრწყინებული თვალები. ბიჭებმა ერთმანეთს ყურადღებით დაუწყეს დათვალიერება, წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

კუთხეში რამდენიმე ბიჭი შეჯგუფულიყო, იმათაც შეშინებული სახე და დამფრთხალი თვალები ჰქონდათ. ერთ მათგანს ლოყები ბროწეულივით დაბრაწოდა და ვეებერთელა ყურები ლოყებზე მეტად ასწითლებოდა.

— შეხედე, ილიავ, როგორ ჯვარის მამის ლავაშით დაბრაწულა, — ტატომ მუჯღუგუნო წაჰკრა ბიძას.

— აი, იმას შეხედე — მიუთითა ახლა ილიამ ჭორფლიან, პაჭუა ბიჭზე.

ტატომ ბიჭის დანახვაზე ხმამაღლა გაიციხა. ბიჭი მიხვდა, სიცილი რომ მისმა ცხვირმა გამოიწვია, გაფარჩხული წარბები შეიკრა, პატარა ხელები მომუშტა.

უეცრად კარი გაიღო. გამხდარი კაცი შემოვიდა, ხელში ქალღლები ეჭირა. ბიჭებს უბრძანა გაყოლოდნენ. ოთახში, რომელიც ბიჭებმა გაიარეს, თავი მოეყარათ მშობლებს — მუნიციპალიტეტში, ყურთმაჯიან ქულაჯებში. შავ სერთუებში იდგნენ ჯგუფ-ჯგუფად და ერთმანეთში საუბრობდნენ.

დარბაზი, სადაც ბიჭები შევიდნენ. უფრო ნათელი იყო. წითელ მაუღვადაფარებულ მაგიდას რამდენიმე კაცი შემოსხდომოდა.

გამხდარმა კაცმა, რომელმაც ბიჭები დარბაზში შეიყვანა, ხმამაღლა დაიწყო მიღებულთა სიის კითხვა. ის ყოველი გვარის წაკითხვაზე მთელი ტანით წინ წამოიწედა, ფეხის წვერებზე შედგებოდა, წვრილი არასასიამოვნო ხმით, რომელიმე ბიჭის გვარს დაიძახებდა. თანაც ამოძახებულს ოდნავ ხელს წაჰკრავდა და მეორე კუთხეში მიაგდებდა.

— პაჭუა რა გვარია? — წასწურწულა ივანეს ტატომ.

— მონასტირსკი.

— ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი — დაიძახა გამხდარმა კაცმა ტატომ წურწული შეწყვიტა და ისიც ხელის წაკვრით მეორე კუთხეში მიაგ-

დეს. დაამთავრა ამოკითხვა გამხდარმა კაცმა. ბიჭები დარბაზიდან *გუფუგანაი* *გინულირთხა*

ქართლის ბავი

ვიწრო სარკმელიდან შემოსული სინათლე ნახევრად ანათებდა ოთახს. ბუხრიდან მონადენი შუქი პირდაპირ სცემდა განიერ ტახტს, რომელზედაც მუთაქებს შორის ხორეშანს მოეკეცა. იგი დაბალი ხმით რალაცას მოუთხრობდა მის მუხლებთან მიყუყულ ილიასა და ტატოს. ხორეშანის გვერდით ახალგაზრდა ქალი იჯდა ფეხმორთხმული, საქარგს დაეინებით დასცქეროდა, საქარგზე სახეები გამოჰყავდა. ხორეშანი ახალგაზრდა ქალისაკენ დაიხარა:

— მარჯვნივ გაჰყე ნემსის წვერით. თორემ სახე უსიცოცხლო გამოგვია, თვალებიც დაჰკარგავენ შუქს.

— განაგრძე, დიდდა, განაგრძე, — ხელზე წაეპოტინა ტატო ხორეშანს, სურვილმორთულს ბუდეშური თვალები კილოებში მოუღიწროვდა.

— მოიცა შეილო, რად გეჩქარება ყველაფერი? — ახლა ილიას მიუბრუნდა ხორეშანი. — შეილო ილიყო, გაიხედე, კიდევ თოვს თუ არა, რად იგვიანებს გრიგოლი ასე? ვაითუ ცუდი გზებია! — გაესაუბრა თავისთავს ხორეშანი.

— ილია წამოხტა, ვიწრო სარკმელს მარმავის ფარდა გადასწია, გაიხედა.

— უ, როგორა თოვს, აღარაფერი აღარა ჩანს, ყველაფერი გადათეთრებულია.

ტატო კვლავ ხორეშანს წაეპოტინა უსიტყვოდ. ხორეშანმა ფიქრები თავის გაქნევით მოიცილა და დაწყებული ამბავი განაგრძო:

— რა დაიხანა მეფემ, რუსები თავისას აღარ იშლიანო, მოტრიალდა და თავის ჯარს შესძახა: ქართველებო!! რუსები უკან წავიდნენ, ჩვენ კი აქ უნდა გავწყდეთ, თუ არ გვინდა საქართველოს აოხრება!

ოთახში დიდხანს გაისმოდა ხორეშანის ტყბილი ხმა. იგი თავის საყვარელ

მეფე ერეკლეზე მოუთხორობდა შვილსა და შვილიშვილს.

ჩამოხველდა, ოთახში მყოფნი ხორეშანის ნაამბობს გაეტაცა, დროის მსვლელობას ყურადღებას აღარ აქცევდნენ. არც გარედან მონადენი ხმაურისათვის მიუქცევიათ ყურადღება. ოთახში გამძლევი შემოვიდა, ხორეშანს მოახსენა:

— ბატონი გრიგოლი მობრძანდა...

ხორეშანმა ადგომაც ველარ მოასწრო, კარებში გრიგოლიც გამოჩნდა.

— იჯექ, დედაე ბატონო. — გრიგოლმა ორივე ხელი მიაშველა წამოსადგომად გამზადებულ ხორეშანს, კვლავ მუთაქებზე დასვა, ხელები და მხრები დაუკოცა, ხორეშანმა თავზე აკოცა შვილს.

— მადლობა ღმერთს, მშვიდობით მოხველ, შვილო.

— არ არის ცუდი სამგზავრო, დედა ბატონო, მართალია თოვს, მაგრამ ჯერჯერობით იმდენი არ დაუდვია, ცხენს სიარული შეუშალოს, არც სიცივეა. პირიქით, სასიამოვნოა კიდევ. თქვენ რას აკეთებთ, ყველანი რომ შეყრილობართ? — გრიგოლმა თვალი შეავლო მის წინ გაჩერებულ ტატოსა და ილიას. ხორეშანმა ღიმილი შეაგება შვილს:

— როგორც ყოველთვის, მეფე ერეკლეზე ვუამბობდი, უყვარს ტატოს ჩვენი წარსული.

გრიგოლი ტახტზე ჩამოჯდა, ტატო აიტაცა, მუხლებზე დაისვა და ტკბილად უთხრა:

— აღრიდანვე დაიწყე ქართლის ბედზე ფიქრი, შენმა გაზრდამ!

ტატომ გაუცინა საყვარელ ბიძას, მაგრამ კვლავ დიდუდას ნაამბობზე ფიქრობდა:

— გიორგის რომ ანტონა აქიმბაშისათვის დაეჯერებინა, — წაიჩურჩულა მან.

— განაგრძეთ, დედაე ბატონო, თორემ ხედავთ, ტატო უფროს არ მივდებს, მეც მემამება წარსულის მოსმენა.

ოთახში კვლავ გაისმა ხორეშანის ხმა. გრიგოლი დაფიქრებით მიჩერდა ბუხარში მოვიზივით ცეცხლის ენებს, რომ-

ლებიც ვეებერთელა კუნძებს შეხვიდებოდნენ და მოსვენებას აღარ აძლევდნენ.

გრიგოლი

— ერთ დღეს ხუთჯერ გაიმარჯვა მტერზე, — დაამთავრა ხორეშანმა. გრიგოლმა განაგრძო:

— სამოცდასამი წელი უწელიდა ქვეყანას, დიდი და მცირედი ომი ასობით გადაიხადა. ბოლოს მოღალატეებმა გული დაუკოდეს მოხუცს, მაგრამ მაინც შესძლო დატანჯული საქართველო რუსეთის კალთისათვის შეეფარებინა და ამით გადაწყვიტა მან ქართლის ბედი. თქვენ კი, — მიუბრუნდა შემომცქირალ მძასა და დისშვილს, — თქვენ კი, უნდა ისწავლოთ, ისწავლოთ, ამაზე მეტად აღარაფერი სჭირდება ჩვენ ქვეყანას.

გამძლემა ვახშმისათვის მიიწვია ხორეშანი. ტატო და ილია დასაძინებლად გაემზადნენ.

ბუხრის ალი თანდათან ქრებოდა. ოთახში კიდევ დიდხანს გაისმოდა ტატოსა და ილიას ჩურჩული. ახლა მარტო ერთი კუნძილა გიზგიზებდა გულჩათხრობით. ილიას ძილმა წაართვა თავი. აღარ პასუხობდა ტატოს საიდუმლო ჩურჩულს, ტატოც გაჩუმდა, მისი ფიქრები კვლავ გმირ პაპას დასტრიალებდა, ძილი ერეოდა, თვალები ნელ-ნელა ეხუჭებოდა.

წარსული დღეები სიზმარში გადაქონდა ბავშვურ ოცნებას.

დილის შუქმა და თოვლის სითეთრემ ეიწრო სარკმელში შემოანათა. აღარ თოვდა.

მზის სხივებს აეწითლებინა აღმოსავლეთი. ბრწყინავდნენ მზის შუქზე თოვლით დაფარული გორის ფერდები. მარგალიტებივით ელვარებდნენ ფიფქები. უცინოდნენ მზის შუქს, მზის სხივები კი ნაზად ეალერსებოდნენ ფიფქებს. ერთიდან-მეორეზე გადარბოდნენ, ეშინოდათ, ზედმეტი ალერსით არ დაიფერელონო. ზამთრის პირველი ფიფქები გაზაფხულის პირველი ყვავილებივით ფაქიზნი არიან.

ქალაქმა გამოღვიძება დაიწყო.

ვიწრო ქუჩებში გამოჩნდნენ სახედ-

რები, სანოვაგითა და ნახშირით დატვირთულნი. ყველა გაკვირვებით უმზერდა გამურულ მენახშირეებს, ასეთ სითეთრში ზღაპრული აღქაჯგბივით რომ მოაბიჯებდნენ.

— მაწონი რქ! მაწონი!

— ნახშირი! ნახშირი! — გაისმა ორბელიანთა უბანში. აივნებზე აქა იქ გამოჩნდნენ გამძლეები და მოახლეები. მათ ყოყონით შეეგებნენ სახედრები.

სახედრების ხმა მძინარ ტატოსაც ჩაესმა და შეფე ერეკლეს ლანდიც გაქრა. ტატო წამოდგა. ფეხშიშველმა გადაირბინა ოთახი, ფანჯარასთან მივიდა, ფარდა გადასწია, გარეთ გაიხედა. ტატო გაახარა მზის სხივებით განათებული თოვლის დანახვამ. მზითა და თოვლით ავსილათ ყველაფერი. ცის პირამდე მზისა და თოვლის მეტი აღარაფერი იყო. მაია გამძელის ზღაპარი მოაგონდა, უშვილო დედოფალზე, საკერავით რომ იჯდა სახლის წინ, სისხლის წვეთი თოვლზე რომ დაეცა. თოვლივით თეთრი ასული ინატრა მაშინ დედოფალმა. ალბათ, მაშინაც ასეთი ბრწყინვალე დღე იყო. ვერ შეატყო, სიცივემ რომ აიტანა და კბილებს-კბილებზე აცემინებდა. ლოგინისაკენ სწრაფად ისკუპა, საბანი შემოიკეცა, მაგრამ სარკმელს თვალს მაინც ვერ აცილებდა. გარედან შემონადენ მზის სხივებს და თოვლის სითეთრეს ოთახიც აეცსო. ტატომ ილიას ხმაზე სარკმელს მხერა მოსწყვიტა და თავის ტოლ ბიძას ვახემაურა:

— რა იყო?

— რა დაგეპართა, ტატო!!! გეძახი და ხმას არა მცემ?

— მე მეძახდი?.

— მოდი, გაიხედე, როგორი დილა!

— როგორი დილა?

— არა, ილია, ასეთი დილა არასოდეს არ გინახავს. ციგაც თავისთავად გასრიალდება, მერე ისიც კაკალას გაკეთებული ციგა!

ბიჭები ზეზე წამოცვიდნენ, ჩაცმა დაიწყეს. ტატომ ლურჯი ქუდი გვერდზე მოიქცია, ძირს დაცოცებულ ვერცხლის ქამარს ხელი მიაშველა და სათო-

ნისაკენ გაიქცა, დადევნებულ ილიას მიძახა:

— ილიავ, გამძელთან შევალ, ცხელ თონეულს გამოვართმევ.

ბიჭები მთაწმიდის აღმართს შეჰყვნენ. წინ ტატო მიდიოდა. კაკალას გაკეთებული ციგისათვის თოკი გამოება და მისარიალებდა. ბრწყინვალე მზის შუქზე პირველი თოვლით გადათეთრებული გორები, ეს ბრწყინვალე ტატოს გულშიც აშუქებდა, ახალუხის უბეში ჩადებული ცხელი თონის პური კიდევ უფრო მეტად უხუერებდა ისედაც გახუერებულ გულს.

თითქოს ფრთები შეასხესო, ისე დაეშვა დაღმართზე ტატო. ხელში მაგრად ჩაებლუჯა ციგის თოკი. წინ წამოხრილს თვალეში უჩვეულო სხივი ჩადგომოდა, დაწვები წითლად აფაქლოდა, სითიმბეს უწყწდა და მიჰქროდა პატარა ტატო, წინ გასწრებულ ილიას მუქქარე ხმით დაჰკიყინა და ჰაერში გაისმა მისი წკრიალა ხმა... „ჯაჰვის პერანგი ჩააცვეს, გაქრა ხელი და გახა“...

შეუმჩნევლად გაიარა მოკლე დღემ. ბინდი ჩამოწვა ქალაქში, როცა ბიჭები სიმღერით შემოვიდნენ ორბელიანთა უბანში. სახლში შესულებს ეფემია შემოეგებათ. ეფემია გაახარა ბიჭების დანახვამ, სწუხდა ბიჭებმა რომ დაიგვიანეს, უვნებელი ძმა და შვილი რომ დაინახა, გაიხარა დედის გულმა.

— განა ესე დაგვიანება შეიძლება, შვილო!

— ვერ გავიგეთ, როგორ შემოგვალამდა, დედა!

— ასეთ დროს მგელი ქალაქს ეტანება, შვილო, როგორ იქნება, არ გაუფრთხილდეთ?

— ოთხნი ვიყავით, ეფემიავ, მგელი რას დაგვაკლებდა, — დაიმედა ილიამ და.

— ღმერთმა დაგიფაროთ, მგლის ხროვას შეყროდეთ სადმე.

— გვაპატიე, დედავ, არ გვეგონა, თუ შეგაწუხებდით, — ეფემიამ შვილის შემოხვეული ხელები მოიცილა, თვალეში ჩახედა, ხმას მეტი აღერსი დაე-

ტყო, — არ შეგცივდა მაინც, მთელი დღე გადაკარგულს?

— ისეთი კარგი დღე იყო, დედა, მთაწმიდის მიდამო სადღედოფლოდ მორთულიყო.

ტატოს ყურადღება დარბაზიდან მონადენმა დაპარაკმა მიიპყრო.

— ვინ არის?

— სტუმრები ჰყავს ძია გრიგოლს, შევილო!

დარბაზის კარი შედო ტატომ, შედგა. ძია გრიგოლი მოპირდაპირე ტახტზე იჯდა, დორზე მიყრდნობილი, და ხმამალა კითხულობდა. ტატოს სმენას მისწვდა: „ვის არ ერჩივნა ტყვეობას სიკედილი მამაციული“. ტატომ სუნთქვა შეიკრა, იქვე ჩაჯდა, არავის შეუმჩნევია მისი შემოსვლა ყველა გრიგოლს უსმენდა. ტატოს ყოველი სიტყვის გაგონებაზე ყრუანტელი უვლიდა, თვალები ცრემლებით ევსებოდა. მალალ შებლზე წვეთ-წვეთად დაასხა ოფლის კუკურებმა, რა კარგი ლექსია, გაუელვა ტატოს. ამიტომაც უყვარს ძია გრიგოლი და, როცა ლექსის უკანასკნელი სიტყვები „წაფწყდები მამულისათვის“ — ტაშმა დაჰფარა, ტატოს გაფერმკრთალებულ დაწვებზე ცრემლები დაბლუპით ჩამოუფიდა. ტაში შეწყდა, ტატომ თვალეი გაახილა, დაინახა: სოლომონი გადახვეოდა ძია გრიგოლს. დანარჩენები გარს შემოხვეოდნენ და ულოცავდნენ:

— ამას გივი ამილახვარის აღსარება ვუწოდოთ, — წამოიძახა რამდენიმე ხმამ. ყველა ტაშმა დაჰფარა ხმები, ტატოს კი სმენას უხშობდა უკანასკნელი სიტყვები „წაფწყდები მამულისათვის“.

ხკოლაში

ყბალახით თავპირშებვეული ტატო და ილია საკლასო ოთახში შევარდნენ, მოსწავლეებს წრე გაეკეთებინათ, წკრილა ხმით „ცანგალა და გოგონას“ მღეროდნენ, თანაც ტაში გაეხურებინათ, ლევანს სკამი გადმოებრუნებია და ზედ თავგამეტებით ქართულს უკრავდა.

— ტატომ, ტატომ იცეკვოს! — გაჰყვიროდნენ ბიჭები, ტატო ხელისკვრით წრეში შემოავდეს და იხილავდა ტრიალდა.

— განი! განი! — დაიძახა ტატომ და ფეხის გასმით ყველას წინ ჩამოურბინა, წრე გააფართოვა, მერე ხელები კოხტად გაშალა, თავი მალა ასწია, ჩამოუარა, კაცს ეგონებოდა ფეხები იატაკს არ ეხებოთ ფრთაგამავრებული შევარდნის ბარტყის ქროლვას ჰგავდა მისი ჩამოვლა.

— ყოჩაღ, ტატო, ყოჩაღ!

— სად არის აღდადანოვი, რომ არ გიყურებს?

— ჩქარი ტაში!

— ჩქარი ტაში! — უმატებდნენ ტაშს, უმატებდა ფეხების სრილს ტატოც.

— ყორღანოვი მოდის, ყორღანოვი! — ახურჩულდნენ ბიჭები და აქა-იქ შეწყდა ტაში. ტატო კვლავ განავრდობდა ცეკვას, მას ბიჭების ჩურჩული არ გაუგონია.

კარებში ვეებერთელა ტანის ყორღანოვი გამოჩნდა.

— მოლეკურეს გაუმარჯოს! — ყორღანოვის მჭეკარე ხმამ ბიჭები უეცრად გააშეშა. ტატომაც სწრაფად შეწყვიტა ცეკვა. ყველა თავიანთი აღგილებსიკენ გაეშურნენ, ერთმანეთს ეძიქილავებოდნენ, ხელსა ჰკრავდნენ, თანაც ჩუმაღ ფხუკუნებდნენ.

დაწყნარდნენ ბიჭები.

ყორღანოვმა სათვალე გაიკეთა, თავი მალა ასწია, კლასს გადახედა.

ბიჭებმა წიგნები გაშალეს და თავები ჩარგეს შიგ. მასწავლებელმაც გაშალა წიგნი:

— Жарко очень жарко! — წაიკითხა ყორღანოვმა მჭეკარე ხმით.

— Жарко, очень жарко! — ისე დაიღრიალეს ბიჭებმაც, რომ კედლებმა ზანზარი დაიწყო.

— შეხედე, ილიავ, მანანა, ეკატერინე და მაიკო დროშკით მოდიან — მუჯღუგუნი წაპკრა ტატომ ილიას.

— აბა სად? — წამოხტა ილია და სახე ფანჯრის მინას მიაკრა. გაშლილ

ქოლგებს დაეფარა ისინი. ილიამ თვალი მოჰკრა გაღიმებულ ეკატერინეს, რომელსაც ხელი თოვლის ფიფქებისათვის გაეშვირა.

— ორბელიანო, — დაიყვირა ყორღანოვმა, ორბელიანო, გაკვეთილი იცი! ილია შეკრთა.

— დიხ, თქვენო კეთილშობილებავ, ზმნამდე გავიკვეთე.

— აბა, მიპასუხე.

ილიამ სხაპასუხით დაიწყო, ლევანმა სახეზე ხელი აიფარა, სიცილს ძლივს იკავებდა.

— ყოჩაღ, ზმნამდე უნდა გაიკვეთოთ, ზმნამდე!! — ხელი შალდა ასწია ყორღანოვმა და თითების ტკაცუნით დაადსტურა თავის ნათქვამი.

ყორღანოვის გაკვეთილი მუდამ მოსაწყენი იყო. ბიჭები ყოველთვის ცდილობდნენ თავი სხვა რამეით გაერთოთ. ახლაც კონსტანტინეს მუყაოდან გამოჰკრილ ბიჭისათვის ძაფი ჩაება, ძაფს ჩამოსწევდა და ბიჭი ხელგბსა და ფეხებს უხეიროდ აფათურებდა, ბიჭები უყურებდნენ ამას და სიცილით იხოცებოდნენ.

გათავდა გაკვეთილი, დერეფანში გამოიშალნენ.

— რა ვითამაშოთ?

— ლახტი! ლახტი!

— კარგია, გავხურდებით, ცივა.

— ასკინკილა ვითამაშოთ!

— რაზე?

— აბა, თხილი და კაკალი ვისა გაქვთ — ბიჭებმა ჯიბეები მოიჩხრიკეს..

— ვისაც რა გაგაჩნიათ. აქ დააგროვეთ, ამ სურათის ქვეშ, — გაპყვიროდა დერეფნის ბოლოდან ილია.

— აქედან დაეიწყოთ, მსაჯული მე ვიქნები!

— კენჭი უყაროთ, ვისაც შეხვდება, ის იყოს.

— მე შემხვდა, მე, ესეც შენ—ნიშნი მოუგო ლევანმა ილიას—აბა, დაიწყეთ! ბიჭები დერეფნის თავში ჩამწყრივდნენ, ლევანი წინ გამოვიდა, დაიყვირა.

— ვიწყებთ, ერთი, ორი, სამი! — და ბიჭების მწყრივი ასკინკილით გაიქცა.

— ასკინკილა, კინკილა, ხეალ შეფუთი ზეგ კვირა! — გაისმა მათე ხმა.

— ტატო მივიდა, ტატო!

— მეც მივედი! — აყვირდა კონსტანტინე.

— შენ კვირაზე როდის მიხვედი, კვირაზე მარტო ტატო მივიდა, აბა, პირველი ჯილდო ტატოს მივართვათ.

— კარგი, წაივდეთ, გაკვეთილი დაიწყება.

— რა გვაქვს?

— განა არ იცი? დოდაშვილის გაკვეთილია!

— წამოდით, წამოდით, არ დაგვაგვიანდეს!

— ბიჭებმა თამაშს თავი დაანებეს, საკლასო ოთახის კართან მიძვილაობდნენ, ყველას უნდოდა პირველი შესულიყო და ერთმანეთს შესეგლას არ აცლიდნენ.

— ეგ რა წიგნია?

— დოდაშვილის გრამატიკა, დღეს ვიყიდე.

— მეც მიყიდა ვუშინ მამამ!

— მოსწავლეები კლასში შევიდნენ, თავთავიანთ ადგილებზე დალაგდნენ, წინ ახალი წიგნები გაიშალეს, მხოლოდ აქა-იქ კიდევ გაისმოდა ერთმანეთის გადაძახილი.

კლასში დოდაშვილი შემოვიდა, ბავშვებმა სული განაბეს. ყველა სიხარულით შესჩერებოდა ახალგაზრდა მასწავლებელს, დოდაშვილმა აყრილ ქოჩორზე ხელი გადაისვა, მაგიდებს შორის გაიარა, ყველასთან შეჩერდა, მოსწავლეების წინ ვაშლილ წიგნებს დახედა, სახეზე კმაყოფილმა ღიმილმა გადაურბინა. ეს პირველი წიგნი იყო, რომელიც დოდაშვილმა დაბეჭდა. ეს იყო პირველი აგური ქართველი მოსწავლეებისათვის და სოლომონს არა მარტო თავისი წიგნი ახარებდა, სხვაც ბევრი რამ.

სოლომონი ტატოს მაგიდის წინ შეჩერდა, მას განსაკუთრებით უყვარდა ეს სუსტი ბიჭი, ბუდეშური თვალებით. მაგიდაზე წიგნი არ იღო. ტატო თავდახ-

ჩილი ადგა, სოლომონმა წარბები შეიკრა, სახეზე აღმური წაეციდა, თავისათვის უჩვეულო ხმით დაიძახა:

— ბარათაშვილო!

— ბატონო!

— მამაშენი ლოტრანგია თუ ქართველი?

— ქართველი გაზღავთ, შენი ჭირიმე, — ძლივს წამოიყენელა თავდახრილმა ტატომ და სახეზე აღმური წაეციდა.

წადი და მოახსენე, რომ დღესვე შეგიძინოს წიგნი.

ტატო სწრაფად წამოხტა, გარეთ გაეარდა. წვიმა ნარევი თოვლი სახეში სცემდა, ცხელი ცრემლი გრძელ წაშწამებზე დაეკიდა, ლოყებზე ნაკვალევი დატოვა. სიცივეს აღარ გრძნობს, აღარც თოვლის სუსხს, დასასჯელად გამზადებულ დამნაშავესავით სახეში რომ ურტყამს.

მამა შინ დაუხვდა ტატოს, ეფემია შეშფოთდა სკოლიდან უდროოდ მოსული შვილის დანახვაზე.

— რად მოხვედი ასე უდროოდ?

— წიგნი არა მქონდა, დოდაშვილმა, იყიდევ.

— რა ეჩქარებოდა, განა ხვალ ვერ გიყიდი? — ჩაუტოო მელიტონმა.

— ასე მოგახსენა, დღესვე შეიძინეო წიგნი.

მელიტონი დარცხვენილი წამოდგა, ეფემიასათვის არც კი შეუხედნია, ისე გაჰყვა ტატოს.

ტატო რომ სკოლაში დაბრუნდა, სოლომონს გაკვეთილი უკვე გაეთაყვებინა და გარეთ გამოდიოდა. ტატო სულს ძლივსლა ითქვამდა, უსიტყვოდ გაუწოდა წიგნი.

— გიყიდნია, კარგია, არ უნდა დაივიწყო შენი მოვალეობა. — სოლომონი სწრაფად მოსცილდა მოსწავლეებს.

ბიჭები ქუჩაში გამოცვივდნენ. ჯიბეებიდან შურდულეები ამოიღეს, ბელურებს გამოუღდნენ. სიცივით მობუზულ ბელურებს ხეებზე მოეყარათ თავი და ეჩვივებდნენ, თითქოს ერთმანეთს ამხნევებნენ. შორიდანვე იცნეს თავიანთი

მტრები, ჯგუფ-ჯგუფად შეიფთხობილეს, ზეცისაკენ გასწიეს.

— წამოდით, ხელონების უბანში წავიდეთ.

— წავიდეთ, წავიდეთ, ენახოთ, როგორ ამზადებენ ყვენობისათვის იარაღს.

— გუშინ მიტო იყო ჩვენსა იმდენი შეკვეთები გვაჭკს, მუშაობას ვეღარ ავუღვივართო.

ხელონების უბანში ბიჭების გამოჩენამ დიდი სიხარული გამოიწვია.

— გაიზარდენით!

— დღეგრძელი იყავით! — ესალმებოდნენ იქით-აქედან. მიტო შეფრთხილდა ტატოსა და ილიას დანახვაზე.

— ისეთი საცერეები გაგიკეთეთ, ვინაც გაკრავთ, მისი საქმე წასულია. — სიხარულით ათვალიერებდნენ ხის ხმლებს, ხანჯლებს, საცერე-რგოლებსა და შურდულეებს.

— როგორ თბილა თქვენთან, რა კარგია! — გავივებულ ქურას შემოეხვიენენ, ხელებს უფიცებდნენ და დასველებულ ტანსაცმელს იშრობდნენ.

შინ დაბრუნებული ტატო გამდელთან შევარდა. გამდელის ოთახში მოახლეები ისხდნენ და კერავდნენ. ერთს ქარგა ეღო მუხლებზე, მეორე კი მძივებით ქარგავდა, ნელი ხმით ლღინებდნენ ისინი. ტატო გამდელთან მივარდა: — იცი, გადიავ, ასკინკილა კინკილა მოვივე დღეს.

— კარგი, ჩემო გვრიტო, მასწავლებელი რაღად გააჯავრე?

ტატოს სახე მოეღრუბლა, პასუხი აღარ გაუცია, ოთახში ეფემია შემოვიდა.

— მოსულხარ, შვილო, რად არ შემოხვედი ჩემთან?

— ახლა ვაპირებდი შემოსვლას, დედი!

— გემდური, მიაგ, ჩემი ტატო ვაღამიბირე, უბირველესად შენთან გამოვბის, — ღიმილით გაეხუმრა ეფემია გამდელს.

— გადია ენაცვალოს, იცის, მაგის მოსვლამდე გული რომ ვერ ისვენებს.

ეფემიამ გოგონების ნამუშევარი დაა-

თვლიერა, ზოგს მოუწონა, ზოგს დაუწუნა, ზოგსაც შენიშვნა მისცა.

დედა-შვილი გარეთ გავიდნენ.

გამდელის ოთახი თანდათან დაიცალა, მარტო მიაღა დაჩა ბუხრის წინ, გაშლილ ხალიჩაზე მოკალათებული. ბუხრის ალზე ბებერ ძვლებს ითბობდა მია, თან ტატოსათვის წინდებსა ქსოვდა. ოთახში მოურავი შემოვიდა, გამდელის წინ გაჩერდა, ჩაახველა, მიაიმ მხოლოდ ახლა შეამჩნია შემოსული.

— მოურავო, მობრძანდი? ბატონი დილიდანვე გელოდება. ბრძანა, როგორც მოვიდეს, გამაგებინეთო!

გამდელს გოგოების დაძახება უნდოდა, მოურავმა მუხლზე ხელი დაადო. შეაჩერა:

— მოიცა, მიავე, დავისვენო. ცოტა მუხლში ქარმა გამიაროს. მიაიმ აღარაფერი უთხრა, მოურავი მის გვერდით ჩამოჯდა.

— მოურავო, ვერა ხარ გუნებაზე.

— ჰე, ჰე, გამდლო, განა სასიამოვნოა, როცა ხედავ, ნაამაგარი ოჯახი ინგრევას!

— რა მოხდა, მოურავო? — შეშფოთდა ვადია.

— დალოცვილო, ჭკვიან ქალს გეძახიან. დაფიქრდი, ამდენი მძეგლისა, ამდენი წვეულება, ამდენი შიშის მარანი ხომ არ არის, დალოცვილო, დაუღვევი იყოს.

— ვერ გავიგე, რას მეუბნები, მოურავო?

— გაუგებარს რას ვამბობ, ყოველ კვირა რომ ფული ჩამომაქვს, ჩვენო გლეხები ტყეში კი არ კრეფენ სოკოსავითა: ეს ნაჭერი დაგიბრავე, ის ნაჭერი გაყიდე, ზღვა კოვზით დაილიაო, არ გაგიგონია? მთელი კადა დაგიბრავებელი გვაქვს.

გამდელმა ამოიოხრა, წინდის ქსოვას მოუჩქარა და ფიქრებში გართულს აღარც მოურავის ადგომა და წასვლა გაუგია.

იმ საღამოს, როცა ტატოს ვადიას ზღაპრის შემდეგ ჩაეძინა, გამდელი დიდბანს არ მოსცილებია მის საწოლს, დასჩერებოდა მოხუცი მძინარე გაზრდილს, ცრემლები დაბადლებით ჩამოსდიოდა დამქვნარ ლაწვებზე და მწარე ფიქრები არ ასვენებდნენ:

— რა მოელის მის ტატოს?

(გაგრძელება იქნება)

ივანე კოზლოვი



მწუხრისა ზარი

მწუხრისა ზარი, მწუხრისა ზარი,
რაოდენ ფიქრთა აღმძვრელი არი,
შე ის მაგონებს მშობლიურ კერას,
სად სიყვარულის მითქვამს სიმღერა,
სადაც ყრმობისას უკანასკნელი
მსმენია ზარის გუგუნი ნელი.

ველარ ვიხილო სიამით, ღბენით
იმ გაზაფხულის ნათელი დღენი!
მას შემდეგ გაქრა ამქვეყნად ბევრი

ყმაწვილი კაცო სვებედნიერი.
მათ ფარავს ბნელი სამარის კარი,
მათ აღარ ესმით მწუხრისა ზარი!

მეც ზომ მომწვედება მსახვრალი ხელი,
სამარე ცივი, სამარე ბნელი;
ჩემი სიმღერა მწუხრის ჰანგებად
ტიალ მინდორზე გაიფანტება,
აქ სულ სხვა ვინმე გაივლის მგზავრი,
მას უგალობებს მწუხრისა ზარი!

კონსტანტინე ბაგიუშკოვი 8939

იქ, სადაც რონა მოღლეავს,
მღელოს აწყდება ჩქერი,
სად ტვია წყალზე დახრილი,
ყვავის მომხიბლავ ფერით,
სადაც ყურძენი ქარვისფრად
ღვივის... მთის კალთებს კშვენის,
ოქროს ღიმონი კიაფობს
და შრიალებენ ხენი, —
იდგა რუსი ტყვე, გასცქერდა
სივრცეს მწუხარე თვალთ,
აგონდებოდა ტრამალი,
მზისებრ მბრწყინავი ხმალი,
სამშობლო, დონის ნაპირნი,
გაღმა დუშმანის ზვერვა,
ბრძოლის ველიდან ის ერთი
ხელთ როგორ იგდო მტერმა.

გულსევედიანი მღეროდა:
„ — ო, იხმაურე, რონავ,
შენმა დინებამ დონი და
მამული მომაგონა!

რა უქმად მიდის დღეები,
კაცთა სიავე მზარავს,
არაზად მიღირს ცხოვრება,
გზებიც ნისლს დაუფარავს.

ზეიმობს ირგვლივ ბუნება,
გაზაფხულის მზე ბრწყინავს,
ადიდებს თავისუფლებას.
ჩემი გული კი — გმინავს!
აახმაურე ზვირთები,
რამე მიმღერე, რონავ,
შენმა დინებამ დონი და
მამული მომაგონა!

აი, იქ სოფლის ქალწულნიც...
მგზნებარე თვალთა მზერა,
იმათი გიშრის წამწამლით
გული მზით დაიფერა!

მაგრამ ამ უცხო მხარეში
რაიმეს ეპოვებ განა?
იმ სიხარულით სამშობლოს
მღერის ტყე, მინდორ-ყანა!

თავისუფლება მომეცით,
ჩემი მშობელი მხარე,
მისი დარი და ავდარი,
მისი ტყბილი და მწარე,
ფლოქვის ცემით და ჭიხვინით
მომგვარეთ ჩემი რაში,
ის გამაჭროლებს ელვისებრ
ჩემს დიად ქვეყანაში!

სადაც ძველ ციხე-დარბაზში
ჩემი ლამაზი მელის,
სარკმელთან, ეამსა მწუხრისას,
რომ სტანჯავს ფიჭვი მწველი,
ნატრულობს თავის მეგობარს,
და მოცახცახე ხელით
რაშს ეფერება, გარეთ კი
მხოლოდ ღამეა ბნელი!

აახმაურე ზვირთები, ^{ეროვნული}
რამე მიმღერე ^{ფილიპოთისა} რონავ
შენმა დინებამ დონი და
მაძული მომაგონა!

ქარებო, შუალამისას
წყალს გამოჰყევით ფრენით,
თქვენ, ჩრდილოეთის ვარსკვლავნო
გზა გამინათეთ დევნილს!" —

ასე მღეროდა ჩვენი ტყვე,
ლიონს გასცქერდა თანაც,
სადაც ჭაბუკის ტყვეობა
მუხთაღმა ბედმა ბრძანა.

ასე მღეროდა... რონა კი
ბრწყინავდა თვალმომპრელად,
და უცხო ქალაქს გადაღმა
მზე ჩადიოდა ნელა.

თარგმანი **არნო ონელიძე**



ცისფერი ღუნაი და მწყემსი ზარისკაცები

ახალი შებინდებული იყო, კინოში მივდიოდი, „ბუდაპეშტის გაზაფხული“ მსურდა მენახა. მე ხომ ჩემი ჯარისკაცული წარსული უხილავი ძაფებით მაკავშირებს უნგრეთის დედაქალაქთან. ვფიქრობდი, იქნებ ცნობიერებაში მიძინებული ზოგიერთი რამ ხელახლა წამოტივტივდეს-მეთქი...

შტრეზგაშიშვლებულსა და ოდნავ ნაწვიმარ ჰადრებს ბედურები გუნდგუნდად შესეოანენ და ძილისპირულივით ისმოდა მათი მისუსტებული ელურტული. „საუკეთესო ადგილების“ დასაკუთრებისათვის ნაფუსფუსარ ჩიტუნებს ელექტროლამპიონების შუქით განათებული ფრთები სუსხდაკრული ფოთლებივით უცახცახებდათ.

ჰადრებს ქვეშ მოქცეული ტროტუარის ნაწილი მთელ სიგრძეზე თეთრი ლაქებით აკრელებულიყო, როგორც აქედან, ისე იქიდან მომავალი მოსიერნენი კედლის მხარეს ეტანებოდნენ, რასაც ერთგვარი უწესრიგობა შეჰქონდა მოძრაობაში. ეს ყველაფერი კი სულ იმ საყვარელი ჩიტუნების ბრალი იყო...

უცხად შუა ტროტუარზე ჩაღისფერი ძაღლი გამოჩნდა ბეჭებზე ჰადრის ფოთლის ოდენა წაბლისფერი ხალები ეყარა. იგი სწრაფად მოიწვედა და მრგვლად დაწულ კალათას მოაკუხცუხებდა. პირი სახელურში ჰქონდა ჩავლებული. კალათაში თვინიერი, ბუნჩულა ლეკვი იჯდა და გაოგნებული აქეთ-იქით იყურებოდა. ამ სანახაობამ მრავალთა ყურადღება მიიქცია. ისედაც არეული მოძრაობა უფრო აირია ისმოდა საყვედურები, შეკვივლება, ხანაც გულიანი კისკისი.

უსიამოვნებას ვერც მე ავცდი. მოტ-

რიალების დროს ვიდაც ჯმუხა ტანის ჩოფურა მამაკაცს ფეხი დავადგი მსუბუქად. ვითომცდა ძალიან მეტკინაო, იგი ბუზღუნით ძირს დაიხარა და ცალ წვივზე ხელმოკიდებულმა ადგილი გადაინაცვლა. შავ ყაითიან ქუდზე ლაქები შევნიშნე. გადიმებულმა მაგრამ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა, ხელი მივაშველე და, როგორც კი წელში გასწორდა, მოურიდებლად მომანალა: მინდორში ხომ არა ხარ, ფრთხილად ვერ ივლიო?!

ბოდიშების მოხდამ ვერ ვასკრა. მან ჰმას უფრო აუწია. მაშინ მე ოდნავ დამკინავი კილოთი მივუგე: შე კაი კაცო, რა გაწუწუნებს ლომივით კაცსა? შეზე, ჩიტუნებს გაუბედნიერებხარ! თუ არ გჯერა, აბა, ქუდი მოიხადე-მეთქი. იგი მონუსხულივით დამშორჩილდა. ქუდი მოიხადა თუ არა, მელოტი თავი ყვითელ აბაჯურივით აულაბლაპდა. ზედ ირიბი ნაპრილობევი ჩალურჯებული ბზარივით მოუჩანდა. ნაცნობს მივამგვანე... ის იყო, ვინაობა უნდა მეკითხა, რომ ჯმუხა ტანის კაცმა ჯერ სიცოცხლილით მკლავების მარწუხში მომიმწყვდია, მერე კი მართლა ლომივით დაიბუხუნა:

— კიდევ კარგია, ნაცნობი აღმოჩნდი, თორემ იოლად ვერ გადაშირჩებოდი... გახსოვს ბუდაპეშტი, ცისფერი ღუნაი, ღუნაის პირას ჩვენი მწყემსობა? ვაი-დედასა, აღარ გაგონდები?!

— რატომაც არა! გამარჯობა! როგორა ხარ? მწყემსობას თავი ხომ არ დაანებე?! — სწრაფად მოვკერი სიტყვა და ახლა მე მოვიმწყვდევ მკლავების მარწუხში.

კარგა ხანს გაგრძელდა ჩვენი საუბა-

რი. მერე ამას დაეინებულნი პატივი მოჰყვა და, აბა, კინო რაღას ერქვა, ერთმანეთს დასალოცად რესტორან „დარიალში“ ჩავედით. მასპინძელმა „თამადაობა“ მე მომანდო. შინაურული სადღეგრძელოების შემდეგ ცისფერი ღუნაის სადღეგრძელო ვთქვი, იმ ცისფერი ღუნაისა, რომლის ნაპირებზე რუსი და ქართველი მეომრების არა ერთი და ორი სამშო საფლავის ობელისკია ამართული. იგი შემომედავა, ცისფერი ღუნაისა კი არა, იქ დაცემულთა სადღეგრძელო უნდა გეთქვაო. კარგი, ასე იყოს-მეთქი.. ჩემი დათმობით ნასიამოვნებმა იყალთოელმა სარქალმა დიდი ჭიქა ძირამდე გამოცალა-შეღვივებულებს ათასი რამ გაგვახსენდა.

ლამის თერთმეტ საათზე დავემშვიდობეთ ერთმანეთს ალბათ ჩვენ უფრო გვიან დავიშლებოდით, რომ მეორე დღეს კასპიისპირეთში, სახამთრო საძოვრებზე არ ყოფილიყო გასამგზავრებელი. შინ რომ მივედი, ჩვენები შემეკითხნენ, ძალიან მოგეწონა „ბუღაპეშტის გაზაფხული“?!

— დიახაც, რომ ძალიან მომეწონა! — ვიცრუე და მაშინვე ჩემს სამუშაო ოთახში შევედი. გათენებისას მე უკვე ხმამალა ვკითხულობდი ჭალაღზე გადატანილ ჩემს პირველ მოგონებას იყალთოელ სარქალთან ერთად უნგრეთში გატარებულ დღეებზე:

ჭალაქი ხატვანი.. სათადარიგო პოლიკი... წყობილება ყაზარმის ეზოში.. უფროსი ლეიტენანტი ჰოსპიტლებიდან ახალმოსულთა გვარებს კითხულობს, ამოწმებს მათ საბუთებს. — კიბოშვილი! — შემომესმა უცბად ქართული გვარი გამიხარდა, იქნებ ახლა მიინც ველირსო ქართულად ლაპარაკს-მეთქი. ცნობისმოყვარეობამ ყაზარმის პარმალზე ამიყვანა. იქიდან ხელის გულივით ჩანდა ყველაფერი. წყობილებას ჯგუხატანის ჯარისკაცი გამოეყო, სახე ნაყვავილარი ჰქონდა. უფროსმა ლეიტენანტმა ჰკითხა დაბადების თარიღი, დღეილი გამგზავრებისა და კიდევ სხვა რაღაც... იგი დამტკრეული რუსულით ა-

ლევდა პასუხს. გავიგე, იყალთოდან იყო სახენაყვავილარი ჯარისკაცი.

წყობილება დაიშალა და დაბლა დავეშვი და მაშინვე გამოვეცნაურე. მან ხელი მაგრად ჩამომართვა. ჭული უკან გადასწეოდა და მელოტი თავი უცნაურად უპრიალებდა. მწვანე გერმანულ პიჯაკზე წვირილი, ყვითელი ტყავის ქამარი ეკრა, ქამარზე კი სათამაშო ურმის კონკილასავით ქარქაშინი დანა ეკიდა. ჩვენში ამისთანა დანას ხანჯლის-შვილს უწოდებენ. ფეხთ გერმანულივე ყელგანიერი ჩექმები ეცვა.

მაღე ყაზარმის ბაღში ხის გრძელ სკამზე ჩამოვსხედით. საამურად მოჩხრიალე შედრევიანი აუზის ხავსიან ლოდებზე რძისფერ მზეფებად იმსხვერვოდა. საუბრის დაწყება მან დამასწრო:

— ეჰ, ნეტავ როდის წავალთ სამშობლოში...

— ძალიან მოგენატრა შენი იყალთო?! — ვკითხე მაშინვე.

— მომენატრა რომელია, ლამის არის, კაცი საღეს ქვესავით დავილიო, მაგრამ არა უშავს რა, ცოტასაც მოვითმენ როგორმე...

— ამბობენ, 16 აგვისტოს გავა პირველი ეშელონი ხატვანიდანო.

— მართლა? შენ პირს შექარი! ნეტამც ასე მოხდებოდეს და...

ამ დროს ბატალიონის მორიგის ხუმრობანარევი ბრძანებაც გაისმა: „არწივებო, სადილი მზად არის, მიიღეთ ჩქარა!“.. ატყდა ემალის ჯამებისა და ქვაბუნების ხმაური. ახალგაყნობილმა მთხოვა ერთად გვესადილა. მე მცირე ხანს მოვიციდი, ჰურჭელი არ მაქვს-მეთქი. შენ როგორი ჯარისკაცი ყოფილხარო, — მითხრა და სწრაფად გამშორდა. ცოტა არ იყოს, არ მესიამოვნა მისი ამგვარი ქცევა.

ვარაუდში მოვტყუვდი. ის მაღე ისევ ჩემთან გაჩნდა და მწვანე ქვაბუნა მომაჩეჩა ხელში: დაიჭი, ჩემ სახსოვრად გქონდესო. ზედ დანის წვერით თავისი სახელი და გვარი ამოეკვეთა: „შოთლა კიბოშვილი“. არც კოვზი გექნებაო, დაი-

ხარა და ჩექმის ყელიდან ალუმინის კრილა კოვზი ამოაცოცა. მადლობის მეტი რა უნდა მეთქვა. ასე დამეგობრდით ორი ქართველი ჯარისკაცი უცხოეთის ცის ქვეშ.

სადილობის შემდეგ ყაზარმაში შევედით და ხის ტახტებზე წამოვწყვეით. ძილს ისევ საუბარი ვარჩიეთ. მე მას ჩემი თავგადასავალი ვუამბე. დიდად გაუკვირდა, რომ იმ ჯოჯოხეთურ ომში ერთხელ დავიჭერი და ისიც მსუბუქად. ქუდბედიანი ყოფილხარ, ქუდბედიანი! მე შენისთანა ბედნიერი მეომარი ჯერ არსად შემხვედრიაო...

საუბარი ოთახში ქშენით შემოსულმა ზორზოხა სერჯანტმა შეგვაწყვეტინა: გაიგეთ ახალი ამბავი? ასოცდაერთ კაცს გზავნიანო სადღაც სამუშაოზე...

— ეგეც შენი სამშობლოში გამგზავრება... ასეა, შვილოსანი, სამხედრო სამსახური — მომმართა ადელეგებულმა შიოლაშ და პირი კედლისაკენ იბრუნა...

ზორზოხა სერჯანტის ნათქვამი გაათლდა. ერთ მოქრუსულ დღეს სამსამი ჯარისკაცი გაგვფანტეს უნგრეთის სხვადასხვა მხარეში. მე, შიოლა და ლენინგრადელი ანტონოვი ერთად მოვხვდით.

— აი, ჩვენ უკვე ადგილებზე ვიმყოფებით. სვასტიკიანი გერმანელების მგლურ მადას გადაჩენილი 140 მსხვილფეხა საქონელი უნდა ქალაქ ციგლედში გავრეკოთ. შიოლას გაცივსლებმა დაეტყო ხმაში:

— იყალთოში ვიყავი და მწყემსობაში გავლიე ჩემი დღენი. ევროპაში ვარ და ვერც აქ აუცილ ამ ხათაბალა საქმეს... კარგი, ეს მე ვარ ასე, მაგრამ შენ ხომ ნასწავლი კაცი ხარ, წიგნები გიწერია. შენ რაღად შეგკადრეს მწყემსობა!

— ასეა სამხედრო სამსახური — სიცილით დავუბრუნე უკან ჯერ კიდევ ყაზარმაში ყოფნის დროს ნათქვამი თავისივე სიტყვები...

დადგა გამგზავრების დროც. დაბის მამასახლისმა ორი მოხუცი მადიარი მოგვაშველა, ერთი — მეგზურად, ერ-

თიც — საქონლის თვალყურის სადევნებლად. მე თვითონ გავაღვიწყვეტე კარი. ჯოგურად დამწყვედევს. შეუხვეწიველი საქონელი ნიაღვარივით მოაწყდა ნახევრად გაღებულ კარს. შიოლაშ მარჯვნიდან წამოურბინა და ზედ შუა გზაზე გაჩერდა. ჯოგი მარცხნივ შეტრიალდა. მე მხარზე კარაბინაგადებულმა სარკლომა ვივისრე და ნელი ნაბიჯით გავუდექე გზას. ანტონოვი ბოლოში ამოუდგა ჯოგს. დანარჩენები მარცხნიდან და მარჯვნიდან აედევნენ.

ავარდა შარაზე ბუქი... ატყდა მოხვრების, დეკეულების, ფურებისა და ხბოების ბლავილი. ერთმანეთთან შეუჩვეველი ბირუტყვები რჩოლას არ იშლიდნენ. მზის შუქზე ანთებულ რქებს ჯახაჯუხი გაჰქონდათ. ზოგიც ვერ იტანდა ამდენ რჩოლას და ბღვერას, დროს იხელთებდა, გადაუხვევდა გზიდან და სიცოცხლის ფასად გვიჯდებოდა მისი დაბრუნება.

— ჰამო, შე ოხერო! ტყუილად მოგცა ღმერთმა ამოდენა სიგრძე და სიმაღლე?! გადადგი ფეხი — შემომესმა შიოლას ხმა. შემოვტრიალდი, პირუტყუ განვავარძე სვლა, შიოლა რუმინული თოფის კონდახს უზავუნებდა მადიარულ ხარს და მის დაწინაურებას ცდილობდა. საწყალ ხარს გამჟღავნებულ ზურგზე ბარგი ეკიდა. აქლემს არ ჩამოუვარდებოდა სიმაღლეში. ფერდები ჩასცვენოდა, თითოში ვედრო წყალი ჩაეტეოდა. ათიოდე ნაბიჯიდან რომ შეგებედა, ნექნებს დაუთვლიდი. საწყალს რქები ქონდა უშველებელი. დინჯად, დარბაისლურად მოაბიჯებდა და კუნაპეტით შავ თვალებს სევდიანად მოანათებდა.

— კაცო, აბა, ეს რა გიქნია, სხვა რომელიმეს, უფრო გასუქებულს, ვერ აპკიდე, ამნათვის რომ არ აგეკიდა?! — გავძახე გაბრაზებულმა შიოლას.

— აბა, ვნახოთ, ის გასუქებულები მიგვლენ ადგილზე უვნებლად თუ ეს ჩონჩხად ქცეული საოცრება? ესეც არ იყოს, გასუქებულ ხარს ბარგი აეკიდება? — ვადმომძახა იმანაც ბრაზიანად.

— ეეს, ხარი ბარგის ასაკიდებლად კი არა, უღელში შესაბამელად დაბადებული ამქვეყნად, ჩემო შიოლაჲ, — ვთქვი ჩემთვის და კვლავ გზის მიმართულებით შევებრუნდი. რა მიქნა, შედაეება აღარ დაუწყე, ნამწყემსარი კაცია, ეწყინება-მეთქი... მივდიოდი, გულს ღიღინით-ღა ვიოხებდი:

ხარმა შესტირა გამჩენსა

მარგალიტისა ცრემლითა:

— მიშველე, ჩემო გამჩენო,

სისხლი მომადგა ყელშია.

პირუბანელი ბიჭები

სახრეს მიშენენ წელშია...

ჩვენი მგზავრობის მეოთხე თუ მეხუთე დღეს ვერ მოვახერხეთ ნავარადევე სოფლამდე მისვლა. დეკულებს ხვინჭაზე სიარულით ჩლიქები დასცვენოდათ. იძულებული გავხდით შევჩერებულყავით. ჯოგი ნასიმიდარში შევჩერეთ. გზის მხარეზე რამდენიმე კოცონი დავანთეთ. ცეცხლს რიგ-რიგობით ვეფიცებოდით. ხანდახან თოფს დავცლიდით ხოლმე, რომ ვინმე ავის მდომს უიარაღონი არ ვგონებოდით.

საბარგულში შიოლას ჩონგური ჰქონდა შენახული. ამოიღო, დიდი ხნის დაღუმებულს ენა ამოადგმევინა ისევ. იგი ოსტატურად აუღერებდა ლარებს და წვრილი, გამკივარი ხმით შაირს შაირზე აძღერებდა. მესმოდა ალაზნისა და ციკგომბორის სადიდებელი სიტყვები და, ოცნებაში წასულს, თვალნათლივ მეხატებოდა ჩემი სამშობლო მხარე. ლენინგრადელი ანტონოვი შიოლას გაცემული შესცქეროდა. ალბათ სიმღერის ეშხში შესული ქართველი კაცი უფრო გულთბილი, უფრო ამხანაგური და მეგობრული ეჩვენებოდა. როგორც კი სიმღერის ხმა მისწყდებოდა, ანტონოვი იყალთოელ სარქალს მოსვენებას აღარ აძლევდა: კიდევ იმღერე რამეო. შიოლაჲ წამოიწყებდა:

ნეტავი, ჩემო დედაო,

არაბეთამდე გეარა,

ერთ კიდევ დაგბადებოყო,

ჩემსავით ბეჩავ კი არა...

მე ამ სიმღერაზე ყელთან რაღაც გურკვეველი სევდა წვიმის დრტყელივით მომაწვებოდა და შიოლას გამკივარ ხმას ჩემს მძიმე, გაბზარულ ხმასაც ავაცოლებდი ხოლმე. სიტყვებში: „ერთ კიდევ დაგბადებოყო, ჩემსავით ბეჩავ კი არა“, — მე მესმოდა არა დაბეჩავებული ადამიანის მომაკვდინებელი გულისტკივილი, არამედ საკუთარი თავისადმი უკმაყოფილო ვაჟკაცის ამაღლებული სულის ღალადი: მე ჩემი ვაჟკაცობით რაც შეეძელი სათქმელად არ ღირს, ჩემზე უკეთესები უნდა დაიბადნენო ამქვეყნად...

— იცი, ჩემო ძვირფასო მეგობარო, — მითხრა სიმღერის შემდეგ შიოლაჲ, — ქერჩიდან ვენამდე რამოდენა გზა არის? მე ეს გზა ტანჯვითა და წვალეებით მაქვს გავლილი. რას ვიფიქრებდი, რომ ცოცხალი გადავრჩებოდი, მაგრამ აი, ამ ჩონგურს თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდი, ყველგან და ყოველთვის საქართველოს მაგიერობას მიწევდა, მის ტბილ ღულუნში საქართველოს სუნთქვა მეცნაურებოდა. აბა, შეხედე, აგერ, ყელთან ლავიწის ძვლივით რომ მოღუნულა, როგორი ჭრილობა ამჩნევია... ვუყურებ და ჩემი შვიდი ნაჭრილობევი თითქოს აღარაფრად მიმაჩნია მასთან შედარებით.

შიოლას ნათქვამმა ღრმად დამაფიქრა. გულში ვამბობდი, ეს რამხელა სული ტრიალებს ამ უბრალო ადამიანში. ბოლოს ასე მივმართე ჩემს ქართველ მეგობარს:

— ყაზარმაში ყოფნის დროს შენ ბედნიერი კაცი მიწოდე მე, არც შენ ყოფილხარ უბედური, ჩემო შიოლაჲ. შენი ხმის, გულისა და ჩონგურის პატრონს არ შეიძლება უბედური კაცი ეწოდოს.

გათენებისას ერთი მოხუცი ბოშა მოგვადგა. შეიღნაირად დაიკრიხა, ცოტა პენგი მომეციო და დაუყრავ რამესო. ჩვენთვის მაღიარული ფული დიდ სიმდიდრეს არ წარმოადგენდა, შვეპირდით. მოხეტიალე მუსიკოსმა ვიო-

ლინოს სიმები ააკვნესა. ნამძინარევი შიოლა ფეხზე წამოდგა. ჯოგიც აიშალა. ჩვენ ყველა რაღაც სიცივემ აგვიტანა. ეს არ ვიცი, ვიოლინოს ბრალი იყო თუ მართლა ციოდა.

დანაპირები ჩვენ მაინც პირნათლად შევესრულეთ მოხეტიალე მუსიკოსს. სიხარულისაგან ცას დაეწია ფარატინებით შემოსილი მოხუცი. ბოლოს მან ცოტა რუსული მოიშველია, ცოტა მადიარული, საუბარში ჩაგვითრია და, ჩვენი ქართველობა რომ შეიტყო, გამოშვებდობებისას ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა თავისი ოსტატობა. „ციცინათელას“ უტყბილესმა ჰანგმა საამო ყრუნატელად დაგვიარა ძარღვებში. მადლობის ნიშნად შიოლამ მოხუც ბოშას ხელი დაჰკრა მხარზე, თანაც ქართულად დააყოლა: „შე კაი კაცო, თავიდანვე მაგას დაუკრავდიო...“

გადანასწალებულმა მუსიკოსმა ისეთი კმაყოფილების იერი მიიღო, თითქოს შიოლას ნათქვამი მთლად გასაგები ყოფილიყო მისთვის... მან შლაპის ქნევით გზისაკენ გადაუხვია... უკვე ჩვენი წასვლის დროც იყო. შიოლამ კვლავ მადიარულ ხარს აჰკიდა მთელი ბარჯი-ბარჯანა და გავუდევით კიდევაც გზას. ჩლიქებმოცვეთილი დეკეულები ძლივს მიბაჯბაჯებდნენ...

ჩვენს დასახმარებლად წამოსულ მოხუც მადიარებს ძალიან გასძნელებოდათ ღამის ტეხვა. ფერი აღარ ეღოთ სახეზე. შილიფად ჩაცმულებს მუხლები უკანკალებდათ. შეგვეცოდნენ და ვურჩიეთ, უკან დაბრუნებულიყვნენ... კესანემ! კესანემ! — იყო მათი უკანასკნელი სიტყვა, რაც უნგრულ ენაზე მადლობას ნიშნავს...

ვიდრე ყველაზე მახლობელ სოფლამდე მივიდოდით, ერთ ტრიალ მინდორზე მეჯოგე მადიარებს შევხვდით. მხრებზე თეთრი შალის ლაბადები ჰქონდათ წამოსხმული, წითელი, მწვანე და ყავისფერი ნაქარგებით მორთული. თავზე ფართო შავფარფლებიანი შლაპები ეხურათ და ორი მათგანი გრძელი შოლ-

ტების ტყაცუნით ერთმანეთზე საჩხუბრად მიწეულ ულაყებს ასწეულბუნდნენ. ღამე იქ გავთენოთო! — გამოთქვა ხურვილი ანტონოვმა. მე და შიოლამაც თანხმობა განვაცხადეთ.

მეჯოგე მადიარებმა ცნობისმოყვარეობა გამოიჩინეს. შემოგვიერთდნენ, ჩვენთან ერთად მხართქოზე წამოწვენენ. შიოლამ გაზეთის ქაღალდში გახვეული წიგო მადიანად გააბოლა.

— პან მახორკა ნინი?! — მიმართა ყველაზე ახალგაზრდა მადიარმა შიოლას და თან პეშვი გაუწოდა. იყალითელმა სარქალმა მეორე პეშვიც გააშლევინა და ერთი გახვევა მახორკის ნაცვლად მთელი კვირის სამყოფი ჩაუყარა. ყველამ მხიარული სახე მიიღო...

მე წყალი მომწყურდა, შუახნის მადიარს ტყავის ბუდეში ჩასხმულ მათარაზე დავამტერდი. სურვილს მიმიხვდა, მომწოდა... სმით გულმოჯერებულმა მინდორზე გაშლილ ჯოგს დამშვიდებულად გავხედე. ერთ ადგილას ეკლიანი მავთულით შემოზღუდული ათიოდე ბორცვი მოჩანდა. მე ხელების მოძრაობით ვანიშნე მადიარებს, რა არის-მეთქი იქ. როგორც იყო, გამაგებინეს. თურმე ცხენთა სასაფლაო ყოფილა. ხელი მოვიჩრდილე, დავაკვირდი, მავთულხლართის წვეტიან ბოძებს შავი სვასტიკები ეხატა. მივხვდი, იქ დამარხული ბედაურები გერმანელებს ეკუთვნოდათ...

მზე ჩადიოდა... მიხაროდა, რომ ხვალ ისევ ამოვიდოდა, მაგრამ ყველაზე უფრო სასიხარულო ის იყო, რომ სვასტიკიანი გერმანიის მზე საბოლოოდ განწირულიყო, ვეღარ იხილავდა ზეცის ლურჯ გასადევარს...

ის ღამე ჩვენ და მადიარებმა ერთად გავტეხეთ. ფერადი ლაბადები და შავფარფლებიანი შლაპები აგოგინებულ კოცონის შექმნე რაღაც ზღაპრულ სიდიადეს ანიჭებდნენ ცხენის ზურგზე დავაყაყებულ მეჯოგეებს. მგონი ამას თვითონ შიოლაც გრძნობდა, თორემ კაშკაშა დიღას ალბათ ისევ გერმანულ პიჯაკში დახვდებოდა იგი. ზურგჩანთა-

ში მას ერთი ხელი მთლად ახალი ჯარისკაცული ფორმა ჰქონდა. ჩაიცვა, უფრო მეტი შნო და ლაზათი მიეცა. მაღიარებს ძალიან მოეწონათ მისი ასეთი ქცევა. სულ „დობრი პანს“ უძახოდნენ, ვიდრე, ბუდაპეშტისაკენ მიმავალნი, გრძელ წარაფს არ მიეფუარნით.

პირველად ბუდაფოკში შევედით. იგი ბუდაპეშტის ერთ-ერთი ვეებერთელა უბანია. ჯოგი კომენდანტურის შენობის წინ გავაჩერეთ. ბინის საკითხზე ანტონოვი შევგზავნეთ კომენდანტთან. ქვიტკირის სახლებს შორის მომწყვედელი ჯოგი ძალიან შეწუხდა. მემანქანეებს გვერდით ჩამავალ ქუჩებზე ვუთითებდით. ზოგიერთი წინააღმდეგობას გვიწვედა. უფრო და უფრო ძნელდებოდა ჯოგის შემაგრება. პოლიციელები ქუდ-მოგლეჯილები დარბოდნენ ბინის საშოვნელად. ალბათ კომენდანტი მოსვენებას არ აძლევდათ.

ვეღირსეთ ანტონოვის გამოსვლას. სახის ფერი ზღვის შემხმარ ქაფს მიუგავდა. აღარ იცოდა, რა ექნა. ცახცახი აუვარდა, ოდესღაც მივიწყებული ციება განუახლდა და კბილი კბილზე სარეკელასავით უცემდა.

მოულოდნელად ჩემთან ერთი ჭაღარა პოლიციელი მოვარდა. ხელების მოძრაობით მანიშნა, ბინა ვიშოვნო. ვთხოვე, წინ გასძლოლოდა ჯოგს. დავიყაბულემივალწიეთ ბინასაც. რკინის ჰიშკარი ღია დაგვხვდა. მარჯვნივ და მარცხნივ გზები ჩაკეცეთ. აბომოქრებული ჯოგი ზღაველით შეიჭრა ეზოში. მეგონა რკინით შემოღობილ ეზოს გაანგრევდა და იქ, ქვემოთ რკინიგზის გადამა ამოსასრობად დაეწაფებოდა ცისფერ ღუნაის...

დავლაგდით, სიმშვიდე დაგვეუფლამხოლოდ ანტონოვილა კანკალეზდა. მთხოვა, კორჩმაში წავეყოლოდი, იქნებ კონიაკმა მიშველოსო. წავედით. კარგად რომ შევჭქიფიანდით, ანტონოვი ვიდაც კაპიტანს გადაეკიდა, ჰიქას ჰიქაზე აცლევინებდა. მე შიოლასთან დაბრუნება ვარჩიე. ფეხის ხმაზე მიცნო შიოლამ, კარები ხმამაოულეზბლიე გამიღო. შე-

ვედი, პირუტყვი დაყრილიყო. ყოველ საგანს თავისი ჩრდილი გაეგეფებინა. ორას ოთხმოცი რქა ელაგდა მფეარის შუქზე. ისმოდა ხარების მძიმე სუნთქვა. ფურების გაბმული ფშვინვა, მოზერების სიხმარეული ზმუილი და დეკეულების ჩუმი და ბუნდოვანი კენესა.

ღვინისაგან აღმოდებულს მომეჩვენა, თითქოს ფილაქანზე დამზობილ ჯოგს ზამზახისფერი ოხშივარი ასდიოდა და შემდეგ სანთლის კვამლივით ქრებოდა მთვარიანში. ბურანში წასული ბელემა ძროხები იცოხნებოდნენ... მე ამ სურათმა წარმომაღგენინა უძველესი სამყარო. როცა აღამიანს აღამიანური სახე ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული და სიცოცხლე, როგორც სიხმარი, ფეხს იკიდებდა საარსებოდ უნამირო დედამიწაზე.

— წადი, შიოლაე, დაისვენე, გეყოფა მორიგეობა, — ვუთხარი მუმიასავით დადუმებულ ჩემს ძვირფას მეგობარს. მან პასუხი არ გამცა. სიტყვის მაგივრად, ოხვრა ამოაყოლა გულს. მერე თოფი გადმოშვა, შეტრიალდა და აივანზე ავიდა. დიდხანს მესმოდა შიოლას შფოთვა. მისი გულისტკივილი ჩემთვის უსიტყვოდაც გასაგები იყო...

გათენებისას ჩონჩხად ქცეული მაღიარული ხარი ყველაზე პირველი წამოდგა, მაგრამ ვაი ამ წამოდგომას! ფეხი დაუსხლტა ფილაქანზე, წაიფორხილა და მოულოდნელად ზურგზე დაეცა. ყელგადაგდებულმა რქებით მოლიპულ ფილაქანს აწვერა დაუწყო. ცდილობდა გადმობრუნებულიყო, მაგრამ რას გახდებოდა, როცა მას მისივე რქები პალოების მაგივრობას უწევდნენ. ყელში ხრიალი დაიწყო. შემეცოდა, მივიჭერი სწრაფად, ბევრი ვეჯაჯგურე, მაინც ვერაფერს გაეხდი. ისევ შიოლას გაღვიძება ვამჯობინე.

შიოლა ნამძინარევი იყო, მაგრამ ხარს ისე ხერხიანად დაეჭიდა რქებზე, რომ საწყალი ელდანიკრავივით წამოვარდა ხეზე. მალე სხვებიც წამოიშალნენ. წამლად რომ დასჭირვებოდა კაცს, თივის ან ბალახის ერთ ღერსაც ვერ იპოვნიდა

ეზოში. გამწარებულმა მოზრებმა გულსაკლავად შეკბლავლეს ბუდაპეშტის დადუმებულ ზეცას. მათს ბღავილს გაცეცხლებული ბულის ბღავილიც დაერთო. მე მეგონა მათი ცოდვით გაფითრებული მთვარე, სადაც იყო, ცას მოსწყდებოდა და ბუდაპეშტის რომელიმე მოედანზე დაიმსხვრეოდა...

შიოლას აღარ დაეძინა, ერთად შევხვდით ბუდაპეშტის განთიადს. ანტონოვიც დაბრუნდა. გადავწყვიტეთ, რაც შეიძლება მალე გავცილებოდით ბუდაპეშტს...

...მივიღვართ, ჯოგს ახლა შიოლა მიუძღვის წინ. ცხელა, ასფალტის სირბილესა ვგრძნობ ტერფქვეშ. მე სულ უკან ვარ. ზოგიერთ ადგილზე ვხვდები ჩლიქების ანაბეჭდს. ეს ალბათ ჩონჩხდამცეული მადიარული ხარის ნაკვალევია.

ტროტუარებიდან შლაპიანი ხალხი ყბადაღებული გვიყურებს. ლურჯშეშებიანი ვიტრინები დამპარმავევზლად ბრჭყვიანობენ. ხშირად მძიმე არტილერიით დანგრეულ შენობებს ვხვდებით. აგერ სამსართულიანი წითელი აგურის შენობა. ცარიელი კედლებილა დგას. მესამე სართულის წინა კედელში მძიმე ყალიბის ყუმბარას გაუვლია. მარჯვე ხელის პატრონმა ახალი მთვარის ოდენა ბურთი რომ შეაგდოს — გაეტევა. ახლა ყუმბარის ნაკვალევში ღრუბლის ნაკვლევი მოჩანს...

აი, ვუახლოვდებით ღუნაის ხიდს. შიოლა წამდაუწყუმ უკან იყურება. ყოველ მობრუნებაზე სარკესავით გაიღვევს ხოლმე მისი მელოტი თავი... ჩვენი გულისათვის ტროლეიბუსების, ავტობუსების, ტრამვაების მოძრაობა შეწყვეტილია. აჰა, ღუნაის ხიდიც... ხიდის ყურეში რომელიღაც ზანგულა ძროხას სივიწროვისა და სიციხისაგან გაავებულმა ბუღამ მთელი ძალ-ღონით ამოუჭედურა. საწყალი ძროხა სვეტს დაეჯახა ქვისას, წინა ფეხები დაუსხლტა. წაიშხლიკვერა გახურებულ ასფალტზე და ისევ ზეზე წამოიჭრა.

საუკუნესავით გაგრძელდა ხილზე გა-

დასვლის წუთები. ხელმარცხნივ მეორე ხიდი მოსჩანდა. იგი ზღაპრულად ცხოველის ჩონჩხს უფრო წააგავდა; ვიდრე ნამდვილ ხიდს. ზედ ცეროდენა ჩრდილები მოძრაობდნენ. ალბათ მადიარები ხიდს ამთვლებდნენ.

ღინჯად მიირწეოდა ცინცფარი ღუნაი, თან ბაყბაყ მღვევივით მიბუტბუტებდა. მის სიღინჯეში თუ სიმშვიდეში იმალებოდა რაღაც დიადი და განუმეორებელი. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ღუნაისთან ერთად თვითონ ომგადახდილი ბუდაპეშტიც სადღაც, დიდ მომავალში მიცურავდა. თუმცა, რაღა თითქოს, როცა თავისუფლების სუფთა ჰაერი უკვე მთელი ძალით შეკრილიყო მის ჯანსაღ ფილტვებში.

ჩვენ ახლა გეზი პატარა პეშტისაკენ ავიღეთ. საელმავლო რკინიგზის ნაპირნაპირ მივიღოდი. ლიანდაგების ორივე მხარეზე ბალახის ღერები ამოწერილიყვნენ. დამშვეული მოზრები ცეცხლივით ედებოდნენ თვითუღ ღერს.

გავცდით პატარა პეშტსაც. შევედით რომელიღაც სოფელში. ჯოგი ვერ შევიმაგრეთ, საავდრო ღრუბელივით დაეშვა მინდორიანზე. მინდორი უზარმაზარი ღარტაფებით იყო მოფენილი. ეტყობოდა, წინა დღით ეწვიმა, ღარტაფებში ტბორები იდგა. ერთში, რომლის ახლოსაც შევჩერდით, ერთბაშად ოცი სული ძროხა ჩაეშვა წყურვილის მოსაკლავად. ცხადია, საავიაციო ბომბისაგან იყო ამოთხრილი. გარშემო დიდრონი ბელტები ეყარა. ბელტები ამწვანებულიყო, ომის საშინელება მხოლოდ მოგონებათღა დარჩენილიყო.

რამდენიმე დღის შემდეგ ქალაქ ციგლედსაც მივადექით. ჯოგი მინდორზე გავაჩერეთ. ანტონოვი შტაბში ვაფრინეთ. ამბავი მოგვიტანა — ჯერჯერობით ვერ ჩავიბარებთო. რას ვიზამდით, ქალაქის განაპირა უბანში დავბინავდით. მე და შიოლა ყოველდღე გასადევარზე ვტრიალებდით. მინდორს შუაზე პატარა მდინარე სჭრიდა. ჯოგმა გული იჯერა...

ანტონოვი ორჯერ თუ სამჯერ იყო გასადევარზე. მერე ჩვენთან ფეხიც აღარ

შემოუდგამს, ხელიკებისა და გველხოკერების დანახვას ვერ იტანდა, — ციება უბრუნდებოდა ხოლმე...

მდინარის მეორე ნაპირზე მადიარი ქალები გარეუბნელთა ნაზირს აძოვებდნენ. თითქმის ყველა ქროხისათვის ეყვნები დაეკიდათ ყელზე. ისმოდა ეჭვნების ჟღერა და ამ თავისებურ მუსიკას შესანიშნავად უფარდებდნენ სხეულის მოძრაობას მადიარი მწყემსი ქალები. მათ გრძელი შარვლები ეცვათ, ბეჭებზე მაჯის სიმსხო ნაწნავეები ეყარათ.

მათი ყურება განსაკუთრებით კარგი იყო მზის ჩასვლის წინა წუთებში, როცა ნაზირი შინისაკენ მიიწეოდა. თითქოს ოქროსფერი ეყვნებიც სხვანაირად ჟღერდნენ, და ისინიც, ის ტანკენარი მწყემსი ქალებიც სულ სხვანაირად მიიჩნეოდნენ. მზის უკანასკნელი სხივები ოქროსფერი სიმებად იჭიმებოდნენ ფურების რქებზე, და მჯეროდა ეყვნებთან ერთად ისინიც ჟღერდნენ...

დადგა ნანატრი დღეც, ჯოჯი ჩაიბარეს! შტაბის უფროსმა დიდი მადლობა გამოგვიცხადა მწყემსჯარისკაცებს, სექტემბრის შუა რიცხვებში ჩვენ უკვე ხატეანის სათადარიგო პოლკში ვიყავით. შევეუდევით სამშობლოში გამგზავრებისათვის მზადებას... მე და ანტონოვი პირველ ეშელონზე მოვხვდით. შიოლა კიბოშვილი კი გააფრთხილეს, შენ ცოტა ხანს კიდევ დაგვექირდებო. დამშვიდობებისას ცრემლები მოადგა, საწყალს თვალებზე...

მას შემდეგ უკვე ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი მოსახლენი მოხდა... ასე იქნება მერეც... მაგრამ მე მაინც არასოდეს დამავიწყდება იყალთოელ შიოლასთან და ლენინგრადელ ანტონოვთან გატარებული დღეები. მოულოდნელი იყო ჩვენი მწყემსობა. ხოლო ყოველგვარი მოულოდნელობა დიდხანს ცოცხლობს ადამიანის გულში...



მასარ ბეის ორი გვირგვინი

მასარი ჯერ არც კი დაბადებულყო და მნახველებმა უკვე „პატარა ფაშა“ შეარქვეს. ასეთი იყო აღათი — ბეის ბავშვებს უფრო მაღალი ტიტულით იხსენიებდნენ. როცა „პატარა ფაშა“ წამოიზარდა — ქოჩორი დაუყენეს. ერთხელ, თმას რომ ვარცხნიდა, გადიამ შენიშნა, — ბავშვს თავზე ორი გვირგვინი ჰქონდა.

მისი წინასწარმეტყველებით, ეს გვირგვინები მასარს ორჯერ, ორ პროვინციაში გუბერნატორობას უქადდა.

თუმცა ბეის მეზადის — მოხუცი ძია ოსმანის ვაჟს, ალის, ერთი კი არა, ბარე სამი გვირგვინიც ჰქონდა. მაგრამ მისთვის რატომღაც არავის არაფერი უწინასწარმეტყველებია. ჩემქმედ დასციროდნენ: მხოლოდ სამი ცოლი ეყოლება ერთადო.

გადიოდა წლები. „პატარა ფაშა“ დღითიდღე იზრდებოდა და ვეკაცდებოდა. მაღლე საულვაშეც აუშწვანდა. ჰაბუკს ძალღონის გამოცდის, დამოუკიდებლობისა და ძლიერების მოხვედრის დაუცხრომელი სურვილი აღეძრა.

ჰოდა, კიდევ გაახსენდა გადიას ტყბილი დანაპირები. მაგრამ როდის მოვა გუბერნატორად ვახდომის ბედნიერი დღე? მასარი მოხუცთან მიიჭრა.

გადიამ ანდაზით უპასუხა: „ხომ გაგიგონია, ჩემო ფაშა, ხალხის ნათქვამი: „ლაქუცა ხბომ ორი ჯიქანი გამოსწოვა“? ჰოდა, შენც თუ ასევე, ორთავეს მიუდგები, გუბერნატორობა გელის“.

ამ სიტყვების შემდეგ მასარ ბეის მოსვენება დაეკარგა; ტვინს უხერგრძა აზრი — საქმედ ექცია გადიას სიტყვები.

ჰალიბ ბეის სიკვდილის შემდეგ მთელი მისი უძრავ-მოძრავი ქონება ერთად-

ერთ ვაჟს — მასარს დარჩა. ვინდა აღარ მოლიოდა გლოვის დღეებში სამქიმარზე მასთან. იანინს მიმავალი სულთანის ელჩიც კი ეწვია მასარს ოჯახში. მეტად კმაყოფილი დარჩა თურქი ჩინოვნიკი მასარის მასპინძლობით. წასვლისას, ცხენზე ამხედრებულმა ჩინოვნიკმა, მაღლობის ნიშნად მასარ ბეის ასე მიმართა:

— რაც გინდა მოხოვე, — ყველაფერს შეგისრულებ.

მასარმა კარს მომდგარი ბედნიერება სასწრაფოდ გამოიყენა და საპატიო სტუმარს გადიასაგან შთაგონებული სანუკუვარი ოცნება — იანინის გუბერნატორად ვახდომის სურვილი გაუმზილა. თქმა და ასრულება ერთი იყო. ორი კვირის შემდეგ სტამბოლიდან დანიშნა მოვიდა.

მასარ ბეის გადია გაახსენდა, მოხუცი მასთან იხმო და ღიმილით მიმართა:

— აი, მე გუბერნატორი გავხდი. მაგრამ რა შუაშია აქ შენი ანდაზა?

გადიამ მშვიდად უპასუხა:

— ნუ განრისხდები, ბეი, იცოდე კი — ყველაფერი ჩემებურად მოხდა.

მასარმა თავი ისე დაიჭირა თითქმის ყველაფერს მიხვდა: შერცხვა და განმარტება აღარ უთხოვია გადიასათვის.

მაგრამ მასარის ცნობისმოყვარეობა უფრო გამძლე აღმოჩნდა, ვიდრე გუბერნატორობა. თურქები წავიდნენ აღბანეთიდან. შემოსევებით განადგურებული ქვეყანა ქარიშხალგადავლილ სანაპიროს დაემგვანა. მიქცეულ ზღვას ჰვაც დახვებტა და მწვანეც...

ბეი ნაპირზე გამორიყულ თევზივით ფართხალბდა. არც წასასვლელი ჰქონდა სადმე და არც არვის სჭიროდა მისი

სამსახური. იძულებული გახდა, ისევ თავის მამულს დაბრუნებოდა; მოუსვენრად იყო, მომავლის ფიქრები აწვალებდა.

კვლავ იხმო გადია.

— აბა გაიხსენე, ჩემო აღმზრდელი, შენ ხომ გუბერნატორობა ორგზის მიწინასწარმეტყველე. ერთხელ უკვე ახდა შენი სიტყვა, როდისღა ახდება მეორედ?

გადიამ უცნაურად გაიღიმა და ჩამპალი კბილები გამოაჩინა: „თუ კვლავ ძველებურად მოიქცევი, შენი ჯერი ისევ მოვა“.

„რას ნიშნავს ნეტა ეს დაწყევლილი ანდაზა?“ — ბეი ფიქრებმა გაიტაცა, თავი ჩააკიდა და ამჯერადაც გადიას მეტი აღარა ჰკითხა რა.

ახალი დანიშვნის მოლოდინში მყოფ ექსგუბერნატორისთვის აბა რა საკადრისი იყო ასეთი წერილმანი ამბების გამოკითხვა.

გავიდა ხანი. მასარს თითქოს დაივიწყდა კიდევ გადიას წინასწარმეტყველება. უეცრად ქვეყანას ახალი მპყრობელი დაესაკუთრა. კვლავ დაიფარა ალბანეთი ცრემლით, სისხლითა და მწუხარებით. კვლავ აღსდგა ხალხი ბოროტებასთან საბრძოლველად.

— ბეისათვის კი ომები ზედგამოჭრილი იყო. სიმხნევე დაუბრუნდა და დუჩეს¹ არმიას ფავისი „პატარა“ სამსახური შესთავაზა.

ყველაფერ ამას ის მოჰყვა, რომ... ერთ მშვენიერ დღეს მინისტრად გადღვიძა. მასარმა ანდაზის საბოლოოდ გარკვევა გადაწყვიტა და გადია იხმო.

— აბა, რას მეთყვი? იქნებ იმ შენი ხბოსი არ იყოს, მეც ორ ჯიქანს ვწოვდი?

გადია უკვე აღარ იღიმებოდა, სიბერისაგან კბილები სულმთლად ჩასცვენოდა, ძლივს გასაგონი, ნაღვლიანი ხმით წარმოსთქვა:

„როგორც გენებოს, ისე იფიქრე, ჩემო ბეი, ოღონდ ყველაფერი ძველე-

ბურად ხდება. — ხმო მთელის ძალ-ლონით ორ ჯიქანსა სწორეს და აღმართ-აღმართ მიდის...
განზღობუნა

...ბეი, იქნებ შენ ვერა ხვდები რას ვამბობ?“

მასარი კრიალოსანს ნერვიულად ათამაშებდა.

— ვხვდები, ვხვდები! — ნაძალადევი ღიმილით უპასუხა მან, — ეს ისე, ტყუილად შეგეკითხე...

სიმართლე რომ თქვას კაცმა, მასარს, ძალიან უნდოდა გაეგო, საით უმიზნებდა დედაბერი. გადაწყვეტილიც ჰქონდა პირდაპირ ეკითხა, მაგრამ ისევ ვადიფიქრა: განა მინისტრს ამ უჯიშო დედაბერზე ნაკლები ჰქუა აქვს?

ცხოვრება კვლავ უფრო გრძელი აღმოჩნდა ვიდრე ყოველგვარი პრივილეგიები, ვიდრე იტალიელების მიერ „გულუხვად“ ბოძებული მინისტრის პოსტი. სამშობლოს წმიდათაწმიდა მიწამ ის შავი გველეშაპიც მოინელა. კვლავ დაობლდა ჩვენი „ფაშა“. საკუთარ თითებს თულა გამოსწოვდა ახლა. იძულებული შეიქნა ისევ მამულში დაბრუნებულიყო და გამოდარებისათვის დაეცადა. უსაქმურობამ კვლავ გადია გაახსენა, უნდოდა ერთხელ კიდევ გაეგო, რას უქადდა მომავალი, მაგრამ გადია უკვე ამ ქვეყნად აღარ იყო.

2.

დღეები დღეებს მისდევდა... მასარმა მეურნეობის მოწესრიგებას მიჰყო ხელი. მაგრამ საქმე როგორღაც ვერ ააწყო. თავისი უგუნებობა იყო, მიზეზი, თუ გლახობა წახდა, ის კი იყო, რომ გლეხები ბატონების მუშტს ველარ ეგუებოდნენ.

ერთხელ, ბეის მოახსენეს, რომ მოხუცმა სელიშმა, ერთდროს ბეის რომ ურმით დაატარებდა, ეზოს უკან საბატონო ტყე გაიხეხა. ბეის სიბრაზისაგან დორბლი მოადგა, მაგრამ, როცა ისიც დაურთეს, ეს ყველაფერი, განგებ, პარტიზანებისათვის გზის მისაცემად გააკეთაო, — განრისხებულმა ფაშამ საბო-

¹ დუჩე — მესსოლინი.



ტყის მომწყობის მოძებნა და მასთან მიყვანა ბრძანა.

როცა სელიმმა ფაშას ბრძანება შეიტყო, ტუჩები მოკლეა და გაჰაღარავებული წარბები შეჰკრა—გული ცუდს ეუბნებოდა... მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა, უნდა მისულიყო.

მარმარილოს საფეხურების ავლისას სელიმმა უკანასკნელი ნაწივი გადააგდო, თავისთვის რაღაც ჩაილაპარაკა, და მოურავს პირდაპირ ბეის ოთახში შეჰყვია... მასარი გაუნძრევლად იჯდა და მოსულებს ხმაამოუღებელი მისჩერებოდა. სელიმმა გაცვირვების ნიშნად მხრები აიჩეხა. მაშინ კი იფეთქა ბეიმ. სიბრაზისაგან გამწვანდა, ფეხზე წამოხტა, თვალეში სისხლი შემოაწვია. იცნო ბერკაცმა, რომ საქმე ცუდად იყო. ტანში გააყრდნო, მუხლები აუკანკალდა, მოიბუზა და თავი ჩაჰკიდა.

ბეი ყვირილით მივიარდა მოხუცს: „რაო, სიბერეში ბატონის გასულელება გადაწყვიტე? გეყო თავხედობა? უსინდისოვ! საზიზღარო! არამზადავ!“

ძია სელიმი მოიკრუნჩხა, მუშტისოდენა გახდა.

— დიდო ალაპო, შენ დაიფარე ბეის სული და მიეც დიდი ხნის სიცოცხლე! მაგრამ მე მაინც ვერ გამიგია, რა დაეშავე ასეთი?

— შეკითხები კიდევ? ამას დამიხედეთ, ვერ გაუგია! ერთი მიბრძანე, ვინ გაკაფა ჩემი ტყე, რას განუშებულხარ არამზადავ?! მიპასუხე!

— მასარ ბეი, მე ხეებს მხოლოდ ტოტები წავასხებე. მეტისმეტად ხშირი და გაბარდული ტყე იყო. ერთმანეთს ზრდას უშლიდნენ, მზეს ვეღარ ატარებდნენ.

— რაო? ტოტები შეასხებე?! — ბატონის მკეჭარე ხმამ თითქო მთელი სახლი შეაზანზარაო. მასარმა კედელზე სილამაზისათვის დაკიდებული მძიმე ხმალი ჩამოგლიჯა და მოხუცს მოუღერა. სელიმი მოიკრუნჩხა, მოიკუზა, თითქოს დაპატარავდა კიდევ.

— მეც რომ ვგ ხელ-ფეხი წავასხეპო?! მაშინ რასა იქ?! მაწანწალავ?!
6. „მელოზი“ 167

რა არ აკადრა განრისხებულმა მასარმა საწყალ სელიმს. მოხუცს სინანული აღრჩობდა, როგორი ლამაზეა, დამცირება და სირცხვილი აიტანა. როგორი სილამაზე გამოიჩინა: საპასუხო სიტყვაც კი ვერ მოძებნა. ახლა უკვე გვიან იყო.

— კარგი, ამ ერთხელ მიპატიებია, (აშკარა იყო ბეიმ რაღაც ჩაიფიქრა) ოღონდ ერთის პირობით: საიდუმლოება უნდა ამომიხსნა.

თანხმობის ნიშნად სელიმმა თავი დაუქნია.

— დროული კაცი ხარ და უთუოდ გავგეგონება, რას ნიშნავს: „ლაქუცა ხბო ორ ჯიქანს წოვს და, თუ ორთავეს მიუღდა, ორი პროვინციის გუბერნატორობა ელის.“

სელიმმა კვფა შეიტხანა, დაფიქრდა და ბოლოს წარმოთქვა:

— ალაპმა გაცოცხლოს, წყალობისათვის მადლობა მომიხსენებია! მაგრამ ასეთ საქმეს ნაუცბათეად ვერ ამოვხსნი. ღატაკებს შენთან ვატოლება აბა სად შეგვიძლია? სად ჩემი აზრი და ტვინი და სად შენი?! ერთი დღე მაინც მომეც, მოვიფიქრო.

— კეთილი! — დაეთანხმა მასარი, — თუნდ ორი იყოს. ოღონდ იცოდე, საქმეხარი არ გამიხდევ... მაშინ კი აღარ დაგზოგავ.

სელიმმა ხელი გულზე მიიღო, მდამლად თავი დაუტკრა, და გამობრუნდა.

გავიდა ორი დღე. ამოდ ელოდა ბეი მოხუცის პასუხს. სელიმის მოსაყვანად გაგზავნილმა კაცებმა მისი პარტიზანებთან გადასვლის ამბავი მოიტანეს.

3.

შეიქრნენ თუ არა გერმანელთა ურდოები ალბანეთში, ბალტისტების! მოძრაობაც გამოცოცხლდა. კვლავ აღეძრა მასარის გუბერნატორად გახდომის სურვილი. კვლავ სცადა ბედი. გულით მოჰ-

1 ბალტისტები. ბერგენიული დემოკრატიის მომხრე, ნაციონალურ-შოვინისტური ორგანიზაციის წევრები. დამიშნის დასაყრდენი.

დროსაც გინდა ხელი მოითხო! მეტი ზომ არ მოგივა? არ გამოგივა! დრუნჩს მოგათლიან!

ამ სიტყვებზე ძია სელიმმა მხრიდან თოფი ჩამოიღო და კონდახს ხელი დააკრა:

ამჯერად მხოლოდ ტყვიას გამოგვრჩები — ორ ტყვიის ცურს ერთად!

მოხუცს მეტი აღარა უთქვამს რა. მოწინააღმდეგეებმა უსიტყვოდ ახედახედეს ერთმანეთს.

მასარმა ამოიხენწა. მცველს მრავალმნიშვნელოვნად ანიშნა სელიმზე,

მაგრამ ხალხის მრისხანე რკალში ჩამდგარი მოხუცი რომ დაინახა ვაჩერდა.

კუდამოძუებული მასარი იმ ღამესვე დაბრუნდა მოუხევეში.¹ მთელი გზა თავის ორ გვირგვინს სწყევლიდა — გვირგვინებს, რის გამოც ერთ დროს გუბერნატორობა უწინასწარმეტყველეს.

თარგმანი მ. გომიავშილისა

¹ მიუხეცე — ყველაზე დიდი დაბლობი ალბანეთში. აღრიატიყის სანაპიროზე.



ღმკნის ღასასრუღი

გამომშვიღობებისას შკიბერს ხელი ჩამოვართვი; მან წარმატება მისურვა, მერე ჩინელებით, მალელებით, დაიაკებით საესე გემბანიღან კიბეზე დავეშვი. ჩემი ბარგი უკვე ნავში აღმოჩნდა. ნავი დიდი, ტლანკი იყო, სელის უშველებელი აფრა ჰქონდა და მთლად გატენილი იყო ადგილობრივი მგზავრებით. ძლიეს ჩაეჯექი შიგ. ადგილი დამითმეს. ნაბირამდე სამიღდე მიღი იქნებოდა. გრიღი ნიავი ჰქროდა. მალე ზედ ზღვის პირზე მომდგარი ქოქოსის უამრავი მწვანე პალმები დაეინახე; მათ შორის სოფლის სახლების ყავისფერი სახურავებიც გაირჩეოდა. ინგლისურის მცოდნე ჩინელმა აიენიან თეთრ სახლზე მიმითთა და მითხრა, რომ ის ეკუთვნოდა ადგილობრივ რწმუნებულს, ვისთანაც ბინად დადგომა მქონდა განზრახული, მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცნობდი მას. მისადმი ნღობის წერიღი თან მქონდა. რაღაც უცნაური სიმარტოვე ვიგრძენ, როცა ნაბირზე გადმოვედი და ბარგი გვერღით დამიდევს. რა უნდა გამხარებოდა ბორჩეოს ჩრდილოეთით მიგდებულ დაბაში, და, ცოტა არ იყოს, იმის გაღიქრებაც კი მაკრთობდა, რომ უნდა გამოცეხადებულ იყავი სრულიად უცნობს კაცთან და მეთქვა, მსურს ვიძინო თქვენს კერქვეშ, მივირთვა თქვენი კერძი და ესვა თქვენი ვისკი, ვიღრე მეორე გემი შემოვიღოდა და დანიშნულების ადგილზე წამიყვანდა. მაგრამ თურმე შეიღლებოდა არ შემეწუნებინა თავი ასეთი ღიქრებით: როგორც კი მივედი ადგილობრივ რწმუნებულთან (მღალი, მხნე, მხიარული კაცი იყო, ასე, 35 წლის) და ბართი ვუჩვენე, გულიანად

მომესალმა და ვიღრე ხელს მართმევედა იქვე მსახურ ბიუს გადასძახა — აბა, სასმელი აფრინე, და მეორეს — ჩქარა, სტუმრის ბარგს მიხედღო. ჩემს ბოღიშებს კი ყურიც არ ათხოვა:

— „ღმერთო ჩემო, თქვენ არც კი იციღთ როგორ მიხარია თქვენი სტუმრობა. არ იღიქრთ, რომ რაიმეთი შემაწუნებთ. პირიქით, სიხარულით ლამის ცას ვწვღდე. დარჩით რამდენხანსაც გაგებარღებათ, თუნდაც ერთი წღელი.“

გამეცინა. მან მუშაობა მიატოვა. ისეთი საქმე არაფერი მაქვს, რომ დღღამდე ვერ მოითმინოსო. ჩავეჯექით სავარძელში. ვსაუბრობღით და ვსვამღით, ვსვამღით და ვსაუბრობღით. როცა სიცხე ჩამოწვა, ჯღუნგლებში გავსწიღეთ, უკან კი თავით ფეხამდე გაღუმბული დავბრუნღდიღთ. აბაზანამ და ტანსაცმელის გამოცვლამ გვაამა. მერე ვისადიღეთ. უკვე დავიღალე, და თუმცა ჩემი მასპინძელი, როგორც სჩანდა, მზად იყო მთელი დამე საუბარში გაეტარებინა, მაინც ბოღიში მოვუხადე და ვთხოვე თუ შეიღლებოდა დამეძინა.

— „ღიახ, ღიახ. აი, გამოგყვებით თქვენს ოთახში, ვნახავ, ხომ ყვეღაფერი რიგზეა.“

ოთახი კარგა მოზრდიღი იყო, ორივე მხარეს აიენებით, საღად მოწყობიღი; საწოღი კი ზიდი იყო, კოღოები-საგან დამკვეღი ბაღით ჩამოფარებულღი.

— „საწოღი ცოტა მაგარიღა. რას იტყვიღთ?“ — მითხრა მან.

— „რატომ! არა! ამაღამ რომელ მხარეზეც დავიძინებ, იმავეზე გამომღღვიძება.“

ჩემმა მასპინძელმა ლოგინს ფიქრია-
ნად დახედა:

— „უკანასკნელად ამაზე ჰოლანდი-
ელს ეძინა. გინდათ ერთი სასაქონლო
ამბავი ვიამბოთ?“.

ძილის გარდა არაფერი მინდოდა
ქვეყნად, მაგრამ მასპინძელი ის იყო,
და რადგან მეც მიყვარს ოხუნჯობა-
ბასი, — ვიცი რა ძნელია კარგი მოსა-
ყოლი გქონდეს და მსმენელი ვერ იბო-
ვნო.

— „ის ჰოლანდიელი, თქვენ რომ
იმგზავრეთ იმ გემით ჩამოვიდა. მოვი-
და ჩემთან კანცელარიაში, სასტუმრო
სად არისო, იკითხა. მე ვუთხარი, ჩვენ
სასტუმრო არა გვაქვს, მაგრამ თუ
ვერა გააწყობთ, ჩემსას დარჩით-მეთ-
ქი. ეს საკმარისი იყო; დამთანხმდა.
ვუთხარი ბარგიც თან წაეღო ჩემსას.

— „აი ამის გარდა არაფერი მამა-
ლია“, — მითხრა მან.

პატარა, შავი პრილა ჩემოდანი მიჩ-
ვენა. ვერაფერი შეილი სჩანდა, მაგრამ
ეგ ჩემი საქმე არ იყო, და მეც ვუთხა-
რი: წაბრძანდით ჩემსას, საქმეს მოვრ-
ჩები თუ არა, მეც მოვალ-მეთქი.

ამას ვუღებოდი, რომ თანამშრომე-
ლი შემოვიდა. ჰოლანდიელი უცებ
შეკრთა, გასასვლელისაკენ წაიწია, —
ალბათ კარის რახუნმა თუ შეაფრთხო;
ასე იყო თუ ისე, რაღაც წამოიყვინა,
ოდნავ შეხტა და რევოლვერი იძრო.

— „რას მიჭირავ თუ კაცი ხარ?“ —
ვკითხე მე.

ჰოლანდიელმა თანამშრომელი რომ
დანიხა, დაცხრა, ზურგიით კარადას მიე-
ყრდნო; სულს ძლივს ითქვამდა, და
ისე კანკალებდა, თითქოს აციებდესო.

— „მაპატიეთ, — მითხრა მან. ნერ-
ვების ბრალია. ისე ვარ მოშლილი ნერ-
ვებზე რომ...“

— „ღიახ, ღიახ. მგონი მართლაც მა-
სია“, — ვუთხარი მე. ბევრს აღარ ვე-
პოწოლიკებოდი. მართალი ვითხრათ,
უნანობდი კიდევ, რომ მივიპატიე-
ნასევამს არ ჰგავდა. გამიელვა: პოლი-
ციას ხომ არ ემალება, თუმცა სულელს

არ ჰგავდა, რომ მგლის ბუნებაში შევეყო
თავი.

— „თქვენ წადით დამგამორჩინებთ
ასე აჯობებს“, — ვუთხარი მე.

დამშვიდდა. როცა სახლში მივედი,
სარგადაყლაპულივით გაკიშული, აივა-
ნზე იჯდა. მას უკვე აბაზანა მიეღო,
გაეპარსა და ახლები ჩაეცვა; საკმაოდ
მოხდენილი ჩანდა.

— „ასე გაკიშული რად სხედხართ ამ
შუა აივანზე? — ვკითხე მას. ა იმ გრძელ
საეარძელში უფრო მოსვენებთ“.

— „არა, არა. ასე მიჩვენია“, თქვა
მან.

მეუცნაურა. მაგრამ თუ ვაცს, ამ სიკე-
ხეში, წამოწოლას, ასე გაკიშული
ჯდომა ურჩევნია, ეს რა ჩემი საქმეა-
მეთქი. შესახებდავად საშუალო სიმაღ-
ლის იყო, ჩათსკენილი, გამოკვეთილი
ნაკეთები ჰქონდა და თმა — ზღარბსა-
ვით შეკრეკილი. ასე 40-ის იქნებოდა.
და რაც ყველაზე მეტად მოაცხებდა
— ეს მისი გამოხედვა. თვალეზში
(ლურჯი, თითქმის პატარა თვალე-
ზი ჰქონდა) ისეთ მზერას ვამჩნევდი,
რომ სულ ერთმანეთს მგვრიდა; სახეც,
შეიძლება ითქვას, შეწუხებული ჰქონ-
და, თითქოს — ესაა წამოიყვინებდესო.
ჩვეულება ჰქონდა: მარცხენა მხარისა-
კენ სწრაფად გაიხედავდა, თითქოს
იქედან რაღაც მოესმოდა. ღმერთმანი
ძალიან ნერვიული იყო.

დავიწყეთ სმა, ვისაუბრეთ. ინგლი-
სურს მშვენიერად ფლობდა და ოდნავ
უცხო კილო რომ არა, ვერც მიუხედე-
ბოდით, რომ ინგლისელი არ იყო. უნდა
ვითხრათ, კარგი მოზაასე იყო. ნაკითხი
სჩანდა; მთელი ქვეყანა მოვლილი ჰქო-
ნდა. პირდაპირ სიამოვნება იყო მის-
თვის ყურის გდება.

შუადღით სამი თუ ოთხი ბოთლი
ვისკი დავლიეთ, არც ღვიის არაყი
დაგვიკლია, და სადილზე უკვე კაი შეხა-
ლისებულნი გახლდით, — ჩემი ნაცნობი
მართლაც რომ სამშაყავო ვინმე აღმო-
ჩნდა. ცხადია, ვისკი სადილზეც ბევრი
ვსვით. როგორღაც ერთი ბოთლი ბენე-
დიქტინიც შემომრჩენოდა, მერე ლიქი-

ორსაც მივადევით. მგონი, ორივენი კარგად შევთვერით. შემდეგ კი, მან მიაშობ თუ რატომ ჩამოვიდა აქ. მეტად საოცარი ამბავია“.

ჩემი მასპინძელი შეჩერდა, მე მომჩერებოდა, თან პირი დაეღო ოდნავ. უთუოდ უცნაური რაღაც აგონდებოდა, რაც კვლავ საგონებელში ავღებოდა.

— „ის პოლანდიელი სუმატრიდან ჩამოვიდა. ვინმე აჩინელისათვის¹ რაღაც დაუშავებია და აჩინელს დაუფიცავს შურს ვიძიებო. ჯერ პოლანდიელს აინუნშიც არ ჩაუგდია. მაგრამ აჩინელი ორჯერ თუ სამჯერ თავს დაესხა. ხიფათისაგან თავის ასაცილებლად ამჯობინა ცოტა ხნით იქაურობას გასცლოდა. ბატავიაში ჩავიდა, — იფიქრა დროსაც ვავატარებო. ერთი კვირაც არ გასულიყო, რომ დაინახა აჩინელი ღობესთან იმალებოდა.

ეს კი ვერ იყო კარგი ნიშანი. ეტყობოდა აჩინელი არ ხუმრობდა. მაშინ პოლანდიელმა გადასწყვიტა სურაბაიაში წასულიყო. ასეც მოიქცა. ერთხელ შეამჩნია რომ აჩინელი ფეხბაფეხ მოჰყვებოდა. შიშისაგან თმა ყალუხებ დაუდგა. ვაჟკაცი ხარ და ნუ შეგეშინდება! პოლანდიელი სასტუმროში მივიდა, ნივთები ჩაალაგა, და პირველივე გემით სინგაპურში ამოჰყო თავი. იქ ერთ დღეს პოლანდიელების სასტუმროს ეზოში სასმელს სვამდა, რომ აჩინელი შემოვიდა, წამით შეხედა მას, და უკან გაბრუნდა. კინაღამ ეღდა ეცა ჩემს პოლანდიელს:

თითის განძრევას ვერ მოასწრებდა, ისე გაუყრიდა ხანჯალს აჩინელი. იცოდა, რომ აჩინელი ხელსაყრელ შემთხვევას ელოდა, სიკვდილს უმზადებდა. ეს ყველაფერი გამოსჭვივოდა აჩინელის თვალებში. ამან სულ წაართვა ძალღონე“.

— „მაგრამ რად არ მიმართავდა იგი პოლიციას?“ — ვკითხე მე.

— „არ ვიცი. ისეთი რამე იყო, რომ პოლიციას ვერ ჩარევდა“.

— „კი მაგრამ, რა დაუშავა იმ კაცს?“

— „არც ვგ ვიცი. არ მითხრა. როცა ვკითხე, ისე გადმომხედა, რომ, მგონი, რაღაც ცუდი ჰქონდა ჩადენილი. ეტყობა გრძნობდა, რომ ღირსი იყო იმის, რითაც აჩინელი ემუქრებოდა“.

ჩემმა მასპინძელმა პაპიროსს მოუკილა.

— „განაგრძეთ“, — ვუთხარი მე.

— „სინგაპურ-კაჩუნგის გემის შკიპერი შესვენებისას სასტუმროში ჩერდება. გემი საღამოთი უნდა გასულიყო. პოლანდიელმა გადაწყვიტა ესარგებლა შემთხვევით და გასხლტომოდა აჩინელს. ბარგი სასტუმროში დასტოვა, თვითონ კი შკიპერს გაჰყვა, ვითომ აცილებდა, და დარჩა გემზე. ნერვები მთლად მოშლილი ჰქონდა. აღარაფერი ენადლეუბოდა, ოღონდ აჩინელი მოეშორებინა თავიდან. კაჩუნგში ასე თუ ისე აღარ ელოდა ხიფათს.

სასტუმროში დადგა და ჩინურ მაღაზიაში ორი კოსტუმში და ბლუზები შეიძინა. მაგრამ, მიაშობ საბრალომ, ვერ ისვენებდა. სულ იმ კაცზე ფიქრობდა, წამდაუწყემ შფოთავდა, ელანდებოდა, რომ ყელში ხანჯალი გაუყარეს. ღმერთმანი, ძალიან მეზრალეობოდა პოლანდიელი. რომ მიყვებოდა, სულ ცაცხახებდა, სასოწარკვეთისაგან ხმა უკრთოდა. მაშინ მივუხვდი მის გამოხედვას. ალბათ გახსოვთ, მე ვითხარით, რომ რაღაც უცნაური გამოხედვა ჰქონდა-მეთქი, და ვერ გამეგო, რის გამო იყო. შიში იყო მის თვალებში, დიახ.

ჰოდა, ერთ დღეს, როცა კაჩუნგის კლუბში იმყოფებოდა, ფანჯრიდან აჩინელი დაინახა. თვალები შეასწრეს ერთმანეთს. პოლანდიელს ცივმა ოფლმა დაასხა. გული წაუვიდა. გონს მოვიდა თუ არა, პირველი ფიქრი იყო, — როგორმე იქაურობას მოშორებოდა. ხომ იცით, კაჩუნგში ათასში ერთხელ დადის გემი და დაუყოვნებლივ, თქვენ რომ ჩამოდით, მხოლოდ იმ გემით შე-

¹ ექნებულ სუმატრის ერთ-ერთი მხარის — აჩინის მკვიდრი.

იძლებოდა გამგზავრებდა. ასეც მოიქცა. დამშვიდდა, რომ აჩინელი გემზე არ იყო*.

— „მაგრამ აქ რამ ჩამოიყვანა?“

— „გეტყვი, მაგ ჯაბახანა გემი ათას ადგილას ჩერდება მთელ სანაპიროზე, და აჩინელი რას მიხვდებოდა თუ სად ჩავიდოდა პოლანდიელი. ვადასწყვიტა აქ ჩამოსულიყო, რადგან დაინახა, რომ ნაპირისაკენ მგზავრების გადასაყვანად მხოლოდ ერთი ნაგი მიიოდა, რომელშიაც ათიოდე კაცი იჯდა.

— „აქ კი, ბოლოს და ბოლოს, არავითარი საშიშროება არ მელის, — მითხრა პოლანდიელმა, — ოპ, მცირე ხნით მაინც რომ მომასვენა, ნერვები დამიწყნარდება“.

— „დარჩით რამდენხანსაც გენებოთ, — ეუთხარი მე. აქ არაფერია საშიში. ყოველ შემთხვევისათვის, შემდეგ თვეში, გემი რომ შემოვა, თუ გნებავთ, გაგიგებთ ვინ ჩამოვლენ“.

არ იცოდა როგორ გამოეთქვა მადლობა. ეხედავდი, რომ ოდნავ დამშვიდდა. უკვე საკმაოდ გვიანი იყო, ვურჩიე დაგვესვენა. მის ოთახში შევიყვანე, მიმოვიხედე. მან სააბაზანოსაკენ კარები

გადარაზა, დარაბები დახურა, თუმცა ეუთხარი, რომ საშიში ვაფერხებოყო, და როგორც კი გამოვედრე, კარების კლიტის ხმაც მომესმა.

მეორე დღით, როცა ბიჭმა ჩამომართვა, დავეაღე პოლანდიელისათვისაც დაეძახა. სწორედ ვაპირებდიო და კარზე რამდენჯერმე დაუაკუნა. სიჩუმე. გამიკვირდა. ახლა კი დაუბრაზუნა. მაგრამ უშედეგოდ. მართალი გითხრათ, შევშოთიდი, წამოვდექი და მეც ჩავერიე. იმდენი ვუბრაზუნეთ, რომ მკვდარსაც უნდა გაღვიძებოდა. მერე კი კარი შევამტერიე. გადავწიე საწოლის ფარდა და რას ვხედავ: ის იწვა საწოლზე — მკვდარი. იქვე თავთან ხანჯალი ეგდო. თუგინდ მატყუარად ჩამთვალეთ, მაგრამ, ღმერთს გეფიცებით, არსად არავითარი ჭრილობა მას არ ჰქონდა. ოთახიც ცარიელი იყო. სასაცილოა არა?“

— „ეს ჰუმორის თქვენს გემოვნებაზე დამოკიდებული“, — მიუუგე მე.

მასპინძელმა მომმართა:

— „მაგ საწოლზე უარს ხომ არ იტყვი?“

— „არ-რ-რა. მაგრამ უმჯობესი იყო ეგ ამბავი ხვალ დილით გეამზნათ“.

„ფრანგი ჰოუ“

ფრანგ ჯოლსთან კაპიტანმა ბარტლეტმა მიმიყვანა.

ხუთშაბათის კუნძული არა მგონია ბევრს თქვენგანს ენახოს. ტორესის სრუტესთან მდებარეობს; კაპიტან კუკს ხუთშაბათ დღეს აღმოუჩენია და ამ დღის სახელიც უწოდა. დავინტერესდები შენახა ეს კუნძული, რადგან სიღნეში მითხრეს, მასეთი ოხერი მხარე ღმერთს სხვა არ შეუქმნია, ერთი მოსაწყენი ადგილია; თან გამაფრთხილეს, შეიძლება სადმე კისერიც მოიტეხო. სიღნეიდან იაპონური კარჭებით ჩავედი; ნაპირზე ნავით გადავსხეს. შუალაშე იყო და კუპრით ბნელში არაფრის ნასახი არ სჩანდა. მეზღვაურმა ზურგ-

ჩანთა გადმომიტანა ნაპირზე და მითხრა, მარცხნივ იარე, მალე ორსართულიან სახლს მიაღვები და სასტუმროც ის იქნებაო.

ნავი გაბრუნდა. დავრჩი მარტო. სხვათა შორის, არ მიყვარს ჩემი ბარგის უპატრონოდ მიტოვება, მაგრამ ისიცაა, რომ არც ღამის გათვევა მიტაცებს, სადაც წამომეწევა. განსაკუთრებით რიყის ქვებზე. ასე რომ, მოვიდე მხარზე ზურგჩანთა და გავემართე.

ბიუყუში დამე იყო. ნათქვამის მიხედვით ორიოდ ვერსი უნდა გამეგლო, მე კი, მომეჩვენა, გაცილებით მეტი გავიარე; ვაი თუ გზას ავცდი-მეთქი, მაგრამ მალე სიბნელეში შენობა გავარ-

ჩიე. დიდი იყო, შეიძლება სასტუმროც ყოფილიყო. შენობა ჩაბნელებული იყო, მაგრამ თვალები შეჩვეული მჭონდა ბნელს და კარს იოლად მივავენი. გავკარი ასანთს, მაგრამ ზარის ღილაკი არსად სჩანდა. დავაკაკუნე. არავინ მიპასუხა. რაც შემეძლო, ისევ დავაკაკუნე კვერთხით. მაშინ, ზემოთ ფანჯარა გაიღო; ქალმა მკითხა, რა გნებავთ.

— „ახლახანს ჩამოვედი, — ეუბნარი, — ხომ გაქვთ ოთახი?“

— „ამ წუთში ჩამოვალ“.

ცოტა არ იყოს მეტი მალოდინა, გაიღო კარი, ქალს წითელი ფანელის ხალათი ეცვა. მუქ, ზორბა ძნებსავით ეფინა მხრებზე თმები. ხელში სანთელი ეჭირა. თბილად მომესალმა, (შევამჩნიე, რომ ის ოდნავ ჩასუქებული იყო. გამჭრიახი თვალები და, პირდაპირ, საეჭვოდ წითელი ცხვირი ჰქონდა) შემიპატიჟა. ამიყვანა ზემოთ და ოთახი მიჩვენა. მითხრა: „დაბრძანდით, ახლავე გაგიშლით ლოგინს. მიირთმევთ რამეს? მგონი, ვისკზე არ იტყოდით უარს?! ამ შუალამით, ალბათ, არ დაიბანთ. პირსახოცს დილით მოგართმევთ“.

და ვიღრე ლოგინს გაშლიდა, გამომიკითხა ვინ ბრძანდებით, რისთვის ჩამობრძანდითო და სხვ. ცხადია, მიხვდა, რომ მეზღვაური არ ვიყავი (აგერ 20 წელი იყო იქ სულ ლოცმანები ჩადიდონდნენ) და ვერ გაეგო რა მიხდოდა ხუთშაბათის კუნძულზე. ალბათ კუნძულის ზნე-ჩვეულებების შესასწავლად ჩავიდოდი. „ასეა ხომ“. ყურიც მოეკრა, ვილაცხა ასეთი უნდა ჩასულიყო სიღნეიდან.

მეზღვაურები ჩერდებიან-მეთქი, ალბათ თქვენს სასტუმროში. კი, როგორ არაო, — ახსენა კაპიტანი ბარტლეტი: გაოცდა რომ არც კი ვამეგო ეს სახელი. და მიამბო: „კაპიტანი უცნაური კაცია, თმას არასოდეს იკრებს, მაგრამ ლიჭიორს, მტრისას, იმდენს სვამს“.

ბოლოს საწოლი მზად იყო, ვიღრე წავიდოდა, მითხრა, მაგრად კი დაგეძინებათ, პო, ზეწარი სუფთააო. მიღე-

ული სანთელი გააქრო და ღამე წებისა მისურვა.

კაპიტანი ბარტლეტი მართლაც უცნაური ვინმე აღმოჩნდა. (თუმცა, რისთვის ვამბობ ამას?! საუზმის დროს გავიცანი (პო, მართლა, ხუთშაბათის კუნძულზე წამდაუწუმ კუს სუფს ვზერეპდი, და მის შემდეგ აღარ მიმანია ძვირფას კერძად), რატომღაც ვთქვი, ფრანგული ვიცი-მეთქი, მაშინ კაპიტანმა გალასწყვიტა ფრანგ ჯოუსთან მივეყვანე.

— „ოპ-ოპ როგორ გაიხარებხს ბებერი, თავის ენაზე რომ დაელაპარაკებით! 93 წლისაა. იცით?“

ფრანგი ჯოუ ორი წელი იყო საავადმყოფოში ცხოვრობდა. ავად კი არ იყო, ხანდაზმულობის და უსახსრობის გამო შეეკედლებინათ. საწოლში დამხვდა. უზომოდ გრძელი პიჯამა ეცვა. წელში ოდნავ მოხრილი იყო. ცოცხალი თვალები ჰქონდა, მოკლე, თეთრი წვერი და გაბურძენული წარბები. უხაროდა, ფრანგულად რომ ველაპარაკებოდი. ეტყობოდა საუბარში, რომ კორსიკელი იყო. მაგრამ ინგლისურად მოლაპარაკე ხალხში იმდენხანს ეცხოვრა, რომ დედენაში შეცდომებს უშვებდა: ხან ინგლისურ სიტყვებს გამოურევედა, ხან ზმნებს დაბოლოებებს უკვეცდა. ცხარედ მეტყველებდა, ხელებს იჭნევდა; მისი ხმა, ხშირად, ძლიერ და მკაფიოდ ეღერდა, ზოგჯერ კი ისე სუსტად, თითქოს სამარიდან მოისმისო. ხმის ასეთმა გაბზარულმა და ყრუ ეღერამ, უცნაურ გუნებაზე დამაყენა. ვგრძნობდი, მართლაც, რომ მოხუცი ამ ქვეყნისა აღარ იყო.

მისი ნამდვილი სახელი ვოზეფ დე პოლი გახლდათ. არისტოკრატული წარმოშობის იყო. სათანადოდ აღზრდილიც. იგი თანამოგვარეა იმ გენერლის, რომელზეც ბოუსელმა წიგნი დასწერა. წაკითხული გექნებათ — თუმცა ფრანგი ჯოუ სახელოვან წინაპარზე დიდად არ გიყვებოდა.

— „ჩვენ გვარში ბევრი იყვნენ გენერლები. — თქვა მან, ჩვენ ნაპოლეონ

ბონაპარტეს ნათესავები ვართ. ბოუსე-ლის წიგნი? არა, არ წამიკითხავს. არასოდეს მყვარებია კითხვა. ცხოვრება მირჩევნოდა“.

1851 წელს ფრანგი ჯოუ ჯარში შესულა. როგორც არტილერიის ლეიტენანტი („ჩემ ნათესავ ბონაპარტესავით“, — თქვა მან) რუსებთან იბრძოდა უიროშიში, 1870-ს, კაპიტანის წოდებით — პრუსიელებთან. თავზე ცხენოსანი ჯარისკაცის ხმლით ნაიარვეი მიჩვენა; ხელებს მსახიობსავით შლიდა, და მიაბო, რომ სამაგიეროდ ისე მაგრად გაურკვია ხმალი ცხენოსანისათვის, უკან ველარც გამოეღო. ცხენოსანი მომკვდარიყო და ხმალიც შერჩენოდა.

იმპერიის დაცემისას, ფრანგი ჯოუ კომუნარებს შეუერთდა. ექვს კვირას ებრძოდა ხალხის მოწინააღმდეგე მონსიერ ტიერის რაზმებს. მე ხეირიანად არც კი ვიცი ვინაა ტიერი, ფრანგი ჯოუ კი, პირდაპირ, სასაცილო იყო ისეთი სიძულელით ლაპარაკობდა ამ ტიერზე, რომელიც კარგა ნახევარი სიუკუნის წინ გამოემშვიდობა სააქაოს.

შეაერთლებდა კაცს, ისეთი გამუი-ნავი ხმით იგონებდა იმ წამებს (უთუ-ოდ აღმოსავლური წარმოშობისაა). რაც ახლადშეკოწიწებული მთავრობის სასამართლოს ხელში გადახდომოდა. ფრანგი ჯოუსათვის როგორც კომუნარისათვის 5 წელი მიესაჯათ.

— „მათ ჩემი მოკვლაც უნდოდათ. მაგრამ ვერ გაბედეს, მაგ ლაჩრებმა“.

დიდხანს უმგზავრია გემით... და მოხუცი ისევ აენტო: წარმოგიდგინათ ასეთი შეურაცხყოფა: ფრანგი ჯოუ, პოლიტიკური პატიმარი, გემზე კრიმინალურ პატივებთან მოუთავსებიათ! გემი მელბურნში მდგარა. იქ ერთმა მგებარმა ოფიცერმა (კორსიკელმა) ვააპარა. გაცურა ნაპირზე, და როგორც მგებარმა ურჩია, პირდაპირ პოლიციაში გამოცხადდა. ფრანგული არ სცოდნოდათ. გამოუძახეს თარჯიმანს. საბუთები გაუსინჯეს. უთქვამთ, თავისუფალი ხარო.

— „თავისუფლება, თავისუფლება!“ შემომძახა ფრანგმა ჯოუმ, **მოკვლე** შემდეგ კი — თავგადმხველთა მხემა ბა. ერთ ხანს მზარეულობდა, ზოგჯერ ფრანგულს ასწავლიდა. იყო მეგზოვე, ოჭროს საბადოების მუშაც. ეხეტებოდა, შიმშილობდა, და ბოლოს ახალ გვინეის კუნძულზე ამოჰყო თავი. აქ საოცარი სასწაული გადახდა. როგორღაც კაცივამია ველურების ქვაბურებთან აღმოჩნდა; ათასი ფათერაკი, რამდენხვერ მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, და ბოლოს რომელიღაც ველური ტომის შეფე გახდა.

— „დიახ, დიახ, ჩემო მეგობარო, — მითხრა ფრანგმა ჯოუმ, — ახლა ავერ საქველმოქმედო საავადმყოფოს საწოლში ვარ, ოდესღაც კი მეფე ვიყავი, ყველაფერი მექვემდებარებოდა. ეს კი რალაცას უნდა ნიშნავდეს!“

ინგლისელებთან ვერ მორიგებულა და ძალაუფლებაც გამოსცლოდა. განშორდა იქაურობას. ერთხელ კიდევ შეეპიდა ბედს. მარიფათიანი კი ყოფილა, რომ იმარჯვა და ხუთშაბათის კუნძულთან მარგალიტის მძიებელი ფლოტილის მესაკუთრე გახდა. ის იყო თითქოს მის ბედს ძალდი არ დაჰყვოდა, და ეგონა მოხუცებულობაში უზრუნველყოფილი და პატივით მოსილიც იქნებოდა, მაგრამ ქარიზხალმა გვემები ჩაუძირა და ამით ყველაფერი დაედუშა. ამ ზარალის შემდეგ ველარ წამოდგა. ხანდაზმული იყო, ხელახლა ველარ მიჰყოფდა ხელს რაიმეს. ისღა დარჩენოდა სარჩოზე ეზრუნა და ბოლოს, გატახჯული, საქველმოქმედო საავადმყოფომ შეიფარა.

— „მაგრამ რად არ დაბრუნდით საფრანგეთში ან კორსიკაზე? ავერ 25 წელია კომუნარებს ამნისტია გამოუცხადეს“.

— „აბა რაა ჩემთვის საფრანგეთი ან კორსიკა 50 წლის განშორების შემდეგ. იცით, რომ ჩემს სამშობლოს ჩემივე ნათესავი განაგებს. ჩვენ, კორსიკელებს, არც პატიება გვჩვევია და არც

დავიწყება. რომ დაებრუნებულყავი, მოვკლავდი მას. მას კი შეიღებდი ჰყავს“.

— „უცნაური მოხუცია ფრანგი ჯოჯო“, — ღიმილით სთქვა მოწყალეების დამ.

— „ამდენი დავიდარაბის შემდეგ ბოლოს მშვენიერად ცხოვრობთ“, — ვუთხარი მე.

— „არა და არა! მუდამ უბედური ვიყავი. სადაც კი ვყოფილვარ, ყველგან ფეხი წამიცდა, ყველგან ფათერაკს შევეყარე. აბა შემხედეთ, მთლად მიხრწნილი ვარ, ყველაფრისათვის ზედმეტი, გარდა სამარისა. მადლობა ღმერთს, რომ უშვილო ვარ, თორემ მათაც ჩემი წყველი უბედობა გამოჰყვებოდათ“.

— „თქვენ ხომ არ გწამთ ღმერთი?“ — უთხრა მოწყალეების დამ.

თარგმანი ინგლისურიდან ირაკლი კენაოშვილისა

— „მართალია. მე სექტუკოსი ვარ — ურწმენო. არასოდეს შემემჩნევია არც მოვლენებს გონიერი არსი განაგებდეს. და თუ სამყარო მართლაც ვინმემ შექმნა, უთუოდ ბოროტმოქმედმა სულელმა, სხვამ არაინა“. და მხრები აიჩეჩა. „ასეა თუ ისე, მე ამ ცოდვილ სოფელში კიდევ ბევრი არ მიწერია, და მალე ვეზიარები საიქიოს. ენახავ, რაშია საქმე ბოლოს და ბოლოს“.

მოწყალეების დამ — დროა წაბრძანდეთო, მითხრა. ფრანგ ჯოჯოს მივმართე, იქნებ რაიმე სათხოვარი ჰქონდეს.

— „არა, არაფერი, — სთქვა მან, — მხოლოდ სიკვდილი მინდა“. შავი, ელვარე თვალები უცომციმებდა. მანამდე კი, მოდი, ერთი კოლოფი სიგარეტი დამიტოვეთ“.

აღმოსავლური პანთეონი



მედიკალიზაცია

აქ, ამ აფრიკულ მიწაზე, ძვირია წყალი,
მომკირნელ ვსვამთ. ვლოცულობთ წყალზე...
სამაგიეროდ, აფრიკულ მიწაზე, მხოლოდ ჩვენთვისაა
სისხლი მუქი. ასე მუქი არსად არ არის სისხლი.
და ჩვენც ვსვამთ გულუხვად. გულუხვად ვსვამთ.
ერთხელ, დილით, ამ ომის კანონით, უდაბნოში
ალეირელს ვხვდებით და, თითქოს ჯიბრზე,
ველარსად ვიპოვეთ წაფერდილი კედელიც კი.
მაგრამ, ამ დროს, მის ზურგსუკან მზე ამოვიდა
და აღიმართა ოქროს კედელი.
ალეირელმა განიერად გაშალა მკლავები,
თითქოს უნდოდა თავისი ტანით ტყვიებისაგან დაეფარა
მზე აფრიკისა....

ჩვენ დავდივართ სოფლიდან სოფლად,
გვეზიზღება შიში. ჩვენ ვმღერით „მარსელიოზას“ —
და ქვიშას კბილებში გააქვს კნაწუნი.
ჩვენ ვმღერით ბასტილიაზე, მაგრამ ბასტილია არა ჩანს
არსად.

გვევდება სოფლები. ნაბრძანებია მოვსპოთ ისინი .
ვხვდებით ბავშვებსა და ქალებს,
ვხვდებით ხანდაზმულ მამაკაცებს.
ნაბრძანებია: დავეხრით ისინი!
მივდივართ და ვმღერით „მარსელიოზას“.
ერთხელ გავიგონე, როგორ მღეროდნენ „მარსელიოზას“
თვით ალეირელები.

მღეროდა მთელი ქალაქი, მთელი აფრიკული ქალაქი.
პრისხანების სიმღერას გვესროდა.
ყოველი სიტყვა მოჰქროდა ჩვენკენ, არბევდა
ჩვენს რიგებს უფრო ძლიერად, ვიდრე ყუმბარა.
ჯარისკაცები ქვიშაში ეფლობოდნენ.
„— ჩვენ გვინდა თავისუფლება! — მოვიტხოვთ
თანასწორობას! — შორს
აფრიკიდან!“

და ვფიქვან: „მარსელიოზა“ უკეთ ჯღერდა იმათ ვნაზე-
ისინი მღეროდნენ და მოდიოდნენ,
გვიტყვდნენ...

„მარსელიოზა“ გვიტყვდა ჩვენ და მომეჩვენა:
თითქოს გამობოდა დედა,
რათა ჩემთვის სილა გაერთყა.

ალარ შემედლო და გავიქეცი...

არ მახსოვს, როდის შევწყვიტე სირბილი,

არ მახსოვს, ვინ ჩამაყენა მწყობრში,

არ მახსოვს, როგორ შესძახა მეთაურმა: „ცეცხლი“!

ესლა მახსოვს, ეს მახსოვს მხოლოდ:

მე იმ დღეს დავხვრიტე „მარსელიოზა“,

მე იმ დღეს გავხდი მკვლელი დედისა...

ალყირში შეიძლება შეირყე ჰკუაზე,

თავდავიწყებას მიეცე მხოლოდ ძილში.

ალყირში უძლურნი არიან ექიმები და რეცეპტები.

დიდი ხანია მოუსვენრად ვარ და ხელახლა ვიმეორებ:

განა შეიძლება ძილი თუ ღვიძავს მტარვალს?

ალყირს არასოდეს არ სძინავს!

მრავალი საუკუნე ეძინა ალყირს, გამოძღა ძილით.

მე მხოლოდ ერთ რამეზე ვოცნებობ:

ვიძინო! ვიძინო!, ვიძინო, მხოლოდ!

ფეხები მიკანკალებს, თითქოს ასი წლისა ვარ.

ზუსტად თუ ვიანგარიშებთ, მეტისაც ვიქნები.

მე მიხრწნილი ვარ, როგორც კოლონიზატორი,

დედა კი ბართებში მეძახის:

ჩემო ბიჭოო...

მეკითხება: მახსოვს თუ არა — როგორ მტუქსავდა

იმიისათვის, რომ სკოლიდან დაბრუნებისას

ხელები მუდამ მელნით მქონდა დასერილი.

დედა! დედა! მე კარგად მახსოვს ყველაფერი,

მაგრამ ერთ საიდუმლოს გაგიმხელ, დედა:

რას მეტყვი ახლა, როცა ხელები

დასვრილი მაქვს სისხლით!

დედა მწერს:

„— შვილო ჩემო, ნუ დელავ მანდ,

შენი წიგნები გელოდებიან. ყველა იმავე რიგზე აწვავია.

იქვე!

მე ვამაყობ ჩემი შვილით, ჩემი ლამაზი შვილით!..“

გულდასმით ვკითხულობ ბარათს.

მეცინება და ვტირი წუხილისა და სირცხვილის გამო.

ასე იცინის ხოლმე ასი წლის ბერძენი, როცა

აგონდება ოცნებანი სიყრმის ჟამისა...

თითქოს ძველი დანჯღრეული კარადა იყოს,

ისე ვაფათურებ ხელს საკუთარ გულში.

ამ გულში უნდა ინახებოდეს ოცნებანი ჩემი —

გადაყვითლებული, ჰუჭყიანი, დაფლეთილი ფურცლები

მათი.

არაფრის მაქნისია ახლა ოცნებები.

ვერაფერში გამოვიყენებ!

კვლავ მივაბიჯებ ალყირის მტკრიან გზებზე.

ფეხები მიკანკალებს, თითქოს ასი წლისა ვარ

გადაყვითლებული, ჰუჭყიანი, დაფლეთილი ფურცლები

გაღამავეწყდა ყველა კანონი.



„— მოჰკალი! მოჰკალი! მოჰკალი“ —
 მე ვიცი მხოლოდ ეს ერთი კანონი.
 ვარსკვლავთა დანახვა მხოლოდ სიბნელეში შეიძლება,
 მაგრამ მე მათ დღისითაც ვხედავ,
 რადგანაც ჩვენთვის აქ დღისითაც ბნელა.
 იცით თუ არა, რა საშინელებაა —
 ყოველთვის ხედავდე ერთსა და იმავეს:
 მე გადავწყვიტე, არასდროს არ ავხედო ცას!
 მაგრამ ვარსკვლავები სისხლის ტბორშიც ციმციმებენ,
 ქვემოდანაც შემომცქერიან.
 უთვალაენი არიან ვარსკვლავები, არ ძალშიმს ვთვალო...
 შემომცქერიან, როგორც მსაჯულთა თვალები,
 რომლებმაც მთელი ჩემი ცხოვრება ზუსტად იციან;
 შემომცქერიან, როგორც თვალები ალყორელისა,
 რომელიც მე მიმზადებს შურისძიებას...
 ჩვენ ვეძებთ მტრებს, ისინი კი არსად ჩანან.
 ჩვენ მივდივართ და მაინც მივდივართ...
 ჩვენი რაზმიდან მხოლოდ ნახევარიღა დარჩა.
 დედა ბარათებში მეკითხება ხოლმე
 როდის დაებრუნდები შინ.
 მე თავჩაქინდრული ვდგავარ ფანჯარასთან —
 და, თუ გინდათ ყველაზე გაიძვერა ადამიანის ნახვა,
 შემომხედეთ: ეს — მე ვარ, *
 მე, რომელმაც ვუღალატე
 სიყვარულსა და ოცნებას!
 მე, სამუალო საუკუნეების ბნელეთის მსახურად
 მეოცე საუკუნიდან დეზერტირად გაქრილი!
 მე ვყვირი და ვყვირი,
 ეს — მე დავდივარ კუთხიდან კუთხემდე,
 მივეშურები სიკვდილიდან სიკვდილამდე...

თარგმანი პოლიო აბრამიანი

მალა კაჩიანი



რომანი ქართველი ბიუზის ცხოვრებაზე

დღესა შენგელაის შემოქმედებითი მოღვაწეობა ოთხთვეულ წელს აცილებს. იგი ქართული საბჭოთა პროზის ცნობილი წარმომადგენელია, ავტორია მრავალი გახმაურებული მოთხრობისა და რომანისა. დღემდე ერთად თავმოყრილი, მთლიანი სახით არ გამოცემულა მისი ნაწერები. სასიამოვნო გარეშობაა, რომ გამოცემლობა „საბჭოთა საქართველოში“ დააწყო დ. შენგელაის რჩეულ თხზულებათა გამოცემა. ესაა გამოვიდა პირველი ტომი. ამ ტომში მოთავსებულია პროზაიკის საუკეთესო რომანები — „წითელი ყაყაჩო“, „შთავგანება“, „ბათა ქეჭია“ და „ირმის ნახტომი“. ერთად თავმოყრილი ეს ნაწარმოებები საშეალებას გაძლევენ უფრო სრულად და მთლიანად წარმოვიდგინათ შვერლის ინტერესების სფერო და შემოქმედებითი თავისებურება.

დ. შენგელაის ნაწარმოებთა გაცნობისას მკითხველი ყოველთვის გრძნობს ავტორის მისწრაფებას, რათა სიმართლით გამოხატოს ცხოვრების მოვლენები, გამოისტყვას მათდამი თავისი დამოკიდებულება. ყოველი ახალი ნაწარმოები მჩვენებელია პროზაიკის ისტორიის განვითარებისა, ავტორის შეტრისა ცხოვრებაში. სინამდვილის მრავალფეროვანებაში ათვისება იწვევს მხატვრულ საშუალებათა მრავალფეროვანებას.

დ. შენგელაის სტილს ახასიათებს ლამიძარობა, გარკვეულობა სურათებისა, მსუბუქი ფერები, ეპოციურობა, მელიოდორობა. ყოველ თავის ნაწარმოებში იგი დიდ ყურადღებას აქცევს დეტალებს, იჭვე ფსიქოლოგიური სიღრმე შეერთებულია გამოხატვის პლასტიკურობასთან.

დ. შენგელაია საუცხოო ოსტატია დალოვისა და პორტრეტისა.

დ. შენგელაია უარესად გრძნობს სიტყვას. ესმის მისი ნიუანსები. იგი თითქმის არასოდეს არ მიმართავს გაცვეთილ, არაფრისმოქმედ სიტყვებს. ცნობილია, რომ შვერლის ენის სიმდიდრე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ფართოდ და ღრმად იყენებს იგი საერთო-სახალხო ენის ამოწურავ შესაძლებლობებს. საერთო-სახალხო ენა შვერალს აწვდის ახა მართო მხამზარულად შერწყმულ სიტყვებს და წი-

ნადადებებს, არამედ აძლევს მას საშუალებას სიტყვებისა და წინადადებების სხვადასხვაგვარი განლაგებისა, ისე რომ არ იქნას დარღვეული საერთო-სახალხო ენის საფუძველი. დ. შენგელაის მხატვრულ ნაწარმოებთა ენა მდიდარი, ფერადოვანი; იგი დიდად მოშვირნეა სიტყვებში. მის რომანებსა და ნოველებში მკითხველი ყოველთვის გრძნობს ქართული სიტყვის ძალას, ფრანზის თავისებურებას. არც თუ ისე იშვიათად იგი მიმართავს დეტალმაციულ სტილსაც, და სიტყვას იყენებს მოჭარბებული სმაკულებისათვის.

თხზულებათა კრებულში მოთავსებული პირველი რომანი „წითელი ყაყაჩო“ ქრონოლოგიურად ყველაზე გვიან არის დაწერილი, და შეეხება დიდი სამამულო ომის ისტორიულ ვითარებას. ნაწარმოები იხსნება ომის გამოცხადების დღის დახატვით. ამავს ნაწარმოებში მოგვიხიბრობს ბეჯან დაეღამე. ამიტომ მთელი სიუჟეტური ხაზი თხზულებისა მისი ცხოვრების შემთხვევებთან არის დაკავშირებული. „წითელი ყაყაჩოში“ წარმოდგენილი მხატვრული სახეებისაგან განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ტრავებს ლეიტენანტი ასტაშურ მატახერია, აგრეთვე მედიკინის და მამუქია. ამ სახეებშია გამოკვეთილი საბჭოთა ადამიანების პატრიოტული შეგნება, მაღალი ადამიანური თვისებები, მორალური სიწმინდე.

„წითელი ყაყაჩოს“ ზოგიერთ ეპიზოდს შორის არ არის შინაგანი კავშირი, ზოგიერთი ეპიზოდი კი მარტოოდენ ილუსტრაციაა. ავტორი თითქოს ფიქრობს ნაწარმოების კომპოზიციურ მთლიანობაზე, რომანში არის ეპიზოდები, რომლებიც იმდენად კი არ ავითარებენ მოქმედებას, რამდენადაც ანულებენ მას. ნაწარმოებში შესუსტებულია მოქმედების სიმამუქრე, დრამატულობა.

ფიქრი ხელოვნების ცხოვრებასთან დამოკიდებულების, ხელოვნების შემოქმედებითი-სასიცოცხლო ამოცანების შესახებ, — ყოველთვის იყო დ. შენგელაის ნაწარმოებთა საგანი რომანში „შთავგანება“ იგი კვლავ დაუბრუნდა

ამ პრობლემებს. „შთაგონებაში“ ავტორი ეხე-
ბა აგრეთვე ოჯახის საკითხს და სამაშულო იმის
წინა ხნის თბილისის, მშენებლობის კოლორი-
ტულ სურათებსაც წარმოგიდგენს. ძველი მუშა
ბოლშევიკების (დემურია და სხვების) გვერდით,
ნაწარმოებში რელიეფურად დახატულია ახალი
თბილისის მშენებელი თაობა.

თხულებათა კრებულში მოთავსებულ დ. შენ-
გელიას ყველაზე უკეთესი ნაწარმოებია —
„ბათა ქექია“.

იგი ქართული პროზის ერთერთი თავისებუ-
ლი ნაწარმოებია. მისი მთავარი მოქმედი პირი
მოხუცი მებორნე გლეხი ბათა ქექიაა. მას ბევ-
რი უწვია, ბევრი უნახავს, წისქვილის ქვა არ
დაბრუნებულა მის თავზე, თორემ სხვა არა
დაკლებია აუ. ჰქირს ჯანდავ ხარითომ არასოდეს
წაწვია, თავი არასდროს დაუბრუნებია და მით
მტრის გული არ გაუხარებია. რაც უფრო უპი-
რდა, თავი მით უფრო შალა პეირა და წუწუნით
არსდროს არ დამტარებულა. უკვე ღრმად მო-
ხუცებულს, შოლოდ მრგვანებში-და დარჩა და
სურს ეს მოგონებები გაუხიაროს თავის შვი-
ლებსა და შვილიშვილებს. ბათა ქექიას ცხოვრე-
ბის ისტორია წარმოადგენს დოკუმენტს იმის
შესახებ, თუ როგორ პირობებში უხდებოდა
ყოფნა წარსულში — ფეოდალურ-ბურჟუა-
ზიულ ურთიერთობაში ხალხს წრიდან გამო-
სულ ადამიანს. ამ ნაწარმოებში უწყლოყერი
დახატულია გვირის ათელებამი. მართალია, ამ
გვირს ზედვის არც თუ ისე ფართო პროზონ-
ტი აქვს და ამიტომ მის მიერ ნარევენები სამუ-
ხრო ერთგვარად შემოხლდულია, მაგრამ მისი
ცხოვრების ფაქტები, დეტალები მაინც მჭაფრ
მოსაბეჭდლებას ახლენე მყოხებულზე.

პრობლე კანი ბათა ქექიას, როგორც თვითონ
ამბობს, ბატონობაში მოუცვლია. იგი ღარიბი
გლეხის შვილი იყო, პატარაობითავე დედით
დაობლებული, მან ადრევე გამოსცადა მზავ-
რება სუსხი, მაგრამ სიცოცხლის ძალა და
სიყვარული მაინც არასოდეს დაუკარგავს. შამას
მისთვის არ ეცადა, დღედაღამ უნახსა და ტყე-
ში მუშაობდა. ყანაც და ტყეც შორს იყო და
ყოველ ორშაბათ დილას მთელი კვირის საგზ-
ლით, მხარზე გადადებული თოხით და სარტ-
ყელში გაყრილი ნაჯახით იგი მიდიოდა სამუშა-
ოდ, შაბათ ღამემდე წულგავმართავდა ირჯუბო-
და, ოფელ ღვრიდა. ბათა ამ დროს შინ მარტო,
თავის ანაბარა რჩებოდა. მისი უფროსი ძმა ბა-
ტონის ბეგარას გაქცეოდა და, ქალაქს გაიზ-
ნული, მებაღედ მუშაობდა. შინ ბათას მტრი
არაფინ იყო, ოჯახს იგი პატრონობდა, დიდიდან
დალაშქამდე ეწერში ხედავს მწყემსავადა. და-
ქექილ საბანში ვახვებულ, ზამთრის ღამეში გა-
თენებამდე სიცოცხე კანკალებდა. ღობეზე მომ-
დგარი მგლები ზარდამცემად ღმუღონენ. სიცი-
ვითა და შიშით ატანილი ბათა ადრე გათენებას
ნატრობდა. ტანთ მუღამ კონკები ეცემა, ფეხზე

ღორის ქალამანი ჰქონდა ამოსხმული. მისი წე-
გში იყო წივნი, წივნის კთხეაფე. ქულენ ამხლდ-
ოდა. წერა-კითხვა მას სოფლეს უდაკვანცაქეს
წავლა. პატარა ბათამ მოხრდილებთან ერთად
იგარნი და ვანიცადა „სავლესო რეფორმის“
ფორმალური ხასიათი. ბატონყმური სინამდვი-
ლის სამინებება მთელი სიმამართი აქვს ნა-
კეენები მწერალს ჯეფანასა და მისი შვილების
ცხოვრების სხიით.

ცხრა წელწიადი ბათამ ქალაქში დაყო ხელ-
ზე მოსამხრერედ. ამ ცხრა წელიწადში მამაც
მოუყვდა. მისი ძმა ქალაქიდან სოფელში დაბ-
რუნდა და მეორე ძმასთან ერთად ოჯახი გაყ-
ვეს. ერთ დღეს ბათამაც თავის ბატონთან ან-
გარიში გაასწორა, იყიდა კარგი ლეფინ-ცხენი,
შეაყერია ღამაში ჩოხა-ახალუბი, შეიძინა ვერ-
ცხლის ქამარ-ხანჯალი და თავის შამოღორ
კერას დაუბრუნდა. სოფელში ჩავიდა თუ არა
თავის წილ ორიოდე ქეცვა მიწას დაუბატონა.
აქეთ ძმები წამოხმარნენ, იქით მეზობლებმა
შეუწვეეს ხელი და მალე ფაცაც წამოიქცა,
როინზე ბორანი გამართა და მეზობნობა და-
წყო. „მერე წვიდა, წვიდა ეს გუხსათეი გა-
ზიდული ცხოვრება. მერე რა ეცუთო ის ხან
ოღროზოღრო და ხან აღმართიანი რომ იყოს,
მაინც გზა იყო და მეც ხან კენესით, ხან ჭამან-
წყვეტით ძლიეძლიეობით მივლასლებდი“.

ბათა ქექია გააცრეეს სიყვარულში, მოტყუე-
ბით შერთეს ცოლი, ხოლო მისი სამარფო —
სიღუ სხვას მოახოვეს. მოუხდევად აღტარა, იგი
მაინც შეურიგდა თავის ხედვრს. მან დიდი ოჯა-
ხი შექმნა, ურიცხვი შვილებისა და შვილიშვი-
ლების პატრონი შეიქნა.

ბათა ქექია მხნე, ხალისიანი, ენამახვილი, მო-
ხერებულბა კაცია, თუ დასტირდა არც ცრუპან-
ტელობასა და მლიქვნელობას თაყილობს. მას
სმა-ქამის თავისებური „ფილოსოფია“ აქვს.
უყვარს ღვინო და დროსტარება. დრო და დრო
იგი „ანარქიელი“ ბუნების ადამიანდაც ვევე-
ლენება. თავისებური კოლორიტი გამოსკვივის
ბათა ქექიასა და ნახუცარ საბაღლას ზემობა-
ში. ისინი ენამახვილობაში დაუზოგავად ეცო-
ლებიან ერთმანეთს. ბათასათვის არც ცინიზმა
უცხო. დამახასიათებელი სურათია, თუ როგორ
დაფერტლა მან საბაღლასაგან ნათხოვარი ილ-
გარი და მამასახლისისა და ჩაფრებს აჩუქა სხმ-
არად. ბათასათვის შრ არსებობს „სულთსა“ და
„ხორცის“ პრობლემა, „ორი არსის“ წინააღმდე-
გობა; მას არც თუ დიდად სჯერა „მიღმა ქვეყ-
ნის“ არსებობა. მისი ლოზუნგია: „გაუმარჯოს
იმ მიწას, ზედ რომ ფეხი მავრად დაგვიდგამს“.
ისიც უნდა ითქვას, რომ მთელი რომანის მან-
ძილზე ბევრგან არ არის მოტივირებული და
დაკავშირებული ერთმანეთთან ბათა ქექიას ქე-
ცვა, არ არის პარმონიული მისი ხასიათი, ერთი
თესება არ შეეფერება მეორე თვისებას. ეს
გუნათლებელი კაცი ბევრგან სუფთა ლიტე-

რატორული ქართული ლაპარაკობს, მსჯელობს „ვისრამაშას“ და „ელილ-მეჯუნზე“. ბათა ქვეის ოპტიკაში ზნობად აბსტრაქციანი გადადის და სრულებით არ ეფარდება მის ადამიანურ, პიროვნულ ყოფას შემამულურ-ბერძენულ ურთიერთობის ვითარებაში, ეს თავისებური კაცი გრძნობს ცხოვრების ტკივილებს და უსამართლობას, მაგრამ არ უფრთხის მას.

ერთგვარი პანთეონიცი ახასიათებს ამ უბრალო ადამიანს. მას უყვარს მიწა, მთელი არსებით გრძნობს მის ხალიჯის: „ზედავ ცას — მიხარია, ვხვდავ — მიწას — ისევ ვხარობ, გაცემერი მინდორ-ველებს, მუდმივი თოვლით ჩამოფენილ კავასიონს, ხოდაბუნებს, ჰიონს, ტბას ნარიონალს, შეილებს, შეილიშვილებს, — ვინ მოთელის მათ, — ჩემი ოფლით მონავაგას და მისხარია, შევხარია ახალგაზრდობის უღარდელ სიცილს, სოფლის ხალიჯისაჲ ყოყინს და, რა ექნა, შეილებო, ბიძიებო, რომ მიხარია? მისხარია, რომ ამ დღეს შევესწარ, რომ ცოცხალი ვარ, რომ ყოველივე ეს ჩემთვის არის გაჩენილი, რომ ყოველივე ეს მე მიკეთებია, მე მას ვუკეთებვიარ. მე ვეშობი მიწაზე, ვეწაფები მის სიქქამსა და ნოღიერ ჭრქუებს, ვბანაობ რიონს ში, დრამში ზუთხებსა და კობრებს ანკესებს ევგებს, ნორს კონდარში გულამა ვწვები, ხარბად შევეცემრი ყანასავით ლურჯად აბიზინებულ ცას, თავზე რომ ახალი ზითივით მოფენია და ვიცი — ეს ცა მე ვარ, ეს მიწა ჩემია... ასე კონკრეტულად, რეალურად ითვისებს იგი სინამდვილეს, ქვეყნიერებას.

ნაწარმოების მესამე ნაწილში — „ხალხი და ჯამათი“ — შევეთრად არის წარმოდგენილი სოციალური მოტივი. ამ ნაწილში ნაჩვენებია, რომ ბათის იმდროინდელი საზოგადოებრივი უსამართლობის შეგნების უნარაც გაჩნდა და განმანათავისუფლებელ მოძრაობაშიც დებულობდა მონაწილეობას. მასში ცოცხლობს სოციალური სიძულელი და სიყვარული. რამინდერი ვიგობ, თუ როგორ მიაღწია ქართულ სოფელში ცნობამ რუსეთ-იაპონიის ომზე და შემდეგ — 1905 წლის რევოლუციურ ბრძოლებზე. ამ განმათავისუფლებელ ბრძოლებში ბათა ქვეიაც ჩაება, ისიც ხმას აძლევდა ხალხს ძახილს — „ძირს ხელმწიფე და მისი ადათ-წესებო!“ ერთობის კაცებმა რომ შეგუჯობობნის ამა და ამ ადგილს დღის თავიროლობა და ქუდზე კაცი გამოვიდესო, ჩვენც საშფარად გამოვედით, თავი დანაშნულ ადგილს მოვიყარეთ. „ამ თავიროლობაზე ხელმწიფის კაცებს ბოიკოტი გამოუცხადეთ, ჩვენ ხევისთავეები, ასისთავეები და ათისთავეები ავირჩიეთ, ერთი არჩეულთავანი შევ ვიყავი...“ ბათა ქვეიასათვის არც ის არის შეუმჩნეველი, რომ მართლს მერს გამოცხადებულ და მინიფესტო მარტოოდენ თვალთმაქცობა იყო, აჯანყებელი ხალხის მოსატყუებლად იყო

გამიზნული. მან მწვეველ ვაჩივდა პირველი რევოლუციის დამარცხება.

ამგვარად, თავის დროზე უფრო მჭიდროდ შექმნილია როგორც შეეძლო და ესმოდა, უცხოვრია და თავი ისე დაუცავს. „მე შექმან ლექსასავით ჩემი თავის ანაბარა ვუყავ მიტოვებული და ვისაც მიადა ჰქონდა და ჰამა არ ეხარებოდა, ყველას ჩემი შევქმა უნდოდა. პირს ყველა ჩემს შესასინლავედ აღებდა, მაგრამ მათ შესაქმნელად პირს მეც ვაღებდი, თავს არავის არ ვანებდელი. მართალია, ლექსა ვიყავი, ისიც მართალია, რომ შექმანი ლექსა ვიყავ, მაგრამ არც ისე სულელი ვიყავ, რომ ვისმე ჯამში ჩემივე სისულელეთ ჩავეარდნილიყავ; მერე როცა მგდაღები წამომეხარდა, ეს მე ვიყავ, ახალთათვის დროს თავგანწირულად რომ ვიბრძოდი“. ბათა ქვეი დაიბადა და აღიზარდა ისეთ საზოგადოებრივ ურთიერთობაში, სადაც მარტოდენ „მგდას-კანონი“ მოქმედებდა.

ბათა ქვეია აერთის ერთგვარად გაიდივლებული ვაჯს. ეს სახე მას წარმოდგენილი ჰყავს, როგორც განსაყუთრებული ადამიანური მეობის მატარებელი. შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში პიპერნოლასთან ვეჯვებს საქმე.

ნაწარმოებში ცოცხლად, რელიგოზურად არის მოხაზული თამშულ დანელას პორტრეტი. იგი მკაცრი და ვერაგი ადამიანია. მისი სახელი შორს იყო გავარდნილი. თუ სადმე აბრაგი იყო ამ ცხენის ქურდი, მის ძმობას ფიკავდა, მზე და მთავარ მსზე ამოდიოდა. ისიც ისეთი უკუღმარათი და ღვთის პირიდან გავარდნილი იყო, რომ მის უნებურად არსად არც ცხენი და არც ხარბი არ დაიკარგებოდა, ცალთავლა იყო და იმის ოვლას მაინც არაღური გამოეპარებოდა. ვის როგორი ცხენი ჰყავდა, სად აბინავებდა, ამ სად ამოვებდა. მეგლოვით გუმანს მამინე აიღებდა. რომელი ცხენი სად უფრო კარგად გასაღდებოდა, შეუცდომელად იცოდა.

თამშულ დანელას კერის წინ ერთი ძველი უნავიერი ეგდრ. ნაშუაღამეამდე ზედ იჯდა, თავს დარდიანად აქეთ-იქით აქნევდა, რომ ძველი დრო აღარ იყო, რაჲ აბრაგობა გაქირდა იგი მოხუცდა, ცალი ფეხი სამარეში ედვა და აუკაცობას მაინც არ იშლიდა, ისეთ გზებზე დადიოდა, კაცი კი არა, ეშმაკი მოიტუნდა კისერს. მზაკაროვით მავნე იყო და გულთამილიავ. ცალთავლა იყო და ვერაფრით ჯანდავ ცხენეცარ შევაპრებდი, მამინე ვეტყუოდა რა სული ჰქონდა, რა სატკივარი აწუხებდა და რანაირი კაცის ნაყოლი იყო. ქრისტიანი იყო და არც ხარბი და არც ეკლესია არ დაეწახებებოდა, კაცი იყო და გულს მავიერ ქვა ედო მკარდქვეშ. ამდენ სიავესთან ერთად ძუნწი იყო და ოქროს უსამეველი მოყვარული. ცხენში შეიღს გასცეღობა, ცხენს ოქროზე გაქვიდა და ოქროს სტუმარს ანავალებდა. ასეთი სკვარამი და დაღუბული იყო, რომ მის დღეში კაცს ვადიმებელი არ უნა-



ხავს. იგი თავის ქალიშვილებს ძალზე მკაცრად ეპყრობოდა, მათთვის არასდროს არ უთქვამა ტბილი სიტყვა.

მართალია, ეს სახე ნაწარმოებში ებნობოდა რად გამოჩნდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი მკვეთრად აღიბეჭდება მკითხველის მეხსიერებაში.

უკვე ღრმად მოხედავულ სიღეს გამოჩენას ებლოგში ავტორის მიერ მოცემული აქვს ერთგვარად სიმბოლიური ხასიათი. ახალგაზრდაში მომზობლავი სიღე, ბათა ქეჭიას გატაცებული სიყვარულის საგანი იყო, მაგრამ მათი ვხები გაიყარა დაბოლოს, ბათა ქეჭიას გამოეცხადა დამკმნარი და კბილებჩაუყვენილი სიღე.

ამ ეპიზოდში მკაფიოდ შეინიშნება ავტორის პესიმისტური შეხედულება.

„ბათა ქეჭიაში“ წარმოდგენილია ბუნების პლასტიკური სურათები. პეიზაჟები დაბატულია მოკლედ, მაგრამ დამახასიათებელი ნიშნებით, ღრმად ემოციურია, გამსჭვალულია ღრთივლი გრძნობით, ავტორი ემპოფილდება მთავარი ხანების ვაღმოყვებით ისე, რომ ეს ხანები წარმოგვიდგენენ მთლიან პეიზაჟს; რელიეფური და ლამაზია მის მიერ დაბატული ყურწნის კრეფა ქართულ სოფელში, მაინც მთავარი ის არის, რომ ბუნება დაყავშირებულია ადამიანებთან, ბუნება ცხოვრობს ადამიანებთან ერთად, ბუნებისა და გვირის სულიერ ცხოვრებას შორის ორგანული ურთიერთობა.

„ბათა ქეჭია“ მდიდარია დამახასიათებელი ყოფითი დეტალებით. გვირთა სიტყვები, აღსაყვ ხალხური ლექსებით, იგავარაკებით, მწინა თავისებური კოლორიტის, იწყვეტა ძლიერ ემოციურ ზეგავლენას მკითხველზე. დ. შენგელაია ამ ნაწარმოებში აშვლავნებს ძველი ყოფა-ცხოვრების, ზნე-ჩვეულების, ადამიანების საუცხოო ცოდნას. აქ შეღავნდება ავრთვეე ჰემოროის დიდი ნიჭი. ზოგჯერ იგი ერთ ადგალას უყრის თავს მკვეთრ პოეტურ სიტყვებსა და სახეებს, რომ ამით მოგვცეს მოვლენის რელიეფური სახე, მაგრამ მაინც აქწნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქო „ბათა ქეჭიას“ ავტორს არ შეუძლია საგანი აღწეროს მთლიანად. სრულად, იგი უპირატესად ხატავს საგნის მარტიოდენ ცალკეულ თავისებურებას.

„ბათა ქეჭიას“ სიუჟეტი შენგელაივლად ვითარდება. მისი ცალკეული ნაწილი ერთმანეთთან მჭიდროდ არ არის შეკავშირებული და ამიტომ ურთიერთისაგან დაშორებული ეპიზოდის შთაბეჭდილებას ტოვებენ. ამასთანავე ზოგიერთი სცენის ზედმეტად გავიანერება, მრავალსიტყვაობა, ტრეტიკოლოგია ძალზე ანელებს თხრობის დინამიკურობას. ის აღწერიითი ფორმა, რაც ამ რომანში გვაქვს მოცემული, მოქმედებაში რომ ყოფილიყო ჩაქსოვილი, დიდებულნი რამ გამოვიდოდა. მხატვრულ ნაწარმოებში ჩვენივე საჯობის თხრობას.

დ. შენგელაიას ორი სხვადასხვა ნაწარმოები არ ჰგავს ერთმანეთს, თითქოს ისინი დაწერილია სხვადასხვა ავტორის მიერ, ეს უარყოფიება ერთდღა იმავე დროს შეწერლის სიძლიერესა და სისუსტეზედაც მიუთითებს. ყოველ შემთხვევაში ზბათა ქეჭია“ მაინც განმარტობით დგას მთელ მის შემოქმედებაში, როგორც კოლორიტული ნაწარმოები.

როდესაც პირველად ცალკე წიგნად გამოქვეყნდა „ბათა ქეჭია“, სალიტერატურო კრიტიკამ მის საერთო მოწონებასთან ერთად, განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება იმ გავლენაზე, რაც თითქოს შეინიშნება ამ ნაწარმოების კითხვისას, რომენ როლანის სახელს დუკავშირებს ეს რომანი, თითქოს „ბათა ქეჭია“ ეს არის ქართული „კოლა ბრუნინონი“. ეს მოსაზრება ჩვენ არც თუ ისე მართებულად მიგვაჩნია. ამ შემთხვევაში ძალემ გადაჭარბებულთან ვკვრინდა საქმე. საფურადღებოა ის, რომ დ. შენგელაიას რომანი დაწერილია ქართულ მასალაზე, ტრადიციული ნაწილები ქართული ადამიანების, მოქმედების არე სეზანთებში, ხოლო სპეციფიკური გამოთქმები, ნაციონალური ხალხური აფორიზმები, სიძლიერები, ენამახვილობანი ორგანულად არის შეფარდებული თხულებების საერთო შინაარსთან; ფორმაიც, რომელიც დ. შენგელაიამ გამოიყენა ამ ნაწარმოებში, ეს არ არის „კოლა ბრუნინონის“ ავტორის აღმოჩენა და საკეთრება, ის გავრცელებულია მსოფლიო ლიტერატურაში, ამ ფორმით რომენ როლანის რომანზე ადრე მრავალი ენობილი ნაწარმოებია დაწერილი.

„ბათა ქეჭიას“ სათავეები ჩვენ უნდა ვვიოთ, უპირველეს ყოვლისა, ქართულ ფოლკლორში. შემთხვევით რომი აქვს დ. შენგელაიას გვირს თავისებური გვარი. მისი ხატვისას ოსტატურად არის გამოყენებული ხალხური შემოქმედების პოპულარული სახე. თავისი გვართ და ხასიათის ზოგიერთი ნიშნით იგი ნაყარქეჭიას ანალოგია.

ქართულ ხალხურ შემოქმედებაში პოპულარული სახეა ნაყარქეჭია. იგი მოხერხებული ადამიანია, რომელსაც არ უყვარს შრომა. იგი თავისი უნარის წყობით ყოველგვარ გაჭირვებას, სიღრმეს ადვილად აღწევს. ქართულ სამჭოთა ლიტერატურაში შევიდა ეს სახე (დ. შენგელაია „ბათა ქეჭია“, ლ. ქიანელი — „გვალი ბიგვა“, პ. კავთაძე — „ყვარუჯავრ თუთაბერი“), თანამედროვე მწერლები ამ სახეს გვიჩვენებენ განვითარებაში. ვარდაქმნის პროცესში, ახლებურ მღვდობარობაში.

„იონის ნახტომის“ თემად აღებულია ხელოსნებისა და ამქრული წყობილების რღვევა და კაპიტალიზმის ვანეითარება. მართებულად და მხატვრული ოსტატობით არის ნაწარმოებში ნაჩვენები მუშათა მოპრაობის ჩანახეა და მისი თანდათან ვანეითარება. ივრძნობა, რომ აღებულნი მასალა ავტორის საფუძვლიანად შეუქსოვილი.

ნაწარმოების ქარგა იწყება თბილისის ხელოსანთა 1865 წლის „ბუნტით“ და შემდეგ სიუეტერის ხაზი ვითარდება ხელოსნის ოჯახური ცხოვრების ფონზე. მაშინდელი ვითარების მრავალი დამახასიათებელი მოვლენა ავტორს რეალისტურად აქვს აღსატყულო, მწერალი კარგად სკერეტს და მკითხველსაც კარგად აჩვენებს მაშინდელ ქარგისა და ოსტატის ყოფას. გარემოსა და ფსიქოლოგიის უკეთ გადმოცემის მიზნით იგი იყენებს ძველი თბილისის ხელოსნების ფოლკლორული შემოქმედების ნიმუშებს. ეს ნიმუშები — იგაეები, მახვილი თქმები მოხდენილად არის შეხავებული ტექსტში, სინტეზის ხლიან დიალოგებსა და მონოლოგებს.

ხელოსნებისა და ამქრების ყოფა-ცხოვრება, ხელოსანთა გაბროლენტარების გზაზე შედგომა, რელიეფურად არის ნაჩვენები შიო დარაშვილისა, გიგო ზანდამაშვილისა, ბენიარას ოჯახური ცხოვრების ფონზე. ყველა ესენი ხელოსნები არიან და მათ თავიანთი საკუთარი სახელოსნოები აქვთ, სადაც მათთან ერთად ქარგლებიც მუშაობენ. კაპიტალიზმის განვითარების შედეგად მათი მდგომარეობა სავალდო და უნდგეშოა. გამოუვალ მდგომარეობაში მომწუხველნი თავიანთ თავს ფიტულს აღარებენ და ბენიარას პირობით ასე მტყუებლებენ: „სიკედილი, აი ეს არის ეგრე ჩუხელად რომ გაგაყეთებენ და ქვეყნის მასხარად გავხდით. ფრენა ახლა მას არ შეუძლია და თვალშიც სინათლე არა აქვს. მაშ რა ჩემი ფეხების ხოსობია? ჩვენც აგრე ვართ. — ხელები გვაქვს, უნარიც გვაქვს, ჭულიც გვეურავს, მერე რა? მუშტარა არა გვყავს, ვერც ვმუშაობთ, პაშაც ვერც ვცხოვრობთ, ეშვი გვაქვს და სამუშაო არა. მაშ სადღური ოსტატები ვართ?“ ბენიარას კარგად ესმის, რომ საქმე მართო მის ბედს არ ეხება, რომ მის მდგომარეობაშია ყველა ხელოსანი, მთელი ამქარი. იგი ერყვევა არა მართო ახლანდელ მდგომარეობაში, არამედ უარეს მომავალსაც სკერეტს კაპიტალიზმის განვითარების პირობებში. მან იცის, მაღე რა ცოდო-მადლი დატრიალდება. ვეშინ ხელოსანთა სამმართველოში იყო და იქ გაიგონა,

თორმეტი ათასი ხელოსანი ნახევარზე დავიდაო, დარჩენილი ექვსი ათასიც ტრაქტირში ქუჩაში არიანო, მათ ჯერ კიდევ სული უღვათ, ვალსა და ვახშიში არიან, მაგრამ გაჭირვების წელსავე თანდათან მათაც მუხრტუქებს უჭერს. ზემოთ დასახელებული სამი ოჯახის ცხოვრების ფონზე ნაჩვენებია კაპიტალისტურ ურთიერთობაში ხელოსნების დაღმართზე დაქანება, მათი გაბროლენტარება.

ხელოსან შიო დარაშვილის და მისი შვიკრდის ეანოს ურთიერთობაში ნაჩვენებია ძველი და ახალი შეგნების დაპირისპირება. მშრომელი, ამავე შიო დარაშვილი სულიერად ვატყდა, როდესაც იგრანო, რომ ეცლებოდა ნიადაგი, რომელზედაც იგი იღვა. მან ნათლად დაინახა, რომ ის პირობები, რომელშიც მას ადრე უხდებოდა ცხოვრება, ისპობოდა. იგი სრულ უპერსპექტივაში ვარდებო. მისი შვიკრი ეანო მიხვდა, რომ შეუძლებელი იყო ძველი შეგნების საფუძველზე დარჩენა. ამიტომ იგი მოეწყო რკინიგზის მთავარ სახელოსნოში ზეინკლად. ეს ფაქტიც შიო დარაშვილმა მტკიენველად აითვისა.

თავისი დროის დამახასიათებელი სახეებია — ბენიარა, ზურია და სხვები. მათი აღმანიერი ხასიათი შეფარდებულია ძველი თბილისის ყოფასთან.

„იომის ნახტომში“ ბუნებრივად და დამაჯერებლად არის განვითარებული რომანული ამბავი ეანოსა და ამქრის მეთაურის ბენიარის ქალიშვილს შორის.

ამ გამოცემისათვის მწერალს ვაუთვალისწინებია კრიტიკისა და მკითხველთა შენიშვნები, მის ნაწარმოებთა შესახებ. ამიტომ ზოგი რამ ვადაუშუშავებია, ვაუღრმავებია და უფრო სრულყოფილი ვაუხდია მხატვრულად. ერთ შემთხვევაში ნაწარმოების სათაურიც შეუცვლია („იომის ნახტომს“ წინად ვწოდებოდა „ციხეკარი“).

დ. შენგელაძის თხზულებათა პირველი ტომის გამოცემა ფრიად სასიამოვნო ვარემოებაა. მკითხველი მისი ვაცნობა დიდ ესთეტურ სიამოვნებას განაცდევინებს.



მწერლის მახვილი თვალი

გ. ნატროშვილის სამწერლო სარბიელი ლიტერატურული კრიტიკით იწყება. მის კრიტიკულ წერილებსა და მონოგრაფიული ხასიათის ნარკვევებში სალიტერატურო ვნა იმდენად ხატოვანია რომ მშრალი მსჯელობებისა და დებულებების ნაცვლად ჩვენ ვღებულობთ პოეტური ემოციების შემცველ, საზოგადოებრივი დიაპაზონის მქონე ნაწარმოებს. ამიტომაცაა, რომ გ. ნატროშვილის წერილები და კრიტიკული ნარკვევები დიდი ინტერესით იკითხება და ჩვენი ლიტერატურული კრიტიკის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ. სამაშობლო ომიდან დასრულების შემდეგ გ. ნატროშვილი კრიტიკულ წერილებთან ერთად აქვეყნებს მოთხრობებს. ექვრძოდ, მის ფრონტულ ნარკვევებში «დასავლეთის ფრონტზე» პირველად გამოჩნდა გ. ნატროშვილის, როგორც ბელეტრისტის მხატვრული შეხედულება. ამ ნარკვევებში მწერალი გადმოგვცემს მის მიერ ომში უშუალოდ ნანახსა და განცდილს. ჩვენ მიზნად არ ვისახავთ გ. ნატროშვილის მთელი მხატვრული შემოქმედების მიმოხილვას. ამჯერად ჩვენ გვინდა შევეხოთ მხოლოდ მის სამ მოთხრობას «ისევ გაზაფხული იყო იორზე», «უღარდელი კაცის საყვადი», «შიში», რომელთა მახვილით გვესურს გამოვთქვათ აზრი მწერლის შემოქმედების კონცეფციებზე და ლიტერატურული სტილის თავისებურებაზე.

ალექსანდრე ბორშაგოვსკი თავის ერთ-ერთ წერილში («დრუება ნაროდოვ» 1958 წ. №5) წერდა: «თუ შევადგენდით ჩვენი მრავალრიცხოვანი საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო მოთხრობათა ანთოლოგიას ერთ ტომს, მაშინაც კი, ე. ი. ამ ძალიან ძუნღელ შტრხეის დროსაც, გ. ნატროშვილს «ისევ გაზაფხული იყო» უთუოდ მოხვდებოდა ანთოლოგიაში». რით დამსახურა ამ მოთხრობამ ესოდენ მაღალი შეფასება ჩვენს დიდ სალიტერატურო არენაზე? თავისი ბუნებრივი სისადვილი, აღამიანის სულიერი სამყაროს ღრმა ცოდნით, მწერალს აქ აინტერესებს ის, რაც აღამიანში ღრმად აღამიანური, ის რაც აღამიანს დიად და მაღალ ქმნილებად ხდის, აღამიანის საამყო სახელის ტარების უფლებას აძლევს, აღამიანის შინაგანი სტიქია, სისხლბორცველი სიყვარული იმ საქმისადმი, რასთანაც იგი სულიერი ძაფებითაა გა-

დაბმული და მთელი არსებით შედღეუბული. მოთხრობის ცენტრალური პერსონაჟია მოხუცი მწყემსი იორაში, რომლის საყვარელი საქმეა ხალხის დოვლათის, ცხვრის ფარის მოვლა-პატრონობა. საკმარისია იგი მისწყვეტო მწყემსის ქოხს, იმ ვერმოს, სადაც მან გაატარა მთელი თავისი საუკეთესო წლები, რომ დაეარტოს სიცოცხლის ის დიდი ხალხი, რაც მის ცხოვრებას შინაარსს აძლევს, რაც მას, როგორც უბურებელ გოლიათ მუხას მიწასთან ძარღვმავარი ფესვებით აკავშირებს. განა ასეც არ მოხდა როგორც მოთხრობის შინაარსიდან ვიცი, იორაში წლებში ვერხლში და მკლავში ძალა გამოუვლია, მაგრამ ცხვარს თავს მაინც არ ანებებდა, რის გამოც ლევანმა გადასწყვიტა მოხუცი მამა მასთან თბილისში საცხოვრებლად წაყვანა. მართალია იორაშს შვილის ოჯახში მოვლა-პატრონობა არ აყლდა, მაგრამ თავს მაინც უფუნებოდ გრძნობდა, ქალაქის ცხოვრებას ვერ შეგუებოდა, უფოთავდა და ღელავდა, თითქმის ადგილს ვერ პოულობდა, სულ იმაზე ფიქრობდა უმისოდ ცხვარს რაიმე ხიფათი არ შემთხვეოდა და სოფლისკენ მიუწედა გული. ბოლოს იორაში შვილს შეეხვეწა უსაქმოდ ყოფნას მეტს ვეღარ გაეუძლებო და ამოდენა ქალაქში რაიმე სამუშაო მაინც მიმოეცო. ლევანი იძულებული გახდა ბუნებით შრომის მოყვარე მამისათვის ანგარიში გაეწია და აგი ფესსაძემელებს ფაბრიკაში მოაწყო კიდევ. ოდესღაც უზადლო სარქაო და გამოცდილი ბინისათვის იღვა ფაბრიკის ჰოსპიტში და მომსვლელ-მომსვლენებს ამოწმებდა. იოლი საქმე იყო, მაგრამ მაინც უპირდა. იგი მზად იყო ახლაც, მიუხედავად იმისა, რომ ღრმად მოხუცი იყო ქარიშხალს, ყოველგვარ სტიქიას, ცხვარს. რომ დაღუპვით ემტკრება ხოლმე, შეტრბოლებოდა იორადაც ამ საქმისაგან გაენთავსსუფლებინათ. იორაში სინდის-სინდის ენდობოდა ყველას, მაგრამ მოხდა ის, რასაც იგი თავის ღღეში ვერ წარმოიდგენდა. ფაბრიკაში ტყავი დაიკარგა და იგი უფურადღებობისაღუდეს პასუხისცევაში მისიყს. აქ მწერალი ტიბიურ შტრიხებში აშუქებს ყველაფერ იმას, რაც ამ გვირის თვისებებს, ხასიათს, მის შინაგან საწყაროს ეხება. ძნელია იმის წარმოდგენა თუ რას განიცდიდა იორაში, როცა

ის სასამართლოში მიყვავდათ. თავი მალე არც კი აუწყვია, ნაცნობებმა არ დამინახონო და მთელ კახეთს თავი არ მოეკრაო. აქედან ჩანს თუ რაოდენ ღრმა და მდიდარია მისი ბუნება. რაოდენ შეუბღალავი და საუბრაო მისი სინდისი. იორამი იჯდა საბრალდებულო სკამზე და თავის თავს ესაუბრებოდა. გაუფრებდა სივრცეს და იგონებდა იმ დღეს, როცა საშინელ აედარში მიწისა და ქვიშის ზევაში ცხვარიც წაიღო და მწყემსებ- დაც, ნეტავ მაშინ მომყვდარყვავიო გაიფიქრა იორამმა და თავი ჩაღუნა. აღმოჩნდა, რომ მოსამართლე იცნობდა იორამს, იცნობდა როგორც პატიოსან და გულმართალ მშრომელ ადამიანს. იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ იორამი არავის პირადმოქმედებდაში ხელს არ შეუწყობდა. სასამართლომ იორამი გაამართლა. ამით მწერალი იმას გვეუბნება, რომ პატიოსნება— ეს კუშიარტი სულიერი სიღამაზე, ხალხური ან- ღაზისა არ იყოს, როგორც სანთელ საქმელი გზას არ დაეარგავს.

სასამართლოს დარბაზიდან იორამი პირდაპირ ფაბრიკაში წავიდა. ანგარიში გაასწორა და შინისაკენ გასწია. მაგრამ უცებ ყურში თითქოს ვიღაცამ ჩასახსა „იორამ, აქ რა გული გიძღვებს, იქ საქონელი გვღებუბათ“. ახლა მოავიწყდა იორამს, სასამართლოში სხვა სოფლის მწყემსმა რომ უთხრა: „—თქვენმა თავმჯდომარებე დროზე არ გაანძრია ხელი, არც თვია ჩაიტანა იორაზე, არც შერია. ახლა ჯოჯოხეთი შამთარი ჩამოვდა და თქვენები ისეთ დღეში აბრინა... აღარ იციან რა ქნან“. იორამმა გული შესცვალა და პირდაპირ სადგურისაკენ გაემართა. რაკი მატარებლის ვასლამდე ხეთიოდე საათი კიდევ დარჩენილიყო, ერთხანს იხეტიალა ვრცელ დარბაზში და მერე სკამს მიამუტრა. ცხადლე ამოლი მოუსვენარი ფიქრები შობილურ იერის ნაპირებსა და ცხვარზე ბერიკაცს სიზმრად გქვა და კიდევ უფრო აფორიკა მოხუცი. ვერც მის საძებრად წამოსული შეიღწეულუბის მუდარამ გასჭრა, მას ახლა შილოდ ერთი სურვილი ამოძრავებს, რაც შეიძლება მალე დაუბრუნდეს თავის შობილურ სოფელსა და საუვარულ საქმეს. მოხუცმა მანამდე ვერ იბეჯდა თავისი თავი სანამ ცხვრის ფარას არ დაუბრუნდა. მწყემსის უბრალო ქოხი მის თვალში ზღაბრულ სასახლეზე უფრო დიადი და წარმტაცი ჩანდა. აქ თავის სტეიამში მას თითქოს ახალი სული ჩავდგა, სიცოცხლის ხალისი დაუბრუნდა, შრომის უნარი გაუორკვედა. იორის შემოდგომის მზე დაუერთბდა. მაგრამ ვარშემო ყველაფერს სავანადებულო იერი ქონდა, მოხუცი იორამის არსებაშიც ვაზაღებულო აღვართვაფებულოყო და ძალემად შლიდა თავის ღონიერ ფრთებს, ეს იყო ადამიანის ხელმეორედ დაბადება, სულიერი განახლება, დაბრუნებულო სიჭაბუკის ზეიმა. ამათგანებთ მოთხრობასა და მოხუცი იორამისა ერთად თქვენც გრძნობთ სულიერ ძალთა აღორძინებას, მოკარბებულო სიხარულის მოხლევაებას, მყოფილი

ხართ იმით, რომ მოხუცი ბედნიერია და კვლავ კვაბუერი გატაცებთ შრომითს. რომ მის ცხოვრებას მტეი აზრი და მინაწერი მიტყარას გვეუბნება მწერალი ამ მოთხრობით? იმას, რომ ადამიანი ძლიერია იქ, სადაც მის შინაგან სტიქიას ფართო შემოქმედებთი გასაქანი ეძლევა, სადაც იგი აკეთებს იმას, რაც მის სულსა და გულს სიყრბიდანვე შეხორკეებია და მისი სიცოცხლის განუყოფელი ნაწილი გამხდარა. სწორედ ასეთი რამ იყო მოხუცი იორამისათვის მეცხვარეობა, ურთომლისოდაც მას არსებობა ვერ წარმოედგინა. უოველივე ეს მწერალს დიდი მღელვარებთია და შინაგანი ადამიანური სითბოთი აქვს გაღმოცემული.

გ. ნატროშვილი თავისი ბავშვობა და ახალგაზრდობის საუცუოთო წლები კახეთის ბუნებაში წიაღში გაატარა. აქ გაეცნო იგი თავის ვემირებს, აქ შეიყვარა მან გლეხკაცის შრომა, ამიტომ არის, რომ გ. ნატროშვილის მოთხრობებში დაბატული ადამიანები და მოვლენები წარმოადგენენ მისი ბავშვობის დროინდელ უშუალო და ცოცხალ შთაბეჭდილებების მზატრულ ხორცესებს. ჩვენმა მდიდარმა და შინაარსიანმა ცხოვრებამ და კლასიკურმა მწერლობამ გააღრმავა მასში სიყვარული ხალხის წრიდან გამოსული უბრალო ადამიანებისადმი. მის წინაშე გახსნა სამყარო მაღალი იდეებისა და კეთილშობილური მისწრაფებებისა. სწორედ ამით ახსნება, რომ გ. ნატროშვილის მოთხრობებისათვის დამახასიათებელია ღრმა დემოკრატიზმი, შრომელი კაცის მტრვალე სიყვარული. საქართველოს კერძოდ, კახეთის მოშახლავი ბუნების სურათების ღამაში აღწერა მაგრამ აქ აღსანიშნავია, რომ ბუნების სურათები გ. ნატროშვილის მოთხრობებში, როგორც წესი, თხრობის შემადგენელი ნაწილია და ეხმარება მას მოცემული სოციალური მოვლენების დედაარსი-ოვლიუფრად, რეალისტრად და ხელშესახებად გადმოცემაში. ამ შტრე ვანსაკუთრებით გამოიჩინება მოთხრობა „უღარდელი კაცის სიკვდილი“, სადაც აღწერილი გაზაფხულის მომავადი-ებელი სურათი შეეხამება თხრობას თანამედროვე სოფლის ყოფაზე. როგორც ვეიეთ, მოთხრობა იწყება გაზაფხულის მშვენიერი სურათით. „არაფერს ისე არ უხდება ის გაზაფხული, როგორც ამ წითელკრამიტან სახლებს, ხეობაში, ვხისპირებზე ვამეწეულ სოფელში რომ შემოგზავდებათ. ბევრი სოფელი ამ ხეზევ და ის სახლები შორი-შორს არიან ერთიმეორისაგან, მაგრამ ღეიძლ დებსა ქვეანან, ერთი მამის შეიღებს, სხვადასხვა სოფლებში ვითხოვილებს. მათ ერთნაირი იერი აქვთ—ერთნაირად ფაქიზნი არიან. ძალზე უბრალონი, მაგრამ შროიანი. ბებრები მისამბილი კი არა აქვთ, უხვარი ისე ტატება რომ იცის, არა... ყველას მაღალი ავლა აქვს, რომ კვამლი შორს ასწიოს, ღურჯი ცისაკენ. მარტო დელაზი ქვა კი არა, ხერდად ნახ-



მარი რიყის თეთრი კენჭებიც კი თითქოს შეხა-
რთან და შეკლიმთან გამვლელს, ქვეყანას, გუდი-
ქის ამწვანებულ ხევს. ეტყობა ამ საზღვებს, რომ
ისინი ვიღაც გულდასა და გულმზიარულ კაცს
უწვებობა, სიცოცხლეზე დახარბებული რომ ყო-
ფილა, ზაფხულში ლურჯი ვროლი რომ ჰყვარე-
ბოდა და ცისფერი აივნებიც ალანხის ველიდან
წამოსული ნაფანაწალასთვის პირდაპირ შებ-
ულში შეუვებებოდა. აი სწორედ ამიტომ მიგვაჩი-
ნია, რომ ამ მოთხრობაში ადამიანები და პეიზაჟი
ქმნიან ერთიან მუხბეატელებულ ანაჰმებს,
ვინ არის ის ხელმადლიანი კაცი, რომელსაც ეს
კომწია საზღები აუგია და რომელზეც მწერალი
ასეთი დიდი სიყვარულითა და გატაცებით
გვესაუბრება? ეს კაცი ვახლავთ კალატოზი
მიხა, რომლის შესახებ გამაჩნეილი რუსი მწე-
რალი გორბუნივი ამბობდა, რომ „რადიკალი-
რო, კოლა ბრუნთონისებური ქრის მოხვეცი კა-
ლატოზის სახეში. იგი მუდამ თავისი საქმიანო-
ბით ადამიანებთან ურთოვრობაშია და ამას-
თანავე, ყოველთვის ძლიერ პემანისტურად,
ხალისიანად ეკიდება. თავის საქმესაც და მთ,
ყინც მას ვარს ეხვევა“. მართლაც, მიხას ლამაზ
ფუფარს ადამიანი. მას მოქმედებისა და ადამი-
ანების გარეშე ვერ წარმოუდგენია ცხოვრება.
მთელი მისი ხალისიანი სიცოცხლე ირონიას
სდევდა და მწუხარებაზე, გადაპარბებული არ
იქნება თუ ვიტყვით, მიხა ამ მოთხრობის სხვა
გმირებისაგან სწორედ სიცოცხლის დაუცხრომე-
ლი წყურვილითა და ლალი მზიარული ბუნებით
გამოირჩევა. იგი მუდამ ზემორობის გუნებაზეა.
თეთრ უკიდურესი მწუხარების ეამსაც კი მიხა
ოხუნჯობას არ იშლიდა. იგი ზემორობდა ყო-
ველთვის ზოგჯერ უადგილოდ და ზომამე მე-
ტადეც კი. ეს ზემორობა არც თუ იშვიათად ენა
კვიმტობაში გადადიოდა. გლოვის დროსაც ვერ
შესძლო მიხამ თავის შეკავება (ვახსენეთ მისი
მეუღლის ქეთევანის დასაფლავების დღე), რის
გამომ შეიღებმა უსაყვედურეს. მაგრამ რა ეჭ-
ნა მიხას, ეს მისდაუნებურად ზდებოდა. ეს
მისი ბუნების თავისებურება იყო და როგორი
მდგომარეობაშია იგი უნდა ყოფილიყო ხემ-
რობა მისთვის ისევე აუცილებელი იყო, რო-
გორც სუნთქვა, წყლის სმა. უმისოდ ვამლება
არ შეეძლო. ვანა სიყვლილის წინაც არ იბუმ-
რა, ღიმილით არ მოკვდა. მეთხველს არასოდეს
არ დაეიწყებდა მისი დასაფლავების დღე. რო-
გორც მოთხრობის შინაარსიდან ვიცით, მიხას
ერთადერთი ფოტოსურათი დარჩა, რომელზეც
იგი კალათიდან ქლიავს შევქცეოდა ამ ფოტო-
სურათით ვაკცილეს მიხა თავის უკანასკნელ დ-
ვილსამყოფლამდე. ეს თითქოს მწარე დაციწვა
იყო სიყველითა, რომელსაც მისგან შემესტ-
რილი ადამიანის ორული ნიშნს უვგებდა და
მის სისახტივის უღარდელ ღიმილს ავებებდა.
მთელი სოფელი გლოვობდა მიხას, რომელსაც
სიყვედილის მსახვრალმა ხელმაც კი ვერ მოსტა-

ცა თავისი ბუნების სოლაც. ეს იყო მწუხარე-
ბითა და ღიმილით შეზაგებულე, მწერალი
და ამაღლებელი სცენა. მიხა მუდამ ცხოვრე-
ბული სახით იდგა და შრომობდა ხალხში და
ასევე ეთხოვებოდა მას. ზვეფის აზრით, ეს არის
ძალზე კონსტრუირად მიგვიჩნებელი დეტალი.
ტიპური და დამახასიათებელი იმ კაცის ცხოვ-
რებისათვის, რომელიც სიცოცხლეში ოხუნჯო-
ბის რსტატი იყო და მისი ცხოვრების დასას-
რულიც თავისებური აღმოჩნდა. ეს არის მარ-
ჯვედ მიგნებული შტრიხი, რაც აყვებს და ამ-
თავრებს ბელეტრისტის მიერ არჩეული ცენტ-
რალური პერსონაჟის პორტრეტს. რა აძლევდა
ძალღონეს მიხას დაუშრეტელ მოქმედებას, რა
იყო მისი სიცოცხლის წყარო? ქვეყნის შენება
და სიყვარული. ხალხის კალატოზი იყო მიხა
და ვინ მოსთელის რამდენი კაცისათვის აუშე-
ნებია მას სახლი, რამდენი ბედნიერების მომსწ-
რე ყოფილა მისი დალოცვილი მარჯვენით
ამოშენებული კედლები. „მვერი ქორწილები
გადებდით მიხას მიერ აშენებულ სახლებში,
ბევრსაც ვადაიხდიან, ბევრი ყრმა დაზადებულა
იქ და როგორც კი თვალი აუხელია, როგორც
კი ვრობოდა მისცემია, დედასთან ერთად ეს
ღამაში აიგნებ და დაბრუნებულ ბელეტრეზა
შეყვარებოდა. აი აქედან მომდინარეობს მიხას
ოპტიმიზმი. აი ეს უკედავი სულის ქროლვა
აეხოველებს მის არსებობას. ეს იყო მისთვის
სიცოცხლის ვველაზე დიდი ყვავილობა და ამა
რა ქონდა მოსაწყენი ამ ქვეყნად. ეს ისე არ
უნდა ვავიკოთ, თითქოს მიხას გულს დარდი
არასოდეს გაკარებოდეს. მან დარდიც იცოდა
და სიხარულიც. მაგრამ მოწუწუნესა და სასო-
წარყვეთილს ვერასოდეს ვერ ნახავდით. იგი
„ბუნებრივი ადამიანი“ იყო, ხოლო მისი ოპ-
ტიმიზმი ასეთივე ბუნებრივი. მისი ფხიანი
სიტყვა ხალხური სიბრძნით არის ნასაზღოვნი-
ბი, ხოლო მისი ხალისიანი ბუნება ხალხის დაუ-
ცხრომელი სულის ნაწილია. მწერალი უბრალო
ადამიანის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნით გვე-
ლპარაკება მიხას ბუნებრივ გონება-მსახილო-
ბაზე, მისი ენერჯის დაუშრეტელობაზე. გ.
ნატროშვილისათვის, როგორც რეალისტ-მსახე-
რისათვის, დამახასიათებელია ადამიანისაღმ
რწმენა, იგი ადამიანში უმრავლესს ყოვლისა ხე-
დავს მალად მორალურ თვისებებს. სწორედ ეს
განსაზღვრავს გ. ნატროშვილის როგორც მწერ-
ლის შემოქმედებით კონცეფციას, მის ესთეტი-
კურ თეალსაზრისს თუ შეხედულებას.

როცა გ. ნატროშვილის მოთხრობების ნიშან-
თვისებებზე ვლპარაკობთ, კიდევ ერთ ვარკმოე-
ბას უნდა ვაუთხროთ ხაზი, გ. ნატროშვილისათვის
უტსოა პლაკატურობა, შინგული, მყვიარალა ტენ-
დენციურობა. მისი მოთხრობები ეფექტური
იმიტომ, რომ ნაწარმოების ტენდენცია შინაარს-
ში ღრმადია ჩაქსოვილი. მიხას ოპტიმიზმის

ამოსავალი წერტილი, რომ ჩვენი ცხოვრება ამის შესახებ მწერალი პირდაპირ კი არ ვეღვაპარაყება, არამედ ამის მიჯვანიშნებს ის სახლები, რომელიც მიზან ჩვენს სინამდვილეში აუშენებია და ასე ღამაზად ჩამწერაივებულან გედიქის ხეში.

ძირფესვიანად შეიცივალა ჩვენი ცხოვრება, ყოველწლიურად უმჯობესდება საბჭოთა ხალხების მატერიალური მდგომარეობა, არაჩვეულებრივი სისწრაფით მიღდება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო დონე. მოთხრობაში ამას ხელშესახებად გვაგრძნობინებს მიზან ოჯახის კერძო ცხოვრება. რაც ნაწარმოების სიუჟეტში ორგანულადია შერწყმული. მიზან ოჯახი რომ ელტურულად და შედგებულად ცხოვრობს ეს მოთხრობაში უხეშად გარტეთ კი არ არის ვამოტიზიო და ივტორის რემარკებში დეკლარაციის სახით მოქცეული, არამედ შინაარსიდან თავისთავად და ბუნებრივად გამოიმდინარებობს, რის გამოც დღია ნაწარმოების დამაჯერებელი ძალა.

ღრმა რეალიზმი, მაღალი იდეურობა, მკაფიო ინდივიდუალობით გამოყოფილი სახეები, ბუნების ღამაზი აღწერა და ენის ხალხტრობა — აი ყველაფერი ის, რაც უფლებას გვაძლევს გ. ნატროშვილის მოთხრობებზე ვთქვათ, რომ ისინი ქართული საბჭოთა პროზის მიღწევას წარმოადგენენ. მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ. ახლა კი განვიხილოთ მოთხრობა „შიში“, რომელსაც ესოდენ დიდი მოწონება ხედა წილად. ამ მოთხრობიდან ჩანს, რომ გ. ნატროშვილი კარვად იცნობს რევოლუციამდელი სოფლის ყოფასაც. ვანო ჩუბტიაშვილის ცხოვრების ჩვენებით მწერალმა ნათლად დავგანაზა კულაობის მთელი სოციალური არსი და ბუნება, მთელი ის სისასტიკე, რომელსაც გმსპლოატატოროთა კლასის ეს წარმომადგენლები იხენდნენ ვლესობის მიმართ. ვანო ჩუბტიაშვილს მოთხრობაში უპირისპირდება სოციალური უსამართლობის წინამდებებმბრძოლა ტყეში გუჭრბილი მიზან, რომელსაც ხალხმა თავისი საყვარელი გმირის არსენას სახელი შეარქვა, მართლაც, მიზან არსენისაგით უუყარდა ხალხი, უუყარდა სიციეთ და გლესკაცად ისე ესარჩლებოდა, როგორც მარადელი დევგმირი. აი ერთხელ მიზან ჩუბტიაშვილს მოცუტული მიუტუზაეა და შეუთვალა: თუ შენი თავის შტერი არა ხარ და შენი ცოლშვილი გებზალეზა, დატაკო მეძროხეები ცხენში, რომ ჩააყრდინენ, როგორც ვინდა ისე მოახერხებ და გამოაშვებინო. მოცუტულს მიზან ზურგი მათრახით აუჭრელა და თანაც ასე დაბარა: ჩუბტიაშვილი შენს სილამურზე არ ცეკვაზხო. ასეთმა მკვებე პასუზმა მიზან შურისძიების გრძნობით აღავსო და მოწინააღმდეგეს სიკვდილით დაემტკრა. „შირაქში ელვასავით გაიარდა ეს ამბავი და ახლა მთელი ხალხი ისე ელოდა მათ შეხვედრას, როგორც ორი ფალავანის შებრძო-

ლებს სატიდაო მიედანზე. მაგრამ კვლავი რასათქმელია: ყველამ იცოდა, რომ მწერლის განშეულებელი მარტო შავი-სიყვდილფერყურ და ვინც იცის, სად მოუსწრებდა ეს სიყვდილი ან ერთს, ან შერთს, სად დაუბნელებდა შუზს, რომელ გზაზე, რომელ მინდორში... ეს მხოლოდ უზრალო ოროთა ბრძოლა კი არ იყო, არამედ მწვავე კლასთა ბრძოლის მაგალითი და განახიერება. ვანომ აინუნშიაე არ ჩაავლო მიზან მექარა, რადგან მას თავის ბრგე და ძალოვან აგებულების, თავის ძალონის იმედი ჰქონდა. მიუხედავად თავისი თავისაღმი ასეთი ღრმა რწმენისა ჩუბტიაშვილი მიზან წინაშე შაინც წაზდა. მოჩვენებითი და ყალბი აღმონნდა მისი ვაჟკაციობა. ერთხელ ჩუბტიაშვილი ქორწილიდან ბრუნდებოდა და ორლობეში რომ შეედა, საენებით ვარკვეით ვიგონა, რომ იმ სინულეში ვილაკამ ღობის ძირში თოფის საეკტი ხმაურით ვადაატრიალა. ეს იყო მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე პირველი შიში, რომელიც მან განიცადა. ძნელია იმის წარმოდგენა თუ როდენ სიზარული იგრძნო ჩუბტიაშვილმა, როცა მთვარე გამონნდა და ორლობეში ჯაქვზე მიზმული ძაღლი დაინახა, მაგრამ იმევე წუთს სიზარული წყენამ შესეცალა: ისე როგორ დაიბნა, რომ ძაღლის ჯაქვის ჩხარუნი თოფის ჩახმახის ხმაურად შიილო. პირველმა შიშმა, ჩუბტიაშვილი კომიკურ მდგომარეობაში რომ ჩაყენა, თუ ვერ ვასტუზა, იგი რალეუ ბზარი შაინც შეიტანა მის ქვასათე მავარ გულში. ამ მომენტიდან მისი სული სიმშვილეს კარვავს, მისი ვეება ტანი ყველაფერზე კართის და ცახცახებს. ასე მოსდის დამნაშავეს, შაენც თავისი ვანბრახეებით. იმას ვისაც აღამინაობის შინაწყალი არ ვაგანია. დადგა ჩუბტიაშვილის ვაჟკაციობის ვამოციდის ნამდვილი დღეც და ჩვენ ვებტავთ თუ როგორ დამამცირებულად ებლაეეება იგი სიციოსტეს, ენენისთავის ბოლო იყო, როცა შირაქში გუთონზე ვაიტანეს. ვანოც იქ იყო. აქ მოზდა მოწინააღმდეგეების პირისპირ შეხვედრა, სადაც შილიანად და საენებით ვამონნდა ვანოს არარაობა. ჩუბტიაშვილმა შესანიშნავად იცოდა, რომ ჯერ ქართულ კაცს არასოდეს სიხლთი არ შეულებავს გუთანი და ამა მიზან როგორ ვაებდებოდა ხალხს მიერ საუკუნების მანძილზე დადგენილ ამ წესის დარღვევას. ამიტომ ვანომ, როგორც კი მიზან დაინახა მივარდა გუთნის დედას, სახელურები წაართვა და ფეითონ ჩაებლაეუპა ლინიერად გუთანს. მიზანიუხვდა ვანოს და მისაღმი რალეუ საშინელი ზიზი იგრძნო. მოწინააღმდეგეს ელოდა და არარაობა შერაინა ხელში, არარაობა, რომელიც სამარცხენოდ ილაენებოდა ამოდენა ხალხის წინაშე, ამისთანა კაცთან შებრძოლება მიზან იუკადრისა. ცხენს მოატბა და გზას გაუდგა. ხილო ვანო ცოცხალმკედარი ურგუმზე დაწინეს და სოფელში წაიყვანეს. ასე მოელო ბოლო ჩუბტიაშვილის ქედამილობას და ვინ იცის ტყვიით სიყვდილი.

გრანა ოლონდაც მთელი ეს მისი უსუსურობა და სიმხდალე ასე სამარცხვინოდ არ გამოვლავნებულა. „მისი“ მოვლენების ფსიქოლოგიური გადაწყვეტით გამოირჩევა, მასში მკაფიოდ ჩანს, რომ ადამიანის ნებისყოფის მოქმედება და სიმტკიცე დამოკიდებულია არა მის ფიზიკურ ძალაზე, არამედ მის მაღალ ზნეობრივ თვისებებზე.

მოთხრობაში მაღალ ზნეობრივ თვისებებს ამვლენებს ზალხი, რომელიც შრომობს, მიწის საყვარელი ცოცხლობს და სუნთქავს, ხოლო ბოროტების, შინაგანი არაბოების გამოშატეული, კაპიტალისტური კლასის წარმომადგენელი კელაქი ვანო ჩუბტიამვილი. მწერალი წარსულში ხედავს სოციალური ბრძოლების მრისხანე პარტიზილს, მწვეანე კლასობრივ ანტაგონიზმს. გ. ნატროშვილის საყვარელი გმირების ცხოვრება საესვა გულწრფელობით და მგზნებარე მისწრაფებებით სოციალური უსამართლობის მოსაპსობად. ამიტომ ვამბობთ, რომ ამ მოთხრობის მატერული ღირსება განუცრელადაა დაკავშირებული

რებული მწერლის მსოფლმხედველობასთან. რომლის ამოსავალი წერტილია მწერლის ხელის მხურვალე სივარული და მწვერულებული სისადმი განუზომელი სიძულვილი.

გ. ნატროშვილის მაღალი მხატვრული ოსტატობა გაპირობებულია მისი მდიდარი ენითა და სტილის ლაქონურობით. გ. ნატროშვილის პერსონაჟთა მტკიცელებაც ისეთივე ცხოვრებისეულია, რგორც მათი ფიქრი და ენებები, ინტერესები. ზალხის ცოცხალ სალაპარაკო ენიდან მოედინება მისი სილაღე და ამიტომაც ესოდენ ბუნებრივად ეღერს, რაც ხელს უწყობს მწერლის იდეური ჩანაფიქრის მღელვარედ და ემოციურად წარმოსახვას.

სამართლიანად საყვედურობენ გ. ნატროშვილს, რომ იგი თავის კალამს არ ცდის რომანის ეანრში. მართლაც, გ. ნატროშვილს აქვს სრული შესაძლებლობა მისთვის ჩვეული ოსტატობით ღრმად და მართებულად წარმოსახოს ჩვენი მრავალფეროვანი და შინაარსიანი ცხოვრება ფართო ეპიკურ ტროლებზე.



შოლომ-ალეიხეში

(დაბადების 100 წლისთავის გამო)

„ჩვენ ყველანი საკმაოდ ძლიერნი ვართ, რათა სხვისი უბედურება გადავიტანოთ“ — ლაროშფტუკოს ეს ღერძლიანი სარკაჷში თითქოს აქსიომაა ობიექტუური სიბრძნის თვალსაზრისით, რომელიც მიისწრავს ცალმხრივად გააზვიადოს ადამიანთა გათიშულობა. თეით ფაქტი ხელოვნების არსებობისა უბირისპირდება ამ ეფექტურად ფერად აფორიზმს. ხელოვნება, ეს ზომ თავისუფური მაღალი ფორმა ურთიერთობისა, მასში შთავარია მისწრავლება — გვაგრძნობინოს „სხვისი“ როგორც „თავისი“.

იმ მწერალთა შორის, რომელთათვისაც საბოლოოდ წაშლილია საზღვრები „თავისა“ და „სხვისა“ შორის, გამოირჩევა ებრაული ლიტერატურის კლასიკოსი შოლომ-ალეიხევის ნათელი სახელი. სწორედ ამიტომაც რომ შოლომ-ალეიხევის ფერობიოგრაფიულ რომანში „ბაზრობიდან“ ყველაზე ნაკლებადაა მოცემული მწერლის ბიოგრაფია ამ სიტყვის ვიწრო გაგებით. ამ შოლომ-ალეიხეში უფრო მეტს ლაპარაკობს სხვებზე, ვიდრე თავის თავზე, სწორედ სხვა ადამიანთა ბედობაღი, ხალხის ბედი შეადგენს ამ მწერლის ბიოგრაფიას.

სხვადასხვაგვარად განიცდის ადამიანები თავის მწუხარებას, სხვადასხვაგვარადაც შეიძლება წერო ადამიანთა უბედობაზე. ყოველ შესაძლებელ ინტონაციას ვერც ჩამოთვალ: ტრაგიკული პათოსი, მრისხანე აღშფოთება, ჩემი მწუხარება, შორილი სასოწარკვეთა. არახვედლებრივად ქმედითა ასეთი სტილიც: — სრული დამშვიდებით ღაპარაკო საშინელ ამბებზე.

თავისი ნაწარმოებების ტრაგიკული შინაარსის სამსახურში შოლომ-ალეიხეში იუმორიც უნაყენა ამიტომაც უბედურებას მის ნაწარმოებებში ხშირად ბედნიერების ღიმილი ანათებს, სიბარტლის ელფერი დაქრავს.

„შე რა მიჭირს — შე ობოლი ვარ! — ხარობს პატარა ბიჭი მოთლი. მამის სიკვდილის შემდეგ ნათესავ-მეზობლები იცოდებენ მას და აღარ სჯიან ეშმაკობისთვის, ხოლო როდესაც სახლიდან გასაყვად ვაიკანეს მთელი ავიჯრი, მაინც „...დაწყო ამდილი“ მხიარულება... გეტრიალებდი იატაკზე... რა ხალეთობა! როგორი თავისუფლება!“

აი, შოლომ-ალეიხევის მეორე პერსონაჷც — „ყველაზე ბედნიერი ადამიანი კოღნში“. იგი ძალზე ბედნიერია, მიემგზავრება პატარებლით და სახე უბრწყინავს. ან როგორ არ იხაროს, მან ზომ დათანხმა ცნობილი ექიმი მომავლად შეიღოთან წამოყოლოდა! ო, ეს ექიმები — ისინი შხად არიან ყველაფერში დაგეხმარონ, ოღონდ არა აქვთ გავირევის გასაყრნი რეცეპტები. ისინი ვეერძაძაღვენ ბავშვები მხოლოდ ყარტოფლით ვყებოთ, ავადმყოფთათვის კი ბულონს მოითხოვენ. ბულონი კი საოცნებო სიხარულია ღატაკი კაცისათვის. როდის ჭამს ღარიბი ჭათამს? ორ შემთხვევაში: ან როდესაც ავადა თეითონ, ანდა როდესაც ჭათამია ავად.

ხშირად მწელი მისახვედრია, თუ სად თავდება შოლომ-ალეიხეში და იწყება უსაბულო ხალხური შემოქმედება. პატარა ადამიანები, ხშირად სასაცილონი და უცნაურნი უსაშველო გაჭირებით შეეიწროებენ, ცხოვრობენ მწერლის ნაწარმოებებში და იწყებენ „ჩემ დიმილს“. აი გაცხარებული კონტრენტები, ისინი ერთმანეთს ექიშებინან, ორთავეს თავთავისი კალთა აქვს, ერთმანეთს ტაცებენ მუიღველებს და ბოლოს სულაც ვერ ახერხებენ თავიანთი უბადრუკი საქონლის გაყიდვას. მოთხრობის დასასრულს კი ირკვევა, რომ ისინი... ცოლ-ქარი უყოფილან! აი გავალტყავებული, არაქათგაყოცილი კაცი კასროლოვიტიან. რატომ შეარქვეს მას ღორმუცელი? იქნებ ბევრსა ჭამს? არა, იგი მხოლოდ და მხოლოდ ღაპარაკობს ბევრს საუმელზე, მუდმივ ვალშია საყუთარი კეჭის, ამ ჩაცევაბული მევაჭარის წინაშე. მწარე ირონიითა და ამავე დროს ველის დამწყვეტი სიბარტულითა გამსჭვალული შოლომ-ალეიხევის მოთხრობები ღარიბების მიმართ, რომელთაც ვერც კი წარმოუდგენიათ თავისი თავი ადამიანური ცხოვრების პირობებში.

პატარა, უწინარი ადამიანები დიდბანია გახსნა მხატვრული ლიტერატურის დიდ თემად. სხვაობათა და ელფერათა სიუხვეში შეიძლება დავსახოთ ორი ძირითადი ხაზი, რომლთაც მიმდინარეობდა ამ თემის დამუშავება.

მწერალთა ერთი ჯგუფი ცდილობდა ცხოვრებისაგან დაჯანბნულ პატარა ადამიანში განე-

მტკიცებინა წარმოდგენა მის ვითომდა განსაკუთრებულ ადამიანურებაზე, განსაკუთრებულ კეთილშობილებასზე, რომელიც განუყოფელია მისი ასეთი მფგომარეობიდან და ეპოვა მისთვის გამოსავალი თვით კაპიტალისტურ სინამდვილის პირობებში. ზორად ასეთი ნაწარმოების ფინალი ვხედავდით ბედნიერ ქორწილს, მოულოდნელ შემეცდრებობას, ანდა უეცრად ვალაგებულ სინდისს მლიდარი მკაცრობისა, რომელიც ავიღოვებდა პატარა ადამიანს ყველა მისი ტანჯვა-წყალებისათვის. მაგრამ ასეთი შვიდობიანი ფინალი ხომ არაფრის მიქმელი შემთხვევითობაა. ამიტომ, გრძობდნენ რა „ბედნიერი დასასრულს“ სიუალებს, ამ ჯერის მწერლები ზორად უნარს ამზობდნენ მასზე და სამწუხარო დასასრულსაც თხზავდნენ, მაგრამ მოუხედავად იმისა, რომ ეს შატებდა ნაწარმოებს ზენებრივობას, საერთო კონცეფცია შინე იგივე რჩებადა: სენტამენტალური სიბრალული შეგუბადში და არაფერი ამ მფგომარეობის გამოსწორებისათვის ამ თუნდაც პირველმიზეზის ნამდვილი გაიკვებისა და მხილებისათვის. გოგოლი „მზარასში“ და შოლომ-ალექსიძეში (რომელმაც ბევრი რამ ისწავლა „მკედარი სულეის“ ავტორისაგან) ირჩევენ სულ სხვა გზას, ისინი პატარა ადამიანს“ გაიდებობას კი არ ცდილობენ, მის განდიდებას კი არ შეცდინებენ, არამედ პირიქით, რაც შეიძლება უფრო „პატარაებუნ“ მის, ავად ავადივინი— შინეჯი პროდუქტია ბიუროკრატიული საზოგადოებისა. ამა სკადეთ მისი გაბედნიერება, მაშინ როდესაც მისი სურვილის მწვერვალია ახალი მზარასა „მე რომ რატშილიდ ვიყო“ — წამოიძახებს შოლომ-ალექსიძის ერთი გმირი კასროლოველი ლატაჟი, რას იზამდა იგი? — გამოსიყდიდა თავის სამაბათო სერთეს...

ავად ავადივირის ახალი მზარას და კასროლოველი ლატაჟის დაგვირგვინი სერთესი — ეს არა მხოლოდ ტანჯვით ნაშოვი და სამუდამოდ დაკარგული საგნებია, არამედ თავისებური სიმბოლოებიცაა, საჭიროა სრული ვარდაქნა პატარა ადამიანისა, ამისათვის კი აუცილებელია კაპიტალისტური წყობის მოსპობა — ამ დასკვნამდე მიყავს მკითხველი შოლომ-ალექსიძის. გროტესკის ხერხი აქ ბუნებრივია და გამართლებულია თვით სინამდვილის მიერ, რომელიც უხედა წარმოშობდა ასეთ ტრაგიკომიკურ პერსონაჟებსა და ტრაგიკომიკურ სიტუაციას.

შოლომ-ალექსიძის იუმორი ერთდამავე დროს ნაღვლიანიცა და სიკოცლით საესეცი, იგი ნაღვლიანია, რადგან შოლომ-ალექსიძეში ნათლად ხედავდა მის მიერ აღწერილ უბედურებათა პირველმიზეზს — რეკოლუციამდელ რუსეთში გამუფებულ სოციალურ უკუღმართობას — და მხოლოდ ბუნდონად ვაწვერტდა იმ ძალას, რომელსაც შეეძლო ქვეყნის ხსნა ამ უკუღმართობისაგან, მაგრამ შოლომ-ალექსიძის

იუმორი ხალისიანი და ცხოველყოფილია, რადგან მის სათავეს წარმოადგენს დაუშრეტელი ოპტიმიზმი თვით ხალისისა, რომელიც ნაწყოდ ძლიერია არა ხალისი, არამედ ნაწყოდ განსაძღვლისა და უბედურების დასახვედრად და მათთან გასამკლავებლად.

„პატარა ადამიანები პატარა მისწრაფებებით“ მწერლის შემოქმედებით მეგვიდღრობაში შეიძლება ვინაველაგათ ორი მონუმენტურად მოხატული სახის — მენახემ მენდელისა და თეივის შორის (პირველს მწერალმა მიუძღვნა მოთხრობათა ციკლი, ხოლო მეორეს — რომანი „მერძვე თეივი“). ერთნი ფსიქოლოგიურად ახლოს არიან პირველთან, სხვანი კი მეორეს ენათესავენინა.

მენახემ მენდელი — უნიადავო ფანტაზიორი და ფეჟი მეოცნებე, გატაცებულია უეცარი გამდღრების სურვილით, მაგრამ ყველა მისი ცდა მიღწიის ამ სანუკვარ მიზანს ყოველთვის ამათა, მაშინაც კი, როდესაც იგი ხელს კიდებდა მაშინკლობას, მთულობს კიდევ „შესაფერ საქონელს“ და მიწერ-მოწერას მართავს მეორე მაშინკლობას, რომელსაც ასევე ჰყავს „შესაფერი საქონელი“, შეხედრისას არეყევა, რომ ისინი მაშინკლობდნენ ორ... ჭალიშვილს. აღწერს რა მენახემ მენდელის ზედინდელ მყოლებულ მარტას, შოლომ-ალექსიძის გვიჩვენებს მის მიზეზებს: იგი ფატალურ უბედურებაში კი არაა, როგორც ამას თვითონ მენახემ მენდელი ფიქრობს, არამედ ათასობით იმ ადამიანის გარდუეველ ვაჟურებაში რომლებსაც წარმოშობს და შემდეგ შეუნბრალებლად სრესს ყიდვად გაყიდვის კაპიტალისტური ორთმტრიალი.

თეივი — თავისებური ებრაელი კოლა ბრუნინია, ბუნებისა და შრომის ადამიანი, თითქოს მთლიანად ზუსტად მოქსოვილი ხალხური ანდაზებიდან და ნართულებიდან, კოლა ბრუნინითამას ახლოვებს ხასიათის მთლიანობა და ზნეობრივი სიჯანსაღე-ერთობა და მეორეც — სიუეთესო წარმომადგენლებია „ძველა თაობისა და ენერგიით და შინაგანი ახალგაზრდობით საესენი არიან, მართალია, თეივის არ გაანინა კოლას მებრძოლი ეპიკურეიზმი და პროზაულია თეივის შრომაც. მაგრამ ყველაზე ჩვეულებრივი საყოველღლო ამ სახეში შესრულებულია და ფატური პოეზიით.

თეივის მხოლოდ თავისი მშრომელი ხელების იმედი აქვს და არ სჯერა ვანისისა და ბედნიერი მოგებისა, როგორც ეს სჯერათ მენახემ მენდელის ტიპის ადამიანებს. თუმცაღა, ერთხელ თეივი ვაება მენდელის ჯადოში. შეხედრობის გამორეკვა, რომ ისინი „უახლოსი“ ნათესავენი ყოფილან. სახმეროა — მენახემ მენდელი თეივის ცოლის შორეული ნათესავი აღმოჩნდა. მოვისმინით მათი საუბრის ნაწყეტი: — სიმართლე უნდა მითხრა, მენახემ-მენდელ, რომ, რასაც შენ მიყვები შენი უხეავო,

საქმეების შესახებ, — ეს კიდევ ჰგავს რაღაცას, აქ რასაცორეულია სიმარჯვეა საჭიროა... მაგრამ ერთ რამეს ვერ მივხვდარვარ, რამდენადღე ვინაობა შენს ანხლ ცოლს, ძალზე მათივე... როგორ ვაძლევს ნების ასე იფარფაო და არ ჩამოღის შენთან ცოცხზე ვადამჯდაო...

— ამა, რებ თევიე უმჯობესია ნუ მომაგონებთ... ძლიერ ბევრი მხედება მისგან... მაგრამ ყველაფერი ეს წერილმანია; ამიტომაცაა ის ცოლი, რომ ბოლო უნდა მოვიღოს. არსებობს კიდევ რაღაც ამაზე უარესიც... არსებობს კიდევ სიღვინი! რომ მოგიყუთ მის შესახებ რა საჭიროა — თქვენე კარგად იცით...

მეწეო მწეუბეა, მწეუბის თავზე კი — ბებერაა?

— სრული სიმართლეა, რებ თევიე! ეს ძალიან მართალი თქვით. მეწეო-მწეუბე, მაგრამ ბებერა უარესია ყოველგვარ მწეუბეზე.

ეს შეხვედრა იმით დამთავრდა, რომ შენახემ მენდელმა თავბრუ დაასხა თევიეს „ოცნების კოშკებით“, გამოართვა ფული ბირჯაზე „წაუღებელი“ თამაშისათვის და როგორც ყოველთვის, დაიწვა, მაგრამ მოტყუებულმა თევიემ რა დაინახა მენდელის საცოდაო და დამანაშავის გამომეტყულება იმდენი ძალღონე მოიკრებო რომ დაემშვიდებინა იგი... შენახემ-მენდელი — ესაა ჭარკეტა ადამიანი, გამოკვებილი წერილ ბერებანიზელი იღუზიებით, თევიე ხალხურ ნიდაგზე ამოზრდილი ძლიერი მუხაა. თევიე ყველაზე იკლბა ანეგლოტრია, როგორც ანეგლოტრია... შოლომ-ალეიხების სიღუპიებითა და გაცირებით დახმევებელი მრავალი ტრავეიუა პერსონაჟი. თევიე-ღარიბია, მაგრამ ხალხის წილიდან გამოსული ამაყი ადამიანია, მის პატრიარქალობას აცლია სპეციფიკური ჩამორჩენილობის მსარეობი, ხოლო გული და სული გააღმლილი აქვს ახალ-ახალ საქმიანობისათვის.

ხელოვნების ადამიანთა შესახებ შოლომ-ალეიხემ დაწერილი აქვს რომანები „სტეპენიე“ და „ცოთილი ვარსკლავები“. „სტეპენიეში“ მწერალი მოგვითხრობს ტიპიურ ტალანტზე ხალხის წილიდან გამოსულ ნიჭიერ ადამიანზე, იმაზე, თუ როგორ იფერჩენება მისი ხელოვნება და ჭენება ცხოვრება ლატეურ დაბა-სოფელში დაწყებულ პირობებში.

„ცოთილი ვარსკლავებში“ დამწვლია უფრო განზოგადებული პირობემა — ხელოვნების ბედი კაპიტალიზმის პირობებში.

რომანში „სტეპენიე“ ჩაქსოვილია თემა, რომელსაც არა ერთხელ დაბრუნებია შოლომ-ალეიხემი — ქალის არასამართლიანო ხვედრის თემა.

ქალი იყოფება არა მარტო სიღარიბის უღელქვეშ, არამედ პატრიარქალური წყობის, მისი სამინელო ცრუ რწმენათა გავლენის ქვეშ. ვერ პოულობს ბედნიერებას მდიდართა საშლში

ახალგაზრდა რომელი, თემცა იგი გარემოცულია ქმრის მშობლების ზრუნვით და უმხობლობით. რა განსხვავებაა, თქვენე ცხოვრების თანში ეცეზოდეს, ამის გამო ისინი ხომ მაინც ცრეშლები არიან.

მოზრდილთა მოფლელეუ და დაბლართლი სამყაროდან შოლომ-ალეიხემი განსაკუთრებული სიყვარულითა და სითოთი მოყიდა საბავშვო თემას, მან მრავალი ნაწარმოები მიუძღვნა ბავშვებს.

„საბავშვო თემისადმი მიმართვა რომი ნიშნავდა შოლომ-ალეიხემის გაქცევის სინამდვილიდან, ეგზოტიკურ მხარეში, რომანტიკული გაქცევის მსგავსად ანდა განსაკუთრებული ბავშვობის აღქმის დადასტურებას, რომელიც მრავალი ბურჟუაზიული მწერლისთვისაა დამახასიათებელი აქ სულ სხვაა: ბავშვური შეგნება, ცხოვრების, სიხარულის და სიღამაზის აღქმისათვის, გახსნილი, რომელსაც უერ ვერ მოუწერია ცხოვრების მხინჯი პირობებით დასაბინებება, მწერალს, გაზრებული აქვს როგორც ხალხის სული ნათელი სხე.

შოლომ-ალეიხემის მრავალი ნაწარმოები განსაკუთრებით ღირიყელია. მათში ძალზე ჭკიანიერადაა ჩართული ბიბლიური მოტივები. სხვა ნაწარმოებებში ბიბლიური ციტატები ესაა თავისებური იარაღი მისსავე წინააღმდეგ. ასე, მავალითად, წიგნის დასასრულს ხელისუფალნი თევიეს აძეებენ სოფლიდან, სადაც მან იცხოვრა მრავალი წელი იმ საფუძველით, რომ იგი ებრაელია, ებრაელებს კი არ ჰქონდათ სოფელში დასახლების უფლება. ანატოლიე კი, როგორც ურიალნიე ამბობს „რომელიც აქამდე იყო დაბა, ახლა სოფელი ხდება“ და იქედანაც ახალეებზე უფლა ებრაელს.

ქალიშვილის შევითხვავს, თუ სად წაელენ ახლა ისინი თევიესათვის საძენელად, თევიე უპასუხებს: „სულელო, როდესაც ღმერთი გამოცეხადა ჩვენს მამას აბრაამს და უთხრა მას: „განევი ქვეყნისაგან შენისა“ აბრაამს არ უციოხავს — სად წავიდე! ღმერთმა უთხრა მას: „იმ ქვეყანაში, რომელშიც შე მივითითებო.“ ეს კი ნიშნავდა — ქვეყნიერების მთელი ობს მხარეს... ეს „მთელი ობსი მხარე“ სრულებით აცამეტეერებს ბიბლიურ ციტატას.

სხვაგვარად ხდება ღირიყელ მოთხრობებში. მათში შოლომ-ალეიხემი საღეთო წერილიდან იღებს მის პოეტურ მარცვალს, არსებითად ხომ ბიბლიურ მოტივებში ბევრი რამაა შეტანილი წმინდა ხალხური თქმულებებიდან და ლეგენდებიდან. „როდესაც პატარა ბიჭი ვიყავი, იცით, ვისი ცხოვრება მწერდა? — მევე აღსაფერისა. არა იმ აღსაფერისა, რომელიც შეფობდა ასოცდა-შეოდ ოლქში, ინდოეთიდან ეთიოპიამდე, არამედ ოქროს ვვირგვინიანი, ე. ა. ქაილდის ჩაჩიანი

მეტივე კოპელისა. რეალურ სინამდვილეში ნიბლიური მოტივების გადატანის ეს ხერხი განუმეორებელ კოლორიტს ქმნის შოლომ-ალეიხების ლირიულ მოთბობებში. ეს განსაკუთრებით ძლიერად იგრძნობა მოთხრობაში, აქედანაა ქება* რომელშიაც არაერთგზისი შეინაცვანი განმეორებანი აღვყენ მას ლექსობრივ ამაღლებულობასა და მოკეთილობას.

უხადია შოლომ-ალეიხების რეალისტური მეტოდის სიზუსტე და სინამდვილისადმი ერთგულება. მისი ნაწარმოებებით შეიძლება სრულად დაწერილებითი სიზუსტით წარმოვადგინოთ ცხოვრება თეთმპყრობელური რუსეთის მხურვლებული განაპირა მხარისა, სადაც აღმთიანები „ყო არ ცხოვრობენ, არამედ ხსნას ეძებენ“, მაგრამ შოლომ-ალეიხი არა მარტო უფაცხოვრებლის მართალი აღწერელია, — ასე რომ იყოს, მის ნაწარმოებებს, არა გვგონია ამდენ ხანს ჩვენთვის მოენიჭებიათ დაუშრეტელი ესთეტიკური კმაყოფილება, — იგი ნამდვილი შემოქმედელია.

მარქია წერდა, რომ მან ბალზაის შემოქმედებიდან გაოგო, თუნდაც ეკონომიური დეტალების ურთიერთობის მიხედვით უფრო მეტი, ვინემ იმდროინდელი ეკონომისტების თხზულებიდან. ბალზაის სინამდვილისადმი ერთგულება არ ეწინააღმდეგება იმას, რომ მან, ამასთან ერთად, შექმნა თავის ნაწარმოებებში თავისი განსაკუთრებული სამყარო.

შეიძლება ეფრო მეტად ცოცხალი სახის წარმოდგენა ვიდრე დიკენსის მისტერ პიკეის სახე, და ამავე დროს იმაზე უფრო მეტად გამოვლილი პიროვნება, ბალზაი და დიკენსა ქმნიდნენ საკუთარ სამყაროს, საკუთარს, რომელიც არაფრით არ ჰკავდა სინამდვილეს, რომელიც ყველაზე უფრო ახლოს ჩანდა რეალურ ცხოვრებასთან, ამ დიალექტიკურ წინააღმდეგობაში მდგომარეობს პოეტური ზემოქმედების საიდუმლოება.

შოლომ-ალეიხების ნაწარმოებებიც ინარჩუნე-

ბენ დოკუმენტური ფაქტების სიზუსტეს და ფანტაზიის ამაღლებულ შემეწიერებებს. წარსულს ჩაბარდა სინამდვილე ურთოდესი და მეტად სევდიან და მოსაწყენ მასალას შეწარალს, მაგრამ ზვენ დღეშდის ხალისით ვითხოვლობთ მწერლის არც ისე მზიარულ მოთხრობებს და ვიციით, ასე ხდება ზვენი ვაცნობა წარსულთან და მასთან სამუდამოდ გამოთხოვება.

შოლომ-ალეიხებმა განვლო მძიმე, გაპირებული და ხელმოკლე ცხოვრება. გარდაიცვალა უცხო მხარეში—ნიუ-იორკში 1916 წელს. მაგრამ მართალი იყო ერთი ამერიკელი ეტრნალისტი, რომელმაც თქვა, შოლომ-ალეიხი მხოლოდ დამარხულია ამერიკაში, ნამდვილი ცხოვრებით იგი ცხოვრობს საბჭოთა კავშირში, სადაც იგი ნამდვილად უყვართ და აფასებენო.

შოლომ-ალეიხების მიერ თანამედროვეთათვის დაწერილი ნაწარმოებები ახლობელი აღმოჩნდა ახალი თაობისთვისაც, რადგანაც მწერალი, როდესაც ლაპარაკობს თავის დროზე, მხედველობიდან არ უშვებს მის მიერ ბუნდოვანად გამოცნობილ ნათელ მომავალსაც.

დღევანდელ მკითხველს მწერლის თხზულებებში ყველაფერი როდეს მოგზევენება ერთნაირი ღირებულებას. ზოგიერთ მათგანს, თანამედროვეობის თელსაზრისით, რამდენიმედ მელოდრამატული ელფერი დაკრავთ. ზოგიერთი რამ ზედმეტად გაზვიადებულია. მაგრამ მთავარი მიღებული იქნება დაუმახინებლად. მწერალი თითქოს აძლევს გასაღებს მკითხველს სინამდვილის ფართო სამყაროში და ეს გასაღები „ბრძნული და კეთილი სიყვარული ხალხისადმი“, როგორც მას უწოდებ. მ. გორკომ. იგი კეთილი და ბრძნულია, — რადგან არა დამახსუსტებელი სიყვითა, როგორც შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუკი შეეაბრუნებთ ლაროშდუკოს აფორიზმს: „ჩვენ ყველანი საკმაოდ ძლიერნი ვართ, რათა სხვისი უბედურება ვადავიტანოთ“ არა, შოლომ-ალეიხების სიყვით, რომელსაც იგი თესავს მკითხველში, სისუსტე არაა, იგი რეალური ძალაა, რომელიც მოდიოდა ქუშმარტიტი ჰუმანიზმიდან, რომელსაც შესწევს უნარი შეებრძოლოს სოციალურ ბორბებს.



ქართველთა შორის წერა-კითხვის განავრცობელი საზოგადოება და მისი ფილოლოგიური სამშენებლო

(საზოგადოების დაარსებიდან 80 წლისთავის გამო)

ქართველთა შორის წერა-კითხვის განავრცობელი საზოგადოება 1879 წლის 15 მაისს დაარსდა. იგი ცარიზმის არსებობის უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში იყო „ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებდა ქართველ ხალხს კულტურული საქმიანობით და ამით ხელს უწყობდა მის გათვითცნობიერებას“.

საზოგადოების დაარსების იღბლიანი იდეა თერგდალეულებს დაეხდათ. მათ სწადათ ახალგაზრდა რუსეთის დიდ მოაზროვნეებთან ერთად ებრძოლათ არა მარტო ერთნაირი, არამედ ისეთი ზოგადსაქოლობრივი იდეალებისათვის, როგორცაა: მშობა, ერთობა, თანაწილობა¹. საზოგადოების ძირითადი მიზანია და პირდაპირი მოწოდება მაინც ერთნაირი ხასიათისა და მნიშვნელობის იყო. ეს საზოგადოება იბრძოდა ცარიზმის კოლონიური და რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. საზოგადოების შესვედრნი „ერთ-ერთ მთავარ მიზნად ისახავდნენ ქართული ენისა და კულტურის დაცვას იმ საფრთხისაგან, რომელსაც მათ უქმნიდა მეფის თვითმპყრობელობა“².

ამისათვის საჭირო იყო ქართული სკოლების დაარსება და მათთვის კადრების მომზადება, ქარფულად სწავლების შემოღება, ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა და სცენისმოყვარულთა თეატრების შექმნა, სტამბის დაარსება და ქართული წიგნების (პირველ რიგში სასკოლო სახელმძღვანელოების) გამოცემა და გავრცელება.

მთავრობისაგან დაარსების ნებას მიღებისთანავე შეუდგა საზოგადოება მოღვაწეობას მის დაჟღერებულ კარგად ესმოდათ საქმის გაშლის საჭიროება ზემოაღნიშნული ოფიციალური სამოქმედო პროგრამის გარეთაც. გამგეობის წევრები, როგორც ეს აღნიშნულია კიდევ მათი სხდომის ერთ-ერთ ოქმში, საზოგადოებას თვლიდნენ წვენი კულტურის თავშესაფარად და

ეს მათ გაამართლეს კიდევ. პირველ ხანებში საქმეს, მთავრობის მხრივ სამოქმედო პროგრამის შეზღუდვის გარდა, უსახსრობა აბრკოლებდა. საქმეს საზოგადოების დაჟღერებულთა და წევრთა მხოლოდ საწევრო გადასახადი არ ჰყოფნიდა. განმტკიცდა თუ არა საზოგადოების მდგომარეობა და გვიხარდა მისი ავტორიტეტი, მას მეტი წევრი გაეჩნდა. შეგნებულნი და შეძლებული ქართველები ახალ ორგანიზაციას სწირავდნენ ფულსა და ღირებულებებს. ზოგიერთმა მოღვაწემ მას მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონებაც კი უანდერძა. როგორც, მაგ., ეს გააკეთა ილია ჭავჭავაძემ და საზოგადოებასაც საგრძნობი თანხები და ზოგჯერ სხვა ქონებაც უანდერძეს; დ. ზუბინიშვილმა, ი. გოგუბაშვილმა, მემბრა ზუბალაშვილებმა, ნ. ლოლობერიძემ, ალ. ხახანაშვილმა, დავ. სარაჯიშვილმა, ა. წერეთელმა, კიკა აბაშიძემ და სხვებმა.

ცნობილია, რომ თუ საზოგადოების დაარსებისას (1879 წ.) მხოლოდ 245 წევრი გააჩნდა; 1913 წელს კი უკვე 2.883 წევრი ჰყავდა, და რევოლუციის შემდეგ ეს რიცხვიც კიდევ უფრო ჩქარა გაიზარდა.

საზოგადოების ქონების საერთო ღირებულება 360.000 მანეთს აღემატებოდა 1914 წელს, ხოლო მისი საბარტნავი თანხა 123.437 მანეთს უდრიდა.

აღნიშნულ წელსაც საზოგადოება უკვე ინახავდა 18 სკოლას, რომლებშიც 26.763 ბავშვი ლეულდა და დაწვეთბი განათლებას. მასვე 1916 წელს 86 ბიბლიოთეკა-სამკითხველო ჰქონდა.

ახალმა ორგანიზაციამ უდიდესი ამაგი დასდო ქართულ კულტურას მითაც, რომ იგი აკრებდა და იცავდა ქართველი ხალხის სულიერ და მატერიალური კულტურის ძეგლებს: ხელნაწერებს, სიგელ-გუჯარებს, ისტორიულ და მხატვრულ ნაწარმოებებს, ზეროთმოდერნების ნაშრომებს, ძველ ქართულ მონეტებს, ფოლკლორულ მასალებს; სცემდა და ავრცელებდა სახელმძღვანელოებს, მეცნიერულ-პოპულარულ წიგნებს, ხალხურ სიმღერებს, ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს; საზოგადოება დახმარებას უწევდა ქართველ მწერლებს და საზოგადო

¹ „ქართველთა შორის წერა-კითხვის განავრცობელი საზოგადოება შ. ჩხეტიას და ა. იოსელიანის რედაქციით“, თბილისი, 1953 წ., გვ. XII.
² იქვე, გვ. XIII.

მოღვიწევებს, მოსწავლე ახალგაზრდობას და ქართულ კულტურულ დაწესებულებებს¹ საქართველოში და მის გარეთაც.

საზოგადოება, აღნიშნულია მისი არქივის² საქმეში (№ 441, ფურც. 16), შეიძენს ქართულ წიგნებს და უცხო ენებზე ისეთებსაც, რომლებშიც კი რაიმე ცნობაა, საქართველოსა და კავკასიის შესახებ, „შეიძენს ყოველნაირ ქართულს ხელნაწერს წიგნებს, კარტებს, გუჯარებს, ხრონოგრაფებს და სხვა ამ გვარსა“, რომლებითაც ისარგებლებენ არა მარტო წევრები საზოგადოებისა, არამედ ყველა, ვისაც კი ასეთები დასჭირდებათ.

ხელნაწერების შეკრძობების ერთ-ერთი დამაბრკოლებელი მიზეზთაგანი იყო ის გარემოება, რომ ველსიებში დაკულ ხელნაწერების საყურადღებო ხელმძღვანელობა არ თმობდა.

წერა-კითხვის საზოგადოების წევრად არჩევის (1888 წ.) მეორე წელსავე, ე. თაყაიშვილს და ძველ წევრს ისტორიკოს დ. ბაქრაძეს მცხეთიდან მოაქვთ 58 ძველი ხელნაწერი და 50 სივლე-გუჯარი. ამით საფუძველი ჩაეყარა ქართულ საკულესიო მუზეუმს³ იმ განზრახვით, რომ ოდესღაც ამ მუზეუმის ფონდიც საზოგადოების ხელნაწერებს მიემატებოდა, როგორც ეს მართლაც ასეც მოხდა.

წიგნსაცავის გაფართოების მიზნით, ე. თაყაიშვილის ინიციატივით იქნეს საზოგადოება გარდაცვალებულ დ. ბაქრაძის მდიდარ ბიბლიოთეკას, რომელშიც ხელნაწერებიც ბლომად იყო (1902 წ.), ე. თაყაიშვილი არ უშვებს არც ერთ შემთხვევას ქართული იშვიათი წიგნისა და ხელნაწერის შექმნის შესაძლებლობისა. უფრო ადრეც და ჩვენი საუკუნის დაწყების შემდეგაც ზოგიერთი ქართველი უფასოდაც უთმობდა საზოგადოებას წიგნებსა და ხელნაწერებს, რის ძვირფასი მაგალითი აღრიღანვე უჩვენებს სხვებს ნიკო დიდიანმა, რაფიელ ერისთავმა და სხვებმა.

იმის მაგალითად, თუ რამდენად უანგარონი იყვნენ ამ შეწირულებებში შეგნებული ქართველები, უნდა დავასახელოთ დავით გიორგის ძე ქართველიშვილი. როდესაც ის საზოგადოების საბატიო წევრად აირჩიეს და ეს მას ეუწყა, მან გამგეობას მისწერა:

ერთხელ ილიას-სადილი გადმართეს თელავში და აქეს. მან უპასუხაო: ქართველები მარტო ფულის ხარჯავაში არ ყოფილხართ უხვი, ქება-დიდებაშიაც უხვი და მეტად მხარჯავი ხართო. ასევეა, — განაგრძობს დ. ქართველიშვილი, — ჩემი საბატიო წევრად არჩევაიცო. 9 თებერვალს

„1895 წლისა მოგართვით 763 ცალი სურათებიანი „ვეფხისტყაოსანი“ ყდიანი და უფლო 210 ცალი, ვახუშტის „ისტორია“ 2,656 ცალი“ „ვეფხისტყაოსნის“ სურათები „წიგნოვანი“ და სხვა“. მათი გაყიდვით მიღებული თანხით საზოგადოებას სტამბა შეუქმნიათ. (საქმე № 63). 1899 წლის ანგარიშიდან ჩანს, რომ მარტო „ვეფხისტყაოსნის“ აღნიშნული ცალების ღირებულება 5.903 მანეთს უდრდა.

1915 წლის იანვრისათვის ბიბლიოთეკა-მუზეუმში ინახებოდა 11.733 სახელწოდების ხელნაწერი და ნაბუკვი წიგნი. სივლე-გუჯარებისა და სხვა დოკუმენტების რაოდენობა 1.341 ცალს შეადგენდა, ნემიზმატიკური კოლექცია 5.340 ცალს აღწევდა (პროფ. ტრ. ხუნდაძე).

ხელნაწერებისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მნიშვნელობის ნივთების საზოგადოებაში თავმოყრამ მათი საიმედოდ დაცივის აუცილებლობის საკითხი დააყენა. გამვეომა სამუზეუმო ადგილის შექმნაზე ზრუნავდა. დაეცლია ე. თაყაიშვილის მოხსენება (1905 წ.) საზოგადოების მეთვალყურისა და მუზეუმის უშიშარ ადგილზე მოთავსებისა და დაცივის შესახებ.

იგი წერდა: „ყველას კარგათ მოგვხსენება, რომ წერა-კითხვის საზოგადოების წიგნსაცავი და მუზეუმი წარმოადგენს ერთადერთ დაწესებულებას ჩვენში, სადაც შეკრებილია ძველი ქართველთა ერის ცხოვრების, ლიტერატურის და მეცნიერების ნაშთები. ეს ისეთი განძია, რომელსაც ფასით არ იყიდება და თუ ერთხელ დაიარება, აღდგენა აღარ შეიძლება“. ახლა ისეთი დრო დადგა, — განაგრძობს ე. თაყაიშვილი, — ერთო პირობებიც კი ვეღარ უწევია თანვიანთ ქონებას; საზოგადოების წიგნსაცავი და მუზეუმი საშიშ ადგილზეა მოთავსებული, დაუყოვნებლივ უნდა შეიკრიბოს გამვეომა მოწინავე ქართველობის თანდასწრებით და ეს საქმე მოავდარიოს (საქმე № 967, გვ. 1).

მართლაც, ხელნაწერები და ბიბლიოთეკა დაიტანეს თბილისის ქართული გიმნაზიის (ახლანდელი უნივერსიტეტის) შენობაში, და არ გასულა დიდი ხანი, რომ დაიწვა ქართული დრამატული თეატრის შენობა (1914 წ.) და მასთან არსებული ის 2 ოთახიც, რომლებშიც აღნიშნული ხელნაწერები და წიგნები ელავა.

ხელნაწერების მნიშვნელოვანი რაოდენობის საზოგადოებაში თავმოყრამ მათი დამუშავების აუცილებლობის საკითხიც დააყენა.

აქვე იქმნება „ქართულის ისტორიისა და ლიტერატურის მოყვარულთა წევრ“. მისი ხელმძღვანელობს ე. თაყაიშვილის ვაჟი, წრემ უნდა მიღწეოს იმას, რომ მან „გამოსცეს ყოველწევრი მასალა, რომელსაც ქართულის ისტორიისა და ლიტერატურისათვის აქვს მნიშვნელობა“.

ეს კი მოითხოვდა ფილოლოგიური მუშაობის წარმოებას. აქ იგე იმ პირიღებებს დავებდნო, რომლებსაც მშინდელი ტექსტოლოგია ითვალისწინებდა. ძველი ხელნაწერების გამოცემა

¹ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, შ. მხეტიაბ და ა. იოვინის რედაქციით“, 1953 წ., გვ. XIX.

² საქართველოს სსრ ცენტრალური 481 ფონდი; ქვემოთავე, უველგან, საქმის სათანადო ნომრის დასახელებისას იგივე ფონდი იგულისხმება.

მოთხოვდა ე. თაყაიშვილი „იმ რიგად, იმ სახით და იმ წინშებით, როგორც ზელნაფერშია“ (საქმე № 546, თ. 1—2, 1897 წ.).

შესწორებები, კომენტარები და ტექსტის ვარიანტები სხვა ზელნაფერების მიხედვით წიგნის შერევენებში უნდა ასახულიყო. ისევე ეპყრობოდნენ პოეზიისა და მხატვრული პროზის ახალ ტექსტებსაც.

რაც შეეხება გამოცელებებსა და აღწერილობებს, აქ საზოგადოების გამოცემა აკისრებდა თითოეული ასეთი წიგნის გამოცემის კომისიას ნაკლავანდანი შეესწორებინა და საჭირო ადგილები შეესწორა. აქედან ცხადია, აქ გამოცემა მასალას უკეთებდნენ რედაქციას.

წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რა თქმა უნდა, არ იყო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი, მაგრამ იგი ზელს უწყობდა საზოგადოებაში უმთავრესად მის გარეთ შექმნილი სასარგებლო ნაშრომების გამოცემას და გავრცელებას. მას შწერალთა და მკვლევართა წასახლისებლად პრემიებიც კი ჰქონდა გამოცხადებული (იხ. ქვემოთ).

გამგეობის მიერ 1886 წლის 25 მარტს დამტკიცებული ინსტრუქციის მიხედვით, საზოგადოებაში შეიქმნა საგამომცემლო კომისია.

ინსტრუქციის მეორე მუხლში წერია: „კომისიამ უნდა აირჩიოს გამოსაცემად და ხალხში გასავრცელებლად იმისთანა წიგნები, რომელნიც გამოდგებიან სკოლებისათვის სახელმძღვანელოებად და სახალხო საკითხავად“ (საქმე № 123, თ. 17).

გამგეობა აწარმოებდა მოლაპარაკებას ან მიწერ-მოწერას ავტორებთან ან მათ შემკვიდრებთან. დიდი ილია ჭავჭავაძის თაოსნობით იწყება ნ. ბარათაშვილის, ალ. ჭავჭავაძის, გ. ორბელიანის და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ქართული სხვა მწერლების ნაწერების გამოცემა (საქმე № 121, 1886 წ.).

დიდი როლი ითამაშა საზოგადოებამ ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების ისტორიაში. კარგადაა ცნობილი, თუ რა დიდ შრომას იწყოდა ი. გოგებაშვილი სახელმძღვანელოების მასალის ფილოლოგიურად დამუშავებისა და პედაგოგიურად სრულყოფისათვის, საზოგადოებამ უზრუნველყო ი. გოგებაშვილის „დედა-ენის“ I და II ნაწილებს და „ბუნების კარის“ მეექვსე (1888 წ.) და შემდგომი გამოცემების, ბევრად და გაცილებლად; აგრეთვე მანვე გამოცემა იმავე შემდგომი „კოკორი ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“, მე-10. გამ., შეცვლილი 1889 წ., 1894 და 1900 წ. და სხვა დამხმარე სახელმძღვანელოებიც.

აღნიშნული გამოცემების უდიდესი მნიშვნელობის შესახებ მეტყველებს ის ფაქტი,

რომ „დედა-ენა“ ნაწ. I, 1925 წლამდე 45-ჯერ გამოიცა, „დედა-ენა“ ნაწ. II, 1920 წლამდე 36-ჯერ დაიბეჭდა, ხოლო „ბუნების კარი“ 1918 წლამდე 27-ჯერ.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ი. გოგებაშვილი თვითონ ასწორებდა და დაიბარა კიდევ მის შემდეგაც შესულიყო საჭირო ცვლილებანი მის სახელმძღვანელოებში. საქმეებში აღნიშნულია: დადგა საჭიროება ი. გოგებაშვილის „დედა-ენაში“ ასეთი ცვლილებების შეტანისა და მითითებაა გაკეთებული: „მიეწეროს თბილისის და ქუთაისის ქართული ვიმნაზიის საპედაგოგო საბჭოს და აგრეთვე ბათუმის, კუკავის, სენაქის სკოლების საბჭოს და ეთბოკოს თუ რა ცვლილება მიანიხთ მათ სასურველად შეტანილი აქნას სხენებულ სახელმძღვანელოებში“ (მდრ. ავრეთეე საქმე № 1643, 1916 წ.; 1817, 1918 წ.; 2078, 1922 წ. და სხვა).

1915—1916 წლებში დასევა საკითხი ი. გოგებაშვილის სასკოლო სახელმძღვანელოების მამამდიანთა სკოლებში სახმარებლად ვადაცეთების შესახებ (№ 1510, 1915 წ.).

საზოგადოებამ 1898 წელს გამოაქვეყნა „ფეხისცაოსანი“, ნაამბობი შობრძილის უმწილთათვის გ. იოსელიანის მიერ“, რომელიც, პოეზიის მოკლე შინაარსს გარდა, შეიცავს რუსთაველის აფორიზმებს და დიდაქტიურთა მნიშვნელობის გამოთქმებს. მანვე უფრო გვიან გამოცემა: გომელაური ივანე. „სკოლებში შესასწავლი ქართული მწერლები“, წ. II, გამოც. VIII (სახ. გამ., № 203), თბ., 1920 წ., ახვლედიანი გიორგი. „რუსული ენის გრამატიკა უმაღლეს დაწყებით სასწავლებლებისათვის, I, ფონეტიკა, II, მორფოლოგია“ (სახ. გამ. № 176), თბ., 1919 წ. და სხვა.

საზოგადოებამ აწარმოა წინასწარი მიმოწერა (1903 წ.). ალ. ზახანაშვილთან, რუსულიდან ქართულად თარგმნა და გამოსცა მაშინ ერთადერთი სრული და თავის დროისათვის უმნიშვნელოვანესი წიგნი ავტორისა „ქართული სიტყვიერების ისტორია (უძველესი დროიდან მე-18 საუკუნის გასულამდე)“, თბ., 1904 წ. (მე-2 გამოც. 1913 წ.; მე-3 — 1919 წ.), მისივე „ქართული სიტყვიერების ისტორია (მე-19 საუკუნე)“, თბ., 1913 წ., 1917 წ.

საზოგადოებამვე გამოსცა აგრეთვე: ბარნოვი ვასილ. „ქართული სიტყვიერების ისტორიის ვაკეთილოები, რვეული I“, თბ., 1919 წ. (სახ. გამოც., № 177), ჯავახიშვილი გიორგი. „მეტყველებსა საუკუნის ქართული სიტყვიერების შესწავლა (მიმოხილვა)“, ტ. I თბ., 1920 წ. (მიმოწერა და ივ. გომარათელის რეც. იხ. № 1898, 1919 წ.), ზომელი (ი. ფინცხავა). „ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი დრო“ (1920 წ.) და სხვა.



არგორც შემოთავაზდნა, საზოგადოება მუდამ ზრუნავდა ჩვენი ძველ და ახალ მწერალთა ნაწერების გამოცემისათვის, და მან თათქმის უოველი მათგანი გამოაქვეყნა. ასეთი მისი გამოცემებია:

რუსთაველი შოთა: „ვეფხისტყაოსანი“ 4 პორტრეტით და 21 სურათით, მე-19 გამოცემა, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენაშენებით და ვრცელის ლექსიკონით, თბ., 1903 წ. (იგივე მე-2 გამოცემა, 1920 წ. უნდა შეენიშნათ, რომ ეს ტექსტის სანდობლობით, წინასიტყვაობით და ლექსიკონით დიდხანს იყო ერთ-ერთი საუკეთესო გამოცემათაგანი); შავთელი იოანე, „ახდულ მესიანი“, მ. ჯანაშვილის წინასიტყვაობით და განმარტებით 1920 წ.

ამათ გარდა, საზოგადოებამ გამოსცა ნაწერები, რომელთა ავტორებია: ლ. არდაზიანი, დ. ჰონქაძე, რ. ერისთავი, ი. ჰავეჯაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ი. გოგებაშვილი (მოთხრობები), ალ. ყაზბეგი, ვ. ნონოშვილი (სამი ტომი), ნ. ლომოური, ე. გაბაშვილი, ა. ევდოშვილი, გ. ქუჩიშვილი, შ. მღვიმელი, შ. არავეისპირელი, დ. კლდიაშვილი, ლალიანი (ა. მამულაშვილი „მოთხრობები“), ვ. ქუჩიშვილი და სხვა მრავალი. ბევრი მათგანი რამდენიმეჯერაც კი გამოიცა.

ორიგინალურ ნაწარმოებებს გარდა, საზოგადოება აქვეყნებდა აგრეთვე თარგმანებს. საქმე № 964 შეიცავს დიდგინილებას ვაჟა-ფშაველას მიერ თარგმნილ „ორღუნელი ქალის“ [ქალწულის] გამოცემისა, რომელსაც ახლავს ი. ჰავეჯაძის შემადგომლობა. საზოგადოებამ ვაშაქვეყნა: კრილოვის „იგავ-არაგები“, რ. ერისთავის (1881 წ.) თარგმანი, იგივე — ა. წერეთლის თარგმანი (რამდენიმეჯერაც გამოიცა), ს. ყიფიანის მიერ თარგმნილი შექსპირის „ოტელო“, „ჰამლეტი“; პუშკინის „თხზულებანი“ (1899 წ.); ნ. ყიფიანის თარგმანი ჯიოვანოლის „სპარტაკო“, ანასტ. თუმანიშვილის თარგმნილი ა. დედოს „რობინზონ კრუზო“, სვიდტის „გულდენის მოგზაურობა“ (ი. ცისკარიშვილის თარგმანი, 1904 წ.), ქრ. შვიდტის „მამის ერთგული“, „მტრები“ (1895 წ.) და სხვა.

1895 წ. ერთ-ერთი საქმე შეიცავს ანგარიშებს ივ. მაჩაბლის მიერ თარგმნილი შექსპირის „მეაბეტის“, „ოტელოს“, „რიჩარდ მესიმსა“ და „ჰამლეტის“ შესახებ. გამოიცა აგრეთვე ნ. ურბნელის (ნიზანიშვილი ნიკო) „გიორგი ბრწყინვალე მფუფუნაროვლისი“, (1889 წ.), ს. კაკაბაძის „გიორგი სააკაძე“ (1915 წ.), ისეთი დიდტანიანი წიგნიც კი, როგორცაა ფრანკ-შტრანინის „გლეხი კივის ისტორია“ (ფრანგულიდან ი. შაქუბარაიანის მიერ თარგმნილი) და სხვა მრავალი.

წიგნების გამოცემა ხდებოდა ხელშეკრულე-

ბებისა და შეთანხმების მიხედვით. ამ ვალდებით ერთ-ერთი მათგანის ტექსტის შესახებ ამბობის წერილი.

1896 წ. 13-ს ივნისს მე ამის ქვემოთ გეულის მომწერელი ლუკა პავლეს-ძე რაზიკაშვილი გამოცემით ცალკე წიგნებად დასაბუქად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას შემდეგ ჩემს ნაწერებს: „ქუჩი“, „მთანი მალაღნი“, „დათვი“, „სოფლის სურათები“, „უძღვრები ვიჩი“, „ჩვენი მამალი“, „მელია კული ვრქელი“ და აგრეთვე „მოთხრობანი“, რომელიც იყო დაბეჭდილი 1889 წელს და უკვე გაიყვანა. თვითველი წიგნები არ უნდა იყოს დაბეჭდილი ათას ორას ეკუმულიარზე მეტი და ფორმალურ უნდა ქონდეს თვითველს წიგნის „მამის ერთგულისა“ (თარგმანი შებათელისა) და თვითველს ბეჭდურს თაბაში, ე. ი. ოცდაათარმეტს გვერდში, უნდა მიეღოს გამგეობისაგან ორი თუმანი, რომელიც წიგნის დაბეჭდვისათავე გამგეობამ სრულიად უნდა ჩამაბაროს გონიარის ანგარიშში. წინდაწინვე მივიღე ოცდახუთი მანათი.

ვაჟა-ფშაველა (ლუკა რაზიკაშვილი). საზოგადოების ყურადღება ვქვეყნოდა ხალხური სიტყვიერებისა და ხალხური მუსიკის შეკრება-დამუშავებისა და გამოცემა-გავრცელების საქმესაც.

ძალიან საყურადღებო და მეცნიერულპრინციპზეა დაურდნობილი საზოგადოების მიერ გამოცემული „პროგრამა ხალხის სიტყვიერების ნაწარმოების შეკრებისათვის“ (თბ., 1882 წ.). მასში ვითხულობთ: „წერა-კითხვის საზოგადოებამ განიზრახა შეკრიბოს და დაბეჭდოს ქართული სახალხო ლექსები, ზღაპრები, ანუაზები და სხუ.“ (გვ. 2). მოითხოვულია ჩაწერის ადგილისა, მოქმედისა და ჩამწერთა ვინაობის, ანუ ტექსტის პასპორტიზაციის, აღნიშვნის პაპიროვებაზე (გვ. 5). საყურადღებოა ის გარემოება, რომ „პროგრამა“ ჩანაწერის სიზუსტეს (გვ. 8) მოითხოვს.

საზოგადოების ამ საქმიანობამ გვიანდლერამ პრავაღრიცხოვანი და ძალიან მნიშვნელოვანი ფოლკლორული მასალა.

ი. გოგებაშვილი, სიტყვიერი ფოლკლორის გარდა, მუსიკალური ფოლკლორის შეკრებასაც მოითხოვს.

მელიტონ ბალანჩივაძის რეცენზიით, საზოგადოება ია კარგარეთელისა და ზ. ჩხაკაძის მიერ შეკრებილ ხალხური სიმღერების გამოცემის საკითხის გამო აღნიშნავს, რომ ისინი

1 იმ. თ. ოქროშინის წერილი კრებ. „ლტ. მიგანში“, ტ. IV, თბ., 1947 წ., გვ. 405—421; მ. ნიქოვანი. ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1952 წ., გვ. 227—228.

გამოიყენეს უცვლელად, — ისე როგორც მათ ხალხი მიღროს, თანაც საზოგადოება იჩენს ასეთ პრინციპულობას: კარგად ითვლება ქართული სიმღერები გამოცეცს, დასავლური ქართული კომოდეი კი მათში უკეთესმა მყოფდნებმ და ქორიებმ წარმოადგინოსო.

მუსიკის დარგში ქვეყნდება: ი. კარგარეთელი, ქართული სახალხო სიმღერები (თბ., 1889 წ.), ზ. ფალიაშვილის „ქართული რომანსი სახალხო პანგზედ“ (მოსკოვი, 1905). დ. არაყიშვილის „ქართული ეროვნული ერთობისათვის სიმღერები“ (1905 წ.), ზ. ჩხეიძის „სალამერი, სახალხო სიმღერები, ვალდებული ნოტებზე“ (1896 წ.), ფ. ქორიძის „ინდი შინდი ფერად შინდი“ (1900 წ.), მისივე „მოგონება, ქართული ხალხური სიმღერა გერტულს კოლოზე“ (1900 წ.), მისივე გერტული სიმღერები: „პატარა საფარელო“, „შავი შავი“. ძველი პანგზედიდან „სავალდებულნი პირველი შეწირულია, ვასილი დიდისა, მღვდლის კერძობევისა და ქორწინებისა (1901 წ.), „ქართული სიმღერები მეგობრის კოლოზე“ (1900 წ.) და სხვა.

მეცნიერული ფილოლოგიური მუშაობის თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ე. თაყაიშვილმა საზოგადოების ხელნაწერები აღწერა რუსულად, რათა მათი მრავალფეროვნება და ღრმა შინაარსიანობა გაეცნო არა ქართველ მკითხველთათვისაც (წ. I, ნაწ. 4, გვ. II, გვ. 725). მათში აღწერილია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შეატყებინა და პედიძის ვარიანტებიც (X ს; მანვე მისი რუსული თარგმანიც გამოაქვეყნა).

სულ გამოიცა აღწერილობის 2 დიდი ტომი 8 წიგნად, რომლებიც შეიცავს არა მარტო აღწერას ხელნაწერებისა, არამედ მათი უმნიშვნელოვანესი ადგილების პუბლიკაციასაც, რასაც მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო საქართველოს, არამედ ბიზანტიას, სომხეთს, სპარსეთს, არაბეთს, რუსეთსა და სხვა ქვეყნების კულტურის შესწავლისათვისაც.

ამ შრომატყველმა და წლების განმავლობაში დაძლეულმა ნაშრომმა მათწინვე მთავრობის ხელისაღმსახურებელი ე. თაყაიშვილი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ დაჯილდოვებულ იქონს დიდი მედალით (1907 წ.), რომელიც არა რუსს იშვიათად თუ რგებია. ხსენებულ აღწერილობებს დღესაც არ დაუჯარგავთ მნიშვნელობა.

ე. თაყაიშვილი აქვეყნებს აგრეთვე რიცხვით ხელნაწერებს და სიგელ-გუჯარებს. მის წინადადებას: თბილისის თავადაზნაურობის მიერ

გადაღებული 1000 მანეთით გამოიყენეს ძველი გუჯარები, ახლავს საზოგადოების დაკვირვებაში გამგებობამ „დადაგინა, რომ სახელმწიფო პირველად დაიბეჭდოს ძველი სიგელები და გუჯარები იმ სახით, როგორც უკვე დაიბეჭდა ამ სიგელთა ახ. გუჯარების პირველი ტომი ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, და შემდეგ [გამოიყენეს] ვახტანგ მეფის „კანონები“ და „როსტომიანი“ (1902 წ.).

საზოგადოებამ დაიბეჭდა: „ქართლის ცხოვრება. შირიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით“, (თბ., 1906 წ.), მისივე რედაქციით — „მისაღები საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეფობამეტე საუკუნეში: I (სახარათი-შვილი, სომხეთი, 1721 წ.), II (აღწერა არაგვის ხეობისა, 1774 წ., თბ., 1907 წ.) და სხვა.

საზოგადოება არა მარტო აქვეყნებდა წიგნებს, არამედ მათ პოპულარიზაციასაც უწყევდა ფართო მასშტაბით. დაცულია მშობურთა საერთაშორისო შეზღუდვის ქართული განყოფილების (ბრიუსელში) თავმჯდომარე ბარბაულე ყიფიანთან, წიგნების გამოყენებზე ლიტერატურაში ქართული გამოცემების ვაგზავნის შესახებ (საქმე № 1437, ფ. 49, 1914—1915 წ.) და იქვე ინახება ვასაგზავნი წიგნების ვრცელი სიაც.

წ.-ჯ. გამაყრეცლებელი საზოგადოება ხელს უწყობდა აგრეთვე ლექსიკოლოგიურ მუშაობას საქართველოში. აქ მზარდაქტერა პოეტ პუდგაოგ აღ. კვიციანის მიერ ქუთაისში შედგენილი „ქართული გრამატიკის ტერმინების“ გამოცემის აზრმა (საქმე № 122, 1886 წ.) და ი. რატიშვილის წინადადებამ იგანა ნიჭიარა-ტის მიერ შედგენილი „სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონის“ გამოცემის შესახებ (საქმე № 873. გამოიცა „რუსულ-სვანური ლექსიკონის“ სახით, შიგვე ქართული შესატყვისებშიცა: 1910 წ.).

საზოგადოების გამგებობა გულისხმობდა მოეპურო პუდგაოგ პ. ჰარაიის მიერ შედგენილი „ქართულ-მეგრული შედარებითი ლექსიკონის“. საქმეში დაცულია იმ. ვართავის, ი. აბულაძის, აღ. სარაჯიშვილის, ე. თაყაიშვილის და ნ. მარის რეცენზიები. უკანასკნელი წერდა: კვლევის საყიბს პ. ჰარაიის მხრივ თავი დავანებოთ; მისგან მეგრულის მასალის შეგროვებაც დიდი საქმეა. მისი წამოწყება „ლილი, დიდის პატივისცემით და ფინანსით მისაგებებელია“. შემდგენელი „ღრმა პრაქტიკული ცოდნის და თან გულწრფელ მეცნიერულ დამოკიდებულებას და თვალსაწინე შრომის მოყვარეობას“ იჩენს. „პ. ჰარაიის სპირით როგორც ნივთიერი დახმარება, აგრეთვე ზნეობრივი ხელისშეწყობა, რათა მან შეიტანოს



მისი ნიჭის კერძი შეცინებდნენ. მიუხედავად მეცნიერული ნაყოფანებებისა. „შრომა ღირსია დიდი ყურადღებისა და მოწონებისა“ (№ 1196, ფ. 13).

საპრემიო კომისია პარტიის ანიჭებს ვრ. დიდიანის პრემიას — 400 მანეთს და შემდგენელს შრომის დამთავრებას უსრულებს (1911 წ.).

1917 წლის საქმე № 1716 შეიცავს ცნობას: ზუგდიდში სახალხო მასწავლებელთა კერძებზე შედგენილი იქნა „ედუა-ენის“ პირველი და მეორე ნაწილის „ქართულ-მეგრული ლექსიკონი“. იგი ზუგდიდისა და განსაკუთრებით სამურზაყანოს მასწავლებლებს ძალიან სჭირდებოდათ, გამოეცით 1.000 ცალი. საზოგადოება 1.500 ცალის გამოცემას აღგვმს. (წიგნი იღარ გამოსულა).

1910 წელს ასევე საკითხი ქართული ლექსიკონის გამოცემისა. საზოგადოების გამგეობის დადგენილებაში წერია, რომ ეს გადაუდებლად საქირო საქმეა, შედის საზოგადოების მოვალეობათა წრეში და იგი უნდა შევადგინოთ და გამოეცეთ, რღონდ საქიროა სწორედ ახალი ქართული ენის ლექსიკონი და სასურველია იგი „ქართულ-რუსულ-ფრანგული“ იყოს დიდი ციტატების ვარგისო. ლექსიკონის შედგენა და რედაქტირება დაველა საზოგადოების ლინგვისტური განყოფილების უფროს დ. კარაიშვილს. წიგნი 1912 წელს უნდა გამოსულდყო.

წამოწყება დიდი გამოხმაურება პოვა და გადაწყდა მისი გადაუდებლო შეჩერლება, მაგრამ ს. ხუნდაძე 1911 წელს იწერებოდა ქუთაისიდან: ასეთ საქმეში აქიარება არ ვარგა, გამოსადენი ოფელი უნდა გამოეიდროთ; მე ათი წლის წინათ გამოეთქვი სათანადო აზროი წიგნაკში „ცხოვრების სურათები“ (ქუთაისი, 1902 წ.). ამ ავტორი წერდა: ლექსიკონის შესადგენად უნდა გადაიხირონ ზენი ძველი და ახალი მწერლობა, შემდგომდგის პროგრამა, შეიკრებოს ხალხში ხმარებელი ცოცხალი ტერმინებიო (გვ. 59-60).

„საქართველოს სხვადასხვა კუთხეში უნდა ვაიგზავნოს ერთსა და იმავე ღრის რამდენიმე კაცი ხალხის ზებარსიტიყეობისა და ტერმინების შესაკრებად“, ზაფხულობით გამოვიყვანოთ მასწავლებლები, ამინაზად ორი დიდი საქმე გაკეთდება: შეიკრებება ხალხური სიტყვიერების უოველგვარი მასალა და შეიღვივება რიგიანი ვრცელი ლექსიკონი. ორივე ეს საქმე მეტათ საქაროა და დიდათ საქირო ქართული ენის წარმატებისათვის“ (გვ. 62; ლექსიკონი არ გამოსულა).

მწვეედ იდგა საკითხი „რუსულ-ქართული ლექსიკონისა“ და მასზედაც ზრუნადენენ.

საზოგადოების მეოლი არქივი გადაეცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და ახლა იგი საქართველოს სსრ ცენტრალური 481 ფონდს შეადგენს. საზოგადოების ისტორიულ-არქეოლოგიური კოლექციები და ხელნაწერები, მათ შორის ფოლკლორული წიგნწერებშიც, შევიდა და ინახება საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის სათანადო განყოფილებაში.

საზოგადოებამ გაიზნდა შეწირულებათგან გასაცემი ზ. დადიანის (3.000 მანეთის პროცენტი), ნ. ერისთავის (10.000 მ. პროცენტი) და ნ. ლოლობერიძის (11.306 მ.) პრემიები.

პირველი მთავანი სამ წელწადში ერთბელ იცემოდა, სხვები კი — უოველწლორად. საუკეთესო ორიგინალურ (გამონაკლისის სახით თარგმანისათვისაც) ქართულ ენაზე დამწირო ნაწარმოებისათვის საქართველოს ისტორიის, ქართული ფილოლოგიისა და ქართული ენის დარგში და აგრეთვე ქართული პოეზიისა, და მხატვრული პროზის, საუკეთესო ქწილებსათვის.

პრემიის მიკეთუნების საკითხს სპეციალური კომისია წვევებდა. ზ. დადიანის პრემია, როგორც ითქვა, პირველად პ. პარტიას მიენიჭა. ნ. ერისთავის სახელობის პრემია 1917 წელს მიენიჭათ ლ. ქიანელის „ტარიელ გოლუას“ და ა. შავედას ესკო „მერიალ სხივთა ძნა“-სათვის. ერთ-ერთი პრემიის მინიჭებას ვეა-ფშვილას უპიარბდენენ ეთნოგრაფიული ნაწერებისათვის, მაგრამ იგი მის მიღებას ვერ მოესწრო.

საუკრადღებოა ასეთი ფაქტიც: ერთ-ერთი პრემიისათვის 1915 წელს თბილისში მომწეშვი რიგ მკვლევართაგან ზოგიერთობის არასწორი გზითაც კი იზარბდენენ. საზოგადოების თაქედომობაც ზ. ყაზბეგმა კი იე-ჯავახიშვილს მისწერა პეტერბურგში: „თქვენი ქართული ერის ისტორია“ (ორი ტომი, თბ., 1913 წ.) გვიწდა წარგადგინოთ საპრემიოდ, თქვენი თანხმობაა საქირო. იე-ჯავახიშვილმა უბასუზოა: მე ეს „ზნეობრივად შეუძლებლად მშინაწინა, სხვებს, რომელთა წახალისება და დახმარება სჭირდებათ, ვერ შევეცილები“, მე მიწიცი ვწეშობ და სხვები წახალისეთო (1915 წ. 22. IV).

საზოგადოება ხელმძღვანელობდა რიგ ქართულ მოღვაწეთა იუბილეებს, ასეთ პირთა დაკრძალვებს და მათს საფლავებზე ქეგლებს დაღმასადა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება იყო დიდი ორგანიზაცია და იგი მუდამ მოიხსენება მეცხრამეტე — მეოცე საუკუნეების საქართველოს ისტორიაში.



საბჭოთაო იარაღებისა და ფეთქებადი მასალების ფარული წარმოება საპარტოვებოში 1905 წელს

რუსეთის პირველმა რევოლუციამ, რომელიც 1905 წლის 9 (22) იანვარს მდფის ჯარების მიერ პეტერბურგის მუშათა კლასის მშვიდობიანი მანიფესტაციის დახვრეტით დაიწყო, თავიდანვე მწვეველ დახვა დღის წესრიგში რევოლუციური მასების შეიარაღებისა და შეიარაღებული აჯანყების გზით თვითმპყრობელობის დამოხობის საკითხი.

პარტიისა და შრომელი ხალხის ბელადი ე. ი. ლენინი, რომელიც რევოლუციის სათავეში იდგა და პარტიის მთელ ყურადღებას მიმართა შეიარაღების საკითხის დაუყოვნებლივ მოგვარებისადმი, ამ პერიოდში დაწერა მთელ რიგ შრომებსა და სტატიებში მუშათა კლასის მიუთითებდა, რომ დაუფლებოდნენ სამხედრო ტექნიკას, შეესწავლათ სხვადასხვა სახის იარაღისა და საომარი მასალების დამზადება და მათი წარმატებით გამოყენება თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

„სამხედრო ტექნიკა სულ უკანასკნელ დროს კიდევ ახალ ნაბიჯებს სდგამს წინ, — მიუთითებდა ლენინი, — იაპონიის ომში წარმოშვა ხელის-გრანატი, იარაღის ფაბრიკამ ბახარზე გამოიშვა ავტომატური თოფი, ერთსა და მეორესაც უკვე წარმატებით იყენებენ რუსეთის რევოლუციაში, მაგრამ სრულიადაც არასაკმარის რაოდენობით. ჩვენ შეგვიძლია და უნდა გამოვიყენოთ კიდევ ტექნიკის ვაუმჯობესება, ვისწავლოთ მუშათა რაზმებს ყუმბარების მასობრივი დამზადება, დაეკარგონ მათ და ჩვენს შეზარბოლ რაზმებს მონაძრავონ ფეთქებადი ნივთიერება, საფალიები და ავტომატური თოფები“¹.

თანმიმდევრულად იცავდა და ცხოვრებაში ატარებდა რა მასების შეიარაღებისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მომზადების ლენინურ ხაზს, ი. ბ. სტალინი კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ყურადღებას განსაკუთრებით ამხვილებდა შეიარაღების საკითხის ადგილობრივი საშუალებების გადამწვეტაზე. გამოიძინარა აქედან სტალინი „შეიარაღებული აჯანყება და ჩვენი ტაქტიკა“ სტალინი წერდა: „ახლა ჩვენი ბრძოლა თვითმპყრობელობისათვის იმ ხანაშია შესული, რომ შეიარაღება ყველას აუცილებლად მიანიძა. მაგ-

რამ მართო შეგნება იმისა, რომ შეიარაღება აუცილებელია, არ კმარა, — საჭიროა პარტიის პრაქტიკული ამოცანა სწორად და ნათლად დაუსახოთ. ამიტომ ჩვენი კომიტეტები ახლავე, დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ ხალხის შეიარაღებას ადგილობრივ, საქმის მოსაგვარებლად საუციალორი ჯგუფების შედგენას, იარაღის საშოვნად რაიონული ჯგუფების მოწყობას, სხვადასხვა ასაფეთქებელი მასალის მოსამზადებლად სახელოსნოების გაშრობას“².

მასების შეიარაღებისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მომზადების საკითხზე განსაკუთრებით გაამხვილებდა ყურადღება რსდმ პარტიის III ყრილობამ, რომელიც 1905 წლის აპრილში შეიკრიბა სახლგარეეთ ჯ. ლინდონში. ყრილობამ ამ საკითხზე მიღებულ რეზოლუციაში „შეიარაღებული აჯანყების შესახებ“ პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებს მიუთითა:

„...მიიღონ უაღრესად ენერგიული ზომები პროლეტარიატის შესაიარაღებლად. აგრეთვე შეიარაღებული აჯანყების ვეგმის შესაფუძვებლად და აჯანყების უშუალო ხელშეწყობის გასაწყვეად, რისთვისაც საჭიროების შემთხვევაში შექმნან პარტიული მუშაკებისაგან საგანგებო ჯგუფები“³.

გამოდიოდნენ რა პარტიის III ყრილობის მიერ მიღებული ისტორიული გადაწყვეტილებიდან, საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა ფართო მუშაობა გაახალეს ადგილებზე მასების შეიარაღებისა და შეიარაღებული აჯანყების გზით თვითმპყრობელობის დამოხობის მოსამზადებლად. ამ საქმეს მიეძღვნა 1905 წლის მაისისა და ივნისის თვეებში მრავალრეცხვანი პარტიული კრებები, სადაც ფართოდ განიხილავდნენ პარტიის III ყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და გამოქონლდნენ ბოლშევიკური რეზოლუციები შეიარაღებისათვის დაუყოვნებლივ შედგომისა და შეიარაღებული აჯანყების გზით თვითმპყრობელობის დამოხობის შესახებ. ამავ საკითხზე გაამხვილდა აგრეთვე ყურადღება რსდმ პარტიის კავკასიის კავშირის II კონფერენციამ, რომელიც 1905 წლის ნოემ-

¹ ი. ბ. სტალინი. თხზ., ტ. I, გვ. 127—128.

² სკპ რეზოლუციები, ნაწილი I, გვ. 92.

³ ე. ი. ლენინი, თხზ., ტ. 11, გვ. 197.

პრის ბოლო რიცხვებში შეიკრება ქ. თბილისში. კონფერენციამ რევოლუციის გამარჯვების ძირითად პირობად ცნო შეიარაღებული აჯანყების ტაქტიკა, მიიღო სათანადო რევოლუცია და კინაღაღებდა მისიკა პარტიულ ორგანიზაციებს, აღდეგ უფრო ვაქცილებინათ ბრძოლა მასების შეიარაღებისა და აჯანყების ყოველმხრივ მომზადებისათვის.

გამოდიოდნენ რა აღნიშნულ სახელმძღვანელო მითითებებიდან, საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა თავიდანვე გააჩაღეს ბრძოლა მასების შეიარაღების საქონის სასწრაფოდ მოგვარებისათვის.

შეიარაღების საქონის გადაწყვეტის ერთ-ერთ ძირითად საფუძვლებს წარმოადგენდა იარაღებისა და ფეთქებადი მასალების აღმოჩენა და შენახვა, რისთვისაც რევოლუციის დაწყების პირველ თვეებშივე ბოლშევიკური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების საერთო ხელმძღვანელობით საქართველოს შიგულ რიგ ადგილებში მოწყობილი იქნა იარაღებისა და ფეთქებადი მასალების დამამზადებელი და შემკეთებელი ფარული სახელოსნო-ლაბორატორიები, სადაც, იარაღების შეკეთებასთან ერთად, ამზადდებდნენ ხელის უწყობარებს, კაბსულებს, ეზნებს, ფისტონებს, თოფის წამალს, ყუმბარისათვის საჭირო ფეთქებად ნივთიერებებს, აწარმოებდნენ ტყვიის ჩამოსმასს, გრძელ ლულიანი თოფების გადაკეთებას კარაბინებად, სანადირო თოფების ლულის ღრუს გაფართოებას, ღრუს შიგნით ბრახნილის ვაკუუმებას და ამ გზით საფანტეანი თოფების ეზნის ტყვიის გამაროლ თოფებად გადაკეთებას და სხვა.

შეგის ეანდარმერისა და პოლიციის ორგანოებს, ცხადია, ქონდათ არაზუსტი და ზოგადი ცნობები მიღებული თავიანთი აგენტებისაგან საქართველოში მოქმედი ფარული სახელოსნოების შესახებ, რის გამოც ამირკავკასიის რკინიგზის ეანდარმთა სამმართველოს უფროსი სიიდუმლო მოხსენებაში 1905 წლის 10 სექტემბერს წერდა: „იმერეთში, სამეგრელოში და გურიაში, ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეში. მოწყობილია იარაღის დამამზადებელი და შემკეთებელი სახელოსნოები სადაც მზადდება ბომბები და ტყვია წამალი“¹.

საიდუმლო ორგანოები გაფაციცებით დაცემდნენ ფარულ სახელოსნოებს და მასში მომუშავე რევოლუციონერებს, მაგრამ კარგად მოწყობილი კონსპირაციის გამო, გარდა მცირე გამოაკლისისა, თითქმის ყველა ბოლივიერ შეიარაღდა თავისი არსებობა და ვერ იქნა აღმოჩენილი პოლიციისა და ეანდარმერის მიერ.

როგორც კონსპირაციით, ისე ტექნიკური მოწყობისა და საომარი მასალების წარმოების მასობრივი ხასიათით გამოირჩეოდა ის ფარული

სახელოსნო-ლაბორატორიები, რომლებიც რსდმპ კავკასიის კავშირის ბათუმის კომიტეტის გადაწყვეტილებით იქნა მოწყობილი 1905 წლის თებერვლის თვეში ქუთაისის შარხის (ამჟამად სამტრედიის რაიონი) სოფელ კელაში და ხუნჯულორში. თავდაპირველად ამ სახელოსნოების მოწყობა განზრახული იყო ბათუმში, მაგრამ ეინაიდან, ერთი მხრივ, სათანადო ადგილის მოძებნა თვით ბათუმში არ მოხერხდა მეორე მხრივ, საერთოდ ძნელი იყო ქალაქში ფარული სახელოსნოების მუშაობის კონსპირაციის დაცვა, ამიტომ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული სახელოსნოები მოეწყობოთ კონსპირაციის თვალსაზრისით მოხერხებულ და საიმედოდ ადგილს სოფელ კელაში და ხუნჯულორში.

კელაშისა და ხუნჯულორის ფარული სახელოსნო-ლაბორატორიების მოწყობასა და მუშაობაში აქტიური როლი თამაშებს რევოლუციონერებმა ძმებმა ვიორჯი და ვანო ნინუბემა, რომლებიც სპეციალობით ლითონის ჩამოსახმლები იყვნენ და ქონდათ საამისოდ საჭირო ცოდნა და გამოცდილება. მათ ბათუმში და ქუთაისში შეიძინეს სათანადო იარაღ-ხელსაწყოები და სოფელ კელაში თავიანთი საცხოვრებელი სახლის საშხარეულოზე მოდგმულ საქონლის სადგომში გამართეს ყუმბარის ფორმების ჩამოსახმლები ფარული სახელოსნო, სადაც, მათთან ერთად, მუშაობდნენ: ვიორჯი ნინუბე, გეგლე, რევოლუციონერი ქალი ლუბა ლელაშვილი — ნინუბე და ბესარიონ კალაძე. სახელოსნოში დადგმული იქნა სპეციალური ცეცხლგამძლე აგურისაგან დამზადებული ქურა საბერკელო, წინასწარ იქნა მომზადებული ყუმბარის ფორმების ჩამოსახმლები ყალიბები და სხვა. სახელოსნოსათვის საჭირო საწვავ მასალას, ე. ი. კოქსს, ლითონს, სხვადასხვა სახის ქიმიურ ნივთიერებებს ეზიდებოდნენ ძირითადად ქ. ქუთაისიდან და ბათუმიდან. სახელოსნო პროდუქციის გამოშვების შეუღდა 1905 წლის მარტის თვიდან¹.

კელაშის ფარული სახელოსნოს მუშაობისა და ამ სახელოსნოში ყუმბარების ფორმების ჩამოსახმლის პროცესის მიმდინარეობის შესახებ ლუბა ლელაშვილი — ნინუბე მოგვითხრობს: „ქურაში ამწყვე ბერკეტით ედგამდით ცეცხლგამძლე ნივთიერებისაგან დამამზადებულ სპეციალურ ქებას, რომელშიაც ვყრიდით სხვადასხვა სახის ლითონების, თუჯის, სპილენძის, თამბერის და სხვათა წერილად დამტკრებულ ნაჭრებს, რომლებიც ქურაში განეთიარებულ მაღალ ტემპერატურაზე დნებოდა და იქცეოდა თხიერი ნივთიერებად. ამის შემდეგ-გადამდნარი ლითონის ლავით სავსე ქებას იმავე ამწყვე ბერკეტით ვიღებდით ქურიდან და აქედან ვადამდნარ ლითონს ვასახმდით ყალიბებში, რომლებიც მოთავსებულ იყო წინასწარ დამამზადებულ სპეციალურ

¹ საქ. სსრ ცენტრალური სახელმწ. ისტორიული არქივი. ფ. 144, საქმე 1211, გვ. 4-5.

¹ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი.

ყუთებში. სულ გვკონდა 4 ასეთი ყუთი, თვითველი 4 ყალიბით, ე. ი. ერთსა და იმავე დროს შეიძლებადა ყუთმზარის 16 ფორმის ჩამოსმა.

გადაძვნიარი ლიონის ჩასხმის წინ ყალიბის კედლებზე შეგნით ვაფრქვევლით სპეციალურ მიწის, სწრაფად ვაცივების მიზნით ყუთებს ვალავებდით წინასწარ გამზადებულ მიწის ორ-მოგზში, საიდანაც ოთხი საათის შემდეგ ამოგვკონდა ისევე ზევით და, ასე ამრთავად, ეღებულაობლით ყუთმზარის გამზადებულ ფორმებში¹.

ჩამოსხმული ყუთმზარების ფორმებს ვაცივების შემდეგ წმენდენ სპეციალური ხელსაწყოებით, ალავებდნენ ფქვილიან ტომარებში და ურმებით და ცხენებით ვადაქონდათ სხვადასხვა ადგილებში არსებულ ფარულ სახელოსნო-ლაბორატორიებში საბოლოო ფაბრიკაციისათვის.

კელაშის სახელოსნოს პარალელურად სოფელ ხუნჯულორში რვეოლუციონერი ილია ნინუას სახლში მოწყობილი იქნა ფარული სახელოსნო-ლაბორატორია, სადაც, ილია ნინუასთან ერთად, მუშაობდნენ ილია ნინუას და ოლია ნინუა-კობრივიც, ფარნა ნინუა და სხვები.

ხუნჯულორის სახელოსნოში, რომელსაც ყუთმზარების ფორმებით ამარაგებდა კელაშის სახელოსნო, მიმდინარეობდა ყუთმზარის დამზადების შემდეგი პროცესები: სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებათა შეზავების გზით ამზადებდნენ ყუთმზარის საჭირო ფაქტურას, ყუთმზარის კანსტრუქტს, ყუთმზარის ზრახნილიან თავსაცემებს, აწარმოებდნენ ტყვიების ჩამოსხმის იარაღის შეკეთებას, ფეთქებად ნივთიერებას ათავსებდნენ ყუთმზარის ღრუში, რომელსაც მიგრად ეუთობდნენ თავს ყუთმზარის თავსაცემით, ხოლო ყუთმზარის კანსტრუქტს ღებდნენ ცალ-ცალკე იმავე დამზადებულ პატარა კოლოფებში რომელთა მოთავსებაც ყუთმზარის ღრუში ხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ ყუთმზარის ასაფეთქებლად გადავადების დროს².

კელაშისა და ხუნჯულორის ფარული სახელოსნო-ლაბორატორიების მუშაობა ვაგრძელდა დაახლოებით 6 თვის განმავლობაში და შეწყდა რსდმ კავკასიის კავშირის ბათუმის კომიტეტის მითითებით 1905 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში.

ყუთმზარებისა და მისი ნაწილების წარმოების ასეთვე მსობრთვი ხასიათით გამოირჩეოდა ზემო იეკალის ფარული სახელოსნო-ლაბორატორია, რომელიც მოწყობილი იქნა რსდმ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის ვადაწყვეტილებით 1905 წლის მარტის თვეში თბილისის გარეუბანში, კონსტანციის თვალსაზრისით მოხერხებულ და საიმედო ადგილას იეკალისა და მცხეთას შორის ევრთეწოდებულ აგარაჯზე ბაღში, რვეოლუციის აქტიური მონაწილის, მტკიცე

ბოლშევიკ ზაქარია ჩოღრიშვილის ეშუალო ხელმძღვანელობით. სახელოსნოში ყუთმზარების ფორმებით ამარაგებდა კელაშის სახელოსნო, ხოლო სახელოსნოსათვის საჭირო ყუთმზარის კანსტრუქტების მიღების დამზადება მიმდინარეობდა ქ. თბილისში ყოფილი ქსენიას ქუჩის № 1-ში ახლანდელი შერობიას ქუჩის № 1 არსებულ კერძო სახელოსნოში, რომლის წარმოება ზ. ჩოღრიშვილის დავალებით მოაწყო ბოლშევიკური პარტიის წევრმა ალექსი ზაკომოლიძემ³.

იეკალის სახელოსნო-ლაბორატორიაში მიმდინარეობდა სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებათა შეზავების გზით ყუთმზარისათვის საჭირო ფეთქებადი მასალის დამზადება როგორც ყუთმზარების ისე ყუთმზარის კანსტრუქტის საბოლოო ფაბრიკაცია, ე. ი. მათი საბრძოლო ხმარებისათვის მომზადება და სხვა. ამ სახელოსნოში დამზადებულ ყუთმზარებს ისე მსობრთვიად იყენებდნენ რომ მან საყუთარო, ევრთეწოდებულ „იეკალის ყუთმზარის“ სახელწოდებაც კი მოიპოვა.

იეკალის ფარული სახელოსნო აღმოჩენილი და დაპრებული იქნა განდარშერისა და პოლიციის ორგანიზების მიერ 1905 წლის 28 ივნისს დამთ. იმავდეს: 4 ცალი ასაფეთქებლად გამზადებული და 24 ცალი გამზადების პროცესში მყოფი ხელის ყუთმზარა, რამდენიმე ასეული ცალი დინამიტი, ნიტროგლიცერინი, ფეთქებადი სითხის სასვე მინის შეშები, ფთილი და სხვა⁴.

1905 წლის ბოლოს, პარტიის III ყრილობისა და რსდმ კავკასიის კავშირის II კონფერენციის ვადაწყვეტილებათა საფუძველზე, თბილისში შეიქმნა საშვედრო-ტექნიკური მებრძოლი ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფესიონალი რვეოლუციონერი, ბოლშევიკური პარტიის აქტიური წევრი მხოო ბოჭორაძე.

სამშვედრო-ტექნიკური ჯგუფების ამოცანა იყო საშვედრო ტექნიკის, იარაღებისა და ფეთქებადი მასალების დამზადებისა და აგრეთვე მეფის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ ბრძოლის ხერხებისა და მეთოდების შესწავლა.

ჯგუფის წევრები 1906 წლის მარტის შუარიცხვებიდან ვადაპოვიდნენ იეკალის არალეგალური ბოლშევიკური სტამბის შენობაში და იქვე ერთ ოთახში მოაწყვეს პატარა ფარული სახელოსნო-ლაბორატორია, სადაც ვადაპრბულს ყუთმზარებისა და სხვა ფეთქებადი მასალების დამზადება.

აღნიშნული სახელოსნოს მუშაობა იეკალის არალეგალური სტამბის შენობაში ვაგრძელდა დაახლოებით ერთი თვე და აღმოჩენილი დალიკვიდირებული იქნა 1906 წლის 15 აპრილს

¹ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საჭარ-თველოს ფილიალის პარტიული არქივი.

² ეურნ. „მოგზაური“, 1905 წ. № 24, გვ. 375—376.

³ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საჭ. ფილიალის პარტიული არქივი.

სტამბის აღმოჩენასა და დარბევასთან დაკავშირებით.

ამის შესახებ კავკასიის პოლიციის უფროსის მიერ შინაგან საქმეთა მინისტრისადმი 1906 წლის 16 აპრილს გაგზავნილ დებემაში მოითხოვულია: „მოგახსენებთ, რომ არალეგალური სტამბის განზრახვისას, რაც ახლაც ვრძელდება აღმოჩენილად... ფეთქებადი ნივთიერებათა ლაბორატორია, სამი გამზადებული ბოში, მიღისების გამოსაყვანი ყალიბები, სითხეები, მკვება ბოშების დასამზადებლად, დინამიტ, ასაფეთქებლად გამზადებული დიდი ქურვი ბიფორდის ზონარით“¹.

გურიის გლეხთა რევოლუციურმა გამოსვლებმა, რამაც განსაკუთრებით მწვევე ხასიათი მიიღო 1905 წლის გაზაფხულზე, დღის წესრიგში დააყენა რევოლუციურად გამოწვეული გლეხობის და განსაკუთრებით „წითელი რაზმების“ შეიარაღების საკითხი. რის გამოც რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის გურიის ჯგუფმა გაატარა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი ადგილებზე იარაღებისა და საომარი მასალების წარმოების მოსაწყობად.

ბოლშევიკური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების უშუალო ხელმძღვანელობით 1905 წლის გაზაფხულზე ოზურგეთის მაზრის მთელ რიგ ადგილებში მოწყობილი იქნა იარაღებისა და ფეთქებადი მასალების დამამზადებელი და შემკეთებელი ფარული სახელოსნო-ლაბორატორიები.

მეფის მთავრობის საიდუმლო ორგანოებს, ცხადია, შეუძნეველი არ დარჩა იარაღებისა და საომარი მასალების ფარულად წარმოების მიმდინარეობა ოზურგეთის მაზრაში, რის გამოც ამიერკავკასიის ენდარმთა სამმართველოს ბათუმის განყოფილების უფროსი ერთ-ერთი საიდუმლო მოხსენებაში 1905 წლის 28 აგვისტოს მოითითებდა: „როგორც ხმება დადის, მახლობელ მთებში (იგულისხმება გურიის მთები — დ. მ.) რევოლუციონერებს მოწყობილი აქვთ სახელოსნოები, სადაც მიმდინარეობს იარაღებისა და ცეცხლ-მსროლელი მასალების დამამზადება და შეკეთება“².

ერთ-ერთი ასეთი ფარული სახელოსნო-ლაბორატორია მოწყობილი იქნა 1905 წლის მასის ბოლოს, უფილო ოზურგეთის მაზრის (მხარაპის რაიონი) სოფელ ნავომარში, რევოლუციონერ მებრძოლ თალაყვადის საცხოვრებელი სახლის ეზოში მდგომ სამზარეულოში.

სახელოსნოში მუშაობდნენ ფეთქებადი მასალების დამამზადების მეთოდზე სპეციალისტები-

რევოლუციონერები: თვით მიხეილ თალაყვადე, კირილე უჯმაჯურიძე, ილარიონ უჯმაჯურიძე, ვლადიმერ ბერევიანი და სხვები.

ნავომარის სახელოსნოს ყუბარის ფორმებითა და კასულებით ამარაგებდა კელაშისა და ხუნჯულურის ფარული სახელოსნოები.

„სახელოსნოში მიმდინარეობდა, — მოვეთხორობს ნავომარის სახელოსნოს შექმნის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, ბოლშევიკური პარტიის ძველი წევრი კირილე უჯმაჯურიძე, — ბოშების ღრუში ჩაასხმელი, სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებისაგან შეზავებული ფეთქებადი ცომის მომზადება, თოფის წაშლის დამამზადება, — შემდეგი წესით: ეწევიდით და ვეხვინდით თხილის ნაჭუქებს, რომელშიაც ურეკდით ბერთოლეს მარილს, პეროქსიდის სითხეს და ბენზინს, ვამრობდით მას და ასე ამრავალ მზადებლად ასაფეთქებელი ნივთიერება — თოფის წაშალი. საჭირო ქიმიურ ნივთიერებებს იძენდით აფთია, აქებში, რომლებსაც ხმარებამდე ვინახავდით საცხოვრებელი სახლის უკანა დურეფიში მწაბრად, სადაც სპეციალურად გაკეთებულ შესანახი კამერა, რომელსაც კონსერვაციის დაცვის მიზნით ვაყრიდით ზევილი სხვადასხვა დამატრეულ საოჯახო ნივთებს... სახელოსნოში აგრეთვე ვამზადებდით ტყეებს, რომელთა ჩამოსახმეულად გვერდნა სპეციალური ყალიბი ე. წ. დარბავი. აქვე ვტენილდით ცარიელ ვილძებს ჩენნივე დამამზადებელი ტყეებით და თოფის წაშლით“³.

თალაყვადის ბინაზე სახელოსნოს მუშაობა გაგრძელდა 1905 წლის აგვისტოს ბოლომდე და, როდესაც აქ სახელოსნოს შემდგომ არსებობას ჩაეარღნის საფრთხე დაემუქრა, ამის შემდეგ იგი გადაიტანეს უფრო საიმერო ადგილზე იმავე სოფ. ნავომარის ერთ-ერთი მივარდნილ უბანში მცხოვრებ ილარიონ უჯმაჯურიძის ბინაში, სადაც აღნიშნული სახელოსნოს მუშაობა გაგრძელდა დაახლოებით ორი თვე და შეწყდა 1905 წლის ოქტომბრის ბოლოს⁴.

ასეთივე ფარული სახელოსნო-ლაბორატორია მოწყობილი იქნა 1905 წლის მარტში იგივე ოზურგეთის მაზრის (მხარაპის რაიონი) ზენის უბანში, რევოლუციონერ მოსე ცოშაიას საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის ერთ ოთახში, სადაც მუშაობდნენ თვით მოსე ცოშაია, ვლადიმერ ღუმბავა და სხვები. ზენის უბნის სახელოსნოს ყუბმარების ფორმებით და კასულებით ამარაგებდა კელაშისა და ხუნჯულურის სახელოსნოები, ხოლო საჭირო ქიმიურ ნივთიერებებს და სხვა მასალებს, ნაწილობრივ ეზიდებოდნენ ბათუმიდან, ხოლო ნაწილს იძენდნენ ადგილზე ოზურგეთში. სახელოსნოში მიმდინა-

¹ ავღობრის არალეგალური სტამბა, მასალები-სა და დოკუმენტების კრებული, 1955 წ. გვ. 74.

² საქ. სსრ ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი. ფ. 1, საქ. 76, ფურც. 12.

³ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი.

⁴ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი.

რეობდა კელაშიდან მიღებული ყუმბარების ფორმების საბოლოო ფაბრიკაცია, აქვე ამზადებდნენ თოფის წამალს, აწარმოებდნენ ტყვიების ჩამოსხმას, ვახანების დატენვას და სხვა¹.

ზეიანის უბნის სახელსწრისი დამზადებულ ყუმბარებს და სხვა მასალებს მასობრივად იყენებდნენ ადგილობრივი წითელარბებლები მეფის პოლიციის, ვანდარზერის და სამხედრო ნაწილებზე მოწყობილი თავდასხმების დროს. სახელისნოს მუშაობა გავრცელდა დაახლოებით 8 თვის და შეწყვიტა მოქმედება 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ.

იარაღებისა და ფეტქებადი მასალების წარმოების შედარებითი მასობრივი ხასიათით გამოირჩეოდა ის ფარული სახელისნო, რომელიც 1905 წლის გაზაფხულზე იქნა მოწყობილი ოზურგეთის მახრის (ლანჩხუთის რაიონი) სოფ. ჯუნჯუათში, სოფლის ვანაპირა უბანში ყოფილი ეკლესიის ნაგებრად დანგრეულ შენობაში. სახელისნო ყუმბარების ფორმებს ღებულაობდა კელაშიდან ხოლო საჭირო იარაღ-ხელსაწყოები, ქაშიური ნივთიერებები და სხვა მასალები, ნაწილი იშოვეს ადგილზე, ნაწილი კი შეიძინეს და შემოიტანეს ბათუმიდან და სამტრედიიდან.

ჯუნჯუათის სახელისნო-ლაბორატორიის შესახებ ზოლმედიური პარტიის ძველი წევრი, ლანჩხუთის წითელი რაზმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გიორგი კომპანე მოგვიხსრობს: „წითელ რაზმელთათვის საბრძოლო იარაღებისა და მასალების დამზადებას და შეკეთებას ეხდნოდათ ფარულ სახელისნოში, რომელიც მოწყობილი იქნა 1905 წლის გაზაფხულზე სოფ. ჯუნჯუათში, ლანჩხუთიდან სამი კილომეტრის დაშორებით ყოფილი ეკლესიის შენობაში, რომელიც ნაგებრად დანგრეული დრო და მდებარეობდა სოფლის ვანაპირას შთის ძირში კონსტანტინის თვალსაზრისით მოსახერხებულ ადგილას.

სახელისნოს მოწყობაში დიდი როლი ითამაშა რევოლუციის აქტიურმა მონაწილემ ზოლმედიური პარტიის ძველმა წევრმა ივანე იმნაიშვილმა, ხოლო თვით სახელისნოში მუშაობდნენ აქტიური რევოლუციონერები ილია ლომინაძე და ერასტო ჯორბენაძე, რომლებიც იყვნენ სპეციალობით სლესრები...“

სახელისნოში, იარაღების შეკეთებასთან ერთად, წარმოებდა: კელაშის სახელისნოდან მიღებული ყუმბარების საბოლოო ფაბრიკაცია, ყუმბარებისათვის საჭირო ფეტქებადი ნივთიერებისა და კაპსულების დამზადება, აწარმოებდნენ ტყვიების ჩამოსხმას, სპეციალური დაზვეთ აბდენდნენ ჩვეულებრივი სახადრო თოფების ლულის ღრუს გაფართოებას, ღრუს შიგნით ხრახნილის გაკეთებას და ამ გზით საფანტინი

თოფების ვახნის ტყვიის გამაროლ თოფებზე გადაკეთებას, გრძელ ლულიანი თოფების გადაკეთებას კარაბინებად და სხვა.

ჯუნჯუათის სახელისნო-ლაბორატორიის მუშაობა დაახლოებით 6 თვე და შეწყვიტა მუშაობა 1905 წლის აგვისტოს ბოლოს მას შემდეგ, რაც ადგილობრივი ეპურის—ჯანუშ კ. რეშედ-ლიაოვის მიერ გაკეცილი და ფიზიკურად იქნენ განადგურებული სახელისნოს მუშაები ჯორბენაძე და ლომინაძე.

კონსტანტინის, ტექნიკური აღჭურვისა და იარაღებისა და საბრძოლო მასალების დამზადების შედარებით რთული პროცესებით გამოირჩეოდა სურების ფარული სახელისნო-ლაბორატორია, რომელიც შეიქმნა ბათუმის კომიტეტის გადაწყვეტილებით, 1905 წლის გაზაფხულზე ყოფილი ოზურგეთის მახრის (ჩოხატაურის რაიონი) სოფელ ზემო სურებში—ჩხინჩაის ტყეში.

სახელისნოსათვის საჭირო იარაღ-ხელსაწყოები, დაზავა და სხვა შემოზიდული იქნა ქ. ბათუმიდან ჯერ მატარებლით, შემდეგ სოფელ სურებამდე ურშებით, ხოლო აქედან თვით სახელისნომდე წალაყრებით. ასევე ბათუმიდან იქნენ მოყვანილი სახელისნოში სამუშაოდ სპეციალისტები—ზეინკლები, სახელისნოსათვის ქიმიური ნივთიერებებსა და სხვა საჭირო ნედლეულ მასალებს შოულობდნენ ადგილზე, აგრეთვე, შემოაქნინდათ ქ. ბათუმიდან სურების სახელისნო პროდუქციის გამოშვებას შეუღდა 1905 წლის აპრილიდან, სადაც ამზადებდნენ: ყუმბარებს, ყუმბარის კაპსულებს, ვახანებს, ფსტონებს, თოფის წამალს, ყუმბარისათვის საჭირო კომისებურ ფეტქებად ნივთიერებას, იარაღის ნაწილებს, აწარმოებდნენ ტყვიების ჩამოსხმას, ყოველნაირ საბრძოლო იარაღების შეკეთებას და სხვ.¹

სურების სახელისნომ იარსება 1905 წლის ბოლომდე და შეწყვიტა მუშაობა დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ.

სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის ინიციატივით, 1905 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე ქ. ფოთში რევოლუციონერების პეტრე ურუშიძის, თეოფანე ფვანიას და ჭიჭიკო გუგუშვილის ბიძებში წარმოებდა სხვადასხვა სახის ყუმბარების დამზადება.

პარტივი ყუმბარის წარმოებით გამოირჩეოდა თეოფანე ფვანიას ბიძა, რომელიც მდებარეობდა ფოთის ნავსადგურის მახლობლად მდინარე რიონის შესართავთან კენძულზე, რომელიც შემდეგ წლებში წყალდიდობის დროს წალყვალ იქნა მდინარე რიონის მიერ.

დღინიწულ სახელისნოში ყუმბარების დამზადება ხდებოდა შემდეგი წესით: სპეციალურ სქელ ქალაქში ათავსებდნენ ნატროგლიცერინს, ბერთოლეს მარილს, ტყვიებს ან რკინის

¹ მარკსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალის პარტიული არქივი.

ნაკრებს და სხვა ქიმიურ ნივთიერებებს, რომელთაც როგორც თავში, ასევე ირველიც უპირდნენ წერალ მეთულს, რომელიც გადაგდების დროს დაცემის ადგილზე სკდება და რომელსაც იყენებდნენ ძირითადად მოწინააღმდეგეთა რიგებში პანიკის გამოსაწვევად. ერთ-ერთ მომენტში ყუმბარის დამზადების დროს ტექნიკური წესების დარღვევის გამო ქიმიკო გიგუშვილს ყუმბარა ხელში ვაუსკდა, რამაც სერიოზულად დაუზიანა სახის ქვედა ყბა, რომელიც სასწრაფოდ წიყყანავს ზოთფში, იქ დამაღეს და ჩაუტარეს სათანადო მკურნალობა!

ასევე, ქ. ფოთში პეტრე ურუშაძის ბინაში 1905 წლის შემოდგომაზე მოწყობილი იყო პატარა ფარული სახელოსნო, სადაც მიმდინარეობდა კულაშის სახელოსნოდან მიღებული ყუმბარის ფორმების და კასულების საბოლოო ფაბრიკაცია.

1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადების წინა დღებში — ოქტომბრის შუა რიცხვებში ყოფილი სენაკის მაზრის დაბა სენაკში (ახლა ძველი სენაკი) სოფლის სკოლის შენობის სარდაფში (იმ ადგილს, სადაც ამჟამად ძველი სენაკის საშუალო სკოლის შენობა დგას), სოციალ-დემოკრატიული მემთაპარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის ინიციატივით მოწყობილი იქნა იარაღებისა და ფეთქებადი მასალების დამამზადებელი და შემკეთებელი ფარული სახელოსნო.

სახელოსნოსათვის საჭირო იარაღ-ხელსაწყოები ნაწილი შეიძინეს ადგილზე, ნაწილი შემოიტანეს ქ. ფოთიდან, ხოლო დანება გადმოიტანეს სენაკის (ახლა სადგური ცხაკაია) რკინიგზის საერთოქველო დეპოს სახელოსნოდან. სახელოსნოში ყველა რთულ სამუშაოს ასრულებდა და, საერთოდ, მთელ მუშაობას ხელმძღვანელობდა საომარო იარაღების დამზადების და შეკეთების კარგი მცოდნე სპეციალისტი-ზენიკალი, მეფის არმიიდან გამოქვეული რუსი ჯარისკაცი ვინემილია, რომელსაც ეხმარებოდნენ რევოლუციურად განწყობილი ადგილობრივად მცხოვრები ხელისნები.

სენაკის სახელოსნო-ლაბორატორიის საჭირო ნედლეულით, ქიმიური ნივთიერებებით და სხვა ამარაგებდნენ რევოლუციონერები — ადგილობრივი სკოლის მასწავლებელი პოლიკარბე ლორთქიფანიძე და საფთოაქო ბუნჭტის გამგე ფარმაკეტი ოსბე ციბაძე, რომლებიც აღნიშნულ მასალებს შოულობდნენ როგორც ადგილზე, ასევე იქნდნენ და შემოქონდნენ ქ. ფოთიდან. სახელოსნოში, გარდა წითელი რაზმელთა იარაღების შეკეთებისა, ამზადებდნენ: ვახუშტის, ფისტონების, ასხამდნენ ტყვიებს, სათანადო სპეციალური დაზვის საშუალებით ახდენდნენ უზბალო თოფების ლულის დრუს გაფართოებას, დრუს

შეინთ ხრანხილის გაკეთებას და ამ გზით საფანტის სახმარი თოფის ვახუშტ გამსრულ თოფად გადაკეთებას, ვრძელ ლულის თოფების გადაკეთებას მოკლე ლულის თოფებად — კარბანებად და სხვა!

სენაკის ფარულმა სახელოსნომ იარსება ორი თვე ნახევარი და შეწყვიტა მუშაობა 1905 წლის ბოლოს დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ.

ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრა 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში საქართველოში ერთ-ერთ მძლავრ რევოლუციურ ცენტრს წარმოადგენდა, რაც განპირობებული იყო ისეთი მძლავრი საწარმოთი და მასში თავმოყრილი მრავალრიცხოვანი სამრეწველო პროდუქციით, როგორც იყო კიათურის შეიქვის წარმოება და რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის კიათურის მძლავრი ბოლშევიკური ორგანიზაციით, რომელიც რევოლუციის პერიოდში დირსებულად ედგა სათავეში შორაპნის მაზრის მუშათა კლასს, გლეხობას და მთელ მათს ძალებს წარმართავდა პარტიის მიერ დასახული გზით თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად და ჩასატარებლად.

კიათურის ბოლშევიკური ორგანიზაციის საერთო ხელმძღვანელობით მაზრის ტერიტორიის მთელ რიგ ადგილებში — თვით კიათურაში, ბედიგორში (ხარაგაული — დ. მ.), ყვირილაში, სანხერეში და სხვაგან შექმნილი იყო მუშათა და გლეხთა მრავალრიცხოვანი წითელი რაზმები, რომელთა შეიარაღების მოვლარების მიზნით გააფუძვდა ადგილებზე მოწყობილი იარაღებისა და საბრძოლო მასალების დამამზადებელი და შემკეთებელი ფარული სახელოსნოები. ერთ-ერთი ასეთი ფარული სახელოსნო-ლაბორატორია მოწყობილი იქნა შორაპნის მაზრის დაბა ყვირილაში (ქ. ზესტაფონი) 1905 წლის ზამთარში, ახლად აშენებულ სახალხო კლუბის შენობის სარდაფში (იქ, სადაც ამჟამად არის ქალაქის კინოთეატრის შენობა 26 კომისარების ქუჩის № 8-ში).

სახელოსნოსათვის საჭირო ხელსაწყოები და იარაღების ნაწილი ადგილზე იშოვეს, ნაწილი კი შექმნილი და შემოტანილი იქნა ქუთაისიდან და კიათურიდან.

ასევე, ნაწილობრივ ადგილზე შოულობდნენ და ნაწილობრივ ქუთაისში და კიათურაში იქნდნენ ყუმბარის დამზადებისათვის საჭირო სხვადასხვა ქიმიკად ნივთიერებებს, დინამიტს და სხვ.

სახელოსნოში დამამზადებელი ყუმბარები და სხვა ფეთქებადი მასალები ხმარდებოდა როგორც ადგილობრივი წითელრაზმელების შეიარაღებას, აგრეთვე, იგზავებოდა კიათურაში, ბე-

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალის პარტიული არქივი.

ლაგორში და შორაპნის მხარის სხვა ადგილებში, სადაც ნაწილს ურჩევდნენ წითელრაზმელებს, ნაწილს კი ინახავდნენ იარაღის ფარულ საწყობებში.

ზესტაფონის ფარულმა სახელოსნომ იარსება 1905 წლის ბოლომდე და შეწყვიტა მუშაობა დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ.

შენობა, სადაც ეს ფარული სახელოსნო იყო მოწყობილი, განადგურდა 1906 წლის იანვარში აღიანოვ-ავარსკის დამსჯელი ექსპედიციის მიერ.

რუსეთის პირველი რევოლუციის აქტიური მონაწილე ვანო ყიასაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით 1905 წლის ნოემბრის დასაწყისში ქიათურაში ქიაქის ვლადიმეროვსკის სახელოსნოში (რომელიც მდებარეობს ახლანდელი ნინოშვილის ქუჩის № 27-ში, სადაც ამჟამად მოთავსებულია ქიათურის საქალაქო საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილების სადგურზე) სადგურში მოწყობილი იქნა ფარულად იარაღებისა და სიომარის მასალების შეკეთება და დამზადება. სახელოსნოში წითელრაზმელთა იარაღების შეკეთებასთან ერთად, მიმდინარეობდა ტყვიების ჩამოსხმა, ვაზნების დატენვა ტყვიებითა და თოფის წამლით, შაშხანების გადაკეთება კარაბინებად და სხვა. ამ საქმეში, ვანო ყიასაშვილთან ერთად, აქტიურ როლს თამაშობდნენ ამავე სახელოსნოს რევოლუციონერები ზენკლები: გ. რუხაძე, ვ. ნუცუბიძე მ. ხაჯალია, ვ. არჩაია და სხვები. სახელოსნო დამზადებულ პროდუქციას აწვდიდა უშუალოდ ქიათურის წითელრაზმელებს.

1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ ქიათურის სახელოსნოში იარაღების შეკეთება და სიომარის მასალების დამზადება დროებით შეწყდა, რაც ისევ განაგრძა 1906 წ. შემოდგომიდან იმ განსხვავებით, რომ ახლა, აღნიშნულ სამუშაოებთან ერთად, რევოლუციონერები შეუდგნენ ყუმბარების დამზადებას.

1905 წელში შორაპნის მხარაში, აგრეთვე, მოქმედებდა მთელი რიგი ლეგალური სახელოსნოები, სადაც სხვა ზვეულებრივი ხასიათის სამუშაოებთან ერთად, ფარულად მიმდინარეობდა იარაღების შეკეთება და გადაკეთება. წითელრაზმელთა იარაღების შეკეთების და ზოგიერთი საბრძოლო მასალის დამზადების შედარებით მასობრივი ხასიათით გამოირჩეოდა ახლანდელი ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ვახაში ზენკალ ალექსანდრე ქიჭავას ნახევრად ლეგალური სახელოსნო სახელოსნო, რომელიც მოხერხებულ ადგილზე სოფლის განაბირა უბანში მდებარეობდა.

სახელოსნოში მიმდინარეობდა: იარაღის დამზადებული ნაწილების გამოცემა და შეკეთება, შაშხანების გადაკეთება კარაბინებად, კარაბინის ვაზნების დამზადება ჩვეულებრივი ვაზნების

დაბატარაების — ვადაჭრის გზით, ტყვიების ჩამოსხმა, ვაზნების დატენვა და სხვა.

ამევე, წითელრაზმელთა იარაღების შეკეთება და გადაკეთება მიმდინარეობდა დაბა ყვირილაში რკინიგზის საბარგო სადგურის ვეჯერთა — იქ, სადაც ამჟამად არის მილიციის მუშაობა საცხოვრებელი სახლი ლენინის ქუჩის № 14-ში და ახლანდელი ზესტაფონის რაიონის სოფელ სვირ, ში ხელოსნების — გიორგი მეღაძესა და საკო კაბანაძის სახეივანო სახელოსნოებში.

ამ სახელოსნოებში, ჩვეულებრივი ხასიათის სამუშაოებთან ერთად, კონსპირაციულად მიმდინარეობდა: იარაღის დამზადებული ნაწილების შეკეთება და გამოცემა, შაშხანების გადაკეთება კარაბინებად, სპეციალური დამზადების საშუალებით ჩვეულებრივი სანალირო თოფების ლულის ღრუს გაფართოება ღრუს შიგნით ზრახნილის გადაკეთება და შემდეგ მათი გადაკეთება კარაბინებად და სხვა.

1905 წლის აგვისტოს ბოლოს ქ. ქუთაისში რევოლუციონერ იოსებ პატარაძის სახლის სარდაფში (რომელიც ამჟამად მდებარეობს ურციის ქუჩის № 45-ში), რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის მითითებით, აღიარა ჯაფარიძის უშუალო ხელმძღვანელობით, მოწყობილი იქნა საბრძოლო იარაღებისა და მასალების დამამზადებელი და შეკეთებელი ფარული სახელოსნო-ლაბორატორია.

სახელოსნოსთვის საჭირო იარაღ-ხელსაწყოები შეიძინა იქნა თვით ქ. ქუთაისში. სახელოსნოში იარაღების შეკეთებასა და ყუმბარების და სხვა სიომარის მასალების დამამზადებაზე მუშაობდნენ თვით იოსებ პატარაძე, ინიინერი კოლია სოკოლოვსკი და სხვები, სადაც იარაღების შეკეთებასთან ერთად აწარმოებდნენ: მარტყ ხელის ყუმბარებს სპეციალური თუნუქისაგან, რომელშიც შიგნით მოთავსებული იყო ფეთქებადი ნივთიერებები-ბერთოლეს მარილი, ნიტროგლიცერინი, თოფის წამლი, ფეთქებადი კაბსული. სახელოსნოში, აგრეთვე, ამზადებდნენ ტყვიებს, ყუმბარის კასულებს და სხვა.

წითელრაზმელებისათვის იარაღის შეკეთება, ყუმბარის ნაწილების და ფეთქებადი ნივთიერებათა დამზადება მიმდინარეობდა ფარულად ქ. ქუთაისში რევოლუციონერ ხელოსნების ივანე დარსაძის და ლახაზე ჭელიძის ლეგალურ სახელოსნოში. აქვე წარმოებდა ეტლავის სახელოსნოდან მიღებული ყუმბარის ფორმების საბოლოო ფაბრიკაცია.

1905 წლის ზაფხულში გორის მხარის ტერიტორიაზე შეიქმნა და მოქმედებდა გულთა მრავალრიცხოვანი წითელრაზმელები, რომელთა შეიარაღებაში დიდ როლს ასრულებდა ის ფარული სახელოსნო-ლაბორატორიები, რომელნიც რსდმპ გორის ორგანიზაციის გადწყვეტილებით მოეწყო ხაშურში და სხვა ადგილებში. კონსპირაციისა და ტექნიკური მოწყობის მხარე აღსანიშნავია ის ფარული სახელოსნო-ლაბორატო-

რია, რომელიც შეიქმნა 1905 წლის გახატულის დასაწყისში გორის მხრის (კასპის რაიონი) თემის ხეობის სოფელ თენელაში, სოფლის განიხორა მცხოვრებ გლეხის ბინაში. რევოლუციონერების პირფილე ეფრემიძისა და ვიგო მალაშვილის ხელმძღვანელობით.

სახელსინოსათვის იარაღელსაწყობები, საბერევილი და სხვა გადმოტანილი იქნა ქ. გორიდან, ხოლო სახელოსნოს საერთო მასალებით და ქიმიური ნივთიერებებით ამარაგებდნენ ძირითადად ქ. თბილისიდან და გორიდან თეთი პ. ეფრემიძე, გ. მალაშვილი, ა. ბეჟაური, ვ. გოგორაური და სხვები.

წითელრაზმელთა იარაღების შეკეთება ძირითადად წარმოებდა თეთი სოფელ მეტეხში გაბოგუელაშვილის სახეივარო სახელოსნოში, სადაც ზეინკალ ლახაი გელაშვილის მიერ მართული ზარბაზანიც კი იქნა დამზადებული.

იარაღებისა და ფეთქებადი მასალების დამამზადებელი და შემკეთებელი ფარული სახელოსნო-ლაბორატორია მოწყობილი იქნა, აგრეთვე, 1905 წლის სექტემბერს ქ. ხაშურში, (ახლანდელი განათლების ქუჩის № 7-ში), ლევან ბეჯანის ძე ხარატის საცხოვრებელი სახლის პირველ სართულში, ხაშურის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ვადამწყვეტილებით, ბოლშევიკური პარტიის წევრის ვარლამ ძნელიძის ხელმძღვანელობით.

ხაშურის სახელოსნო იარსება დაახლოებით 4 თვე და შეწყვიტა მუშაობა 1906 წლის დეკემბრის დღეებში. შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ, სახელოსნოში დამზადებული ყუშპარები და სხვა ფეთქებადი მასალები სასწრაფოდ იქნა გადაზიდული შესანიხადა დაბა სტრაშიში.

წითელრაზმელთა იარაღების შეკეთება და გადაკეთება, აგრეთვე, მიმდინარეობდა ხაშურის რკინიგზის საორთქლმავლო დებოს სახელოსნოში, სადაც რევოლუციურად განწყობილი ზეინკლები მუშაობდნენ, მათ შორის რუსეთის პირველი რევოლუციის აქტიური მონაწილეები ძმები ალექსანდრე და სოლომონ ხარატები.

ამ სახელოსნოში 1905 წლის დეკემბერს, პარტიე ზარბაზანიც კი დამზადეს.

ეგრეთწოდებული „ხაშურის ზარბაზნის“ ტექნიკური გამოცდა, ვ. ა. გასროლა მოაწყვეს წითელრაზმელებმა 1905 წლის დეკემბრის შეარატებში ხაშურის ჩრდილოეთით მდებარე მაღლობზე. გამოცდამ კარგი შედეგები უჩვენა.

მაგრამ გასროლის ძლიერმა ხმამ ფეხზე დააყენა ადგილობრივი პოლიცია, ენდინერება და ხაშურში მდგომი სახმედრო ჯარის ნაწილები, რის გამოც ზარბაზანი იმავე საღამოს წაიღეს და სახელდახელო შეინახეს ხაშურის სადგურის დასავლეთით მდ. სტრამელას რკინიგზის ხიდის მახლობლად ერთმანეთზე დაწყობილ შალეშს შორის, რომელიც იმავე დამეს დაიკარგა უგზო-უკვლოდ¹.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში სიღნაღის მხრის სოფ. ჯუგანში, ანავასა და სხვა ადგილებში მოქმედებდა მძლავრი წითელი რაზმები.

ჯუგანის წითელი რაზმების იარაღებს შეკეთებანე ფარულად მუშაობდა ნიკოლოზ ზედელაშვილი, რომელმაც, ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დაელოებით, 1905 წლის ბოლოს თავის სახელოსნოში, აგრეთვე, 100 ცალამდე ხელის ყუშპარის ფორმებიც კი დამზადა თუნუქისაგან.

ამასთან დაკავშირებით რუსეთის პირველი რევოლუციის აქტიური მონაწილე, ბოლშევიკური პარტიის წევრი ზურაბ ალადაშვილი თავის ერთ-ერთ მოგონებაში წერს:

„წითელრაზმელთა იარაღების შეკეთება მიმდინარეობდა ფარულად ისევ ჯუგანში კოლა ზედელაშვილის მიერ, რომელიც სპეციალობით იყო ზეინკალ, ქონდა საკუთარი სახელოსნო. მონაწილეობას ღებულობდა რევოლუციური მოძრაობაში და პარტიის დაეალებით ეწეოდა იარაღებს შეკეთებას.

გარდა იარაღების შეკეთებისა, ეს თავის სახელოსნოში აწარმოებდა ტყვიებს ჩამოსხმას, გილძების ტყვია-წმლით დატენვას და სხვა“.

ამრიგად, რუსეთის პირველი რევოლუციის დაწყების პირველი დღეებიდანვე პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების საერთო ხელმძღვანელობით, საქართველოს მშრომელები დაუყოვნებლივ შეუდგნენ შეიარაღების საკითხის მთავარებს, რისთვისაც მთელ რიგ ადგილობრივ მოწყობილი იქნა იარაღების და ფეთქებადი მასალების დამამზადებელი და შემკეთებელი ფარული სახელოსნო-ლაბორატორიები, რომელთა მიერ დამამზადებულმა პროდუქციამ ვარკვეული რაოდენობაში რევოლუციურად განწყობილი მასების შეიარაღების საქმეში.

¹ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი.



მარეა ნუსხიძე



„მიზეზთა წიგნის“ ავტორია კებრე იბერი

სამუშაო საუკუნეების დასაველეთს ფილოსოფიაში დიდი ინტერესი გამოიწვია რომელიც თბულებამ, რომელსაც ვაგლენა უნდა მოეხდინა ორ მოაზროვნეზე, რომლებიც ვასამართლებული იქნენ ეკლესიის მიერ, როგორც მწვალებელი. ამ ფილოსოფოსებს — ამალრიკ ბენელს (საფრანგეთიდან) და დავით ღინანტს (ფლანდრიიდან) მე-12-13 საუკუნეთა მიჯნაზე შეეშვეებინათ ფილოსოფიური სისტემა, რომელიც თავისი ნიშნების მიხედვით ხასიათდებოდა, როგორც პანთეისტური მატერიალიზმი. პანთეიზმი ამ მოძღვრებაში გამოხატებოდა დებულებით, თითქოს ქვეყანა იდგა ღმერთში და ღმერთი — ქვეყანაში, რაც უკანასკნელს აძლევდა საფუძვრებრივად განლაგებულ ხასიათს, სადაც პირველი მიზეზით დაწყებული მთელ ქვეყანაში განლაგებული იყო სიმრავლე მიზეზთა, რომელთა შორის — მტკიცე ურთიერთდაპოყიდებულება იგულისხმებოდა. ეს დამოკიდებულება ხორციელდებოდა, თანახმად ამ სისტემისა, უპირატესობაში პირველ მიზეზისა, რომელიც მოქმედებდა მომდევნო მიზეზებზე, და ეს მოქმედება აგებული იყო სიმლოგრის კლებამზე ზევიდან ქვემოთ მიმართულ პროცესში და მის მატებაზე — ქვევიდან ზევით წარმართულ პროცესში.

ასეთმა ეგარაქიულობად გაგებულმა ქვეყნის წყობამ და მიზეზთა განლაგებამ უკვე თავისთავად გამოიწვია ეკვი კათოლიკური ეკლესიისა იმ მხრივ, რომ შემქმნელი ძალა განაწილებულად იქნა წარმოდგენილი, სადაც, თუ პირველი მიზეზი ყოვლისშემძლე იყო, როგორც ყოველთვის არსებობდა, შემდეგი საფუძვრები — ნაკლები ძალის შემცველი, — ეს მაინც არ იტყვებოდა იმ მწვალებლურ აზრს, რომ შემოქმედებაც საფუძვრებრივია და იგი მიეკუთვნება არა მარტო პირველ მიზეზს, არამედ მომდევნო საფუძვრებსაც. მაშინ გამოდიოდა, რომ ქვეყნის შემქმნა-მართვაში შემქმნილი იღებს მონაწილეობას.

პარიზის მოსამართლეებს ეს კარგად ესმოდათ, თუმცა დადგენილებისათვის, რომ-

ლითაც უკუგდებულ იქნა ორივე ზემოთ დასახელებული პანთეისტის აზრი, მათ დიდი თეორიულ-დოგმატური მოტივაცია არ დაურთავთ. ამ მოსამართლეებმა მხოლოდ მოიყვანეს პასუხისმგებამი მიცემულ ერთეულისა დებულებები, რომლებიც შეიცავდნენ, როგორც ზემოთ ვთქვით, ერთი მიზეზისაგან წარმოებულ ქვეყნის საფუძვრებრივი წყობის შესახებ მოძღვრებას და მას დაურთეს მატერიალისტური მომენტები.

ეს დებულებები იყო: დავითის თვისებები — ყოველთვის ერთი არსიდან იწარმოების. ეს ერთი — პირველი მიზეზი — ყოველივეს მატერიაა, ე. ი. ღმერთი არის ყოვლის მატერია, და ა. შ.

ამალრიკის თეზა პრალდებამი მოყვანილია ასე: ყოველათ ერთი ერთიანობაა, რადგან რაც არის, არის ღმერთი.

პარიზის სასამართლო ვერ გაერკვა — საიდან მოდის ეს აზრები და, ყოველშემთხვევისათვის, არისტოტელეს გადააბრალო მისი ავტორობა, თუმცა ვერც წიგნი დაასახელა, რომელშიაც არისტოტელეს უნდა დაეწერა ასეთი რამ და ვერც დრო მისი წარმოშობისა, ან გაერკვლებოდა. დადგენილებაში უბრალოდ ნათქვამია, როგორც ღონისძიება, ბოროტი აზრების მოსამბოძად: „აიკრძალოს პარიზელთა მიერ არისტოტელეს საბუნებისმეტყველო ფილოსოფიის და მათი კომენტარების კითხვა საჯაროდ ანუ საიდუმლოდ“.

ეკლესიამ ზეთი წლის განმავლობაში ვერ გაერკვა, სად იყო დოქტრინტური ნამდვილი წყარო პანთეისტური მატერიალიზმისა, რომელიც ვასამართლებულ იქნა მის მიერ.

სამუშაო საუკუნეების მოაზროვნეთა შორის პანთეისტური მატერიალიზმის მწვალებლური ხასიათის შეფასება კიდევ კათოლიკური ეკლესიის მოაზროვნემ თომა აქვინელმა მოახერხა. ზოგიერთებმა აღარ შეატყვეს, საიდან მოდიოდა წყარო რომელიც იწინისა, რომელიც გადმოიღეს პანთეისტურმა მატერიალისტებმა დასაველეთ ვეროპაში მე-12-13 ს. მიჯნაზე.

მაგალითად, ისტორიკოსი ვილემ ბრეტანე-ლი წერს: „იმ დროს იქითგზობდა პარიზში რაღაც წიგნაკები, როგორც ამბობდნენ, არის-ტორიკოსი შედგენილი, და რომელიმე ასწავ-ლიდა მეტაფიზიკას, ისინი ჩამოტანდნენ იმ-ხანად კონსტანტინეპოლიდან, ბერძნულიდან ლათინურად იყო ნათარგმნი და შეიცადდნენ დასახელებულ (ამაღრიკის) მწვანელობას და, როგორც მკვნიშნული დაწვეს კიდევად“. ეს შესანიშნავი ცნობა შემოინახულია ფრან-ველ ისტორიკულ ლოკენტიკაში.

ავტორი ყველაფერში ვერ ვერკვევა (ფი-ლიპ ავგუსტეს ისტორიკოსია), მაგრამ ისიც, რომ ლაბარაკია რაღაც პატარა წიგნებზე, რომლებსაც არისტოტელეს აწერენ, მითით-ებებს მის აღმოსავლურ წარმოშობას და ბერძ-ნულიდან ლათინურად გადმოღებას. აქ ავტო-რი ცდებდა: ის პატარა წიგნი, რომელზედაც ის ლაბარაკობს, ლათინურად ითარგმნა, მაგ-რამ არა ბერძნულიდან (რადგან მისი ბერძ-ნული ორიგინალი უკვე ექვსი საუკუნის და-კარგული იყო), არამედ არაბულიდან. მაგრამ, ვიღაც ვერობის ფილოსოფიური ისტორიოგ-რაფია აქამდე მივიდოდნენ, მისთვის სიკვრი-ვი შეიქმნა კიდევ რამდენიმე საფეხურის გავლა, რომელთაგან ჩვენ აქ მხოლოდ უმთავრესს შევხვებით.

სინამდვილესთან ცოტა უფრო მეტი სიახლო-ვე ჩანს იმ ცნობებში, რომლებიც არსებითად არ არის შემოტანილი, მაგრამ საიმებელი წყი-როსგან დამოკრებულია. ეს ენება მე-9 ს. და-სავლეთის მოაზროვნის იერუვენას წიგნი — „განყოფისათვის ბუნებასა“, რომელიც წარ-მოადგენს აერომაგისტული სწავლის და-ლაგებას ბუნების აღნაგობისათვის. ჩვენს საკითხის ცნობილი მკვლევარი, ფრანგი მეც-ნიერი შარლ ეურდენი თავის ნაშრომში „ამაღრიკ ბუნების და დავით დინანტის მწვა-ლებლობის ფილოსოფიური წყაროებისათვის“ ასახელებს გამოჩენილ კანონისტ ჰინრიხ სუ-ზელს, რომელიც ასეთ წყაროდ თვლიდა ითანე სკოტ იერუვენას ზემოთ დასახელებულ წიგნს „განყოფისათვის ბუნებისა“.

ამავე აზრს სხვებიც გამოთქვამდნენ, მაგრამ საკითხის უმწყო მდგომარებას მოწმობს ის ფაქტი, რომ ლოგიკის ცნობილი ისტორიკოსი პრანტლი ურეეს ერთი მეორეში დავით დი-ნანტს, ვითომცოცა წიგნის — („განყოფისათ-ვის“) ავტორს იერუვენას ნაწარმოებთან, რომელიც ზემოთ დაესახელებ (პრანტლი, III, 5,6., შენიშვნა 18) ყოველმგებთხვევაში სწორი თუ შეწყდარი მითითება იერუვენაზე იმის მარ-ვენებელია, რომ ამჩნევდნენ რაღაც კავშირს აერომაგისტულ იდეებთან, საიდანაც, როგორც ცნობილია მეცნიერებაში, იერუვენას თხუ-ლება — „განყოფისათვის ბუნებისა“ იყო ვად-

მოდებული. რა თქმა უნდა, დასავლეთის მეც-ნიერებას შეეძლო ეძებნა დასახელებული მწვანელობისათვის ისეთი შორეული წყარო, როგორც იყო იერუვენა. რომელიც არ საუკუნეზე მეტი თუ დამოირებული მათგან, მაგრამ თუ აღმოჩნდებოდა უფრო ახლო შე-საძლებლობანი, კვლევა-ძიებას სხვა მიმართუ-ლება უნდა მიედლო. აქ ერთი საკვირველი ამ-ბავი მოხდა: მე-13 ს. უკვე ესწოდნენ, რომ რაღაც თავისებური კავშირი იყო ვადმული იმ წიგნს შორის, რომელიც მღვწთა წიგნად იწო-დებოდა, ერთი მხრე და ფსევდო-არეომაგის-ტულ ზოგიერთ იდეას შორის მეორე მხრე: ასე, მაგალითად, რომბერტ გრიეტელი (ლინ-კოლელი ეპისკოპოსი, გარდაიცვალა 1253 წ.), როგორც ბრიტანეთის სამშალო საუკუნე-თა ისტორიული ლოკენტიკილიდან ჩანს, ერთმანეთთან აკავშირებდა მიზეზთა წიგნი და ფსევდო-არეომაგელის ნაწარმოებს.

ზოგიერთი მეცნიერი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გასამართლებელი პანთეისტები უდავოდ სარგებლობდნენ, აგრეთვე, „მიზეზთა წიგ-ნით“. ყოველმგებთხვევაში, მე-13 საუკუნეში დიდიწილის ფილოსოფიური ისტორიოგრა-ფიის თანდათან ნათელი წარმოდგენა უმუშა-ვლება იმ წიგნის შესახებ, რომელშიც მიზე-ზეების შესახებ არის ლაბარაკი.

ყველაზე ნათლად საკითხს სამშალო საუ-კუნეებში, შეეხვენ ალბერტ დიდი და თომას აკვინელი. ალბერტ დიდმა თვითონ გააცთა წიგნი სათაურით — „წიგნი მიზეზთა და მსოფლიოს განვითარებისათვის“, რომელშიც პირდაპირ ემყარება „მიზეზთა წიგნს“. ალ-ბერტი „მიზეზთა წიგნს“ ფარჩვიისას ვერძ-ვის პანთეისტურ მატერიალისტებს, რითაც აელენს, რომ მას შეგნებული აქვს მათ შო-რის ერთმანეთ კავშირი.

არაა საჭირო გაეავარმელოთ ლაბარაკი იმის შესახებ, რომ დასავლეთის ფილოსოფიურ ისტორიოგრაფიაში უკვე იმავე მე-13 საუკუ-ნეში (როცა გასამართლებული იქნენ პანთეის-ტური მატერიალისტები) შეიქმნა აზრი, რომ ამ საქმესთან კავშირი ჰქონდა პატარა წიგ-ნას, რომელიც მიზეზთა შესახებ სწავლას შეიცავდა. ეტეობა რომ მაშინ ეს წიგნი ტრი-ალებს ხელზე, მას კითხულობენ და მის შინა-არსში საკმაოდ კარგად ერკვევიან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნათელია, რომ გარკვეული ცნობა ამ წიგნზე შექმნისა და გავრცელების შესახებ სამშალო საუკუნეთა ფილოსოფიურ ისტორიოგრაფიას არა აქვს და ამის გამო, ცხადია, არა აქვს ის არც შემდგომ დასავლურ ფილოსოფიას, რაც იმთავითვე იყო განმარ-ბებული. ბუერის იმთავანი, ვინც იყო მიზეზ-თა წიგნის შესახებ ასე თუ ისე გარკვეულ აზრის მქონე, სრულიადაც არ ენებოდა სა-

კითხს — საიდან მოდის ეს პატარა წიგნი, ვგოდენ მრავალი ამბების შემცველი, და ვინ იყო მისი ავტორი. ალბერტ დიდი, რომელმაც ამ წიგნის სახელი შემოიღო, მას მიაწერდა ვინც იგი ემბრავლ ფილოსოფოსს დაეთმო, რომელსაც იგი უნდა შეედგინოს მრავალი ფილოსოფოსის გამოანთქამებიდან, მათ შორის არისტოტელეს, აგოცენას, ალპაცელის და ალფარაბის შეხედულებებიდან. საინტერესოა, რომ, თუ არისტოტელე არა, რომელიც მხოლოდ ამ საინ, სხვა ვეცლა აღმოსავლური მონარქიული დასახელებული, და ალბერტ დიდის მიხედვით ანრი ჰქონდა წიგნის აღმოსავლური დამუშავების შესახებ. ალბერტ დიდს, ეტყობა, ჰქონდა რაღაც ცნობა, არისტოტელეს სახელის მიზეზთა შესახებ წიგნთან დაკავშირების შესახებ. ეს ცნობა იმდენად ადრინდელია (მე-9 ს.), რომ ალბერტ დიდამდე მის თაობაზე ამბების მიღწევა არაა გასაყვარელი.

სამაგიეროდ, თითქმის იმავე დროის მოახროვენი და კომენტატორი მიზეზთა წიგნისა თომა აქვინელი არ იზიარებს ალბერტის აზრს და მხარს უჭერს მიზეზთა წიგნის არაბულ წარმოშობას, თუმცა ავტორსა და დროს ვერ ახსებულებს. თომას მოწმობა საინტერესოა მით, რომ ის გამოიციხავს არისტოტელეს ავტორობას, რასაც ზოგიერთნი მაინც უჭერდნენ მხარს. ყოველშემთხვევაში, თომა აქვინელმა იცის, რომ მიზეზთა წიგნი რაღაც კავშირშია ნეოპლატონიკის პროკლეს წიგნთან — „კავშირნი თეოლოგიურნი“. საკვირველია, რომ თომა აქვინელი აცხადებს, თითქოს ის წიგნი (ე. ი. პროკლეს „კავშირნი“) არაბულად არსებობსო. არ შეიძლება თომა აქვინელს არ ენახოდეს გამსწავლები პროკლეს „კავშირნი“ და „მიზეზთა წიგნის“ შორის. ეს იქიდანაც დათვლია, რომ თომა იმავე კომენტატორში — შერს, რომ ლათინურად ეს წიგნი ითარგმნა არაბულიდან, საიდანაც ჩანს რომ ვიღაც არაბთა ფილოსოფოსმა იგი ამოკრიფა პროკლეს წიგნიდან. თომა კატეგორიულად აცხადებს, რომ ბერძნულად მიზეზთა წიგნი არ იყოთ.

თომა თითქოს საქმეში ჩახედული ჩანს და ამიტომ ერთი ადგილი მოიყვანათ მისი „სენტენციების კომენტარების“ ხელნაწერიდან, სადაც თითქოს კვლავ გამოთქმულია არაბი „ვიღაც არაბის“ მიერ მიზეზთა წიგნის დაწერისა. ეს მინაწერი შეცნიერებამი არ ითვლება ნამდვილად, ინტერპოლაციათა მიღებული, მაგრამ ეს არ წყვეტს საკითხს: თომა აქვინელის სახით დასავლეთის მეცნიერება მიზეზთა წიგნის შესახებ სწორი შეხედულებების იყო იმ მხრივ, რომ იგი თავისი. აზრთა წყობით და სწორედ მიზეზთა ფილოსოფიით

პროკლეს „კავშირნი“ ექსცერპტი — გამოკრებილი ვადმოღება იყო. მართლაც, საამისოდ უნდა იქნებოდა იყო საქმარისი: პროკლეს „კავშირნი“ შეიცავს ცნობილია, ორასათორამეტს თავს, ხოლო მიზეზთა წიგნი ოცდათორამეტს. მაგრამ ასეთი მიგნება შინაარსის მიხედვითაც არ წყვეტს მთავარ საკითხს: ვინ და როდის გააკეთა ეს ვადმოღება? რატომ უნდა, დიდი საკითხი იყო პროკლეს წიგნში მიზეზთა წიგნის წყაროს მიკვლევა. მაგრამ ეს არც ისე ძველი საქმე იყო. მართლაც, საქმარისის ორივე ძეგლის ურთიერთ შედარება, რომ ეს გარემოება თვალათლივ ცხადი ვახდენს.

სინდელე იწყება მას შემდეგ, რაც ეს გარემოება გამოირკვა. უბრალო საქმე არაა იმის თქმა რომ მიზეზთა წიგნი არის ექსცერპტირებული დამუშავება პროკლეს „კავშირნი“ საამისოდ აუარებელი რამ იყო საქმარისი. ევროპელებმა რომ მიზეზთა წიგნი არაბულ ენაზე ნახეს და ვადმოიღეს, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი არაბულ ენაზე შეიქმნა. ფაქტია რომ მიზეზთა წიგნი არაბულიდან ლათინურად ითარგმნა ტოლემეში 1187 წელს ევროპარდ კრემონელის მიერ, მაგრამ ეს ფაქტი არის მერს არაფერს შეიცავს. საიმედოელია, როდის და რა პირობებში განჩა იგი არაბულ ენაზე: არის ის თარგმანი, თუნდაც მწიფი დელი გავებით, თუ ორიგინალური ნაწარმოებია? დაისვენება თუ არა ასეთი საკითხი, ისინი კიდევ ახალ რთულ საკითხებს იწვევენ. თუ არაბული წიგნი მიზეზთა შესახებ ვადმოღებულა სხვა ენიდან, ნაჩენები უნდა იყოს ორიგინალი და სათანადო ფილოსოფიური გარემო, რომელსაც უნდა შეეკმნა ასეთი საკითხება. და მისი დამყარების შესაძლებლობა.

დამატების ფილოსოფიური ისტორიოგრაფიკაში მიზეზთა წიგნი არისტოტელეს მიეწერებოდა და მას თავისი სათაური ჰქონდა, რომელიც, მართალია, ელპელმ ბრეტანელმა საეგებისოდ ვადმოგვეცა („როგორც ამბობდნენ“), მაგრამ, თუ აქ მართლა არისტოტელეს წიგნზე იყო ლაპარაკი — ასეთი საეჭვო ამბავი გამოიციხული უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთშია იცის არა ერთი თხზულება, რომელიც არისტოტელეს მიეწერება სრულიად ნებიერად, დიდი ზნის განმელობაში არისტოტელე „ფილოსოფოსის“ სინონიმი იყო აღმოსავლეთში; საქართველოშიც პეტრიწი მე-11-12-ს. მიჯნაზე „არისტოტელეს არაბულ“ ლაპარაკის ფილოსოფოსის მნიშვნელობით (იხ. ი. პეტრიწი, თხზულებანი, II შ. ნუსეშვიძისა და ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა). ერთი კიდევ: არისტოტელეს თხზულება, უკეთეს ის იყო მიზეზთა წიგნის ავტორი.

ბერძნულად უნდა არსებულყო და ჩვენ ვნახეთ, რომ იგივე ვილაქემ ბერტანელი ამასაც აღსტურებდა.

გამოიღეს, რომ ჯერ კიდევ საშუალო საუკუნეში ორი აზრი უპირისპირდებოდა ერთმანეთს: მიზეზთა წიგნი თითქმის ბერძნულიდან ითარგმნა ლათინურად, მეორე — თითქმის ლათინური ითარგმნა არაბულიდან. მაგრამ ეს უკანასკნელი ფაქტია ისტორიულად დამკვიდრებული — მთარგმნელისა და წლის (1187) გამოცემა მხრივ. ამდენად, მართალი არიან ისინი ვინც „ესტელიო არისტოტელურ“ თხზულებაზე ლაპარაკობს (მაგ., იგივე ოტო ბარდენშევერმა). მაგრამ ეს მიიწეო არ არკვევს საკითხს: სადავთა არა ის, რომ დასავლეთში მიზეზთა წიგნი თარგმნა ლათინურად არაბულიდან, მაგრამ შეუძლებელი აღმოჩნდა არაბულის არც თარგმნილობის და არც ორიგინალობის მტკიცება.

მარქსი ჰეგელზე უფრო მართებულად განსაზღვრავდა პრაკლეს, როგორც ნეოპლატონიზმის მწვერვალის რაობას: იქ, სადაც პრაკლეს მთავარი წიგნი გადმოღებაზე იჩენდა ლაპარაკი, ხელზე უნდა ყოფილიყო ის ფილოსოფიური „ნახაი“, რომელიც ანტიკურ ფილოსოფიის მიღწევათა შემკვიდრების შინაარსს შეადგენდა. მეცნიერებას არ ეგვეება, რომ ყველა ეს მონაცემი და, რაც მთავარია, ბერძნული ენის ცოდნაც კი ამ დროის არაბული სამეცნიერო წრეებისათვის ნაადრევია. პრაკლეს „კავშირში“ მიზეზთა წიგნისათვის საჭირო იყო ან არაბულად, უკეთეს ის ვინმემ გადმოიღო, ან ბერძნულად დღევანდელ თელებმა, რომ არც ერთი და არც მეორე მე-7-9 საუკუნეთათვის არაბულ წრეში არაა („რაიმე ცნობა ბერძნული ტექსტის შესახებ არ მოიპოვებოდა“ — წერს — ბარდენშევერმა). იგი არც შეიძლება გამოვლენილია. მაშასადამე, არც ერთი პირობა იმისათვის, რომ მიზეზთა წიგნი შექმნილიყო არაბულ სააზროვნო წრეში, არ არსებობდა. მიუხედავად ამისა, ფაქტია რომ შემოკლებული (ექსცერპტირებული) გადმოღება მიზეზთა წიგნისა არაბულზე არსებობდა.

ესაღია, რომ მეცნიერება უნდა წავიდეს იმ გზით, რომ ამ წიგნის, ე. ი. არაბულ ენაზე არსებულ მიზეზთა წიგნის, ორიგინალი ეძიოს. არაა სწორი თამა აქვინელიდან მიმდინარე აზრი, რომ, თუ არაბულად ითარგმნა ლათინური ვერსია მიზეზთა წიგნისა, იგი ბერძნულად არ არსებობდა. — არაბები, როგორც ცნობილია, იმ დროს (მე-10 საუკუნეთა მიჯნაზე) ბერძნულიდან არ თარგმნიდნენ და, კიდევ რომ ყოფილიყო ბერძნულად მიზეზთა წიგნი, ისინი მით ვერ ისარგებლებდნენ. ხომ არ შეიძლება დაეფუთათ, რომ

მიზეზთა წიგნი სხვა ენაზეც იყო არაბულ გარემოცვაში, მათთვის უფრო ახლო და უფრო მისაწვდომი?

დასავლეთის მეცნიერებაში მე-19 ს. მიწერულში (1882 წ.) ოტო ბარდენშევერმა. მიაქცია ყურადღება ბრიტანეთის მუზეუმის ხელნაწერის სახით არსებულ ნაშრომს, რომელიც პირველად რენანმა შეამჩნია. ესაა წიგნი „მსოფლიოს მიზეზთა შესახებ. რომელშიაც, არისტოტელეს მიმდევრებით მტკიცდება, რომ მსოფლიო რეალურად მოძრაობს“ ეს ტექსტი იღვმეფე სათანადოდ არაა შესწავილილი, ოტო ბარდენშევერმა არ იცის, ვინაა ის პირი, რომელსაც ამ წიგნის საირიულად გაკეთება მიეწერება. იგი ამ ავტორზე ამბობს, „იყო-ბიბლით მონოფიზიტი სერგი“, ტექსტი ხელნაწერს გაეკუქს, ავტორი ცნობილია: სერგი რეშინელი (გარდაცვლილია 536 წ.) და დასავლეთის მეცნიერება არ იწუხებს თავს — „ვილაც იაკობიტის თუ მონოფიზიტის“ იქით წავიდეს გაერკვეს ჩვენი საკითხის ამ ყველაზე აღრიხნულ ძეგლს რაობაში.

ბარდენშევერი იმდენს აბრბებს, რომ მისთვის უცნობია ავტორის შრომის ვაიოუსადგერობაზე კატეგორიულ განცხადებას აკეთებს (იხვე). წიგნის ლათინური ზედწერა, ცხადია, სერგი რეშინელს არ ეკუთვნის, მაგრამ იმდენად მნიშვნელოვანად გამოავლენს ეს საკატალოგო აღწერაშიცაა წიგნის შინაარს, რომ ყოვლად გაუმართლებელია მასზე არშენერება, თუნდაც იმტომ, რომ იგი ყველაზე აღრიხნული ცნობაა მიზეზთა წიგნის შესახებ, რომელიც თითქმის არისტოტელეს აზრებს უბლოდდება, და რომ მსოფლიო მოძრაობა რეალს წარმოადგენს. ეს რომ მიზეზთა წიგნი ყოფილია, მისი სათაურიდანაც ჩანს, სადაც „მსოფლიოს მიზეზთა“ შესახებ სწავლა მიზეზთა ფილოსოფიურ გავებასაც ნიშნავს, რეალური მოძრაობა, როგორც ვნახეთ, მიზეზთა საფეხურების გაშლის — ზევიდან ქვევით და, პირიქით, შედეგი იყო იერარქიულად გავებულ ქვეყანაში. რაც შეეხება ცნობას არისტოტელესთან კავშირის შესახებ, ეს უადრესი ცნობა არისტოტელეს მიზეზთა წიგნთან კავშირის შესახებ და ყოვლად დაუშვებელი იყო უფლებებუყოფა ამ პირდაპირი მითითებასა, საიდანაც ერთადერთი აზრსებოდა ფაქტი არისტოტელეს სახელთან არსებულ ვერსიაში მიზეზთა წიგნის დაკავშირებისა, რატომ მოხდა ეს? ო. ბარდენშევერს და ზოგ სხვას უთვოლ სურთ დაამტკიცონ, რომ „მიზეზთა წიგნი“ არაბული წარმოშობისაა, თუმცა თვითონვე აღიარებენ საამისო მონაცემების არარსებობას, კონკრეტული სქემატიზმის მიხედვით მათთვის არაა სასურველი შეამავალი ბერძნული ტექსტის შორის, თუ

ასეთი არსებობა, და არაბულს შორის, თუმცა ეს ფაქტობრივ ისტორიულ-კულტურულ სიტუაციის ეწინააღმდეგება.

ამრიგად, ვეროპის მეცნიერებამ, რომელმაც გადაწყვიტა, ყოველივე საბუთის გარეშე, არაბულ, ვითომცდა ორიგინალურ ტექსტზე შეჩერება, ზელოდან გაუშვა თვალსაზირო შესაძლებლობა არაბული „მიზეზთა წიგნის“ წარმომავლის გარკვევისა. სირია უფრო ადრე ნაება ფილოსოფიური კულტურის განვითარება-გავრცელების საქმეში და მოსალოდნელი იყო, რომ ამ შემთხვევაშიც სირიელი ზოგ ჩანს ვადამცემდნენ არაბებს. საინსოდ სექიორ და საჰმარისი იყო სერგი რეშაინელის შესწავლა, საერთოდ, და კერძოდ — მიზეზთა წიგნთან დაკავშირებით.

ჩვენთვის სერგი რეშაინელის პიროვნება და ნაზრევი გამორკვეულია და მასზე ღიღანს არ შევჩერდებით. მან, მიუხედავად თავისი საბუნებისმეტყველო ინტერესებისა, ვანელი ფსევდო-ლიონისეს (პეტრე იბერის) სკოლა სირიაში, ვადაილო არეობავისტული შრომები სირიულ ენაზე და მათთან ერთად პატარა წიგნი მიზეზთა შესახებ, რომელიც სწორედ ის წიგნია, რომელზეც ზემოთ იყო ლაპარაკი, და რომელიც იღეს ზელთა გვაქეს აშქარაა, რომ, როგორც არეობავისტული წიგნები, ისე მიზეზთა შესახებ წიგნი სერგი რეშაინელმა თარგმნა ბერძნულიდან. ბერძნულ ენაზე, მიუხედავად დასავლეთის მეცნიერთა აზრისა, მიზეზთა წიგნი არსებულა სხვა არეობავისტულ წიგნებთან ერთად, როგორც მათი ერთგვარი დანართი, მაგრამ ზოგიერთ ასეთ წიგნთან ერთად ადრე დაკარგულა.

რამდენადაც ჩვენ, პროფ. კ. წერეთლის დახმარებით, ნაწილობრივ გავცეანით სერგი რეშაინელის წიგნს მიზეზთა შესახებ, ირკვევა, რომ იგი ვადმოღებია, საბუნებისმეტყველო მაკალითების გამოყენებით, მოძრაობისა მიზეზთა შესახებ, რომელსაც შეიცავს მიზეზთა წიგნი მისი დღევანდელი სახით ლათინურ ენაზე. ქრონოლოგიის მიხედვით რეშაინელის ნაშრომი, ცხადია, წინ უსწრებს არაბულს. არის ის ორიგინალური ნაშრომი სერგი რეშაინელისა? არსებულ მონაცემთა მიხედვით — არა. მან იგი ვადმოიღო, მამინდელი ჩვეულების მიხედვით და ზოგ შემთხვევაში ვანერცო ან შეამოკლა. საუბარია არაა — საიღან ვადმოიღო სერგი რეშაინელმა თავისი წიგნი; როგორც უკვე ვაირკვა, ფსევდო-ლიონისეს (პეტრე იბერს) დაუწერია, როგორც ამას ის თვითონვე წერს, ცალკე წიგნი მიზეზთა შესახებ, რომელიც, როგორც იგი ავტორთა აცხადებს. პროკლეს „კავშირნიდანა“ ვადმოღებულ მისი სიკოცლის თანამგზავრისა და თანა-

მოაზრის იეროთეოზისის მონაწილეობით. ამრიგად, სერგი რეშაინელს ვაწერია: „მან არა მარტო ფსევდო-ლიონისეს მწიგნობრებთან, საერთოდ, რაც მან ადდი ენთუზიაზმით“ ვადაილო სირიულად, არამედ მიზეზთა წიგნის ამ ნაწერთა წყობიდან ვადაილებასთან სირიულად. კვლევ-ძიება მოითხოვდა ამ მნიშვნელოვან მომენტზე უტრადლების შეჩერებას. საჭიროა იმის გარკვევა — რას წარმოადგენდა ფსევდო-ლიონისეს მიერ მიზეზთა შესახებ დაწერილი წიგნი, ვაქვს თუ არა მის შესახებ მსჯელობის დოკუმენტური შესაძლებლობანი; რა ენაზე დაწერა იგი, რა საკითხებს ეხებოდა და აქვს თუ არა მას რაიმე საერთო შემონახულ მიზეზთა წიგნთან არაბულ და ლათინურ ენაზე?

ამ ვხით უნდა წასთლყო დასავლეთის მეცნიერება, რაც მან, ვაუღვებარ მიზეზთა ვაგნო, არ ქნა და მიზეზთა წიგნის წარმომავლისა და ვაერკვლების ამბავი არაბთა მოჯნასთან შეაჩერა.

ფსევდო-არეობაველის (პეტრე იბერის) თხზულებათა შესწავლამ ჩვენ იმთავითვე მიგვიყვანა უკანასკნელის მთავარ თხზულებაში იმ ადგილამდე, სადა ნათქვამია, რომ მიზეზთა და დასაბამის (ე. ი. პირველი მიზეზთა) შესახებ პროკლეს წიგნთან „კავშირნი თეოლოგიური“ დაკავშირებით მან, ე. ი. ფსევდო-ლიონისეს (პეტრემ) „სხვა ადგილს დაწერა“, ხოლო იქვე („საღმრთოთა სახელთათვის“, თავი II, 9,1). მან მიიწი საჭიროდ დაინახა დეილაგებინა მოკლედა თავისი წიგნის ძირითადი დებულებანი. ეს დალაგება პირდაპირ იწყება „პირველი მიზეზის“ ქრისტიანი მიზეზულ ფორმაში და ავითარებს ყველა წამყვან დებულებას, რომლებიც საფუძვლად უდევს პროკლეს წიგნის იმ ვადამუშავეებს, შემონახულ მიზეზთა წიგნში რომაა მოკლემული. ამდენად, როგორც შედარების თავდაპირველი დასაყრდენი, საჰმარისი იყო, დასავლეთის მეცნიერებას ეცადა ფსევდო-ლიონისეს წიგნის იმ ადგილის გამოყენება. ფსევდო-ლიონისეს წიგნში „საღმრთოთა სახელთათვის“ მოხსენებელი მისი ნაშრომი რომ იმ სახით ზელთა ქონდეს მეცნიერებას, როგორც იგი ფსევდო-ლიონისეს (პეტრე იბერის) კალმით აღიწერა, საკითხი თავისთავად ვადიკრებოდა. მაგრამ თარგმანების ადრინდელმა პრაქტიკამ, როდესაც ვადალების ობიექტს — საგანა შეადგენდა, რომელზედაც ლაპარაკი იყო, და სხვა კი შემოკლება — ვანერცობით ხდებოდა, ვაანენლა შედარების წარმოება, მაგრამ შეუძლებელი ნაიწი არ ვახადა.

ფსევდო-ლიონისეს მიზეზთა შესახებ სწავლის შემკველი წიგნი ბერძნულ ენაზე, ჩანს, დაკარგულა. იგი მიიწი პროკლეს „კავშირ-

ნის“ შემდეგად ითვლებოდა სამელო საე-
 კუნეებში, და თანა აქვინელი, როგორც ენა-
 ხეთ, მას, პროკლეს წიგნის მაგივრად თელიდა
 არაბულ სადილოსთფო შწერლობაში. ყოველ-
 შემთხვევაში სერგი რეშაინელის შემდეგ, ე. ი.
 მე-8 საუკუნის შემდეგ, არ შეიძლება ვთვლ-
 ვთხ მისი არსებობა. მეცნიერებას ადვილად
 შეეძლო პროკლეს „კავშირის“ მიზეზთა შე-
 სახებ მოძღვრება შეედარებინა მიზეზთა წიგ-
 ნისთვის, რასაც ზოგიერთები, მაგ., თანა
 აქვინელი, აცთებდა, მაგრამ აქვე საჭირო იყო
 სერგი რეშაინელის წიგნის შედარება. ხოლო
 ამას აკლდა არეობავისტული მიზეზთა შესახებ
 დალაგებასთან შედარება. უკანასკნელი სავსე-
 ხით შესაძლებელი იყო წიგნის „საღმრთოთა
 სახელთა“ იმ ადგილთან შედარებით, რომელ-
 შიაც ეს ამავე მოცემული იყო. ფსევდო-
 დიონისეს წიგნის დაკარგვა ვერა ქმნის ვა-
 შივალდ მდგომარეობას, როდესაც მიგნებულ
 იქნა ის ადგილი წიგნში „საღმრთოთა სახე-
 ლათის“, სადაც მოცემულია შინაარსი „სხვა
 ადგილს დაწერილი“ წიგნისა, როგორც აღნიშ-
 ნავს ავტორი (პეტრე იბერი).

წიგნი მიზეზთა შესახებ და დასაბუთებელი
 ადგილი წიგნში „საღმრთოთა სახელთათვის“
 „პირველი მიზეზის“ გარკვევით იქნება, რასაც
 მისდევს შემდეგი, — მიზეზთა გამომწეა და
 მათში წესრიგის და ურთიერთობის გამოვლენ-
 ნა, რაც მათ თემატურ შინაარსს შეადგენს.
 ამისთვის საჭირო იყო მიზეზთა წიგნის და
 „საღმრთოთა კავშირის“ სათანადო ადგილის
 გადაკითხვა. ამ გზით ნათელი ვახდებოდა, რომ
 „ურგი რეშაინელს თავისი საუკრელო მასწავ-
 ლების წიგნის — „საღმრთოთა სახელთათ-
 თვის“ სირთულად თარგმნასთან ერთად საჭი-
 როდ დაუნახავს გადათარგმნა, ფსევდო-არეო-
 პსევტის (პეტრე იბერის) ის წიგნიც, რომელ-
 ეც მითითებულა თარგმნილ წიგნში. ეს ყვე-
 ლაფერი სრულიად ბუნებრივია და საგანთა
 ლოგიკას შესაბამეა. აქედან ადვილი და-
 სანახი იქნებოდა, რომ სერგი რეშაინელის
 წიგნი, თუ თვითონ არ იყო გამოყენებული
 მიზეზთა წიგნის არაბული თარგმანისათვის,
 იგი, უოველშემთხვევაში, მიუთითებდა არაბულ
 ვარიანტის ნათარგმნობის შესაძლებლობას,
 რადგან ნათელს ყოფიდა, რომ არაბულ კულ-
 ტურულ გარემოცვაში არსებობდა მიზეზთა
 წიგნის რედაქცია, რომელიც ახათე თვითონ
 იყო საინტერესო, არამედ მიუთითებდა უფ-
 რო შორეულ წყაროს, რომლისგანაც შესაძ-
 ლებელი შეიქნა ამ რედაქციის თარგმნება.

ყოველშემთხვევაში, თვით ავტორის —
 ფსევდო-დიონისეს (პეტრე იბერის) მიუთითებ-
 და შინაარსის მიზეზთა წიგნისა ყველაზე
 ნათელი დამამტყიცებელია იმისა, რასაც შემ-
 დგ მიხვდნენ თანა აქვინელი და ზოგიც სხვა,

სახელდობრ, რომ მიზეზთა წიგნი ვაქაოლე-
 ბული იყო პროკლეს „კავშირისაგან“ ეს მი-
 თითება გააკეთა სერგი რეშაინელი მისწავ-
 ლებში, რომლის სხვა წიგნებშიც ერთნაღ
 რეშაინელმა მიზეზთა წიგნის ვადაილო-
 კელევა-ძიება რომ ამ გზით წასულიყო, ად-
 ვილად გაირკვეოდა, რომ ფსევდო-დიონისეს
 (პეტრე იბერს) მრავალი ერთგუნვის წარმო-
 მადგენელი მოწოდებები ჰქავდა, რომელთათვის
 პროკლეს წიგნი საბელმძღვანელო იყო და
 მისი ამ მიზნით გადმოცემა უნდა მომზადრო-
 ყო ბერძნულ ენაზე, რადგან იგი უმრავლესო-
 ვს ესმოდა. მაგრამ ხომ არ იყო შესაძლებელი,
 რომ მიზეზთა წიგნი სხვა ენაზეც იქნა გაკუ-
 თებული?

აქ კელევა-ძიება კედელთაბაა მისული, რომ-
 ლის იქით წასვლას არაფერი ეშველებოდა,
 თუ მეცნიერება არ დაისახავდა მიზეზთა
 ვარემოცვის გამოვლენას, რომელშიაც მიზეზ-
 თა წიგნს გადმოიღებს ფსევდო-დიონისე პროკ-
 ლეს წიგნიდან. სხვა შემთხვევაში ჩვენ ამ
 საკითხისაკენ მოვდიოდით ერთგვარი სამ-
 ზადისის გზით, სადაც შედარება-განსხვავებით
 იმეზობდა და ირკვეოდა საკითხი — ვინ უნდა
 ყოფილიყო ფსევდო-დიონისე და მისა თანა
 მამარზე და „მანათობელი“ — იერთოთიოზი.
 ამ შედარება-განსხვავების გზამ გამოარკვია
 შესაძლებელი პრეტენდენტი არეობავისტული
 წიგნების ავტორობისა. აქ ყველა ამ მომენტს
 ჩვენ განზე ეტოვებით და საკითხს ვარკვევთ
 მხოლოდ სამელო საუკუნეთა და რამოდენი-
 მელ მომდევნო დროის აზროვნებისათვის
 მნიშვნელოვან ძეგლზე — „მიზეზთა წიგნზე“,
 რომლის ვაქინება და გავრცელებას გზა დასავ-
 ლეთის მეცნიერებებამ ვერ ვაარკვია და შუა
 გზაზე ვაეჩხირა.

დავიეფყოთ ყველაფერი, რაც მეცნიერებამ
 გამოარკვია უკანასკნელი წლების განმავლობა-
 ში არეობავისტული წიგნების ირგვლივ და
 დაუბრუნდეთ ფაქტს, რომლის მიგნება ძნე-
 ლი იყო დასავლეთის მეცნიერთათვის: ფაქტს
 იმავე შე-11-12 საუკუნეთა მიჯნაზე თითქმის
 საუკუნითი ედრე პანთიონტ-წველებელთა გა-
 მოსულისა, რომელთა ვასამართლებამ მოთქმა-
 ნოთქმა გამოიწვია მათი იდეათა წყაროს შე-
 სახებ. ქართველი ფილოსოფოსი ითანე პეტ-
 რიფი აღსატერებს ქართულად პროკლეს
 „კავშირის“—მოთარგმნე (იუვალად) გადმო-
 ლებას, რომ ასეთი გადმოცემა უკვე შესარუ-
 ლა ადრე ქართველმა მოაზროვნებამ და ეს
 გადმოცემა ეხებოდა პირველი დასაბამისა ირ-
 მიზეზთა საკითხს.

ყველა ამ საკითხზე ჩვენ მხედარსხვა ნაშ-
 რომში მოგვეხსენებია და აქ სიტყვას არ ვა-
 ვაგრძელებთ. მასალებისაგან დღევანდელი წვე-

ნი დაყენება საკითხისა განსხვავდება იმით, რომ აქ ჩვენ კვლევის ცენტრში ვაქვს წიგნი მიზეზთა შესახებ და, აქედან, არეოპაგისტული წიგნებისადმი მიმართება გვანტერტისებია არა მათი ნაშედეგი ავტორის დადგენა, არამედ დასახლებული წიგნის ისტორიის გამოკვლევის თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, საბოლოო ანგარიშში, არეოპაგისტული წიგნების ნაშედეგი ავტორის საკითხს გვერდს ვერ ავუვლით ამ შემთხვევაშიაც, მაგრამ ჩვენ მას ახლა არ ვეძებთ და მიზეზთა წიგნის ისტორიას შევძლიათ თავისთავად ნათელი გახადოს ისიც. ამიტომ ჩვენ გვანტერტისებს ფსევდო-ლიონისებს (პეტრე იბერის) მიერ მიზეზთა წიგნის დაწერის უოველი გამოვლინება.

ერთი ასეთი, ძირითადი მითითება მიზეზთა წიგნის ფაქტზე ჩვენ უკვე წიგნიდან — „საღმრთოთა სახელთათვის“ ამოვკითხეთ და მისა ბერძნული და ქართული ეტრემ მცირეს მიერ ნათარგმნი ტექსტი ურთიერთ შევედარეთ. მეორე სამაძის სახელი არის თეონისები მიზეზთა წიგნისა, რომელიც ავტორს იმავე მიზეზთა წიგნში აქვს მოუხანიალი. მესამე სამისო მიწმობა არის ფაქტი ფსევდო-ლიონისის მოწოდებისებრე რეზიონელის მიერ-საბოლოოდ არეოპაგისტულ წიგნთა შორის მიზეზთა შესახებ წიგნის ვადთარგმნა, რომელსაც ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკის კატალოგმა „მიზეზთა შესახებ ტრაქტატი“ უწოდო.

მეოთხე მიწმე (სახელი) ფსევდო-ლიონისის მიერ მიზეზთა წიგნის დაწერისა არის მე-11-12 საუკუნეთა ქართული ფილოსოფოსის იოანე პეტრიწი, რომელიც მრავალმხრივ ამუშავებს საკითხის საჭირო მხარეებს. იოანე პეტრიწი, როგორც, დადასტურებულია, ლაპარაკობს რა პროკლეს წიგნის პირველ გადმოშობებზე, თავის უფრადლებას აბერებს სწორედ პირველ მიზეზზე და მის დაიოკიდებულებაზე სხვა „შემდგომთა“ მიზეზებისადმი. ეს იმას ნიშნავს, რომ მას ზუსტად აქვს მხედველობაში ის გადმოშობა პროკლესი, რომელზედაც სწორედ ფსევდო-ლიონისს ლაპარაკობს. ცნობილია, რომ არეოპაგისტული წიგნები დაყარებულია პროკლეს საფუძველზე, მაგრამ მიზეზთა საკითხის საგანგებოდ გამოყოფაზე და პირველ და შემდგომთა მიზეზთა საკითხზე უფრადლების შეჩერება ხაზგასმული (და შესრულებული) აქვს სწორედ ფსევდო-ლიონისს. იოანე პეტრიწი პირდაპირ იმ ამბებზე ლაპარაკობს, რომელსაც ფსევდო-ლიონისს მეთითობს, რაც ყოველ იქვს ვერ შე ხდის ამ მოვლენას, რომ პეტრიწს ხელში უქონიან ფსევდო-ლიონისს წიგნი მიზეზთა შესახებ. რა თქმა უნდა, შეიძლება ვეფთქვა, რომ იოანე პეტრიწს ხელში ჰქონდა არა აუცილებლად თვით მიზეზთა წიგნი, არამედ წიგნი

„საღმრთოთა სახელთათვის“, სადაც თეონისების სახით მოცემული იყო მიზეზთა შესახებ სწავლება. მაგრამ ზომ ფაქტია, რომ თვითონ ფსევდო-ლიონისე (პეტრე იბერი) უთითებს მიზეზთა შესახებ ცალკე, ასზეა ადგილზე, რაც წიგნში „საღმრთოთა სახელთათვის“ მოყვანილი ადგილების გვერდით უდავოდ ცალკე წიგნს ნიშნავდა. ამის გარდა, არსებობს დოკუმენტური საბუთი, რომ პეტრიწის მიზეზთა შესახებ არეოპაგისტული სწავლის შესახებ უფრო სრული ცნობა და ცოდნა აქვს, ვიდრე ეს მოცემულია წიგნის — „საღმრთოთა სახელთათვის“ სათანადო ადგილას. ამ საკითხს ტექსტური შედარების დროს კიდევ დაუბრუნდებათ.

ახლა კი მთავარი ისაა, რომ იოანე პეტრიწი, ისე როგორც ფსევდო-ლიონისე (პეტრე იბერი), საერთოდ, მთელ პროკლეს გადმოშობებს და მას ეყარება, მაგრამ საგანგებოდ ხაზს უსვამს მიზეზთა შესახებ ფსევდო-არეოპაგისტის (და პროკლეს) სწავლას და, ამდენად, მიუყვება კვალდაკვალ ფსევდო-ლიონისებურ გეგმასაც და შინაარსის გაგებასაც. მეორე, რთველი იოანე პეტრიწი აჩვენებს თავის მიყოლას არეოპაგისტული წიგნების ავტორისათვის, მდგომარეობს პროკლეს მოძღვრების მიზეზთა ისეთ გადმოცემას, რომელიც იძლევა პროკლეს მოძღვრების არეოპაგისტულ გადაკეთებას. ამ მიზნის მისაღწევად საჭირო და საყმარისია მიზეზთა შესახებ პროკლეს მოძღვრების შედარება იოანე პეტრიწის გადმოშობასთან, საიდანაც ირკვევა, რომ უკანასკნელი განსხვავდება პროკლესაგან იმით და იმდენად, რამდენადაც არეოპაგისტული ვაგება პროკლესი.

„მიზეზთა წიგნის“ (რა სახელიც მას, როგორც ვიცით, მხოლოდ მე-13 საუკუნეში ეწოდა) ცალკეული დებულებები, რომელთა რიცხვი, (ესეც უკვე ვიცით) ოცდაათიმეტია, გარკვეულად დაიფანება პროკლეს წიგნის ამა თუ იმ დებულებაზე, სათანადო განსხვავებით. დღეს ამ საქმის გაკეთება ძნელი არაა და დასავლეთის მეცნიერებას, და მათ შორის უველაზე უფრო თომა აქვინელს, ამ საქმეში თავისი უდავო წილი უქვს. ამ მიმართულზეთ მეცნიერებას სრული საშუალება აქვს გამოარკვეოს — როგორაა სათანადო დებულება პროკლეს ტექსტში და რა სახე მიუღია მას „მიზეზთა წიგნში“, როგორც ის შენაშუალება დღემდე. მთავარი აქ ისაა, რომ ეს ცვლილება, როგორც იგი აბაბულ თუ ლათინურ ტექსტში შესულია, ჩამს, უკვე არსებობდა, რადგან „კვლად“ გადმოშობილი პროკლესი, რომელმაც მიიღო არეოპაგისტული წიგნების ავტორის გეგმა და მთავარი საქმედ პროკლესთან მიზეზ-

თა — „პირველისა და შემდგომთა — გამზი-
ვა — გადმოღება ალიარა, პროკლეს ტიპს-
ტის გადამუშავებში მას გაყოლია.

შემოწახული „მიზეზთა წიგნის“ ადგილების
გაგება ემთხვევა პეტრიწის დღეობას,
ხოლო უკანასკნელი — იმ სქემას ანუ თეზი-
სებს „მიზეზთა წიგნისა“, რომელიც მოცე-
მულია წიგნში „საღმართო საბელათათის“, რაც
ნათელი გახდება მათი შედარებიდან. ამდენად,
იოანე პეტრიწი აესებს იმ დიდ ნაესს, რომ-
ელიც შეცნიერებამ აქვს იმ მხრივ, რომ
დაკარგულია არეოპაგიტის ნამდვილი ავტორის
მიერ მიითხებულ მისი ცალკე წიგნი, რომლის
მხოლოდ სქემა ანუ თეზისებია შემოწახული.
ეს შეესება დიდი და მნიშვნელოვანი არვა
კვლევა-ძიებებს, რომელიც ჩვენ მხოლოდ ნა-
წილობრივ და, ისიც ნიმუშის სახით შევასრუ-
ლეთ „ქართული ფილოსოფიის ისტორიის“ II
ტომში (თავი მესამე). ამ საკითხის დოკუმენ-
ტური სიფრცით გარკვევას ჩვენ ვუძღვნი-
თ საეციკლურ გამოკვლევას, რომელშიც ქართულ
მასალაზე დამყარებით უნდა შეიტანოს დასავ-
ლეთის შეცნიერებაში ის სიციხე, რომელიც
მას უამისოდ დღემდე აკლია.

ამ შესაძარბებელ მასალას, ვ. ი. თვით
არეოპაგისტული წიგნების ავტორის დეკრ მი-
თითებებს და შემდეგ მიზეზთა კვლევის სქემას
შეგძლო, მამსადაამე, ნათელი გაეხადა მამარ-
თულებმა, რომლითაც უნდა წასულიყო დასავ-
ლეთის შეცნიერება. ფაქტი არეოპაგისტულ
წიგნებთან ერთად მიზეზთა წიგნის დაწერისა
სერგი რეზინელის ამბავს ხელის ჩასაქნევ ამ-
ბეად ვი არ ვახდინა, როგორც ეს ზარდენ-
პევერმა ჩაიღწა, არამედ ვაფართოვებდა
კვლევის არეს, რომელსაც ახალი შესაძარბე-
ლი მასალა უნდა გამოეკლია: ეს უნდა
მომხდარიყო პროკლესთან მიზეზთა კვლევის
დაკავშირების გზით, რასაც ხაზს უსვამს
არეოპაგიტის ავტორი. ამის შემდეგ ირკვე-
ვა, რომ პროკლეს ფილოსოფიური მემკვიდ-
რეობის მემღებმა მართო სარია არ იყო. მოგ-
ვიანო, მაგრამ დასავლეთისათვის, რომელიც
მე-18 საუკუნითგან იწყებდა პროკლეს გადღე-
ვას, ერთი საუკუნით მაინც უსწრებს ქართული
ფილოსოფია. ინგლისელი მკვლევარი დოდსონი
გამონაკლისი იყო (იხ. მისი გამოკვლევა პროკ-
ლესზე, ოქსფორდი, 1931), რომელიც მიხვდა
პროკლეს შესწავლის ქართული ძეგლების —
ვ. ი. იოანე პეტრიწის „კამმარტებში“ —
და თარგმანების მნიშვნელობას და, თუმცა ქარ-
თული არ იყო და, მაგრამ დაუთავმოებდა ქართ-
ულ შეცნიერებს (პროფ. ს. უაუხნიშვილის
დამმარბებით) და არ გაუჭირდა იმ დასკვნის
გაკეთება, რომ პეტრიწისეული ტექსტის კი,
ართუთ „კამმარტებში“, ერთი საუკუნით უსწ-
რებს დასავლეთის შეცნიერთა მიერ დადგე-
9. „მნათობი“ № 7.

ნილ ტექსტს და ხშირად მათგან გამსხვედრებო.
დოდსონის წიგნი ინგლისურად დაიბეჭდა, მაგ-
რამ ეს იყო და ეს. მან დასავლეთში შეცნიერ-
თა მიბაძვა ვერ გამოწეო. დოდსონმა „არა“ გასა-
და თავისი ყურადღების საგანგებო ხანად,
რომ იოანე პეტრიწის მიერ შესრულებული
გადმოღება პროკლეს „კამმარტისა“ განმეო-
რება ანუ რენესანსი იყო მე-5 საუკუნეში შეს-
რულებული იმავე პროკლეს გადმოღებაში. იმ
დროს არც ჩვენ ვიცოდით ეს ამბეობა.

აქ ისმება ჩვენი ძირითადი პრობლემისათვის
უწინაშენელოვანისი საკითხი, რომელზედაც
აქამდე განზრახ არ ვლაპარაკობდით. ჩვენ
ზემოთ უკვე შევიხვით იმ ამბავს, რომ სერგი
რეზინელის მიზეზთა წიგნი იმავე ენიდან
უნდა ეთარგმნა, რომელზედაც არეოპაგისტული
წიგნები იყო დაწერილი, ვ. ი. პეტრიწის დოდს-
ონის კვლევის შეცნიერებებს თუნდაც ამის გა-
გებისაკენ თავისთვის გზა რომ არ მოეჭრა,
იგი არაბულ რედაქციასთან არ გაჩერდებოდა
და გამოუფადა მდგომარეობაში თავს არ ჩაბე-
დებდა, როგორც, როგორც ენახეთ, არაბულ
ენაზე მიზეზთა წიგნი ფაქტი, მაგრამ მისი
ახსნა არ ხერხდება არც როგორც თარგმანისა,
და არც ორიგინალისა. ამის გარკვევა, რომ
სერგი რეზინელმა თავისი მასწავლებლის
არეოპაგისტულ წიგნთა თარგმანისთან ერთად
მიზეზთა წიგნიც თარგმნა, უკვე დიდი მოღწევა
იქნებოდა და ზარდენპევერის ვაუბრედაც საკით-
ხი რომელზედაც ლაპარაკი იყო არც ისე ხელ-
ნასაქნევი იქნებოდა, როგორც ეს მას მოეჩვენა.
ვერობის შეცნიერებას ამ სახით შესაძ-
ლია გადაწვეტილი იქნებოდა საკითხი, რომ
არაბული რედაქცია მიზეზთა წიგნისა თარგმ-
ნილია სირთულიდან, რაც ადვილიც და ბუნებ-
რივაც იქნებოდა მათთვის. როგორც უკვე
აღვნიშნეთ თუ ეს ფაქტი, ზოგიერთი გარემოების
გამო, საესებით მისაღები არ აღმოჩნდებოდა,
იმის შესაძლებლობას მაინც ნათელიყოფდა,
რომ არაბთა გარემოცვაში მყოფ სხვა პატარა
ერებშიც, რომლებიც სირიაზე ნაკლებად არ
იყვნენ მოზარდებული ანტიკური ფილოსოფიის
მემკვიდრეობის მისაღებად, შეიძლება აღ-
მოჩნდებოდა იგივე ძეგლი, ვ. ი. მიზეზთა წიგ-
ნი, თავის ენაზე.

ამ პატარა ერებს შორის, რომელთაც მე-8-9
საუკუნეებში, როგორც თარიღდება შეცნიერე-
ბის მიერ არაბულ ენაზე მიზეზთა წიგნის
რედაქციის ვაჩნა, იყვნენ სომხები და ქართ-
ველები. ამ დროისათვის სომხებს უნდა ჰქო-
ნიდათ პროკლეს „კამმარტის“ თავის ენაზე (იხ.
ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. II,
„სომეხ-ქართველთა ფილოსოფიური ურთი-
ერთობანი“, გვ. 265-315), მაგრამ ესეც ვი
სადაცო საკითხადაა გადაქცეული და „მიზეზ-
თა წიგნის“ შესახებ აღნიშნული ცნობები აქ

არ მოიპოვება. რაც შეეხება საქართველოს, ჩვენ მივადგენთ იმ მომენტს რომლის ქართული თვალსაზრისით დანახვას აქამდე შეგნებულად გაუძრობდით, რადგან მიზეზთა წიგნის წარმოშობა-განვითარების პრობლემას თვითონ უნდა მიეყვანეთ უმნიშვნელოვანეს დაცვებამდე.

რა ირყევია? ირყევია ის, რომ თარი ისტორიული ფაქტი ეხმაურება ერთი მხრით, ერთი მხრივ, ეს არის წიგნის — „საღმრთოთა სახელთათვის“ ავტორის მიერ ნათქვამი, როდესაც იგი ღვთაების ბუნების შესახებ მწკვირვობასს მივღავ უძველეს პრობლემასთან პირველ მიზეზს და ბუნების ურთიერთობისათვის. „ეგვიპის“ (ე. ი. უსოს) სახესთან დაკავშირებით, ე. ი. პირველ მიზეზისა და ბუნების მიმართებისათვის იგი წერს: „ამის პირისათვის ჩვენ მიერცა კმაყოფილად თქმულ არს სხუთა ადგილთა შინა“ და, აგრეთვე: „ადიდებულისა მისცა წინამძღვრისა ჩუენის-განცა“ (ე. ი. იეროთოვისის) მიერ. რა გუ-კეთებია ავტორს თავისი „ადიდებულ წინამძღვართან“ ერთად? მას გადმოუღია პროკლეს წიგნიდან — „ღმერთისმეტყველებითთა შენდებითათა“ სწავლა „პირველი მიზეზისა“ ანუ დიასამისათვის“ და მისი დამოკიდებულებისა „ქლება-მეტყვის“ ვით მომდევნო მიზეზებთან. ეს დალაგებაა, იეროთოვისის დახმარებით, იეროთოვისისა, რომელიც ცნობილია, თვითონაც მუშაობდა „კავშირის“ ვადმოღებაზე. ამიტომ აქ სათაურისა ასეა აღნიშნული: „წმინდისა იეროთოვისისაა ღმრთის მეტყულებითაგან თვრობის შენივთებათა“.

იი, აქედან იწყება იმ წიგნის თვსახებური დალაგება, რომელიც ავტორის მიერ „სხუთა შინა თქმულ არს“ და იწყება იგი ყოველთა, ე. ი. პირველმიზეზით: „ყოველთა მიზეზი (პე პანტონ აიტია) და აღმავსებელი იესვისი ღმრთებდა, რომელი კერძოთა ყოვლობისა თანა ერთობითა მაცხოვრებელ არს და არცა კერძო არს და არცა ყოვლობა, და ყოველ არს და კერძო, ვითარცა ყოველივე ყოვლობისა და კერძოობითისა თვისა შორის თვისაა შემოქმედელი“ და უპირატესობისა მათ ყოველთათვისა მჭირებელი და პირველთაგან ყოფი.

სრულ უკეთ უსრულოთა შორის... და წინათვე პირველთაგან სრული სახე, რომ საღმრთო-ფელი უსახოთა შორის“.

ასე იწყება ეს დალაგება პირველმიზეზების შესახებ მოძღვრებისა, რომელიც მთელ მის დიალექტიკურ მოქნილობაშია გაკეთებული. აქ შეუძლებელია მთელი იმ ადგილის (9-11) მოყვანა, მაგრამ იგი არც ისე დიდია, რომ მსურველს მისი დაძლევა არ შეეძლოს. მთავარი იყო იმის მიგნება, რომ ჭრასტეს ბუნებას იმდროინდელ მთავარ პრობლემასთან დაკავ-

შირებით, ავტორმა ისარგებლა შემთხვევით და პირველმიზეზისა და მის მიზეზთა/სახელმძღვრებთან მიმართება ერთხელ კიდევ განმარტავს და მიგვითითა, რომ ამით შესახებ მის მიერ „სხუთა ადგილთა თქმულ არს“. რამდენადაც აქ ავტორი თვისების სახით შეხვედრულა მთელ სისტემას ალაგებს, აშკარაა, რომ გამოთქმა „სხუთა ადგილთა“ არ ნიშნავს რომელიმე ადგილს იმავე წიგნის — „საღმრთოთა სახელთათვის“, არამედ ცალკე თხზულებას, რომელშიც მიზეზებზე ყოფილა ლაპარაკი.

ეს იშვიათი ნიმუში დიოფიზიტ-მონოფიზიტური გამოვლენისათვის მიზეზთა შესახებ სწავლის პირველმიზეზისა შეუძინებელი დარბა მსოფლიო მეცნიერებას. პირველი მიზეზი — ღვთაება — „წესისა ზესთა დაშტაკებული საზომი არს არსთა და საუკუნეთა და თვით ზესთა საუკუნეთა და პირველ საუკუნეთა სიგეც საგსეთა შორის, უთქმელად — გამოთქმელად“.

იი, ამ წეს-წყობაში უნდაღისისა და უმდაბლესისა მიზეზებისა ზეენისაღმი მოვიდა კაცთმოყვარობისათვის და კვშიარტებისათვის იქმნა და მამაკაც იქმნა... რომელ უქცეველად და შეუტყვენელად მუხიარა ჩუენ და არარა ევეო ზესთა სისავსისა მისდა გამოთქმელისა და ცალთარისათგან“.

ამრავლად „ეგვიპის“ განკაცების პრობლემა ისმის და წყდება ავტორისათვის მიზეზთა ფილოსოფიის ნიადაგზე. უზესათვისის, ე. ი. პირველი მიზეზის, შეხებაში მოსვლა სხვა მიზეზებთან არადერს აკლებს მას! ამ გაგებით მთავარი მიზეზი ანუ ერთი თითქოს „ნაწილდება მჭევრად“ და ამით, — განაგრძობს ავტორი, — მრავალ-ნაწილებ თითქმის ყოფა ერთისა მის სიმრავლისათვის მის მიერ არსად მოყვანებულთასა“.

ეს განლაგება პირველმიზეზისა მრავალ მიზეზთა შორის არ ხდება ამ პირველთათვის რამე „ქუელის მოქმედების“ მოკლებით. ეს მოკლება არ ხდება ღმერთისადმიც. აქ სქონდა ავტორის ყველაზე ძნელი პრობლემა: ღმერთი მრავალსაზოვანი (ერთხელ მეტი სიმრავლეა) არ ნიშნავდა, მისი აზრით, ღვთაების ქვეყნის წესისათვის დაქვემდებარებას, ე. ი. მეორე პირი არ უნდა ყოფილიყო „უღარესი“ პირველთან შედარებით. აქაც ავტორმა მიზეზთა შესახებ „სხუთა ადგილთა თქმულ“ გამოიყენა, ამ დებულებას დაასკენის მით, რომ საღმრთო ზუნება არ განაყოფის, რჩება ერთობა-მძლე განყოფისა“. აქ აშკარაა რამდენიმედ მონოფიზიტური მიდრეკილება ფსევდო-არეოპაგელისა. ამით ცენტრი მიზეზთა შესახებ მოძღვრებისა, ცხადია, გადატანილ იქნა „პირველის ერთის“ სფეროში, რომელიც „არა რაით უღარეს პირველისა აქუს ღმერთებდასა ერთობა თვისა შემღვრამდ ერთისა მის განყოფილისა“.

არ შეიძლება ითქვას, რომ „პირველისა“ და „შემდგომთა“ ურთიერთობა საკმაოდ თანაზომიერად იყოს განცხადებული „საღმრთოთა სახელთათვის“ ავტორისაგან. მან უდაოდ დაარსული გვეყინაობა მიზეზთა მიმართების განხილვისა და განსაკუთრებული ყურადღება „პირველზე“ შეაჩერა, რომელიც უზემთაეს არს შემდგომთა მიმართ, და ამით დაარსების დიალექტიკური მთლიანობა, რომლითაც დაიწყო სწავლა მიზეზთა შესახებ, ე. ი. პირველისა“ და „შემდგომთ პირველისა“ შორის, ეს შინაგანი უთანაზომიერება და უთანამიმდევრობა აშკარა ჩვენს ავტორთან და იგი გამოწვეული იყო იმით, რომ პრაქტულ სწავლა მიზეზთა შესახებ, დიალექტიკური ბუნების შემცველი, გადატანილი იქნა ღმერთისმეტყველების ენაზე და ამით, როგორც ჰეგელი იტყობდა, დახინდა კიდევ (იხ. ჩვენი: პეტრელი“ შორის, დილოსთისის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, „მნათობა“, 1956 წ. 11). ძნელია იმის თქმა, რომ ესეველო-არეობაველში (პეტრე იბერმა) საბოლოოდ დეტალები, ე. ი. პირველის შემდგომად ერთის შეტრეველობის იდეა გამარჯვდა, რადგან პირველის ერთის ჩვენამდე და შემდგომთადმი მოსვლა კეშმარტებად აღიარა. ნათელია, რომ ავტორისა მიერ და არა შემდგომთა პირველის ცნება იქნა ნათლად გაანალიზებული და ამით მან უდაოდ მისცა საბაზისი შემდგომთათვის და, განსაკუთრებით, ქართულ მოაზროვნეს ითანე პეტრელის, აღვარება, რომ პირველ გადმოშვებს პრაქტულ „კავშირისა“ არ გაუთვალისწინებია „ტომითა თვისთა შორის“, ე. ი. ქართულ შვიგნობართათვის იმის განმარტება, რომელ პირველ არს პირველი: „პირველი თვისად მყოფთ, ღმრთაებასა შინა“ თუ „შემდგომთა პირველი“.

ითანე პეტრეში ლაპარაკობს პრაქტულ კავშირის პირველი გადმოშვების შესახებ, როგორც მიზეზთა შესახებ სწავლის გადმოშვებზე. მას არ მოჰყავს ამ შემთხვევაში სხვა არაფერა, ვარდა მიზეზთა შესახებ პრაქტულ სწავლას. ითანე პეტრეში აღნიშნავს, რომ თავის ტომს, ე. ი. ქართველებს, ვერ მიაწოდა, ამ დიდმა მცოდნემ, მოავარი, რასაც ისინი საკურობდნენო. ვერ განმარტა „პირველი მიზეზი“ იხე, რომ ეს განმოსდგომიდა ქართულ მწიგნობრობის სწორად ამ მხებთუ სხეულენში, როცა გადმოშვებულ იქნა საეკლესიო წიგნები ქართულად და, უოვლის უწინარეს, საპირთ შეიქმნა განმარტება „პირველისა“. დღეს ჩვენთვის არა, საპირთ იმ დეტალის გამოვლენა, — ქონდა ითანე პეტრეში მხედველობაში ქართულად პირველად პრაქტულ ტექსტის მიზეზთა შესახებ სწავლის გადმოშვების შინაგანი გაუმართაობა „პირველის“ ცნებისა თუ მხოლოდ მისი ახსნა-სწავლების „დახარება“ (ანარეცონა

სამხილი უცილობისა“). მასალის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ მას ესევე ქონდა მხედველობაში.

ყოველ შემთხვევაში, თუ ჩვენ ტექსტში იმ შედარებებს დავაკვირდებით, რომლებიც უკვე გავაკეთეთ (ქართული ფილოსოფიის ისტორია“, ტ II, თავი 3) აშკარაა, რომ ითანე პეტრეში ფსევდო-ღმრთისეს ტექსტის გადახედვაც დაუსახავს მიზნად, მაგრამ მხოლოდ მასში თანმიმდევრობის დადგენით, ე. ი. პირველის, როგორც „შემდგომთა პირველის“, დიალექტიკური გავების აღდგენით. პრაქტულს „კავშირისაგან“ ამოღებული აღვებებისა და „მიზეზთა წიგნის“ დღემდე შემონახულ ლათინურ ტექსტში ისეთი დებულებებია, რომელთა განმარტებით ითანე პეტრეში ნათელსა ყოფს პირველის, ღმერთის, საღმრთისა და სხვა მისთანათა დიალექტიკურ მიმართებას, რაც „საღმრთოთა სახელთათვის“-ის ავტორისათვისაც ნათელი იყო, განსაკუთრებით, დასაწყისში (II, 9 დასაწყისი), მაგრამ იესევის ბუნებაში „ღმერთობრობის“ შეტრევენლად“ აღაშინამდე მოსვლის დასამტკიცებლად დიალექტიკას დაპირისპირებულთა თანაზომრობა დაერტვა და დიალექტიკაც მოიშალა. ითანე პეტრეში ეს შეამჩნია და ფსევდო-არეობაველის (პეტრე იბერის) ტექსტის თანმიმდევრად გამოართვა დასახა მიზნად: საუკუნეთა „წმერთმდებარემ“ წიგნისა „საღმრთოთა სახელთათვის“ კვლავ იმისათვის დებულებაში: „რომოდ არის უწმერთს მარადიულობისა არს პირველ მიზეზი“. იგივე ეხება იგამოუთქმელს“ ანუ „პირველს“, რომელსაც აქვს „სიხეს გამოთქმული“, რაც „მიზეზთა წიგნში“, აგრეთვე პოულობს თავის გამოვლენას, იქ სადაც ლაპარაკია იმაზე, „რომ პირველი მიზეზი არს უწმერთს ყოველ გამოთქმისა“ (წიგნი მიზეზთა, წ 5). როგორც ირკვევა, დისავლეთის მეცნიერება არ უნდა შეჩერებულყო არაბულ თარგმანზე, საკითხი კიდევ უნდა ავლთა და გაორკეოდა დიდი პერსპექტივა, რომელიც მით არეობავისტული წიგნების შემქმნელამდე მიიყვანდა. რა თქმა უნდა, წიგნის — „საღმრთოთა სახელთათვის“ ავტორის არ დაუსახებია „მიზეზთა წიგნი“, როგორც მის მიერ დაწერილი. ეს შეტრებული იყო, რადგან როგორც ითქვა, ასეთი სახელწოდების წიგნი არც არსებობდა და მხოლოდ მე-13 საუკუნეში, ალბერტ დიდმა შემოიღო ასეთი დასათარტება. ჩვენი ავტორი მიუთითებს ნაშრომს, რომელშიც მის პრაქტულსაგან (იერთოების დახმარებით) გადმოშვდა სწავლა მიზეზთა შესახებ, რომლის ძირითად დებულებებს ატარებს წიგნი — „საღმრთოთა სახელთათვის“, მაგრამ გადმოშვდა მიზეზთა შესახებ ნაწილი — მოკლე, სულ 32

პარაგრაფი, და არა მთელი „კავშირნი“ პროკლუსი.

მას ადასტურებს სერგი რეზინელიც. უფრო ადრე ამასვე ადასტურებდა იოანე ერიუშენი (მე-9 საუკუნის ფილოსოფოსი, ავტორი წიგნისა — „განყოფისათვის ბუნებისა“). ამ განყოფის შესახებ რამდენიმეჯერ ლაპარაკობს წიგნის — „სახმართოთა სახელათვის“ ავტორი, როდესაც ის ერთს და პირველს ბუნებაში გაშლავს. განდენავს მსჯელობს, სერგი რეზინელიც, რომლის ზერეა გაცნობაც მიზეზთა შესახებ იმ სწავლს, რომელიც მან ამოიკითხა ფსევდო-დიონისესთან, იმავე ფაქტის მოწამეა, რასაც, უფრო გვიან იოანე პეტრიწი ადასტურებს ფსევდო-დიონისეს შესახებ.

იოანე პეტრიწის ცნობა, რომ მან ხ ე ლ მ ე ო რ ე დ გ ა დ მ ო ი ლ ო პ რ ო კ ლ ე ს წ ი გ ნ ი, ართულებს კვლევას მიზეზთა წიგნის შესახებ, რადგან მისი პირველად ქართულად გადმოღებას ადასტურებს, — ეს სიართულია მიზეზთა წიგნის დაწერასა და დამწერის გამორკვევის თვალსაზრისით. თუ რეზინელს მხოლოდ ბერძნულით შეეძლო მიზეზთა შესახებ წიგნის გადართმენა სირიულად, ქართულად (ამჟამად იოანე პეტრიწის განცხადებამან) იგი თვით ავტორმა გააკეთა, კამათი იოანე პეტრიწის სიტყვის — „კვალად გადმოღების“ შესახებ გათავებულად უნდა ჩაითვალოს მას შემდეგ, რაც იოანე პეტრიწი თავის ექსავოფილებს გამოთქვამს „პირველის“ ცნების ქართულთათვის, რომელთა მწიგნობართა შორის არა-

ვინ „აობდა მისი შემოღე“, განუშარტებლობისათვის და თეთონ იესრამ წიგნის შესარულება. ყოველად დაწვებულია, სიტყვა „კვალად“-ს სხვა მნიშვნელობა ჰქონდეს, გარდა „ხელშეორედ“-ისა. რამდენიმე მნიშვნელობის მქონე სიტყვის სხვადასხვაგვარ გამოყენებას არკვევს სააზროვნო სიტუაცია: საგანთა ლოგია მოითხოვს, რომ, თუ ერთმა საქმევერ შესარულა, მეორე მას „ხელშეორედ“ („კვალად“) აკეთებს და „ავგრთვე“. ეს გარემოება დასრულებულად უნდა ჩაითვალოს, თუ შეცნებრული და არა სხვა მოსაზრებით ეტყვმმძღვანელობთ.

გართულება, რომელზედაც ლაპარაკია, მდგომარეობს იმაში, რას უნდა ნიშნავდეს მიზეზთა წიგნის ისტორიის, კვლევის დროს ერთმანად ამოტივტივებული ფაქტი, რომ ფსევდო-დიონისე წერდა ქართულად. დასაუღეთის მკვლევართ კიდევ რომ შეძლებოდათ ამ ფაქტამდე მისვლა, ისინი დიდი საგონებლის წინაშე იგრძნობდნენ თავს: რას უნდა ნიშნავდეს ქართულ ენაზე წიგნის დამწერი ფსევდო-დიონისე? თექვსმეტი წლის წინათ დაუაყენეთ ჩვენ ეს საკითხი და შეძლებისდაგვარად პირობით ფორმაში კიდევ ეუბასუხეთ მას; (1942 წ.). თექვსმეტი წელი დასპირდა მთელი მასალის შესწავლა-შედარებებს და დღეს მსოფლიო მეცნიერებას შეუძლია დამშვიდებულ ბრძანდებოდეს, რომ ქართულად მწერალი ფსევდო-დიონისე საბოლოოდ და უდავოდ გამორკვეულია.



ეზნატე ნინოშვილის ენის ძირითადი საკითხები*

ისტორიული გრამატიკის თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე ფუძეთანმშობლიან საკუთარ სახელთა არქაული ფორმების დადსტურება ე. ნინოშვილის მოთხრობებში:

ელისაბედ, ზალიკა და თუთა შეექცენ ლაპარაკს: „ჯანყი გურიამი“, 59; იქვე: 7; 63; 69..

ამგვარი მაგალითები მრავალადაა პირველი სერიის ყოველგვარ ზმნასთან.

როგორც ცნობილია, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, თუ გვართან ერთად არ იხმარება, ამგვარი ფორმები ყველგან შეცვლილია სახელობითით ისე, როგორც თითოერთლა შემთხვევაში ეს ე. ნინოშვილთანაც შეინიშნება: ბერქენს **დავითი** სანდო კაცად მიაჩნდა: „სიმონა“, 191; **თამარი** ჩამობრძანებულა: „ჯანყი გურიამი“, 8. და სხვა.

არქაულად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ფუძემშობლიან სახელთა წოდებითის ფორმად შევლანა წარმოდგენილი **ოჯე** ნიშანი:

როსტომავ: „ჯანყი გურიამი“, 84; **კოზავე:** იქვე, 11.

შეინიშნება ნაცვალსახელთაგან წარმოებულ სახელებში ვითარებითისეული ფორმანტის დაკარგვის შემთხვევები:

„თქვენებურა დამიწყეთ საჩივარი“: „მოსე მწერალი“, 181; **„შენებურა დემიწყეთ ერთი ზუმრობა“:** „განკარგულება“, 212.

გურული დიალექტისებები დასტურდება ე. ნინოშვილის ნაწერებში სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოებაშიც, კერძოდ, გვარის სახელებთან სუფიქსის მრავლობითის ფუნქცია აქისრია „ირბ“ ბრუნებში და განსხვავდება იგი ფუძისეული სუფიქსისაგან **დანები** ტიპის სახელებში:

კალანდაძენთან (ბესარიონთან ან სისთან) მიდი ბათუმში და ისინი ყოველთვის გასწავლიან: კერძო წერილი, ტ. III, 77.

„უახანეს მარტო ნაკაშიძებთან ქონებათ შეტაკება, **ნაკაშიძენს** დაუძლეოდა და გაუძეცვია ყველაი... მერე გასწიეთ გურიანთას,

თავადი **ნაკაშიძენის** მამულში: **ნაკაშიძენმა** მოგვაგებეს კაცი“: „ჯანყი გურიამი“, 64-65.

რაც შეეხება საზოგადო სახელების ორმაგი მრავლობითის ფორმებს, აქ იგი წიგნური წარმოშობისაა, და გურულ დიალექტისზმთან გაიგვება არ შეიძლება:

თოვლით დაქუთულ **ხეებთ** შუა: „გოგია უიშვილი“, 128, უსაზღვრო მორჩილება გლებთან დიდრონი გვარის პირებთ და **უფროსებთ** წინაშე. „სოფლის გმირები“, 219.

(დიალექტური წარმოება ახასიათებს სახელთა ბრუნებისა და რიცხვის კატეგორიას, სახელდობრ: 1. მესამე პირის ჩვენებითის ნაცვალსახელში ხმოვანთა შორის იკარგება თანხმოვანი და ჩვენებითობას მარტოოდენ ხმოვნებლა ვაღმოსცემს: იგია იი: იი უვერულოც ძან მსუქანი უნდა იუოს“: „გოგია უიშვილი“, 129; „იი კუცია“: იქვე, 125; „მურას არჩობდენ, იი ოჯახდაქცეულები“: „სიმონა“, 201.)

2. აღნიშნული ნაცვალსახელი მრავლობითში ფუძედაა გამოყენებული მოთხრობითს, მიცემითში და სხ. თანდებულთან ბრუნებში.

აგინს დაახვედრე: **აგინმა** ძრიელ კარგი საქმე მიქნეს: კერძო წერილი, III, 85.

„თოფები **იგინმა** გვესროლეს“: „ჯანყი გურიამი“, 65.

ლანძღვა-უქმყოფილება უნდა ყოფილიყო **იგინხედ:** „ჯანყი გურიამი“, 91.

ამივე რიგისაა განსაზღვრებითა ნაცვალსახელის მრავლობითის გამოყენება ფუძედ და ხელმეორედ ბრუნება:

უველანს მოკითხვა: კერძო წერილი, III, 77.

ზოლო პირველი (და სხვა) პირის ნაცვალსახელს ე. წ. ირიბი ბრუნვის ფუძე სახელობითისათვის აქვს გამოყენებული და მრავლობითს — ებ სუფიქსით აწარმოებს. ეს მოვლენა სხვა დიალექტებშიცაა შეინიშნული:

ყველა ამაყთან ერთი კარგი თვისება ჰქონდა: „ჩე. ქე. რაინდი“, 133.

3. დიალექტისზმადვე მიიჩნევა თანდებულთან ნაცვალსახელს სოქმედებითში ხმარება, აგრეთვე ვითარებითის ფორმის გამოყენება — თვის თანდებულთან თათხაობითის ნაცვალად:

ეს დიდი გაბედება **ჩემგნით:** კერძო წერილი, III, 71.

* ივ. გიგინეიშვილი, ი. ბ. სტალინის მოძღვრება საერთო-სახალხო ენისა და დიალექტების შესახებ: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, III, 1952, გვ. 495.

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 6.

თქვენდაც კარგა იქნება და ჩემდაც: იქვე, 81.

4. ყურადღებას იქცევს კონტამინაცია ურთიერთობის ნაცვალსახელში ერთჯამეთი, რომელიც შეიცავს თანხმობის მონაცვლეობის (თქვე) იშვიათ ნიმუშს: ერთმანეთი > ერთჯამეთი: ერთჯამეთი. „უნდა... ჩვენ ერთჯამეთის შეგვატაკოს“; „ჯანყი გურიამი“, 42.

თანამედროვე გურიამი უკვე ძნელი შესამჩნევია-დამ თანდებულის ხმარება, თემა როგორც ისტორიული საბუთების მასალებიდან წანს, წინათ იგი გურიამიც ფართოდ ყოფილა გავრცელებული, ზოგიერთ ზნისმართულ გამართლებებში აქამდე დღესაც არის შემორჩენილი (იტყვიან: წინდამ-წინდამ). ვტიკრობთ, ენოლოგიული თავის კარგსონდენეებში იყენებდა ხალხში მის დროს ჯერ კიდევ გავრცელებულ ფორმებს თანდებულებისას — დამ, მოღმა: ხმა გურიამი; აღგებულა მისი სხენება ამიერ ქვეყნიდან; სადამ მოგვივა: ე. ნინოშვილი, III, 25, 26, 36.

„მას მოღმა რა უყვეს, ვერ შევიტყვეო“; „მოსე მწერალი“, 203. იგივე ითქვის — ებრ (>ებ) თანდებულის შესახებ, რომელიც საკმაოდ გავრცელებულია გურულ ცოცხალ საუბარში — ვით თანდებულის მნიშვნელობით: საუფრისაებრ ვასმოდამ... ირმის ღმელი: „ჯანყი გურიამი“, 82. სიმონსაებრ: იქვე, კვირნასაებრ: იქვე, 14. სატრფოსაებრ: „სხვამ რაც უნდა თქვას“, 207. სიმონსდღუღე: „ჯანყი გურიამი“, 51.

გარდა და მეტ თანდებულებს კონტამინაციური დიალექტური ფორმა შენგამეტს (-შენს გარდა, შენს მეტს): „შენგამეტს არ დამართია იმისთანაი, თუჲ“; „პარტახი“, 66, 67. სხვათა შორის, ამ ბიტყვის ხმარებასაც კარგა ხნის ისტორია აქვს ქართულ ისტორიულ საბუთებში, რომლებშიც მრავალი ხალხური ფორმაც შემოგვიჩანავს. მიუხედავად სახელთა ბრუნების შედარებით სიმპოტივისპართულში, ე. ნინოშვილის ნაწერებში შემოგვჩანს ზოგი ისეთი რამ, რასაც დღევანდელ ხალხურ საუბარში ძნელადღა დავადსტურებთ და ამდენად მათ ხმარებას გარკვეული ისტორიული მნიშვნელობაც აქვს.

როგორც ცნობილია, ქართული ზმნის შორფოლოგიური სტრუქტურა მეტად საინტერესო და თავისებურია. ქართულ დიალექტებში ზმნური ფემის წარმოება და გრამატიკული კატეგორიების გამოხატვა კიდევ უფრო რთული და მრავალფეროვანია, ვიდრე სალიტერატურო ენაში.

ზმნის მორფოლოგიას ევან. ნინოშვილის ნაწერების მიხედვით რიგი დიალექტური თავისებურება ახასიათებს. ჩვენ აქ აუცილებლად არ მივგანანია შეჩერდეთ ზოგიერთ ამ თავისებურებაზე, რომელიც ძალიან საინტერესოა იდეს-

შე ყოფილიყო გერულში და რომელიც ე. ნინოშვილის ნაწერებში ან რელაქტორ-გამომცემელთა ნახელავს წარმოადგენს, განდამ: [კაზუგადუდ ასახავს იმდროინდელი სალიტერატურო ენის უხუხს; ამგვარი ფორმების უმეტესობა ენგურის გზით აქვს მწერალს შეთვისებული; — სუფიქსიანი ფორმების ხმარება თურქოპოლითებში (უყი დნი ა: „სიმონა“, 192; ე მოკმეღნა: „ჯანყი გურიამი“, 107); — ნენ დაბოლოება მრავლობითში კკონიყო ტიპი მეორე თურქოპოლითში; ნამყო წყვეტილის ფემის გამოყენება გარდაამავალ ზმნათა მეორე თურქოპოლითში (დებანაჲთა: „ჯანყი გურიამი“, 92; თოდისათვის მოკეიღა ხელი: იქვე, 37 დეაიწყა: „ქრისტინე“, 45); და სხვა. შეიძლება იქ ურადღება მიქცეოდა მეორე სერიის ფემისაგან ნაწარმოები პირველი თურქოპოლითის ფორმებს, მაგრამ ასეთი მაგალითები ძალიან ცოტაა: მოკეიღა (=მოკიდება) ცეცხლი: „პალიასტომის ტბა“, 167; ხავსი მოკეიღა: პარტახი, 15. აქ შეჩერდებით მხოლოდ სუციფიკურ და ე. ნინოშვილის ენისათვის ტიპობრივ დამახასიათებელ მოვლენებზე.

ამ მხრივ უყვალავ მეტი თავისებურებით ხასიათდება ზმნის მესამე პირის ფორმები მრავლობითში. როგორც ცნობილია, სალიტერატურო ქართული მეორე სერიის ნამყოში მესამე პირის მრავლობითის გარდაამავალ ზმნებში — ეს სუფიქსით განარჩევის გარდაამავალ ზმნათაგან, რომელიც — ენ დაბოლოება მოუღის. გურულში ასეთ განჩევას ადვილი არა აქვს — ორივე შემთხვევაში — ენ დაბოლოება იხმარება. ამას ვადსტურებთ ე. ნინოშვილთანაც: ისე დაფაცურდენ და იზრუნენ ჩვენთვიან: კერძო წერალი, III, 78.

„თქვენისთნა კაცებს მინც კი შეუქლია, რაც შე, ში ყუენ, იმისი ატანა: „კაცი და გუნება“, 60 (ასეთი მაგალითი მოლოდინის წინააღმდეგ ბეგრი არაა).

ასეთსავე მეორე თავისებურებას წარმადგენს უნიფორმაცია: სუბიექტური და ობიექტური პირების მრავლობითის გამოხატვა ერთი დიმივე — ენ სუფიქსით. ფუნქციით იგი ასეთ შემთხვევაში სალიტერატურო ენის — თ სუფიქსის ტოლფარდი სუფიქსია, ყველგან გამოხატავს გრამატიკული ქვემდებარის რიცხვს. გურული ამ შემთხვევაში იმენს განსაკუთრებულ როგიერ თანმიმდევრობას: დრო-კალთა სამსახე სერიაში როგორც გარდაამავალ, ისე გარდაამავალ ზმნებთან ერთი და იმავე — ენ, resp — ან სუფიქსით გადმოგვექმს სუბიექტის მესამე პირის რიცხვს: ნახავ-ენ, ნახ-ენ, უნახავ-ენ; გასპირევიენ (გასპირევიათ), გაუპირდენ (გაუპირდათ) გაუპირდებთან (გაუპირდებთან), ისტორიული გრამატიკის შესწავლის თვალსაზრისით ეს საუფრადღებო ფაქტია...

სალიტერატურო ენაში ასეთ შემთხვევაში

მესამე პირის სუფიქსს ერთვის მრავლობითის სუფიქსი, გერულსა და მის მომიჯნავე დიალექტებში (აჭარულ-იმერხულსა, ქვემოიმერულსა და ნაწილობრივ ლეჩხუმურში) კი ეს ალტერინაციური პრინციპი დარღვეულია, — ენ სუფიქსს ორივეს ითავსებს, ამგვარად: წყენ-ე-ნ-ს წყენ — თ, უჭირ-ა-ე — ენ — უჭირ-ა-ე — თ, აჭვენ — აჭვთ:

გარდაუვალი ზმნებში, აწმყო: „ვტყობ, წყენენ ჩემი მისლა“: „პარტახი“, 26, 7.

„ბჭებზე რო უჭირვენ თვალები: იქვე, 42, 8.

დღესაც დიდი ამბავი აჭვენ ამ საქმეზედ: კერძო წერილი, III, 73.

„რაც გინდოდენ, გისრულდებიან“: „ჯანყი გურიაში“, 103.

„ალბათ ჩემი ტყიდან დათხოვნა უნდოდენ“: „მონადირე“, 121.

„ღედავ, ავირა მოაქვან“: „ჯანყი გურიაში“, 85.

დეკანოზს და მასთან ერთსულად შექმნილ ინსპექტორს სწავლა ამ პროგრამით მიუყვანა: კერძო წერილი, III, 72.

„რა გაუხარდებიან ახლა შენი მოსვლა“: „ჯანყი გურიაში“, 28.

ნამყო წყვეტილი, 11 კავშირები:

„არ ეყვენ, შარშან რომ დაგეაძვრეს ტყავი“: „გოგია უიშვილი“, 127.

„მერე რალა დაემართენ (გლეხებს)“: „ჯანყი გურიაში“, 118.

რომ წავიხებო არ გაუჭირდენ: კერძო წერილი, III, 77.

ქალები შიშის ქვეშ ჰყავდა ქალბატონს... „კაცი არ შეგვხონო“: „ჯანყი გურიაში“, 23.

გარდაუვალი ზმნებში, მესამე სეზონი:

„დილას კი უტახენათ აქეთ-იქით, ვერ უნახავენ: ბერები კაცი დაუჭირავენ და წაუწყვან იან ოხრეგებს“: „ჯანყი გურიაში“, 118; იქვე, 102, 69.

„სხომის რამდონი უთქმან, მარა არც ერთზე გული არ შექმნია“: „პარტახი“, 14, 20. იქვე, 65, 7.

ზმნის მორფოლოგიური კატეგორიებს წარმოების თავისებურებიდან ე. ნინოშვილის ნაწერებში ყურადღებას იქცევს ენებითი გვარისა და კუხატეის (შუალობითი გზის) დიალექტურ ფორმათა ზმარება. ახალ სალიტერატურო ქართულში დიდი ხანია დამკვიდრებულია ენებითი გვარის ზმნებში მცირეოდენ გამოყვანილს გარდა აწმყოს დამახასიათებელი — ებ სუფიქსი: ლუპავს: ი — ლუპება, ე — ლუპება. ე. ნინოშვილის ნაწერების მიხედვით ჩანს, რომ გერულში მის დროსაც იმარჩებოდა არქაული, — ებ

ნიშანდურთველი ფორმები: ლუპავს: ი — ლუპავსი:

„გვიბარვი აქედან, დევიკარქვი“: „პარტახი“, 47, 27; „პალიასტომის ტბა“, 189. „ჯანყი გურიაში“, 79.

„მაშინ ყველაი და ილუპავის: „მოსე მწერალი“, 201.

„ჩემი ხომ არ გეშინია, რომ მემალვი?“: „ქრისტინე“, 18.

ამავე ენებითებში — დ სუფიქსი ზოგ ზმნურ ფუძესთან ჯერ კიდევ არ იმარება: აბა მერე ნახე, თუ შეგეშინოს“: „ქრისტინე“, 42; „არ შეგეშინა“: „განკარგულება“, 213. მაგრამ ნასახელარ ფუძეებთან ენებით გვარში — დ როგორც მანს, ძალიან გავრცელებულია:

გაუღიმდა: „ჯანყი გურიაში“, 11. იქვე, „დაფიცდა იქვე, 12. გაუშასლაათ და იქვე, გურული დიალექტიდან არქაული სახით არის შესული ე. ნინოშვილის ნაწერებში კუხატეის ფორმათა წარმოება. ძველ ქართულში დადასტურებულია შემთხვევები ამ კატეგორიის მარტივი, ოდენ ა. — ევ აფიქსებით წარმოების: ხნავს: ა — ხნ — ევ — ს... ეს წესი დღემდე შემოინახა ხვესტრულმა, და გერულში სადაც თანამედროვე სალიტერატურო ქართულს რთული წარმოების ნაცვლად (მდრ. იხდის: ა — ხნ — ევ — ინ — ებ — ს...) უფრო მარტივი, — ევ სუფიქსიანი წარმოება გვაქვს: ვადაახთი ებს, ვადაახთი ა-გადაახ დევი ებს, ვადაახ დევი ებს:

„ფულს არ ვბდამახთი ებენო“: „მონადირე“, 121.

„ვიცხას მომავლი ებს“: „პარტახი“, 6, 12.

„ჯერანს შეართვიეთ ღიზო“: „პარტახი“, 27, 7; იქვე, 24.

„კრინტიც არ დაამტრია“: „ჯანყი გურიაში“, 112.

აქვე თავს იჩენს ახალი დიალექტური ფორმა: „ჩააჯღინეს სატესალოში“: „მონადირე“, 121.

ძველი სალიტერატურო ქართულს ნორმად ითვლება, ხოლო დღევანდლამდე გერულსა და ზოგ სხვა დრექტის დაუთავს — ავ სუფიქსიან ზმნათა ნაყოფი უწყვეტობის ამგვარი წარმოება: წვავს — წვიდა... ფაქტი შემოუნახავს ე. ნინოშვილის ნაწერებსაც:

„ასე გვერნია, თუ ჩვენ ხელს საქმე დასწვიდეს“: „ჯანყი გურიაში“, 55.

ორიოდ სიტყვა-უნდა ითქვას ე. ნინოშვილის ნაწერებში ზმარებული ზმნური ფუძეების შედგენილობაზეც, თემატური სუფიქსების თავისებურებაზეც. ამ ძველი ფორმებიცაა შემორჩენილი და ახალი, დიალექტური ნეოლოგიზმებიც და-

1 შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1953, გვ. 370.

ტურდება. ასეთი დიალექტური ნეოლოგიზმია, მაგალითად, ისინი სწუხან მნიშვნელობით: „იგინეც წუხარიანი“: „პარტახი“, 53, 23. აწმყოში მოსალოდნელი — ობ, — ებ სუფიქსები არ დაერთვის და ჩქარობს, ათხოვებს ნაცვლად ნახშირია: ის ჩქაროდა: „პარტახი“, 48, 15.

ქალს და ახლა სხვაზე ათხოვენი“ იქვე 28, 14. „ეოლი და ქმარი“, 2, 33

„ვერ დავეთხოვი ვიცი მუუქარებელი ხარ, მარა მიინც ვერ დავეთხოვი“: იქვე, 60, 3.

სამაგიეროდ — ებ ნიშნინია უნდა ზმნის აწმყოს ფუძე (უპირატესად შრავლობითის ფორმებში) : უნდებ-ი-ენ; „პარტახი“, 32, 12. იგი ცვლის მხოლოდობის სუბიექტობრივან აღწერაობითის ფორმებს: უნდებ-ე-ა; „ქრისტინე“, 21 (მღრ. უნდებარ...), აწმყოში ძველი დაბოლოება აქვს შემორჩენილი დგან, რთუა ამ ფუძეებს: დგან-ა (დგან-ს), მიათუაშს (მიათუაშეს). „დგანა იგი შავრიოზი“... პარტახი, 18, 2 „მე ფულს... მოგართუ მენ: „ჯანყი გურიამი“, 100.

თავისებური სუფიქსაციით ხასიათდება რიგი ზმნური ფუძე, სალიტერატურო ენის ერთ სუფიქსს უპირისპირდება სხვა, ანდა მეტია მასთან შედარებით რომელიმე თემატური სუფიქსი.

თუ იმას ფიქრავთ: კერძო წერბილი, 111, 81. „აღარც ერთი არ დაგვხიენიაო“: „ჯანყი გურიამი“, 50.

„აედუქი და მივეუტრეე მისი სადილი“: „სოფლის გვირგვინი“, 218.

ამას გარდა, უძველესი და — თ თავსართიანი ზმნური ფუძე გვხვდება იქ, სადაც სალიტერატურო ენაში რ თავსართიანი ფორმებია გავრცელებული:

„ქალი სახელათ ღიზას... დეითქვეამს“: „პარტახი“, 32, 2. იქვე, 50, 24.

საარვისო ქვეყნის ძველა ფორმითაა ნახშირი ზმნა მადლოდე (მღრ. ძველი ქმადლი ს): „ისე წაეა შენი ცხოვრება, რომ ღმერთს მადლოდე“: „პარტახი“, 537.

„შეტყველების სხვა ნაწილებიდან თავისებურებას იჩენს მეტონი ნაწილაც, რომელიც გურულში ე. ნინოშვილის ნაწერების მიხედვითაც, მეტონს სახით დასტურდება. ავტორის ენაში შენიშნულია აგრეთვე ქმ ნაწილაცის ზმარება.

„რომელი თავადიშვილი ბძანდები — მეტონ, ვითხვ; ავი რა ნამუსია — მეტონი“: „სოფლის გვირგვინი“, 218. ეს თითქოს არც ქმ დაკლებია: „ჯანყი გურიამი“ 84.

ნინოშვილის ნაწერებში შემორჩენილია „...ის ძველებური წარმოება ზმნისართებისა,

თუშეცა იგი ძალიან სახეცვლილია და შემორჩენას მოითხოვს გურულში მისი გავრცელებისა და ისტორიის საკითხი. ასეთენია: ცოცხლი ითაი: „პარტახი“, 43, 22; წუხარია: „პარტახი“ დოთაი „აკოა და გუნება“, 59. და სხვ.

სინტაქსი. ე. ნინოშვილის მოთხრობების წინადადებათა სინტაქსური წყობა შედარებით მარტივია) მცირეოდენ გამოჩაყლის გარდა, იქ არ გვხვდება შეუფერებელი და ზერტული პერიოდები, მათი ადგილი ნორმალურ პარტაქსულ და პაპტაქსურ კონსტრუქციებს უჭირავს. მაგრამ უნდა აღინიშნოს ის ვარაუგობაც, რომ უეტყესი სინტაქსური დამუშავებით აშკარად გამოირჩევა ბოლო პერიოდის მოთხრობები, სადაც უფრო ზომიერადაა გამოყენებული გართულის ენებრივი სინტაქსური შესაძლებლობების ესა თუ ის სახე, ვიდრე პირველი წლების ნაწერებში. საგმარისია ამ მხრივ შევადაროთ „ჯანყი გურიამი“ და „სიმონა“. პირველში კარბობს ერთფეროვანი წყობა, მეორეში ზომიერადაა გამოყენებული სხვადასხვა კონსტრუქციები. საზოგადოდ მისი მოთხრობების უმეტესობაში შეიძლება დავადასტუროთ იმდროინდელი სალიტერატურო ქართულის განვითარებისათვის დამახასიათებელი რიგი სინტაქსური ნორმა. საყურადღებოა, მაგალითად, რა (ჩვეულებრივ, რომ კავშირთან ერთად), შედარებით მინამ (II ენიემ) და დამატებითი თუ კავშირების შემცველი დამოკიდებული წინადადებები, არქაული მოვლენები სახელთა მართვაში, როცა შედარებითი ხარისხის ფორმა ნათესაობის მოითხოვს, და სხვა: 1. ...დადიხა სიმონმა, რა დახედა ბესიას წყულზე: „ჯანყი გურიამი“, 65.

გაისმა ძახილი, რა რომ ცოტადონთ სიმღერა და თოფის გრაილი შეჩერდა: იქვე, 39, 42.

2. პაღისატომის ტბა უფრო მის მახლობლად მდებარე მთებიდან მოწარტეტსა და დაბლობში შეგროვებულ წყალსა ჰგავს, მინამ მიწის ძვრისაგან ამონახეთქსა: „პაღისატომის ტბა“, 160. იქვე, 69.

3. „ისე გეგონია, თუ ჩვენს ზელს საქმე დასწვიდეს“: „ჯანყი გურიამი“, 55.

4. „ჩვეულუბა რჯულის უმტაცესიო“: იქვე, 55; „მისი უარესათ მღერის თუ“: იქვე, 45; „პეტრიაის უწინ თქვენ მოკვებით“. იქვე, 47.

სწორედ ამგვარი ორდინარული მოვლენების წყალობით შედის ე. ნინოშვილის ნაწერები ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში. მაგრამ ამათ გვერდით ე. ნინოშვილს, ნებსით თუ უნებლიეთ, ნახშირი აქვს რიგი დიალექტური სინტაქსური ფორმა, რომელსაც ზოგჯერ გამართლებაც არა აქვს. გურული დიალექტიზმები ავტორისეული ენის სინტაქსშიცაა, დიალექტიზმები ყველაზე უფრო თვალში საცემია მართვისა და შეთანხმების სინტაქსურ ურთიერთობაში:

1 ე. თ. ო. ფ. რ. ი. ა. დ თავსართიანი ზმნები ქართულში: თბილისის უნივერსიტეტის — შრომები, ტ. 25, 1932 წ., გვ. 147-151.

1. გარდამავალ ზმნასთან მეორე სერიაში ქვემდებარე მოთხრობითის ნაცვლად სახელო-პოეზია. ეს ტენდენცია ყველაზე უწინარეს გერულში შეინიშნება:

სალამოს შიანი კლდე სიცივე მოატანა: ზვენი ქვეყნის რაინდი, 125.

შტ. დაღამდა. თან სიცივემ უფრო მოატანა: იქვე, 138.

მოაწია ძილის დროც: იქვე, 30. ასევე: „სიმონა“, 203; „გოგია უიშვილი“, 138.

2. კიდევ უფრო გავრცელებულია საპირისპირო მოვლენა: გარდაუვალ ზმნასთან გერულის ნორმის მიხედვით ქვემდებარე ნამყო წყვეტილის ფორმებთან მოთხრობითშია. საქმე ისაა, რომ ეს წესი ურველთვის არ წარმოადგენს პერსონაჟის დასათავების ხერხს, იგი ხშირად გვეხვება ავტორის ენაშიც:

შესამე მკითხვემცა, მებანქოვმაც კი, პირველი ორი შკითხვის სიტყვას შიემოქმაც: „პარტახი“. 19, 3.

ღიანკი პირით შეეხო ჰიქას: იქვე, 23, 21. უღისაბედა თავისებურად ჩაუნიდა რძალს: იქვე, 37, 11. ასევე: 40, 5; 26, 28; 33, 18.

...უპასუხა გულმ და სიხარული აღტაცებში მოსულმა შეუძღვა გიორგის სახლი: „ჯანუ გურიაში“, 28. იქვე, 40; 60; 44; 42; 35; 103; 107...

...დატრიალდა ამ ბიქმა ცოფიანსავით: „კაცია და გუნება“, 60.

3. მრავლობითი რიცხვის ფორმით გადმოცემული ქვემდებარე ვერ ითანხმებს შემასმენელს. ამ მხრივ გერული (იმერულთან ერთად) ნაწილობრივ იმარჩუნებს ძველი ქართლის ნორმას, თუმცა აქ საკმაოდია სხვა სინტაქსური ნეოლოგიზმებიც, რაც უნიფორმაციისადმი მიდრეკილებას მიეწერება.

ჩვენებური დარაჯები ჩამოეცალა (სიმონას): „სიმონა“, 202.

„ნაკაშიძენს დაუძლევი და გუქვეთა ველოი“: „ჯანუ გურიაში“, 64.

„არც იგინი ჩანს“: „პალიასტომის ტბა“, 170.

4. როცა წოდება-თანამდებობის აღნიშნული სახელი სახლერელად არის გამოყენებული, იგი ვერ კლდე შევლებური ნორმით (და არა ფრმით, როგორც ეს დღევანდელ ქართულშია) უთანხმდება სახლერულს ბრუნავში:

თავადი დადიანის სახელზე: „ჯანუ გურიაში“, 77. თავადი NeNe-ის სასახლეში: იქვე, 70.

სიტყვაწარმოება. ე. ნინოშვილის თხზულებებში რიგი ახალი წარმოქმნილი სიტყვა გვხვდება. ქართული ენის ისტორიული ლექ-

სიონის მასალებთან შედარებით ამ სიტყვების გამოყენება და შესწავლა-შეფასებე მთავალის საქმეა ისევე, როგორც ქართულ ენის სიტყვაწარმოების ბეგრის სხვა წარმომადგენლის სიტყვათშემოქმედების ხერხებისა და მოცულობის შესწავლა. აქ სახელდახლოდ უფრადლებს იქვეცს რამდენიმე მაგალითი, რომელიც მიუხედავად მისი წარმოშობისა, ე. ნინოშვილის ენისთვის დამახასიათებლად შეიძლება ჩაითვა-

ლოს. პირველი — ესაა რთული სახელების წარმოება. ამოთან ზოგიერთმა საინტერესო განვითარება განიკადა:

ორთქლით შავალი ლიანდაგიდან გადავარდა: „განკარგულბა“, 211.

დათოფიარალეზული კაცები: „ჯანუ გურიაში“, 80; „ბესია არ შეშინაყმე: იქვე, 73. კერძოხევეა ზამსაიკე-მიკოთ აღარ შიანდათ: იქვე, 69.

ქართული სიტყვაწარმოების საერთო წესების შესაფერისად აქვს შწერალს ნაწარმოები ზოგიერთი ფუძიდან რამდენიმე ახალი სიტყვა, როგორცაა: ყოყმანა: „ჯანუ გურიაში“, 90; საყბო: იქვე, 5. „თამაშეს „მეზობლობა“: „უცნაური სენი“, 147.

გვეხვება დიალექტური წარმოშობის რამდენიმე საინტერესო ფორმა მიმდებარეობაში და ამტრატულ სახელში: მიმკეღარეზული: „ჯანუ გურიაში“, 37; შემყუჩადენი: იქვე, 24. სიმოხუცემ ვერ აღებინა... ხელო: „სოფლის გმირები“, 217. გულოს... წაუვიდა ველო და კარგა ხანს თავადი და მისი... მუღლე დარჩენ.

მაგრამ ეგნ. ნინოშვილის სიტყვაწარმოებითი ხერხებისა და თავისებურებების შესწავლისას მთავარ ყურადღებას სხვა მხარე იქვეცს: ეს არის სუბიექტური დამოკიდებულების გამოშატველი აფექსები. ავტორი ძალიან ხშირად ქართული საერთოეოვნული ლიტერატურული ენის კეთვნილ სუფიქსს თავისებური ხალხური შეფერილობით აცხოველებს. რითაც მას მეტ ექსპრესიულ ძალას ანიჭებს. განსაკუთრებით გარდელია ამ მხრივ კინოზიტობის გამოშატველი სუფიქსთა გამოყენება, რაშიც საალერსო-მოფერებითი ნიუანსი შეეკლილია ზიზღისა და დამციკების მიხედვებით, შეურაცხყოფელი ფორმებით. ამით ე. ნინოშვილი ეწეოდა ამგვარი სიტყვაწარმოებელი აფექსების ერთგვარ აქტიუზაციას და აძლიერებდა ამ აფექსების შემოცველ სიტყვათა სტილისტიკურ-სემანტიკურ შესაძლებლობებს.

გარდა იმისა, რომ ე. ნინოშვილი საგანგებო სიტყვებსა და გამოთქმებს ურჩევს სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებს ერთმანეთთან დამოკიდებულების საჩვენებლად, კლასობრივად დამირისპირებული საზოგადოების ადამიანთა სოციალური ურთიერთობის გამოხატვას იგი სიტყვაწარმოების საშუალებათა

1 ა. შანიძე, ზმნათა გარდამავლობის საკითხისათვის ქართველურ ენებში: საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. 3, № 3, 1942, გვ. 475.

თავისებური გამოყენებითაც გვინიშნებს. ცნობილია, რომ „ფიქსისაც შეუძლია კლასობრივი დამოკიდებულება გარკვეული მოვლენებისადმი გამოამჟღავნოს. ასეთ შემთხვევას წარმოგვიდგენს კინობითი ფიქსები, როცა ისინი ადამიანთა სახელებს ერთიანი: დათი—დათია, დათიკელა... ეს ცხადი ნიშანია იმისა, რომ ამ სახელის მატარებელი სათანადოდ არის დახასიათებული და ეს საზოგადოებრივი კვალიფიკაცია ცხადყოფს, რომ ის არ ვუტყუნის გაბატონებულ წრეს; ისტორიამ არ იცის არც ერთი შემთხვევა, რომ რომელსავე ქვეყანაში რომელიმე მეფეს რქმევდეს „ნიკოია“, „პეტრია“, „დათია“, „ივანია“. მათი საზოგადოებრივი მდგომარეობა უზრუნველყოფდა მათ სახელებს ასეთი სუფიქსების დართვისაგან. და ეს ნიშანაც; ასეთი სუფიქსების დართვა ადამიანთა ოფიციალური სახელებისათვის თითქმის ყოველთვის ამ სახელის მატარებლის რეალურ კვალიფიკაციას წარმოადგენს“ 1.

ე. ნინოშვილის ნაწერები ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა. შეიძლება ითქვას, რომ ავტორი ზუსტად იცავს ისტორიულად დამკვიდრებულ და ქართულ დოკუმენტებში ფიქსირებულ წესს სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისათვის სახელის წოდებში. სილესტრაციოდ მოვიყვანო ნიშნებს ერთ-ერთი ისტორიული საბუთიდან, რომელიც თარიღდება 1821 წლით:

„მანეთი აზნაურის სვიმონ ნხიძის ყმა ივანია ცერცვაჲმ გარდხიდა; აზნაურის ლევან საყვარელიძის ყმანის (sic) გარდასახდა; სვიმონია ფერაძეს გამოვართვი... დენის ფასი; აზნაურის პატატა ცქიტოშვილის ყმის გარდასახდა; პატატელა გვრვენიძეს გამოვართვი... დენის ფასი. აზნაურ ივანე საყვარელიძის ყმა გარდხიდა; ივანა არსენაძეს გამოვართვი. როსტომ ცქიტოშვილის ყმა და ვითელა აბულაჲმ გარდხიდა“ საქ. მეცნ. აკადემიის ზელნაწ. ინსტიტუტის ფ. Hd. № 3921.

ამგვარადვეა ნინოშვილთანაც: ასე თუ ისე დაწინაურებული, მაღალი სოციალური მდგომარეობის პირები ჩვეულებრივ სოლიდურ სახელებს ატარებენ და გვქვს: დავით, ლევან დროიძე („სიმონა“), აზნაური ბეჟიაშვილი („ქრისტინე“), ტარელ შვალაძე („ჩე. ქვეყნ. რაინდი“), კოტე მამალაძე („უცნაური სენი“), ხოლო სოციალურად დაბნელებული, ძალ-მიმტრებით გადათლილი, გაქირავებული პლე-

ხობა ყველასაგან დამკირებული სახელებით იხსენიება უფროსისაგანაც და ტრადიციულად: ვილამ ჩახველა ქისკარტაძე, 1871-1876-ელაო — დაიძხა: „განკარგულება“, 210.

„მამე, ხევი ევანიაკა რომ აქ, იმას ქვეა“: „პალისტომის ტბა“, 165.

„ამისა ამოვარჩიეთ აზნაურებში ევანე და შენ, ყაძახებში — ბესიეი, პეტრეი, ათარმიზიო“. „ჯანუი გურიანი“, 10.

ამგვარადვე: გაბრიელა („უცნაური სენი“), ოსიკელა, გიგოია, პეტრეილა, მასიკელა („პალისტომის ტბა“), სიმონა, პავლია („სიმონა“), დათია („ქრისტინე“), ბესიკელა, ლევანია, დათიკელა („კაცია და გუნება“), ბეჟანა („სიმონარე“) და სხვა.

ამასთან დაკავშირებით ისიც საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვაწარმოების თანესებური ხერხების გამოყენებით ე. ნინოშვილმა შექმნა მთელი წყება გამოგონილი გვარებისა, რომლებიც თავისთავად პირობითი მეტსახელებია, მაგრამ უაღრესი ექსპრესიული ძალისა და ემოციური ზემოქმედების მქონეა. ზოგიერთ შემთხვევაში ასეთ მეტსახელებს თითქმის ნატურალისტური საწყისიც ედება საფუძვლად, მაგრამ სინამდვილის მოვლენათა წარმოდგენას და დახასიათებას იგი ყველაზე უფრო მძაფრად დარეალისტრად ემსახურება, გარკვეული კონტექსტის სემანტიკურ და სტილისტიკურ ძალას განსაყუთრებით აღიღებს. გვარ-სახელთა წარმოების ამ პრინციპით ე. ნინოშვილი შეიძლება შევადაროთ დიდ რუს კლასიკოსებს — გოგოლსა და ხალტიკოვს—შენდრინს, რომელთა სიტყვათმომჭიმებებს რუსული ენისა და სტილისტიკის ისტორიაში გამსაყუთრებელი ადგილი უჭირავს.

ე. ნინოშვილის მიერ შექმნილი და გამოყენებული გვარსახელები წარმოების პრინციპების მიხედვით შეიძლება სამ ჯგუფად გავყუროთ: ერთში ნათლადაა გამოხატული იმდროინდელი საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის მდგომარეობა. აქ ჩანენ მებრძოლი გლეხის ტიპები, რომლებიც ძალადობას და უკანონობას ძალსევე უპირისპირებენ, წინააღმდეგობას უწყვენ (მალამე: „სიმონა“), ანდა ვაი-უბედურებასა და გაჭირვებაში ლევან თავის ღარიბულ სოციალურს, აქტორი. პროტესტის გარეშე (ი. შვილი: „გოგოია უიშვილი“; მ. ე. ჯამე: „განკარგულება“; ხ. ლ. მ. კ. ლ. ე. „ქრისტინე“); ცხოვრების უკუღმართობამ მათ დამკირებუ და სიმწარე არგუნა, გაუხარელი წუთისოფელი შექმნა (მ. ც. ი. შ. ვ. ი. ლ. ე. „ჩე. ქ. რ.“; ჩამწარდაძე: „უცნაური სენი“; უნათლო-შვილი: „მოცა შვირალი“). ასეთია ამ გვარების ეტიმოლოგია.

1 იან. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, პრაქტიკული ნაწილი, 1, 1939 წ., გვ. 165—186.



ინხილ პენალი



იოანე პეტრიწონელი და PRACTICA PETRICELLIE-ს ავტორობის საკითხი

ცნობილია, რომ იოანე პეტრიწონელი კარგად იცნობდა მედიცინას და, საფიქრებელია, სქონდა სპეციალური სამედიცინო ხასიათის შრომებიც. ვარდა ნემესიოს ნემესელის თარგმნისა, ამას აღასტურებს მისი იამბიკოებიც:

„ჭვირის ზრახვა არს წვლილი, სნეულბანი იღუპალ შესრული, სიზრ ქედში დაფარული, ან: „სჯობს სიგლახაეც ცრუსა გამდიდრებასა და სნეულობა ბოროტსა შრთელობასა.

ან კიდევ:

წუღული ახალი ადვილ საკურნებელ არს, ხილი ძველ ქმნილი უღებებადა მისრული წამალთა დიდთა, ხელოვანთა შერნალთა — მოჭყენ არს, და ესეთ ხედვა ხანგრძელი მოჰქლავს სულსა სიწმინდესა კეთილს“.

როგორც ვხედავთ, ამ იამბიკოებში პოეტური, მატერული სახის, აზრის შესაქმნელად გამოყენებულია წყლულია მკურნალობა, სნეულობა და შრთელობა. ავტორს უნდა განმარტოს „ხედვა ხანგრძელი“, ამისათვის ეს ადარებს ახალსა და ძველქმნილ წულულს, — ახალი ადვილი საკურნებელია, ხილი ძველი მოითხოვს წამალთა დიდთა და „ხელოვანთა მკურნალობა“. ასევე, სიგლახაეც სჯობსო ცრუ გადიდრებას, ისე როგორც „სნეულობა — ბოროტსა შრთელობასა“. პეტრიწონელის ორიგინალურ ფილოსოფიურ შრომაში („განმარტება“) ეხედებით ასეთ ადგილებს: „უკეთუ პირველად არა ცნოს მკურნალმან სენი, ვითარ დაჰაჯობს წამალი“ (გვ. 10). ან კიდევ: „არამე თუ ყოველი ამქმული საშეოთა შობადში აწუევს და ამეცადინებს... ისმინე რამეთუ ყოველი შობა ნიშნავს წამოყენებასა ნაშესასა, ვითარცა გონება გასაფონსა და სული წასულსა“.

იხილავს, რა მედიცინას, როგორც მეცნიერებას, ავტორი განსხვავებს ერთმანეთისაგან განათლებულსა და გაუნათლებელ ექიმებს. მისი აზრით, მედიცინა — იგივე ფილოსოფიაა ბუნებისა და ბუნებრივი შენაერთთა, ფილოსოფიაა იგადსაყოფობათა საწყისების გამოკვლევისა.

მაშასადამე, აქაც ფილოსოფიურ ცნებათა განმარტებისათვის ავტორი სარგებლობს პრაქტიკულ

სამედიცინო — სიქეიმო მაგალითებით, რაც გვაძლევს საშუალებას, ვიფიქროთ, რომ იოანე მედიცინაში განსწავლული პიროვნება იყო.

ჩვენი ვარაუდი გააძლიერა ერთმა გურჯაველმა და აგრ კიდევ შეუმოწმებელმა ცნობამ მედიცინის ისტორიაში. გერმანელი ავტორები ტ. შიგერშტეინევი და კ. ზუგლოფი თავიანთ შრომაში — „მედიცინის ისტორიაში“ (1935 წ., რუსული გამოცემა), იხილავენ რა მედიცინის განვითარებას „სალერნოს სკოლის“ ეპოქაში, მე-11 სტუ. მეორე ნახევარში, აღნიშნავენ:

«К старой литературе раннего переходного времени от древности к средневековью нужно отнести также «practica petrocelli, petroncelli или petronii» — Уже самое обилие имен призывают к осторожности, но что это сочинение возникло в эпоху до Константина — Следует из этого, что оно уже рано было перевезено на ранее средие английское наречие. Повидимому дело обстоит здесь таким образом, что старое произведение, редакция которого относится к переходному времени (было приписано какому либо действительно, существовавшему салерншу середины или конца XI века (ст. 182)).

მოვედით ამონაწერში იოანე პეტრიწონელის სამბრძნეთში მოღვაწეობის დრო ზუსტად ემთხვევა იმ პერიოდს, როდესაც სალერნოელები ხარბად თარგმნიდნენ ბერძნულიდან სამედიცინო ლიტერატურას. ქართულ ისტორიაშიც ხარბ პეტრიწონელი ცნობილია თავისი ფსევდონიმის სხვადასხვანაირი ვარიანტით. პეტრიწონი, პეტრიწონელი, პეტრიწონი, პეტრიწონი. ბუნებრივად იზადება ეთხვა: სხნებელი შრომის ავტორი ხომ არ არის იოანე პეტრიწონელი? ეს მით უმეტეს, რომ გერმანელი მეცნიერებისათვის (და ალბათ ბერძნულ და იტალიურ წყაროებშიც) Petricelli-ს ვინაობა საბოლოოდ ამოუცნობი დაარბა. მათთვის ძნელი საფიქრებელი იქნებოდა Petricelli-ს ქართულიც. რადგან „ცივილიზებული ევრო-

მის* ბევრი მეცნიერისათვის ქართველთა ძველი ელტერული წარსული უცნობი იყო. ამ მიმართულებით ისინი ვერ წარმართავდნენ კვლევას Petricelli-ს ვინაობის დასადგენად. ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი ნაწარმოები და, როგორც აღნიშნავენ, საღერნოს სკოლაში ცნობილი სახელმძღვანელო იყო. უფრო გვიან, მე-12 სუე. შუა წლებში, ის ხელმოკრულ გამოჩნდა Cura Petroncellii-ს სახელით. (აღბათ ენმე ფსევდო — Petrincelli-ს მიერ), რაც აღნიშნულია ბრესლავის საღერნოს კოდექსში.

მე-13 საუკუნეში კი პუნიოტის მიერ ფლორენციაში გამოცემულ როდფერის ქირურგიაში თანაავტორებთან ერთად დასახელებულია Petroncellii-ც.

შეიძლება ეიფიქროთ, რომ ითანე პეტრიწონელმა ეს შრომა დაწერა პეტრიწონში უოფნის დროს ბერძნულ ენაზე (ბერძნული ხომ მან ზედმიწევნით კარგად იცოდა) და შემდეგში ითარგმნა საღერნოელებს მიერ. თორემ საღერნოელები ქართულიდან ვერ გადაიღებდნენ მას, რადგან ძნელი საფიქრელია, რომელიმე საღერნოელს ქართული ენა სცოდნოდა.

რამდენად დასაჯერებელია, რომ ქართველ მოღვაწეს ბერძნულ ენაზე დაწერა ეს სახელმძღვანელო? ამის მაგალითები ძველმა საქართველომ არა მცირებელი იცის.

ჩვენი აზრით, Petrocelli, Petroncelli, Petricelli, Petronii, უნდა იყოს „პეტრიწონელის, „პეტრიწონის“ და „პეტრიწელი“ მკვლარი ლათინური ტრანსკრიპცია, რაც თითქმის მუდმივი ზვედრია, საერთოდ, ქართველი ავტორებისა უცხოურ ლიტერატურაში.

მაგრამ Petricelli გადატანილია სწორად და პირდაპირ მიუთითებს ითანეს ფსევდონიმს.

საგულისხმოა აგრეთვე, რომ აღნიშნულ მკვლევართა მიერ ეს ნაწარმოები არ ყოფილა ძირფუძვლიანად შესწავლილი. მაგრამ მათთვის გარკვეულია (აღბათ ტექსტიდან), რომ Petricelli ფსევდონიმი და არა ნამდვილი გვარი:

«Они (ლაბრაკია Cura petroncelli-ზე) в различных местах и в неполном виде, наряду с Ферарием, Бартоломеом и Платеарием сохранились в Бреславльском Салернском кодексе... Полностью под названием «Cura petroncelli» они содержатся в одной Амброзианской — рукописи в Милане».

თეთ პირველ ივარიანტი კი შრომისა, რომელიც ყველაზე უფრო საინტერესოა, როგორც ავტორებზე აღნიშნავენ, ინახება პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. „Prac Petricelli“ в Парижской национальной библиотеке представляет собой псевдонимное сочинение, но во всяком случае в ней мы имеем очень ценное произведение ранней средневековой медицинской литературы».

ენობილია, რომ ითანე პეტრიწონელის შრო-

მები ჯერ კიდევ თავმოყრილი არაა, ჯერ კიდევ მოსალოდნელია მისი შრომების მიყვლევა-აღმოჩენა, ჩვენ უხეოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების სამუშაოებში გამოვიხოვეთ პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკიდან აღნიშნული წიგნის ფოტოსალები და ამ რამდენიმე თვის წინათ მივიღეთ კიდევ ამ წიგნის მიკროფილმი, რომელიც ჩვენ მიერ გადაღებული იქნა ცალკეულ გვერდებად ფოტოქადაღზე. ტექსტი პარიზის ნაციონ. ბიბლიოთეკის მიერ გადაღებული იქნა 1856 წელს ნეპოლში გამოცემული კრებულიდან, სახელწოდებით „Collectio Salernitanae“. ტექსტი დაწერილია ლათინურ ენაზე და შეიცავს 130 გვერდს. როგორც გუვობა, „პრაქტიკა“ ყოფილა 3 წიგანი. აქედან I წიგნი — Prac Petricelli-ს სახელწოდებით 102 გვერდზე სრული სახით არის წარმოდგენილი. II და III წიგნი მოლწეულია მხოლოდ ფრაგმენტებად, II წიგნი — 3 გვერდზე და III წიგნი კი — მხოლოდ — 2 გვერდზე. 23 გვერდზე კი მოცემულია ფრაგმენტები იმ ხელნაწერიდან, რომელიც ცნობილია „Cur petroncelli“-ს სახელწოდებით და რომლის დედანი ინახება მილანში.

მაშასადამე, სრულყოფილად წარმოდგენილია მხოლოდ I წიგნი, რაზედაც მინდა შევეჩერდე.

ენობილია, რომ ითანე პეტრიწონელის ირინგინალური ფილოსოფიური შრომა „განმარტებად“ წარმოადგენს პროკლე დიადოხოსის შრომის კომენტარებსა და ინტერპრეტაციებს, აქაც, „პრაქტიკაშიც“ ავტორი სათაურშივე აცხადებს, რომ შრომა ვაღმოკცემულია პიპოკრატეს და გალენის შრომათა საფუძველზე, როგორც შესავალში, ისე ბოლოსიტეკიაში ავტორი ამას ხაზგასმით აღნიშნავს. ჩვენი აზრით, ითანე პეტრიწონელისათვის ნიშანდობლივია ერთგვარი ავტორული კეთილსინდისიერება და პუნქტუალობა სხვა ავტორთა აზრების ვაღმოკცემასა და ციტირებაში. „პრაქტიკა“, როგორც ჩანს, წარმოადგენს პიპოკრატესა და გალენის ნაწარმოებთა „განმარტებას“. მსგავსად მისი შრომისა, პროკლეს „განმარტებისა“, ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე ვაქვს „განმარტებად“-სა და „პრაქტიკისა“ ავტორის — (სხვა ავტორის შრომათა ინტერპრეტაციების გზით საკუთარი აზრების ვაღმოკცემის) თავისებურ ერთგვარობასთან. თეო არქიტექტონიკა კი „პრაქტიკის“ პირდაპირ იმეორებს „განმარტებად“-ს არქიტექტონიკას. ითანე პეტრიწონელის „განმარტებად“ ასეა აგებული: „წინასიტყვათ“, თეთ ტექსტი და „ბოლოსიტყვათ“. ტექსტი დაყოფილია თავებად, თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით აღნიშნული და შემდეგ არის ქვესათარი. მაგ., თავი I — „ეროზია და სიმრავლისათვის“ ან თავი II — „პირველისა კეთილობისათვის“ და ა. შ. შრომის ასეთი წყობა არც ერთი ქართველი ავტორისათვის არაა დამახასიათებელი. „პრაქტიკა“ ასე-

თვე წყობისა. წინასიტყვაობა, ტექსტი, ბო-
ლისიტყვაობა. ტექსტი დაყოფილა თავებად.
თითოეული თავი დასათურებულა.

პეტრიცელი, პეტრონცელი, პეტროცელი ისე
ორგანულად არის ტექსტთან დაკავშირებული,
რომ ის მისი ლათინურ ენაზე მთარგმნელი არაა.
რომ ტექსტი პეტრინულიდან არის თარგმნილი,
ვჭვს არ იწყვეს. შემოსახრებულად ფსევდონიმის
სხვადასხვა ვარიანტებიც პეტრინული ორიგინა-
ლიდანაა გადმოსული, თორემ წარმოუდგენელია
პაპარატისა და გალენის შრომათა საფუძველზე
წიგნის შემდგენი, ავტორი, მიიწყებული იყოს
და იმავე ეპოქაში მთარგმნელის გვარი ჩანდეს
მხოლოდ. ეს მით უმეტეს, რომ წიგნი თარგ-
მნისთანავე საღერონოს სკოლის სახელმწიფანე-
ლო გამხდარა. ამგვარად, ასეთ გარემოებაში
შეუძლებელი იყო, ლათინურ ენაზე წიგნის გად-
მომღბეს ავტორი დაეწყებინათვის მიეცა და
თავისი გვარი წამოეწია წინა პლანზე. პეტრიცე-
ლი — პეტრონცელი, პეტროცელი უფოთო ამ
ტრაქტატს პეტრინულიდან გადმოსული ავტორის
გვარია. მაგრამ პეტრინია თუ არა ის?

ამ კითხვისათვის შესაძლებელია ერთგვარი
მნიშვნელობა მიენიჭოს შემდეგ გარემოებასაც.

ტექსტში ძალიან ხშირად გვხვდება ასეთი გა-
მითქმები: „ფურცფურის ბერძნები უწოდებენ“...
(თავი 6); „შარდის ბუშტის ტკივილისათვის, რომ-
ელსაც ბერძნები სინთომატას უწოდებენ“ (თა-
ვი 121), „რასაც ბერძნები ტერუმბრუმს უწო-
დებენ“ (იქვე); „ქოშინისათვის, რომელსაც
ბერძნები ორტომონს უწოდებენ, ლათინები —
დისპნოეს“ (თავი 40); „ასთმისათვის, რომელ-
საც ბერძნები ედიოს უწოდებენ, ლათინები —
სუსპიოსოსს“ (თავი 4).

ბერძენი ავტორისათვის, ვიქრობთ, არ უნდა
იყოს დამახასიათებელი ასე დახეივითებით ლა-
პარაკი: „ბერძნები უწოდებენო“, მით უმეტეს,
ისეთი მარტივი და პოპულარული სიტყვებისა
და ცნებების განმარტებისას, როგორიცაა: შარ-
დის ბუშტის ტკივილი, ქოშინი, ასთმა და სხვ.
ეს გარემოება უფოთოდ აფიქრებანებს მყო-
თხველს, რომ ავტორი ბერძენი არ უნდა იყოს.
ბერძენი ავტორისათვის უფრო ბუნებრივი იქ-
ნებოდა, ვთქვა: „ბერძნები ვუწოდებთ“, ისიც
იშვითად (ვიღრე ტექსტშია) და მხოლოდ გან-
საკუთრებული და უნიკალური სიტყვისა და
ცნების განმარტებათა დროს. ასევე არ იქნებო-
და ასეთი გამოთქმა დამახასიათებელი და ბუ-
ნებრივი ლათინურად ტექსტის მთარგმნელისა-
თვის. რადგან, თუ ბერძნულ ორიგინალში არ
ყო „ბერძნები უწოდებენ“, მთარგმნელი მას
ვერ შეიტანდა, რადგან ამ შემთხვევაში დარ-
ღვეულია თარგმნის პრინციპები, რაც მაშინ საე-
მოოდ ჩამოყალიბებული იყო. მეორე მხრივ,
რომელიც ექიმისათვის ძირითად დაავადებათა
ბერძნული ტერმინოლოგია იმდენად უცხო არ
იყო, რომ ბერძნულიდან თარგმნილი ტექსტისა-

თვის აღავალავ კვლავ ხაზი გავსეცა, თუ რას
უწოდებენ ბერძნები ამა თუ იმ დაავადებას.
ამგვარად, „პრაქტიკის“ ბერძნული ვარიან-
ტიდან გადმოსული ავტორია პეტრიცელი —
პეტრონცელი — პეტროცელი, მაგრამ შემო-
სხვებულად გარემოებათა საფუძველზე ის ბერძენ-
ი არ უნდა იყოს.

ამგვარად ჩვენს განკარგულებაშია „პრაქტიკის“
ლათინური თარგმანის მე-11 საუკუნის ხელნა-
წერისა და დავემბერგის მიერ 1856 წელს ნეა-
პოლში სტამბრად გამოცემული ტექსტის ფო-
ტოპირები, „პრაქტიკის“ გვიანდელი მოკლე ვა-
რიანტის ე. წ. „Cura petroncelli“-ს ფოტოპირი.
სამივე მიღებულია პარიზის ნაციონალური ბიბ-
ლიოთეკიდან. „პრაქტიკის“ ერთ-ერთი მოკლე
ვარიანტის ანგლო-საქსური თარგმანის (მე-11
საუკუნეშივე) ხელნაწერისა და მისი 1865 წლის
ლონდონის სტამბური გამოცემის (თანაპურლოვე
ინგლისურ ენაზე თარგმნილი და დამუშავე-
ბული) ფოტოპირები, მიღებული ბრიტანეთის
მუზეუმიდან. დაწყებული ამ ტექსტების ენობ-
რივი შესწავლა. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრი-
ვაც საგულისხმო მონაცემებია მიღებული.

მაშასადამე, ყველა შემოამთვლელი მოსაზ-
რებათა საფუძველზე შეიძლება ჩამოაყალიბოთ
შემდეგი მოტივები, რითაც სავარაუდებელია
იოანე პეტრიონელის ავტორობა:

1. „პრაქტიკის“ ავტორი საბოლოოდ ამოუც-
ნობი დარჩა მისი ისტორიკოსებისათვის და,
აღბთ, ბერძნულ და იტალიურ წყაროებშიც.
2. მკვლევართათვის ვარჯიერია, რომ „პრაქ-
ტიკის“ ავტორი Petricelli, Petroncelli, Pet-
rocelli ფსევდონიმია და არა ნამდვილი გვარი.
აღბთ, ასეთი გვარი არაა ცნობილი ბერძნულ
და იტალიურ ონომასტიკაში.
3. იოანე პეტრიონელი მედიცინაში განსწავ-
ლული პიროვნება იყო; მის არსამედუციონ ხა-
სიითის შრომებში არის საამისი ნიშნები. ავ-
ტორის ინტერესი მედიცინაში არ შეაქლება
ამოწურულიყო მარტო თარგმანთა (ნემსიოსის
ემსტელის „ბუნებისათვის კაცისა“).
4. იოანე პეტრიონელს „პრაქტიკა“ უნდა და-
ეწერა ბერძნულ ენაზე, რომელიც მან კარგად
იცოდა, და რაც ქართველი ავტორისათვის არ
წარმოადგენს გამოჩალისსა და შეუძლებელს.
5. „პრაქტიკის“ დაწერის თარიღი უზუსტად
გნებვევა იოანე პეტრიონელის საბერძნეთში
მოღვეუების თარიღს.
6. იოანე პეტრიონელი ქართულ წყაროებ-
შიც ცნობილია ფსევდონიმის სხვადასხვა
ფორმით და Petrocelli, Petroncelli, Petricelli,
Petronii. უნდა იყოს პეტრიონელის, პეტრი-
ონის პეტრიონის, მკდარი ტრანსკრიპცია ლათი-
ნურ ენაზედ. Petricelli პირდაპირ მიუთითებს
იოანეს ფსევდონიმის ერთ-ერთ ფორმას.
7. „განმარტებათა“ და „პრაქტიკის“ სტილის-
ტურ ერთგვარობას ვარდაქმნის მნიშვნელობა
უნდა მიენიჭოს „პრაქტიკის“ ავტორად იოანე
პეტრიონის აღიარებისათვის.



აბანოები ქველ თბილისში

ცნობილია რომ ძველი თბილისის გარეუბანებში — სვიდაბადს, ორთაქალის, დირსიკალის, სოლოკაის, ვერის, დიდუბისა და საბურთალოს მოღამოებში — შესანიშნავი ბალები ყოფილა გაშენებული.

ძველი თბილისი სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა: კალა (სიონისა და ნარიყალის მიდამო), ისანი (მეტეხის ციხის უბანი) და თბილისი, სადაც განლაგებული იყო ბუნებრივი თბილი ვოკირდოვანი წყლების აბანოები. ცნობილია, რომ მდინარე მტკვრის მარცხენა მხარე ადგილობრივი (ბუნებრივი) წყლებით შედარებით ღარიბია. მტკვრის ამ მხარეს, მე-12 საუკუნეში ძველი თბილისის გარეუბნებს რწყავდა ფშავის არაგვიდან წამოსული არხი. ამ დროისათვის ჩვენში იმდენად მოწყვნიტებული ყოფილა ირიგაცია, რომ შედარებით მაღლობი ადგილებიც ირწყვებოდა.

ძველ თბილისში რომ აბანოების დიდი კსეღი და მდინარე მტკვარზე წყლის ამწყვეი ჩარხები ყოფილა მოწყობილი, ამას ადასტურებს მე-13 საუკუნის დამწერს სპარსულ ენაზე შედგენილი გეოგრაფიულ თხზულებაში თბილისის შესახებ მოყვანილი ლიტერატურული ძეგლი. თბილისში აღუწინააღმდეგებელი მრავალი წისქვილი, რომელთა ჯამებით აჩერებენ (აპარებენ) მდინარეში. მრავალა დღეობები (წყლის ამწყვეი ბორბლები) და დღეობათი სავსე ბალები. მასში უ. ი. (თბილისში) 65 აბანოაო.

მე-13 საუკუნეში საქართველო მტრების შემოსევებს შედეგად მრავალჯერ იქნა განადგურებული: როგორც ჩანს, მათან მოუსპიათ წყალა მერნეობაც. ამას ადასტურებს მე-17 ს. თურქი მოგზაური ევლია ჩელები, რომელიც თბილისის ტერატიორაზე გამდინარე მტკვრის შესახებ წერდა: „მოსავლისათვის მდინარე მტკვარს (თბილისში) სარგებლობა არ მოაქვს... ამიტომ ბუნებრივია რომ „ქორს“ (ბრმას) უწოდებენ“...

პლატონ იოსელიანის (1810 — 1875) ცნობით, თბილისის სამკურნალო წყლის საერთო საცავიდან მინერალური წყალი სიონის ქუჩით თიბის მილებს საშუალებით სასახლის ეზოში აბანოსათვის განკუთვნილ შენობაში

შედიოდა.¹ დღევანდელ ვრცელს მოედანზე შესანიშნავი შადრევანიდან აუზში² დავროვებულ წყალს, სასახლის ბალების მოსარწყავად იყენებდნენ. მოედნის შუა ადგილს, სასახლის წინ, ამშვენებდა შადრევანი, აგებული მარმარილოს ფილაკენებისაგან. წყალი გამოყვანილი იყო წვეკისის გორებიდან, მარმარილოს ორი ლომი პირიდან უშვებდა წყლის ნაკადულს, რომლითაც რწყავდნენ სასახლის ბალებს.³

თვით ბაღში პატარა შენობა შეიკავდა აბანოს მინერალური წყლით. ეს წყალი თიბის მილებით იყო გამოყვანილი თბილისის მინერალური წყლის საერთო საცავიდან. მილები გადაებული იყო შთავარ ბაზარზე და სიონის ქუჩაზე.³

თბილისის ბუნებრივი თბილი წყლების აბანოები ძველთაგანვე იყრობდა მველეართა და მოგზაურთა გამსაკურთხებელ ყურადღებას. მავალითად, მვათ საუკუნის არაბი გეოგრაფი იბნ-ბუთალი ძველ თბილისის აღწერისას ხეუბა გოგორდის აბანოებს და ამბობს, რომ „იქ არის აბანოები, სადაც წყალი უციცლობდღელსო“. ამავე დროს, ის მინერალური წყლები ცნობილი იყო, როგორც მინიშნელოვანი სამკურნალო საშუალება. ვახუშტი ბაგრატიონი იხსენიებს თბილისის ცხელ წყაროებს და მათთან მოწყობილ აბანოებს. ფრანგი მოგზაური ეან შარდენი აღწერს თბილისის აბანოებს და აღნიშნავს, რომ აქ საბანოდ დადიან არა მარტო ჯანმრთელი, არამედ სხვადასხვა დაავ-

1. ეს ცხელი მოქმედი სამკურნალო აბანო 1785 წლის თბილისის ტოპოგრაფიულ გეგმაშიცაა აღნიშნული.

2. ეს შადრევანი წყალს იღებდა ჩემ მიერ აღმოჩენილი წყალსადენიდან, რომელიც დაქანებულ რელიეფიდან დაწოლის საშუალებით ერეკლეს მოედანზე შადრევანი წყალს მაღლა ისრავდა. 1957 წ. ვახაფხულზე არქეოლოგი. ვ. გრძელისმილის ხელმძღვანელობით ერეკლეს მოედანზე აღმოჩნდა წყალსადენის მილები, რომელთა ტრასირება სამხრეთ დასავლეთის მიუღიდან უნდა იყოს.

3. პლატონ იოსელიანი, Описание древностей города Тифлиса, თბილისი 1866 წ.



დებოთ შეპყრობილები... თბილისის გოგირდოვანი აბანოები აღწერილი აქვთ ტურნეფორს, დელაპორტს, პარიტს, დიუბუას და სხვებს.

ა. ს. პუშკინს 1829 წელს გამოუვლია თბილისში და ორბელიანების ქრულ აბანოში უბანია: „ჩემს სიტყვებში არაფერი შემხედვარი თბილისის აბანოებზე უმწვენიერესი არც რუსეთში და არც ოსმალეთში“, აბანოს გენიალური პოეტი.

თბილისის გოგირდოვანი თბილი წყლებითა და ქართული ღვინის სიუბვით მოზიზღული პუშკინი წერს: „თბილისის მცხოვრებნი სემენ მტკვრის წყალს, მღვრიეს, მავრამ საამოს, ყველა წყაროს და ქის წყალს გოგირდის სუნი და გემო აქვს, თუმცა ღვინო იმდენადაა გავრცელებული, რომ წყლის ნაკლებობას ვერ ვგრძნობ“.

„თბილისის მთავარი სიმწვენიერია, — წერს მწერალი ზუგრაფი, — აუარებელი ზაღები, რომლებიც სახსია ყველაფრით, რასაც შიდად არი ახია იმდენი, ხოლო ყველაზე უფრო შესანიშნავად უნდა ჩაითვალოს გოგირდისა და რკინის მინერალური წყლები, რომლებიც საზოგადოებრივ აბანოებს წარმოადგენენ“.

საინტერესოა ფრანგი მოგზაურის ბარონ დე ზის მოგონება ძველ თბილისზე, მის სილამაზეზე, გოგირდოვანი აბანოებზე. მისი მოგონება ცალკე წიგნად გამოვიდა ფრანგულ ენაზე პარიზში 1900 წელს.

თბილისის აბანოებზე მსჯელებს მე-18 საუკუნის გამოჩენილი აზერბაიჯანელი პოეტი ვაფიფი. ოთხმოციან წლებში ვაფიფი, როგორც აზერბაიჯანის მთავარი სახანის პირველი ვეზირი, ჩამოდიოდა თბილისში ერეკლე მეფესთან მოსალაპარაკებლად და კავშირის დასამყარებლად. თბილისში ყოფნის დროს შიღვებულ რეალურ შთაბეჭდილებების საფუძველზე ვაფიფმა საქართველოზე დაწერა ლექსი, ამ ნათქვამია (თარგმანი ეკუთვნის კონსტანტინე კვიციანიძეს):

...ერთი ნიშანი არის აბანო,
მათთვის ვანებოთ მინიჭებული,
შეიბე არის წვალი მტკვარისა,
ვით უკუდავების წყარო ქებული,
კიდევ ნიშანი მოხდენილობა,
წინა და სიტურფე მათი სახისა.

როგორც აღვნიშნეთ, მტრები შემოსევის დროს აოხრებდნენ, ანადგურებდნენ უოველგვარ წყალთა ნაგებობებს და მათ შორის აბანოებსაც სპობდნენ. საქართველოს მეფე როსტომმა შაჰ-აბასის მიერ განადგურებული თბი-

ლისი ხელახლა აღადგინა და განაახლა თბილისის აბანოებიც.

1795 წელს ალა-მამაღ-ხანის უკვე აღმართული იქნა თბილისი, ალა-მამაღ-ხანმა (რომელიც კასტრიებული იყო) რამდენჯერმე მიიღო წყლის აბანოები, შემდეგ კი ბრძანა, დაეწავიათ აბანოები.

ჯერ კიდევ 120 წლის წინათ პაროტმა ყურადღება მიაქცია თბილისის გოგირდოვან წყლებს. უფრო გვიან აკადემიკოს აბისის მიერ დასმული იყო საკითხი ამ წყლების ბალნეოლოგიური მნიშვნელობისა და მისი სამკურნალო მოხმარების აუცილებლობის შესახებ, თბილისის ქალაქის სათაპირომ კავკასიის ექიმთა საზოგადოების წინადადებით მრავალჯერ განიხილა ეს საკითხი.

1888 წელს ნიკო ნიკოლაძეს მიერ შედგენილი იყო სპეციალური კომისია გოგირდოვანი წყლების საექიმო მოხმარების საკითხის დასმუშავებლად: 1904 წელს შემდგარმა კომისიამ დაიწყო მუშაობა და 1907 წელს თბილისის გოგირდოვან წყლებს საზოგადოებრივი მნიშვნელობა მიენიჭა. მომდევნო წლებში წარმოებულ იყო ახალი გეოლოგიური გამოკვლევა. წყლის დუბიტის განსაზღვრა, მივიღო რიგი პროექტებისა და ჩარჯთადრიცხვის შედეგად 1919—20 წლებში ბელმეორედ წამოიჭრა ეს საკითხი.

1924 წლიდან დაიწყო გოგირდოვანი წყლების ქიმიური გამოკვლევა (ქიმიკოს კუბცისის მიერ) და ყოფილ ერეკლეს აბანოსთან ჩამოყალიბდა გოგირდოვან წყლების სამკურნალო, სადაც დაიწყო ამ წყლების სამკურნალო თვისებების სისტემატური შესწავლა.

თბილისის გოგირდოვანი წყლების სამკურნალო ზეგავლენის შესწავლა, ფიზიკურ-ქიმიური გამოკვლევები, წყლების საერთო დებიტი, მისი ტემპერატურა, თბილისის კლიმატური პირობების თავისებურებანი და სხვა საწინდარი იყო იმისა, რომ შექმნილიყო თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი.

თბილისის გოგირდოვანი წყლების საერთო ქიმიური ანალიზი ასეთ სურათს იძლევა: 1. ლიტრა წყალზე ყვრივი ნაშატი 0,293 გრ. უდრის გახურების დროს დანაკარგი — 0,016 გრ.; რადიოაქტიუობა ერთობ მცირეა. ტემპერატურა 36 გრადუსიდან 43, და ზოგჯერ 46 გრადუსამდე აღწევს, რაც ამ მინერალური წყლის ფრიალ დაღებოთ თავისებად უნდა ჩაითვალოს; ასეთი ტიპის წყლები ბელოკურთა გამოთბა-ცივებას ნაკლებ საჭიროებენ.

თბილისის გოგირდოვანი წყლების ფიზიკურ-ქიმიური თვისებები საფუძველს იძლევა, ეს წყაროები ჩავთვალოთ სამკურნალო თერაპი-

1 მ. პოლივექტოვი და გ. ნათაძე, „ძველი თბილისი“, გვ. 88.

ღერ და ჰიპერთერმალერ (თბილ და ცხელ) ჰიდროსტატიკურ აკროთერმების ტიპის წყლებად. წყლების თვისებებურებისა და სამკურნალო თვისებების მიხედვით თბილისის გოგირდოვანი წყლები ემსგავსება ევროპის ცნობილ მინერალურ წყაროებს, როგორცაც ვალდერი, ამელი-ლე-ბენ, ლე-ვერნი, კოტატი, ლე-პრესტი, ბარევი (საფრანგეთი) და სხვ. გოგირდოვანი წყლების რაიონში აღმოჩენილია 40-მდე თერმარული კერა, წყლის საერთო დებიტი ახლად აღმოჩენილი კერებით 200.000 ჯედროს აღწევს დღე-ღამეში, რაც ბალნეოლოგიური კურორტის გამტარუნარიანობას აღიღებს და სამშენებლო იმდენად გამოყენებული იქნეს სამკურნალო და ჰიგიენური მიზნებისათვის!¹

ბალნეოლოგიური კურორტი აღმოცენდა თბილი გოგირდოვანი წყლების საფუძველზე. ეს ის ცნობილი აბანოებია, რომლებიც ძველ-თბილისის მცხოვრებთა ტრადიციული იათ-ჩეულებების გამოსამზებებელი უბანი იყო. აბანო ძველად გლეხების ღამის გასათევი, ყარაჩოღლების საქაფი და დროს ვასატრეპელი, თბილისში ჩამოსულ სტუმარ-მოგზურთა დასათავიერებელი ადგილი გახლდათ.

ძველ თბილისში აბანო მინჭელი იყო სამაქანლო, საჩალოს ამოსარჩევად, მათ საუკეთესო ტანსაცმელთა და ძვირფას სამკაულთა გამოსაფენად, სარეცხად და ქალების საქორიკანოვ.

ქალაქელებს ძალიან უყვარდათ თბილისის გოგირდოვანი აბანოები, გაეხსენოთ ლექსი, ქალაქის აბანოები, ბადალი ხმელეთისაო, ძირითადნ ამეწებულა, აუნებო აქვს ქვისაო. ვინც შევა, ვგრე ვაგებდის, როგორც თოლია მთისაო.

ქალი და რძალი გამოდის. ვითა ყვავილი ხისაო².

ამჟამად თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი ერთადერთი მნიშვნელოვანი სამკურნალო დაწესებულებაა, სადაც, გარდა გოგირდოვანი მინერალური წყლისა, გამოყენებულია ფიზიკური მეთოდები: მკურნალობის თოქის ყველა მეთოდი: ტალახით მკურნალობა, სამკურნალო ფიზკულტურა და სხვ.

ბალნეოლოგიურ კურორტზე სამკურნალოდ მოდენ საქართველოს მრავალი რაიონიდან და მუზიხელი რესპუბლიკებიდან. აქ მკურნალობენ: სახსრების, კუნთების და მყესების ქრონი-

კული ანთებს, გელისა და სისხლძარღვთა სისტემის, პერიფერიული ნერვული სისტემის და მრავალი სახის დაავადებები, განსაკუთრებით დაავადებებს, ნივთიერებათა ცვლის მოშლისა და სხვ.!

თბილისის გოგირდოვანი წყლების არსებულ მრავალი სამკურნალო მიზნით ჯერ მხოლოდ ნაწილობრივ არის გამოყენებული, ამ მხრივ თბილისს, როგორც ბალნეოლოგიური კურორტის მქონე ქალაქს, დიდი პერსპექტივა აქვს. თბილისის მიდამოებში, როგორც ილენიშენი, მდინარე მტკვრის მარცხენა მხარე, შედარებით მარჯვენა მხარესთან, ბუნებრივი წყლით მომარაგების მხრივ ღარიბია.

ძველი თბილისის ისანის მოსახლეობა უწყობის გამო დიდ გაჭირვებას განიცდიდა, რადგან ამ მიდამოებში წყალი არსად არ გამოდიოდა, რომ ნარგავ-ნათესების მოსარწყავად გამოეყენებინათ. ძველი ქალაქის ტერიტორიასთან (სითონის ქუჩა, ანისხატა) შედარებით ისანი ბევრად უფრო მაღალია და ბუნებრივი მდებარეობა ხელს უშლიდა მეურნეობის წამოწყებას. უწყობობა მწუავედ იგრძობოდა, — ამიტომ იყო, რომ მოსახლეობა ზოგჯერ მიმართავდა თბილი გოგირდოვანი წყლების გამოყენებას ნარგავ-ნათესების მოსარწყავად.

26 კომისიის რაიონში წინანდლის ქუჩის აღმოსავლეთით გამოდიოდა გოგირდოვანი თბილი წყალი, შეუმიანის ქუჩაზე (№ 55) დიდი ღია აუნჯი იყო მოწყობილი. ჩრდილოეთის მხრიდან 300 მეტრის სიგრძეზე ხსენებულ აუნჯაზე 3 მეტრი სიღრმის გვირაბის საშუალებით გამოყვანილი იყო მინერალური თბილი წყალი. გვირაბის მთელ ტრასაზე ყოველ 30 მეტრზე გაყვანილი ყოფილა საკონტროლო ტუბი, რომელთა საშუალებით გათბრების დროს ამოვიოდა ქვა და მიწა; წყლის დენადობის შეფერხების შემთხვევაში ასუფთავებდნენ წყლის მოწყობებელ გვირაბს; გვირაბის თალი, იატაკი და კედლები ავრით ყოფილა ნაშენი, მისი სიმაღლე ყოფილა 1,2 მეტრი და სიგანე 1,5 სხვ, რომ აღამაინი მუშაობას შესძლებდა. შემოსხმეზებულ აუნჯში დავტოვილი წყალი მიღების საშუალებით სამხრეთის მიმართულებით (300 მეტრის მანძილზე) შეჰყავდათ ბაღებში, სადაც ითხეკობის ფორმის ორი აუნჯი ყოფილა მოწყობილი.

იხადება კითხვა: რამდენი კექტარი ფართობი ირწყევაობა მინერალური თბილი წყლებით, როგორი იყო მორწყვის ტექნიკა და რა კულტურები მოჰყავდათ გოგირდოვანი წყლით მორწყულ ნიადაგზე?

ხსენებულ ორ აუნჯში დავტოვილი წყალი

1 მ. ნოდია, თბილისის კურორტები და საგარეო ადგილები, 1955 წ.

1. ა. ა. მინდაძე, თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი, კურნალი „დროშა“ № 7 — 8, 1934 წ.

2. ი. გრიშაშვილი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოკეა, გვ. 9

დღევანდელი რწყვის პირობებში 3 ჰექტარ ბაღს რწყავდა სანამ აუზი გაიყვებოდა (10 საათის მანძილზე), თბილი წყალი ვრილდებოდა. აუზს წყლის გამოსაღები კრილი ჰქონდა ფაქტობრივი და საცავის მოხლო ნათეს-ნარგავებისათვის წყალი მივდებოდა იყო მიშველები. ბორცვიან ადგილებზე, სადაც მცენარეები წყლის მივდებით ვუპირწყებოდა, მანძის განსაკუთრებული სარწყავი ხელის ვედროებით აუზიდან ამოქონდათ წყალი და ნარგავებს უსხამდნენ.

აქ მებოსტნეობა და მებილეობა ყოფილა განვითარებული, სახელობარ, მოყვადით, ტარხუნა, მეთუნა, კამა, ქინძი, ოზრახეში, ბოლოკი, პრასი და გოგრა, მებელთობიდან — ალუნი, კომში, გარგარი, ვაზი, ბროწეული, თეთა, ატამი.

ზემოდასახლებული კულტურების ზრდა-განვითარებაზე და მოსავლიანობაზე დადებითად მოქმედებდა მინერალური წყლით მორწყვა: მხოლოდ კიტრის კულტურაზე მოქმედებდა უარყოფითად, რაც იმიში გამოიხატება, რომ მცენარე ყვითლდებოდა და ყვავილები ცვიოდა. ამიტომ კიტრის თესვასაც არ მიხდებოდნენ.

26 კომისიის სახელობის რიონში (მუშაინის ქუჩა, № 35) აქამდე არის მოქმედი ახანო № 4 (ყოფილი გოგოლა), რომელიც მარგავენოდა ადგილობრივი თბილი გოგირდოვანი წყლით, დროთა განმავლობაში მინერალურ წყლებს კლება დაუწყია და, საქირი მოთხოვნილებების დაქმავილების მიზნით, მებაღეებისათვის უთხოვიათ წყალი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, წინანდლის ქუჩის აღმოსავლეთით, ქალაქის პირველ საავადმყოფოს ეზოს ტერიტორიის განაპირას გამოდიოდა. ამ მინერალური თბილი წყლის დებიტის ნახევარი მებაღეებს დაუტოვებიათ ნარგავი ნათესების მოსარწყავად, ნახევარი კი გაუყვანიათ 360 მეტრის მანძილზე წინანდლის ქუჩის დასაწყისიდან მუშაინის ქ. № 35-მდე და ღრმა ვეირაბის საშუალებით შეუყვანიათ ახანოში, ახანოს გვირაბი მალაღ და ვანიერია, წყლის დინების შეფერხებისას ახანოს მხრიდან სამუშაოდ კრაქით შედიოდნენ წყალსადენის გასაწმენდად.

გადმოცემით, ამ ვეირაბში არხის გასაწმენდად ფიზიკურად ღონიერ მუშებს არჩევდნენ. ერთდელ ასეთი შემთხვევაც ყოფილა: ახანოს ვრთობით მუშა ვეირაბში მუშაობდა, მცირე ხნის შემდეგ ვეირაბიდან ხმა გაისმა, მიშველეთი, მალე ძლივს გამოუყვანიათ გულწასული მუშა, რომელიც კარში დაგროვილ ნაღქში ჩაფლული აღმოჩნდა. ამ მინერალური თბილი წყლის დინება (№ 4-ში) 1953 წლიდან შეწყვეტილია.

ახანოსათვის მინერალური წყალი აღდგენა შესაძლებელია და საქირთვით. ამჟამად ეს ახანო მარგავენა არა საქირთვით შეუნებრივი წყლებით, არამედ ნატრატრის წყლით, რომელსაც ადგილზე ამბობენ.

მებაღეებთან შეთანხმებით, სეზონის პერიოდში ახანოს მეტატრონე ბაღისაკენ მიმავალი სარწყავი წყლის შტოს ყოველ საღამოობით ეტრება, შემოდგომითა და ზამთრობით კი სრულიად წვეტიდნენ წყალს, რომ ახანოს სამკურნალო თბილი წყლის მეტი მარგავი მიეღოს.

ახანოსა და ბაღების მიდამოებს ძველად შეუთოვლეს უწოდებდნენ (დღესაც არსებობს შეუთოვლის ქუჩა).

მეცხრამეტე საუკუნეში სამეგრელოდან ჩამოსულია ქაჯაიებში მემამულისაგან გავრანებელი ხარბა მიწა იჯარით აიღეს, მემამულეს ყოველწლიურად 1 ჰექტარზე 250 მანეთ უხდიდნენ, ვარდა ამ იჯარისა სეზონის განმავლობაში, როგორც წესი, შაბათ-კვირაობით მებაღეს მემამულესთან კალათით ბოსტნეულისა და ხეხილის მოსავლი უსასუილად მიქონდა. ამ მოსავალს ნობათს ეძახდნენ. მოსავალი 10 კილოს არ აღემატებოდა.

ზემოსხენებული ეზო და მის სამხრეთით არსებული ბაღები, რომლებიც მინერალური თბილი წყლებით ირწყვებოდა, ქაჯაიას მიერ იყო გაშენებული: ამ ბაღის სამხრეთით, სადაც დღეს 26 კომისიების სახელობის გაწმენების კანტორაა მოთავსებული (ბოქორმის ქ., № 21), იმ მიდამოებში არსებული ბაღი გააშენა ქაჯაიების შთამომავალმა დ. ქაჯაიამ, რომელიც ახლა 70 წლის მოხუცია და ცხოვრობს ამავე რაიონის ლენის ქ. № 26-ში. მის მიერ დარგული იყვის ხე და ალუმა ამჟამადღაც დგას სანერგეში. აქვე ვნახეთ ძველი აუზის ნაშთი, რომელშიაც აგროვებდენ ბუნებრივ თბილ წყალს. ამ საქმის ცოცხალი მოწმეა 78 წლის მოხუცი, ცნობილი მებაღე სერაპიონ გელენიძე, მცხოვრები მანავის ქ. № 10-ში.

აუზის ჩრდილო-დასავლეთით 120 მეტრის მანძილზე გამოდის ბუნებრივი ცივი სუფთა წყალი და გროვდება იქვე მოწყობილ მრავალუჯრედებთან აუზში. ამ წყაროს წყლის წყლის დებიტი დღეღამის განმავლობაში მისაღობებით 1000 ედრომდე აღწევს. ხუნებელი წყარო მდინარე მტკვართან ახლო ხევში გამოდის, ამიტომ რელიეფის გამო ის ფართობის მოსარწყავად არაა გამოყენებული, უმოაერესად მას ხმარობდნენ სასათბურო მეურნეობის ვრტნეში ნარგავი მცენარეების მოსარწყავად და ბაზარზე გასატანი ბოსტნეული პროდუქციის გასარეცხავად.

3. გონებაში



ჭეპარდისა და მისგან საომარი იარაღის ღამზარების გამოჩენილი ქართველი ოსტატი

XVIII საუკუნის დამლევა და XIX საუკუნის დასაწყისში ევროპის სახელმწიფოები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ საუკეთესო საომარი ცივი იარაღის წარმოებაში, რომელიც უმაჯორესად ფოლადის ხარისხზე იყო დამოკიდებული. იმ დროს მეფის რუსეთსა და დასავლეთის ევროპის ქვეყნებში ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი ჯე-ვარდენის („ბულონის“) წარმოება და მისგან უმაღლეს ხარისხის მჭრელი საომარი იარაღის ხმალ-ხანჯლისა და დაშვების დამზადება; ცხენოსანი ჯარები შეიარაღებული იყვნენ ჩვეულებრივი ფოლადისაგან ნაკეთები ხმალ-ხანჯლებითა და დაშვებით. ამ ქვეყნებში მაშინ ცნობილი არ იყო. აგრეთვე, საომარი იარაღის მჭრელი პირების ოქრო-ვერცხლით დამზადების ტექნიკა.

მეფის რუსეთი ცდილობდა, არ ჩამორჩენოდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს, საომარი ცივი იარაღის ჰედიან საქმეში დიდძალ სახარებს ხარჯავდა საომარი იარაღის ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობასა და უცხოეთიდან მოწვეულ იარაღის მკეთებელ ოსტატ-სპეციალისტებზე, ზღატოუსტრო, სადაც მაშინ საომარი იარაღის ფაბრიკა-ქარხნები არსებობდა, მოწვეულ უცხოელთა შორის ბევრი გერმანელი სპეციალისტი იყო. ისინი იმდენად ბევრნი იყვნენ, რომ ქუჩებზეც კი გერმანული სახელები ერქვათ. ამ ადგილებში სახლებიც გერმანულ ყაიდაზე ჰქონდათ აშენებული. ქუჩებში უფრო ხშირად უცხოელ ოსტატებსა და ხანში შესულ და ახალგაზრდა გერმანელ ქალებს შეხედებოდათ, ეადრე რუსებს. რუსები მხოლოდ მუშებად და სამხედრო მცველებად მუშაობდნენ ქარხნებში.

მეფის მთავრობა არაფერს ზოგავდა ამ საქმისათვის. იმ დროს ზღატოუსტროს იარაღის ქარხანაში მოწვეული უცხოელი ოსტატები წელიწადში ღებულობდნენ 2500 მანეთამდე, რაც პროფესორის ხელფასს აღემატებოდა. ასე, მავალითაღ, ოსტატებს — კენეს, ვეიერბერგს, შტატს 2500 მანეთს უხდიდნენ თითოეულს,

ხოლო ოლიგერს — 2000 მანეთს¹. მოწვეულ უცხოელთა შორის ცივი იარაღის მჭრელი პირების ამოწეისა და მოოქროების ხელოვნების საქმეში მთელ ევროპაში სახელგანთქმულნი იყვნენ შაფები. ამ გვიანის ერთ-ერთი წარმომადგენელი — ნიკოლოზ შაფი შეუდარებელ ოსტატად ითვლებოდა. შაფები საიდუმლოდ ინახავდნენ იარაღის მჭრელ პირებზე ამოწეისა და მოოქროების ხელოვნებას. სათანადო ხელმეორელების მიხედვით, მათ უფლება არ ჰქონდათ, სხვისთვის გაემჟღავნებინათ მოოქროებისათვის საჭირო ნივთიერების შემადგენლობა. ისინი ვალდებული იყვნენ შეედგინათ ამ ნივთიერების დაწერილობითი აღწერილობა და იგი, ბუქველურქმასშედი, საიდუმლოდ კანტორაში შეენახათ. უნდა ითქვას, რომ ამგვარ სიფრთხილს არავითარი აზრი არ ჰქონდა, რადგან სინამდვილეში ისინი არ იყვნენ არავითარი საიდუმლოების მფლობელები.² რუსი ოსტატები მათ არაფერში ჩამოუვარდებოდნენ. მთავარ მუშის მთავრობა არ აფასებდა რუს სპეციალისტებს და არ უქმნიდა მათ ცხოვრების სათანადო პირობებს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მეფის რუსეთი და დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოები ამ დროს გაფაციცებით ეძებდნენ მაღალი ხარისხის ფოლადისა და მისგან საომარი საუკეთესო მჭრელი იარაღის დამზადების საიდუმლობას. ეს საქმე ძველთაგანვე მაღალ დონეზე იდგა საქართველოში. აი რას წერს ვ. სემონოვი ამის შესახებ 1954 წლის ევრნალ „ოგონიოკში“ რუსეთის მეტალურგიის ფუძემდებლის, დიდი რუსი მეცნიერის პ. ანოსოვის გარდაცვალების ასი წლისთავისადმი მიძღვნილ წერილში: „... შუა საუკუნეებში ფოლადის წარმოება თვით რუსეთშიც არ იყო მოგვარებული, მხოლოდ საქართველოში და ამიერკავკასიის ზოგიერთ რაიონში იყვნენ დაბელოვნებული ფოლადის იარაღის კეთებაში. ამიერკავკასიისა ინდოეთთან და ახლო აღმოსავლეთთან (ირანი, სირია) ერთად ასეთ იარაღს აწვდიდა დასავლეთ

¹ И. Пешкин, Петр Павлович Аносов, Москва, 1954 г. стр. 47.

¹ იქვე, გვ. 66—67.
² იქვე, გვ. 70—71.

ვერტისა¹, აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნის დამლევსა და XIX საუკუნის პირველ ათწლეულ წლებშიც, მოუხდებოდა საქართველოს მეტალურგიის ძალზე დაქვეითებისა, რაც მტერთა გამუდმებულ თავდასხმის შედეგს წარმოადგენდა. ქართულ ხალხს შემონახული ჰქონდა თავისი წინაპრებისაგან თაობიდან თაობასათვის გადმოცემული ჯვევარდნის მღვდლისა და მისგან მაღალხარისხოვანი საომარი იარაღის ჰედვის საიდუმლოება.

მეფის რუსეთში კარგად იყო ცნობილი, რომ საქართველოში ჯვევარდნი („ბულატი“) და მისგან პირველხარისხოვანი საომარი იარაღი მზადდებოდა. ქართული იარაღი, როგორც ცნობილია, თურქეთში, ირანში და თვით რუსეთშიც ყველა იარაღზე ძვირად ფასობდა. ამიტომ იყო რომ საქართველოს რუსეთთან შეერთებისთანავე მეფის რუსეთის სამხედრო მოხელეები საქართველოში ემბედნენ ჯვევარდნისა და მისგან მაღალხარისხოვანი საომარი იარაღის ჰედვის საიდუმლოებას.

როგორც ცნობილია, XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში თბილისში იმპერატორმა და მოღვაწეობდა ჯვევარდნის მშობელი და მისგან მაღალხარისხოვანი საომარი იარაღის ჰედვის ქართული სახელგანთქმული ოსტატი იაკობ (გიორგი) ელიაზარაშვილი. მას დიდი სახელი ჰქონია მოხვეუილი, გ. ელიაზარაშვილის ოსტატობას მიუძღვნა ლერმონტოვმა შემდეგი ლექსი:

ვერცხლის ქარქაში მძლავრად ბრწყინავს
ჩემი ხანჯალი,

გიორგის მიერ ძველისძველად ნაქედი რვალი,
მისი ბულატი საიდუმლო წრთობას იწახვს
დიდი ხანია, რაც ჩვენთვის უცნობი არი.

გიორგი ელიაზარაშვილის შედეგები იარაღის ჰედვის ხელოვნების საუკეთესო გამარჯვებელი აღმოჩნდნენ. განსაკუთრებით შორს გაიშვა სახელი ყარაშან გიორგისძე ელიაზარაშვილმა, რომელიც იარაღის მჭრელ პირებზე სახეებს ოქრო-ვერცხლით ელამაშვსი ჰედვის შეუდარებელი ოსტატიც იყო. ეს დასტურდება იმითაც, რომ რუსეთის მეფის შთავრების ხელმძღვანელები ცდილობდნენ ყარაშანის რუსეთში წყევანის ჯვევარდნის დასაშვადებლად და საომარი იარაღის სპეციალისტების მოსაშვადებლად. გენერალი პასკევიჩი 1830 წლის 30 მაისის

წერილით რუსეთის ფინანსთა მინისტრს კანკინს აცნობებდა: „ოქტომბერ 1828 წლის 24 ოქტომბრის მომართული ვენერაბელისა **საბიავინისა** ვის¹ გათხოვია, რომ მან წარმოადგინა საქართველოს დაწვრილებითი ცნობები: 1) მასალები, საიდანაც ამ მხარეში ჯვევარდნი „ბულატი“ მზადდება, 2) ამ მასალების საუკეთესო ხარისხის ფოლადდ გაკეთების ხერხი; 3) გამოუცდილი მჭრელი იარაღის წრთობის ხერხი და ის ნიუთონერება, რომელშიც ისინი იწრთობან და 4) რა ხერხით ჰდება მჭრელი იარაღის პირებში ოქროს სხებებით სახეების ჰედვა. პასკევიჩი ატყობინებდა მინისტრს, რომ გასული წლის დეკემბრის თვეში თბილისში საუკეთესო იარაღის ოსტატი ყარაშან ელიაზარაშვილი (ყარაშან ელიაზარაშვილი — გ.) პირთა მისცა მას, ვაიცნოს ეს საქმე. მოთვარათებელმა ამ პირობის ასლი გაგზავნა პეტერბურგში და თან აღნიშნა, რომ იგი (გ. ი. ელიაზარაშვილი) შეპირდა მას მის მიერვე დამზადებული რკინისა და ფოლადისაგან გაკეთების მიცემული სახეებით ოქროს ჰედვით პირველხარისხოვანი ხმალი ნამდილი ჯვევარდნისაგან, დაშნა ჯვევარდნის მაგვარი ჯვევარდნისაგან, ფოლადის ხმალი შუაში ჰედვით და ხანჯალი ჯვევარდნის სხვადასხვა სახისა და ღირსებისა, აგრეთვე გადასცეს მას დაწვრილებითი აღწერილობა, თუ რა მასალებისაგან არის დამზადებული მჭრელი იარაღები, აწვენოს მათი წრთობა. თუ საჭირო იქნება, — განავრცობდა გენ. პასკევიჩი, — ამ საიდუმლოებით იარაღების გაკეთება ხალხს შესაწავლოს, ყ. ელიაზარაშვილი თავისი ძმით, ერთი მომუშავეთა და ჰედვის ოსტატით გაემგზავრება რუსეთში იქ, სადაც დანიშნული იქნება, მაგრამ შემდეგი პირობით: მისცემენ მას იქეთ და უკან სამგზავრო 4 ცხენზე, გზაზე სახარჯოდ ყოველდღიურად 2 ჩერკონეცს, ხოლო ადგილზე მასთვის შემდეგ დღე-ღამეში ოთხ-ოთხ ჩერკონეცს, აგრეთვე საცხოვრებელ ბინას, თბილისში დარჩენილ მის ოჯახს კი ყოველთვიურად დაენიშნება 30 მან. ვერცხლით.

იმავე წერილში პასკევიჩი ატყობინებდა პეტერბურგში, რომ აღნიშნულმა ოსტატმა (ყ. ელიაზარაშვილმა) უკვე წარმოადგინა ზემოაღნიშნული ოსტატი იარაღები და მათი დამზადების წესის აღწერილობა, და სხვ. პასკევიჩის მიერ გაგზავნილი ყ. ელიაზარაშვილის ნაყეთები იარაღები, მათი დამზადების აღწერილობა და პასკევიჩის მიერ წერილში აღნიშნული საყითები რუსეთის ფინანსთა მინისტრმა კანკინმა თავისი მოხსენებით ბარათითურთ 1830 წლის ივლისის თვეში გამახალგა-

¹ ციტირებულია პ. გუგუშვილის მხებდვით. ა. მისი ამქრული ხელოვნების დაშლა ამიერკავკასიაში (ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, XIII, თბილისი, 1953 წ. გვ. 374).

¹ გენერალი სიბიავინი იყო თბილისის სამხედრო ვეტერნატორი 1827 წლიდან ვარდაიცვალა 1828 წლის ბოლოს.

¹ Акты кавказской археографической комиссии, т. VII, стр. 342.

ლად წარუდგინა იმპერატორს. კანკრინი იმპერატორისადმი წარუდგინა მოხსენებით ბარათში მოითხოვდა, რომ ზღატოუსტის იარაღის ქარხნიდან თბილისში ყ. ელიაზარაშვილთან სასწავლებლად გაგზავნილიყო ორი ახალგაზრდა საუკეთესო ოსტატი—ერთი რუსული, ხოლო მეორე გერმანული სამაქროდან—და აგრეთვე ორი მუშა, მათთვის საგზაო და აღვილები შესანახი ხარჯების გაღებით. მისი აზრით, მათთან ერთად ყ. ელიაზარაშვილთან უნდა გაგზავნილიყო აგრეთვე ზღატოუსტისა და სხვა ქარხნებში დამზადებული საუკეთესო ხარისხის რკინა სხვადასხვა ხარისხის თუჯი და ფოლადი ფილებად, მათი ჯეგარდნად („ბულტად“) გადამუშავებისათვის. ამისათვის იგი მოითხოვდა ხაზინის მიერ შესაფერისი თანხების გაღებას, კანკრინს საქიროდ მიაჩნდა აგრეთვე, რომ პასკევიჩს თავის შეხედულებსამებრ დროდადრო ყ. ელიაზარაშვილისათვის ეძლია მუშაობის გასაძლიერებლად საქირო თანხები. ვარდა ამისა, კანკრინი საქიროდ თვლიდა, რომ ოსტატ ყ. ელიაზარაშვილს შეპირებულდნენ, რომ თუ იგი გულმოდგინედ მოამზადებდა მისთან სასწავლებლად გაგზავნილ ოსტატებს, მიეცემოდა ოქროს მედლის მარკა, კიდევ ფულადი და სხვა სახის ჯილდო შეხედულებისამებრ. და, ბოლოს, იგი მოითხოვდა საქართველოდან რუსეთში გაგზავნათ იმ რკინისა და ფოლადის ნიმუშები, რომლებიდანაც აწარმოებდნენ სხვადასხვა ხარისხის ჯეგარდნებს. მისი აზრით, მთებში (ე. ი. საქართველოში, ვ. გ.) იარაღის დამზადების ოსტატობა უშაღლეს საფეხურზე იყო აყვანილი, ამიტომ მას საქიროდ მიაჩნდა ეზრუნათ მათგან ჯეგარდნის იარაღის დამზადების ხელოვნების გადმოსაღებად. რუსეთის ფინანსთა მინისტრის კანკრინის ზემოაღნიშნული სიტყვები იდასტურებს საქართველოს რაიონებში ჯეგარდნებისა და მისგან მალაზხარისხოვანი საომარი საჭურველის დამზადების მალა ოსტატობას. კანკრინის მიერ იმპერატორისადმი წარუდგინელ მოხსენებში ბარათში მოსაზრება იმპერატორის მიერ მიღებული იქნა უცვლელად და დამტკიცდა შესაჩრულებლად, ხოლო ყ. ელიაზარაშვილის წაკეთები იარაღები, რომლებიც მას წარუდგინეს იმპერატორის მოითხოვებით, სამთო კრობუსის მუხრუმს ჩაბარდა¹.

ამგვარად, თუ პირველ ხანებში ჯეგარდნისა და მისგან პირველხარისხოვანი საომარი იარაღის ოსტატის ყ. ელიაზარაშვილის რუსეთში წყევანს ფიქრობდნენ, შემდეგ მასთან მოსაზრებად და თბილისში გამოგზავნეს ოსტატები ზღატოუსტის იარაღის ქარხნიდან. ყ. ელიაზარაშვილთან ამ საქმის შესასწავლად ჩამოვიდნენ უცხოელი კარლ ვოლფერტი და რუსი ვასილ იუტაკოვი და, მათთან ერთად, ორი მუშა—მიხე-

ილ დიატლოვი და ნიკოლოზ ივანოვსკი, მითითების თანახმად, გამოგზავნილ ოსტატებს ყ. ელიაზარაშვილთან რუსეთის ქარხნებში დაწესებულ გამოტანეს სხვადასხვა ხარისხის ფოლადი, რკინა და თუჯი იმ მიზნით, რომ ყ. ელიაზარაშვილს სინი გამოეცადა და ჯეგარდნისა და პირველხარისხოვანი საომარი იარაღის, ხმალ-ხანჯლისა და ღუმლის დასამზადებლად მათი ვარკისიანობა დაეღვინა.

როგორც ქვემოთ დაინახავთ, გზებზე ზოღურის გაწენის გამო ზღატოუსტიდან ოსტატები თავის დროზე ვერ გამოუგზავნიათ თბილისში. ზღატოუსტის იარაღის ქარხნის დირექტორი 1831 წლის 22 იანვარს საქართველოს მთავარ-მართებელ პასკევიჩს სწერდა, რომ ფინანსთა მინისტრის გასული წლის 13 აგვისტოს მოწერილობით, იარაღის ოსტატ ყ. ელიაზარაშვილთან თბილისში უნდა გამოგზავნილიყო ორი ახალგაზრდა წარჩინებული ოსტატი, ერთი—რუსი, მეორე—გერმანელი, აგრეთვე ორი უბრალო მუშა, რომლებიც შეისწავლიდნენ მის მიერ შთამომავლობით შეძენილი ჯეგარდნის იარაღის დამზადების საიდუმლოებას. მაგრამ ამ მხარეში და თბილისამდე გზებზე მდებარე გუბერნიებში ხოლერის გაჩენის გამო ოსტატების გამოგზავნა დღემდე შეუძლებელი გახდა, ამიტომ მოგვიანებით გაიგზავნა თბილისში ორი ოსტატი: უცხოელი კარლ ვოლფერტი და რუსი ვასილ იუტაკოვი. აგრეთვე ორი უბრალო მუშა—მიხეილ დიატლოვი და ნიკოლოზ ივანოვსკი. მითითების თანახმად, სწერდა ქარხნის დირექტორი მათ, თან გამოეატანე რუსული ლითონები გამოსადგელად ამისათვის, რომ დადგინდეს შეიძლება, თუ არა მათგან სხვადასხვა სახის ჯეგარდნის დამზადება¹.

თბილისში ზღატოუსტელი მეიარაღე ოსტატების ჩამოსვლიდან რამდენიმე თვის შემდეგ 1831 წ. 23 სექტემბერს, ყ. ელიაზარაშვილი სპეციალურ წერილს წერს თბილისში პოლიციისტიერ მთიარ მინიჩესოს. ამ წერილში, იგი სწერდა, რომ, თანახმად რუსეთის ფინანსთა მინისტრის დასმული კითხვებისა, მიმანია, თუ არა რუსეთის ქარხნების ფოლადი, რომელიც სხვადასხვა სახის ჩამოტანეს თბილისში, კარგ ხარისხის ფოლადად და, კერძოდ, რომელ მათგანს ეცნობ გამოსაყენებლად ჯეგარდნების („ბულტების“) მსგავს მასალად საომარი სხვადასხვა იარაღის დასამზადებლად; ბატონი მაქვს განვიმარტოთ, რომ რუსეთის ფოლადებიდან საომარი იარაღების გასაყვებლად უფლაზე უკეთესად მიმანია ზღატოუსტის ქარხნის ორი გამოწინდელი და სხმული ფოლადი და რკინა, რომელსაც შეიძლება თეთრი ეწოდოთ. შეიძლება გამოიყენოთ აგრეთვე უში რკინაც, რომელიც ქერაში გამოწრთობისას ჩაქურჩის

დარტყმისაგან, იმსხვრევა. სხვა ქარხნების ლითონები შემოწმების შედეგად სრულიად უვარკისი აღმოჩნდა. ბადაყვის ფოლადისაგან შეიძლება ძალიან კარგი ხარისხის საომარი სხვადასხვა იარაღის დამზადება, მხოლოდ უნაკადოდ, ე. ი. ისინი ჯვევარდნის მსგავსნი არ იქნებიანო და სტ.¹

ინტერესი მოკლებული არ იქნება გავეცნოთ თბილისში პოლიტექნიკური მაიორ მინჩენკოს მიერ 1832 წლის 8 იანვრის თარიღით ბარონ როზენისადმი წარდგენილ მოხსენებითს ბარათს, რომლითაც უდიდეს უფრო ცხადად დასტურდება ე. ელიზბარაშვილის მიერ კუვარდნებისა და მისგან პირველხარისხოვანი საომარი იარაღების დამზადების ღრმა ცოდნა. მაიორი მინჩენკო აღნიშნავდა, რომ ე. ელიზბარაშვილს გამოუტყბინია საშუალება რუსეთის ქარხნებში დამზადებული რკინისა და ფოლადისაგან დაამზადოს ჯვევარდნის ყაღაბე ახიური ხმლები, ნახევარხმლები, დაშენები და ხანჯლები.

მაიორი მინჩენკო — ე. ელიზბარაშვილისაგან მიღებული ახსნა-განმარტების საფუძველზე — თავის მოხსენებითს ბარათში ბარონ როზენს შემდეგ აცნობდა:

1. ერთი ახიური, ან ჩერქეზული ხმლისათვის საჭიროა 6 გირ, რკინის ზოლი. იგი უნდა ჩაიდოს ქურაში და იმ ზომამდე გავარდნად, რომ შესაძლებელი იქნეს მისი სიგრძეზე ზოლებად სამ ტოლ ნაწილად დაჭრა. თითოეული მათგანი ისეთივე წესით ორ ნაწილად უნდა დაიჭრეს, საიდანაც მიიღება ექვსი თანასწორი ნაჭერი, თითოეული სიგრძით არშინის შეთანხვადი. ამის შემდეგ აღებული უნდა იქნეს ორი ვირვანკა შედუღებული ან ნეღი ფოლადი და ქურაში გავარდნების შემდეგ ეს ვაჭრას იგი საც თანასწორ ნაწილად, ისე, რომ ზომით თითოეული მათგანი უდრიდეს რკინის დაჭრილ ნაწილს. ამის შემდეგ აღებული იქნეს რკინის ორი ნაჭერი, მათ შორის მოთავსდეს ფოლადის ერთი ნაჭერი და ქვიშით შედუღებული იქნეს. ასეთივე წესით შედუღდეს რკინისა და ფოლადის დანარჩენი ნაჭრებიც. შენადული ნაწილები უნდა გამოიწრთოს იშვებარად, რომ თითოეული ნაჭრის სიგრძე ორჯერ გაიზარდოს, ე. ი. ნახევარი არშინის სიგრძით, 3/4 ვერშოკის სიღრმით და 1/8 ვერშოკის სისქით. შემდეგ საჭიროა თითოეული ნაჭერი ქურაში გავარდნად, ზემოდან და ქვემოდან მოეყაროს დანაყილი თუჯის ფხვნილი, ექვსიოდენ ნაჭრისათვის საჭირო იქნება ერთი გირვანკა ასეთი ფხვნილი ამის შემდეგ აღნიშნული თითოეული ნაჭერი უნდა გამოიწრთოს ისე, რომ თითოეულის სიგრძე ერთი არშინი, ხოლო სიგანით 1/2 ვერშოკი გახდეს. შემდეგ თითოეული ნაჭერი მოადუნოს ხუთად, შეიღოს ქურაში და ქვიშასთან ერთად შედუღ-

დეს. ყოველივე ამის შემდეგ თითოეული მათგანი კედლის საშუალებით ვაჭვრეს ქურაში-ნის სიგრძეზე, კვლავ გავარდნად, და უნდა წილად გადმოიჭრას, კვლავ შედუღდეს ქვიშით და ხელახლა გაიჭიმოს 1/2 არშინის სიგრძეზე, შემდეგ გადმოიჭრას შუაზე, ამის შემდეგ თითოეული მათგანიდან გამოიჭედოს ხმლის მსგავსი ზოლი, სიგრძით ჩვეულებრივ ხმაზე ორი ვერშოკით ნაკლები. მიღებული თითოეული ზოლი ორივე მხრიდან დაისეროს მსგავსად მსხვილი ქლიბისა. ახლა მას ეს დასერული უნდა ჩამოეცალოს, შემდეგ უნდა მიხდეს მისი ხმლად ან დამნად ვაჭვრეს. სხვა ფოლადისაგან ნაწრთობი საფხვებით მის მჭრელ პირზე სურვილის ან ფორმის მიხედვით შეიძლება გავეთდეს პატარა ღარები, შემდეგ იგი ჩვეულებრივად შემოხარატდეს საღესზე და გამოიწრთოს თბილ წყალში, უხსტად ისე, როგორც სხვა საფხვებს აწრთობენ, იმ შემთხვევაში, თუ ვკინდა მჭრელი პირის შავარი ან მტყეცე წრთობა, მაშინ საჭიროა კარგად გამოხარი მჭრელი პირის ორივე მხარეზე მოაყაროთ წმინდად დაფხვნილი მარილთან შერეული მსხვილფეხა საქონლის დამწვარი კერის ფხვნილი, მერე იგი კარგად გავარდნად ქურაში, ხოლო იქიდან გამოღების შემდეგ ჩადებული იქნეს თბილ წყალში. ახლა იგი მჭრელი პირით კვლავ ცეცხლში უნდა ჩაიდოს და გაჩერდეს, ვიდრე მთლიანად არ მიიღებს ერთგვარ სიყვითლეს; ამის შემდეგ ეს კვლავ თბილ წყალში უნდა მოთავსდეს. ამით დამთავრდება წრთობა. საჭიროა იგი გაიწმინდოს წმინდა ზემოთგარით, ამასთანავე, მისთვის წინასწარ უნდა იქნეს მომზადებული სპილენძის შილი, სიგრძით 1 1/4 არშინი, შინ ჩაიყაროს 1/2 გირ, შაბი. მიღი უნდა აავსონ წყაროს წყლით და დალოც ცეცხლზე. წყლის ადუღების შემდეგ მიღში უნდა ჩაიდონ ნაწრთობი იარაღის მჭრელი პირი, 15 წუთის შემდეგ იგი უნდა ამოვიღოთ, მისი რომელიმე ნაწილი გავწმინდოთ უბრალო მტვერით და დაეკვირდეთ: თუ გავწმინდილ ადგილზე ნაკადი სასურველად კარგი აღმოჩნდა, მაშინ იმავე მტვერით გაიწმინდოს იგი მთლიანად. ამრიგად, იარაღის მჭრელი პირი მზად იქნება სახმარად.

2. რუსული ნახევარხმლისა და დმნისათვის საკმარისა რკინა — 5 გირ, ფოლადი — 2 გირ, და ქვიშის მსგავსად დაფხვნილი თუჯი — 1 გირ.

3. ერთი საშუალო ზომის ხანჯლისათვის საჭიროა: რკინა 1 1/2 გირ, ფოლადი — 1 გირ, და თუჯი 1/2 გირ, ნახევარხმლის, დმნისა და ხანჯლის დამზადების წესი იგივეა, რაც ხმლის ან ჩერქეზული ხმლისა.

4. საუველესა ჯვევარდნი ორგავარია: ყაოა-ხორასანი და ყარა-თაბანი.

5. სხვა ხარისხის ჯვევარდნებს ეწოდებათ: 1) თაბანი, 2) ხორასანი, 3) ნეირისი, 4) ლიხორი, 5) ჰინდი, 6) ემ-ჰინდი, 7) ემ-გალა, 8) ემ-

მინი, 9) შამი, 10) სტამბული და 11) თარს-მეიშენი. ყარა-ხორასანის გამორჩევა ყარა თახანისაგან შეიძლება ნაკადის მიხედვით, რადგან პირველის ნაკადი გრძელი და ღია შავი ფერისაა და ხანჯლის თოვლ სივრცეს მიჰყვება; მეორეს კი ნაკადი ისეთვე აქვს, მხოლოდ, მარმარილოს მსგავსად, მრგვალი და გარდობად-მოდაა პირზე. სხვა ხარისხის ჯვევარდნების ერთმეორისაგან ვარჩევა შეიძლება მხოლოდ თითოეულის პირადი დათვლიერებით, რადგან მათი აღწერა ძნელია და თითქმის შეუძლებელი. ამასთან, ისინი — როგორც ვამბობთ, ისე ფასით — უოველთვის ჩამოვარდნებთან პირველ ორს.

6. გატეხილი ჯვევარდნის ხმლისა ან ხანჯლის პირის შედუღების წესი: გატეხილ იარაღს ქლიბით უნდა მოშორდეს მოტეხილი ბოლოები, შემდეგ თითოეული მათგანის ბოლო სივრცეზე მოიჭერხოს ორიზად, ერთი-მეორეს მიედოს და გასწორებული, მარწყხით მოკერილი შეიდოს ქურაში, ვახუტდეს გაწითლებამდე, დაახლოებით ძროხის ხორცის ფერად; ამის შემდეგ მასზე უნდა მოეყაროს დანაყილი ბორაყი („ბუ-რა“), ისე რომ ჩამოჭერილი ნაწილს დაეყაროს და გადნეს, შემდეგ მას ზედ უნდა მოეყაროს ის ნახერხი, რომელიც მათგან იყო მოხერხილი, — შეიძლება აგრეთვე მისი მსგავსი ხმლის ან ხანჯლის ნახერხიც. როდესაც ნახერხი გადნება და შეუერთდება ბორაყს, მაშინ უნდა გადმოვიღოთ ცეცხლიდან. მეორე გადატეხილ ნაწილსაც ასევე მოვექცევით, როგორც პირველს. ორივე გადატეხილი ნაწილი ისევე უნდა ჩაიღოს ცეცხლში და გაწითლდეს ძროხის ხორცის ფერად, შემდეგ გრდამზე უნდა დამუშავდეს ჩაქურჩის ზომიერი დარტყმით, როცა ისტატი დარწმუნდება, რომ ბოლოები რამდენადმე შედუღებულია, უნდა გაგრძელდეს შედუღება იმავე წესით, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული. ამასთან, საჭიროა სიფრთხილე, რომ ჯვევარდნი ზომაზე მეტად არ იყოს გავარჯერებული, რადგანაც, როგორც ზემოთ ითქვა, თუ ზომაზე მეტად გავარჯერდა, იგი დაიშლება თუჯის მსგავსად და გაციკების შემდეგ ნაკადი აღარ ვერება. გარდა ამისა, მის პირს ექნება მრავალი ბზარი რისი გამოწერებაც შეუძლებელია, გადატეხილი ჯვევარდნის შედუღების წარმატებით დამთავრების შემდეგ გადატეხის ადგილი უნდა გაილესოს საღუსზე, შემდეგ გაიწმინდოს ზუჟფარათი, ისე როგორც ამას უკეთებენ აზიურ ხმლებს, რაც დამუშავებული ჯვევარდნის მსგავსად ხდება. ამის შემდეგ კი უნდა გამოიწეროს სპილენძის მიღმი შაბიამანთი, რომელიც უნდა იყოს თბილი, მაგრამ არა ძალიან ცხელი მდუღარე წყალი.

7. ნამღვილი ჯვევარდნის სხვადასხვა სახისა და ხარისხის ორი ხმლისა და ხანჯლის პირებისა ან სხვა ნივთების ერთმანეთთან შედუღების წესი: უნდა ავიღოთ სხვადასხვა ხარისხის ჯე-

ვარდნის ორი პირი, თითოეულ მათგანს ცალი მხრიდან შემოეკლებოს, ისე რთმ/შეფუენ/შეფი-ლოთ $\frac{1}{4}$ ვირე. ნაქლიბი ან კურტა/ქურტა/შეტ პირის სისქის მიხედვით. შემდეგ ისინი ერთმანეთს მივადოთ ისე შვიდროდ, რომ ორივე ერთი გამოთლილი პირის სისქეს შეადგენდეს. შემდეგ ერთი პირი ჩაეღოს ქურაში და გავახუროთ სწიფთლამდე, შემდეგ კი მას დაეყაროთ დანაყილი ბორაყი, — მისი ვადნობის შემდეგ დაეყაროთ მას ჯვევარდნის უხეხილი ზესტად ისე, როგორც ეს კეთდება გადატეხილი პირებისა და სხვა საგნების შედუღების დროს. ასევე მოვექცეოთ მეორე პირსაც, რომელიც მომზადებული უნდა იქნეს შედუღებისათვის, ამგვარად, როცა ორივე პირი მომზადდება შედუღებისათვის, შემოვუქცეოთ მარწყხი. ჩაეღოთ ცეცხლში და გავახუროთ ძროხის ხორცისფერად. ამ ფერის მიღებისთანავე უნდა ამოვიღოთ ცეცხლიდან, დაეღოთ გრდამზე და დაეამუშაოთ ჩაქურჩებით, მაგრამ არა ძლიერად. როდესაც შეეამჩნევთ, რომ ორივე პირის ბოლოები ნაწილობრივ შედუღებულია, განვაგრძობთ მათი შედუღებას, ექვადრე ორივე ნაწილი სრულიად არ შედუღდება. ამის შემდეგ უნდა დავარწყხილოთ, რომ შედუღება არაა დასრულებული, ამას ვამოწმებთ შემდეგი სიხეით: შენადელარს მოვქლიბავთ ყუას და შედუღებულ მკრელ პირებს, შემდეგ შედუღებული ჩაქურცებრივი წესით გავლეყავთ საღუსზე, თუ აღმოჩნდა, რომ შედუღება ერთ ან რამდენიმე ადგილას დამაკმაყოფილებლად არ არის დამთავრებული, მაშინ იმ ადგილებზე, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უნდა დაეყაროს — ერთს ბორაყი, ხოლო მეორეს — ნაქლიბი და გაგრძელდეს შედუღება არაითარი შემთხვევაში არ იქნეს დაშვებული გადახურება, უმჯობესია ავლდეს ვახურება, ვიდრე ზედმეტი მოუვიდეს. თუ ეს მოხდა, იგი აუცილებლად გაფუტდება. ამის შემდეგ შედუღებული პირები გახურებული უნდა იქნეს სწიფთლამდე, მაგრამ ძროხის ხორცის ფერზე უფრო ბაცად, ახლა იგი უნდა გამოვიღოთ ცეცხლიდან და ჩაეღოთ განსაკუთრებულ ხის გობში, რომელშიაც წინასწარ უნდა ჩაისხას გამდნარი ქონის სანთელი. ამ სითბუში უნდა მოხდეს მისი გამოწერობა. შემდეგ უნდა ამოვიღოთ და ცეცხლზე გავახუროთ ნაწამდე, ვიდრე არ მიიღებს რამდენიმე სიყვითლეს. ამის შემდეგ ხელახლა უნდა ჩაეღოთ ქოთანში, სადაც პირი მიიღებს დამარულებულ სახეს. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ, თუ წრთობა მეტად ძლიერი აღმოჩნდა (რისი შემოწმებაც შეიძლება ამის მიხედვით, ვახეხება ქლიბით თუ არა, თუ მხოლოდ სრალი დაწერა), მაშინ საჭიროა ცეცხლზე გახურებით ხელახლა იწრთობდეს ის ისე, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული. საჭიროა იგი კვლავ გახურდეს ერთგვარ სიყვითლემდე. შემდეგ იგი უნდა გაიწმინდოს წერბილი ზუჟფარათი, ჩაიღოს ოქრომჭედლის სპილენძის

ბორაში ან მილში გამოიწვეას (выпрямить) მანადე, ვიდრე მასზე მიღებული არ იქნება სასურველი ნაყადი.

8. ზღატოუსტის იარაღის ქარხნის საბაეოდან ოსტატებმა ჩამოიტანეს: სხმული ფოლადი — 7 ფუთი და 60 მისხალი, შედუღებული ფოლადი — 1 ფუთი და 60 მისხალი, რკინა — 39 გირგ. და 84 მისხალი და თუჯი — 39 გირგ. და 42 მისხალი.

9. სამთა და მარილების საქმეთა დეპარტამენტიდან, ფინანსთა მინისტრის განკარგულებით, თბილისში ჩამოიტანლია სხვადასხვა სახის ლითონები: თუჯი, რკინა და ფოლადი წონით 3 ფუთამდე საომარი იარაღების დასამზადებლად.

10. ზღატოუსტის იარაღის ქარხნის დირექტორის შუამდგომლობით, აჭარა სახაზინო ექსპედიციაში კამსოკოტკინის ქარხნიდან გამოგზავნილია ქოთნური (горшечный) სხმული ფოლადი — 1 ფუთი, წნელოვანი სხმული ფოლადი — 1 ფუთი, ზუმტოვანი ფოლადი და ფერადი, ვაჭრობაში წყობილის (укладка) სახელით ცნობილი — 1 ფუთი. რაფირინებული ან ბაბთისებური (пеночный) ფოლადი მომზადებული „სტირმარის“ მსგავსად — 1 ფუთი, წყობილი (укладка) ან ნედლი ფოლადი — 1 ფუთი, მრგვალი რკინა — 1 ფუთი, ზოლიანი — 2 ფუთი, რკაწახნაკოვანი — 1 და ოთწახნაკოვანი 1 ცალი.

11. ამავე ექსპედიციაში გორთბლაგოდაცვის ქარხნების მთავარი კონტრაის მომართვით მოტანილია — 4 ფუთი სხვადასხვა ღირსების თუჯი, 1 ფუთი, კერძოდ კი: რბილი ნახევრული (половиннотого) მესამეული (третичного) და თხიერი თანაბარი ნაწილად. ყველა ზემოაღნიშნული მასალა გამოცდილია შეიარაღე ყ. ელიაზარაშვილისა და ზღატოუსტის იარაღის ქარხნის ფოლადი და რკინა-ჯგვარდნის მსგავსი საომარი იარაღების დასამზადებლად. ძლიერ კარგია, ვარდა ქოთნური (горшечный) სხმულისა, ან, როგორც მას უწოდებენ, ბოდევეცის ფოლადისა. იგი თავისი უხეშობის შედეგად სხვა ლითონებს ძნელად შეუღებდება. მისგან გაითეთველი იარაღს მჭრელი პირი ბევრჯან აღმოაჩნდა პირწყლიანი. (сплеменами)¹ მგერამ თუ ამ ფოლადისგან მარტო პირს გამოეკვეთ უნაკლოდ, მაშინ იგი თავისი ღირსებით ოდნავეადე არ ჩამოვარდება იმ საომარ იარაღებს, რომლებიც კეთდება სხვა ზვენი ლითონებისაგან. რუსეთში ქარხნების თუჯი გამოცდის შედეგად უვარგისი აღმოჩნდა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი დაფხვმა არ ხერხდება.

12. ზღატოუსტის ქარხნის ოსტატებმა მიერ ერთ აზიურ ხმალს სჭირდებოდა რკინა 10-11 გირგ., ნაღობი ფოლადი — 5-6 გირგ. და სხმული ფოლადი 3 გირგ. იარაღის ქედვისათვის ასე ვერც იმიტომ იხარჯებოდა, რომ ოსტატები ვერ კიდევ არ იყვნენ დახელოვნებული ქედვისა და შედუღების საქმეში. ამგვარად, მათი აღიარებით და იარაღის ოსტატ ელიაზარაშვილის დასტურით, საქმარისია მხოლოდ იმდენი რაოდენობის რკინა, თუჯი და ფოლადი, რამდენიც აღნიშნულია ამ ჩანაწერის 1, 2 და 3 მუხლებში. ვარდა ამისა, იარაღის ოსტატი ელიაზარაშვილი და ჩვენი ოსტატები გვარწმუნებენ, რომ რუსეთის ქარხნებში დამზადებული თუჯი, ფოლადი და რკინა ეფექტურ გამოეყენებას პოელობს იარაღის წარმოებაში.

13. იარაღის მჭრელი პირის ოქრო-ვერცხლით ჭედვის წესი: აღებული უნდა იქნეს 4 გირგ. კუპრი და 2 გირგ. ავურის ფხენილი. გამდნარი კუპრი უნდა ავიროს ავურის ფხენილს. აღნიშნული შენაერთი უნდა დაისხას ფიცარზე და მასში მოთავსდეს იარაღის მჭრელი პირი, ისე როგორც ამას შეჩუქურთმებები და ფულის მჭრელები აკეთებენ. ამის შემდეგ იარაღის მჭრელ პირზე ოხრით დაიხატოს სასურველი ნახატი და შემდეგ იგი ღრმად ამოიჭრას ისე, რომ მასში შეიძლება მჭრელი, მავთულის ჩაჭედვა და შემდეგ მისი წერტილი ქლბით გადაქლბება. ოქროსა და ვერცხლის მავთული კეთდება ხელის მანქანით გაეარეარებულ ოქროსა და ვერცხლისაგან.

იარაღის ოსტატმა ყ. ელიაზარაშვილმა ერთმანეთთან შეადარა ჯგვარდნის ორი მჭრელი პირი, რომლის მარჯვენა მხარეს. მისი თქმით, უარაბაბანი უწოდება, ხოლო მარცხენას ეარა-ხორასანი. ოსტატმა ვოლფერტმა მარჯვნიდან შეადგულა თაბანი, ხოლო მარცხნიდან — ხორასანი. ოსტატმა იუცაკოვმა შეადგულა მარჯვნიდან თაბანი და მარცხნიდან — ხორასანი. აღნიშნული იარაღის მჭრელი პირები არ არის ნაწერთობი, რადგან მარჯვენა და მარცხენა მხარეები ჯგვარდნის სხვადასხვა ხარისხისა არიან.

ოსტატ იუცაკოვის მიერ ჯგვარდნის შედუღებულ და გამოყვანილ ხმალზე შედუღებული ხმლის პირის ქვემოთ ბოლოდან დაახლოებით ადგილის ერთი-მეოთხედი გადაიწვა და შუა ადგილზე ბზარი აღმოჩნდა. იმიტომ იგი ამოიღეს და ზეაზალი აღმოჩნდა. იარაღის ოსტატ ყ. ელიაზარაშვილის მტკიცებით, ეს იმიტომ მოხდა, რომ ხმლის პირი ცეცხლში მეტბანს გააჩერეს, ვიდრე ეს საჭირო იყო. ვოლფერტის ხმლის პირის ორ ადგილზე, პირზე და ყუაზე შედუღება კარგად არ იყო გაკეთებული და, ვარდა ამისა, მჭრელ პირზე ზემო ბოლოდან ცივი

¹ თუჯის, რკინის, ფოლადის ძველი სახელწოდებანი და სხვა ტერმინოლოგია დედნიდან ტექსტში უცვლელად არის მოყვანილი.

ქედებსა რამდენიმე ბზარი აღმოჩნდა¹.

აქეთი იყო ის ცნობები, რომლებიც თბილისის პოლიცემისტერმა მიიღო მირბენკომ ბარონ როზენს თავისი მოხსენებითს ბარათით აცნობა. იმ ბარათის შინაარსიდანაც კი მთელი სრულად ჩანს უ. ელიაზარაშვილის ღრმა ცოდნა და სწორუბოვარი ოსტატობა ჯგერდნებისა და მისგან საომარი პირველხარისხოვანი იარაღებისა და მჭრელ პირებზე ოქრო-ვერცხლით ქდევის საქმეში.

უ. ელიაზარაშვილი გულმოდგინედ ასწავლიდა თავის ზღატოუსტელ შეგირდებს ჯგერდნისა და მისგან საბრძოლო პირველხარისხოვანი მჭრელი იარაღის დამზადებას. რამდენიმე ხნის შემდეგ უ. ელიაზარაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით ზღატოუსტელმა ოსტატებმა იუჯაიოემა და ვოლფერტმა დამზადეს 10 ბულატური ხმლის მჭრელი მოურთავი პირები. ერთი ხმლის პირი ოქროს ქდევეთ დამზადა თვეთ უ. ელიაზარაშვილმა. აღნიშნული ხმლის პირები ბარონ როზენს წარუდგინეს. ბარონმა როზენმა, ისინი, 1832 წლის 18 იანვრის შიმართვით, გა-

უგზავნა რუსეთის ფინანსთა მინისტრს კანკრინს, რომელმაც ისინი ვანსახილველად იმპერატორს წარუდგინა. ხმლების აღნიშნული პირები ამდენად ზღალხარისხოვნად და ლამაზად იყო ნაკეთები (ჯანსაყუთრებით — უ. ელიაზარაშვილის მიერ დამზადებულად), რომ, როგორც ცნობილია, იმპერატორმა სახელმთხოვეკილა ქართველი ოსტატი უ. ელიაზარაშვილი 1000 მანეთით, ხოლო ვ. იუჯაიოე და კ. ვოლფერტი 500-500 მან. დააჯილდოვა. წარდგენილი იარაღი კი შესანახად კადეტთა სამთო კორპუსის მუზეუმს გადასცეს¹.

ზემოაღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უ. ელიაზარაშვილი ჯგერდნისა და მისგან იარაღის დამზადების საიდუმლოების მცოდნე დიდი სპეციალისტი ყოფილა. მან რუსეთს გადასცა ჯგერდნის („ბულატის“) მიღებისა და მისგან საბრძოლო იარაღის დამზადების რთული ტექნოლოგია. მისივე ხელმძღვანელობით მომზადდა რუს მეტალურგთა კადრები ამ მნიშვნელოვანი საქმისათვის.

¹ Акты, т. VIII, стр. 191—192.

¹ იქვე, გვ. 192.

ლილა გერქინიძე



გიორგი მხატვარი

(ძველი თბილისის მხატვრობის ისტორიდან)

ძველი ქართული მხატვრები თავიანთ შემოქმედებას ელიან. გიორგი მხატვარიც ბიოგრაფიული დეტალებითაა.

ამ პატარა წერილში ჩვენ ვეცადეთ თავი მოგვეყარა სამეცნიერო ლიტერატურისა და ხელნაწერთა საყვებში გაფანტულ ცნობებისათვის გიორგი მხატვრის შესახებ.

გიორგი — თბილისის სიონის მხატვარი. მშვედრე და სტამბის მუღურე, — როგორც ერთი გამოუქვეყნებულა საბუთიდან ირკვევა, «ოვანე მხატვრის შვილი» ყოფილა. როგორც ჩანს ეს ხელობა მათ ოჯახში შემეცნიერებით გადადიოდა. გიორგის მიერ შედგენილ «ნასყიდობის წიგნში» ვკითხულობთ: «მე მხატვრის ივანეს შვილს, თითონ მხატვარს გიორგის დამიწერია...»¹

შ. კვასხვაძემ გამოარკვია, რომ 1710 წელს ვახტანგის სტამბიდან გამოსულ «ლოცვანისა» და «ივანის» მხატვარი-ილუსტრატორი გიორგია.²

1712 წლის აპრილის დამლევს, ირანის სატახტო ქალაქ ისპაანში გამგზავრებამდე, ვახტანგ მე-6-ე წყალობისა და სითარხნის წიგნსა და ნიშანს³ აძლევს თბილისის სიონის მხატვარს «ერთგულსა და ნამსახურს ყმას» გიორგის და მის შვილებს: მიქელს და იოვანეს⁴.

«მას ეამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და დარბაზისა ჩვენისასა და სითარხნის წყალობას დავეთაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი... ასე ვათარხნეთ და ვათაყისუდეთ».

¹ აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ფონდის ხელნაწერი № 2830.

² შ. კვასხვაძე «ვახტანგ მე-6 სტამბის წიგნი» 1952 წ. გვ. 207—208.

³ ეს საბუთი რატომღაც მხედველობიდან გამოორჩათ. ვახტანგ მეექვსის სტამბის მიმოძილებელთ: შ. კვასხვაძეს («ვახტანგ მე-6 სტამბის წიგნი», 1952 წ.) და ქრ. შარაშიძეს («პირველი სტამბა საქართველოში», 1955 წ.)

რომ არა ვეთხოვებოდეს რა, არა ბაჭი და არჯი, არა სატყვეო და სათემო და სათათრო, საძალო სათხოვარი და გამოსაღები. არა საყვამლო და სამოხელო და მდგმერი, არა დუქნისა და მუშის, რა-განდა-რა სათხოვარი და გამოსაღები არა დიდი და არა მცირე, არა-ფერისთანა»¹.

1712 წლის 23 აპრილით დათარიღებული ეს სიგელი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სამეცნიერო ლიტერატურაში ტრადიციულად მიღებულ თარიღს ვახტანგ მე-6 საქართველოდან ისპაანს 1712 წლის 22 აპრილს გამგზავრების შესახებ. რადგან ვახტანგმა 1712 წლის 23 აპრილს თბილისში «გათარხნა» მხატვარი გიორგი და მისი ძენი, ცხადია, იგი ისპაანში წასასვლელად საქართველოს დედაქალაქს 1712 წლის 22 აპრილს ვერ დატოვებდა.

ცნობილია, რომ რუსთაველის გენიალური პოემის 1712 წლის პირველი ბეჭდური გამოცემის არა მარტო შესტამზე, არამედ რედაქტორ-კორექტორიც მიქაელ დეკანოზიშვილი იყო. რადგან დაუჯერებელია, რომ მარტო მიქაელი გასძლოლოდა ამ მეტად რთულსა და მრავალმხრივ საქმეს, ჩვენ დეკანოზიშვილის ერთ-ერთ პირველ თანაშემწედ ვათარხნებით წახალისებული გიორგი მხატვარი მიგვაჩინია.

რაც შეეხება გიორგის როგორც მხატვრის მონაწილეობას «უფებისტყაონის» 1712 წლის გამოცემაში მოთავსებულ პორტრეტისა და ბავრათიონთა ღერის კომპოზიციის შექმნაში, ეს საკითხი ამჟამად გიორგის სასარგებლოდაა გადაწყვეტილი². მომდევნო წლებში «სტამბის მუღურეთ» და «მშვედრეად» გიორგი მხატვარი მონაწილეობდა. 1712 წელს გამოცემულ «დავითნ» აწერია: «სტამბის მუღურეთობისა გიორგი მხატვარი».

¹ აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზეუმი. ხელნაწერთა განყოფილება საბუთი № 774 შვიდ. ე. თაყიშვილი «საქართველოს სიძველენი» ტ. 11.

² შ. კვასხვაძე «ვახტანგ მე-6 სტამბის წიგნი», 1952 წ. გვ. 207—208.

სასა¹. ხოლო 1720 წელს გამოცემული „პარაკლიტონის“ შენიშვნა კი გვამცნობს: „შბეკ- დავი წმიდისა ამის პარაკლიტონისა... ტფილისის სიონის მხატვარი გიორგი“².

გიორგის სახელი უკანასკნელად 1760 წლის თებერვლის 14 დათარიღებულ ნასყიდობის სიგელში გვხვდება; იგი გიორგი მხატვრის მიერ არის შედგენილი: „მე მხატვრის ივანეს შეიღს, თითონ მხატვარს გიორგის დამიწერია და მოწამეც ვარ. დაიწერა სიგელი ესე თებერვლის იდ ქვის უმც³“.

ბუნებრივად იბადება კითხვა: სასტამბო და სამხატვრო საქმეს ჩამოშორებული ღრმად მოხუცი გიორგი მღვდანიწიფიანობით ხომ არ აჩვენდა თავს სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში?

ესაა ორიოდ სიტყვა გიორგის სტამბური და მხატვრული მეწყვიდერობის შესახებ.

1941 წელს გამოცემულ „ქართული წიგნის“ პირველ ტომში № 9 აღწერილია 1710 წ. ვახტანგ მე-6 სტამბაში დაბეჭდილი „ლოცვანი“. მის თავფურცელს გიორგი მხატვრის მიერ შესრულებული ორნამენტის ჩარჩო აქვს შემოვლენული, თავფურცლის მეორე გვერდზე ბაგრატიონთა სავერაველო ღერბია. ღერბს ვარშემო სადად მონახა ჩარჩოში წარწერა აქვს ვაკეთებული, ზემოთ და ქვემოთ კი შემკულობა ახლავს.

წიგნის მეოთხე გვერდზე მიცხოვრის გამოხატულებაა, ტექსტს ორნამენტები და გრაფიკები მოჰყვება.

„ლოცვანის“ ეს გამოცემა აღსანიშნავია ფორმატისა და ანაწილების მცირე ზომით და შრიფტის მინიატურულობით.

„ლოცვანი“ — წერს შ. კვასხვაძე — აღსატყობს, რომ ამ წიგნს ყოველი ელემენტი, ყოველი მხატვრული — პოლიგრაფიული კომპონენტი, დაწესებული შრიფტით და დეტალით გათავებული, ახლად და პირველად საქართველოშივე ყოფილა შემუშავებული. ბაზა მისი პოლიგრაფიული თუ მხატვრული შესრულებისა დამხადებისა თბილისის იქით, რასაკვირველია, ეგრე წავა. მხატვრული საზომი, გამოყენებული ამ წიგნის შექმნა-შემუშავებისათვის, საქაიოდ მაღალი და ფართო ჩანს⁴.

აღსანიშნავია ის ვარემოება, რომ „ლოცვანის“ ხსენებული გამოცემა, თუ ერთის მხრივ ტრადიციულად მისდევს ვახტანგის სტამბიდან გამოსულ წიგნთა დეტკოსა და მხატვრულ მხა-

რუს, ამასთანავე იგი „ვახტანგის სტამბის“ სხვა წიგნთა მიხედვით ცნობილ პორტრეტულ შედარებისას სახეცვლილებასაც იძლევა“¹.

ეს მხატვრული ვაუმჯობესებანი გიორგი მხატვრის დამხატვრებად უნდა ჩაითვალოს.

„ლოცვანში“ წარმოდგენილი ილუსტრაციები მეტად მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენენ ქართული ნაბეჭდი წიგნის ისტორიაში.

„ლოცვანში“ პირველად აღბეჭდილი ესტამპები, შესრულებული ქართული წარმოშობის საგრაფიერო დაფების დედანთა მიხედვით, ვახტანგის სტამბის შემდგომ, მომდევნო დროში არსებულ სტამბათაგან გამოსულ წიგნებშიაც გვხვდება და გვხვდება არა ერთგნის. ეს ვარემოება კი იმ დროის მიხედვით, განსაყუთრებით მაღლა სწევს და ხაზს უსვამს „ლოცვანის“ ილუსტრაციათა მნიშვნელობასა და ღირებულებას².

ვახტანგის სტამბიდან გამოსულ წიგნთა შორის „ლოცვანში“ პირველად გვხვდება სახუნთა ასოთა ნიმუშებიც.

„ლოცვანში“ გვხვდება მეტად მცირე ზომის გრაფიერათა ესტამპები. „პატარა ზომის გრაფიერაში ნახატის ჩაწერა... კომპოზიციის განთავსება და მისი ხეზე ამოკეთება მხატვრისაგან, დიდ მხატვრულ ტაქტთან ერთად დიდ ჩვეუასაც მოითხოვს“³.

წიგნის ამ გამოცემაში მოთავსებულია სამი პატარა ესტამპი: 1. „ქრისტე მაყურთხეველის“, 2. „ლუთისმშობლის ტაძრად მოყვანებისა“ და 3. „ბარძიშის“ კომპოზიციისა.

სახეები ფაქჩათაა ნაკეთი, შტრიხები მოქნილი და ერთმანეთთან შეთანხმებული.

ვახტანგის სტამბიდან გამოსულ წიგნთა შორის ყურადღებას იქცევს აგრეთვე 1710 წელსვე გიორგი მხატვრის მიერ ილუსტრირებული — შეკაშული „ეფანის“ ის გამოცემა, რომლის ერთერთი ცალი ამეამად აღრიცხულია თბილისის ტმარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში.

ეს გამოცემა აღსანიშნავია მისი დასურათების თეატლახისით.

„ეფანში“ შემდეგი სახის კომპოზიციებია: „შობა ყოვლად წმინდისა ღვთისმშობლისა“, „ჯვართა ამიღლებისა“, „ტაძრად მოყვანების“, „შობისა“, „სერობისა“, „მორქმისა“, „ხარებისა“, „ზოზობისა“, „ლაზარეს აღდგინებისა“, „ზიარებისა“ და სხვა.

განსაყუთრებით უნდა აღინიშნოს გიორგი მხატვრის ღვაწლი „ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის გამოცემაში მოთავსებულ ნაგრატიონთა ღერბისა და ვახტანგ VI-ის პორტრეტის შექმნაში.

„ვეფხისტყაოსნის“ ამ გამოცემის თავფურცელს ვარშემო ორმაგი ორნამენტის ჩარჩო

¹ ქრ. შარაშიძე „პირველი სტამბა საქართველოში“, 1955 წ. გვ. 202.
² იქვე, გვ. 205.
³ აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. ფონდის ხელნაწერი № 2830.
⁴ შ. კვასხვაძე „ვახტანგ მე-6 სტამბის წიგნი“, 1952 წ. გვ. 118.

¹ იქვე, გვ. 119.
² იქვე, გვ. 120.
³ იქვე, გვ. 120.

მიჰყვება. თავფურცელს ტექსტის ქვემოთ კი ორი ვინეტია; თავფურცელის მეორე გვერდზე: ბაგრატიონთა ღერბის ერთ-ერთი ვარიანტია (ან-გელოზები და ერთი ლომი); ღერბის გარშემო შემოვლებულია ფოთლოვანი ორნამენტის ჩარჩო კუთხეებში ანგელოზების თავები, ჩარჩოს სამივე მხრიდან მოჰყვება ორნამენტი, რომელსაც ქვემო მეთოხე მხარე ღიად აქვს დატოვებული. ვახტანგის პორტრეტი მდიდრული ორნამენტებითაა შემკული. პორტრეტს ქვემოთ ყვავილენიანი ვაზაა გამოსახული. ტექსტში ყოველ თავის დასაწყისს შემკულობა აქვს. მართალია რუსთაველის ზოგის ვახტანგისე-

ული გამოცემა თავის მთავარ ნაწილში მიჰყვება ქართულ საერო ლიტერატურის ჩელნაწერ ნუსხათა მხატვრულ ტრადიციას, მაგრამ აშასთანვე რამდენიმედ ახალ ნოვანებსაც შეიცავს.

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემაში მონაწილეობის შემდეგ გიორგი მხატვარი უკვე ხელს აწერს მისი შეურველობით ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილ წიგნებს: 1716 წელს გამოცემულ „დავითს“ და 1720 წელს დაბეჭდილ „პარაკლიტონს“.

ამ გამოცემათა მხატვარი და გრაფიკორი გიორგია.



პროფ. გიორგი ჯიბლაძე



ქართული ფილოლოგიის პატრიარქი

(დაბადებიდან 80 წლისა და სამეცნიერო მოღვაწეობის 35 წლის შესრულების გამო)

ჯერ კიდევ ახლო წარსულში სუსტად განვითარებულმა ქართულმა ფილოლოგიამ დღეს იმდენად მოიხვეჭა სახელი, რომ მას მსოფლიო მასშტაბით იცნობენ, ანგარიშს უწევენ, სწავლობენ და მეცნიერულ კვლევა-ძიებაში იყენებენ, როგორც სრულიად სიმელო წყაროს.

მარი ბროსეს, ალექსანდრე ცაგარელის, ნიკო მარის, ივანე ჯავახიშვილის და თედო ფორტუნოვის კლასიკურ შრომებთან ერთად, ჰყენი ფილოლოგიური მეცნიერების საღაროში დიდი ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ, რომლის გამოკვლევებმა მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე დააყენეს შრავალსაფეროვანი ქართული ლიტერატურის ისტორიის საფუძვლიანი შესწავლის საქმე.

კორნელი კეკელიძე ძველი ქართული ლიტერატურის დიდი მცოდნეა. მეცნიერულ სისტემაში სწორედ მან მოიყვანა პირველად ძველი ქართული მწერლობა, პირველად მან გვიჩვენა, თუ რა დიდი ღირებულებას შემცველია არა მარტო საერთო მწერლობა, არამედ — რა მხატვრულ-კულტურული ღირებულების მქონეა აგრეთვე მდიდარი სასულიერო მწერლობა, როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი. «ქართული ნათარგმნი აგიოგრაფიის» წინასიტყვაობაში, სადაც აღნიშნულია კიმენური და მეტაფრასტული რედაქციების ზოგადი ხასიათი, ნათქვამია, რომ «აგიოგრაფია თავისებური ბელეტრისტიკაა, სასულიერო შინაარსისა, ის ამზადდება საერო მხატვრულ ბელეტრისტიკას, იმაზე იზრდებოდა საუკუნეთა განმავლობაში ლიტერატურული გემოვნება ქართული მკითხველი საზოგადოებისა».¹

სრული კვშიარტებაა, და ასევე სრულიად თამამად შეიძლება ითქვას, რომ არავის ისე კარგად არ უჩვენებია აგიოგრაფიის «თავისებური ბელეტრისტიკული» ხასიათი, მისი მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულება, როგორც კორ-

ნელი კეკელიძეს; მან გამოკვლია თავისი «ძველი ქართული მწერლობის ისტორიის» I ტომში ამ ბელეტრისტიკის ყველა საუკეთესო ნიმუში, დაწვებული V საუკუნიდან — მეცხრამეტემდე, ხოლო «ეტოლდებში» მოგვცა «მდიდარი და მრავალფეროვანი ნათარგმნი ლიტერატურის» ვრცელი მიმოხილვა, რომლითაც ნათელყო, ერთი მხრივ, «ლიტერატურული პროცესის მთლიანი სურათი», ხოლო, მეორე მხრივ ის, თუ «რა ინტელექტუალური და მორალური ინტერესები ამოძრავებდა იმ ხანაში ამა თუ იმ ხალხს, რა იდეები, აზრები და საკითხები იყარობდნენ მის ყურადღებას, როგორ ითვისებდა ის ამ იდეებსა და აზრებს, ერთი სიტყვით — როგორ იყო მისი გონებრივი და ზნეობრივი დონე, მისი ესთეტიკური-მხატვრული გემოვნება და ლიტერატურული განვითარება».¹

აი, რა ფართოდ გახვლილი თვალთ, რა მაღალი მიზნებით უდგება კორნელი კეკელიძე თავის ამოცანას ვრცელ მონოგრაფიებში — «უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში» და «ქართული ნათარგმნი აგიოგრაფია».

აგიოგრაფიული მწერლობის დედულაჟ მკვლევარს, აკადემიკოს კორნელი კეკელიძეს მუდამ სწამდა და სწამს, რომ საუბრო... ცნობაში მოიყვანათ ის «სასულიერო რომანი» და «სასულიერო მოთხრობა» — ხშირად სავშირო და რომანტიული შინაარსისა, — რომელიც წინ უსწრებდა კლასიკური პერიოდის სადევგშირო და სატრფილო-სამიჯნურო მხატვრულ საერო ლიტერატურას».²

ამ დიდ საქმეს შეიღო კორნელი კეკელიძემ თავისი ზანგარძლივი სამეცნიერო მოღვაწეობის საუკეთესო წლები და ყველაზე მეტო ენერჯია, დაწვებული 1905 წლიდან, როცა სრულიად ახალგაზრდა, 26 წლის კაბუკმა გამოაქვეყნა თავისი პირველი სამეცნიერო შრომა — «ახალი საგალობლები აბო თბილელისა», შემდეგ 1908

¹ კ. კეკელიძე, ეტოლდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. V, 1957 წ., გვ. 117.

¹ იქვე, გვ. 5, ხაზი ყველგან ჩვენი — გ. ჯ.
² იქვე, გვ. 117.

წელს — «Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение». ხოლო 1910 წელს ბრწყინვალე ნაშრომი — «Семени Метафраста по грузинским источникам», დაბეჭდილი ფრანგულში — Труды Киевской духовной Академии амеამდე კი შესული აუთენტიკუმი. 1957 წელს გამოცემულ V ტომში (გვ. 212—223). ამ უკანასკნელი ნაშრომის მთავარი ღირსება იყო იმის ხაზგასმამ, რომ სიმეონ მეტაფრასტის საკითხს მთლიანად ვერ გადაწყვეტის ვერც დასავლეთეორობული ისტორიოგრაფია, და ვერც რუსული სასულიერო მწერლობა, თუ მხედველობაში არ იქნა მიღებული ქართული წყაროები, რომლებსაც მაშინ აღმოცნობად უყურებდნენ, და პირდაპირ რომ ითქვას, არც იცნობდნენ. ამ მხრივ, მართალია, მაშინ ცოტა როდი ჰქონდათ გაეთვლებული ბროსეს, მარს, ცაგარელს, თედო გორდანიას, ხაზანაშვილს, მაგრამ კორნელი კეკელიძის გამოჩენას კივეის სასულიერო აკადემიაში დიდი მნიშვნელობა მიეცა, უნაიდან ახლავახრდა მეცნიერება გაბედულად წამოაყენა და დაიკვა ქართული წყაროების ბევრ შემთხვევაში ვადამწვევები მნიშვნელობა, მეტაფრასტის საკითხი კი ერთ-ერთი საუკეთესო მასალა იყო ამ დებულების კონკრეტული ილუსტრაციისათვის.

ცნობები და მასალები სიმეონ მეტაფრასტის — მაგისტრისა და ლოგოთეტის შესახებ კორნელი კეკელიძემ ამოიღო XI საუკუნის ცნობები მწერარის ვერემ მცირეს ერთი თხზულებიდან, რომელშიაც მოითხოვებოდა სიმეონ მეტაფრასტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დრო, მაშასადამე, პასუხი ვაცემულია კითხვაზე, რომელიც ვაერკეკელიძე იყო დასავლეთეორობულსა და რუსულ ისტორიოგრაფიაში. ვერემ მცირე სიმეონ მეტაფრასტის მოღვაწეობის დროდ მიიჩნევს ბასილის მეფობას, ხოლო თვით სიმეონს ახასიათებს შემდეგი ეპოქებით: იგი იყო აკაცი ყოველთა საწარმართოება და ვაერემითა სობრძინითა სრულიად განსწავლული და ვერემ მინავანთა ამათ და ჩვენთა საეკლესიოთა წიკუნთა ძემქლისა და ახლისა სჯელისათა მოსწრაფებით წერითილი, ამის ყოველთა თანა და სულიეროთაცა სათნოებათა მოქმედებასა შინა კეთილად გამოცდილია¹.

ამ ცნობებს შით უფრო მეტი ღირებულება ჰქონდა, რომ კორნელი კეკელიძე დასტურებდა ვერემ მცირეს დიდ ავტორიტეტს, მის სერიოზულ, მკაცრ მეცნიერულ-კრიტიკულ დამოკიდებულებას წყაროებისა და მასალებისადმი, მისი ნაშრომების „მეცნიერულ სიზუსტესა და კეთილსინდისიერებას“.

სიმეონ მეტაფრასტის შესახებ ნაშრომის გამოქვეყნებას მოჰყვა მთელი რიგი მეცნიერულად გამოართული, დიდი ნიჭით დასკვნების ღრმა კოდნით დაწერილი გამოკვლევები, რომელთა უზნალო ანალიზი კი ჩვენს ძალეებს, როგორც ამ დარგის არასპეციალისტისა, დიდად აღემატება. მაგრამ ერთ მომენტს მაინც ვერინდა ხაზი გავესვათ — ესაა საკითხის ბოლომდე შესწავლის დაუცხრომელი წყურვილი, რომელიც კორნელი კეკელიძეს, როგორც მეცნიერს, თავიდანვე ახასიათებდა. სიმეონ მეტაფრასტის საკითხი, მაგალითად, მან შუაგზაზე კი არ მიატოვა, ორი წლის შემდეგ ფრანგულ „Христианский Восток“-ში გამოაქვეყნა სპეციალური ნაშრომი — «Иоани Ксифилин, продолжатель Симеона Метафраста», რომელიც ამაყმად შესულა «მეცნიერების V ტომში. ამ ნაშრომს იმავე წელს გამოემხურა აკადემიკოსი ვ. ე. ლტიშჩევი. მან კორნელი კეკელიძის ხსენებულ შრომას უწოდა სენსაციური აღმოჩენა ბაზანტიოლოგიაში. უფრო ადრე, 1912 წელს კორნელი კეკელიძემ გამოაქვეყნა დიდი მნიშვნელობის თხზულება «Иерусалимский Канонарь VII века» (грузинская версия). ამ შრომას რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ პრემია მიანიჭა. 1915 წელს ფრანგულ „Христианский Восток“-ის ფურცლებზე გამოქვეყნდა კორნელი კეკელიძის საუბრალებო ნაშრომი — «Грузинская версия арабского Жития Иоанна Дамаскина». ამავე პერიოდს ვაეკეთებოდა მისი მუშაობაც ვრცელი ქართული ლექსიკონის შესადგენად.

ასე მრავალმხრივი და ვნციკლოპედური იყო კორნელი კეკელიძის სამეცნიერო თვამტოვა, პრიოდემათა არც და გამოქვეყნებულ ნაშრომთა ხასიათი. ლიტერატურული ცნობები, სახარებათობათოვი, ეგვიპტური მონაზვნობა, ისტორიულ-ფონოგრაფიული ნაწევრებები, ანტონ I საღატურგოს მოღვაწეობა, იოანე კათალიკოსის ცხოვრება, ახალი წლის ქართული ჩვეულებანი, ქართული ეროვნული სახელები, იოანე პეტრიქის სამწერლო მოღვაწეობა, ქართული ავთოგრაფიული ძეგლების წინასიტყვაობა, გამოკვლევა და რედაქცია, როდისაა ვადაწერილი აღმოსის სახარება და მრავალი სხვა გამოკვლევა კორნელი კეკელიძემ გამოაქვეყნა 1923 წლამდე, ხოლო 1923 წელს პირველად გამოვიდა ფუნდამენტალური «ქართული ლიტერატურის ისტორიის» I ტომი, ვაგრეთვე ისეთი მნიშვნელოვანი მონოგრაფიები, როგორიცაა „დეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები“, „ესპატოლოგიური მითიკები ძველ ქართულს მწერლობასა და ცხოვრებაში“, „ორი ექვთიმე ძველს ქართულს მწერლობაში“, „ევახანე ვორგანაძის ისტორიკოსი და მისი ისტორია“. I ერთი წლის

1 კ. კეკელიძე, ებოულები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. V, 1957 წ. გვ. 223, კორნელი კეკელიძის პუბლიკაცია.

1 უფრო დაწერილებით იხ. ტ. კასრამე, კ. კეკელიძის შრომების ბიბლიოგრაფია, „ლიტერატურული ძიებანი, ტ. II, 1945 წ. გვ. 021—043.

შემდეგ იბეჭდება „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ II ტომი, და ამით მთავრდება ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის სრული შეცნობის კურსის პირველი გამოცემა, რომელიც დღემდე უკვე შეიძლება დათვითვლი კულტურული ქართველის სამაგიდო წიგნს წარმოადგენს. ამ ნაშრომის I ტომი 1956 წელს რომში გამოიკა გერმანულ ენაზე (გადამთარგმნელი შ. თარხნიშვილის მიერ).

...გავისვენოთ კორნელი კეკელიძის მიერ სამავისტრო დისერტაციის დაკეა 1908 წელს კიევის სასულიერო აკადემიაში თემაზე — „Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение“. მხედველობაში მაქვს დისერტაციის დაკეის წინ წარმოქმნილი სიტყვა — „К вопросу о важности и своевременности научной разработки памятников древнегрузинской письменности, в частности — литургических“¹. დისერტანტი, სრულიად ახალგაზრდა მეცნიერს, უხდებოდა დაკევა არამარტო თავისი ნაშრომის მეცნიერული დებულებანი, არამედ, იმ წყაროების ავტორიტეტიცა და უამრავი აღიარება, რომლებსაც თვითონ ვერადგებოდა. ქართულ ძველებს იმ დროს უკვეს თვლით უყურებდნენ და არ მიიხდით სრულფასოვან წყაროებად, რასაც მოწმობენ ჯერ კიდევ 1901 წელს სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიასთან ქართული ეკლესიის ისტორიის დამოუკიდებელი გამოდრის შექმნის საკითხთან დაკავშირებით კათოლიცი სპეციალური კომისიის შემდეგი უარყოფითი დასკვნა: „Церковная грузинская литература в научном отношении представляет в целом гораздо меньшую ценность, нежели соответствующая литература, например, на сирском и армянском языках, и состоит чуть не исключительно из переводов произведений сирской и греко-византийской письменности; во всяком случае ценность ее предстоит еще доказать в будущем“².

ასეთი მიმე ატმოსფერო, როცა თვით წყაროების სამეცნიერო ღირებულება უკვეს ქვეშ იყო დაყენებული, დისერტანტი არაშეუღებრივ სიმწლეტა წინაშე აყენებდა. იგი ემბედა მასალებსა და არგუმენტებს, რათა უშეკველი გავხადა მის მიერ გამოყენებული ისტორიულ-ლიტერატურული ძველების სრულფასოვანი მეცნიერული ღირებულება, და ამ საფუძვლებზე, ცხადდყო თვით დისერტაციის მნიშვნელობა ისტორიოგრაფიისათვის. ასეთ არგუმენტად კორნელი კეკელიძემ მოიშველია 1903 წელს ბერლინში გამოცემული პროფესორ ადოლფ პარნა-

კის შრომა, რომელშიაც ნათქვამი იყო რამდენიმე თბილი სიტყვა ძველი ქართული ლიტერატურის შესახებ, კერძოდ კი შემდეგნაირად: „Мы узнаем самым ясным образом, что и великой греко-христианской семье народов принадлежат и грузины. Но появятся ли у нас в Германии ученые, которые изучат язык, литературу и историю этого народа, родного нам своей древней культуре, и сблизят нас с его сокровищами? И нашим Академиям поставлена здесь новая задача¹. პარნაკის ამ სიტყვებს კორნელი კეკელიძემ დასძინა, რომ ეს ამოცანა, მართლაც, ფართო და კეთილშობილურია, ვინაიდან IV-ე საუკუნეში მტკიცე საფუძველი ჩაეყარა საეკლესიო ქართული ლიტერატურულ ენას, რომელზედაც ითარგმნა არა მარტო ბერძნულ-ბიზანტიური ძველები, არამედ, შეიქმნა ორიგინალურნიც. მაგრამ ქართული წყაროები დღემდე მივიწყებულია თანამედროვე ისტორიოგრაფიაში, ვინაიდან დსოკროვიჩა ეტი პოკა не утилизируются и хранящиеся в них драгоценные памятники составляют лишь мертвый капитал, не введенный в научное обращение. Здесь тут, скажем словами проф. Гарнака, нашим русским Академиям поставлена новая задача². მაგრამ, კორნელი კეკელიძემ იცოდა, ამ წინადადებას მოწინააღმდეგენი და ურწმუნო თომები აღმოუჩნდებოდნენ, ისინი ელავ ხელს ჩაიკნევენდნენ უიმედოდ, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ნეიტრალურ პოზიციას არ გასცდებოდნენ; ამიტომ, მან თვითონვე გამოიწვია ასეთი დამამანები საჯარო პაექრობისათვის, და ნიადგი გამოაცალა მათ, ვინც ქართული ძველების შესწავლას მხოლოდ ადგილობრივ მკვიდრთა საქმედ მიიჩნევენდნენ. „Нам могут указать, — ვერდა კორნელი კეკელიძე, — что к этого рода занятиям необходимо привлечь прежде всего местные туземные силы. Ничуть не отрицая значения и необходимости туземных сил в деле разработки грузинской старины, мы тем не менее заметим, что рассчитывать на них целиком нельзя, ибо мы, местные труженники, для этого не располагаем ни досугом, ни необходимыми учеными средствами и пособиями. Можно ли работать систематически и продуктивно по истории и археологии в глуши провинциальной жизни, где за неимением высшего учебного заведения, не найдешь ни одной более или менее серьезной научной книги?“

ამ მართალი, გაბედული და პირდაპირი განცხადებით ახალგაზრდა დისერტანტმა ბრწყინა-

¹ ნახეთ წიგნი: კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1957 წ., ტ. V, გვ. 295—300.

² იქვე, ტ. V, გვ. 295.

¹ იქვე, გვ. 296.

² იქვე, გვ. 297.

ლელ გამოაშკარავა მეფის მოაქრობის დამოკიდებულება ამპერიაში შემავალ მცირე ერთა კულტურული განვითარებისადმი, წიდაში ჩამოვლავა იმდროინდელი კულტურული ცხოვრების შესვეურება, რომლებიც ქედმაღლური წარმოდგენა ქონდათ ქართულ ისტორიულ ძეგლებზე, არ ცნობდნენ მათ და არც კიდობდნენ გაეცნოთ მაინც. და კორნელი კეკელიძე მოურიდებლად და გაბედულად ამბობდა სრულიად უღაო ჭეშმარიტებას: «Если академическая наука находит нужным считать даже с сравнительно непродолжительными, можно сказать мимолетными, проблесками христианства в той или иной местности, у того или иного народа почему она должна считать недостойной для себя заниматься пятнадцативековой судьбою его в Грузии, выясним тех форм и рамок, в которые умещалось оно здесь»¹.

სრულიად უდავოა, რომ ეს იყო საქმიად მაგარი სილის გაწვევა იმდროინდელი ოფიციალური ისტორიოგრაფიისათვის, რომელიც თხუთმეტსაუკუნოვან მდიდარ ქართულ კულტურას შეგნებულად გვერდს უვლიდა, აღმაყრად უცქეროდა, ვერ ხედავდა მის უღიდეს ღირებულებას, ვერ ამხნევდა, ოდნავ სურვილსაც კი არ ამვლანებდა, გადაეგვა რვაღური ნაბიჯები მისი გაცნობისა და შესწავლისათვის. კორნელი კეკელიძე არ შოერბოდა დაბრკოლებებს, წინაღმდეგობებს, არც იმის აღნიშვნას, რომ მწირე სიმართლე ეთქვა ქართული მწერლობის ურწყუნო თომებისათვის: «между тем, — წერდა კორნელი კეკელიძე, — с прискорбием приходится констатировать, что, сравнительно с университетами и разного рода археологическими обществами, духовными Академиями сделано в этом отношении очень мало, можно сказать, что ничего почти пока не сделано»².

სრული სიმართლე იყო! მაგრამ ამ სიმართლის თქმას შეიძლებოდა მოჰყოლოდა არამარტო საძიებელი ხარისხის დაკარგვა, არამედ, საერთოდ, აკადემიის კედლებიდან განდევნაც და შევიწროება, მაგრამ კორნელი კეკელიძე არც ერთ მოსალოდნელ უბედურებას არ შეუშინდა, იგი უწმიდად ჩაება ქართული კულტურის ღირსებათა დაცვადად იმ დროს უთანასწორო ბრძოლაში და აღიარა, რომ «с сегодняшнего дня, с нынешнего нашего вступления на эту почетную трибуну, полагается фактически начало научному академическому изучению памятников древне-грузинской церковной письменности. Пальма первенства и инициативы в этом деле принадле-

жит нашей Академии, которая не только сочувственно отнеслась к нашей работе, но и дала возможность выпустить ее на свет. Будем надеяться, что пример Киевской Академии не будет единственным, но что он найдет себе подражателей и в других Академиях и послужит к обогащению и нашей славе русской церковно-исторической науки. Вот общая идейная точка зрения, с которой прежде всего должно быть рассматриваемо появление в печати настоящей нашей работы, полагающей начало введения грузинских церковно-исторических и археологических материалов в научное обращение»¹.

ასალგაზრდა მეცნიერის ეს წინასწარმეტყველება მომდევნო წლებში გაამართლეს. ქართული მასალების შეგნებულ დამოშავება თანდათან წინ წაიგდა, გამართლდა აგრეთვე სიტყვები იმის შესახებ, რომ ქართული მასალების შეყრების პერიოდი დამთავრდა, დაიწყო მათი სინთეტური, მეცნიერული განვითარების პერიოდი.

დიდმა და მანგარტლივმა შრომამ კორნელი კეკელიძეს ამოად არ ზაურა. მან ბრწყინაღედ დაიკცა საძიებელი ხარისხი და მას შემდეგ დაუღალავად ემსახურება მშობელი ხალხის კულტურას, ქართული ეროვნული ლიტერატურის შესწავლისა და განვითარების საქმეს.

სრულიად უაღველოა, ასეთ დიდ შრომას კორნელი კეკელიძე ვერ შეიძლებდა; საშობლოსადმი უანგაოო სიყვარულს რომ არ აღგზნო მისი გული, წიათხუთ, მავალითად, 1951 წელს ხანდაზმული მეცნიერის მიერ დაწერილი მშვენიერი გამოკლევა — «Идеи братства закавказских народов по генеалогической схеме грузинского историка XI века Леонтия Мровели», რომელშიაც ავტორმა შესანიშნავად ცხადყო, რომ ისტორიულად მტკიცებოდა ქართველი და სომეხი ხალხის მშერი ურთიერთობა; ამ ურთიერთობის ერთ-ერთი მკაფიო გამოხატულება იყო V საუკუნეში ვახტანგ გორგასლის დროს ქართველებისა და სომეხების ერთობლივი ვალაშქრება ირანის წინააღმდეგ. ასევე ერთსულოვნად იბრძოდნენ ქართველები და სომეხები, როგორც ავტორმა ამბობს, არამთა ძალმობრების წინააღმდეგ. ქართველებისა და სომეხების მშერი ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდა დავით აღმაშენებლისა და თამარის მეფობის დროს, როცა ქართველები ფაქტურად გამოვიდნენ მთელი ამიერკავკასიის გამაერთიანებლას როლი კავკასიის ქედდან მდინარე არაქსამდე², ამ დროს ახერხაიჯანელი ხალხის შემაიწროებელ აბუბეიორ-

¹ იქვე, გვ. 298, ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

² იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, 1955 წ., ტ. III, გვ. 105.

¹ იქვე, გვ. 298, — ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

² იქვე, გვ. 298.

საც ეღებო ბოლო ქართველთა დახმარებით. აზერბაიჯანელი ხალხის სიმშაობის ქართველებსაღმეო კარვად გამოხატავს პოეტ ხაჯანის სიტყვები, რომლებიც კორნელი კეკელიძეს მოსყავს: «Врата Абхазии (Грузии) открыты предо мною, я отправлюсь туда и у Багратнинов найду уприют»¹. უოველივე ამის შემდეგ კორნელი კეკელიძეს გამოჰყავს დასკვნა, რომ «Идея братства закавказских народов, зародившаяся в грузинской действительности и нашедшая книжное выражение в историческом труде Леонтия Мровели, всегда была педущим началом в жизни этих народов. Ее не могли заглушить недоразумения, возникшие по временам между феодально-буржуазными и церковно-иерархическими верхушками этих народов»².

ასეთივე გრძნობებს აღუძრავს ქართველ მკვლევარს შიოშიანი მეცნიერის მიერ 1953 წელს დაწერილი შრომა «Отклики в Грузии на падение Константинополя» (к 500-летию взятия Константинополя турками), რომელშიც მოთხრობილია იმ საფრთხის შესახებ, რომელიც 1442 წლიდან არა მარტო ბიზანტიის იმპერიას ემუქრებოდა, არამედ, დასავლეთისა და აღმოსავლეთის მთელ საქრისტიანოს. ეს საფრთხე კათოლიკურმა ეკლესიამ თავისი მზენებისათვის გამოიყენა, რათა ბერძნებიც და აღმოსავლეთის ქრისტიანებიც თავისი მზრძანებლობის ქვეშ მოექცია ამიტომ ვიორჯი VIII მიერ საქართველოში 1459 წელს შედგენილ ანტითურქულ კოალიციას რეალური შედეგი არ მოჰყოლია, პირველყოფლისა რომის პაპების ინტრიგების წყალობით. დასავლეთის სახელმწიფოთა წაყრევამ თურქები ისე გააძლიერა, რომ მათ ვეებურთულა იმპერია შექმნეს, ხოლო XVI სუტუნის დასაწყისში საქართველოსაც მოადგენენ. ისინი ასეველი წლობით ბატონობდნენ დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. მაგრამ გვირმა ქართველმა ხალხმა უმძიმეს განსაცდელს ღირსეულად გაუძლო, მამუე უღელი გადმოვიდა და ახლა დაწინაურებულ ერთა შორის იმყოფება: «В то время, — სამართლიანად წერს აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე, — когда Турция изнывает под пятой капиталистической агрессии, грузинский народ цветет и благоденствует в дружной семье Советских Социалистических Республик»³. შორეული წარსულსა და თანამედროვეობის ფაქტები ისე შეადრო, ორგანულ კავშირში აქვს გააზრებულა ჩვენს მეცნიერს.

ეს იგრძნობოდა 1933 წელს გამოცემულ შრომაშიც — «ქართული ფეოდალური ლიტერატურის პერიოდიზაცია» (სოციოლოგიური ქართული მწერლობისა და ლიტერატურის მისი განვითარებისა), რომელშიც კ. კეკელიძემ კონსტანტინოპოლის სახით წარმოგვიდგინა ძველი ქართული მწერლობის განვითარების პერიოდიზაცია და საესებით სწორად აღნიშნა, რომ «ქელტრის ფორმები იშლება მას შემდეგ, რაც დაიწყო «მდგომარეობის» რღვევა, და ეს შლა-რღვევა ლიტერატურაში უფრო ვეიან ჩინეს თავს, ვიდრე ეთქვამს, პოლიტიკაში. ასე იყო საქართველოშიც: მონღოლების შემოსევებს შემდეგ, სამოციანი წლების დაწყებამდე, როდესაც მონღოლთ ეკონომიურმა პოლიტიკამ გარდაეცვალა ინტერეგალი დაამყარა ძველსა და ახალს შორის, კიდევ ვრძელდებოდა ქელტრული ლიტერატურული შემოქმედება; ამის დამადასტურებელია მთელი რიგი ამ ხანაში სახელით ცნობილი პირველხარისხოვანი მწერლებისა»¹.

მეცნიერმა ასევე ნათელყო ძველ მწერლობაში მის მიერ შემჩნეული სრულიად უმეველი ფაქტი, რომელიც მსოფლიო ხელოვნების მავალით ცხადყო ვერ კიდევ პეველმა, როცა დაასახუთა ძველი ეპოსის ახალ დროში რომინად გადაქცევის პროცესი. მას შემდეგ, რაც კორნელი კეკელიძემ დადასტურა სახელოვან მწერლობის საერთო გადასვლა, და მათ შორის ღიალექტიკური კავშირი, მან წამოყენა დებულება, რომ «ამ შემთხვევაში... საქმე ვეაქვს ეანრის ერთი სტილიდან მეორეში გადასვლის მოვლენასთან. შესაძლებლობა ასეთი გადასვლისა უზრუნველყოფილი იყო ამ სოციალ-ფსიქოლოგიური ნათესაობით, რომელიც აახლოვებდა ერთმანეთთან ერთისადიამევე ფეოდალური კლასის ორ ფრთას — სასულიეროსა და საეროს»². მაგრამ ეს ნათელი დებულება რომ წამოყენებულიყო, მთელი ქართული ლიტერატურის ისტორიის გამოცდილება, მისი კონკრეტული მხატვრული ძეგლების შესტრი მეცნიერული ანალიზი თვალწინ უნდა ჰქონოდა მეკლევარს, როგორც ძირითადი დასაყრდენი მასალა.

მეფილი, საესებით ნათელი ანალიზის უნარი კორნელი კეკელიძეს საშუალებას აძლევს დიდძალი ფაქტების გროვაში არანეველური სინუსტით ვერკვევს, ფაქტებისა და ლოკუმენტებისაღმეო მადფრი სოყვარული მას ოდნავაც ხელს არ უშლის ზოგეერთ მოვანს ეკვის თვლით შეხედოს, შეავჯეროს უმეველი წყაროებს, გამოიტანოს უღმობელი დასკვნები, თუნდაც სასიამოვნო არ იყოს, ენდოს ფაქტებს, მუგრამ ყოველთვის შეაოწმოს ფაქტები, მათ მონად ერთ

¹ იქვე, გვ. 105.

² იქვე, გვ. 106.

³ იქვე, გვ. 95.

¹ იხ. პროფ. კ. კეკელიძე, ქართული ფეოდალური ლიტერატურის პერიოდიზაცია, 1933 წ., გვ. 32

² იქვე, გვ. 40.

არ იქცეს, არც მბრძანებლად, არამედ, დარჩეს უღიო ჰუმანიტების მკვლევარად, რომელსაც ერთი მიზანი დაუსხავს: არახოდეს შეცნობილ სიწესტებს არ გაეცეს.

კორნელი კეკელიძის მანერა წერისა მხოლოდ ფაქტებიდან გამომდინარეობს და ფაქტებსვე უბრუნდება. ფაქტებზე ამაღლება მთავან მოწვევებს კი არ ნიშნავს, პირიქით, თვით ფაქტების ჰუმანიტური ბუნების გარკვევას. შესაძლოა ეს იყო მიზეზი, რომ უძველეს ხელნაწერებსა, პერგამენტებსა და პალიმფსესტებზე ნახვევარსაუკუნოანამა დაუღალავმა მუშაობამ ოდნავაც ვერ შეცვალა კორნელი კეკელიძის თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმებით გამართული წერა და ოქტავული ენის სერნელება მის ნაწერებს ვერც კი შეეკარა. რა საკითხსაც არ უნდა ეხებოდეს, უძველესსა თუ უახლესს, კორნელი კეკელიძის წერის მანერა ყველგან ერთია — საესეებით ნათელი, თანამედროვე დახვეწილი ქართული, ამასთან, ბუნებრივი, ლაღი და გასაგები.

ასევე მისაბამია მისი კვლევა-ძიების უშუალო ანალიტიკური მეთოდი, რომელიც დიდძალი ფაქტობრივი მასალის შეჯერებიდან ყოველთვის არსებითსა და მთავარს გამოყოფს, შემდეგ განაზოგადებს და დასკვნების სახით წარმოგვიდგენს.

ამას მოწმობენ კორნელი კეკელიძის მრავალრიცხოვანი მეცნიერული გამოკვლევები, რომლებშიც წარსულის არა ერთ საიდუმლოს ფარდა ახადეს, გაფიქვლეს და თანამედროვე მკითხველს წარმოუდგინეს სრულიად ნათელი სახით. შორს ნუ გავიჭვებით, მაშინ დიდძალი მასალის მიმოხილვა იქნება საჭირო, ავიღოთ სულ ბოლო ხანებში მსკოვანი მეცნიერის მიერ გამოქვეყნებული შრომები ჩვენი დებულების საიდენტრიკოდ.

პირდაპირ „მეცნიერულ პოემას“ წარმოადგენს 1950 წელს დაწერილი „Грузинское Возрождение“. კორნელი კეკელიძე შესანიშნავად დაადასტურა, რომ ევროპული რენესანსის ნიშნები საქართველოში გაცილებით ადრე შეიძინევა, რამდენიმე საუკუნით ადრე, ვიდრე შუასაუკუნეებისა და ევროპული რენესანსის გასაყარზე გამოჩნდებოდა დიდი იტალიელი გამანათლებელი და რტე ალიგერი — შესაბუნელებების უკანასკნელი პოეტი და რენესანსის პირველი პოეტი, როგორც მას ენგელსი უწოდებდა. ქართული რენესანსი ჩამოყალიბდა XI—XIII საუკუნეებში, ე. წ. „კლასიკურ“ ხანაში, რუსთაველის დროს, რასაც ხელი შეუწყო იმდროინდელმა პოლიტიკურმა, სოციალურ-ეკონომიურმა და კულტურულმა პირობებმა, რომლებშიც აგრეთვე განსაზღვრეს მისი საესეებით ორიგინალური, საესეებით თვითყოფი ნასიათი. ეს დიდი ისტორიული პროცესი დაიწყო XIII საუკუნის დასაწყისშივე საქართველოს გაერთიანებით

მშლავრ მონარქიაში, რომლის შექმნაც ასე ინტერესებდათ წვრილი მამულების შქონე თავადებსა და მითან შედარებით უხლოს მდგომ გლეხობას მსხვილი ფეოდალების მალმომრებობათა ასლაგმავად. იმდროინდელი საეპტრო კპიტალის წარმომადგენლებიც დაინტერესებულნი იყვნენ მშლავრი მონარქიული სახელმწიფოს შექმნითა და მსხვილი ფეოდალების ალაგვით, ვინაიდან პირველის უქონლობა და მეორის თავგასულობა ყოველმხრივ ბორკავდა საეპტრო კპიტალის განვითარებას. ამას ემატებოდა საეკლესიო საქმეები, მკიდროდ დაეყვირებულნი ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლასთან და კორნელი კეკელიძე საესეებით მართალია, როცა აღნიშნავს: «Жестокая борьба против феодалов, не мирившихся с монархическим принципом, перенесена была в сферу и церковной, по существу той же феодальной жизни. В результате этой борьбы церковь принуждена была стать одним из аппаратов государственной машины. Передовые деятели эпохи пришли к сознанию о необходимости демократизации государственного и церковного аппарата: начинается «чистка» этого аппарата, засоренного недостойными лицами из феодальной верхушки; при выборе кандидатов на государственные и высшие церковные должности внимание стали обращать не на происхождение, а на личные достоинства кандидата. Демократические веяния приняли такой размах, что при царице Тамаре зародилось движение против неограниченной монархической власти; движение это, сопрождавшееся частичным успехом, выдвинуло требование о введении своего рода парламентаризма»¹.

ყოველივე იმის შედეგად, რომ XII საუკუნის დასაწყისში შეიქმნა მშლავრი მონარქიული სახელმწიფო, ალაგმა ფეოდალური ინტრიგები, გარეშე მტრებს სერიოზული ზიანი მიადგა, — მნიშვნელოვნად განვითარდა სახალხო მეურნეობა, კერძოდ ვეჭობა; ვაფართოვდა გუბის, ხიდებისა და ქარვასლების მშენებლობა; გვიანტური ნაბოჯით წავიდა წინ საქალკო და ხელოსნური წარმოების განვითარება. ქვეყნის მწარმოებლური ძალების, სახალხო მეურნეობის სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების განვითარებამ, აგრეთვე სავარდო-პოლიტიკურ ურთიერთობათა მოწესრიგებამ, — სამართლიანად ასევეს კორნელი კეკელიძე, — გამოიწვიეს

¹ იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1955 წ., ტ. III, გვ. 61.

კულტურის მმართველ აყვავება. იქმნება როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები, მათ შორის გელათის აკადემია, რომელსაც ჩვენი ქვეყნისათვის „მეორე ათენის“ მნიშვნელობა მიეცა, როგორც ამას ფიქრობდა მისი შემქმნელი დავით აღმაშენებელი. აქედან იწყება როგორც ფილოსოფიისა და მეცნიერების, ისე ხელოვნებისა და ლიტერატურის მანამდე უჩვეულო განვითარება.

თუ რა ღრმად და ხესტად აანალიზებს კორნელი კეკელიძე ამ ეპოქის იდეურ მაგისტრებს, როგორც ქართული რენესანსის ბუნებრივ ისტორიულ წინაპირობას, მოწმობენ მისი შემდეგი სიტყვები: „Ослабление безграничного идейного господства церкви и ущемление ее авторитета способствовало усилению научной мысли и освобождению от уз церковной схоластики и мистики. В этом отношении дело доходило до того, что даже богословие, находившееся в это время в зените своего развития, в трудах наилучших своих представителей не обходилось без философского, рассудочного обоснования общепринятых догматов. В связи с этим развиваются разные отрасли научного знания: математика, медицина, филология (Ефрем Мшире), юриспруденция (Арсений Икалтоელი), астрономия (Тбилисская обсерватория), в особенности же история (Леонтий Мровელი, Джуаншер, историк Давид Стронтели, историки царицы Тамары). С пробуждением научной мысли и с зарождением элементов научного знания усиливается интерес к познанию не только современных стран и народов, но и прошлого времени, в особенности античного мира. В литературе сплошь и рядом встречаемся с пережитками античной мысли, с цитатами из античной истории, мифологии, поэзии, философии, с именами героев Илиады, Одиссея, Александрия. Современные грузинские деятели, напр., Давид Стронтели, Георгий III, царица Тамара и др. часто сравниваются с этими героями. Памятники античного мира и античной цивилизации не меньше привлекают к себе внимания в Грузии, чем в Западной Европе той эпохи»¹.

ამ უგელაფერო იშვიათი სიხესტოთაა ვადმოცემული, საკსებით სწორადაა ვაგებული რენესანსის ხანის დამახასიათებელი თვისებები, პირველყოლისა მეცნიერული აზრის აყვავება და მისი გთავისუფლება ეკლესიური სქოლასტიკისა და მისტიკის არტახებისაგან. თუ ასე იყო საქართველოში XII—XIII საუკუნეებში (მონგოლების შემოსევამდე), იგივე პროცესი ე-

რობაში XIV—XV საუკუნეებიდან იწყება, როცა შესასუკუნეების სქოლასტიკის მკრეველი ლახარი ზედება რენესანსის ეპოქის მკრეველი დიდი მოღვაწეებისაგან. მეცნიერული აზრის განვითარება თავისებურ ზავლებას ახდენს თვით ხელოვნებისა და ლიტერატურის აყვავებაზე. ხოლო დანტეს, რაბლეს, ერასმისა და კომენსკის ბრძოლა სქოლასტიკური დოქტრინის წინააღმდეგ, საბოლოოდ აფორმებს ევროპულ რენესანსს, როგორც ისტორიულ მოვლენას.

ევროპული რენესანსის იდეებს ხელოვნებებსა და ლიტერატურაში განამტკიცებდა ამავე ეპოქის მოწინავე ფილოსოფიური აზრი. იგივე სურათი, რამდენიმე საუკუნით ადრე, გვაქვს საქართველოში, და კორნელი კეკელიძე საკსებით მართალია, როცა აღიარებს, რომ გიორგი ათონელმა XI საუკუნეში გამოსთქვა ის მოსაზრება, რომელიც ბერეფაზულმა ისტორიკოსებმა შემდეგ მიაწერეს მე-15-16 საუკუნეების მოღვაწეს ერასმ რატერდამელს. მოუხმინეთ თითო კორნელი კეკელიძეს: «Наряду с различными отраслями научного знания развивается теперь и философия. Из философов этого времени нужно назвать в особенности Иоанна Петрици, написавшего целый том комментариев к переведенным им «Богословским началом» Прокла Диадохса. В Грузии не увлекались тонкостями византийской схоластики и мистики. «свобода духа» здесь нашла больше простора, чем в Византии и на Западе. Это сказалось даже в области нравственных воззрений. Не только люди светские, но и лица духовные, как например, Георгий Афонский (умер в 1065 г.), ясно сознавали, что аскетическая мораль не может быть основой жизни человеческого общества. Упоминутый Георгий еще в XI веке высказал следующую мысль, которую буржуазные историки приписывают знаменитому гуманисту Эразму Роттердамскому: тяжело грешат те, которые бросают безумные деньги на постройку и украшение храмов и монастырей в то время, как их ближние умирают с голоду. Этот же самый Георгий, в момент ожесточенных догматико-обрядовых споров между Римом и Константинополем без обиняков заявлял византийскому императору, что в делах проповедения обряды церковные не имеют существенного значения»¹.

მაგრამ ეს არ იყო მარტოოდენ თეორიის დარგში. ქართულმა რენესანსმა თავისი დიდი სიტყვა სთქვა ხელოვნების ენით, რასაც მოწმობენ იმდროინდელი პოეზიის, ფერწერისა და არქიტექტურის ბრწყინვალე ძეგლები. კორნელი კეკელიძე მოგვაგონებს მონუმენტალურ არქი-

¹ ეტრულები, III, გვ. 62.

¹ იქვე, გვ. 62-63

ტამბურულ ჭებლებს, რომლებმაც ჩვენამდე მოიტანეს ქართული გენიის მთელი სილამაზე. ამ ჭებლებში ჩვენ დღესაც ვგვხვდებით ნატოფა სტილი და ფორმის ბუნებრივი პროპორციები, რასაც ასე განადიდებდნენ ევროპელები, რენესანსის დიდი მომღერლები. «სილამაზისა და სინატიფის მძალე ვრძობის აღვიძებენ», როგორც კორნელი კეკელიძე წერს, ქართული არქიტექტურის ისეთი შედეგები, როგორიცაა ბაგრატიის ტაძარი ქუთაისში, სვეტი-ცხოველი მცხეთაში, ილავერდი, სამთავისი, გელათი, ახტალა, მანგლისი, ნიკორწმინდა და მრავალი სხვა, რომლებიც ქართული რენესანსის უმწვენიერესი სიტყვაა არქიტექტურული შემოქმედების დარგში. ახლა ნახეთ ფერწერა, რომელშიც მძალე ქართული ესთეტიკური გამოყენება განახორციელებს ატენის, გელათის, ვარეჯის, ვარძიის, ბეთანის, ახტალისა და სხვ. კედლის მხატვრობაში. თვითველი მათგანი მნახველს აღუძრავს კანონური სიამაის გრძობას, და მოაკონებს, რომ ქართველი ფერწერლები ევროპულ რენესანსზე საუკუნეებზე აღე უდიდესი ოსტატობით გამოირჩევიდნენ.

არქიტექტურასა და ფერწერასთან ერთად გენიალური სიტყვა თქვა ჩვენი რენესანსის იმდროინდელმა ქართულმა პოეზიამ, რომელსაც ამწვენებს რუსთაველის უკუდაი სახელი. თუ რა იყო ეს სიტყვა, შესანიშნავად დაახასიათა თვით კორნელი კეკელიძემ, როცა აღნიშნა: «Высота культурного развития, на которую поднялась Грузия в «классическую» эпоху, способствовала в особенности зарождению

и расцвету светской, высокогуманистической и художественной поэзии; эта поэзия завершение свое нашла в бессмертной поэме Руставели «Витязь в тигровой шкуре». Будучи порождение закономерно развития всей предшествующей грузинской культуры, возникшая на чисте национальной, народной почве, воплощенная в звучных стихах народного происхождения, известных под именем «шаири», эта поэма, реалистическим воспроизведением жизни, проповедью о правах человеческого разума и земных человеческих потребностей, является апологиею красоты и любви, в земных ее формах, дружбы до самопожертвования, мужества и храбрости, равноценности мужчины и женщины, беспрдельной и бескорыстной преданности родные и близким. Руставели на несколько столетий раньше деятелей эпохи европейского Возрождения с большой силой и широтой выразил гуманистические идеи, родившие его с лучшими представителями западно-европейского Ренессанса. Гуманизмом пропитаны его политические и соци-

альные воззрения, он безусловно чужд тонкостей схоластики, он более свободен от церковной догматики и мистики, чем запавший после него в Ереване Данте; герой Руставели более земные, плотские существа, чем бескровие фигуры «Божественной Комедии»¹.

როგორც იტყვიან, კომენტარები სრულიად ზედმეტია. მაგრამ რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას თვით ნაშრომის ორ დასკვნით აზრებზე, რომლებშიაც კორნელი კეკელიძე ქართული რენესანსის საკითხში თავის კონცეფციას აყალიბებს: ა) საქართველოში ჯერ კიდევ XII საუკუნეში იწყება იმგვარი მოძრაობა, რომელშიც დასავლეთ ევროპაში შემდგომ წარმოშვა ევრეთნოვებულ რენესანსი. მაგრამ იმდროინდელ ქართულ რენესანსს არ მიუღწევია თავისი ბუნებრივი დამთავრებისა და საბოლოო გაფორმებისათვის. ამის მიზეზი იყო კატასტროფა — XIII საუკუნის პირველი მეოთხედში საქართველოზე მონგოლთა ურდოების თავდასხმა; ბ) მონგოლთა შემოსევამ პირისაგან მიწისა აღგავა «ელასიური» ეპოქის თითქმის ყველა კულტურული მიღწევა, და მხოლოდ რამდენიმე საუკუნის შემდეგ, მე-16—მე-17 საუკუნეებში იწყება ე. წ. «აღორძინება», რასაკვირველია, არა ევროპული გავებით, არამედ, როგორც «ელასიური» ეპოქის კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრების რესტავრაცია².

ეს დასკვნები სრულ ქვეშაობებებს გამოხატავენ და ჩვენ ისღა დავგრჩენია ვისურვით, რომ ამ მითითებების საფუძველზე დაიწყოთ ვრცელი მონოგრაფია, რომელიც კონკრეტული მასალის გამოყენებით ქართულ რენესანსს ევროპულთან მიმართებაში უფრო ვრცლად და ღრმად განიხილავს.

როგორც ნამდვილად დიდი მეცნიერი, კორნელი კეკელიძე არჩევულებრივი შრომისმოყვარეობითა და ქვეშაობებებისადმი ასევე არაჩვეულებრივი მისწრაფებით გამოირჩევა. მისი შრომის უნარი, დულაღვი სწრაფვა წინ და მიღწეულით დაუკმაყოფილებლობა — ყოველთვის შთაგონებლად მოქმედებდა მისსავე მოწაფეებზე. იგი დღესაც ახალაზრდული ვენერგიით შრომობს, კვლავ განმაცვიფრებლად ნაყოფიერია, და თუ რაიმე ახალ ფაქტს წაიწყდა, რომელიც ცვლის ძველ წარმოდგენას ან ძველ შეხედულებას, მზად არის ვაასწოროს შეცდომას, როგორც ეს მან ამას წინათ გააკეთა 1951 წელს დაწერილ თავის ნაშრომში — «ქართული სტამბის ისტორიიდან მეთვრამეტე საუკუნეში», სადაც აღნიშნულია, რომ «...ჩვენს წინანდელ

1 იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1955 წ., ტ. 1, გვ. 63-64.

2 იქვე, გვ. 63-64.

შრომში (ანტიონი კათალიკოსის ლიტურგიკული მოღვაწეობიდან) ამ წიგნის (გ. ა. „თვენი“ — გ. 26) შესახებ მოცემულია ანასტორი ცნობა, რომელმაც შერე თავი იჩინა ისეთს ვაქცემშიც კი, როგორცაა „ქართული წიგნი“. I (გვ. 52)*. I მარტო ეს ფაქტი მოწმობს, რომ მეცნიერებისათვის შეუფერებელი სიჯიუტე კი არა, არამედ, მეცნიერებისათვის აუცილებელი **ქეშარიტების ძიება**, — აი, ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპი, რომელსაც მისდევს და იცავს ავადმჯიყოსი კორნელი კეკელიძე. ამასვე მოწმობენ მისი სიტყვები: „ძველი ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობა ჯერ არც აღმოჩენილია საეხებით და არც გამოყენებული. კიდევ მისალოდნელია ახალი მასალების და წყაროების აღმოჩენა, რაც ჩვენს წარმოდგენას ამათომ სავანე არა მარტო შეავსებს, შესაძლოა, შესცვალოს კიდევაც ზოგ შემთხვევაში. საჭიროა ძიება, ძიება და კიდევ ძიება ამ მასალებისა და წყაროებისა“².

ჩვენ როდი შეგვიძლია ვიყისათ ქართული ფილოლოგიის ამ მსოფლიო მეცნიერების წინაშე კორნელი კეკელიძის უდიდესი დამსახურების თუნდაც ზოგადი აღსასათება. ეს შეიძლება გაეთდეს მხოლოდ სპეციალისტ ავტორთა მიერ. გვინდა დაუკმაყოფილდეთ მცირე პოსტკრიპტებით, რომელიც კორნელი კეკელიძის, როგორც ადამიანისა და მეცნიერის, პორტრეტს შეეხება.

პირველად ჩვენნი ძვირფასი მასწავლებელი 1929 წელს ენახე თბილისში, უდროოდ დაკარგულ ახალგაზრდა პროფესორ ანდრია ჩანჭიძის დაკრძალვის დროს. მაშინ პირველად ვიხილე მშობლური თბილისიცა და უნივერსიტეტიც, რომლის სტუდენტად ვახდებოდა ჩემს ოცნებას წარმოადგენდა. დიდი ეთივგლახით შევეძლი, სრულად ყმაწვილმა, თბილისში ჩამოსვლა და ჩემი მეგობრის საშუალებით, სამკლოვიარო პროცესის დროს, მეღიქიშვილის ქუჩაზე ეგზილურ იმდროინდელი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებში, ყმაწვილის მუხსიერება ყოველთვის მეტად ძლიერი და ამაღლებულია. როცა დაფინანსებ კორნელი კეკელიძისთან ერთად იმდროინდელი უნივერსიტეტის პროფესორა, მეგონა ქართული მეცნიერების ცოცხალი პარნასი იღვა ჩემს თვალწინ და გულმა უცნაურად იწყო ძვრა. მე მტკიცედ გადაწყვიტე ფილოლოგიური მეცნიერებანი შეემსწავლა, მით უფრო, რომ საშუალო სკოლაში ლიტერატურასა და ისტორიას მთელი მონდომებით ვეწავებოდა. ახლაც თვალწინ ცოცხლად მიდგას იმდროინდელი სტუდენტების სიმრავლე, ვინც სიმათურად აღამიანი, შევკრებლილი თმით, დიდი სიარულით, თავჩაქინდრულად რომ მიიბიჯებდა.

უფრო ადრე მე გავიხილი მქონდა კორნელი კეკელიძის სახელი მისი ერთ-ერთი მოწაფის, შემდეგ კი ქართული ლიტერატურის ცნობილი მასწავლებლის ნიკო შეფისაშვილის წყალობით.

ნიკო შეფისაშვილს ფართო ერთდელია ჰქონდა, — იცოდა ზერძნულ-ლათინური ენები, საკმაოდ ფლობდა ინგლისურ, ფრანგულსა და გერმანულ ენებს. არაჩვეულებრივად დალაგებითა და მწყოზრად ლაპარაკობდა. მასალის გადაცემას იგი ახერხებდა დიდი ოსტატობით. ამიტომ ყველას უყვარდა, ხოლო გაყვითლებულ კლასში მოწაფეებიც კი სულგანაბლენი უსმენდნენ. მე ახლაც თითქოს მესმის მისი სიტყვები: „როგორც ეს დადასტურა პროფესორ კორნელი კეკელიძის ცნობილმა გამოცხადებამ...“, „...თუ ჩვენ ეს ვიცით, პირველყოფისა, პროფესორ კორნელი კეკელიძის წყალობით... პროფესორ კორნელი კეკელიძის ამ დიდმა აღმოჩენამ საშუალება მოგვცა...“ და ა. შ. ყველაფრისა ჩანდა, რომ ნიკო შეფისაშვილი უდიდესი პატივისცემით ეკიდებოდა კორნელი კეკელიძის მეცნიერულ აღმოჩენებს, და ჩვენ, მე-9 — მე-10 კლასის მოსწავლეებს, გვიჩვენებდა სიყვარულს ქართული მეცნიერების ამ დიდი წარმომადგენლისადმი. ჩვენ მაშინ არ ვიცოდით, რომ თითო ნიკო შეფისაშვილი კორნელი კეკელიძის უნივერსიტეტი მოწაფე იყო. ის უნდა დარჩენილიყო უნივერსიტეტში პროფესორობისათვის მოსაშუადებლად, მაგრამ გულის ავადმყოფობამ ამ განზრახვაზე ხელი ააღებინა, ქუთაისში დააბრუნა თავის მშობლებთან და მასწავლებლებთან დააწყებინა.

1930 წლის პირველი სექტემბრიდან უკვე სტუდენტის ვიყავი. ძველი ჩვენი მასწავლებლის ლექცია უადრესად მიმზიდველი იყო, მათ შორის კორნელი კეკელიძისა, რომელსაც მთელი კურსი უდიდესი ინტერესით ისმენდა. ჩვენ, იმდროინდელ სტუდენტებს, ძალიან გვიყვარდა საბელაშვილები მასწავლებელი, დიდი და გამორჩენილი მეცნიერი, რომლის ფილოსოფიური წინადადება, გვიყვარდა და ვამაყობდით, რომ მის ლექციებს ვისმენდით, მისი უშუალო მოწაფეები ვიყავით.

იმ დროს განადებული იყო იდეოლოგიური ბრძოლა, აკრიტიკებდნენ ყველას და ყველაფერს, მაგრამ ყველაზე ნაკლებად კორნელი კეკელიძეს, ვინაიდან სტუდენტთა ერთი ჯგუფი ამტკიცებდა: მართალია, კორნელი კეკელიძის აღზრდილ შრომებში დიალექტიკური მეთოდით არ ჰქონდა გამოყენებული, მაგრამ ქეშარიტ-

¹ იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1955 წ., ტ. III გვ. 109.

² იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1956 წ., ტ. I, გვ. 299. ხაზი ყველგან ჩვენი — გ. 26.



ბის დაუცხრომელმა ძიებამ იგი ობიექტურად მოიყვანა დიდივტორი აზროვნებამდე, როგორც წარსულის ბევრი გამოჩენილი მოღვაწე და მეცნიერი. ეს დებულება სამივედ აღმოჩნდა. ყველა სტუდენტი უკვე ამ თვალთ უყურებდა მსოფლიო მეცნიერის შრომებს და მონდომებით სწავლობდა მის წიგნებს.

დღევანდელი ჩემთვის 1933 წელი, როცა სწავლების სამწლიანი კურსი დამთავრდა, იერიის ბოლოს, რიცხვი აღარ მასოვს, კორნელი კეკელიძემ შემაჩერა უნივერსიტეტის ქვედა კესტიბიულში, კიბესთან ახლოს, და ჩვენს შორის დაახლოებით ასეთი დიალოგი გაიმართა:

— მე ვადაწვევებ, თქვენ დატოვებთ ჩემთან სამუშაოდ. მხოლოდ ერთი პირობა უნდა მომცეთ: ასპირანტურის კურსის გავლისას აუცილებლად უნდა შეისწავლოთ სპარსული ენა, ვინაიდან ძველ მწერლობაში უამისოდ მუშაობა გაუძნელდებათ. მე ყოველმხრივ დაგეხმარებით.

ჩემთვის ეს სასიხარულო წინადადება სრულიად მოულოდნელი იყო. ამ დროს გატაცებული ვიყავი ლიტერატურული კრიტიკისა და პოსტერის ზოგადი თეორიული საკითხებით, რამდენიმე პატარა წერილიც პრესაში გამოქვეყნებული მქონდა, ხელნაწერში მზად იყო ჩემი პირველი წიგნი — „ლიტერატურული საკითხები“, რომელიც 1934 წელს გამოვიდა; ერთი სიტყვით, ესაუბრებოდა და კრიტიკის პრობლემებს, ემპირიზმს და ყველაფერი ეს გულწრფელად ეუთხარი ჩემს ძვირფას მასწავლებელს.

საუბრაში საკმაო ხანს ვასტანა და მე არასოდეს არ დამავიწყებდა ის მაშაშვილური დარღვევა, რომელიც აღსაქვს იყო ადამიანობითა და მეცნიერებისადმი უნაგარო სამსახურის იდეით.

მას შემდეგ საკმაო ხანმა გავწლო, თითქოს უფრო ადვილი უნდა იყოს წარსულის გახსენება, მაგრამ როცა ძვირფას მასწავლებელზე წერ, ყოველთვის გრძნობის სიჭარბე ბოჩაფის აზრის გამოთქმას. შესაძლოა უფრო მეტი დროის გასვლა აღვირთო, რომ ყველაფერს თავი მოუყარო, ყველაფერი დალაგო, განაღვიწო და ისე აღწერო, როგორც ისტორიულ კვლევებში შეეფერება მოგონებათა კორიანტელში იმდენი მსხვილმანია წერილმანთან ერთად, ისე დაკავშირებულია ისინი ერთმანეთთან, გამორჩევა ძნელი ხდება. თითქმის კრიკოსონის მიხედვით იყენენ. გრძნობდა აიკმევა ხოლმე პიროვნული და საზოგადოებრივი, კერძო და ზოგადი, შემთხვევითი და აუცილებელი, დიდი და პატარა — აღარ იყო, რა ვაკეთო, რას მისივე უბრატესობა, რომელი გამოტოვო ან

წინ რა წამოსწიო. ეს წინდა ექსპლუტაციური ვანდა ყველა მოგონების ვანდატორი ყოფილა გზავია, მაგრამ უფროსი მასწავლებლის სახელთან დაკავშირებულ გახსენებას მეტი სიბრძნე ახსიათავს.

ვინდა დაიწყო წერა, მაგრამ დასაწყისი ვერ ვიპოვია. ვინდა დაამთავრო, — უანასკნელი წერტილის დასმა ვიჭირს. მეტი ვინდა სიჭკვა, შესაძლებლობას ვერ პოულობ, და ბუნებრივად ვიპყრობს ნაწერი გამოწვეული უკმაყოფილების გრძნობა. ამ უკმაყოფილებას ისიც აძლევს, რომ ჩვენ დღემდე არა გვაქვს სრული და ეტყული მონოგრაფია ჩვენს ძვირფას მასწავლებელზე. ეს მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეების ნაჯლად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ვისაც სურს საფუძვლიანად შეისწავლოს აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ცხოვრების გზა, დღესაც შეუძლია ბევრი რამ ვაიგოს პროფ. ალექსანდრე ბარამიძის მშვენიერი ნარკვევიდან — „კორნელი კეკელიძის ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა“, რომელიც „ლიტერატურული ძიებანი“ 1945 წლის მეორე ტომშია მოთავსებული. ეს ტომი შედგენა კორნელი კეკელიძის სამეცნიერო მოღვაწეობის 40 წლისთავზე (1905—1945). იქვე მოთავსებულია მეცნიერული კეთილსინდისიერებით შესრულებული ტ. კასრაძის შრომა — „კ. კეკელიძის შრომების ბიბლიოგრაფია“, მოყობებული 1905 წლიდან („ახალი საგლობლები ამო თბილელისა“), დამთავრებული 1945 წლის ნაშრომებით.

მაგრამ უოველივე ეს ჯერ კიდევ ძალიან მცირეა აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ცხოვრებისა და მეცნიერული დამსახურების აღსანიშნავად. ქართული მეცნიერული მოყვანილი მონოგრაფიას ჩვენს გამოჩენილ მეცნიერსა და მეცნიერთა თაობების სახელოვან აღმზრდელზე, სწორედ კორნელი კეკელიძის მოწაფეებმა უნდა იქონიონ სპეციალური ვრცელი მონოგრაფიის შექმნა თავიანთ ძვირფას მასწავლებელზე, რომელსაც 80 წელი შეუსრულდა და აქვდა სრული 56 წელი მშობელი ხალხის, მშობლიური ქართული კულტურის, ქართული მეცნიერების უანგარო სამსახურის შეღია.

1 „ლიტერატურული ძიებანი“, 1945 წ., № 2, აღ. ბარამიძე, კორნელი კეკელიძის ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა, გვ. 01-020.

2 იქვე, ტ. კასრაძე, კ. კეკელიძის შრომების ბიბლიოგრაფია, გვ. 021-043.



პეტო. თაყაიშვილი



მომონებები*

იმ ჩვენს მეზემში დაეულ სხვა შემთხვევით თუ ვათხიით არქეოლოგიური მონაპოვების სერათებთან ერთად სულ 13 სერათია, საერთო სათაურად უველას „Грузинский музей“ აწერია. მოკლედ ჩამოთვლი ამ სერათებს: 1) ბრინჯაოს მრგვალი მედალიონი, ქალმურთის თავი, დიამ. 7-8 სმ.; 2) ბრინჯაოს **ორი აფერული ბალა** — ერთი სწორკუთხოვანია, ცხოველთა გამოსახულებიანი (№ 787), მეორე კი მრგვალი; 3) ბრინჯაოს გამოსახულება — ვენერას (?) საკვე უკირავს ხელში, დიამ. 12 სმ.; 4) ბრინჯაოს ძეწვეები, ორი დღემა, ორი ცხოველის გამოსახულება, ერთი მრგვალი მედალიონი და სამი პირამიდული ზარაკი (ყახბევის განმეო რომაა მრავლად, იმ ტიპისა); 5) ბრინჯაოს იმგვარივე ორი რთული საკიდი — მრგვალი მედალიონები, ძეწვეები, დღემა, ფრინველი, კონუსური ზარაკები; 6) ბრინჯაოს ლავამი (სწორი სახეებურები, მსხვილრგოლოვანი და წვეტებიანი); 7) ბრინჯაოს საკინძები, ძალისა და კერძოლის (?) გამოსახულებანი; 8) ოცდაცხრა პირი ისრისა, შუბისა და სატევრისა (ორი), რკინისა და ბრინჯაოსის, ნაყრები მასალა; 9) ქალმურთის (იგივეა, რაც № 1) და ჰერმესის თავი; 10) ჰერმესის თავი (იგივეა, რაც № 9); 11) მინის ოთხი „საყრემლი“, სამთაგროში გავრცელებული ტიპისა, ერთი უფრიალი; 12) მინის ჰურტული — ორყურა, საინტერესო ფორმის ეახა; 13) მინის ორი პატრა კობტა სურა, შეყოწეხებული და ნაყლული (ან ეგებ ერთი სურა, ორი მხრით გადაღებული). ბოლო ორი ნომერი სწორედ ის ჰურტულია, რომლებიც სვეტიცხოვლთან აღმოჩნდა.

პირველი ქართული არქეოლოგი, რომელსაც ჩემამდე ჩაეტარებინოს ვათხრა საქართველოში, იყო ისევე ნიკო მარი. მან, როგორც ცნობილია, გათხრა ძველი, წინაქრისტიანული სასაფლაო მდ. დღებლას ხეობაში მდებარე სოფ. ვორნაქში (მაშინ ის კუთხე — ლორე-ბამბაკი — თბილისის გუბერნიის ვეოფენოდა, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების დაყარების შემდეგ სომხეთს გადაეცა) და საკმაოდ საინტერესო ნივთები აღმოაჩინა, მაგრამ მანვე მალე ანისში დაიწყო

თხრა და მთელი გულისყური იქით გადაიტანა. ხოლო ვორნაქში თხრის გავრცელება საიმპერატორო არქეოლოგიურმა კომისიამ (თუ სწორად მაგონდება, თვით ნ. მარის — იმავედ უვეი ავტორიტეტული მველევარისა და, კერძოდ, არქეოლოგის რეკომენდაციით) მე შემომთავაზა და სათანადო ღია ფურცელიც გამომიგზავნა, თანხმობა რომ შევეთვალე. ეს იყო 1894 წელს და მას შემდეგ უვეი ხშირად მიგზავნიდა კომისია ღია ფურცელს (ხშირად მითელიდნენ, სადაც მიიხნევთ საჭიროდ, იქ გათხარეთო), რადგან ვორნაქში ზატარებულმა, უვეი ნამდვილად საკმაოდ დიდმა გათხრამ გამოიპართა: ბრინჯაოს ხანის სამარხები აღმოვაჩინე, შიგ მრავალი საინტერესო ნივთი იყო (მათ შორის განსაკუთრებით გამოიჩინეოდა ბრინჯაოს მახვილი, რომელზედაც სესტიკაა ამოკვეთილი, და ერთი ცელი, რომელსაც შემდეგ რომელიღაც რუსი არქეოლოგი აღნიშნავდა კიდეცა, როგორც თვალსაჩინო მონაპოვარს). ნივთებიცა და საველე დღიურებიც არქეოლოგიურ კომისიას გადაუვუგზავნე. ისინი მოკლულაა გამოქვეყნებული კომისიის ანგარიშებში. მას შემდეგ უვეი აღარ იყო მართებული ცნობილი რუსი „ნივთმოკლდე“ არქეოლოგის, აკაო სპირნიოვის განცხადება, თითქოს კავკასიის უმდიდრეს განათხარ მასალას გრავალთა უფაროვას შეტი არავინ პატრონობს და სწავლობს... ვორნაქის სამარხები მდიდარი გამოდგა, მათზე მუშაობამ გარკვეული გამოცდილებაც შემძინა, წამახალისა დამაინტერესა და შემდეგ უვეი უფრო თამამად მივეყიო ხელს თხრის წარმოებას, მით უმეტეს, რომ არქეოლოგიური კომისიაც შევეზება და საჭირო თანხასაც მიგზავნიდა, ცოტ-ცოტას. (ასეულობით მანეთებს), ღია ფურცლებთან ერთად (ეს უკანასკნელნი ახლაც შენახული მაცქს). შეიძლება ითქვას, რომ 1917 წლის რევოლუციამდე მე ვიყავი თითქმის ერთადერთი ქართველი არქეოლოგი, რომელიც არქეოლოგიური კომისიის დაეალაბა-ნებაართით ეაწარმოებდა თხრას საქართველოში. სამწუხაროდ, საშუალება არა მქონდა, რომ ფართოდ გამეშალა ეს მუშაობა, რადგან მთელი იმ ხნის განმავლობაში ინტენსიურ პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ვეწეოდი, არქეოლოგიისათვის ბოლოდ საზღვხული არადღეგების დროს ვიცილი-

* გაგრძელება იხ. „მნათობი“ № 5.

მაშინაც მთავარ ყურადღებას მიწისზედა ძეგლების აღწერა-შეგროვებას ვუთმობდი და გათხრასაც მებრუნლად იქ წამოვიწყებდი ხოლმე, უფრო სხვათაშორისად, სადაც მიწისზედა ძეგლთა შესასწავლად დავდიოდი (ჩემი გვეგმისამებრ, კუთხე-კუთხე). ამრიგად ვაწარმოე თხრა და სათანადო დაკვირვება ბორჩალოს მახრის (თრიალეთის საბოქაულოსა და სხვ.) რამდენსავე ადგილს, რის შედეგებშიც აგრეთვე გამოკვეთდა არქეოლოგიური კომისიის ანგარიშებში. შემდეგ ცოტაოდენი ეთხარე ვაწიეც და, თან, საკმაოდ დაწერილებით აღწერე იქაური შესანიშნავი ნაქალაქარი, ანტიკური დროისა, სადაც კვლავაც ბევრი რამ იჩენს თავს, დასწმენებულად ვარ. მცხეთასი ჩემი მუშაობის (სამწუხაროდ, ღრიად უწინმეტროვანესა და იმ ძეგლებისათვის არასაკმარისის) შესახებ ზემოთ უკვე მქონდა საუბარი. ზოგჯერ საიდანმე რომ ჩამოვიდოდა ცნობა საინტერესო შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენის შესახებ, მივაპურებდი ხოლმე იქ და უკლდე ღონეს ეხმარობდი, რომ აღმოჩენად დაყარვა-დატყუბისა და გაფლანგვისაგან ვაღმურჩინა (თუ ძვირფასი ნივთები იყო, მაინც), ხოლო ზოგჯერ ძეგლის ბოლომდე გამოსაკვლევად თხრასაც ჩავატარებდი ხოლმე (მაგ., სახურეში, სადაც 1913 წელს ვიქმევე ნაწილობრივ უკვე გათხრილი უორლანის შემდგომს გათხრასე და ბონჯაოს ეკლტურის ადრეული საფეხურის ევთენილი. მანამდე უჩვეულო ტიპის ნივთებს მიუყვარე თავი). ბონჯაოს საინტერესო ნივთები და სახელსნოს ნაშთები აღმოჩნდა და შევისწავლე გორის მახრის დაბა ახალქალაქში. ეკლდე, სოფ. ბორში აღმოჩენილი, უმდიდრეს საძარბებში ნაპოვნი ნივთებიც საქართველოში დამეტრევიბინებინა აღმოჩენისათვის, მაგრამ იგი (ახნაური თ. მავკარიანი) ვერ მოიქცა პატრიოტულად და გონივრულად: ჯერ-ერთი, ბევრი რამ ნათესავ-მოკეთებში გაასანქრა და მიშობანია, ხოლო მეტი წილი პეტერბურგში წაიღო, იქ მერს მომკვებნი, და, ხანგრძლივი ვაჭრობის შემდეგ, მიჰყიდა არქეოლოგიურ კომისიას, ისე რომ ის კოლექცია, ერთი საუკეთესოსთავანი საქართველოში აღმოჩენილ ანტიკურ ნივთებს შორის, მას შემდეგ ვრბიტაგის საკუთრებაა. მე ისდა მოვახერხე, რომ მოკლე ცნობები გამოვაქვეყნე საისტორიო - საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომის ოქმებში ბორის აღმოჩენათა შესახებ და დაებეჭდე, მოკლე აღწერილობითურთ, სურათით ერთი იქაური საუკეთესო (და მაშინ უნიკალური) ნივთის — ვერცხლის ჯაისის, რომელზედაც ცხენისა გამოხატული და რამდენიმე წარწერაა ამოაწრული (როგორც ამ ბოლო დროს გამოირკვა, პიტიახშის ვინაობაც სწერია თურმე ზედ). ის ჯამიც კინაღამ ბარონ დე-შაის არ ჩაუვარდა ხელში: ევაქრებობა თურმე მა-

კვარიანს, მაგრამ ვერ მორიგებულან, მაღრობა ღმერთს!

განსაუტრებით რთული თავგადასავალი გადახდა ე. წ. „ახალგორის განძის“ მქსანიშნავი სწორუბოვარ ნივთებს და აგრეთვე მეც — როდესაც მათი აღმოჩენის ამბავი გაიგე და კვლდაკვალ მივდიე მათს შემსყიდველ-გადასყიდველს, სანამ უმეტესობის თავი არ მოუყვარე და, საბოლოოდ, კავკასიის მუზეუმში იქ დაეახინევე (ჩვენი მუზეუმს ისეთ მდიდრულ ნივთებს არ მისცემდნენ, რადგან სახელმწიფო მუზეუმი არ იყო). კავკასიის მუზეუმის მაშინდელმა დირექტორმა კახაკოვმა ახალგორელი ნივთების შესწავლა-გამოკვეყნება დაავალა იაყ. სმირნოვს, რომელიც პეტერბურგში მუშაობდა. იმანაც მოკიდა ხელი, მაგრამ, მიუხედავად დიდი ნიჭიერება-განათლებულობისა, აშკარად მძიმე და უფხო გამოდგა მუშაობაში და ისე მოხდა 1917 წლის რევოლუცია, რომ მას ახალგორის განძის აღწერა-აწილობა ჯერ კიდევ არა ჰქონდა ბოლომდე მიყვანილი. ასე რომ, საბოლოოდ სმირნოვი გარდაიცვალა და ნაშრომი სანახევროდაც არა ჰქონდა დაწერილი. შერე გ. ჩუბინაშვილმა დიდი დეაწილი დასდო იმ დამუთავრებელ ნაშრომს, შეავსო და გამოსცა — თითქმის მეთხუხუი საუკუნის შემდეგ, „განძის“ აღმოჩენიდან. თვითონ ნივთები იქ, როგორც ადრე მაქვს მოთხრობილი, სხვა ჩვენს სამუზეუმო განმეულთან ერთად, საფრანგეთში იყო წაღებული და მხოლოდ 1945 წელს დაბრუნდა საქართველოს... სხვათაშორის, არქეოლოგიურმა კომისიამ იაყ. სმირნოვი თავის დროზე შოვალინა სოფ. ბორში, იქაური აღმოჩენების ვითარების შესასწავლად და გათხრის ჩასატარებლად, მაგრამ ეს მივლენება სრულიად უნაყოფო აღმოჩნდა.

ბორჯომში რომ დიდი მთავარი ცხოვრობდა, იმას მორატავად ჰყავდა აგრეთში თუ მეტყვევი ვინოვრადიფ-ნიკოტინი. ამ უყანასკენელს ცოტაოდენი გაეთხარა (მაშინ დიდი მთავარი უკვე აღარ იყო იქ) და მეც ავედი, რომ შემემოწმებინა მისი განათხარი, სხვა ნივთებთან ერთად უპოვანა ბონჯაოს ერთი საუკეთესო, ნამდვილად მწვენიერი მუშისპირი. წამოვიღე და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში გქქონდა. მე თვითონ ბორჯომში არ მითხრია.

ამის მეტი მე ვუახრის არქეოლოგიაში თითქოს არა გამოკეთებია რა. როგორც უკვე ვთქვი, უმთავრესად საიმპერატორი არქეოლოგიური კომისიის დეალებობა და სახრებთ ვემუშაობე და მონაპოვარიც მეტწილად პეტერბურგში მიდიოდა. აქ სიტყვას აღარ გაეაგრძელებე, რადგან ჩემ მებრ ნატარებული მუშაობის ანგარიშში მეტწილად გამოქვეყნებულია და მე ახლა აღარც გამახსენდება ისეთი სიზუსტეო ფაქტები.

ჩვენი მებრ დაწესებულებებს ე — წერაკითხვის საზოგადოებას, საეკლესიო მუზეუმს, კავკასიის მუზეუმსა და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას — არაფე-

რი ვაყუთებით არქეოლოგიური თხრის წარმოების მხრივ არც უფლება მქონდათ ამისა და არც სათანადო სახსრები. თბილისში დაიარსდა მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიური განყოფილება, მაგრამ არც იმას უწარმოებია თხრა, თუმცა კი, წესდების მიხედვით, სწორედ თითქოს იქ უნდა ყოფილიყო თავმოყრილი ამ საქმის ხელმძღვანელობა კავკასიაში. ფაქტობრივად ისეთი ეთაბრება შეიქმნა, რომ ჩვენი თოსნობით ვერაფერს ვაყუთებდით ვათხრის მხრივ, მოსკოვი საამისოდ ფულს არ გვაძლევდა. კაცმა რომ თქვას, თეთი მოსკოვის საზოგადოებაც ვერაფერს თხრდა მისი დამაარსებლის — გრაფ ა. უვაროვის სიკვდილის შემდეგ: ასეთ საქმიანობას, საერთოდ, იშვანდა მხოლოდ არქეოლოგიური კომისია ვანაგებდა და აწარმოებდა, ხშირად ადგილობრივი მუშაკების მეშვეობით (მაგ., მე რომ მთხროვინებდა, ისე). იგივე ვუფლებოდა და თავისი შეხედულებისამებრ ანაწილებდა რუსეთის (უმთავრესად პეტერბურგისა და მოსკოვის) მუზეუმთა შორის მონაპოვარს, რომლებიც სახელმწიფო მიწებში აღმოჩნდებოდა ხოლმე.

ასეთი მდგომარეობა იყო ჩვენში არქეოლოგიური თხრის მხრივ 1917 წლის რევოლუციამდე. არც მას შემდეგ ვაყუთებულა რამე, მენშევიკების დროს. 1921 წელს კი მე საზღვარგარეთ წავიდი და დიდი ხნით ჩამოვმორდი, საერთოდ, აქაურ საქმიანობასა და, კერძოდ, არქეოლოგიასაც, ოღონდ ძველ მონაპოვარს ვიცავდი და, როგორც თავის ადგილასაც აღნიშნავ, მას მართლაც სჭირდებოდა მუდმივ ფიზიკალ დაცვა, რომ უცხოეთის მუზეუმებში არ მოხვედრილიყო...

მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიური განყოფილების დაარსების თოსნობა ეუფთვნის გრაფ ალექსი უვაროვის ქვრივს, გრაფინია პრასკოვია უვაროვის. შეძლებული ჭალი იყო; ქმრის ხსოვნის ხაზრით ყველაფერს ანგარიშს უწყევდნენ: კარგი სპეციალისტები, მოსკოველი არქეოლოგები მხარში უდგნენ; თითონვე ძალიან ფხიანი, ენერჯული კამოდგა და მართლაც ბევრი რამ ვააყუთა კავკასიის სიძველეთა შესწავლისა და გამოქვეყნებისათვის. სხვა რომ არა იყოს რა „Материалы по археологии Кавказа“-ს კამბატულური ტომები ღირდა ერთ რამედ, ხოლო მათში ხომ ერთი თეთი მისი შედგენილია და ჩრდილო კავკასიაში ამონათხარ დიდმა ძეგლებს შეიცავს (მათ შორის ჩვენი სტუფანწმინდა ეპიზგრასიაც). შიგ დაწერილობითაა ყველაფერი აღწერილი და მშვენივრად არის დასურათებული: იშვანდა ბევრი ახლაც კი ვერ ბეჭდავს არქეოლოგიურ გამოცემებს. ასევე კარგადაა გამოცემული იმ სერიის XIV და XII ტომები, რომელთაგან ერთში ჩვენი ხელნაწერები მაქვს გამოქვეყნებული, ხოლო მეორეში — მესხეთის ძეგლები.

კავკასიური განყოფილების ჩამოყალიბებისა და მუშაობის ამბავი დაწერილნი არაა დაბეჭდილი მის ორგანოში („Записки ИАИ Кавказского отд.“). თუ რ წინადად გამოვიდა და შიგ სხდომათა ოქმებიც კვეყნდებოდა სრულად, როგორც ვთქვი, გათხრითი არქეოლოგიისათვის იმ საზოგადოებამ ვერაფერი ვააყუთა და ძირითადად ისევე მიწისადა ძეგლების — ტარტრის, წარწერების, საეკლესიო ნივთებისა და სხვ. შესწავლა და გამოქვეყნება იყო მისი მუშაობის შინაარსი (თუმცა იქაც დაიბეჭდა ჩემ მიერ მცხეთის ნავთსადენში ჩატარებული თხრის ანგარიში — უფრო ვრცელადაც კი, ვიდრე არქეოლოგიური კომისიის ორგანოში).

ქვის ხანის ნაშთები ხომ ჩვენში დიდხანს სრულად არ იყო შესწავლილი! პირველი მსოფლიო ომი რომ დაიწყო, მომავლთა ერთმა პოლონელმა უნტერ-ოფიცერმა (რა თქმა უნდა, რუსის ჯარისამ), გვარად კრუკოვსკიმ. მოიხარა, რომ იგი ჯარში წაყვანათ და მერე თბილისში გამოვუხანათ. განათლებული კაცი აღმოჩნდა, ქვის ხანის არქეოლოგიაში ნამუშევარი, მაშინ რუსეთში ისეთი კანონი იყო, რომ თუ სამხედრო ვალდებული პირი რაიმე სემინარიის დაწესებულებაში დაიწყებდა მუშაობას, ჯარისაგან გაათავისუფლებდნენ. კრუკოვსკიმ მთხოვა დახმარება, — მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების არსებობა იცოდა და იქ იმედოვნებდა სამუშაოს მოენას. მაგრამ იქ საიმისო არაფერი ვცქირდა და, საერთოდ, თანამშრომლის აყვანაც აქ შეგვეძლო. ამიტომ მიუეუყანე კრუკოვსკი კავკასიის მუზეუმის დირექტორს ა. კახნაიკოს და მან კი მიიღო თანამშრომლად, ჰქონდა ამის საშუალება (ქართველს არ მიიღებდა, თორემ სხვას — ყველაზე). კრუკოვსკი მაშინვე შეუდგა მუშაობას. პირველად წაიგოდა მოწამეთაში, სადაც ადრეც მუშაობდნენ გამოქვეყნების გათხარზე ვერმანელი არქეოლოგი შმიდტი და ერთი სხვა [კრუკოვსკი]. ოღონდ ბოლომდე არ მიუყვამათ საქმე. ამ გამოქვეყნებულში კრუკოვსკიმ კიდევ ბევრი რამ აღმოაჩინა. მერე კი უცეე მე გავგზავნე ჰიათურისაკენ, სადაც [რვანთან, გვარჯილას ელდში] ბლომად იყო ცნობილი ქვის ხანის ნაშთები. კრუკოვსკიმ იქიდან შესანიშნავი კოლექცია ჩამოიტანა. ფუთობით ჩამოიზიდა მასალა, რომელიც კავკასიის მუზეუმში დარჩა. სანამ კრუკოვსკი თბილისში იყო, მოკლე ანგარიშიც დაბეჭდა მუზეუმის ორგანოში. მაგრამ რევოლუციის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და ევლარ დაასრულა თავისი მონაპოვრის შესწავლა-გამოქვეყნება... ძალიან განათლებული ახალგაზრდა იყო და, რამდენადაც ვიცი, ახლანყოფიერად მუშაობს თურმე პოლონეთში, როგორც ქვის ხანის მკვლევარი. კარგი მუცნიერი დამდგარი. პარიზში ყოფნისას ერთხელ კიდევ შეხვდით... შეიძლება ითქვას, რომ იმ

შმიდტისა და, უფრო კი, კრეკოვისის მიერა წამოწყებული ჩვენში ქვის ხანის შესწავლა, რასაც მანამდე ხელს არავინ პოულობდა. ის კი არა, თითქმის არც ეგვიპტეობდათ იმ დროის ნაშთები.

მასხენდება ერთი კერიოზი განყოფილების დაარსების დროიდან. ჩვენებურთაგან მეც ერთი აქტიური მონაწილე ვიყავი იმ საქმისა და უშუალოდ ვთანამშრომლობდი უფროვასთან, როგორც ყველგან და ყოველთვის. მაშინაც კედოლობდით, სპეციალისტებს ვარდა, შექმნილნიც მიგვეზიდა საზოგადოების წყერებად. რათა ფულით დახმარებოდნენ მის მუშაობას. ბევრ მათგანს ეს ძალიან ეხალისებოდა და პატივმოყვარეობას ექმნათფილებდა. თბილისში ერთი ცნობილი ექიმი—ვენეროლოგი იყო, ბეგთაბეგო-შვილი. უშვილო და დიდი შემოსავლის მქონე. ცოლი ძალიან ცოცხალი და საზოგადოებაში თავის გამოჩენის მოყვარული ქალი ჰყავდა. მან გულით მოინდომა ჩვენი საზოგადოების წყერობა და ჩვენც დავასახლეთ მისი, როგორც სასარგებლო „შემონაპატიოს“, კანდიდატურა წინასწარ სხდომაზე. უფროვამ რომ ეს გაგონა, იყვირა: „ქალს რა უნდა საზოგადოებაშიო? ჩვენ შეეცებით და მერე ვილაკებ შეჯავდარა გრადიონას შეკითხვა: „კი, მაგრამ, ვანა თქვენ თუთონ კალი არა ბრძანდებით, ამ განყოფილების თავმჯდომარე?— მან მაშინვე მოახლა პასუხი: «Это теперь, а то пока был жив мой муж, я не смела даже переступить порог его кабинета»

რალა უნდა ვუთქვა? საერთოდ, როგორც ბევრ იმდროინდელ არისტოკრატს, — და მით უმეტეს, რალაცა საქმის სათავეში მოქცეულ ქალს, — ძალიან ახირებული ხასიათი ჰქონდა. თუ რასმე დაიცივებდა, ძნელია იყო მისი დაჯერება. ბევრი ვერაინ ახერხებდა მასთან შეკვეებას. რატომღაც სწყალობდა ალ. ხასანაშვილს, რომელიც მაშინ მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი იყო... უფროვა ხშირად საქმისთვის არასასიკეთოდაც სარგებლობდა თავიხი მდგომარეობით. შავალითად, გავუგზავნე ტბეთის ოთხთავის (ორი იყო, პეტერბურგში და თბილისში — ტრუბეცკოსი ნაქონი) ოთხივე მახარობლის სურათები და არ დამიბეჭდა. „ვეანგელისტები შე უნდა გამოცეც ცალკეო“. არც თვითონ დაბეჭდა და დარჩა ისე გამოუცემული.

ერთხელ უფროვას მიეწერა მთავრობისათვის რომ რუსული ისტორიული ძეგლების (ტაბაჩი-ბისა და სხვ.) უპირველესი მტრები თვით რუსი ბერები არიან, გადაცემა-გადმოცემებითა და ეითომ განახლებით, შეღებვით და ა. შ. აფუქცევენ ძველ შენობებსო. მისულა მასთან სინოდის მრისხანე ობერ-პროკურორი, ცნობილი პოზედონოსკევი, შეუღლია კარი, არც გამარჯვება უთქვამს, არც არაფერი და პირდაპირ საუვედუ-რით მიემართავს: «Что Вы, графиня, на нас

жалуетесь, будто-бы, мы памятники порти́м? უფროვას უპასუხია: «Исторические памятники прежде всего подают пищу разговору...» ეს ამბავი ფიქტონ უფროვამ გვიამბო.

კავასიერი განყოფილების ერთ-ერთ სხდომაზე წავიკითხე მოხსენება თეორიუროს მიდამოებში ჩატარებულ არქეოლოგიური მოგზაურობის შესახებ (რომელიც დაიბეჭდა კიდეც განყოფილების ორგანოს I ტომში). ძალიან საინტერესო ძეგლები შეშხედა, ბევრი მნიშვნელოვანი წარწერა გადმოვიღე. განსაკუთრებულად გილი ეჭირა სამშვილდის ძველი დიდი ტაძრის ნანგრევებსა და შვენიერ ისტორიულ წარწერას, რომელშიც „ქართლის პეტიაშთა ნათესავენი“ იხსენიება. მოხსენებას, რა თქმა უნდა, ფოტოსურათებიც დაურთე. კამათის დროს წამოგდა ა. ერიწოვი და გამოაცხადა: «Я был в Самшидле, но там, кроме маленьких церквушек и часовен, ничего не видел; никакого кафедрального храма там нет!..

პირდაპირ ვასაოცარი, ნამდვილად უტიფარი გამოსვლა იყო, და მეც მკახელ უუპასუხე: «Он правда писал о Самшидле, но, к сожалению, как говорится, слона не приметил, т. е. не увидел развалины прекрасного большого храма, впервые названный кафедральным не мною, а Бартоломеем, который мог отличить кафедрал от церквушки, если уж не верят мне!» სხდომა რომ გათავდა, მეღერი მოვიდა და მიხსრა «Вот так он вечно умеет слепо спорить! Еще в Кавказском археологическом обществе, когда, бывало, докладывал покойный Бакрадзе, Ерицов обязательно встанет и начнет доказывать, что все памятники, которые Бакрадзе объявляет грузинскими, на самом деле есть памятники армянские. Теперь он и здесь продолжает то-же самое!»

საერთოდ, ერიწოვი სწორედ იმ არაკეთილ-სინდისიერ ისტორიკოს-არქეოლოგთაგანი იყო, ილია რომ ისე ამბობებებს თავის „ქვათა ლაღნი“: „არ მოეწონა სამშვილდის დიდებული ტაძრის ვრცელი სამშენებლო წარწერა, რომელიც უეპველყოფს, რომ იგი ქართლის მმართველი წრის აგებულა, და გადამწყვეტ, ყოველად უგუნური გამოხდომით „გაუქმებინა“ ის ძეგლი, რათა ხელი არ შეშლიოდა მისი და მისი თანამოაზრებების თეორიას, რომ, რაკი მცირე ხნით ქვემო ქართლის ნაწილი და, კერძოდ, სამშვილდე სომხეთის მეფეთა სამფლობელოში მოექცა, მაშ, ქალაქი სამშვილდეც და მისი ყველა ძეგლიც სომხური უფილიაო... იშვარა შეცნიერებია, იმათიცა და ჩვენიც, ქართველთა და სომხეთა შორის უგუნური შუღლის დათეს-

ვის, ისტორიულად მომოჯანგე ჩაიონების კულ-
ენილებაზე გაუთავებელი და უნაყოფო დავის
ატების მეტს ვერაფერს აღწევდნენ, და ვერც
მიღწევდნენ, არაობიექტურობისა და შივნის-
ტურის მიდგომის გამო. ახლადღე მკვლევარ-
თაგან იმ არაკეთილსინდისიანი გზით სულს
განაგრძობს, ეტყობა, ტოკარსკი, რომელიც თა-
ვის წიგნში, სომხეთის არქიტექტურის ისტო-
რიაზე რომ აქვს, პირდაპირ შეგნებულად მა-
ლავს იმ ფაქტს, რომ მის მიერ სომხურად
ჩათვლილ ძეგლებზე, ტაოში („ტაოის სკოლას“
რომ უწოდებს) მთელი წყებაა ქართული წარ-
წერებისა; არც უნდა იცოდეს დავით კერაპა-
ლატის მიერ მოჭრილი ნამღვილი ქართული
ფუნის არსებობა და სხვ. მე კი ახლა რომ
ვამზადებ წიგნს ტაო-თორთუმ-ისპირის არქეო-
ლოგიური ექსპედიციის შედეგების შესახებ,
იზანში, ფრესკებზე აღმოჩენილ ერთადერთ
სომხურ, მცირე და ნაკლებ წარწერას (ანუ-
ნისას) რაც შეიძლება ვრცლად და გულმოდ-
გინოდ განვიხილავ, რადგან ისიც საერთაღლებო
ისტორიულ ძეგლად მიმაჩნია და ახა ხელის-
შემშლელ „მისანქტაში“ წერსომიანად. ასევე
იქცეოდა თავის დროზე XIX საუკუნის ერთი
უმატიოსნესი სომეხი მკვლევარი, ბერი სარგის
ნერსისიანი, რომელმაც ძალიან ბევრი რამ გაა-
ყვანა ტაო-თორთუმ-ისპირის ძეგლთა ქართული
წარწერების გადმოღება-შემომჩანებისათვის.

ნიკო მარშა რომ ანისის ნაქალაქარის გათხრა
დაიწყო, იქ ხომ შესანიშნავი მასალა ამოშვე-
რდა, პირველ რიგში სომხეთის ისტორიისთვის,
მაგრამ, არცთუ მცირედო საქართველოსა და
მისი სომხეთთან ურთიერთობის ისტორიისთვის.
სა. მარი აღნიშნავს თავის წიგნში („AHI“),
რომ იქ ორ ეკლესიაზე აღმოჩნდა ქართული
წარწერა — ტიგრან პონტიკისაზე (მოხატული
რომა) და მის გვერდით მდგარ დიდ ტაძარზე.
ნიკო მარსა და ივანე ჯავახიშვილს გაუნაწი-
ლებიათ ანისის ქართულ წარწერათა გამოცემის
პრობა და ივანეს წილად ხელოვანი მეორე,
დიდი ეკლესიის წარწერა. მაგრამ, სამწუხარ-
ოდ, არ გამოეცია, როგორც ჩანს, იმის გამო,
რომ ყველა დაზიანებული ადგილის აღდგენა
ვერ შეძლო და ისე, ნაკლებად გამოცემა კი
არ მოინდომა. ახლა კი ანისი მიუწვდომელია
ჩვენთვის, ხოლო ფოტოზე ისე კარგად არა
ჩანს ის წარწერა, რომ გამოიკეს. ეს, სავ-
თოდ, ახსალთებდა ივანეს და, რასაკარგვლით,
მისი მეტისმეტი მეცნიერული კეთილსინდისიე-
რებისაგან მომდინარებდა... ასევე მოექცა ის
არჩილ მეფეს, რომლის წამებასაც ავგიანებს
ჯუბანშვილი და რომლის დროსაც ბევრი მნიშ-
ვლოვანი რამ მოხდა ჩვეს ისტორიაში (მის
დროს მოვიდნენ ქართლში ბაგრატიონები, მან
მიათხოვა ერთ მათგანს თავისი ქალი; შეიღებო
მყავდა და ა. შ.). თითქოს დიდი როლი აქვს
ნათამაშევი იმ არჩილს და ივანე კი სრულიად

არ ასვენებს მას თავის წიგნში, მე მაგრამ,
იმიტომ, რომ მასალა საქმარსად, არ მიანდა...
საერთოდ კი, ის ძირითადად წერილობითს წერ-
ირობებზე და საკეთრივ ისტორიის შექმნაზე მუ-
შაობდა, არქეოლოგია — ეპიგრაფიკაში ცოტა
რამა აქვს გაკეთებული: გამოსცა ერთი პატარა
ეკლესია (გორის ახალქალაქის მიდამოებში რო-
მა) და ატენის სიონის მოხატულობა. ეს უა-
ნასწაველი მას ძალიან კარგადა აქვს გამოცემუ-
ლი და აშკარაა, რომ განეგრძო ასეთ ძეგლებზე
მუშაობა, იქაც ბევრს გაკეთებდა სასარგებ-
ლოსა და საფუძვლიანს, მაგრამ, სამწუხაროდ,
აღარ მოინდომა თუ ველარ მოიკალა ამეებისა-
თვის. ამ მხრივ დ. ბაქრაძეს გაკლებით მეტი
დაზნა გაკეთებულ. თედო ვორდანიას — ძა-
ლიან ცოტა; ა. ხახანაშვილი ყოველ წელიწადს
კი დაიოდა, მაგრამ წარწერების კითხვა არ
ებრებებოდა; ი. როსტომიანი მასამად ბევ-
რი ძეგლი აღწერა, მაგრამ ყოველივე ეს მაინც
არ ემართა და ხშირად ვერც იყო რიგიანად
ჩატარებული. იმიტომ მოხდა, რომ ძალიან დიდ-
ხანს რჩებოდა ძირითად სახელმძღვანელოდ
ბროსისა და ბაქრაძის ასეთი არქეოლოგიური
ნაშრომები (თუმცა უნდა ითქვას, რომ ბროსიც
ხშირად მოისუსტებდა წარწერების ამოკითხვა-
ში) და რომ, როდესაც მეც მოვიკიდე ხელი
მუშაობას, თითქმის მთელი გულისყური სწო-
რედ ტარებზე და წარწერებზე გადავიტანე.

ამ მუშაობაში რომ შევედი, საქართველო-
დავიარე და დავინახე, თუ რა უზარმაზარი
მასალა განწირული დაფრეებისა და ხშირად
დაღუპვისთვისაც, პირდაპირ ამიტანა ფანატო-
კურმა მისწრაფებამ, რაც შეიძლებოდა მეტი-
მომეწრო, მით უმეტეს, რომ ჩემ თანამედრო-
ვეთაგან მაინცდამაინც აღარაინ მისდევდა ამ
საქმეს, ან უჯროვანად ვერ აეთებდა მას.
სულ იმას ვწიშობდა, ეს არ დაიკარგოს, ის არ
წახადეს-მეფთი ცვილოდარი, ყველაფერი ამე-
წერა, გადმომწოდ, ჩამხატა; რაც შეიძლებოდა,
მეტი გამომეცა, შემეძინა, შემომეწიერიებინა
და, საბოლოოდ, მუზეუმი შემეკნა, რომ ის
ყოველივე საიმედოდ ყოფილიყო შენახული.
ასე მიმდინარებდა ჩემი მუშაობა ათეული
წლების მანძილზე — ისიც ძირითადი, შედაგო-
გიური საქმიანობისაგან თავისუფალი საათებში
და არადღეების დროს. იმიტომაც იყო, რომ
არქეოლოგიურ თხრას უჯროვან უფრადლებას
ველარ ვუთმობდი და დროდადროლა ეუბრუნ-
დებოდი, — ისიც უფრო მწვავე აუთილებლო-
ბის შემთხვევებში... სამაგიეროდ, ახლა რომ
უწყურება, საშუთა საქართველოში შესანიშნავი
პრობებია შექმნილი არქეოლოგიური თხრის
საწარმოებლად. ჩვენმა ახალგაზრდა ნიჭიერმა
არქეოლოგებმა უნდა ისარგებლონ ხელისუფ-
ლების ასეთი შემწეობით, რაზედაც ჩვენ ძვე-
ლად ვერც კი ვიცნებობდით, და აღარაფერი



არ უნდა დატოვონ გაუთხრელი და შეუსწავ-
ლელი!

ძალ-ღონის ასეთი დაძაბვისა და ამგვარ მუ-
შაობაში თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში
დღე-ღამე ჩაფლულობის გამო, რა თქმა უნდა,
აღარც დრო და აღარც საშუალება აღარა მრჩე-
ბოდა იმისათვის, რომ ჩაეჯდომოდი იმ მოზღ-
ვაებულ მასალას და დინჯად შეეწერა ნამდვი-
ლი გამოცდილებები. ჩემი, როგორც მკვლევარის,
ნააზრები მხოლოდ ამა თუ იმ ძველის გამოცე-
მისას დართულ შესავალსა და კომენტარებში
მელაენდებოდა უმთავრესად, ნამდვილი თეორი-
ული ნაშრომი თითქმის არც ერთი არ დამიწე-
რია: ევლარ ვიცილი საამისოდ. სამაგიეროდ,
კიი შექმნარიეთ მონცაღამაინც მუ უნდა წაეწე-
დომოდი ერთიმეორეზე საინტერესო ხელნა-
წერს, ნივთსა თუ სხვა ძველს: რომ იტყვიან,
ბედიც მიჭრიდა, ასე ვთქვათ!

მაგრამ, ეტყობა, საამისო, ამჟამად ზედმეტ
ძალ-ღონეს მანიჭებდა სწორედ ის ფანატიკური
გრძნობა და ის გამუდმებული ძროლა, „არა-
ფერი დაგვეარგოს-შეთქი“, ზემოთ რომ აღნი-
შნე. თან იმის შეგნებაც მიმაგრებდა გულსა და
მკლავს, რომ, როდესაც ის მასალები საიმედოდ
საემოყრილი, დაკეტილი და პირველადი ინტერ-
პრეტაციით გამოცემული იქნებოდა, მერე გა-
პოგვიანდებოდნენ მკვლევრები, რომლებიც
დარგობლივ, გულდაგულ დაადგებოდნენ მათ
და გამართული, შევსებული ისტორიისა თუ
მონოგრაფიული გამოცვლევების შესაჭმნელად
(გაგრძელება იქნება)

გამოიყენებდნენ. ბოლოს ხომ ეს მოლოდინიც
გამომართლდა და ესაა, რომ უდრდენ მხნელებიც
კმაყოფილებას შეგერის: ჩემი უმცირესი მომწი-
დროვე თუ მომდევნო თაობის მკვლევრები,
ივანე ჯავახიშვილით დაწყებული, ყველანი ხომ
უხვად იყენებენ ჩემს გამოცემებს (წარწერებს,
ტიქსტებს და სხვ.) და ხომ კვებნად არ ჩამომერ-
თმევა თქმა, რომ ისინი თუ არა პქონილათ
საყრდენად, ეს ჩვენი დიდი მეცნიერებიც კი
ძალიან ბევრს რასმე ისეთი სისასებით ვერ
გააყეთებდნენ, როგორც გააყეთეს.

მაგრამ ძველთა ჩემ მიერ გამოცემის საქმესაც
ჯერ კიდევ არა ვთელი დამთავრებულად. ძალა-
უნებურად უტხოვთს გადახვეწამ, რაც მეოთხედ
საუფუნეს გამოგრძედა, დიდად შემოფერხა
ასეთი მუშაობა. იქ მხოლოდ მცირე ნაწილი
გამოთქვევყე თან წალებული მასალებისა და
ჩანაწერებისა, უდიდესი ნაწილი კი უკანვე ჩა-
მომყვა და ახლა იმედი მაქვს, რომ იმ ორიოდ
წლის სიცოცხლეს, რომელიც დამრჩენია და
რომლის გატარებაც, საბედნიეროდ, ისევ სამ-
შობლოში მიწევს, ყოველმხრივი ზრუნვითა და
ხელშეწყობით გარემოცულს (უპირველეს ყო-
ვლისა, ჩვენი მეცნიერებათა აკადემიისა და უნი-
ვერსიტეტის მხრივ), მოვახმარ ჩემზე დარჩენი-
ლი ვალის ბოლომდე მოხდას: ვეცლები, აღარც
ერთი ჩემ ხელთ ნამყოფი თუ ჩემ მიერ დათ-
ვალეირებული ძველი აღარ დამრჩეს გამოუცე-
მელი, მით უმეტეს, რომ ბევრი მათგანი უკვე
იმსხვერპლა დრომ.



ილია ჭავჭავაძის დროინდელი ლუბეთი

როდესაც ბატონყმობა მოიხსო და საგლეხო დაწესებულებები დამკვიდრდა თბილისის გუბერნიისში, 1864 წ. 4 ნოემბერს ილია დაინიშნა მობრივებელ შემამავლად ღუშეთის მაზრაში. ამ ადგილზე მან დაყო ოთხი წელი. როგორც კი საქართველოში შემოვიდა სასამართლოს რეფორმა, 1868 წ., მაშინ ილიამ მიიღო მობრივებელ მოსამართლის თანამდებობა, რასაც ასრულებდა 1874 წლამდე. ამის შემდეგ სამუდამოდ გადმოვიდა თბილისში. ამგვარად, ილიამ ვაატარა ღუშეთში ათი წელი. ამ დაწერა მან თავისი საუცუესო თხზულებანი და ამ შეიძინა პრაქტიკული ცოდნა.

ენახით, რას წარმოადგენდა და რა იყო მაშინდელი ღუშეთი?

ბევრგან შეხვდებით ისტორიულ საბუთებში ღუშეთს. თვით თეიმურაზ პირველი ერთ დროს ცხოვრობდა ღუშეთში და აქედან განაგებდა სახელმწიფოს, როგორც კახეთის მეფე (1636—1648), აქედან უზენაიდა იგი შაჰს ძვირფას საჩუქრებს და, ამავე დროს, სთხოვდა პატივებს. შაჰმა მიიღო საჩუქრები. ამატია, უბოდა ხალათი და დაუბრუნა მას სამკვიდრო კახეთი.

ღუშეთი შედიოდა არაგვის საერისთავოში, ერისთავების რეზიდენცია იყო ანანურის ციხე, მალღობზე ამეხებულა. ქსნის ერისთავ შანშეს, რომელსაც შური ჰქონდა არაგვის ერისთავისა, 1735 წ. დაქირავებული ოსების დახმარებით დაეცა ანანურს და ორი კვირის პრძოლის შემდეგ მოხერხებითა და დღატიით აიღო ციხე და მთლად ამოწყვეტა არაგვის ერისთავის ოჯახი. ვადაჩხა მარტო ერთი პატარა ვაჟი, რომელიც გახარებული ყოფილა. მაშინდელ ჩვეულებისამებრ, ანანურზე ახლო მდებარე სოფელ ავენისში.

მეფე თეიმურაზ II-მ დროებით არაგვის ერისთავობა ჩააბარა 1743 წ. კახეთის თავისჯიმშერ ჩოლოყაშვილს, რომელმაც, როგორც ამბობენ, არ მოსტურა სისხლით გასერილ ანანურში ცხოვრება და დასაბლდა ღუშეთში, სადაც ააშენა ციხე მოსახლეობისა და მოვაჭრე ხალხის დასაცველად. ჯიმშერ ჩოლოყაშვილი დიდხანს არ განაგებდა არაგვის საერისთავოს. როდესაც ის აცილებდა ანტონ I კათალიკოსს, რუსეთში მიმავალს 1756 წ., მხლებლებმა მოკლეს ის სოფ. ნაზღაიძეში. მეფე ერეკლე II კა-

ლაქად აცხადებს ღუშეთს და არაგვის ხეობას აბარებს თავის შვილს ვახტანგ — აღმახსანს, რომელიც სახლდება ღუშეთში, იწვევს მოვაჭრე სომხებს და ამეხებს ზალებს, შოგ ციხეში ამეხებს პალატებს, ეკლესიას და აწესებს კარის წესებს ბიზანტიის და, ნაწილობრივ, სპარსეთის ეთიკეტის მიხედვით.

როდესაც 1798 წ. გენერალმა ლახარევამ რუსეთიდან ვადმოიარა პირველი რუსეთის ჯარებით და შევიდა სატახტო ქალაქ თბილისში, ის თავის აღწერაში, სხვათა შორის, ასახელებს ღუშეთს და ახალგორს, როგორც დაბებს.

1801 წ., საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, ღუშეთი შედის ქართლის ერთ-ერთ მაზრაში და გადამკეთებულია, როგორც „ЗАПАДНЫМ ГОРОДА“.

1803 წ. ბატონიშვილი ვახტანგი ვადასაბლების გამო — რუსეთის მთავრობის განკარგულებით — ტოვებს სამუდამოდ ღუშეთს. ღუშეთი ტოვებს საშაზრო ქალაქის სახელწოდებას და ამ სახელს უთმობს ანანურს, რომელსაც უპირატესობას აძლევენ, როგორც მილდარს, წყლებითა და საძოვრებით (об АКТА, II, ტომი, გვ. 7). 1821 წელს ისევ გადმოაქვთ დაწესებულებები ღუშეთში, რომელიც ხელმოკრედ იღებს მაზრის ქალაქის სახელს.

1840 წ. 10 აპრილს სენატის „უკაჟიტი“ წესდება საქართველო — იმერეთის გუბერნიისა და, ახალი ადმინისტრაციული განაწილებით, ღუშეთი რჩება შტატგარეშედ.

ასე იცვლება ღუშეთის სახელწოდება და, ამავე დროს, მისი მდგომარეობა, რასაც, ცხადია, გავლენა ჰქონდა მის განვითარებაზე. 1867 წ., როდესაც საერთო ადმინისტრაციული და სასამართლო დაწესებულებანი ამიერკავკასიაში ისევ აღადგინეს, ღუშეთი ისევ გადაიქცა საშაზრო ქალაქად.

პლატონ იოსელიანის სიტყვით, ღუშეთი წინათ შედგებოდა შემდეგა — უბნებიდან: წინდუშეთი, ზემო ღუშეთი და სასაბლის ღუშეთი. ეს უბნები ახლა გადაქცეულია სოფლებად — კობიანთ კარად, კილაანთ (მილაბერაანთ) კარად და ვარსიშაანთ კარად. იმავე იოსელიანის სიტყვით, ღუშეთი წინათ ბევრად დიდი უნდა ყოფილიყო. ამას მოწმობს სახლების ნანგრევები და გაუქმებული ეკლესიები.

1862 წ. ღუშეთის მოსახლეობა უდრიდა

2320 სულს. ქალაქის შემოსავალი არ აღემატებოდა 2.305 მანეთს. ხარკები უდრიდა 1951 მანეთს. სახლების რაოდენობა უდრიდა 88-ს, კვიტყორის დუქნებისა 45-ს და ხისა — 10-ს. ვაჭრობა ან იყო ამ დროს ძალიან განვითარებული; იყო რამდენიმე შექმნილი და გამოჩენილი ვაჭარი, რომლებსაც ჰქონდათ სავაჭროები ქ. ვლადიკავაში. ვაჭრები ხშირად დაიარებოდნენ მოსკოვში ნიჟინ-ნოვგოროდში ცხენებით. ახლად გავიანილი სამხედრო გზით. პლატონ იოსელიანს მოჰყავს უცხო მწერლის გერენის სიტყვები: მაშინდელ დუშეთში, გამოჩენილი ვაჭრების ოჯახებში ნახავდით, რუსეთიდან მოტანილ ელტურულ საგნებს. მოიპოვებოდა უცხო ქვეყნების ნივთებიც. რუსეთიდან მოქონდათ სხვადასხვა ქარხნის ქურქული, წიგნები, გრაიერები, იშვიათი სურები და მრავალი ოჯახური წყაროები.

დუშეთში არსებობდა სეფეიქოები, სამღებროები და საყირაები. რაც შეეხება სწავლა-განათლებას, დუშეთის მაზრაში ამ მხრივ უცხო მდგომარეობა იყო. 1828 წ. აქ დააარსეს სამაზრო სასწავლებელი, რომელიც ხან გადიოქცეოდა დაწყვებით სასწავლებლად, ხან ისევ უბრუნდებოდა წინანდელ მდგომარეობას. ხელმოკლე ხალხი კმაყოფილებოდა დუშეთში მიღებული სწავლით, რადგან მაშინ ადვილი არ იყო შეიღების თბილისში ვაგზავნა სასწავლებლად. სასულიერო წოდების ხალხი მაინც ახერხებდა შეიღებისათვის სწავლის მიღებას სასულიერო სასწავლებლებში და სემინარიაში, რომელიც თბილისში დაარსდა 1817 წ. თავიდანაშურებს მიეკათ შემდეგ საშუალება, თავიანთი შეიღები გამოეზარდათ უფასოდ სამხედრო სასწავლებლებში და კადეტთა კორპუსებში — ვორონეჟში, ორიოლში, მოსკოვში, პეტერბურგში. თბილისში შეიარაღებდნენ ბავშვებს და ფურგუნებით გზავნიდნენ სამხედრო გზით. მე გამოვიდა, რომ დუშეთიდან დედები, თმავილოლები, ტირილით აცილებდნენ თავიანთი შეიღებს ფეხით ანაშტრამდის, როგორც სამუდამოდ დაკარგულებს. ბევრი ყოფილა დუშეთიდან წასული, რომლებმაც მოიღეს იქ სწავლა-განათლება და დაბრუნდნენ დიდ ხნის შემდეგ საქართველოში. ესენი იყვნენ: შეიღები—ნიკოლოზ ყაზბეგისა, გრიგოლ კობიაშვილისა (ნიკოლოზ და პარპიში), იოსებ, კობიაშვილისა (ანდრია და ალექსანდრე), ყარანგოზიშვილები: დიანოზი (რომელიც სევასტოპოლის ომში იღებდა მონაწილეობას), ადამი, ერეთოზი. შემდეგ ადამის შვილი — კონსტანტინე (ცნობილი კავალერისტი) გიორგი ყარანგოზიშვილის შვილი — ალექსანდრე არტილერისტი; რატიშვილები, რომლებშიც უფრო ცნობილი იყო გენერალი ზურაბ გიორგისძე და მისი უმცროსი ძმა ვაბრიელი, ხმშიაშვილები და სხვ. სამშობლოში დაბრუნებისას ეს სამხედრო პირები ისევ

იგონებდნენ დავიწყებული სამშობლოს ერას, რომელზედაც არ ელაპარაკათ ქვეყნის წილს განმელობაში, რადგან მაშინც [რუსეთში] არც უყო მსხვლა-მოსვლა საქართველოსა და რუსეთს შორის.

ქალების სწავლა-განათლების საქმე სრულიად უმწყო მდგომარეობაში იყო. დუშეთში არ არსებობდა ქალთა სკოლები. საერთოდ, ქალების მოცილება ოჯახიდან არ იყო მიღებული და რუსეთში ვინ ვაგზავნიდა ქალებს დუშეთიდან? მე ვიცი მარტო ერთი შემთხვევა. ეს იყო იაკობ გარბაილისძე ქილაშვილის ქალები ნინო და ელენე, რომლებმაც მოსკოვში დაამთავრეს ქალთა ინსტიტუტი და შემდეგ, 1845 წ. გათხოვდნენ: პირველი — დიმიტრი ყიფიანზე, მეორე — ივანე ივანეს ძე ნაზაროზე, რომელსაც შემდეგ ერევნის გუბერნატორის თანამდებობა ეპირა. მეგრამ მათ სრულიად დავიწყებულა ჰქონდათ დედანა, მეტადრე ნაზაროვის ცოლის ჩამოშავლობას. დუშეთში საქველმოქმედო უფასო ქალთა სკოლა დაარსდა გვიან — 90-იან წლებში. ამ სკოლამ დიდხანს არ იარსება, რადგან მთავრობა სუბსიდიას არ იძლეოდა და შემოწმებული იმდენი არ შემოსდიოდათ. მასწავლებელი ქალი ერთი ყავდათ. სკოლის საბატო მშრუნველად იყო გიორგი მუხრან-ბატონის მეუღლე ვაქტერინე იაკონეს ასული ალექსი-მესხიშვილის ქალი, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა ქალთა ინსტიტუტი თბილისში.

ვიცი თბილისში და რუსეთში ვერ გზავნიდა თავის ქალებს, იმათ ამორჩეული ყავდათ დუშეთში და სოფლებში ოსტატი ქალები — ხან-შეშესულები, ყარგი მცოდნენი ქართული წერა-კითხვის, საღვთო რჯულის და ძველი ლიტურგისისა, უმთავრესად შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისა“, რომელსაც ვაშით აკეთებდნენ და მრავალ ადგილს ზეპირადაც ასწავლიდნენ. მოსწავლე ქალები დიდიდნევი მიდიოდნენ თავიანთ ოსტატებთან და სადილობამდე რჩებოდნენ. ამ დროს იქ სწავლობდნენ. წერდნენ, კითხულობდნენ. ამის გარდა, ოსტატები სასწავლოდნენ ზრდილობას, ქცევას, ადგომას, დაჯდომას. ღამრასტ, სტყუა-მასტეს, აფთხოვიდნენ — ბევრი არ ილაპარაკეთ, ბევრი არ იბზინოთო. ოსტატი ვტყოდა მოწიფეს: „აბა, პირი ვაგზოში. ბევრი ხომ არ ვილაპარაკია გუშინ?“ რუსული წერა-კითხვა თანდათან ერყეღებოდა საქართველოში. მოწიფე ქალები რუსულ სამღვდლო პირებთან სწავლობდნენ. ვასამარჯული ოსტატებს ფულად არ უხდიდნენ, უგზავნიდნენ „ძღვენს“: სურსათს, ღვინოს, ხილს და სხვ. ამით თავებოდა მაშინდელი ქალების სწავლა-განათლება. ოჯახში მშობლები ცდილობდნენ აეცილებლად ესწავლებინათ ქრეკვა და ქსოვა, აგრეთვე, ქარგაზე მეშობა. ყმაწვილი ქალები ეკრავდნენ ოქრომკერდით ქართული ტანსაცმლის მოსარათევებს, სარტყელ

გულისპირს, მკაცრებს, თავსაკრავებს. საუკეთესო ხელსაქმე იყო მძივით ქსოვა. კეთდებოდა ჭისები, ჩიბუხის ტარზე, მათრახის ტარზე ჩამოსაკმელი და სხვა ამგვარი. ამისთანა მშენებელი ნიმუში ბევრი არის ამჟამად საქართველოს მუზეუმებში, და საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში.

ილიას დროს, 1864—1874 წლებში, დუშეთს ამშენებდა შიდაცხე, აშენებული ჯიმშერ ჩოლოყაშვილის მიერ მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში. ეს იყო მსხვილი ქვისაგან აშენებული ოთხკუთხე ციხე, ყველა კუთხეში ამოყვანილი იყო სამსართულიანი ბურჯი.

კლდეების სიმაღლე უდრიდა 4 საფენს. ალყაფის კარების თავზე ჩასმული იყო მარმარილოს დიდი ფილაური წარწერით, ამშენებლის და აშენების თარიღის ჩვენებით, ეს ძვირფასი ძეგლი, წარსული დროის ნაშთი, აღარ არსებობს ამჟამად: 1888 წ. ციხე დაანგრეს და ნანგრევი მასალა გამოიყენეს საძირკველში ჩასაყრელად, როდესაც ქართული დრუჟინა ჩააყენეს დუშეთში და ააშენეს ყაზარაშვილი.

დუშეთის ქალაქის სამმართველომ და დუშეთის თავადნაურობამ ვერ შეძლო, ან არ მოინდომა ამ ისტორიული ძეგლის შენარჩუნება. ამ ციხის პირდაპირ იყო ცარიელი ადგილი—მოედანი, სადაც გლეხაკეებს მოჰქონდათ გასაყიდად თავიანთი ნაწარმები. სამუბობას, 15 აკვისტოს, ამ მოედანზე იმართებოდა დიდი, მოედნიდან მიდიოდა ზვეით სამი ქუჩა, რომლებზედაც მოთავსებული იყო სავაჭრო შენობები და სახელოსნოები. ზვეით, საუკეთესო მალაზმად ადგილზე, აღმართულია ძველი ოთხკუთხე ციხე-კოშკი, რომელსაც მიკრული აქვს საცხოვრებელი სახლი. მის ქვევით დგას პატარა უბე-მბათო ქვიცკარის ეკლესია წმ. გრიგოლის სახელობისა, ვალანით და დარაჯის საცხოვრებელი. კოშკის გასწვრივ, მეორე ქუჩაზე, ხილის ბაღში დგას ერთსართულიანი დიდი სახლი სარდაფით. სახლს ამშენებებს ლამაზი ხის აივანი ხელოვნურად ამოჭრილი თაღებით, რომლებიც გამაგრებული არიან რამდენიმე ბოძზე. ეს კოშკი, ორი სახლი და მათ შუაში დიდი ცარიელი ადგილი ეკუთვნოდა სამ ქმა ყარაგოზიზმელებს, არაფის ერისთავის — ზურაბის ჩამომავლობას¹. ამ შენობების და ბაღის ძირს შიდას გრძელი ქუჩა, მოედნიდან მოყოლებული, სადაც ჩამწკრივებულია ოთხი ქვიცკარის სახლი, რომლებიც ეკუთვნოდა ვასილ და ალექსანდრე მოზდოკელებს და მათს სიძეს ზურაბ სიმონის ძე მორთულაძეს.

ერთ-ერთი ამ სახლთაგან, რომელიც საუკეთესო და ფართო იყო, ამიერიხა ილიამ საცხოვრებლად. მომრიგებელი შუამავლის კანცლარია

¹ არის ვადმოცემა: ამ კოშკიდან ვადიოდა ვერაბი მილაზერიათ კარში და აქედან კიდევ — ბახალეთის ტბისკენ მიწის ქვეშ.

იყო ქვევით, „ჩაფრხიანას“ სახლში — გრძელ ორსართულიან შენობაში, რომელსაც ვალანდარ არის. შემდეგ, როცა ილია დაწინაურდა მომრიგებელ მოსამართლედ, მისი „კამერა“ — კანცლარია, კაბინეტი და სხდომის დარბაზი — შიდათავსებული იყო ზურაბ მორთულაძის სახლში. ზურაბმა თავისი საცხოვრებელი ბინა ილიას დაუთმო და თვითონ ვადასახლდა ალექსანდრე მოზდოკელის სახლში. სრული ათი წელი ვაკატარა ილიამ ამ დიდ სახლში, რომელშიც დაბინავდა დუშეთში მისელებისა, ამ სახლში ეწეოდა იგი შემოქმედებითს მუშაობას. აქ დაწერა მან თავისი საუკეთესო ნაწარმოებები. აქედან ადევნებდა ილია თვალურს ჩვენი სამშობლოს ცხოვრებას.

როგორც ვთქვით, ილია მოვიდა დუშეთში 1864 წ. ეს იყო იმ დროს ქალაქის დაქვეითების პერიოდი, რადგან მაშინ ცენტრი ანანურში იყო, დუშეთს კი განაგებდა კომისარი. ეს თანამდებობა ეჭირა მრავალი წლის განმავლობაში ზურაბ მორთულაძეს. თბილისის გიმნაზიის დამაფრთხილებელს შემდეგ წამოვიდა დუშეთში და აქ შევიდა სამსახურში, აქ (1836 წ.) შეიერთა კოლა დუშეთის მკვიდრის, ცნობილი მწიგნობრისა და ვადამწერის პავლე მოზდოკელის ქალი პელაგია, ააშენა სახლი და სამუდამოდ დასახლდა. ვარდაციკალი 1880 წ. და დასაჯლავებულია იმ ეკლესიაში, რომელსაც თვითონ ჩაუყარა საძირკველი 1859 წელს. ზურაბ მორთულაძის ცხოვრება და მოღვაწეობა დუშეთის წარსულის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია, რომელსაც დიდ ხანს იგონებდნენ. ამ ხანს უწოდებდნენ „მორთულაძობას“ ან „ზურაბობას“. მისი სიკვდილის შემდეგ ხშირად გაიფრთხილეთ დუშეთში: „მორთულაძობა აღარ არის“, ანდა „ზურაბობა ვადავარდა“. მორთულაძე ყოფილა მაღალი კაცი, წარმოსაადგი, ვაჭაკური შეხედულების, ლამაზი სახის, ამაყი და მედიდური, ოღონდ კეთილი და მოწყალე. მართალია, ის სასტიკად ექცეოდა მოსახლეობას, მეტადვე ეავრებეს, რომლებსაც არაფერს არ აბატებდა, მაგრამ საბოლოოდ — ეს ცნობილია — არაერთ დურბევეს და არ აფცლო, როგორც სხვა დიამბევეებს. ის არ ჰგავდა გოგოლის „გოროდინს“, რომელიც არ ასეეებდა ეავრებს და ქრთამებს ართმედა. მორთულაძეს არც საცხოვრებელი დარჩენია ზედმეტი. მის შემდეგ ცოლს დარჩა ერთსართულიანი სახლი ენოთი, რომელიც თვითონ ააშენა და სოფ. ნოზასთან ახლოს, სამხედრო გზის პირას ეჭირა ექვსი დღის ვენაზი, სადაც პატარებდა თავის მეგობრებს რთველში. რაც შეეხება „ფეშქაშებს“ და „ძღვენს“ ეს აქაადა ზედმოდა მმ დროს და ქრთამებდა არ თვებობდა. სამშობლო და სახალწლოდ ეავრებდა მიდიდნენ კომისართან მისალაცად და თან მიჰქონდათ თავიშეპრები, მაღალი ხარისხის ჩინეთის

ჩაი, ტბილელეო, მეტადრე ხმელი ხალი, ფს-ტაშიც, რომელიც სპარსეთიდან შემოდიოდა მაშინ. როგორც ვთქვით, მორთულაქე მაკურად ეტლებოდა ვაჭრებს. ისინი უთავაზრესად პაპი-ჩემის ალექსანდრე მონზოკელის ტოლი და ამხანაგები იყვნენ. მათ თურქ ბევრჯერ შეუ-ჩივლიათ ალექსანდრესათვის ამ სიტყვებით: „ეს რა დღეში ჩაგვყარე, ალექსანდრე, და გაა-თხოვე და დუშელები ყმებად გავაყოლე.“ მორთულაქეს, სამსახურის ვარდა, შემოსავალი არა ჰქონდა. ევენაბი სულ მცირედს აძლევდა, თბილისიდან წამოსული კაცი იყო, თან მოიყ-ენის რამდენიმე კაცი ნაყმევეები, სომხები, გვა-ჩად მარჯაოეები, რომლებსაც იმსახურებდა სახლში. შეილები მას არა ჰყავდა და, რასაც შოულობდა ცხოვრებას უნდებოდა. ხელგამლი-ლად ცხოვრობდა, არც ერთი მემამულე არ ცხოვრობდა იმ დროს ისე ლალად. მისი სახლი მედამ სტუმრებით იყო სავსე. მისი ხშირი სტუმრები იყვნენ ანანტრის მოსამსახურეები ალექსანდრე საგინაშვილი თავისი ცოლით — შარბარეთი, ივანე ავალიშვილი—ჩუგლაველი— ისიც სამხედრო პირი. ახალგორიდანც ეწვე-ოდნენ სტუმრად. კვირაში ორჯერ ჰქონდა ქალაქის თამაში ვახშით და მესსკით. გამო-ივლიდა რომელიმე პოლი და გაჩერდებოდა დუშეთში, — ზურაბ მორთულაქე მაშინვე მიიწვევდა პოლის კომანდირს თავისი მესსკით და გამართავდა დიდ წვეულებას. ზურაბის სახლი ზედ გზაზე იდგა და ამსხედრო გზაზე მომავალ-შიმავალნი საქაიოდ თვლიდნენ მასთან მისე-ლას, როგორც კომისართან და უხე მასპინძელ-თან. მისი უახლოესი მეგობრები იყვნენ დუშე-თში: ადამ, ვიორგი, ერუთეოზ ყარანგოზიშვი-ლები, ჭილაშვილები, შაღუბათოეები, პლატონ იოსელიანი (რომელიც თითქმის მუდამდღე ამოდიოდა ცხენით მორთულაქესთან) სოფელ-ებოლდან — კობიაშვილები, ტუსიშვილები (ს. ახატანი) და ოსტაშვილები (სოფ. ნაოზა).

მორთულაქე კარგად წერდა როგორც ქართუ-ლად, ისე რუსულად, იცოდა მშვენიერად იმ-დროინდელი საქმის წარმოება და კანონები. არა ერთი ყმაწვილი კაცი გუწერდინა და საქმე უს-ვალუბია, ხალხში გამოუყვანია. მე მაქვს ცნო-ბები, რომ თვით ილიაც, სულ 27-29 წლის ყმა-წვილი კაცი, ჯერ კიდევ სამსახურში გამოუც-დელი, არა იშვიათად მიმართავდა მორთულა-ქეს რჩევა-დარიებებისათვის. საერთოდ, ზურაბ მორთულაქის ოჯახში ილია და მისი მეუღლე, ოლია თავდობის ასული, თავიდანვე მიღებუ-ლნი იყვნენ, როგორც სასურველი სტუმრები, შემდეგ მეგობრები და ეს მეგობრობა მორთუ-ლაქეებთან სიკვდილამდე არ შეწყვეტილა. მო-რთულაქეებს შეილები არა ჰყავდათ და მშობ-ლიური გმირობით ეპყრობოდნენ ილიას და მის მეუღლეს.

მე დამეიწყადა მეოქვა, რომ ერთ დროს ზე-

რამ მორთულაქეს დუშელები აუჯანყდნენ, ემ-თავრესად ვაჭრები, გამოინახეს გზები და უჩრე-ლეს თბილისში. მეტი ვხა არ იყო, სხვაგან უნდა გადასულიყო მორთულაქე. პლატონ იოსელიანი-მა, რომელიც იმ დროს იქ იყო, ვივით ეს ამბა-ვი, მაშინვე ამოვიდა თავისი უბნიდან (სოფ. მილახვრანიან კართან ახლოს) და, როგორც მე-გობარმა, ურჩია: „წყალი რო ერთ ადგილას დიდხანს გაჩერდება, აყროლდება. გადადი, ზე-რამ, ახალგორში!“ ზურაბმა დაეჯერა პლა-ტონს და ახალგორში გადავიდა სამსახურში. მაჯრამ დიდხანს ვერ ვაძლო იქ, ისევე უკან დაბრუნდა. იმ დროს დუშეთი ისევე სამაზრო ქალაქად გამოაცხადეს, მაზრის უფროსი გაამ-წყეს და ზურაბი დარჩა დუშეთში მეორე თა-ნამდებობაზე. ახალგორში ზურაბი როგორც პატარაობისას გამოგონა, ცხოვრობდა და მსა-ხერობდა, როგორც დიამშვევი. იქაც თურმე შიარტულად უტარებია დრო, კარგ განწყობა-ლებაში ყოფილა ერისთავთან, მეტადრე დავით ერისთავთან, რომელსაც ბებუთოვის ქალი ჰყავ-და ცოლად. ზურაბის ყოფნა ახალგორში თავის დროზე აღინიშნა ლექსით, რომელიც მას გამო-უთქვეს ახალგორელებმა. უნდა ვთქვა, რომ ზურაბი დიდი მოტრფიალე იყო ქალებისა. ეს არ დაუშლია არც ახალგორში, ერთი იჯარის ცოლი შეუცდენია და წურთმეგია. ლექსში, რომლის მარტო დასაწყისი ვიცი, უმედური ქმარი ზიჯის ზურაბზე.

„ეს მამაძალი მორთულაქე, რას ჩამაცოდა? ცოლი წამართვა ვადამეკიდა“

ამ ლექსს დიდხანს მღეროდნენ მესახანდრეები ახალგორში და გორის მაზრაშიც.

ილიას გავიონა ჰქონდა ეს სიმღერა, დუშე-თში და, როცა კარგ გუნებაზე მოვიდოდა ქეი-ფის დროს, ეტყოდა დიმიტრი ბერძენოვს (კიკო ბერძენოვის ნათესავს): „აბა, დიმიტრი, ერთი, ზურაბის სიმღერა იმღერე!“

ილიას დროს ქართველთა შორის ვანთქმულ ბეულ ოჯახებად ითვლებოდნენ ადამ ყარანგო-ზიშვილის ოჯახი და პაპიჩემის — ალექსანდ-რე მონზოკელის ოჯახი.

ყარანგოზიშვილები დიდი ხნის მცხოვრებნი იყვნენ დუშეთში, ისინი არაგვის ერისთავების ნათესავებად ითვლებოდნენ, ოღონდ ვათი ქა-ლის ჩამომავალნი იყვნენ. ეს ქალი მართკებუ-ლი ყოფილა სპარსეთში, სადაც მისთვის დაურ-ქმევია „ყარაიოზ“, რაც სპარსულად ნიშნავს „შეთვალას“. ეს მეტსახელი შემდეგ ვეარად გადაიქცა. ცნობილი ყოფილა ერთ დროს მე-18 საუკუნეში ადამ ყარანგოზიშვილი, რომელსაც ქართველი მეფეები ძალიან წყალობდნენ. უკა-ნასკნულად მას (1800 წ.) ებოძა სოფელი „დიდუ-ბა“, დუშეთის ახლოს, რომელსაც ახლა უმა-ხან „დიდუბაიან კარს“. ცოლად ჰყოლია კახე-ლი ქალი ანდრონიკიანთ გვარიდან. ადამ ყარან-გოზიშვილი მცხეთასთან 1801 წ. მოუქალათ

ლექებს, რომლებიც ანდრონიკაშვილებს დაჭირებულები ჰყოლიათ. ყველა საბუთი ამოღებულია მოკლედისათვის და მიტეხილია ანდრონიკაშვილებისათვის, რომლებიც ძალიან შეწყუბუნებულან ამ უბედურად მკვლელობისაგან. ადამს დარჩა სამი შვილი: გრიგოლ, იასე და ერთი ქალი ელისაბედი, რომელიც მშებმა ვაითხოვეს ცხინვალის მხარეს, სოფ. თამარშენში, იქაურ მემამულე ზურაბ მაჩაბელზე. შიშთაჲ მისცეს ყარანგოზიშვილების მამულის ნაწილი. იასე ყუფილა დიდი მეომარი და ვაჟკაცობით განთქმული. თურქო როცა კვდებოდა, უბრძანებია, ჯაკვის პერანგი ჩამაცეთო, „მინდა მამაკურად დავხვედ სიკვდილსო“. რაც შეეხება მეორე ძმას — გრიგოლს, მან დიდხანს იცოცხლა, გარდაიცვალა წარსული საეყრის ორმოციან წელსში და დასაფლავებულია წმ. გრიგოლის ეკლესიაში, რომელიც დღემდეა ძველად აშენებულია და ახლაც არის მისი ნანგრევი. გრიგოლს ცოლად ჰყოლია გაბრიელ ყაზბეგის ასული სოფიო. გაბრიელ ყაზბეგის სიკვდილის შემდეგ მისი დიდი სარჩი — როგორც მამული, ისე ფული გაიყვეს მისმა შვილმა მიხეილმა (მწერალ ალექსანდრე ყაზბეგის მამამ) და გრიგოლ ყარანგოზიშვილმა. მეორე ძმას — ნიკოლოზ ყაზბეგს და დებს თითქმის არაფერი რგებიათ ფულად.

გრიგოლ ყარანგოზიშვილი ჩინებულად ცხოვრობდა დღემდე და გავლენიანი კაცი ყოფილა. სხვათა შორის, გრიგოლი მონაწილეობას იღებდა მთიულეთის აჯანყებაში, მაგრამ სასჯელს ასედა გაბრიელ ყაზბეგის წყალობით, რომელთანაც ეს ვაიპარა ანანურიდან. როდესაც აჯანყება ჩააქრეს და ყველა მისი მონაწილე შეიპყრეს, გრიგოლთან იყენენ სხვა დღემდეც, მაგალითად, ვოშპარ კობიაშვილი. ამის გამო თავის დროზე გამოთქმული იყო ლექსი:

„ანანური გაღმოეცვიდით ჩვენ, ტუსანნი ოხსნი ძმანი“.

გრიგოლ ყარანგოზიშვილის სურათი — დიდი ზომისა, ზეით ნახტი უცხოელი მხატვრის მიერ, რომელიც პატარაობიდანვე მასსოვს, ამჟამად, დაცულია მეტეხის მუზეუმში. გრიგოლ ყარანგოზიშვილი, მშვენიერი სახის ვაჟკაცი, ჩამუღლია სააზნაურო მენდირში, წითელი საყე-

ლოთი. ზელი ედევს ძვირფას მძალზე. ვრიგოლს ჰყავდა სოფიო ყაზბეგისაგან ზეთი ვაჟიშვილი: ადამ, გიორგი, ვაჟიშვილი დიანოზი და ერთეოზი. დედ-მამამ შეიღეს მათგან ალბრდა — ზოგი საქართველოში და ზოგი რუსეთში. გაბრიელს უმსახურია დერბენდში ტაშოგენის უფროსად და იქ გარდაცვლილა, უცოლო დიანოზს უსწავლია პეტერბურგის კადეტთა კორპუსში, საიდანაც გამოსულა ოფიცრად და მონაწილეობა მებლა სვედროპოლის ომში (1854 — 1855). ჩამომავლობა არ დაჩა- ადამი სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში, რომლის დამთავრების შემდეგ იყო სამხედრო სამსახურში და მერე მსახურობდა „ზასედატე- ლად“. ამ თანამდებობის ასრულების დროს შეე- მოხვა უბედურება: ადამმა შეიპყრო სოფ. ჩი- ნოში ცნობილი ავაზაკი, რომელსაც დიდხანს სდევნიდნენ, მაგრამ, იმის გამოვლიად, რომ ჩა- მოეყვანა თბილისში და გადაეცა მთავრობისა- თვის, ავაზაკი ერთ სახლში მოაწყვდილია, წაეკ- და ცეცხლი და დაწვა. ამის გამო ადამი მისცეს პასუხისგებაში. საქმე შეიძლება ედვად დამ- თავრებელიყო, მაგრამ საქმეში ჩაერთა ზურაბ- მართლდაჲ, რომელმაც საქმეს სხვა მიმართუ- ლება მისცა დასაწყისშივე და შემდეგ თბილის- ში გავლენიანი ნაცნობების და ნათესაების დახმარებით მოასპობინა კიდევაც ადამ ყარან- გოზიშვილი გადადგა სამსახურიდან. აღარც შემდეგში უმსახურია, ცხოვრობდა თავისი მამუ- ლის შემოსავლით და ერთ დროს უპირდა შეი- ლების ალბრდა. მე წაიხოვსლია მაქვს ადამის- დედის — სოფიო ყაზბეგის წერილი. მიწერილი უპროსი შვილის — ერთეოზისადმი. რომე- ლიც პეტერბურგის კადეტთა კორპუსში სწავ- ლობდა. სოფიო აწუყებს თავის შვილს ადამის- გაიჭრებას: „სამივე ქალები გასათხოვრები ჰყავს, ვაჟები ჯერ სწავლობენ, არც ერთი არა- მსახურობს რა ჰქნას საწყალობა, შემოსავალი არა- ჰყოფინს...“

ილიას დღემდე ჩამოსვლის წინა წელს ადამ ყარანგოზიშვილის უფროსი ქალი ნინა შეირთო- ინენიერმა მიხვილ ანტონის-ძე ზაგიუმ ფრან- გმა, რომელიც ევროპულად იყო განათლებული და ალბრდილი; დიდ ფულს შოულობდა, და- ბიროს დიდი თანამდებობა ეჭირა: „Началь- ник округа путей сообщения“. იგი დავებარა- სიშპარს — გუბოზიერ ორ ქალსა და ვაჟებს- მისცა თავისთან სამსახური. ამგვარად, მიხვილ- ზაგიუმ დაუბრუნა ყარანგოზიშვილებს მათი წარსული სახელი და მნიშვნელობა დღემდე.

(გაგრძელება იქნება)

¹ იასე ყარანგოზიშვილი გარდაიცვალა დღე- მეთში 1864 წელს; ვოშპარ კობიაშვილი გარ- დიცვალა 112 წლისა — 1862 წელს (პ. იოსე- ლიანის ცნობით).



საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური ისტორიის საკითხისათვის



პროფ. პ. გუგუშვილის რუსულ ენაზე გამოცემული შრომა „მრეწველობის განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში“ უკვე გახდა ფართო მეცნიერული საზოგადოებრივობის მსჯელობის საგანი, ამ შრომის შესახებ სხვადასხვა ენებზე გამოქვეყნდა რეცენზიები: ასე, მაგ., ცნობილი საბჭოთა ეკონომისტი პროფ. პ. პ. მასლოვი წერს: რომ „აქ მდიდარი მასალების განზოგადოების საფუძველზე დადგენილია ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარების კანონზომიერებანი მე-19 ს...“ და, რომ „ამიერკავკასიის მრეწველურ განვითარებას ავტორი განიხილავს ფართო გეგმით, მრეწველობის ცალკეულ ფორმების შესწავლა აქ იწყება მრეწველობის მოცემული ფორმების არსისა და სოციალური ხასიათის სოციალურ-ეკონომიკური საკითხებით. პრობლემის ამომწურავად გაშუქებისათვის იგი იშველიებს სათანადო მასალებს რუსეთისა და უცხოეთის ქვეყნების მრეწველობის განვითარების ისტორიის შესახებ და წარმოგიდგენს ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარების საერთო კანონზომიერებებს. კრიტიკულად განიხილავს ავტორი ბურჟუაზიულ ეკონომისტებისა და ისტორიკოსების შეხედულებებს მრეწველობის ფორმების განვითარების ისტორიული თანამიმდევრობის შესახებ.“ („Лит. Ревюя“ 1958, № 6).

ამას ნათლად მოწმობს აგრეთვე ჩემი ეკონომისტის, ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის წევრ კორტსილიდენტის პროფ. ზორკა ურბანოვის რეცენზია ამ წიგნზე, სადაც აღნიშნულია, რომ „პ. პ. გუგუშვილი, რომელიც ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერული ძალაა, ვასულ წევრ შეუდგა ამიერკავკასიის XIX — XX საუკ. მრეწველობის განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილი თავისი შრომების რუსული თარგმანების გამოქვეყნებას. რუსული თარგმანში ისეა გადმოცემული ორიგინალური შრომა რომ ჩვენ შეგვეჩვენა გარკვეული, თუმცა ნაწილობრივ წარმოადგენს იმ დიდი მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის შესახებ, რომელიც ტარდება საბჭოთა საქართველოში ეკონომიკური მეც-

ნიერების დარგში.“ („Politika Economic“, 1958, პრაღა, № 9).

ამასთანავე ჩემი მეცნიერი ეხება რა ეკონომიკური მეცნიერების განვითარებას მოკავშირე რესპუბლიკებში, კერძოდ საქართველოში კვლავ ხაზს უსვამს პროფ. პ. გუგუშვილის ნაშრომის მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ აქ: „...გამოდის ისეთი ორიგინალური, დიდი იმპულსის მომცემი ეკონომიკური შრომები, რომელთა შესწავლა შეიძლება ჩვენთვის ცოდნის მნიშვნელოვან საგანძურად იქცეს“-ო.

საბუნებრივო წიგნის პირველი თავში დეტალურად არის გაშიშვლილი ხელოსნობის წარმოშობის, განვითარებისა და დამსლის პროცესები. ავტორი დიდ ადგილს უთმობს ხელოსანთა ამქრული ორგანიზაციების აღმოცენების წინამორბედებისა და მათი შინაგანი სტრუქტურის შესწავლას. წიგნში საყურადღებო მასალებია მოტანილი ფეოდალიზმის ეპოქის საქართველოსა და ამიერკავკასიაში ხელოსნობისა და ხელოსნური ორგანიზაციების განვითარების საილუსტრაციოდ.

წიგნში გარკვეულია ხელოსნობის დარგობრივი სტრუქტურა და ამქრის შინაგანი ორგანიზაცია ძირითადად თბილისის მასალების მსხვედრით, რადგან თბილისი იყო საქართველოსა და ამიერკავკასიის ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქი, რომელშიც უწყვეტად იყო წარმოდგენილი ქალაქური ცხოვრება ყველა დამახასიათებელი თვისებებით ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის დროსაც.

ამქრული ორგანიზაციები წიგნში განსაკუთრებით დეტალურადაა შესწავლილი XIX ს. მასალებზე დაყრდნობით. მიუხედავად ცარიზმის ოფიციალური სტატისტიკის უსრულობა-უზუსტობისა, ავტორი ახერხებს და ძირითადად სწორად წარმოგიდგენს ხელოსნობის განვითარებას და ამქრულ ორგანიზაციების პასაჟს.

XIX ს. 20-იან წლებამდე ამქრები კვლავ ძველი ტრადიციების საფუძველზე ვითარდებოდნენ. ავტორის საინტერესო მასალა მოაქვს ამქართა შინაგანი ორგანიზაციის შესახებ. მის მიერ გამოყვანილი და შესწავლილი

მისალის საფუძველზე ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ხელოსანთა კონტინგენტი ძირითადად გლეხობიდან იყვებოდა. ხელოსნობას ეწეოდა მოქალაქეთა მცირე ნაწილიც. ხელოსნურ წარმოებაში ჩამშული გლეხები და მოქალაქეები ფორმალურად კვლავ გლეხისა და მოქალაქის წოდებას ინარჩუნებდნენ, რადგან ცალკე ხელოსანთა წოდებას მეფის მთავრობა არ სცნობდა (გვ. 84-85).

წიგნში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი ხელოსანთა სხვადასხვა ფენების ურთიერთობას. ხელოსანი ოსტატის ურთიერთობა ქაჩგალსა და შეგირდებს შორის ზოგჯერ ხელშეკრულებით განისაზღვრებოდა. ფორმალურად შეგირდს უფლება ჰქონდა ვადის დამთავრებისა და „შედგერის“ წარდგენის შემდეგ ოსტატად კართბეულიყო, მაგრამ უფრო ხშირად იგი ქაჩგალად იწყებდა მუშაობას. თუ ქაჩგალი მოახერხებდა საკმარის იარაღებს შექმნას და სახელოსნოს გახსნას, იგი ოსტატის მდგომარეობაში გადადიოდა.

XIX ს. 20-30 იან წლებამდე ერთი მხრივ ხელოსან ოსტატსა და მეორე მხრივ ქაჩგალ-შეგირდებს შორის არსებობდა „პატრიარქალური ურთიერთობა“. მაგრამ საქალაქო ცხოვრების განვითარების პროცესში, როცა იზრდებოდა ოსტატთა მსწრაფება ვამდიდრებისაკენ, ქაჩგალ-შეგირდთა მდგომარეობა გაუარესდა. ვაჩხარდა შეგირდობა-ქაჩგალობის ვადა, შეტვირდა მათი ხელფასი, ამასთან ერთად ავტორი ეხება ხელოსანთა დიფერენციაციას, რაც გამოიხატებოდა შეგირდ-ქაჩგალების სავაჭრო-საქარხნო მუშებად გადაქცევასა და ოსტატთა ერთი ნაწილის ექსპროპრიაციით. (გვ. 96-102).

მასალების მართებული ანალიზის შედეგად ავტორი ასკვნის, რომ ოსტატთა რიცხვის სტაბილურობის პირობებში იზრდებოდა ქაჩგალ-შეგირდების რიცხვი. ეს კი ცხადყოფს ხელოსნურ წარმოებაში ექსპლოატორული ელემენტების ზრდას, რაც გამოწვეული იყო ხელოსნობის კაპიტალისტური განვითარების ტენდენციით. (გვ. 106).

აღნიშნული თავის ბოლოს ლაპარაკია ხელოსნობის დაცემასა და ამქრული ორგანიზაციების დამოღებზე. მიუხედავად იმისა, რომ ამქრულმა ხელოსანობამ დაღვებითი როლი შეასრულა, განვითარების ვარკვეული ეტაპზე იგი უკვე ადრეზებდა მწარმოებლური ძალეების ზრდას. ამქარი მთელი ძალით ცდილობდა წერილი წარმოების გამარადისებას, ხელს უშლიდა წარმოების საშუალებათა კონცენტრაციას, ხელოსანი ოსტატის გადაქცევას კაპიტალისტად. მაგრამ ამქარს არ შეეძლო განვითარების ტენდენცია შეეცვალა.

წიგნში ნაჩვენებია თუ როგორ იზრდებოდა

ხელოსნურ წარმოებაში სავაჭრო და სავაჭრო კაპიტალის როლი. ხელოსნებს „ჩვეულებრივ არ გააჩნდათ საკმაო კაპიტალი მათთვის, რამდენად ხელოსნობის წარმოებაში სავაჭრო კაპიტალი უფრო ადვილად იპოვებოდა, ვიდრე სხვა სფეროებში“. ავტორი ამტკიცებს, რომ ამქრები ადრეზებდნენ კაპიტალიზმს, ქალაქური ცხოვრების წინსვლას, ამის გრძნობდა ოთხ მთავრობა და მან 1867 წელს მოახდინა ამქრების რეორგანიზაცია; გაუქმდა სავაჭრო ხასიათის ამქრები, შეიზღუდა დარჩენილი 17 ამქრის ავტონომია. 70-იანი წლებიდან ხელოსნობის დაცემის პროცესი დაჩქარდა, რასაც ძირითადად იწვევდა ის, რომ მას კონკურენციის უწყველ საფარით-საქარხნო მრეწველობის ნაწარმი.

პროფ. პ. გუგუშვილის მონოგრაფიაში ამქრული ხელოსნობა შედარებით სრულყოფილად და შესწავლილი. ვარკვეული მრეწველობის ამ ფორმის წამყვანი როლი ფეოდალიზმის ეპოქაში, მისი დაცემა და მალღა ფორმებით შეცვლა კაპიტალიზმის პირობებში. წიგნში იხილება ნახევრები, რომ საქართველოსა და ამიერკავკასიაში ხელოსნობა წარმოებამ შედარებით მნიშვნელოვანი ადგილი შეინარჩუნა, ვინემ მილიტარანთარებულ კაპიტალიზმს უკვერდებში.

ნაშრომის მეორე ნაწილის დასაწყისში ავტორი ეხება საოჯახო მრეწველობას, რომელიც წინ უსწრებს შინამრეწველობას, ანუ წერილ საქონლურ წარმოებას. სავსებით სწორად აღნიშნავს, რომ საოჯახო მრეწველობა XVIII ს. და XIX ს. დასაწყისში ფართოდ იყო გავრცელებული მთელ ამიერკავკასიაში. საოჯახო მრეწველობა ეს არის ნედლი მასალის გადამუშავება გლეხის ოჯახში, იმავე მუყრნეობაში, სადაც მას პოულობენ. საოჯახო მრეწველობა აქ მჭიდრო კავშირშია შინამრეწველობასთან. ნედლეულის გადამუშავება ხდება თეთი ოჯახის წევრების მიერ. საოჯახო მრეწველობიდან ამიერკავკასიაში გავრცელებული იყო ბამბის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილების დამზადება. კაპიტალიზმის განვითარების შედეგად რეფორმის შემდგომ ხანაში საოჯახო მრეწველობა თანდათან შევიწროებულ იქნა. იგი ეცემა, განსაკუთრებით ბარის რაიონებში.

ამის შემდეგ მოცემულია შინამრეწველობის არის. შინამრეწველობა ეს არის წერილი საქონლური წარმოება, მისი დამამახიმოებელია ბაზრისათვის მუშაობა. წარმოების გასაღება ხდება როგორც ადგილობრივ ისე სხვა ქვეყნებშიც. განვითარების პროცესში ხდება წერილ საქონლმწარმოებლთა დამოღა, რის შედეგად ჩნდება კაპიტალისტი მწარმოებელი და დამკრავებული მუშები. შინამრეწველი მუშაობის იწყებს ვაჭარი შემსყიდველისათვის, რის შე-

დუგალ იგი თანდათან დაქირავებული მუშად იქცევა, ხოლო სახელისწი კაპიტალისტურ საწარმოად. შემდგომი განვითარება კი ხშირად იწვევს ამ სახელისწი კაპიტალისტურ მანუფაქტურად გადაქცევას. წერილი სარწმუნოდან ჩნდება მსხვილი კაპიტალისტური საწარმოები. წერილი საქონლური წარმოება კაპიტალიზმის განვითარების პირველი და დაბალი საფეხურია.

შინამრეწველობის არსის ვარკვევის შემდეგ წიგნი დაწერილებითაა გამზილული მისი ცალკეული დარგები. პირველად იგი ეხება შინამრეწველურ ფეიქრობასა და მის სახეებს, შალსა და ნახებს; აბრეშუმის ქსოვილების წარმოებას, აგრეთვე ბამბის, სელის, კანაფის ვადამუშავებას და სხვ. აურაცხელ მასალებზე დაყრდნობით დამაჯერებლადაა მოცემული ამ დარგის — ფეიქრობის მალად განვითარება და მისი საქონლური ხასიათი.

ამომწერავდაა გამზილული სამღებრო და სამეოლნეო საქმე, აგრეთვე ხე-ტყისა და ლითონის შინამრეწველური დამუშავება საქართველობა და ამიერკავკასიაში: რკინისა-სავანეთში, რაკვაში (წედისი), ქართლში (ფოლადაური). ვერცხლისა — ახტალში, სპილენძისა-აღავერდში, ქვდაბეგში და სხვა.

დიდი აუგული აქვს დამოხილი აგრეთვე არაყისა და სპირტის წარმოებას და რძის ვადამუშავებას. ამ თავის დასკვნით ნაწილში საუბრებით სწორად არის აღნიშნული, რომ შინამრეწველური, წერილი სარწმუნოდან ბოლომდე ვერდნობს პრამიტულ ხელისნერ ტექნიკას. აეტორი ეხება შინამრეწველთა შრომის პირობებს, სავაქრო კაპიტალის მიერ შინამრეწველთა დამორჩილებას და დაქირავებულ მუშებად ვადამუშავებას, და საერთოდ კაპიტალიზმის განვითარებას წერილი სარწმუნოდანში. კაპიტალიზმის განვითარების შედეგად შინამრეწველობის რიგი დარგები რეფორმის-შემდგომ ხანაში ეცემა.

სარეცენზიო წიგნის მესამე ნაწილში აეტორის მიერ გამოვლენილი მასალების შესწავლის საფუძველზე მეღვინეობის მაგალითზე დაწერილებითაა გამზილული შინამრეწველობის განვითარების თამამდევრობა — დაწყებული მისი პრამიტული ფორმიდან, უმალ-ლეს ფორმებამდე. საეთის ამგერი ვაზრებასა და გამზილვას დიდი მნიშვნელობა აქვს ნატურალური მეურნეობის რღვევისა და საქონლური წარმოების განვითარების შესწავლისათვის.

მეღვინეობა საქართველოში ერთერთი ყველაზე უძველესი დარგია ოჯახური მრეწველობისა და იგი თვით მე-19 საუკუნემდე ძირითადად ისევე ოჯახურ მრეწველობად რჩებოდა.

წიგნობლია, რომ საქართველოში შეეწინააღმდეგება კლასიკური შეეწინააღმდეგება და მეღვინეობის დარგები ყუველფერქვეყნებში-ლოვან არღს თამამოდნენ საბუთამდელ საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში. აეტროდ მეღვინეობა იყო ამიერკავკასიის ოჯახური მრეწველობის ერთერთი უმნიშვნელოვანესი დარგი. აკად. ივ. კავახიშვილი დადგინა, რომ ძველ საქართველოს ეკონომიკაში შეეწინააღმდეგება — მეღვინეობას ვანაკეთობელი მნიშვნელობა ჰქონდა — ქართული ღვინო კი უძველესი დროიდან, კერძოდ კიდევ ანტიკურ ხანაში წარმოადგენდა ექსპორტის საგანს.

ესაღია, რომ საქართველოს ეკონომიურ განვითარებასთან ერთად ხდებოდა ცვლილებანი მეღვინეობის განვითარებაშიც. ეს პროცესი თვალსაჩინო ხდება XVIII—XIX სს. მიჯნაზე, ვანაკეთობებით XIX ს. დამატებს. ამ დროიდან მოყოლებული ძველი ტიპის ღვინის ოჯახური წარმოება იწვევს დაშლას და ხატონდება კაპიტალისტური ურთიერთობანი — შინამრეწველობის სახით. ეს იწვევს იმას, რომ წერილი წარმოებლები ღარბდებიან და მთლიანად დამოკიდებულნი ხდებიან შემსავიდელებზე. რომლის ფუნქცია ამიერკავკასიის მეღვინეობაში უდარესად იზრდება. XIX ს. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის პირობებში იქნება პირობები მეღვინეობის განვითარებისათვის.

XIX ს. 20-30 იან წლებში ამიერკავკასიაში ვანად ღვინის დიდი ქარხნები, სადაც ყოველწლიურად მზადდებოდა ასი ათასობით ლიტრი მალახარისხოვანი ღვინო. მაგრამ თუ ვავითვალისწინებთ იმდროინდელ მოთხოვნილებებს ეს არც ისე ბევრი იყო. ქართული ღვინო ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას.

მეღვინეობის განვითარების მნიშვნელოვანდ შეუწყო ხელი რკინიგზის ვავიანამ, რომელმაც ამიერკავკასია რუსეთთან დააკავშირა. ამ დროიდან მოყოლებული ქართული ღვინო კავკასიაში ვავრკალდა, ვზა ვავიკლია ცენტრალურ რიონებში და უცხოეთის ბაზარზე ვავიდა. პროფ. პ. გუგუშვილის ვამოკვევიზ მითვლით 90-იან წლების დამდეგს ამიერკავკასიიდან ყოველწლიურად ვაკქონდათ ღვინის მთლიანი პროდუქციის 7-11%. 1911—1914 წწ. კი ვიტანილ იქნა უკვე 35% მეტი. ღვინის ვატანასა და საერთოდ საქართველოში მეღვინეობის განვითარებას მნიშვნელოვანდ შეუშალა ხელი პირველი მსოფლიო ომმა. ამიერკავკასიის მეურნეობური ცხოვრების დაცემასთან ერთად მნიშვნელოვანდ შეუჭრახდა მეღვინეობის განვითარებაც.

შრომის მეოთხე ნაწილი — „მანუფაქტურ-

რული მრეწველობა ამიერკავკასიაში — წარმოადგენს გამოქვეყნებულ და უპირატესად გამოქვეყნებულ პირველწყაროების, სტატისტიკური მასალებისა და ლიტერატურის შესწავლა-ანალიზზე დაფუძნებულ მონოგრაფიულ გამოკვლევას. ავტორი სწორი მეთოდოლოგიური პოზიციიდან მთელი სისტემით ვაჭრობის მონეტარული არსს, არკვევს ამიერკავკასიაში კაპიტალისტური მონეტარული წარმოების წარმოშობის პირობებს, თავისებურებებს და წარმოადგენს მრეწველობის სხვადასხვა დარგებში მონეტარული წარმოების განვითარების სურათს.

პროფ. პ. გუგუშვილი ხელშეწყობდა ფაქტებსა და შესაბამის მოვლენების ანალიზის საფუძველზე სწორი მეთოდოლოგიური პოზიციიდან აკრტიკებს და უარყოფს ზოგიერთი ავტორის მკვლევარებებს იმის შესახებ, რომ თითქოს და საქართველოს მრეწველობის დარგებში მონეტარული არ არსებობდნენ.

საუელისბოა ავტორის მოსაზრებანი XVIII საუკუნის რუსული მონეტარული შესახებ, რამაც ახრთა ესოდენ დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია ხანგრძლივ დროის მანძილზე თვით რუს საბჭოთა მკვლევარებს შორის. პროფ. პ. გუგუშვილს კონკრეტულად შეაქვს საკითხის შესწავლაში და, ჩვენი აზრით, სწორ დასკვნას აკეთებს, როცა ემზრობა და ამავ დროს აწვითარებს იმ მოსაზრებებს, რომ მონეტარული XVIII საუკუნის რუსეთში წარმოადგენდნენ მსხვილი კაპიტალისტური ხასიათის საწარმოებს.

მონეტარული არსის განხილვის შემდეგ ავტორი დარგობრივად იხილავს და აკვლევს ამიერკავკასიაში დაარსებულ მონეტარულ საწარმოებს, როგორც ტექნიკური ისე სოციალ-ეკონომიკური თვალსაზრისით.

პროფ. პ. გუგუშვილი ეხება პოლიგრაფიულ მრეწველობას და აღნიშნავს, რომ მონეტარული საწარმოების სათავეებს და ჩანასახ ფორმებს საქართველოსა და ამიერკავკასიაში ვაჭრობით XVIII საუკუნეში.

დიდი ინტერესით იკითხება შრომის ის ნაწილი, სადაც განხილულია მეტროპოლის ეკონომიური პოლიტიკა და ნაწევნება, რომ ამიერკავკასიაში ცარიზმი მხარს უჭერდა მრეწველობის მხოლოდ ზოგიერთი დარგის განვითარებას, სახელმობრ, სოფლის მეურნეობის ისეთი დარგების განვითარებას, რომელთა პროდუქციის გაზღვრა ნედლეულის სახით შეუძლებელი იყო. მეტროპოლია მრეწველობის სხვა დარგების განვითარებას შეგნებულად აფერხებდა ამ მხარეში რუსული საწარმის ვასალების ინტერესების შესაბამისად. მონეტარული საწარმოები იქნებოდა

გადამწეველები მრეწველობის ისეთ დარგებში, რომლებიც მინამდვირ, რეგრესივობის მქონე თუნდაც წარმოქმნიდნენ მრეწველობის, აგრეთვე ხელისნერი წარმოების სახითაც. ამ ისეთ დარგებში, რომლებიც მინამდვირ განვითარებული უმთავრესად როგორც „სოფლის მრეწველობა“. ასეთად იყო აბრეშუქის, შალისა და ბამბულის მრეწველობა, რომელთაც მეტროპოლის ინტერესების შესაბამისად თავისებური მიმართულება მიიღეს: ამ დარგებში მრეწველობა ეთარღებოდა ნედლი მასალის თავდაპირველი გადამწევის ჩარჩოებში; დამზადებული ნაწევარფაბრიკები მიმართებოდა მეტროპოლიაში, წარმოების შესაბამისი დარგების მოხმარებაში.

ავტორი იხილავს აბრეშუქისა და შალის მრეწველობაში არსებულ მონეტარულ რეგრესივობას და ინტერესებულ იყო რუსეთის საფუძვლად მრეწველობის ნედლეულით მომარაგებაში. ნედლეულის ბაზად მიიჩნია მან ამიერკავკასიაშიც. ამ გარემოებამ გუდავილა მოქმედება ფრანგ ექპორტის კანტელის, რომელმაც განიზრახა ამიერკავკასიაში მუხარეშეობის ხაზით საწარმოების გახსნა. კანტელის ფაბრიკის სოციალ-ეკონომიკური ბუნების განხილვისას ავტორი აჩვენებს, რომ ის იყო შრომის სისტემატრ დანაწილებაზე დამყარებული მონეტარული დაწესებულება.

ამიერკავკასიაში შალის მრეწველობის განვითარებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ მხარეში განლაგებულ რუსეთის არმიისათვის; მუხარეშეად ამის ცარიზმი, ფაქტობრივად, აბრეშუქისა და ჩვენი აღნიშნული დარგის განვითარებას. მაგრამ 50-იან წლებში სოფ. დრეში (თბილისთან ახლოს), მაინც მოხერხდა მუდის ფაბრიკის მოწყობა. ამ ფაბრიკის მავალით პროფ. პ. გუგუშვილი გვიჩვენებს კაპიტალისტური მონეტარული ფაბრიკულ წარმოებაზე გადასვლის პროცესს.

ამიერკავკასიაში შინის წარმოებაში მონეტარული წარმოება XIX საუკუნეიდან, რასაც ხელი შეუწყო სავაჭრო მუდისგან განვითარების შედეგად კურკულეულზე მოთხოვნილების წარმოშობამ. რუსეთში ლეინო შემოდოდა საფრანგეთიდან. ცენტრალური ხელისუფლება, რომელიც მეტროპოლისის დარგად იყო გაწეობილი, ცდილობდა რუსეთი მოემარაგებოდა ლეინოებით ყირიმისა და, ბესარაბიიდან და საქართველოდან, სადაც სურდა განვითარებოდა მევენახეობა-მეღვინეობა. საჭირო გახდა ლეინისათვის შესაფერისი კურკულეული დამზადება, შინის ქარხნებისა და ექვრძოდ გორის მხარის სოფ. ლვარებში ელიზბარ ერისთავის მიერ დაარსებული შინის ქარხნის მავალით ნაჩვენებია.



კაპიტალისტური მანუფაქტურული წარმოების წასახეი ფეოდალური ურთიერთობის პირობე-
ში. ამასთან ერთად პროფ. ბ. გუგუშვილი
განიხილავს კონცენტირის მიერ პარხილის მზ-
რანში 1882 წელს გახსნილი მინის ქარხანის და
აჩვენებს, რომ ეს იყო „ევროპულად მოწყო-
ბილი“, ქარხნული ტიპის საწარმო.

მანუფაქტურები არსებობდა კვების მრეწ-
ველობაში. ამის საუკეთესო ნიმუში მე-19
საუკუნის 40-იან წლებში არსებული ზება-
ლაშვილის შაქრის ქარხანა, სადაც მანქანები
არ იყო გამოყენებული, სამუშაო სრულდებო-
და ხელით და ადგილი ჰქონდა შრომის დანა-
წილებას. გამოირჩეოდნენ აგრეთვე არაყის
წარმოებაში არსებული მანუფაქტურები იმავე
ზებალაშვილის, ბაინდურაძისა და სოგორო-
ვისა.

რეფორმისმგრძობველ ხანაში მსხვილი მანუ-
ფაქტურები აღმოცენდა, მაგალითად, ნავთო-
ბის პროდუქტების საქსპორტო ქურქლის —
კასრებისა და თუნუქის ბალონების — წარ-
მოებაში. განიხილავს რა ამ დარგების განვი-
თარებას ავტორი გვაჩვენებს მათ გადარდის
პროცესს მანუფაქტურებიდან ფაბრიკულ-ქარ-
ხნულ მრეწველობად.

სარეცენზიო წიგნში დავის იქვეს შემდეგი
დებულება. ავტორის აზრით ამქარი წარმო-
ადგენს კორპორაციული საქუთრების ფორმის
ქალაქებში, რომელიც შეესაბამება მიწის
ფეოდალური წოდებრივი საქუთრების სტრუ-
ქტურას (გვ. 5-6). ჩვენ ეს არ მივანია ზუს-
ტად. ამქარი არ შეიძლება ჩაითვალოს საქუ-
თრების ფორმად. ამქარი ხელოსანთა პროფე-
სიულ-ეკონომიკური ორგანიზაციის წარმოად-
გენდა. ამქარის უშუალო საქუთრებაში იყო
სალაროში დადული თანხა. სახელოსნოები,
შრომის იარაღები და უფთო შრომის პრო-
დუქტები ცალკეულ ხელოსანთა საქუთრებას
წარმოადგენდა.

ნაშრომში არ არის მოცემული „შინამრეწ-
ველთა“ სათანადო დაჯგუფება, რაც მათი
დაშლის შედეგად ხდება. შრომის თეორიულ
ნაწილში ეს, ავტორის კარგად აქვს მოცემული
და დასაბუთებული, ისტორიულ ნაწილში კი
იგი სრულად არ იძლევა საქართველოსა და
ამიერკავკასიის „შინამრეწველთა“ ანუ წვრილ
საქონელმწარმოებელთა დაშლასა და არ უჩვენ-

ებს მათ დაჯგუფებას. შეიძლება საი-
მისო საშუალება არ იყოს საუკუნეობისა და
ბის უკონლოის გამო. მეტი საჭიროა ეყო
ავტორის მიერ ამის აღნიშვნა. მაგრამ ჩვენ
მინც მივებრძობა, რომ თუ ეს რეფორმისმრეწ-
ხანის მიმართ შეფუძლებულია, რეფორმისმრეწ-
ვომ პერიოდში კი წვრილ საქონელმწარმოე-
ბელთა დაჯგუფება ერთგვარი ცდის სახით
მაინც შეიძლებოდა.

შრომაში განვითარებულია ის აზრი, რომ
„მანუფაქტურამ შექმნა აუცილებელი წინამძ-
ღვარი ფაბრიკული მრეწველობისათვის ე. ი.
მანქანური ინდუსტრიისათვის“ (გვ. 224). ამა-
ში ავტორი უდავოდ უნდა გულისხმობდეს იმ
გარემოებასაც, რომ მანუფაქტურული წარმო-
ების განვითარებამ წარმოშვა წარმოების ტექ-
ნიკური საშუალებების გამოგონებისათვის აუ-
ცილებლობა. ცნობილია, რომ მანუფაქტურის
წარმოებრივ ტექნიკურ ბაზასა და წარმოებრივ
მოთხოვნალებებს შორის მრეწველობის განვი-
თარების პროცესში დიდი შეუსაბამობა წარ-
მოიშვა, რამაც შეაბირობა სამრეწველო რე-
ვოლუციის ვალბაება. ჩვენი აზრით სისურ-
ველი იქნებოდა მანუფაქტურის განვითარების
პოლიტიკური შედეგებზე ყურადღების გაშა-
ვლება.

სარეცენზიო წიგნს დართული აქვს საინტერე-
სო დოკუმენტები ამქრული ხელოსნობის
შესახებ. ეს პუბლიკაცია ახალი, ძვირფასი
დოკუმენტებით ავსებს აღნიშნულ საკითხზე
არსებულ წყაროებს.

საქართველოსა და ამიერკავკასიაში მრეწვე-
ლობის განვითარებისადმი მიძღვნილი — პროფ.
ბ. გუგუშვილის პირველი ტომი ერთეული მუ-
სალაებასა და დიდილი ლიტერატურულ წყა-
რებზეა დაფუძნებული. ნაშრომი მილიანად
და საესებით ჩამოვალბებულ შეხედულებას
იძლევა ინდუსტრიული წარმოების პირველ-
საწყის სტადიების განვითარებამზე ამიერკავ-
კასიაში და წარმატებით აშუქებს მთელ რიგ
კარდინალურ საკითხებს. ეს ნაშრომი კარგი
შემაძენია ამიერკავკასიელი ხალხების ეკონო-
მიკური ისტორიისათვის.

ალექსანდრე ბენდიანიშვილი, დარეიზა
პროვლაძე, გრიგოლ შარბიანი, ბეჭიბო
ხსნი.

„გიორგი ყიფიანის „ათფურცლიანი რეპულები“



ჩვენი საბავშვო პარზის დანიშნულებაა მო-
ზარდ თაობას ჩაუნერგოს მაღალწინებრივი და
პატრიოტული გრძობები, ხელი შეუწყოს ბავ-
შვთა უოველმზროვ განვითარებას და აღზრდის

ახალი მორალის სელისკვეთებით. ამ ბოლო
დროს თვალსაჩინო ვახდა ქართული საბავშვო
პროზის გადიდრება ახალი, საინტერესო მო-
თხრობებით და ნოველებით. ელმერ ყიფიანის

მოთხრობების წიგნი „ათფერცილიანი რვეულე-ბი“ სავარაუდოდ განსხვავდება წ. ტრადიცი-ული საბავშვო მოთხრობებისაგან. მასში წარ-მოდგენილია შვიდი მოთხრობა, რომელთაც ავტორებს ერთიანი სიუჟეტური ქარგა. ავტო-რის დამატებულად მარგეთობის იმ შემთხვე-ვებსა და თავდასაბუნებ, რაც მოსწავლეთა არდადეგების პერიოდშია მოსალოდნელი. თო-ქმის უველა მოთხრობის სიუჟეტური სიტუაცია ბუნებრივად გამომდინარეობს ბავშვთა ყოფი-დან და მათი ცხოვრების თავისებურ ანაერვლ წარმოდგენს. ავტორის მიერ მოთხრობულ ამ-ბებს კომპოზიციურ მთლიანობას ანიჭებს ის, რომ მათი გამაერთიანებელის როლს ასრუ-ლებს ღვაწლმოსილი პედაგოგი, საუკეთესო დე-და და აღმზრდელი, ქართული ენისა და ლიტე-რატურის მასწავლებელი ქეთევან საყვარელიძე. ეს არის განუყოფადებული სახე ქვემოთატი პე-დაგოგისა, რომელიც გამოიჩენება ქართული ქალისათვის დამახასიათებელი ღირსებით: ე-თოლი, მოსიყვარულე გულით, ოჯახის ერთგუ-ლებითა და მოსწავლეებისადმი უანგარო ზრუნ-ვით.

ქეთევან მასწავლებელი თანაბრად საყვარე-ლია ყველა მოსწავლესათვის, მაგრამ ყველაზე ძლიერ და სათუთად მიიწვ ვეფას უყვარს თავი-სი დედა, აღმზრდელი, მოამგვე და მასწავლე-ბული. ქეთევანს განუზომლად უყვარს თავისი პირში, სანატრელი ვეფა, რომლის ავადმყოფო-ბა არდადეგების დღეებში სულთერა მწუხარე-ბისა და შეშფოთების მიზეზად ქვეყლა ავა-რატე ყოფნის დროს ვეფა მოულოდნელად გე-ბულობს, რომ მისი მშობელი დედა ქეთევანი არაა, რომ იგი ქეთევანს უდღემამო ბავშვთა სახლიდან წამოუყვანიდა და საყვარელი შვილი-თი ზრდის. ეს ამბავი ისე დაუფლბია ვეფას ცნობიერებას, რომ ველარ დუშმალეს და საში-ნაო დავალების სახით ათფერცილიანი რვეულში გამოუმდგენებია. ქეთევან მასწავლებელმაც არდადეგებიდან დაბრუნებულ ვეფას თანატო-ლებს საშინაო დავალებად მისცა დაეჭირათ ზაფხულში მღელღელი შთაბეჭდილებანი. თეთი ვეფა საშინაო დავალებაში გადმოგვიყვანს იმ გამოცხებულ ამბავს, რაც მოულოდნელად შე-იტყო და სულიერი მღელღარების მიზეზი გახდა.

ქეთევან მასწავლებელი დამაბული ინტერე-სით კითხულობს მოსწავლეთა ათფერცილიან რვეულს, რაც მისთვის სრულიად ახალი სამ-ყაროს აღმოჩენის უდრის. თავისი ვეფის ათ-ფერცილიანი რვეულს კი ბოლოსათვის ინახავს. გულისხმიერი პედაგოგი მოხიბლულია იმით, რომ ბავშვთა შთაბეჭდილებანი ესოდენ დიდ ფშუტლობით გამოიჩენება და არც ისე მარტივ-ად გულუბრყვილოა, რაგორც ეს ერთი შეხედ-ვით უფროსი თაობის წარმომადგენლებს ჰგო-ნიათ.

„ათფერცილიანი რვეულების“ კითხვისას ჩვენ

თვალწინ იშლება ბავშვთა შიარული და ხალო-სიანი ცხოვრება, მათი სურვილები და მასწავ-ლებების მრავალფეროვნება. **ზ. ჩ. ლ. ი. მ. მ. მ.**
 პირველ მოთხრობაში „ლუკა ბაბუა“ უფრად-ლებს იპყრობს კარმაგი მოხუცი, რომელიც უშეალოდ არის დაკავშირებული მშობლიურ მიწასთან, იცის მისი ფასი და მოვლა-ღამუშა-ვება. ამ ძვირფას თვისებებს იგი ცოცხლო-მაგალითით გადასცემს მომავალ თაობას და პატარა შეილიშვილიც ცდილობს გაიყვას ბა-ბუას ცხოვრების ნაკვალევს, მიბაძოს მის ქცევას.

ბავშვთა შორის უანსადი მეგობრული ურთო-ერთობა უდევს საფუძვლად მოთხრობას „წე-ლიწადის დრონი“. ასეთი სახელწოდება არ არის შემთხვევითი, იგი მომდინარეობს დიდი რუსი კომპოზიტორის პ. ჩაიკოვის ნაწარმოე-ბიდან „წელიწადის დრონი“ რომელიც უნდა შეესრულებას მოსწავლეთა ნიჭიერ კოლექ-ტივს. სამწუხაროდ შემსრულებელთა შორის არ აღმოჩნდა რი მისწავლე — ზახა ნუცე-ბიძე და ლდმთლა სკოტოკოვა. „წელიწადის დროიდან“ პირველს უნდა შეესრულებინა — „იანვარი, ბუხართან“, ზოლო მგორეს — „მაი-სი. თეთრი ღამეები“.

ზახას ავადმყოფობის გამო ლდმთლა გადა-წყვეტს არ წავიდეს კონცერტზე და მზრუნვე-ლობა ვაუწიოს შინ მოხუც ბუბიასთან დაჩი-ნილ თანდასყლად ამხანავს, ისინი ზოგ მეზობ-ლები იყენენ; ამგვარად მეგობრობის უმწიკლო-გრძნობამ ლდმთლას უქარახა ღამეები ვეთა ზახას სასთუმალთან, აფთიაქიდან წამალიც მიე-ტრანა მისთვის. გულწრფელია ლდმთლას აღიარ-ება ალექსანდრე მასწავლებლის წინაშე: „— ალექსანდრე ნიკოლაევიჩ... დამნაშევე ვარ, ზახა... ზახას ვერ მოვიცილებდი... ბავშვითო-უმწერი ყოფილა ავადმყოფობის დროს, არაფ-რით არ შეშქლო კონცერტზე მოსვლა. დამ-საჯეთ, ალექსანდრე ნიკოლაევიჩ, თუ გნებავთ-ორ ნაწარმოებს ჩავაბარებთ „წელიწადის დრო-ნიდან“...“

ალექსანდრე მასწავლებლის სახით დახატუ-ლია კეთილშობილი აღმზრდელი, უღარესად გულისხმიერი ადამიანი, რომელიც კარგად იც-ნობს ბავშვთა ფსიქოლოგიას, იზარებს მათ-სიხარულსა და მწუხარებას, თანაუგრძნობს და ამხნევეს კრიტიკულ მომენტში.

საბავშვო ლიტერატურისათვის ერთ-ერთ-საინტერესო თემს ეტება „ყვინჩილა ღრუბ-ლებში“. ამ მოთხრობის კითხვისას ვგრძნობთ, რომ ბავშვი თავისი ბუნებით რომანტიკოსია, მუდამ მიისწრაფის ძიებისა და გამოკვთებისა-კენ, რაც ყოველთვის როდია მოწყვეტილი ცოცხალი გარემოსაგან. მოთხრობაში კარგად არის გახსენლ მუდამ მოუხვედარი და მძიე-ბული ბიჭუნა ხასიათი, მისი გულუბრყვილო გატაცება ახლის შექმნით, რაიმეს აღმოჩენით-



ასეთი დაუღვრომელი, გაზვიადების მოყვარული ბიჭია მიშკო, რომელსაც, მისი ამხანაგის თქმით, „ცხენს თუ მოახტა, კოლმურწნეობის თავმჯდომარე ჰქონია თავი, ტყემლის კურკის ოდენა ძალად ჰყავს და ვეფხვას ეძახის...“ ამ სიტყვებიდან მკაფიოდ გამოსჭვივებს, თუ როგორია ბავშვის ფანტაზიის ძალა და როგორ ისწრაფვის იგი, რომ ხილული საგანი თავისებურად შესცვალოს და გააზვიადოს. რა თქმა უნდა, ამასი არაფერია ცუდი და არაჯანსაღი. პირიქით, აქ ფანტასტიკურობის ელემენტი მოხდენილად არის ჩართული ბავშვის მოქმედებაში.

მეორე ბავშვი, რომელიც ასევე შოკინებია, მაგრამ თავიდან სცებტიკურად იყო განწყობილი მიშკოს ექსპერმენტისადმი, შემდეგ ერთბაშად მოაჯადოვა აზრმა „მომღერალი ქათმის“ შესახებ. იგი ამბობს „...უცნაოდ წარმოვიდგინე— ენაში გაფრთხილი ქათმები, კრახისა და კაკანის ნაცვლად, ბუღბუღავით ტებოლად გლობენ „სულიკოს“ და არც კი უყვირთ, ოინუნშიაც არ იგდებენ ამას, ეითომც დასაბამიდან მათი წინაპრებიც „სულიკოს“ მღეროდნენ“ (გვ. 40).

მწერლის მიერ შექმნილი სიტუაციები, სადაც ბავშვები თამაშობენ თუ ერთობიან, არ არის უცაბო და ხელოვნური. შეიძლება ზოგი რამ ზედმეტად მოგვეჩვენოს, მაგრამ მთავარი მაინც არის ის, რომ გასართობი მასალა, რაც ბავშვის წარმოსახვას უღვეს საფუძვლად, გარკვეულ აღმზრდელთბ მიზანს ემსახურება. ეს უნდა მივიჩნიოთ მოთხრობის ერთ-ერთ ღირსებად.

„ჯაბა მკედელი“ გვიჩვენებს წყენ, ხალხის შორეულ წარსულში. აქ მხატვრულად არის გაითცლებული ისტორიული თქმულება ქალის ღირსებისა და სიხერის დაცვის გამო. ჯაბა მკედელს ჰყავდა ერთადერთი ასული, რომლის მკაფორული სილამაზით მოიხიბლა ვინმე ქაბუჯი გუჯან ტაოსკარელი. ეს დევგმობი ვაჟაკი, რომელიც უკმეხი და გულზედაი ყოფილი, მიშის ზარს სცემდა იმ დროის მკედლებს, ერთხელ ჯაბა მკედელსაც ეწვია და სთხოვა მიეცა ნალი ცხენის დასაჭვად. ამ დროს მან თვალი მოჰკრა მკედლის ასულს, რომლის „სილამაზით დატყუავებულმა გუჯანმა იჯადრა ცხენიდან ჩამოხტომა, სულწასული ქაბუჯი ერთბაშად წინ აესვეტა მკედლის ასულს და ახალაყრილ ულავებშით დაჭრილია ოლისფერი ტუჩები“. ჯაბამ იგრძნო ყველაფერი, ქაბუჯმა ვერ შესწლო ჯაბა მკედლის ნალის ვალუნჯა. თვით ჯაბამ კი ეგ ნალი ელვისესწრაფვისად შუაზე გადატება და ფეხებთან დაუყარა შერცხვენილ ქაბუჯს. მკედლის ასულის სიცილმა ხელმეტად გააღიზიანა ქაბუჯი, რომელმაც მთარახის შეხებით შურტაცყო იგი.

ჯაბა მკედელი შურისძიების გრძნობით განიმსჭვალა ქაბუჯისადმი. და ერთხელ თამარ მეფეს კიდევ მოახსენა მომხდარი ამბავი. თამარმა ბრძანება გასცა შეიპყრო და სასტიკად დაესჯათა გათავხედებული ქაბუჯი, „...ქვესკ-

ნელს იყოს, თუ ცად დაკარგული, შეიპყროთ გუჯანი. აქ მოკვეარეთ, დიაცის ცაბა-ვაჟაკით, ამოსწვით თვალნი, რომ ყველაშ ნაზოს — ვით ამრმავებს ვაჟაკს ქალის წინაშე თავხეულობა“.

მოთხრობას აქვს აღმზრდელბითი მნიშვნელობა: ქაბუჯებს უნერგავს ქალისადმი მოყრძალებული დამოკიდებულებისა და პატვისციმის გრძნობას.

მოთხრობაში „ვიგია და ბაჰუკა“ ავტორი აღწერს ბავშვთა ხალისიან ცხოვრებას სოფლად არდადეგების პერიოდში. მთელი სოფელი შრომობს კაციც და ქალიც ენახშია გასული, და, რომ იტყვიან, ჰუმისთვისაც კი არავის სცალია ასეთ დროს ბავშვებს, მართლაც ეუხერხულემათ ითამაშონ და უქმად ატარონ დრო, და ამ, ვოკია და ბაჰუკა — ეს ორი მარჯვე და გამჭირაბი ბიჭენა გამოიწვევენ თანატოლებს და შეთანხმდებიან დაეხმარონ კოლმურწნეობას. მათ სურთ ელექტროწისკვლიზე წაიღონ მთელი სოფლის სიმიანი დასაჭვავად, რომ ამით ორი უღელი ხარი და კოლმურენე წყურები არ მოაცილინონ სამუშაოს. ამ გონაწყვეტილებას ისინი აცნობენ კოლმურწნეობის თავმჯდომარეს, აგრეთვე ბრივადარს, რომლებიც პირველად აგდებულად ხედებიან ბავშვების წინადადებას. აქ ბრივადარის საქციელი მიზანმუწურული და ხნობრივად გაუმართლებელია. მეტად უხეშად გაისმის ბრივადარის მიერ ნათქვამი ფრაზა: „შეილი მამას არშოყობას ასწავლილია“. მას არ შესწევს უნარი თავდაჭერილად, ზომიერად ესაუბროს ბავშვებს და დაინტერესოს ისინი სოფლის ცხოვრებით, საკოლმურწნეო შრომაში მონაწილეობით.

ინტერესით იყთებება მოთხრობა „ცალთვალა მონადირე“. მისი მთავარი პათოსია ყველასათვის სანატრელი მშვიდობა, კეთილი ძალების გამარჯვება ბოროტებაზე, ომზე. მოთხრობაში დამაზად არის გამოთქმული უბრალო ადამიანის გულისწაღილი და მისწრაფება: მომრავლდეს მტრედი — სიკეთისა და მშვიდობიანობის სიმპოლო, ხოლო განადგურდეს ქორი, მოისპოს მისი სახსენებელი. ლოკურად ასეთ დასკვნას გამოითარს მკითხველი მოთხრობის შინაარსის განვიხილბიდან.

ე. ყიფიანი მკითხველს ესაუბრება სმარტად და ბუნებრივად, ძალდაუტანებელია მისი თხრობა. მწერალი იჩენს ბავშვის ბუნების კარგ ცოდნას, ხატოვნად აღწერს მათ მრავალფეროვან ცხოვრებას. ამით იგი ცხოვლად მოქმედებს მოზარდის არა მარტო გონებაზე, არამედ გულსა და ფანტაზიაზე. და ეს როდია მიღწეული მშრალი შორალური დარიგებით, არამედ ცოცხალი, პლასტიკური სახეებით. ეს არის მთავარი ღირსება ე. ყიფიანის „ათფურცლიანი რვეულბისა“, რომლითაც მწერალს გარკვეული წვლილი შეაქვს ქართულ საბავშუო პროზაში.

მარიამ ხვიციანიძე



ილია რურუას მოთხრობები



როგორც არავრთხელ აღინიშნა ჩვენს პრესაში უკანასკნელ ხანებში ქართული საბჭოთა პროზა, მეტადვე მოთხრობის ენაში, ერთგვარ აღმავლობას განიცდის. ამ მნიშვნელოვან ლიტერატურულ პროცესში ერთნაირად მონაწილეობენ როგორც ახალგაზრდა, აგრეთვე უფროსი თაობის მწერლები, როგორც თბილისის, ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხეების წარმომადგენლები.

ჩვენ აქ შევეცდებით მკითხველს გავაცნოთ აქარაში მომუშავე მწერლის ილია რურუას მოთხრობების ტრებელი, რომლის საერთო სახელწოდებაც „როცა ცხოვრებას აფერი ვარდის...“

საყოფაღღებო მოთხრობაა „ფერი ვარდის... ფერი ცის“. ამ ნაწარმოების გმირი დასასვენებლად ზაღს მეგობართან ზღვისპირა ქალაქში, სადაც ეს უკანასკნელი სანატორიუმის მთავარ ექიმად მუშაობს. მაგრამ მოხდება ისე, რომ მეგობარს სასწრაფოდ გაიძახებენ მოსკოვში და მისი სტრეშარტი მართკ რჩება უცხო ქალაქში. მართლდარჩენილს აყრის ძლიერი ედუნება წაიკითხოს მეგობრის სახელზე მოსული წერილები. ცხადია ასეთი განზრახვა არაა მოსაწონი, მწერალი გეიხატავს ყოყმანის, ურთიერთსაწინააღმდეგო განწყობების ისეთ შეწყვეტებას, რომ მათ ზღმა იგრძნობა მოთხრობის გმირის სულიერი სამყაროს სინატიფე და სიფაქიზე. მის ცნობისმოყვარეობას მწერალი ხსნის ახლობელ ადამიანთან სიხალისითა და კეთილგანწყობილებით.

პირველი წერილი, რომელიც დაწერილია ვარდისფერ ქალადზე, შედარებულია მოლოდინით აორთოლებულ ქალიშვილის გახედვით ოცნებას. წერილის სტრიქონებში იფარება შეუბღალავი ბუნების მქონე ადამიანის სულის ძახილი: მისი ოცნება, რწმენა და იმედები მომავალ ცხოვრებაზე, იგი მხურვალე გულით მისწრაფის საყვარელ ადამიანისადმი.

და რამდენად მძიმეა მომდევნო ცისფერ ქალადზე დაწერილი წერილით მალეველი შთაბეჭდილება: ვაჟი, რომელმაც ასეთი ძლიერი გრძნობა აღძრა ქალიშვილში, ადრე კიდევ უფრო ახლო ინტიმური კავშირი ჰქონია სხვა ქალთან, რომელაც ახლა ერთგვარ მსხვერპლს საბითვეისგან შტოვებულ მარტო იმყოფება ბავშვით ერთად შორეულ ყამირზე.

პირადი ცხოვრების მოუწყობილობა ყოველთვის არაა პიროვნების ნაკლოვანებებისაგან დამოკიდებული. ხშირად ერთი გზა მიდის სიღამის და ამაღლებულობისაგან და იგივე გზა ეყვება სიმბინჯემდე და ვაწიარეულებამდე. ვინაა ცისფერ ქალადზე დაწერილი ბარათის ავტორის სულიერი სიღამაზე აყლდა, ან ვახედუ-

ლების ძალა? მაგრამ ამ თვისებებს მისთვის არაფერი არ შეუძენია. სიყვარულმა იგი მიიყვანა პირადი ცხოვრების ტრაგედიაშივე. ვაჟმა, რომლისთვისაც ქალთან ურთიერთობა სულიერი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ნატიფი გარწმობაა კი არ იყო, არამედ მხოლოდ თამაში და ცნობისმოყვარეობა, მაშინვე წერტილი დაესვა თავის ურთიერთობას ქალაშვილთან, როგორც კი შექმლო ამ ცნობისმოყვარეობის დამყაფილება. ქალიშვილს, ლალსა და მეოცნებეს უკეთესი რწმენის სანაცვლოდ უღირს მეგობრის მოსაგონებლად ღარაა პატარა გოგონა, იგი გახდა ზნედაცემული ადამიანის შევლის დედა. თავისთავად აღმამოთებელია, რომ ორივე ეს ადამიანი ბავშვის მამართ შობილია, მაგრამ თუ ქალისთვის ბავშვი მთელი ცხოვრებაა, კაცისთვის იგი მხოლოდ წუთიერ ნეტარებასთან დაკავშირებულ მოუღენია...

და ეს რატირ მძიმედ გადატყდა ქალის სულში. შორეულ მხრიდან მოსმის საყვედური, თავმეყვებული ძაგება იმ ადამიანის, რომელიც დასჯას იმსახურებს. ქალს თემცა აქაც კეთილშობილი რჩება, მაინც აყლია მოქალაქეობრივი სულისყვეთება. იგი დაღლილი, ურწმუნო, უპატივცემულია იმ საზოგადოებისადმი, რომელშიც ცხოვრობს და რომელსაც მისი ყოფილი მეგობარი ეკუთვნის. ერთისადმი უკმაყოფილება გადაიზარდა შრავლისადმი უნდობლობად. უკეთესი გრძნობები გადაიზარდა აპატიის და გულგრილობის გრძნობაში.

ბედნიერი ქალიშვილი, რომელიც დღეს ვარდისფერ ქალადზე წერს იმედებით სახე წერილს. ხელო იძულებული იქნება ცისფერ ქალადს გაანდოს თავისი ტყილეუმი და გაცრებული იმედები. სხვათაშორის ეს ფერების დანაწილება ავტორის კარგი მიგნებაა.

მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ნაწარმოების დასასრულს ავტორი ღალატობს მოთხრობის შინაგან ლოკუსს. მწერალი გვერძენება თითქოს მას ვაუჯოს, რომ შოთა გავრთიანისუფლებით თავისი მაღალი თანამდებობისაგან. აქ დარღვეულია ესთეტიკური პრინციპი. საქმარისია ის, რომ მოთხრობა ზნეობრივ ილმყოფებისათვის ამაღლებს მკითხველს. სპირით არ არის ბორობტომქმედის აღმინისტრაციული დასჯა: უღობს მკითხველი ილმყოფებელი დარჩეს ვიდრე იგი დაჯერდეს დანაშაულის გამოსწორების ფიქტიურ სინამდვილეს.

„ჩემს პატარა ბიჭობაში, ჩემს კოყმართან, სადაც მაშინ ქვეყნეირების შარა გზა ვადიოდა“, ასე იწყებს მწერალი მოთხრობის „შორეული

მოგონება" და ამ ფრანგთ სჯერა რელიგიურ-რომთ ახსიათებს ბავშვის ბუნებას, მისი წარ-მოდგენების გულბრწყინობას და ღრმა ვრცობისეულობას.

მაგალი წლის მიღმა იღანდება ბავშვობა: მაშინ ყველაფერი მოძრავ იყო, როგორც მდი-ნარ და მზიარული ნიავეით. ბავშვმა თავისი ეზოს კიშკართან, სადაც მაშინ ქვეყნიერების შარა გზა გადიოდა, იხილა ეტლი. ეტლიდან გად-მოსულმა კეთილმა ბიამ წყენის და შეთთვის უსიამოვნო გარძობები გააცნო ბავშვს: სტუმარ-მა გაქურდა ოჯახი. დღემდე არ იცოდა ბავშვმა რა იყო სიურე და ორპირობა. ქვეყნიერება სა-დსე იყო აღერსით და სიფერადით. ამ ქვეყნი-ერებას კი მისი ოჯახი შეადგენდა. განა აღვილია ახლოველ ადამიანს ნაყოფიანება შევამჩნიოთ. ან კრიტიკულად განესაჯოთ ჩვენი აღმზრდელი გა-რემო? ჩვენ რომ ახლომდებარე ქვეყნებსა და რევერში ვხედავთ შრომად მალაზა და ადვი-ლად ვამჩნევთ უღირსობას სხვა ადამიანებში. რადია დამაჯერებელი რომ ბავშვთან ახლოს მყოფი ყველა ადამიანი მაღალი ზნეობის უო-ფილყო. მაგრამ მან უზნეობა პირველად სხვა-ში დანახა. აქედან იწყება ბავშვის გამოცდი-ნება, მისი წამოყალიბება ზნეობის ადამიანად. ავტორი ამ სულერ ძვრას ოჯახს უკავშირებს და სრულად ბუნებრივად მოთხრობის გზის თბილი მოგონებები ბაბუასა და თავისიანებზე ზოგადდება ოჯახს, მკვიდრი, პატრისანი ცხო-ერების, ჭებად.

ამ დღესაც შეჩვენება იმ კაცის ნაკვალევი ჩვენი ეზოს კონდარზე, ვხედავ. როგორ შიდის ნაკვალევი ოდისკენ. შემდეგ როგორ მიიპ-რება კიშკარისკენ და იყარვება ატალახებულ ვახზე... აქ კარგადაა მოწახული მხატვრული სახე პორტრეტქმედებისადმი ზიზლის გამოსახ-ტაველ.

ილ. რურუს მოთხრობების სხვადასხვა ხსი-ათის გზირებს აქეთ ერთი გამაერთიანებელი თვისება: შედუნობელი, სულის ღრმა ფენებში ჩანერგილი ღრთობა ცხოვრების სრულად ათვი-სებისკენ. ისინი ისწრაფვიან, თუ შეიძლება ასე ითქვას, შეყოვნონ დროს მდინარეზე. მოლი-ნად გამოტაცონ მას, რისი მიღებაც კი შეიძლე-ვა თვითველ წეთი, ცხოვრების ყოველი შემ-თხვევა უნდა გაეთვალისწინოთ, რომ შემდეგ წარსულს არ მივაყვართ სინანულით თვლი. მუბრძოლი ადამიანის ეს თვისება განსაუფრთე-ბული ტიპიფრობითაა გამოყვეთილი მოთხრო-ბის კრიკი ცხოვრებას შეიტკობს მოქმედი პირის უთეთია ბუნდუნას ხსიათში.

უთეთია ბუნდუნას ას წელს მიღწეული მოხუ-ცია და თუ აღრე მის პიროვნებაზე დამახლუნე-ბელ ზეგავლენას ახდენდა ცხოვრების უსიარო-ლობა, ახლა იგი აქტიურადაა ჩამხული ახალი ცხოვრების შენების პარტესში, როცა სოფელს კინოქსპლდელია ეწვევა, რომლის ხელმძღვა-

ნელები უთეთიას, როგორც ძველი ცხოვრების მცოდნეს მიმართავენ საკონსულტაციოდ. საუ-კუნეს მიხლოებულ მოხუცი ქსელში განსხვე-ბული ალით იფთქებს შრომის, მოქმედების, ცხოვრების სიყვარული. იგი ახალგაზრდული ენთუზიაზმით ღამარაკობს ცხოვრებაზე და ოც-ნებობს მის გახანგრძლივებაზე.

მაგრამ აქ ერთი შენიშვნა უნდა მიეცეთ ავ-ტორს: უთეთია ბუნდუნა ფაქტიურად მოთხრო-ბის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია, ნაწარმო-ების დედაარისს ასეთმა აქტივტირებამ წინა თა-ობის ადამიანზე საგრძნობლად დახრდილა ახალ-გაზრდების რილი მოთხრობაში.

ავტორი ცდილობს ნაწარმოების ფაქტურა, ხსიათები და მოვლენები მაქსიმალურად ცხოე-რებისეული იყოს. მას ძნელად მოეძებნება ისეთი ნაწარმოები, რომლის მასალა მკითხვე-ლისათვის ნაცნობი არ იყოს, ეს კი დიდ მასუ-ხისმგებლობას აყისრებს მწერალს. თუ მწერა-ლმა ჩვეულებრივ ამბავში ვერ დაიჭირა ისეთი ემოციონალური ან ინტელექტუალური შინა-არსი, რომლის განზოგადება შესაძლებელი იქნება, მაშინ მას მოელის ნატურალიზმისკენ გადახრა. უნდა ითქვას რომ მწერალი უმეტეს შეხსენებებს სძლევს ამ სიძნელეს. ამ მხრივ საინტერესოა მოთხრობა „ბავშვები“. იგი უსოფეტრია და ეტიუდურ ჩანახაზს წარმოად-გენს. მწერალი ავანიერს თუ როგორ ცდილობენ ბავშვები მოხედენ პატარა ხასიერო-ვად „პიონერზე“. ახალგაზრდული ბავშვების ჯგუ-ფიდან მწერალი ზოგიერთ ბავშვს გამოყოფს და გვაცნობს მას. ავტორის მიერ ნიჭიერადაა დხატული ღონიერი, მაგრამ მორიდებელი ბიჭი ზურია, ცისფერ თვალება შორეა, თმბუნებუა მანანა, პატარა მხედარი ზაზა და თაყნება გო-დარძი. ავტორი ზოგიერთ მათგანს გამოყოფს იმ მიზნით, რომ ჩვენი წარმოდგენა მათზე უფრო კონკრეტული გახადოს. მოთხრობაში იგრძნობა ბედნიერი ბავშვების ღალი მხიარულება. ახა-ლოგურ თემაზე შექმნილი ბევრი სხვა მოთხ-რობაც, რომელიც გამოირჩევა ნახი ღირისმით ან ნათელი იუმორით, ისეთი ნაწარმოებებია „მაღალი და დაბალი“, „მამა და შეილი“, „მონა-ღირე“ და სხვა.

მაგრამ ზოგიერთ მოთხრობაში მწერალი მაინც ვერ ახერხებს ახალდეს მის მიერ გამოყენებუ-ლი მასალაზე. მაგალითად მოთხრობაში „ერთ წყნარ საღამოს“ აღწერილი შემთხვევა შეიძლება მართლაც მიმდებარეოთ ჩვენი საბჭოთა სოფელ-ში, სადაც — მხიარულ შეხედებით სხვადასხვა ერონების ადამიანებს, ავტორი კეთილსინდ-სიერად ავანიერს ცალკეულ დეტალებს, აქ თითქმის ყველაფერი რიგზეა. მაგრამ საშუაზ-როდ ეს დეტალები და ცალკეული სურათები ვერ ერთიანდებიან. მოთხრობაში მუგობრობის იდეა არის ჩაფიქრებელი, მაგრამ ეს იდეა ვერ პოულობს სათანადო განხორციელებას

მოქმედ პირთა განწყობილებათა ან ემოციების სფეროში.

ანალოგიური ნაყოფანება ახსიათებს მოთხრობებს: „ეოტენე“, „ია“ და ზოგიერთ სხვას.

რამდენადმე განსხვავებული მხატვრული ხერხითაა დაწერილი მოთხრობა „თუ გულს ჰკითხავ“. საერთოდ იღ. რურუას მოთხრობის ემოციონალური, ან ინტელექტუალური სიშიშიმე ხშირად გადაიქვს ნაწარმოების განწყობაზე, ზოგად ზნეობრივ კონცეფციაზე, ამ მოთხრობაში მოქმედება გაშლილია სხვა პლანში: ავტორს უმთავრესად ამბავის განვითარება აინტერესებს, სიუჟეტს მეტ მნიშვნელობას ანიჭებს, მოვლენების გარეგანი მხარის აღწერა ბატონობს შინაგანზე.

მწერალი შეეცა არა მხოლოდ მხატვრული ხერხის არჩევანში, რომელიც იგი წინააღმდეგობაში მოიყვანა საკუთარ პოეტურ სამყაროსთან, მან აგრეთვე არა სწორი ეთიკური გამოსავალი მისცა ნაწარმოებს: ასეთი უბრალო ამბავი, როგორცაა ქალიშვილის ქორწინება სასურველ ვაჟზე მოთხრობაში თითქმის გმირობადაა დასახელო.

შეგამ რა არის აქ უჩვეულო? თინა, რომელსაც უყვარს ახალგაზრდა ინჟინერი გაიოზი, საქმროს ქალაქ-გარეთ ყოფნის დროს კამკლეცობს თავისივე უფროსთან — არჩილთან. როცა ეს თავქარიანობა მიდის ქორწინებამდე, მიღწეულ მიყვება ქალაქში მის მიერვე გამოაზრდულ გაიოზს.

არ შეიძლება მწერალს არ შეეცდავით შედეგება აეცილებულია არა იმდენად ესთეტიკური, რამდენადაც მოქალაქეობრივი, სოციალური პოზიციიდან: განა სწორი იქნება თინასთან ქალიშვილი დადებითად გამოკეყანოთ? შეიძლება თუნდაც ერთი წუთით ასეთი ქალიშვილი მოწონებულ იქნას?

ამ ქალიშვილს არ უყვარს გაიოზი და არც შეიძლება უყვარდეს: სიყვარულისთვის მტრად ზედამართულია მისი ხასიათი. შემთხვევით კი არ მოხდა, რომ სულ სამ თვეში, როცა საქმროს ქალაქში არ იმყოფებოდა მან მოახერხა სხვისთან დაახლოება თინას გულკეთილობა ფიზიოლოგიური გულკეთილობაა დაკავშირებული

ასაკობრივ მდგომარეობასთან. შას არ აქვს გარკვეული დამოკიდებულება გაიოზთან. ესეც უფრო ფიზიოლოგიური ხასიათისაა! შეწყნობენ ლტოლვი მამაკაცისავე. ლიტონ დასტობას საკუთარ თავს, როცა გაიოზს არჩილს ადარებს, და ფიქრობს, რომ ამ უკანასკნელს შეუძლია მისთვის „კარგი უზრუნველყოფილი ცხოვრების შექმნა“. თინამ დასტოვა სიმდიდრის ცდუნება და გაიოზის მეუღლე გახდა, მაგრამ საკითხი კვლავ ღიად რჩება: შესძლებს თუ არა იგი გაუწიოს მეგობრობა გაიოზს?

მოთხრობა „თუ გულს ჰკითხავ“ გაღარიბებულად წარმოსახავს თანამედროვე ქალიშვილის ბუნებას. რაც განსაკუთრებით დასაინჯია თვითონ ავტორის სიმატაია ამ სულიერად ღარიბი ქალიშვილის მხარეზეა.

იღ. რურუას მოთხრობების კრებულში შეტანილია მოთხრობა „გზის დასაწყისი“. ეს ნაწარმოები მივსვინა საინტერესო თემას: უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდის ადგილს ცხოვრებაში. კრიტიკული ის წუთი, როცა ახალგაზრდა პირველად რჩება ცხოვრებასთან პირისპირ. რამდენ აუხდენელ ოცნებას, ნალოლიავე ფიქრებს უნდა გამოეთხოვოს და შეეგუოს ყოველდღიურობის პროზას, საბოლოოდ დაძლიოს ახალგაზრდულ დაუდევრობა, გახდეს ცხოვრების მშენებელი. ამ დროს ყველაზე უფრო საჭიროებს აღმანანი დამხმარე ხელს. ყველაფერი ეს კარგად აქვს მწერალს ნაჩვენები მოთხრობაში.

ახლად ინსტიტუტდამთავრებული შალვა სოფელში მიემგზავრება, სადაც ის მასწავლებლადაა დანიშნული.

შალვა ეგებება სოფელს, სოფელებს, სკოლასა და ბავშვებს. მან მონახა საკუთარი თავი. მან ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა იმისთვის, რათა გახდეს სრულფასოვანი მოქალაქე, ის მტკიცედ დადგა იმ გზაზე, რომელიც მიდის საზოგადოების კეთილდღეობისაკენ.

კარგად იქნება თუ იღ. რურუას მოთხრობების ეს წიგნი ახალი გზის დასაწყისი გახდება მწერლისათვის სრულფასოვანი ქართული პროზის შექმნის საქმეში.

ჯავახ ზარაშიძე

ნაშრომი შიდა ქართლის გრინჯარს კულტურის შესახებ



შიდა ქართლის იმ ნაწილმა, რომელიც დღეს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში შედის, კარგა ხანია მიიქცაა არქეოლოგთა ყურადღება.

კერ კიდევ გასული საუკუნის 70-80-იან წლებში აქედან ცნობილი ხდებოდა მთელი რიგი ცალკეულ აღმოჩენებისა, 80-იანი წლების მიწურულ-

ლისათვის კი ამ ტერიტორიაზე უკვე ტარდება პირველი არქეოლოგიური გათხრები. შემდეგ სულ უფრო და უფრო იზრდება მასალები შიდა ქართლის ამ კუთხიდან. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ვ. დობჯიანის მიერ ჩატარებული მუშაობა, კერძოდ კი, მის მიერ გათხარული სამაროვანი სოფ. თლისთან. ამ სამაროვანში იმთავითვე სპეციალისტების სათანადო ყურადღება მიექცა. შემდეგში აქვე მუშაობას აწარმოებდა პ. უვაროვა. მაგრამ, სამწუხაროდ, თლიში აღმოჩენილი მეტად საყურადღებო ძეგლის შეხატებ, თუ არ ჩავთვლით პ. უვაროვას მიერ თავის MAK—VIII გამოქვეყნებულ მასალას, შეიძლება ითქვას თითქმის არაფერი დაწერილა. ანტიკონი, რა თქმა უნდა, ცხადი ხდება თუ როდენ მნიშვნელოვანია და საინტერესოა ბ. ტუხიას ნაშრომი, რომელიც სპეციალურად მივძღვნა თლის სამაროვანს. უნდა ითქვას, რომ იგი არ დაკმაყოფილებულა ამ სამაროვნიდან მხოლოდ ადრევე აღმოჩენილი მასალის დამუშავებითა და შესწავლით, არამედ თვითონ მოიპოვა მნიშვნელოვანი დამატებითი მასალები. ამრიგად არქეოლოგიურ ლიტერატურაში უკვე კარგაზნა ცნობილი, მაგრამ ფაქტურად შეუსწაველი თლის სამაროვნის შესახებ დღეს უკვე მონოგრაფიული გამოკვლევა მოგვეპოვება.

ნაშრომის პირველ თავში ავტორი იძლევა სამხრეთ-ოსეთის არქეოლოგიურად შესწავლის მოკლე ისტორიას. ავტორი, ჩანს, ვაცენობია არა მარტო გამოქვეყნებულ მასალას ამ საკითხთან დაკავშირებით, არამედ შეუსწავლია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მუზეუმებში დაცული სათანადო საარქივო მასალები. ამგვარი შესწავლის შედეგად იგი ეთოვდ სწორ სურათს გვიგორკ რეკონსტრუქციულ შეფასებას იძლევა როგორც ჩატარებული მუშაობისა, ისე შერჩინილი ხანების კვლევა-ძიებისა. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაშრომში თითქმის სრულიად არ ჩანს ბ. კუტტინის ღვაწლი სამხრეთ-ოსეთის არქეოლოგიის შესწავლის საქმეში. როგორც ცნობილია, ბ. კუტტინმა თავის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიაზე დიდი მუშაობა ჩატარა, ამ მუშაობის გათვალისწინების გარეშე, რა თქმა უნდა, სამხრეთ-ოსეთში არქეოლოგიური კვლევა-ძიების ისტორია არასრული იქნება. ნაშრომიდან ისე ჩანს, რომ თითქმის ბ. კუტტინს სამხრეთ-ოსეთში 1945 წ. დაზვერვების შემდეგ აღარ ეშვებოდა. სინამდვილეში კი, როგორც ეს ბ. ტუხიანამ აღბათ კარგად იცის, ბ. კუტტინი სამხრეთ-ოსეთში საქმიანოდ ფართო არქეოლოგიურ სამუშაოს აწარმოებდა 1949, 1950 და 1951 წწ. რის შედეგადაც მან აქ მთელი რიგი სხვადასხვა პერიოდის

მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანი მასალები მოიპოვა. მართალია, ბ. კუტტინს სამხრეთ-ოსეთში ჩატარებული მუშაობის შედეგებს ვერ მოქვეყნებდა აღარ დასცავდა, მაგრამ მის მიერ მოპოვებული მასალა და სათანადო დოკუმენტები ინახება საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში. ვფიქრობთ, რომ ბ. ტუხიას ყოველთვის ჰქონდა საამისო საშუალება, რომ ვაცენობოდა ამ მასალებს. მით უმეტეს, რომ მან არ დაიხარა და საკმაოდ ბევრიად შესწავლა მოსკოვისა და ლენინგრადის სათანადო დაწესებულებების საარქივო მასალები.

ნაშრომის მეორე თავი, შეიძლება ითქვას, ძირითადი ნაწილია შრომისა. იგი რამდენიმე ქვეთავისაგან შედგება. ეივრე უშუალოდ ძეგლის დასახატობის დანიშნულებს, ავტორი იძლევა დიდი ლიხვის აუზის ფიზიკო-გეოგრაფიულ დახასიათებას და შემდეგ კი თვით სოფელ თლისა და სამაროვნის ადგილმდებარეობის აღწერას. საკმაოდ დაწერილებით აღწერს იგი მის მიერ ჩატარებულ მუშაობას თლიში. მას აქ რვა სამარხი გაუთხარა და მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი მასალა აღმოუჩენია. საკვებით სამართლიანად შენიშნავს ავტორი, რომ დღემდე შიდა ქართლის მხოლოდ მთის ძირა რაიონი იყო შესწავლილი და მთა კი თითქმის სრულიად უყურადღებოდ იყო მიტოვებული. რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში მის მიერ ჩატარებული მუშაობა მნიშვნელოვანი და დროული ჩანს.

ნაშრომში დაწერილებითაა აღწერილი თითოეული სამარხი, დასაფლავების წესი, სამარხის მოწყობილობა და სხვ. მაგრამ, სამწუხაროდ, საკითხი დასაფლავების წესისა და თვით სამარხის აღნაგობის შესახებ მთლად ვარკვეული არ არის. როგორც ჩანს, აქ კოლექტური სამარხი იყო. ვფიქრობთ, რომ ავტორს უთუოდ უნდა შეეღარებინა და დაუპირისპირებინა თლის სამარხები სამხრეთ-ოსეთის სხვა ადგილებში ცნობილი კოლექტიური სამარხებთან, კერძოდ ნელსა და ქვასათლის სამაროვნების კოლექტიურ სამარხებთან. შესაძლოა ამგვარ შეჯერებას მაინც რაიმე სინათლე შეეტანა ამ საკითხებში. ავტორი ფიქრობს, რომ თლის სამაროვნის ტიპის კოლექტიური სამარხები სამხრეთ-ოსეთში შუა საუკუნეებში გარკვეული საოჯახო მიწისზედა სამარხების წინამორბედები უნდა ყოფილიყო. ვფიქრობთ, რომ ეს ავტორისათვის თითქოს სრულიად ვალგაბილი მოსაზრება, დაუსაბუთებელი ჩანს. მით უმეტეს, რომ თლის სამარხის ფორმა მისთვის მთლად ვარკვეული არ არის.

თლის სამარხებში ყველაზე უკანადაა წარმოდგენილი იყო ბრინჯაოს ნივთები. ნაშრომში ცალ-ცალკეა განხილული ჯერ ბრინჯაოს იარაღები, შემდეგ სამკაულები. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ამ პერიოდში არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც ქალის სამარხებში საბ-

რძოლი იარაღი გვხვდება. მაგრამ ამ ფაქტს იგი ვაუწყებარ ახსნას იძლევა. ნაშრომის გვ. 55 იგი წერს, რომ «Это объясняется тем, что достигая своего расцвета, бронза становится основным материалом не только для мужского вооружения, но и выполняет главную роль в хозяйственной деятельности женщины».

განა ვთქვათ, თუნდაც ზემო აქვალის ქალის სამარხში აღმოჩენილი შახეილის მიხედვით, ამგვარი დამკვეთის გაყვება შეიძლება.

ბრინჯაოს ინვენტარის ავტორი ცალ-ცალკე განიხილავს ტიპების მიხედვით. ვფიქრობთ, რომ ამგვარი მიდგომა ისეთ რთულ სამარხულ კომპლექსში, როგორც თლიში გვხვდება, მართებული არ უნდა იყოს. ავტორი რამდენიმე ადგილას აღნიშნავს ვაკერით, რომ თლის კომპლექტურ სამარხებში დროის საკმაოდ დიდი მანძილზე ასაფლავებლენ მიცვალებულს და ამიტომ აქ სხედასხვა პერიოდის მასალები გვხვდება. ამგვარი განცხადების შემდეგ მეთხველი მოელის, რომ ნაშრომში გამოყოფილი იქნება სხვადასხვა პერიოდის კომპლექსები და შემდეგ ასაკის მიხედვით დაჯგუფებული მასალა ცალ-ცალკე იქნება შესწავლილი. მაგრამ, სამწუხაროდ, ავტორის მთელი მასალა ერთად აქვს განხილული ტიპების მიხედვით, რაც ამ შრომის ნაყოფი უნდა ჩაითვალოს. სატყერის პირებში ავტორი რამდენიმე ტიპსა და ქვეტიბს გამოყოფს და თითოეულს ცალ-ცალკე განიხილავს. ნაშრომიდან არ ჩანს თუ რას უღებს საფუძვლად სატყერის პირების ტიპებად დაყოფას. «Наличие» книжалов указывает на воинственный характер племен горной полосы современной Юго-Осетии в эпоху поздней бронзы» (გვ. 68) ცოტა უფრო ქვევით გვ. 78 სამკულის განმარტებისას იგი სრულიად საწინააღმდეგო დასკვნას იძლევა იმის გამო, რომ სამარხებში სამკულე ქარბობს იგი ასევე, რომ «Это естественно и ясно, в эту эпоху уже чувствуется стремление населения к мирной спокойной жизни».

სატყერის პირების შემდეგ ნაშრომში განხილულია შუბის პირები. აქ უნდა აღენიშნოს, რომ ავტორი რაღაც უცნაურ განმარტებას იძლევა შუბის პირებისას* „наконечники копий, имеющие наподобие книжалов наступательное назначение».

არც შუბის პირების აღწერილობაა მიიწვინა მიიწვინა ვსააგები: «листовидная вершина» (?); «Второй наконечник такого же типа, только листовидная часть откована с целой трибкой» (?), «серебро крепости» (?).

შუბის პირების განხილვისას ავტორის დიდი პარალელური მასალა მოვავს, მაგრამ სამწუხაროდ, ამ მასალას, რომელიც ვევაზე უფრო აბო დღას ამ შუბის პირებთან, კერძოდ ნელი-

სა და ქვასათლის სამარხებში აღმოჩენილი, იგი რატომღაც სრულიად ფრჩხილწვევს. იგი გრძნობს, რომ ეს ტიპი უმეტესად მკერძებსა, უფრო აღრეული უნდა იყოს და კიდევაც აღნიშნავს, რომ შესაძლოა ისინი შუა ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნებიან. ეს მისი მოსაზრება საგნებით მართებულია. მაგრამ ცოტა ქვევით იმისათვის, რომ ახსნას ამ არქაული ფორმის არსებობა, თლის სამარხიდან, შესაძლებლად თვის აღნიშნოს, რომ „Они, возможно, в интересующем нас горном районе бытовали немного позже, чем вышеприведенные аналогичные». რა თქმა უნდა, ეს დასკვნაც იმის მიხედვითაა, რომ იგი არასწორად უდგება მასალის შესწავლას. მას რომ მთელი მასალა ასაკის მიხედვით განხილა და თითოეული პერიოდისათვის სათანადო პარალელები მოეტანა, მაშინ იგი უფროდ ამგვარ ახსნას თავიდან აიცილებდა. განა ბრინჯაოს ხანაში ჩვენში შეიძლება ლამარაკი იმის შესახებ, რომ თითქოს მთის რაიონში ვარკვეული ფორმები უფრო გვიან გვხვდება. მთა ზომ ამ პერიოდში დაწინაურებულია ჩანს. ამის ანარქალია სწორედ ბრინჯაოს, თრიალეთისა და სხვა მასალები. ამასვე მოწმობს თვით თლის სამარხიანიც. აქვე გვიხსნის აღნიშნით, რომ ავტორი ამა თუ ამ ნივთის განხილვისას საკმაოდ დიდი პარალელური მასალა მოიპყეს და მთელ კავკასიაზე ეძებს ანალოგიებს. მაგრამ საკუთრად სამბრტყეოსის ტერიტორიაზე მოპოვებულ მასალას იგი რატომღაც ნაკლებად იყენებს (ქვასათალი, ნელი, ბ. კუფტინის მასალები). მას რომ ეს მასალები სათანადოდ გამოეყენებინა იგი, რა თქმა უნდა თავიდან აიცილებდა მთელ რიგ შენიშვნებს, რომელიც მეთხველს უთოვდ ეხადება. თლის სამარხის შესწავლა ნელის, ქვასათლის და სხვ. მასალის სათანადო გათვალისწინების გარეშე, განსაკუთრებით აღრეული ფენისა, ვფიქრობთ შეტად გაძნელებდა. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ვფიქრობ, რომ აღარ დასპირდებოდა იმის აღნიშვნა, რომ «Наконечники копий... датируются концом средней бронзы. Такой вывод делаем на основе химических анализов». განა მარტო ქიმიური ანალიზით შეიძლება ამგვარი დასკვნის გამოტანა. უნდა აღენიშნოს, რომ ხშირად იგი ქიმიურ შემადგენლობას ნივთისას მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. მაგ. გვ. 56, იგი იხიბის თავის შესახებ აღნიშნავს, რომ «по своему химическому составу булха, несомненно, относится к позднебронзовому эпохе».

ბრინჯაოს სარტყლების განხილვისას ნაშრომის გვ. 89 ავტორი წერს, რომ თითქოს სარტყლები პირველად ჩნდებიან «на ранних ступенях металла». სიიდან გამოაქვს ეს დასკვნა ავტორის — ვაუწყებარია. არსებული მასალით თითქოს ისე ჩანს, რომ ბრინჯაოს სარტყელი

ჩვენში მაინცდამაინც გვიანბრინჯაოს ხანიდან ჩანს.

ნაშრომის გვ. 120 კეთხულობთ, რომ «В эпоху первобытного общества и особенно в эпоху энеолита и бронзы, когда собирательство постепенно утрачивает свою силу и усиливается охота, собака, несомненно, играла важную роль». განა შეიძლება ამის აღნიშვნა ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანის შესახებ. რაღა დროსაა ამ პერიოდში ლაბარაკა შეგროვებზე და ნადირობაზე, როდესაც, როგორც ცნობილია, ამ დროს უკვე მძღვარე დაწინაურება ჩანს მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობის.

უნდა აღვნიშნოთ, რომ, ბრინჯაოს კულტურის შესახებ ავტორს ზოგჯერ არა ზუსტი წარმოდგენა აქვს. მაგ. გვ. 143, იგი წერს, თითქოს გვიანბრინჯაოს ხანაში ნადირობა თანდათანობით კარგავს თავის მნიშვნელობას და «основным источником добывания мясной пищи стало скотоводство».

განა სადღესოდ არსებული მასალით შეიძლება ამის მტკიცება. როგორც ცნობილია, უკვე ბრინჯაოს ადრინდელ საფეხურზე შესაქონლეობა ჩვენში საქმაოდ მაღალ საფეხურზე დგას. შუა ბრინჯაოს ხანაში იგი კიდევ უფრო ვითარდება და რა თქმა უნდა, იმის მტკიცება, რომ თითქოს გვიან ბრინჯაოს ხანაში ნადირობის სცეცის შესაქონლეობა, გაუგებრობა უნდა იყოს. სრულიად უსამართლოა აგრეთვე ნაშრომის გვ. 145 იმის მტკიცება, რომ თითქოს მთის თვისება ჩვენში ხდება გვიან — ბრინჯაოს ხანაში. როგორც სადღესოდ არსებული მასალიდან ირკვევა, ეს პროცესი ჩვენში უფრო ადრე ჩანს. ასევე, ჩანს, ავტორს არასწორი წარმოდგენა უნდა ქონდეს იმის შესახებ, თუ როდის ისახება ჩვენში უკვე პატრიარქალური გვარი. მისი აზრით ეს თითქოს გვიანბრინჯაოს ხანაში ხდება (გვ. 146; 149). სინამდვილეში კი ეს პროცესი გაცილებით უფრო ადრე მოხდა. ნაშრომის გვ. 147 იგი აღნიშნავს, რომ სამარხებში იარაღის აღმოჩენის ფაქტი, უნდა მიუთითებდეს «на характер военной демократии». მაგრამ, წინა გვერდზე ხომ იმას ამტკიცებდა, რომ თითქოს აქ ახლა ისახება პატრიარქალური გვარი. სამხედრო დემოკრატია ხომ პატრიარქატის უკვე საქმაოდ განვითარებულ სტადიაზე გვხვდება. ავტორი ცდილობს თლის სამაროვნის მასალების მიხედვით რაღაც ლოკალური თავისებურება დაინახოს. ვფიქრობ რომ იგი საყვებით სწორად იქცევა და მის ხელთ არსებული მასალა უთუოდ მას ამის საშუალებას აძლევს. მაგრამ, ვერ დავეთანხმებით ავტორის მტკიცებას, რასაც იგი არა ერთგზის აღ-

ნიშნავს, რომ თითქოს განვითარებულ ბრინჯაოს ხანაში კავშირი ცალკეული ლოკალური რაიონებს შორის უფრო ნაკლებად შესაძინებელი ხდება, ვიდრე წინაპირებულ ეპოქაში (გვ. 32, 135 და სხვ.). პირიქით, ამ პერიოდისგან მოკიდებული ჩვენში თანდათანობით იშლება ზღვარი ცალკეული ლოკალური კულტურებს შორის. გვიანბრინჯაოს ხანაში თანდათანობით იქმნება მსხვილი ტომობრივი გაერთიანებები, ცხოველდება ურთიერთობა ტომთა შორის და ეს კი თავის მხრივ იწვევს იმას, რომ ერთგვარიანი კულტურები უკვე საქმაოდ ფართო გავრცელებას პოულობს. სწორედ ამის ანარეკლია ის, რომ გვიან ბრინჯაოს ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე შესაძლებელი ხდება უკვე ორი კულტურული წრის გამოყოფა. რა თქმა უნდა, გვიან ბრინჯაოს ხანაში ამ კულტურებში გერკიდევ შესაძლებელი ხდება ცალკეული ლოკალური ვარიანტების დადგენა, მაგრამ ეს ვარიანტები სულ უფრო და უფრო იშლება. ამრიგად, გვიანბრინჯაოს ხანაში ჩვენში სულ სხვაგვარი სურათი გვაქვს, ვიდრე ეს ბ. ტიხონის ჰგონია.

ნაშრომის გვ. 149 ავტორი აღნიშნავს, რომ თითქოს ცენტრალური კავკასიის რაიონში — უზბარდოში, ჩრ. ოსეთში და ნაწილობრივ სამხრეთ-ოსეთში კერძოდ დიდი ლიხვის აუზში, ბინადრობდნენ ტომები, რომელთაც ერთი მატრიარქალური კულტურა გააჩნდათ. მართალია, თლის მასალაში გარკვეული ურთიერთობა ჩანს ჩრდ. კავკასიის მასალებთან, მაგრამ მათი ერთ კულტურად გაერთიანება არა სწორი უნდა იყოს. ავტორი რომ უფრო კარგად გასცნობოდა უკანასკნელ წლებში შიდა ქართლში და კერძოდ თანამედროვე სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიაზე მოპოვებულ მასალებს, ამაჯარ დასვენას აღარ გააყოფებდა.

თლის სამაროვანი შეტად რთული ძეგლია. ავტორმა შესძლო შეტ-ნაკლებად გარკვეულიყო ამ ძნელ მასალაში. მართალია, ნაშრომში ზოგი რამ სადავოა, ზოგჯერ, ჩვენი აზრით, არასწორი დასკვნებია გამოტანილი, მაგრამ ეს პირველ რიგში გამოწვეულია თვით მასალის სირთულითა და აგრეთვე იმიტო, რომ ბევრი რამ მაინც თლის სამაროვანზე გაურკვეველი დარჩა. შემდგომი მუშაობა, რა თქმა უნდა, ამ ხარვეზს შეავსებს. რამდენადაც ვიცით, უკანასკნელ წლებში ავტორმა აქ კიდევ დამატებით მეტისმეტად საყურადღებო და საინტერესო მასალა აღმოჩინა. ამ ახალი მასალის გათვალისწინების შედეგად ვფიქრობთ, ბევრი რამ გაიკრევა და დაზუსტდება.

ოთარ ჯაფარიძე

შურნალ „კროკოდილის“ ერთი გამოსვლის გამო

თავის ერთერთი შორივი ნომერი „კროკოდილში“ ეკონომიის საკითხებს მიუძღვნა. „კაპიტი მანეთს ინახავს“ — ამ მთავარი იდეა ნომრისა, რომლის უდაზვდაც კია დახატული ბრჭყვიალა კაპიტი — სიმბოლური გამოხატულება ამ მეტად პოპულარული და დამსახურებული სიყვარულით გარემოსილი ევრონალის მე-16 ნომრის „გამჭოლი მოჭმულები“სა. ეკონომიის მთელ რიგ მეტად მნიშვნელოვან და არსებით საკითხთა შორის ევრონალში წამოჭრილია აგრეთვე საკითხი გამოცემლობის დარგში ეკონომიის შესახებ. ვის შეიძლება ჰქონდეს რაიმე საწინააღმდეგო საერთოდ ასეთი საკითხის წამოჭრის მიმართ? მაგრამ ვ. სანინის ფელეტონში „მეხები საწყობში“ შეიმჩნევა ტენდენცია, რომელიც ცოტა არ იყოს უცნაურ შთაბეჭდილებას სტოვებს და რომლის უმასხვოდ დატოვება შეუძლებელია.

ვ. სანინი იგონებს, რომ „ჯერ კიდევ პუშკინის დროს გაარბინა შვემა კატამ წიგნის გამყიდველსა და პოეტს შორის“ და იგი ამ ძველ კამათში გადაჭრით დგება წიგნის გამყიდველს მხარეზე. ვუკნობთ, რომ ეს მოგონება აძლიერებდეს ფელეტონის ავტორის პოზიციას: როგორც ცნობილია, პოეტი თავით პუშკინი იყო. ვ. სანინის მსჯელობას დამაჯერებლობის იერი აქვს მხოლოდ მანამდე, სანამ იგი დაბრავს შეთხზულ პირიქეებზე — ვინმე ვიტალი სკორბინზე, პოეტზე, რომელიც ეომება გამოცემლობებსა და „სოიუზნიკებს“ თავისი ლირიული მკურნალობისთვის დიდი ტირაჟების მოსაპოვებლად. მაგრამ როგორც კი ვ. სანინი მიმართავს კონკრეტულ, რეალურად არსებულ ლიტერატურულ ფაქტებს — მისი ფელეტონის დამცინავი ტონი საბჭოთა ლიტერატურისათვის ამკარად შეურაცხყოფელი ხდება. ჩვენ არ ვკისრულობთ აქ ფელეტონისტის კვლადკვალ, ცნობილი პოეტის ს. კორსანოვისა და დრამატურგ ვ. სოლოვიოვის წიგნების ტირაჟების შემოჭმუებას, მაგრამ მაშინაც კი, თუ ეს ტირაჟები მართლაც აღემატებოდა წიგნით სავაჭრო ორგანიზაციების შეკეთას, ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი საფუძველი ცნობილი საბჭოთა მწერლების მისამართით იაფფასიანი უცბილო ობუნჯობისათვის, რომ არაფერი ვთქვათ იმ უკვე საყოველთაოდ აღიარებულ ჰემშირიტებზე, რომ მართლაც მოთხოვნილება ყოველთვის როდი განსაზღვრავს ხელოვნების წარმოებას ხარისხს, რომ ე. წ. მომგებიანი სემპტიკალი როდი არის

ყოველთვის საუკეთესო, და რომ არც თუ ყველა ადვილად გასასაღებელი წიგნი წარმოადგენს ლიტერატურის შედევრს. შემთხვევითი როდია, რომ უყვანსკელ დროს ჩვენს პრესაში არა ერთხელ და სავსებით სამართლიანად იყო წამოჭრილი საკითხი იმის შესახებ, რომ „წიგნის გამყიდველებს“ არ მართებთ ნაირნაირი მომგებიანი მდარეხარისხოვანი ჯამელოვანი ტიპის სავსებით მხატვრული, მაგრამ დიდი ღირებით მიღებისას ამკარად მკენე გამოცემებით გატაცება, და რომ ისეთ მნიშვნელოვან იდეოლოგიურ სფეროში, როგორიცაა ლიტერატურა, მატერიალურ ვარაუდს, სხვა თუ არა, უნდა ემატებოდეს მაინც პოლიტიკური, ეთიკური და ესთეტიკური მოსაზრებანი.

მაგრამ კიდევ რომ დაეტოვოთ ფელეტონისტის სინდისზე მისი პირადი გემოვნება ასე ვთქვათ ინდივიდუალური მავალითების შერჩევისას დიდ ტირაჟებთან მის თავგამოდებულ ბრძოლაში, ჩვენ ვერაერთად შემთხვევაში ვერ აუველით დემოლით გვერდს მის, პირდაპირ უნდა ითქვას, უტაქტო გამოცემის ისეთი უდიდესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე ლიტერატურული მოვლენების მიმართ, როგორიცაა საბჭოთა კავშირის ხალხთა პოეზიის ანთოლოგიითა გამოცემა. საკუთარი თვალებისა არ გვერა, როდესაც „კროკოდილის“ ფურცლებზე კითხულობ ასეთ ტირადას: — Не успевает и «Союзкига» перевести дух, как на нее наваливаются издательства». И добиваются тиражей, которые потом образуют горы макулатуры на книжных складах (ავტორს მოჰყავს მავალითი საბავშვო გამოცემლობის გამოცემებიდან. — გ. მ.)... Тут же покоятся и незаконорожденные чада других издательств. Снимем головные уборы пред брениными останками сборников докладов «Вопросы детской литературы», перед сотнями пудов «Антологии грузинской поэзии», «Русскими очерками» и другими книгами, тираж которых был согласован Гослитиздатом со всеми, кроме читателя. Так в результате дружных усилий златолюбивых авторов и издательства, в результате отдельных просчетов «Союзкиги» в определении тиражей, на книжных складах вырастают бумажные пирамиды, деликатно именуемые «остатками».

როგორი „დელატური სხელწოდება“ გამოვლნახათ ამ მართლაც რომ კანკიანი იუმორის მღერეი ნაყას, რომლითაც ფელეტონის-ტი თახავს ამა მარტო ცალკეულ მწერლებს, არა მარტო ცალკეული მეცნიერული კრებულების ავტორებს, არა მარტო ცალკეულ გამომცემლობებს, რომლებიც თურმე ეტრფიან დიდ ტრავებს, ვინაიდან „პეიდიან თავიანთ მოსავალს ძირშივე, ლებულობენ მისგან ნაღდ მოგებას, ხოლო მოსავლის შემდგომში ბედი მათ აღარ აწუხებთ“ (ყოველივე ეს „გოსლი-ტიზატსა“ და „დეტგაზს“-ს ეხება), არამედ მთელი ერის პოეზიასაც მისი საწყისებიდან ვიდრე დღევანდელ დღემდე (ყოველივე ეს ეხება, როგორც ჩანს, სხვა მომე ერთა პოეზიის ანთოლოგიებსაც, ვინაიდან გავრცელების თვისაზრისით „ქართული პოეზიის ანთოლოგიას“ იერჯერობით პირველი ადგილი უკავია). ან იქნებ აქ ზედმეტია დელატიობა და ე. სანიის ფელეტონს პირდაპირ უნდა ეწოდოს თავისი ნამდვილი სახელი — პოლიტიკური უტაქტობის ნიშნი!

უკვე არა ერთი ათეული წელია, რაც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს შთავგონებელი, ევთელშობილური მეშობა მომე ხალხთა კულტურის ურთიერთ დაახლოებისა და ურთიერთგამადიდრების მიზნით. საუკეთესო საბჭოთა მწერლებს არა მარტო თავიანთ საპატრიო მოვალეობად, არამედ თავის სანუგეარ და საყვარელ საქმედ მიანიათ სხვა ხალხთა პოეტური ქმნილებების მშობლიურ ენაზე თარგმნა. ეს ერთობლივი მეშობა ლენინური ნაციონალური პოლიტიკის ისტორიული მიღწევების ერთ-ერთი ყველაზე მეტყველი მგავლითაა. მომე ხალხთა პოეზიის ანთოლოგიები კი ყველაზე ზღელსუსახები შედგეია ამ მართლაც რომ გრანდიოზული მეშობისა. ე. სანიი კი, ნურას უკაცრავად, თვლის თავის თავს უფლებამოსილად გუტოლნის ამ ანთოლოგიების გამოცემა „досытаком тоне тончайшего аналитического исследования о курочке-рябе“.

ჩვენს მივკეთ ზვენს თავს უფლებას ვკითხით მოქალაქე ე. სანიის: რას გულისხმობს იგი, როდესაც „ქართული პოეზიის ანთოლოგია“ გოსლიტიზატის „უკანონო ნაშიერის“ უწოდებ? ზომ არ იყარს ფელეტონისტი საბჭოთა საგამომცემლო პოლიტიკაში კორექტივების შეტანა და „კანონიერა“ თუ „უკანონო“ გამოცემების რეგისტრაციის თავისი განსაყუთრებული სისტემის დადგენა?

„მაველატირა“, „ასეუთი ფუთი“, „ქალადლის პირამიდები“, „უკანონო ნაშიერის“ — იფიჭრა თუ არა ეტრნალ „ქროკოდილის“ რედაქციამ, რომ ყველა ეს ფანტასტიური განსაზღვრანი და ეპითეტები ე. სანიის ფელეტონში გადმონთხეულია ერთის ზხრე რუსთაველის, გუტამიშვილის, ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას,

საბჭოთა საქართველოს საუკეთესო პოეტების მიმართ, ხოლო მეორე მხრივ შესანიშნავი რუსი პოეტების — ტიხონოვის, ზაბოტოკის, ანტოკოლსკის, ლოზინსკის, დრეჟინინს, კარჩეტოვის, ზვიაგინეცკას, ტარკოვის, დოლ-მატოვსკის, მეიეროვის, ლუკონინის, გუმენკოს, ვეტუშენკოს, მაქსიმოვის, ვინოკუროვის, ნიკოლევესკიას, სნეგოვას და სხვათა მისამართით, ვინც, შეიძლება ითქვას, სიცოცხლე შესწირა ქართულ პოეზიის რუსულ ენაზე თარგმნის საშვილიშვილო საქმეს? და, ფელეტონისტის ლოგეკას რომ მივყუთ, ამ „მაველატირის“ გამოცემისათვის პასუხისმგებლობა უნდა გაიზიარონ ანთოლოგიის რედაქტორებმა — ნ. ტიხონოვმა, ნ. სიმონოვმა, ი. აბაშიძემ, ს. ჩიქოვანმა, ნ. ზაბოტოკამ, ა. მეიეროვმა?

ახლა როიოდე სიტყვა საქმის ფაქტიური ვითარების შესახებ. ე. სანიი ლაპარაკობს ასობით ათას და უფრო მეტიც — ასობით მილიონ ჩაწოლილ პროდუქტებზე, მაგრამ არც კი თვლის საჭიროდ განასხვავოს კარგი და ცუდი წიგნები, მაშინ როდესაც მხოლოდ ასეთი შეფასების შედეგად შესაძლებელი ამ მართლაც რომ საეალალო დანაკარგის ვაშომწვევ დაშნაშეეთა დადგენა განა ცხადი არაა, რომ თუ ცუდი წიგნია „ჩაწოლილი“ — ამაში ბრალი ავტორსა და გამომცემლობას მიუთღვის, ხოლო თუ საწყობებში უშობიროდ დევს კარგი წიგნი, აქ ჩვენ უკვე „წიგნის გამოიდუღლის“ დანაშაულზე უნდა ვიფიჭროთ და ავრეთვე პრესის იმ ორგანოების გულგრილობაზე, რომლებსაც აკისრიათ კარგი წიგნის პროპაგანდა, მკითხველის შეგნებამდე მისი მიყვანა და სპირიტების შემთხვევაში, მკითხველს ვეშოვნების აღზრდაც. თუმც ისიც კი უნდა ითქვას, რომ ქართული პოეზია არ საჭიროებს საგანგებო რეკლამას, რათა მკითხველსაკენ გზა ვაყავდოს: მან უკვე რახანია ვაყავდა ეს გზა. საკმარისია ითქვას, რომ იმავე ანთოლოგიაში შეტანილი თითქმის ყოველი პოეტი — შოთა რუსთაველიდან ვიდრე დღევანდელ საბჭოთა პოეტებამდე — გამომცემულია რუსულ ენაზე, მოსკოვსა და თბილისში, მრავალათასიანი ტრავებით და ეს წიგნები გამოცემის უშალ იქნა შესვიდული, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქაც დღეს ქართული პოეზიის ანთოლოგიის პირველი გამოცემა, რომელიც მხოლოდ ამ ათი წლის წინად გამოვიდა და რომელიც თავისი სავრთო დონითა და თარგმანების დიდი ნაწილის ხარისხით ბევრად ჩამოუვარდებოდა დღევანდელ ანთოლოგიას. რაც შეეხება ამ უკანასკნელს — იგი ერთი წელიწადი კი ძლივსაა რაც ვაპოვიდა, ეს კი არც თუ ისე დიდი ვადა ასეთი ტიპის ძეორფასიანი გამომცემების სრული რეალზაციისათვის. („წიგნის გამოიდუღებმა“ მშვენიერად იციან, რომ სხვადასხვა ტიპის გამოცემების რეალზაციისათვის არსებობს განსხვავებული სავარაუდო ვადები). ხოლო, რამდენა-

დაც ხვენ ვიცი, ქართული ბოუზის 20 ათასიანი ტირაჟის (განა ეს ასეთი საშინელი რიცხვია?) უკვე გაყიდული ნაწილი — საეკლესიო დამამკმაყოფილებელი დასაწყისია. სამწუხაროდ მკითხველმა ევრაფერი ვერ წაიკითხა ამ ანთოლოგიის შესახებ ვახუშტისა და ფურნალებში: დღემდე არსად არ დაბეჭდილა არცერთი წერილი, ბაბლიოგრაფია და თუნდაც უბრალო ქრონიკა და ცნობა ანთოლოგიის გამოსვლის შესახებ, მაშინ როდესაც 1949 წელს გამოცემულ ანთოლოგიას საგანგებო და ვრცელი წერილები მიუძღვნეს ვახ. „პრავდამ“ „ნოვი მიჩმა“ და „ზნამიამ“, „ხევხდამ“ და „დრუჟბა ნაროდოვამ“, „სოვეტსკაია კნიგამ“ და სხვა ორგანიზაციამ. განა შეიძლება უარყოფით პრესის მნიშვნელობა ამა თუ იმ თუნდაც ყველაზე კარგი და საჭირო წიგნის პოპულარიზაციისა და პროპაგანდის საქმეში?

ვ. სანინის ფელეტონში ლაბარაკია აგრეთვე „სამასიოდე ცელქი ბაღანა გამომცემლობის“ საქმიანობაზე, რომლებიც „ნაგარდობენ ლიტერატურულ ასპარეზზე“. ავტორის მხედველობაში უფრო რესპუბლიკური და საოლქო რუსული გამომცემლობები, რომლებიც ხშირად ერთნაირ პროდუქციას უშეებენ და თუ კი ფელეტონისტი საქმის ამ მხარესაც მიაქცია ყურადღება, ნუთუ ის არ იყო ვალდებული ცოტა მეტი ყურადღებით შეესწავლა საკითხი ამ გამომცემლობათა შესახებ? იქნებ ზოგიერთი მათგანი გამოვიდა უკვე ბაღლობის ასაკიდან და თავი დაანება საზარალო ცელქობას? ჩვენ არა გვაქვს ხელთ მასალები ყველა ამ საშხის გამომცემლობის მუშაობის შესახებ, მაგრამ გვაქვს საშუალება მივმართო ჩვენთვის „ზარია ვოსტოკას“ გამომცემლობის ლიტერატურულ პრაქტიკას. ეს საეკლესიო რენტაბელური გამომცემლობა, თუმცა მას არცერთხელ არ მიუმართავს „დედოფალ მარგოსა“ და „უთავო მხედრისათვის“ თავისი „საქმის“ დასაფინანსებლად და არცერთხელ არ გამოუყენა ხელახლა

სხვა გამომცემლობებში გამოსული რუსი, ავტორების მომგებიანი წიგნები. მაშ. მაგარად შეიძლება იმავდ ქართული კლასიკოსების და ქართველი საბჭოთა მწერლების ნაწარმოებთა თარგმანები, რომლებიც ვ. სანინის ვარაუდით არ არიან რენტაბელური. თანაც გამოსცა ეს ნაწარმოებები „წიგნის გამყიდველებთან“ საეკლესიო შეთანხმებული მართლაც რომ ზღაპრული ტირაჟებით. („სიბრძნე სიტრუსა“ — 300 ათასი, „ქართული ზღაპრები“ — 350 ათასი, ქართული პროზისა და პოეზიის სხვა ნიმუშები — მრავალათასიანი ტირაჟებით და ა. შ.). განა ეს საეკლესიო პასუხი არ არის ვ. სანინის უპასუხისმგებლო ფელეტონის მიმართ? და ტყუილად ნუ ეფარება იგი მკითხველის სახელს, რომელთანაც ვითომდა არ არის შეთანხმებული ზოგიერთ გამომცემთა ტირაჟები. ეს ხომ მკითხველის შეურაცხყოფასაც ნიშნავს, რამეთუ საქმე მის გემოვნებასა და სულიერ პორიზონტს შეეხება.

დასასრულ, ჩვენ არ შეგვიძლია არ გამოვთქვათ ღრმა სინანული იმის გამო, რომ ფურნალ „პროკოდილის“ რედაქციამ და რედაქციის გვიამ არ გამოიზინეს კრიტიკული დამოკიდებულება გამოქვეყნებული მასალის მიმართ და თავი მოატყუებინეს „ეკონომის“ არაკეთილსინდისიერ გულშემატკივარს მათ რიცხვიდან. ვისაც კერძო კიდევ პუშკინმა მისცა ასეთი ამომწურავი დახასიათება:

Несносен мне твой ропот дерзкий,
 Ты червь земля, не сын небес;
 Тебе бы польза всё — на нас
 Кумир ты ценишь Бельведерский.
 Ты пользы, пользы в нем не зришь.
 Но мрамор сей ведь бог!, так что же?
 Печной горшок тебе дороже:
 Ты пишу в нем себе варишь.

გიორგი მარგველაშვილი.

ახალი წიგნები



სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

- რ. ბაკურაძე — თანამედროვე რევოლუციონიზმი ფილოსოფიაში. რედ. ნ. მახარაძე, გვ. 128, ფასი 1 მან. 50 კაპ.
- ჭ. ს. დოლიძე — რუსი სოციალ-დემოკრატების როლი საქართველოში რევოლუციური მარქსიზმის გავრცელების საქმეში. რედ. გ. თვანიძე, გვ. 86, ფასი 2 მან. 40 კაპ.
- წერაბ შერკვილაძე — მეტალურგთა კომუნისტური შრომის პრაქტიკა. რედ. გ. მოზაიძე, გვ. 38, ფასი 40 კაპ.
- ლ. ჩიქავა — სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანა და მისი გადაჭრის გზები. რედ. გ. მოზაიძე, გვ. 54, ფასი 55 კაპ.
- გ. გულბანი — რუსი სოციალ-დემოკრატები საქართველოში. რედ. კობა ივანიძე, გვ. 144, ფასი 2 მან. 50 კაპ.
- ა. ს. ნოვიკოვ-პრიხოი — ცესინა, წიგნი მეორე, თარგმანი დ. დუმბაძისა. რედ. ე. წულუკაძე, გვ. 524, ფასი 10 მან. 35 კაპ.
- თ. ვ. ვლადკოვი — ჩემი ბავშვობის ამბავი. თარგმანი შარიაშ ბაკურაძისა, გვ. 552, ფასი 9 მან. 50 კაპ.
- აღმოსავლური პოეზია — სპარსულიდან თარგმნი მაგალი თოდუამ, რედ. ჯ. ლომაშვილი, გვ. 278, ფასი 7 მან.
- ს. ქ. ფირცხალაშვილი — როგორ ვერდიფოთ ჩაის ფოთოლი. რედ. მ. დოლაბერიძე, გვ. 52, ფასი 65 კაპ.
- დ. ფალოძე — განახლებული კოჩიარა, რედ. ც. ფირცხალაშვილი, გვ. 92, ფასი 1 მან.
- უ. ჯიბდაშვილი — თესვის პროგრესული მეთოდები. რედ. ა. ზაქარაიძე, გვ. 46, ფასი 70 კაპ.

საბლიტგამი

- ჩინო იონელი — რას ამზობს ჩიტ-ჩიორა. რედ. ქ. ნადირაძე, გვ. 88, ფასი 1 მან. 50 კაპ.
- ელადიმერ უზილავა — ბალადა დეკარგული ჯარისკაცისა, რედ. ა. შიტცხულავე, გვ. 92, ფასი 1 მან. 40 კაპ.
- ამელ რამიში — საიათნოვა, პოემა, თარგმანი აზერბაიჯანულიდან ნოდარ გურგენიძისა და ნოდარ წულუკისკირისა. რედ. გ. კაკაბაძე, გვ. 34, ფასი 35 კაპ.
- აღქმანდრე ქუთათელი — აბესალომ და ეთერი. რედ. ხუტა ბერულავა, გვ. 108, ფასი 1 მან. 10 კაპ.
- ქართული ხალხური ზღაპარი — გერბიტი, რედ. ქ. ნადირაძე, გვ. 20, ფასი 1 მან. 90 კაპ.

3360 8 8.

6.11/187



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ГРУЗИНСКОЙ ССР

«САБЧОТА САКАРТВЕЛО»